Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

15

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1947

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1950

ვ. ი. ლენინი

ტომი

15

1908 მარტი — *1909* აგვისტო

წინასიტყვაობა

მეთხუთმეტე ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ვ. ი. ლენინს დაწერილი აქვს 1908 წლის მარტიდან 1909 წლის აგვისტომდე.

ტომში შედის გაზეთ «პროლეტარში» და გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» გამოქვეყნებული ლენინის სტატიები და შენიშვნები, რსდმპ მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენციისა და «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის დოკუმენტები:

ნაწარმოებებში: «პირდაპირ გზაზე», «რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის», «რუსეთის რევოლუციის «ბუნების» შესახებ», «მიმდინარე მომენტის შეფასების შესახებ», «გზაზე» — ლენინი იძლევა სამი ივნისის სახელმწიფო გადატრიალების დახასიათებას, სახავს პარტიის ამოცანებს და ამუშავებს მის ტაქტიკას სტოლიპინის რეაქციის პერიოდისათვის, ამხელს მენშევიკების ლიკვიდატორობას.

სტატიები: «ორი წერილის გამო», «სტატიის «მორიგი საკითხებისათვის» გამო», «ბოლშევიზმის კარიკატურა», «ლიკვიდატორობის ლიკვიდაცია» და «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის დოკუმენტები მიმართულია «მემარცხენე ლიკვიდატორობის» — ოტზოვიზმის, ულტიმატიზმისა და ღვთისმშენებლობის წინააღმდეგ.

ნაწარმოებებში: «აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს», «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში. ავტორეფერატი», «პ. მასლო-

ვის ისტერიკა», «რამდენიმე შენიშვნა პ. მასლოვის «პასუხის» გამო», «რედაქციისაგან» და «როგორ იცავენ პლეხანოვი და კომპანია რევიზიონიზმს» — ლენინი იცავს და ავითარებს მარქსისტულ თეორიას აგრარულ საკითხში.

სტატიებში: «ფიცხი მასალა მსოფლიო პოლიტიკაში», «მებრძოლი მილიტარიზმი და სოციალ-დემოკრატიის ანტიმილიტარისტული ტაქტიკა», «ბალკანეთისა და სპარსეთის ამბები», «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა» ლენინი აშუქებს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მოვლენებს და განსაზღვრავს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას მილიტარიზმთან ბრძოლაში.

ტომში დაბეჭდილია ექვსი დოკუმენტი, რომლებიც პირველად არის შეტანილი ვ. ი. ლენინის თხზულებებში. სტატიაში «ინგლისელი და გერმანელი მუშების სამშვიდობო დემონსტრაცია» ლენინმა გამოააშკარავა კაპიტალისტების დაპყრობითი მისწრაფებანი, მათი მზადება ომისათვის და გვაჩვენა რევოლუციური მუშათა მოძრაობის ზრდა. დოკუმენტები «ბოლშევიკების განცხადება» და «გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამგეობას» ეხება ბოლშევიკების ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ რსდმპ მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენციაზე. «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირზე წარმოთქმული ორი სიტყვა და «პროექტი ბოლშევიკური ცენტრის წერილისა კაპრის სკოლის საბჭოსადმი» მიმართულია ოტზოვისტების, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლების წინააღმდეგ.

პირდაპირ გზაზე [1]

დაიბეჭდა 1908 წ.
19 მარტს (1 აპრილს)
გაზეთ «პროლეტარში» № 26

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

მეორე სათათბიროს გარეკვა და 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება[2] შებრუნების პუნქტი იყო ჩვენი რევოლუციის ისტორიაში, მისი განვითარების ერთგვარი განსაკუთრებული პერიოდისა ან ზიგზაგის დასაწყისი. ჩვენ უკვე არა ერთხელ გვილაპარაკნია ამ ზიგზაგის მნიშვნელობაზე რუსეთის კლასობრივ ძალთა საერთო თანაფარდობისა და დაუმთავრებელი ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანების თვალსაზრისით. ჩვენ გვინდა ახლა შევჩერდეთ ჩვენი პარტიული მუშაობის მდგომარეობაზე რევოლუციის ამ შებრუნებასთან დაკავშირებით.

ნახევარ წელზე მეტმა განვლო 3 ივნისის რეაქციული გადატრიალების დროიდან, და უეჭველია, რომ მას შემდეგ პირველი ნახევარწელიწადი ხასიათდება ყველა რევოლუციური ორგანიზაციის, მათ შორის სოციალ-დემოკრატიულისაც, მნიშვნელოვანი დაქვეითებითა და დასუსტებით. ქანაობა, დაქსაქსვა და დაშლა — ასეთია ამ ნახევარი წლის ზოგადი დახასიათება. რა თქმა უნდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან რეაქციის მეტისმეტ გაძლიერებასა და მის დროებითს გამარჯვებას, უშუალო კლასობრივი ბრძოლის შეფერხებასთან ერთად, შეუძლებელია არ მოჰყვეს რევოლუციური პარტიების კრიზისი.

ახლა უკვე სავსებით აშკარად შესამჩნევია მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც მოწმობენ ამ კრიზისის შეწყვეტას, მოწმობენ იმას, რომ უარესი უკვე გადატანილია, რომ სწორი გზა უკვე დაისახა, რომ პარტია კვლავ დგება პირდაპირ გზაზე—სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის თანამიმდევარი და მტკიცე ხელმძღვანელობის გზაზე.

აიღეთ პარტიული კრიზისის ერთ-ერთი ფრიად დამახასიათებელი გარეგანი გამოხატულება, რა თქმა უნდა, სრულიადაც არა ყველაზე ღრმა, მაგრამ შეიძლება ითქვას, ყველაზე თვალსაჩინო გარეგანი გამოხატულება. ეს არის ინტელიგენციის გაქცევა პარტიისაგან. მიმდინარე წლის თებერვალში გამოსული ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს[3] პირველი ნომერი, რომელიც ძალიან ბევრ მასალას იძლევა პარტიის შინაგანი ცხოვრების შესაფასებლად და რომელიც მეტწილად გადმობეჭდილია ჩვენს მიერ, ამ გაქცევას უაღრესად მკაფიოდ ახასიათებს. «ამ ბოლო დროს ინტელიგენტი მუშაკების უყოლობის გამო საოკრუგო ორგანიზაცია ჩაკვდა», — წერენ კორესპონდენციაში კულებაცკის ქარხნიდან (ცენტრალური სამრეწველო რაიონის ვლადიმირის საოკრუგო ორგანიზაცია). «ჩვენი იდეური ძალები თოვლივით დნებიან», — წერენ ურალიდან. «ელემენტებმა, რომლებიც საერთოდ გაურბიან არალეგალურ ორგანიზაციებს... და რომლებიც მიეკედლნენ ჩვენს პარტიას მხოლოდ აღმავლობის დროს და მაშინ ბევრ ადგილას არსებული ფაქტიური თავისუფლების მომენტში, მიატოვეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციები». და ცენტრალური ორგანოს სტატია «ორგანიზაციული საკითხებისათვის» აჯამებს ამ (და სხვა დაუბეჭდავ) ცნობებს და ამბობს: «ინტელიგენტები, როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს მასობრივად დეზერტირობენ».

მაგრამ პარტიის განთავისუფლება ნახევრადპროლეტარული, ნახევრადმეშჩანური ინტელიგენციისაგან უკვე აღვიძებს ახალი ცხოვრებისათვის პროლეტარული მასების გმირული ბრძოლის პერიოდში დაგროვებულ ახალ, წმინდა პროლეტარულ ძალებს. იგივე კულებაცკის ორგანიზაცია, რომელიც, კორესპონდენციიდან მოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით, უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა და სულაც კი «ჩაკვდა», გაცოცხლებული აღმოჩნდა. «მუშათა პარტიულ კერებს, — ვკითხულობთ იქ, — ოკრუგში ბლომად გაფანტულ კერებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში მოკ-

ლებული არიან ინტელიგენტურ ძალებს, ლიტერატურას, პარტიულ ცენტრებთან ყოველგვარ კავშირსაც კი, არ სურთ მოკვდნენ... ორგანიზებულთა რიცხვი კი არ კლებულობს, არამედ მატულობს... ინტელიგენტური ძალები არ არიან, თვითონ მუშებს, ყველაზე შეგნებულთ, უხდებათ პროპაგანდისტული მუშაობის გაწევა». გამოდის, როგორც საერთო დასკვნა, რომ «მთელ რიგ ადგილას («ს.-დ.» № 1, გვ. 28) ინტელიგენციის გაქცევის გამო პასუხსაგები მუშაობა მოწინავე მუშების ხელში გადადის».

პარტიული ორგანიზაციების ეს გარდაქმნა სხვა, ასე ვთქვათ, კლასობრივ საფუძველზე, რა თქმა უნდა, ძნელი საქმეა, და იგი მერყეობის განუცდელად ვერ განვითარდება. მაგრამ ძნელია მხოლოდ პირველი ნაბიჯი, და ეს ნაბიჯი უკვე გადადგმულია. პარტია უკვე დაადგა თვით მუშებიდან გამოსული მოწინავე «ინტელიგენტების» მიერ მუშათა მასების ხელმძღვანელობის პირდაპირ გზას.

მუშაობა პროფესიულ კავშირებსა და კოოპერატივებში, რასაც დასაწყისში გაუბედავად ჰკიდებდნენ ხელს, სავსებით გარკვეულ სახეს იღებს და მტკიცე ფორმებად ყალიბდება. ცენტრალური კომიტეტის ორი რეზოლუცია, პროფესიული კავშირებისა და კოოპერატივების შესახებ, ორივე ერთხმად მიღებული, უკვე ნაკარნახევია მზარდი ადგილობრივი მუშაობით. პარტიული უჯრედები ყველა უპარტიო ორგანიზაციაში; მათი ხელმძღვანელობა პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანების სულისკვეთებით, რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით; «უპარტიობიდან პარტიულობისაკენ» («ს.-დ.» № 1, გვ. 28), — აი ის გზა, რომელსაც უკვე აქაც დაადგა მუშათა მოძრაობა. მიყრუებული პატარა პროვინციული ქალაქის — მინსკის ერთი პარტიული ორგანიზაციის კორესპონდენტი იუწყება: «უფრო რევოლუციურად განწყობილი მუშები მათ (ადმინისტრაციის მიერ დამახინჯებულ ლეგალურ კავშირებს) შორდებიან და სულ უფრო და უფრო თანაუგრძნობენ არალეგალური კავშირების შექმნას».

ამავე მიმართულებით, «უპარტიობიდან პარტიულობისაკენ», ვითარდება მუშაობა სრულიად სხვა დარგში, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მუშაობა. ეს, რა თქმა უნდა, უცნაურად გაისმის, მაგრამ ფაქტია: ჩვენ არ შეგვიძლია ერთბაშად დავაყენოთ პარტიულ სიმაღლეზე ჩვენი საპარლამენტო წარმომადგენლების მუშაობა, — ისევე როგორც ჩვენ ერთბაშად არ დაგვიწყია «პარტიულად» მუშაობა კოოპერატივებში. ხალხის ნების გამყალბებელი საარჩევნო კანონის მიხედვით არჩეული სოციალ-დემოკრატები, ლეგალობაშენარჩუნებული სოციალ-დემოკრატების წრიდან არჩეულნი, იმ წრიდან, რომელიც არაჩვეულებრივ ძლიერ შეთხელდა ორი პირველი სათათბიროს არსებობის დროს გაჩაღებული დევნის შემდეგ, — ჩვენი სათათბიროელი სოციალ-დემოკრატები სინამდვილეში გარდუვალად წარმოადგენდნენ ჯერ უფრო უპარტიო სოციალ-დემოკრატებს, ვიდრე პარტიის ნამდვილ წევრებს.

ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, და არა გვგონია სხვანაირად შეიძლებოდეს კაპიტალისტურ ქვეყანაში, რომელიც ათასი ბატონყმური ძაფით არის შემოხლართული, და სადაც მუშათა პარტია აშკარად სულ რაღაც ორი წელია არსებობს. და ამ ფაქტზე უნდოდათ აეგოთ არარევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შექმნის ტაქტიკა იმ არა მარტო უპარტიო, არამედ აგრეთვე «უთავო» მოსოციალდემოკრატო ინტელიგენტებს, რომლებიც ისე ეწებებოდნენ სათათბიროს ფრაქციას, როგორც ბუზები თაფლიან თეფშს. მაგრამ თითქოს იფუშება ამ პატივცემული ბერნშტეინელების მეცადინეობა! თითქოს აქაც იწყება სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გამოსწორება. ნუ შევუდგებით წინასწარმეტყველებას, ნუ დავხუჭავთ თვალს იმაზე, თუ კიდევ რა უზარმაზარი შრომაა გასაწევი, რომ სოციალ-დემოკრატიული პარლამენტური მუშაობა რამდენადმე მაინც რიგიანად იქნას დაყენებული ჩვენს პირობებში, — მაგრამ აღვნიშნოთ ის, რომ ცენტრალური ორგანოს პირველ ნომერში არის ფრაქციის პარტიული კრიტიკა და

ცენტრალური კომიტეტის პ ი რ დ ა პ ი რ ი რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ფრაქციის მუშაობის უფრო სწორად წარმართვის შესახებ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვგონია, რომ ცენტრალურ ორგანოში მოცემული კრიტიკა ყველა ხარვეზის ამომწურავი იყოს, ჩვენ ვფიქრობთ, მაგალითად, რომ სოციალ-დემოკრატებს ხმა არ უნდა მიეცათ არც იმისათვის, რომ შემოსული საადგილმამულო გამოსაღები პირველ რიგში ერობებს გადაეცეს, არც იმისათვის, რომ ღარიბთა მიერ იჯარით აღებული საქალაქო მიწა გ ა მ ო ყ ი დ უ ლ ი ე ქ ნ ა ს მცირე ფასად (იხ. გვ. 36, ცენტრალური ორგანოს № 1). მაგრამ ყველა ეს საკითხი, შედარებით რომ ვილაპარაკოთ, მეორეხარისხოვანია. ძირითადი და უმთავრესი ის არის, რომ ფრაქციის გადაქცევა ნამდვილად პარტიულ ორგანიზაციად უკვე სავსებით დაისახა მთელ ჩვენს მუშაობაში და რომ, მაშასადამე, პარტია ამას მიაღწევს, რა შრომაც უნდა დასჭირდეს საამისოდ, რა განსაცდელით, მერყეობით, კერძო კრიზისებით, პირადი შეტაკებებით და სხვა ასეთი რამეებით იყოს ეს გზა ჯერ კიდევ მოფენილი.

ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული, ნამდვილად პარტიული მუშაობის გამოსწორების იმავე ნიშნებს შორის აშკარად გვეცემა თვალში არალეგალური გამომცემლობის გაძლიერების ფაქტი. «ურალი სცემს რვა გაზეთს, — ვკითხულობთ ცენტრალურ ორგანოში, — ყირიმი — ორს, ოდესა — ერთ გაზეთს, ეკატერინოსლავში მალე გამოვა გაზეთი; თვალსაჩინოა პეტერბურგის, კავკასიისა და ნაციონალური ორგანიზაციების საგამომცემლო საქმიანობა». ორი საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული ორგანოს გარდა, რუსეთში, განსაკუთრებულ პოლიციურ დაბრკოლებათა მიუხედავად, გამოშვებულია ცენტრალური ორგანო. მზადდება საოლქო ორგანო «რაბოჩეე ზნამია» ' ცენტრალურ სამრეწველო რაიონში.

ის გზა, რომელსაც მკვიდრად ადგება სოციალ-დემოკრატიული პარტია, ყოველივე ზემონათქვამიდან სავსებით გარ-

კვეულად ისახება. პარტიული ცენტრების მტკიცე არალეგალური ორგანიზაცია, სისტემატური არალეგალური გამომცემლობა და, რაც მთავარია: ადგილობრივი და განსაკუთრებით საქარხნო პარტიული უჯრედები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ თვითონ მოწინავე მუშები, მასასთან უშუალოდ დაკავშირებულნი, — ასეთია საფუძველი, რაზედაც ჩვენ ვაგებდით და ავაგეთ რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის ურყევი მტკიცე ბირთვი. და ეს არალეგალური ბირთვი წინანდელზე გაცილებით უფრო ფართოდ გაბამს თავის კავშირს, გაავრცელებს თავის გავლენას სათათბიროს მეშვეობითაც, პროფესიულ კავშირებშიც, კოოპერატივებშიც და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებშიც.

ერთი შეხედვით, პარტიული მუშაობის ამ სისტემას შესანიშნავი მსგავსება აქვს იმ სისტემასთან, რომელიც დამკვიდრდა გერმანელებში განსაკუთრებული კანონის დროს (1878 — 1890 წ.წ.)[5]. იმ გზას, რომელიც გერმანიის მუშათა მოძრაობამ განვლო ოცდაათი წლის მანძილზე ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ (1848—1878), — რუსეთის მუშათა მოძრაობა გადის სამი წლის მანძილზე (1905 წლის დასასრული — 1908 წ.). მაგრამ ამ გარეგან მსგავსებაში იმალება ღრმა შინაგანი განსხვავება. ოცდაათმა წელმა, რამაც განვლო გერმანიის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, სავსებით შეასრულა ამ რევოლუციის ობიექტურად აუცილებელი ამოცანები. ეს რევოლუცია ამოიწურა 60-იანი წლების დასაწყისის კონსტიტუციურ პარლამენტშიც, დინასტიურ ომებშიც, რომლებმაც გააერთიანეს გერმანელთა მხარეების მეტი ნაწილი, იმპერიის შექმნაშიც საყოველთაო საარჩევნო უფლების დახმარებით. რუსეთში სამმა წელმა, რაც ჯერ კიდევ არ გასულა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი დიდი გამარჯვებისა და პირველი დიდი დამარცხების შემდეგ, არათუ ვერ შეასრულა მისი ამოცანები, არამედ, პირიქით, პირველად შეიტანა ამ ამოცანების შეგ-

ნება პროლეტარიატისა და გლეხობის ფ ა რ თ ო მასებში. ამ ორ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ამოიწურა კონსტიტუციური ილუზიები და შავრაზმული ცარიზმის ლიბერალურ ლაქიათა დემოკრატიულობის რწმენა.

კრიზისი რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იმ ობიექტური ამოცანების საფუძველზე, რომლებიც არ განხორციელებულან, გარდუვალია. წმინდა ეკონომიურს, სპეციალურ ფინანსურს, შინაგან პოლიტიკურსა და გარეშე მოვლენებს, გარემოებებსა და პერიპეტიებს შეუძლიათ იგი მწვავე გახადონ. პროლეტარიატის პარტია დაადგა მტკიცე არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის პირდაპირ გზას, იმ ორგანიზაციის შექმნის გზას, რომელსაც მოეპოვება ლეგალური და ნახევრადლეგალური გავლენის წინანდელზე უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო მრავალნაირი იარაღები; პროლეტარიატის პარტია შესძლებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის უფრო მომზადებული შეხვდეს ამ კრიზისს, ვიდრე 1905 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში შეხვდა.

რუსეთის რევოლუციის «ბუნების» შესახებ

ბუნება თავისას გაიტანსო, — გაიძახის კადეტური «რეჩი»[6] ერთ თავის ამას წინათ დაბეჭდილ მოწინავეში. ჩვენი კონტრრევოლუციონერი ლიბერალების ოფიციალური ორგანოს ამ საგულისხმო აღიარებას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რადგან საქმე რუსეთის რევოლუციის ბ უ ნ ე ბ ა ს ეხება. და შეუძლებელია საკმაოდ დაჟინებით თქვა, თუ რა ძლიერად ადასტურებენ მოვლენები ბოლშევიზმის ძირითად შეხედულებას გ ლ ე ხ უ რ ი ბურჟუაზიული რევოლუციის ამ «ბუნებაზე», რევოლუციისა, რომელსაც შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ მერყევი, მოქანავე, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

პირველი სათათბიროს წინ, 1906 წლის დამდეგს, ბ-ნი სტრუვე წერდა: «გლეხი სათათბიროში კადეტი იქნებაო». ეს მაშინ თ ა მ ა მ ი მტკიცება იყო ლიბერალისა, რომელიც ჯ ე რ კ ი დ ე ვ ფ ი ქ რ ო ბ დ ა გლეხის ხელახლა აღზრდაზე გულუბრყვილო მონარქისტიდან ოპოზიციის მომხრედ. ეს იყო მაშინ, როდესაც ბიუროკრატიის ორგანო, ბ-ნ ვიტეს ლაქიების გაზეთი «რუსსკოე გოსუდარსტვო» ირწმუნებოდა, «გაგრია გვიხსნისო», ე. ი. გლეხთა ფართო წარმომადგენლობა ხელსაყრელი აღმოჩნდება თვითმპყრობელობისთვისაო. ამგვარი აზრები იმ დროს (მორეულ დროს! მთელი ორი წელი გვაშორებს ჩვენ მისგან!) იმდენად გავრცელებული იყო, რომ სტოკჰოლმის ყრილობაზე[7] წარმოთქმულ მენშევიკურ სიტყვებშიაც კი აშკარად გაისმოდა მსგავსი ნოტები.

Prix 25 cent.
Prix 15 centimes
Preis 20 Pfennig
Prix 1 c.

LE PROLETTAIRE, organe russe social-democrate, bolchevik.

ЕЖЕНЕД. ГАЗЕТА. ВЫХОДИТЬ ПО СРЕДАМЪ

№ 27.

ПРОЛЕТАРІЙ

Россійская Соціальдемократическая Рабочая Партія

GENEVE. СРЕДА, (8 апр.) 26 МАР. 1908 г.

Органъ С.-Петербургскаго и Московскаго комитетовъ Р. С.-Д. Р. П.

О „природѣ" русской революціи

[illegible]

Къ дѣятельности и разогнанію Государственной Думы

[illegible]

პირველი გვერდი 1908 წლის 26 მარტის (8 აპრილის) გაზეთ «პროლეტარის» № 27, სადაც მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატიები «რუსეთის რევოლუციის «ბუნების» შესახებ» და «სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ გამართული კამათის გამო».

დაპატარავებულია

მაგრამ უკვე პირველმა სათათბირომ საბოლოოდ გაფანტა მონარქისტების ეს ილუზიები და ლიბერალებისილუზიები. ყველაზე ბნელი, განუვითარებელი, პოლიტიკურად მიამიტი, პარტიულად არაორგანიზებული გლეხი კადეტებზე გაცილებით უფრო მარცხნივ აღმოჩნდა. კადეტების ბრძოლა «ტრუდოვიკულ სულისკვეთებასთან» და ტრუდოვიკულ პოლიტიკასთან[8] შეადგენს ორი პირველი სათათბიროს განმავლობაში ლიბერალური «მოღვაწეობის» ძირითად შინაარსს. და როდესაც, მეორე სათათბიროს გარეკვის შემდეგ, ბ-ნი სტრუვე — მოწინავე კაცი ლიბერალურ კონტრრევოლუციონერებს შორის — თავის მრისხანე აზრებს წამოისროდა ტრუდოვიკების შესახებ და ჯვაროსნულ ლაშქრობას აცხადებდა გლეხობის «მორადიკალო ინტელიგენტი» ბელადების წინააღმდეგ, ამით ის ლიბერალიზმის სრულ კრახს გამოხატავდა.

ლიბერალიზმმა ორი სათათბიროს გამოცდილების შემდეგ სრული მარცხი განიცადა: მან ვერ მოახერხა «გლეხის მოშინაურება». მან ვერ მოახერხა გაეხადა იგი მოკრძალებული, დამთმობი, მემამულურ თვითმპყრობელობასთან კომპრომისის თანახმა. ბურჟუაზიული ადვოკატების, პროფესორებისა და სხვა ინტელიგენტური ნაგავის ლიბერალიზმმა ვერ შესძლო «შეგუებოდა» «ტრუდოვიკულ» ტეტიობას. იგი პოლიტიკურად და ეკონომიურად მის უკან აღმოჩნდა. და რუსეთის რევოლუციის პირველი პერიოდის მთელი ისტორიული მნიშვნელობა შეიძლება შემდეგი სიტყვებით ჩამოვაყალიბოთ: ლიბერალიზმმა უკვე საბოლოოდ დაამტკიცა თავისი კონტრრევოლუციურობა, თავისი უუნარობა — უხელმძღვანელოს გლეხურ რევოლუციას; გლეხობა ჯერ კიდევ სავსებით ვერ მიხვდა, რომ მხოლოდ რევოლუციურ-რესპუბლიკურ გზაზე, სოციალისტური პროლეტარიატის ხელმძღვანელობით შეიძლება ნამდვილი გამარჯვების მოპოვება.

ლიბერალიზმის კრახი მემამულური რეაქციის გამარჯვებას ნიშნავდა. ახლა, ამ რეაქციით დაშინებული, მის მიერ

დამცირებული და თავლაფდასხმული, სტოლიპინური კონსტიტუციური კომედიის ხელშემწყობ ყმად გადაქცეული ლიბერალიზმი წარა-მარა ცრემლსა ღვრის წარსულზე. რა თქმა უნდა, მძიმე, აუტანლად მძიმე იყო ტრუდოვიკულ სულისკვეთებასთან ბრძოლა. მაგრამ... მაინც... ხომ არ მოვიგებთო მეორედ, თუ კვლავ გაძლიერდება ეს სულისკვეთება? ხომ არ გავითამაშებთ ჩვენ მაშინ უფრო მოხერხებულად მაკლერების როლს? განა ჩვენი მხცოვანი, ჩვენი განთქმული პ. სტრუვე არ წერდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, რომ შუათანა პარტიები ყოველთვის მოიგებენ უკიდურეს პარტიათა შორის ბრძოლის გამწვავებითაო?

და აი ტრუდოვიკებთან ბრძოლაში ღონემიხდილი ლიბერალები იყენებენ რეაქციის წინააღმდეგ ტრუდოვიკული სულისკვეთების აღორძინებას! «მემარჯვენე გლეხებისა და მღვდლების საადგილმამულო პროექტები, რომლებიც ეს-ეს არის შეიტანეს სახელმწიფო სათათბიროში, — წერს «რეჩი» იმავე მოწინავეში, — ააშკარავებენ ძველ ტრუდოვიკულ სულისკვეთებას. სწორედ ტრუდოვიკულს, და არა კადეტურს». «ერთი პროექტი ეკუთვნის გლეხებს და ხელმოწერილია სახელმწიფო სათათბიროს 41 წევრის მიერ. მეორე ეკუთვნის მღვდლებს. პირველი მეორეზე უფრო რადიკალურია, მაგრამ მეორეც ზოგიერთი მხრივ (ყური უგდეთ კადეტურ «რეჩს»!) შორს იტოვებს აგრარული რეფორმის კადეტურ პროექტს». ლიბერალები იძულებული არიან აღიარონ, რომ ამომრჩევლის ყოველგვარი გაცხრილვის შემდეგ, რაც დაწყებულ და განხორციელებულ იქნა 3 ივნისის განთქმული კანონის მიხედვით, ეს ფაქტი მოწმობს (როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ უფრო ადრე: იხ. «პროლეტარის» 22-ე ნომერი) არა შემთხვევითობას, არამედ რუსეთის რევოლუციის ბ უ ნ ე ბ ა ს*.

გლეხებს აქვთ, — წერს «რ ე ჩ ი», — მიწის ფონდი არა გადამცემი ინსტანციის აზრით, «არამედ მუდმივი დაწესე-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 572—577. რ ე დ.

ბულების აზრით». ამას რომ აღიარებენ, კადეტები წინდახედულად სდუმან იმაზე, თუ თვითონ ისინი, რათა რეაქციას შესწყობოდნენ და მისი გული მოეგოთ, როგორ ამოაგდებდნენ ხოლმე თავისი პროგრამიდან მიწის ფონდს (ე. ი. ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად, მიწის ნაციონალიზაციის აღიარებას) პირველი სათათბიროდან მეორისაკენ გადასვლის დროს, როგორ დგებოდნენ გურკოს [9] თვალსაზრისზე — მიწის სრული კერძო საკუთრების თვალსაზრისზე.

გლეხებში, — წერს «რ ე ჩ ი», — მიწა შეიძინება სამართლიანი შეფასებით (მაშასადამე, კადეტურად), მაგრამ — დამახასიათებელი «მაგრამ»! — შეფასებას ახდენენ ადგილობრივი საადგილმამულო დაწესებულებანი, «არჩეულნი ამა თუ იმ ადგილის მთელი მოსახლეობის მიერ».

და ბატონი კადეტები ისევ იძულებული არიან ზოგ რამეზე გაჩუმდნენ. იძულებული არიან გაჩუმდნენ, რომ ეს არჩევა მთელი მოსახლეობის მიერ აშკარად მოგვაგონებს როგორც პირველ, ისე მეორე სათათბიროში შეტანილ ცნობილ «ტრუდოვიკულ» პროექტს, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების პროექტს. იძულებული არიან გაჩუმდნენ იმაზე, თუ რა საზიზღარ ბრძოლას აწარმოებდნენ ამ, დემოკრატიული თვალსაზრისით ერთადერთ შესაძლებელ, პროექტთან ორივე პირველი სათათბიროს ლიბერალები, თუ რა საცოდავად აქნევდნენ კუდს და იმანჭებოდნენ, რათა მთლიანად ა რ ე თ ქ ვ ა თ სათათბიროს ტრიბუნაზე ის, რაც მათ თქვეს თავის პრესაში, «რ ე ჩ ი ს» მოწინავეში, რომელიც შემდეგ გადაბეჭდა მილიუკოვმა («ერთი წლის ბრძოლა»), რაც თქვეს კუტლერის პროექტში და ჩუპროვის სტატიაში (კადეტური «აგრარული საკითხი», ტომი მეორე). სახელდობრ: მათ აღიარეს თავის პრესაში, რომ მათი განზრახვით ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტები უნდა შესდგებოდნენ თანაბრად გლეხებისა და მემამულეების წარმომადგენლებისაგან და მ თ ა ვ რ ო ბ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ-

ლ ი ს ა გ ა ნ მესამე პირის სახით. სხვანაირად რომ ითქვას: კადეტები გლეხს სავსებით ხელში უგდებდნენ მემამულეს, რაკი ამ უკანასკნელისათვის ყველგან უზრუნველყოფდნენ უმრავლესობას (მემამულეები პლუს მემამულური თვითმპყრობელობის წარმომადგენელი ყოველთვის უმრავლესობას შეადგენენ გლეხთა წინააღმდეგ).

ჩვენ სავსებით გვესმის, თუ რატომ ს ჭ ი რ დ ე ბ ა თ ამაზე გაჩუმება პარლამენტური ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გაიძვერებს. მაგრამ ამაოდ ფიქრობენ ისინი, რომ მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ დაივიწყონ რუსეთის რევოლუციის გზის ეს უდიდესი ნიშანსვეტები.

მღვდლებიც კი, ეს ულტრარეაქციონერები, შავრაზმელი ბნელეთისმოციქულნი, რომლებსაც მთავრობა საგანგებოდ ინახავს, კადეტებზე უფრო შორს წავიდნენ თავის აგრარულ პროექტში. ისინიც კი ალაპარაკდნენ მიწის «ხელოვნურად გადიდებული ფასების» დაკლებაზე, მიწის პროგრესიულ გადასახადზე და იმ ნაკვეთების განთავისუფლებაზე ყოველგვარი გადასახადისაგან, რომლებიც მოხმარების ნორმას არ აღემატებიან. რატომ არის, რომ სოფლის მღვდელი, კაზიონური მართლმადიდებლობის ეს ურიადნიკი, უ ფ რ ო გლეხის მხარეზე აღმოჩნდა, ვიდრე ბურჟუაზიული ლიბერალი? იმიტომ რომ სოფლის მღვდელი გლეხის გვერდით ცხოვრობს, მასზეა დამოკიდებული ათასნაირ შემთხვევაში, ზოგჯერ კი — საეკლესიო მიწებზე ხუცების წვრილი გლეხური მიწათმოქმედების გამო — გლეხის მდგომარეობაშია. სოფლის მღვდელი ამ ჭეშმარიტად ზუბატოვური სათათბიროდან სოფელში უნდა დაბრუნდეს, ხოლო სოფელში, რაც უნდა სწმინდონ იგი დამსჯელმა ექსპედიციებმა და სტოლიპინის ქრონიკულმა სამხედრო ბანაკებმა, ვ ე რ დ ა ბ რ უ ნ დ ე ბ ა ის, ვინც მემამულეებს მიემხრო. ამრიგად გამოდის, რომ უაღრესად რეაქციონერი ხუცესისათვის უფრო ძნელია ხელში ჩაუგდოს გლეხი მემამულეს, ვიდრე განათლებული ადვოკატისა და პროფესორისათვის.

დიახ, დიახ! ბუნება თავისას გაიტანს. ბუნება დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა გლეხურ რუსეთში ისეთია, რომ მხოლოდ გლეხთა აჯანყების გამარჯვებას, რაც წარმოუდგენელია პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის გარეშე, შეუძლია გამარჯვებამდე მიიყვანოს ეს რევოლუცია წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის იმანენტური კონტრრევოლუციურობისა.

ლიბერალებს ისღა დარჩენიათ, რომ ან არ იწამონ ტრუდოვიკული სულისკვეთების ძალა — ეს შეუძლებელია, როცა ფაქტები თვალწინაა, — ან ახალი პოლიტიკური გაიძვერობის იმედი იქონიონ. აი ამ გაიძვერობის პროგრამა («რ ე ჩ ი ს» დასკვნითს სიტყვებში: «ამგვარი რეფორმის (სახელდობრ: აგრარული რეფორმისა «უაღრესად ფართო დემოკრატიულ ბაზისზე») მხოლოდ სერიოზულ პრაქტიკულ დაყენებას შეუძლია განკურნოს მოსახლეობა უტოპიური ცდებისაგან». ესე იგი ასე უნდა წაიკითხო: თქვენო აღმატებულებავ, ბ-ნო სტოლიპინო, მთელი თქვენი სახრჩობელებითა და სამი ივნისის კანონებითაც კი თქვენ ვერ «განკურნეთ» მოსახლეობა «უტოპიური ტრუდოვიკული სულისკვეთებისაგან». ნება მოგვეცით ერთხელ კიდევ ვცადოთ: ჩვენ აღვუთქვამთ ხალხს უაღრესად ფართო დემოკრატიულ რეფორმას, ნამდვილად კი «განვკურნავთ» მას მემამულური გამოსყიდვისა და ადგილობრივ საადგილმამულო დაწესებულებებში მემამულეთა სიჭარბის საშუალებითო!

ჩვენ, ჩვენი მხრივ, მთელი გულის სიღრმიდან მოვახსენებთ მადლობას ბატონებს — მილიუკოვს, სტრუვეს და კომპანიას იმ გულმოდგინებისათვის, რომლითაც ისინი «კურნავენ» მოსახლეობას მშვიდობიანი კონსტიტუციური გზების «უტოპიური» რწმენისაგან. კურნავენ და ალბათ, განკურნავენ.

«პროლეტარი» № 27,
1908 წ. 26 მარტი (8 აპრილი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მარქსიზმი და რევიზიონიზმი

დაწერილია არა უგვიანეს
1908 წ. 3 (16) აპრილისა

დაიბეჭდა 1908 წელს კრებულში
«კარლ მარქსი (1818 — 1883)»
ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

არის ასეთი ცნობილი თქმა: გეომეტრიული აქსიომები ადამიანთა ინტერესებს რომ ლახავდნენ, მათ უეჭველად გააბათილებდნენო. საბუნებისმეტყველო-ისტორიული თეორიები, რომლებიც ლახავდნენ თეოლოგიის ძველ ცრურწმენებს, იწვევდნენ და დღემდე იწვევენ უაღრესად გააფთრებულ ბრძოლას. გასაკვირველი არ არის, რომ მარქსის მოძღვრება, რომელიც პირდაპირ ემსახურება თანამედროვე საზოგადოების მოწინავე კლასის განათლებასა და ორგანიზაციას, აღნიშნავს ამ კლასის ამოცანებს და ამტკიცებს, რომ თანამედროვე წყობილება აუცილებლად — ეკონომიური განვითარების ძალით — შეიცვლება ახალი წესწყობილებითაო, გასაკვირველი არ არის, რომ ამ მოძღვრებას ბრძოლით უნდა გადაედგა თვითეული ნაბიჯი ცხოვრების გზაზე.

ზედმეტია ლაპარაკი ბურჟუაზიულ მეცნიერებასა და ფილოსოფიაზე, რომლებსაც შაბლონურად ასწავლიან შაბლონური პროფესორები მქონებელი კლასების მოზარდი თაობის გასასულელებლად და მის «გასაწაფავად» გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ. ამ მეცნიერებას გაგონებაც კი არ უნდა მარქსიზმისა, რომელსაც იგი გაბათილებულად და მოსპობილად აცხადებს; ახალგაზრდა მეცნიერნიც, რომელნიც კარიერას იქმნიან სოციალიზმის გაბათილებით, დაჩაჩანაკებული მოხუცნიც, რომელნიც ინახავენ ყოველგვარი დახავსებული «სისტემების» ანდერძს, თანაბარი გულმოდგინებით

ესხმიან თავს მარქსს. მარქსიზმის ზრდა, მისი იდეების გავრცელება და განმტკიცება მუშათა კლასში, გარდუვალად ახშირებენ და ამწვავებენ ამ ბურჟუაზიულ იერიშებს მარქსიზმის წინააღმდეგ, რომელიც ოფიციალური მეცნიერების მიერ მისი ყოველი «მოსპობის» შემდეგ უფრო მტკიცე, უფრო გამოწრთობილი და უფრო სიცოცხლისუნარიანი ხდება.

მაგრამ მუშათა კლასის ბრძოლასთან დაკავშირებულ მოძღვრებათა შორისაც, რომლებიც უპირატესად პროლეტარიატშია გავრცელებული, მარქსიზმს ერთბაშად როდი განუმტკიცებია თავისი მდგომარეობა. თავისი არსებობის პირველ ნახევარსაუკუნეში (XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან) მარქსიზმი ებრძოდა თეორიებს, რომლებიც მას ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგებოდნენ. 40-იანი წლების პირველ ნახევარში მარქსი და ენგელსი გაუსწორდნენ რადიკალურ ახალ—ჰეგელიანებს, რომლებიც ფილოსოფიური იდეალიზმის თვალსაზრისზე იდგნენ. 40-იანი წლების დამლევს იწყება ბრძოლა ეკონომიურ მოძღვრებათა დარგში — პრუდონიზმის წინააღმდეგ. ორმოცდაათიანი წლები ამთავრებენ ამ ბრძოლას: კრიტიკა იმ პარტიათა და მოძღვრებათა, რომლებმაც თავი იჩინეს მღელვარე 1848 წელს. 60-იან წლებში ბრძოლა გადააქვთ ზოგადი თეორიის დარგიდან უშუალოდ მუშათა მოძრაობის უფრო მახლობელ დარგში: ბაკუნიზმის განდევნა ინტერნაციონალიდან. 70-იანი წლების დასაწყისს გერმანიაში მოკლე ხნით წინ წამოიწია პრუდონისტმა მიულბერგერმა, — 70-იანი წლების დასასრულს — პოზიტივისტმა დიურინგმა. მაგრამ როგორც ერთის, ისე მეორის გავლენა პროლეტარიატზე უკვე სავსებით უმნიშვნელოა. მარქსიზმი უკვე უეჭველად იმარჯვებს მუშათა მოძრაობის ყველა დანარჩენ იდეოლოგიაზე.

გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის ეს გამარჯვება ძირითადად დამთავრებული იყო. რომანულ ქვეყნებშიც კი, სადაც ყველაზე მეტ ხანს სძლებდა პრუდონიზმის ტრადიციები, მუშათა პარტიებმა თავიანთი პროგრამები და ტაქტიკა ფაქტიურად მარქსისტულ საფუძველზე ააგეს. მუშათა მოძ-

რაობის განახლებული საერთაშორისო ორგანიზაცია — პერიოდული ინტერნაციონალური ყრილობების სახით — ყოველივე არსებითში ერთბაშად და თითქმის უბრძოლველად დადგა მარქსიზმის ნიადაგზე. მაგრამ როცა მარქსიზმმა განდევნა ყველა მისდამი მტრულად განწყობილი რაოდენადმე მაინც მთლიანი მოძღვრება, — იმ ტენდენციებმა, რომლებიც ამ მოძღვრებებში იყო გამოხატული, იწყეს სხვა გზების ძებნა. შეიცვალა ბრძოლის ფორმები და საბაბნი, მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. და მარქსიზმის არსებობის მეორე ნახევარსაუკუნე დაიწყო (გასული საუკუნის 90-იანი წლები) მარქსიზმის შიგნით მარქსიზმისადმი მტრული მიმდინარეობის ბრძოლით.

ყოფილმა ორთოდოქსალურმა მარქსისტმა ბერნშტეინმა სახელი მისცა ამ მიმდინარეობას, — იგი გამოვიდა ყველაზე მეტი ხმაურით და მარქსის შესწორებათა, მარქსის გადასინჯვის, რევიზიონიზმის ყველაზე მთლიანი გამოხატულებით. რუსეთშიც კი, სადაც არამარქსისტული სოციალიზმი,— ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობისა და ბატონყმობის ნაშთებით დაბეჩავებული გლეხური მოსახლეობის სიჭარბის გამო, — ბუნებრივად ყველაზე მეტ ხანს სძლებდა, რუსეთშიც კი ჩვენს თვალწინ იგი აშკარად იქცევა რევიზიონიზმად. აგრარულ საკითხშიც (მთელი მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამა), პროგრამისა და ტაქტიკის ზოგად საკითხებშიც ჩვენი სოციალ-ნაროდნიკები სულ უფრო და უფრო სცვლიან მარქსის «შესწორებებით» ძველი, თავისებურად მთლიანი და მარქსიზმისადმი ძირეულად მტრული სისტემის მომაკვდავ, დრომოჭმულ ნაშთებს.

მარქსამდელი სოციალიზმი დამარცხებულია. იგი განაგრძობს ბრძოლას უკვე არა თავის დამოუკიდებელ ნიადაგზე, არამედ მარქსიზმის საერთო ნიადაგზე, როგორც რევიზიონიზმი. მაშ ვნახოთ, როგორია რევიზიონიზმის იდეური შინაარსი.

ფილოსოფიის დარგში რევიზიონიზმი კუდში მისჩანჩალებდა ბურჟუაზიულ პროფესორულ «მეცნიერებას». პრო-

ფესორები მიდიოდნენ «უკან კანტისაკენ», — და რევიზიონიზმიც მისჩანჩალებდა ნეოკანტელებს; პროფესორები იმეორებდნენ ათასჯერ ნათქვამ ხუცურ უხამსობას ფილოსოფიური მატერიალიზმის წინააღმდეგ, — და რევიზიონისტები მოწყალე ღიმილით ლუღლუღებდნენ (სიტყვასიტყვით უკანასკნელი ჰანდბუხის * მიხედვით), რომ მატერიალიზმი დიდი ხანია «გაბათილებულია»; პროფესორები აბუჩად იგდებდნენ ჰეგელს, როგორც «მკვდარ ძაღლს» [10], და, თვითონ ქადაგებდნენ რა იდეალიზმს, მაგრამ ათასჯერ უფრო წვრილმანსა და უგვანოს, ვიდრე ჰეგელის იდეალიზმია, ათვალწუნებით მხრებს იჩეჩდნენ დიალექტიკის გამო, — რევიზიონისტებიც მათ მიჰყვებოდნენ და ეფლობოდნენ მეცნიერების ფილოსოფიური გაუხამსების ჭაობში და ცვლიდნენ «მზაკვრულ» (და რევოლუციურ) დიალექტიკას «უბრალო» (და მშვიდი) «ევოლუციით»; პროფესორები ანაზღაურებდნენ თავის სახაზინო ჯამაგირს იმით, რომ თავის იდეალისტურსაც და «კრიტიკულ» სისტემებსაც უფარდებდნენ გაბატონებულ შუასაუკუნებრივ «ფილოსოფიას» (ე. ი. თეოლოგიას), — რევიზიონისტებიც მიჩოჩავდნენ მათკენ და ცდილობდნენ გაეხადათ რელიგია «კერძო საქმედ» არა თანამედროვე სახელმწიფოს მიმართ, არამედ მოწინავე კლასის პარტიის მიმართ.

თუ რა ნამდვილი კლასობრივი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსის ამგვარ «შესწორებებს», ამაზე ზედმეტია ლაპარაკი — საქმე თავისთავად ნათელია. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ერთადერთი მარქსისტი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, ვინც მოგვცა თანამიმდევარი დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით იმ წარმოუდგენელ უხამსობათა კრიტიკა, რომლებიც აქ რევიზიონისტებმა მოჩმახეს, იყო პლეხანოვი. ეს მით უფრო საჭიროა გადაჭრით ითქვას, რომ ამჟამად ახდენენ ღრმად შემცდარ ცდებს — გაათრიონ

* — სახელმძღვანელოს. რ ე დ.

ძველი და რეაქციული ფილოსოფიური ნაგავი პლეხანოვის ტაქტიკური ოპორტუნიზმის კრიტიკის დროშით *.

გადავდივართ რა პოლიტიკურ ეკონომიაზე, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დარგში რევიზიონისტების «შესწორებანი» გაცილებით უფრო მრავალმხრივი და ვრცელი იყო; ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ საზოგადოებაზე «სამეურნეო განვითარების ახალი მონაცემებით». ამბობდნენ, რომ კონცენტრაცია და მსხვილი წარმოების მიერ წვრილის გამოდევნა სულაც არ ხდება სოფლის მეურნეობის დარგში, ხოლო ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში იგი ძალიან ნელა ხდება. ამბობდნენ, რომ კრიზისები ახლა უფრო იშვიათი, უფრო სუსტი გახდა, ალბათ, კარტელები და ტრესტები კაპიტალს შესაძლებლობას მისცემენ სულაც მოსპოს კრიზისები. ამბობდნენ, რომ «თეორია კრახისა», რომლისკენაც მიდის კაპიტალიზმი, უსაფუძვლოა კლასობრივ წინააღმდეგობათა მოდუნებისა და შერბილების ტენდენციის გამო. ბოლოს, ამბობდნენ, ურიგო არ იქნება მარქსის ღირებულების თეორიაც ბემ-ბავერკის [11] მიხედვით შესწორდესო.

რევიზიონისტებთან ბრძოლამ ამ საკითხებზე ისევე ნაყოფიერად გამოაცოცხლა საერთაშორისო სოციალიზმის თეორიული აზრი, როგორც მანამდე ენგელსის პოლემიკამ დიურინგთან ოცი წლის წინათ. რევიზიონისტების საბუთებს ფაქტებითა და ციფრებით აღჭურვილნი არჩევდნენ. დამტკიცდა, რომ რევიზიონისტები სისტემატურად აფერადებენ თანამედროვე წვრილ წარმოებას. უდავო მონაცემები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მსხვილ წ ა რ მ ო ე ბ ა ს წვრილ

* იხ. ბოგდანოვის, ბაზაროვის და სხვ. წიგნი «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები». აქ უადგილოა ამ წიგნის გარჩევა და ჯერჯერობით ღონდა დავჯერდე განცხადებას, რომ უახლოეს მომავალში ცხადვყოფ მთელ რიგ სტატიებში ან ცალკე ბროშურაში, რომ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე, რაც ნათქვამია ტექსტში ნეოკანტელი რევიზიონისტების გამო, არსებითად ეხება ამ «ახალ» ნეოიუმელ და ნეობერკლელ რევიზიონისტებსაც (იხ. «ახზულებანი», გამოცემა მე-4, ტომი 14. რ ე დ.).

წარმოებასთან შედარებით ტექნიკური და კომერციული უპირატესობა აქვს არა მარტო მრეწველობაში, არამედ მიწათმოქმედებაშიც. მაგრამ მიწათმოქმედებაში გაცილებით უფრო სუსტად არის განვითარებული სასაქონლო წარმოება, და თანამედროვე სტატისტიკოსებსა და ეკონომისტებს ჩვეულებრივ ხეირიანად არ შეუძლიათ გამოჰყონ მიწათმოქმედების ის სპეციალური დარგები (ზოგჯერ ოპერაციებიც კი), რომლებიც გამოხატავენ მიწათმოქმედების პროგრესიულ ჩაბმას მსოფლიო მეურნეობის ა ღ ე ბ-მ ი ც ე მ ა შ ი. ნატურალური მეურნეობის ნანგრევებზე წვრილი წარმოება სძლებს კვების უსასრულო გაუარესებით, ქრონიკული შიმშილობით, სამუშაო დღის გახანგრძლივებით, პირუტყვის ხარისხისა და მისი მოვლის გაუარესებით, ერთი სიტყვით, იმავე საშუალებებით, რომლებითაც სძლებდა შინაწარმოებაც კაპიტალისტური მანუფაქტურის წინააღმდეგ. მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი გარდუვალად და ულმობლად არყევს წვრილი წარმოების საფუძვლებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, და სოციალისტური ეკონომიის ამოცანაა გამოიკვლიოს ეს პროცესი ყველა მისი, ხშირად რთული და დახლართული, ფორმით, დაუმტკიცოს წვრილ მწარმოებელს, რომ შეუძლებელია მისი გაძლება კაპიტალიზმის დროს, რომ გლეხურ მეურნეობას გამოსავალი არა აქვს კაპიტალიზმის დროს, რომ აუცილებელია გლეხის გადასვლა პროლეტარის თვალსაზრისზე. რევიზიონისტები ამ საკითხში მეცნიერული თვალსაზრისით სცოდავდნენ ცალმხრივად ამოგლეჯილი ფაქტების ზერელე განზოგადებით, კაპიტალიზმის მთელ წყობასთან მათ დაუკავშირებლად, — პოლიტიკურად კი ისინი სცოდავდნენ იმით, რომ გარდუვალად, ნებსით თუ უნებლიედ, მოუხმობდნენ გლეხს, ან უბიძგებდნენ გლეხს მეპატრონის თვალსაზრისისაკენ (ე. ი. ბურჟუაზიის თვალსაზრისისაკენ) ნაცვლად იმისა, რომ რევოლუციური პროლეტარის თვალსაზრისისაკენ წაებიძგებინათ მისთვის.

კრიზისების თეორიისა და კრახის თეორიის მხრივ რევიზიონიზმის საქმე კიდევ უფრო ცუდად იყო. მხოლოდ სულ მოკლე ხანს და მხოლოდ სავსებით ბეც ადამიანებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ მარქსის მოძღვრების საფუძვლები გადაკეთდებოდა სამრეწველო აღმავლობისა და აყვავების რამდენიმე წლის გავლენით. კრიზისებს რომ თავისი დრო არ მოუჭამიათ, ეს რევიზიონისტებს ძალიან მალე დაანახვა სინამდვილემ: აყვავების შემდეგ კრიზისი დაიწყო. შეიცვალა ცალკეული კრიზისების ფორმები, თანამიმდევრობა, სურათი, მაგრამ კრიზისები დარჩა კაპიტალისტური წყობილების გარდუვალ შემადგენელ ნაწილად. კარტელები და ტრესტები, აერთიანებდნენ რა წარმოებას, ამავე დროს ყველას თვალწინ აძლიერებდნენ წარმოების ანარქიას, პროლეტარიატის გაჭირვებასა და კაპიტალის უღელს და ამრიგად ჯერ კიდევ უმაგალითო ზომით ამწვავებდნენ კლასობრივ წინააღმდეგობებს. კაპიტალიზმი რომ კრახისკენ მიდის — ცალკეული პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისების აზრითაც და მთელი კაპიტალისტური წყობილების სრული დამსხვრევის აზრითაც, — ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ და განსაკუთრებით ფართო მასშტაბით ცხადყვეს სწორედ უახლესმა უზარმაზარმა ტრესტებმა. ამასწინანდელმა ფინანსურმა კრიზისმა ამერიკაში, უმუშევრობის საშინლად გამწვავებამ მთელ ევროპაში, აღარაფერი რომ არა ვთქვათ მოახლოებულ სამრეწველო კრიზისზე, რომელსაც მრავალი ნიშანი მოწმობს, — ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ რევიზიონისტების ამასწინანდელი «თეორიები» დავიწყებულია ყველას მიერ, მგონია, თვით ბევრი მათგანის მიერაც. ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ ის გაკვეთილები, რომლებიც ამ ინტელიგენტურმა მერყეობამ მისცა მუშათა კლასს.

ღირებულების თეორიის შესახებ უნდა ითქვას მხოლოდ, რომ, ბემ-ბაველკის მიმართ მეტად ბუნდოვანი გადაკრული სიტყვებისა და ოხვრის გარდა, რევიზიონისტებს აქ სრულიად

არაფერი არ მოუციათ და ამიტომ არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ მეცნიერული აზრის განვითარებაში.

პოლიტიკის დარგში რევიზიონიზმი მართლაც შეეცადა გადაესინჯა მარქსიზმის საფუძველი, სახელდობრ: კლასობრივი ბრძოლის მოძღვრება. პოლიტიკური თავისუფლება, დემოკრატია, საყოველთაო საარჩევნო უფლება სპობენ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგს, — გვეუბნებოდნენ ჩვენ, — და არასწორს ხდიან «კომუნისტური მანიფესტის» ძველ დებულებას: მუშებს სამშობლო არა აქვთო. დემოკრატიაში, რაკი «უმრავლესობის ნებისყოფა» ბატონობს, არც ის შეიძლება, რომ სახელმწიფოს უყურებდე როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანოს, არც ის, რომ უარი თქვა პროგრესულ, სოციალ-რეფორმატორულ ბურჟუაზიასთან კავშირზე რეაქციონერების წინააღმდეგო.

უდავოა, რომ რევიზიონისტების ეს შემოდავება გამოიხატებოდა შეხედულებათა, სახელდობრ, დიდი ხნიდან ცნობილ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებათა საკმაოდ მწყობრი სისტემით. ლიბერალები ყოველთვის ამბობდნენ, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი სპობს კლასებს და კლასობრივ დაყოფას, რაკი ხმის უფლება, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება განურჩევლად ყველა მოქალაქეს აქვსო. ევროპის XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელი ისტორია, რუსეთის XX საუკუნის დასაწყისის რევოლუციის მთელი ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა უაზროა ამგვარი შეხედულებანი. ეკონომიური განსხვავებანი კი არ სუსტდებიან, არამედ ძლიერდებიან და მწვავდებიან «დემოკრატიული» კაპიტალიზმის თავისუფლების დროს. პარლამენტარიზმი კი არა სპობს, არამედ აშიშვლებს ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკების, როგორც კლასობრივი ჩაგვრის ორგანოს, არსს. პარლამენტარიზმი, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის გაცილებით უფრო ფართო მასების გათვითცნობიერებას და ორგანიზებას, ვიდრე ის მასები იყვნენ, რომლებიც წინათ აქტიურად მონაწილეობდნენ

პოლიტიკურ მოვლენებში, ამით ამზადებს არა კრიზისებისა და პოლიტიკური რევოლუციების თავიდან აცილებას, არამედ სამოქალაქო ომის უაღრესად გამწვავებას ამ რევოლუციების დროს. პარიზის 1871 წლის გაზაფხულისა და რუსეთის 1905 წლის ზამთრის ამბებმა ცხადზე უცხადესად გვიჩვენეს, თუ როგორ გარდუვალად ხდება ასეთი გამწვავება. საფრანგეთის ბურჟუაზია ერთი წამითაც არ შეყოყმანებულა და პროლეტარული მოძრაობის ჩასახშობად შეუთანხმდა საერთო-ნაციონალურ მტერს, უცხოეთის ჯარს, რომელმაც მისი სამშობლო გააჩანაგა. ვისაც არ ესმის პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიზმის გარდუვალი შინაგანი დიალექტიკა, რომელიც იწვევს იმას, რომ დავა წინანდელზე უფრო მკვეთრად გადაწყდება მასობრივი ძალადობით, — ის ვერასოდეს ვერ შესძლებს ამ პარლამენტარიზმის ნიადაგზე გასწიოს პრინციპულად გამართული პროპაგანდა და აგიტაცია, რომელიც მართლაც მოამზადებდა მუშათა მასებს ასეთ «დავაში» ძლევამოსილი მონაწილეობისათვის. დასავლეთში სოციალ-რეფორმატორულ ლიბერალიზმთან, რუსეთის რევოლუციაში ლიბერალურ რეფორმიზმთან (კადეტები) კავშირის, შეთანხმების, ბლოკის გამოცდილებამ დამარწმუნებლად გვიჩვენა, რომ ეს შეთანხმებანი მხოლოდ ადუნებენ მასების შეგნებას, კი არ აძლიერებენ, არამედ ასუსტებენ მათი ბრძოლის ნამდვილ მნიშვნელობას, აკავშირებენ მებრძოლებს ისეთ ელემენტებთან, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შესწევთ ბრძოლის უნარი, რომელნიც ყველაზე მეტად მერყევნი და გამცემნი არიან. ფრანგულმა მილიერანიზმმა — რევიზიონისტული პოლიტიკური ტაქტიკის ფართო, ნამდვილად ნაციონალური მასშტაბით გამოყენების ყველაზე დიდმა გამოცდილებამ, — მოგვცა რევიზიონიზმის ისეთი პრაქტიკული შეფასება, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი.

რევიზიონიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ტენდენციების ბუნებრივი დამატება იყო მისი დამოკიდებულება

სოციალისტური მოძრაობის საბოლოო მიზნისადმი. «საბოლოო მიზანი არაფერია, მოძრაობა კი ყველაფერია», — ბერნშტეინის ეს მოსწრებული თქმა მრავალ გრძელ მსჯელობაზე უკეთ გამოხატავს რევიზიონიზმის არსს. შემთხვევიდან შემთხვევამდე განსაზღვრო შენი მოქმედება, შეეგუო დღის მოვლენებს, პოლიტიკური წვრილმანების ცვლილებებს, დაივიწყო პროლეტარიატის ძირეული ინტერესები და მთელი კაპიტალისტური წყობილების, მთელი კაპიტალისტური ევოლუციის ძირითადი ნიშნები, გასწირო ეს ძირეული ინტერესები ნამდვილი თუ ნავარაუდევი წუთიერი სარფისათვის, — ასეთია რევიზიონისტული პოლიტიკა. და თვითონ ამ პოლიტიკის არსებიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ მას შეუძლია უსასრულოდ სხვადასხვანაირი ფორმები მიიღოს და რომ ყოველი რაოდენადმე «ახალი» საკითხი, მოვლენათა რაოდენადმე მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი შებრუნება, თუნდაც ეს შებრუნება მხოლოდ მინიატურულად და სულ მცირე ხნით სცვლიდეს განვითარების ძირითად ხაზს, — ყოველთვის გარდუვალად გამოიწვევს რევიზიონიზმის ამა თუ იმ ნაირსახეობას.

რევიზიონიზმის გარდუვალობას იწვევს მისი კლასობრივი ფესვები თანამედროვე საზოგადოებაში. რევიზიონიზმი ინტერნაციონალური მოვლენაა. ყოველი ცოტათი მაინც მცოდნე და მოაზროვნე სოციალისტისათვის ოდნავადაც საეჭვო არ არის, რომ დამოკიდებულება ორთოდოქსებისა და ბერნშტეინელებისა გერმანიაში, გედისტებისა და ჟორესისტებისა (ახლა განსაკუთრებით ბრუსისტებისა) საფრანგეთში, სოციალ-დემოკრატიული ფედერაციისა და დამოუკიდებელი მუშათა პარტიისა ინგლისში, ბრუკერისა და ვანდერველდესი ბელგიაში, ინტეგრალისტებისა და რეფორმისტებისა იტალიაში, ბოლშევიკებისა და მენშევიკებისა რუსეთში ყველგან არსებითად ერთგვაროვანია, მიუხედავად ყველა ამ ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობის ნაციონალური პირობებისა და ისტორიული მომენტების უდიდესი სხვადასხვაობისა. «გაყოფა» თანამედროვე საერთაშორისო

სოციალიზმის შიგნით, არსებითად, უკვე ახლა ხდება ერთი ხაზით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ამით ადასტურებს წინგადადგმულ ვეებერთელა ნაბიჯს იმასთან შედარებით, რაც იყო 30—40 წლის წინათ, როცა სხვადასხვა ქვეყანაში იბრძოდნენ არა ერთგვაროვანი ტენდენციები ერთიანი საერთაშორისო სოციალიზმის შიგნით. და ის «რევიზიონიზმი მარცხნიდან», რომელიც დაისახა ახლა რომანულ ქვეყნებში, როგორც «რევოლუციური სინდიკალიზმი»[12], აგრეთვე ეგუება მარქსიზმს, «ასწორებს» მას: ლაბრიოლა იტალიაში, ლაგარდელი საფრანგეთში ძალიან ხშირად ემყარებიან არასწორად გაგებულ მარქსს და მიმართავენ სწორად გაგებულ მარქსს.

ჩვენ აქ არ შეგვიძლია შევჩერდეთ ამ რევიზიონიზმის იდეური შინაარსის გარჩევაზე, რომელიც ჯერ კიდევ სრულიადაც არ განვითარებულა ისე, როგორც ოპორტუნისტული რევიზიონიზმი, არ გაინტერნაციონალიზებულა, არ გადაუტანია არც ერთი დიდი პრაქტიკული შეტაკება თუნდაც ერთი ქვეყნის სოციალისტურ პარტიასთან. ამიტომ ჩვენ დავჯერდებით მხოლოდ იმ «რევიზიონიზმს მარჯვნიდან», რომელიც ზემოთ დავახასიათეთ.

რაში მდგომარეობს მისი გარდუვალობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში? რატომ არის იგი უფრო ღრმა, ვიდრე კაპიტალიზმის ნაციონალურ თავისებურებათა და მისი განვითარების დონეთა განსხვავება? იმიტომ, რომ ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში პროლეტარიატის გვერდით ყოველთვის დგანან წვრილი ბურჟუაზიის, წვრილი მეპატრონეების ფართო ფენები. კაპიტალიზმი წარმოიშვა და მუდამ წარმოიშობა წვრილი წარმოებიდან. მთელ რიგ «საშუალო ფენებს» კაპიტალიზმი გარდუვალად ახლად ქმნის (ფაბრიკის დანამატი, შინამუშაობა, წვრილი სახელოსნოები, რომლებიც გაფანტულია მთელ ქვეყანაში მსხვილის, მაგალითად, საველოსიპედო და საავტომობილო ინდუსტრიის მოთხოვნათა გამო, და ა. შ.). ამ ახალ წვრილ მწარმოებლებს ასევე გარდუვალად კვლავ ერეკებიან პროლეტარიატის რიგებში.

სავსებით ბუნებრივია, რომ წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობა კვლავ და კვლავ თავს იჩენს მუშათა ფართო პარტიების რიგებში. სავსებით ბუნებრივია, რომ ასე უნდა იყოს და იქნება მუდამ თვით პროლეტარული რევოლუციის პერიპეტიებამდე, ვინაიდან დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ასეთი რევოლუციის განხორციელების შესაძლებლობისათვის საჭიროა მოსახლეობის უმრავლესობის «სრული» პროლეტარიზაცია. ის, რასაც ხშირად მხოლოდ იდეურად განვიცდით: დავა მარქსის თეორიულ შესწორებებთან, — ის, რაც ახლა პრაქტიკულად თავს იჩენს მუშათა მოძრაობის მხოლოდ ცალკეული კერძო საკითხების გამო, როგორიცაა ტაქტიკური უთანხმოებანი რევიზიონისტებთან და განხეთქილება ამ ნიადაგზე, — ეს უეჭველად კიდევ უნდა განიცადოს მუშათა კლასმა შეუდარებლად უფრო დიდი მასშტაბით, როცა პროლეტარული რევოლუცია გაამწვავებს ყველა სადავო საკითხს, თავს მოუყრის ყველა უთანხმოებას იმ პუნქტებზე, რომლებსაც მეტად უშუალო მნიშვნელობა აქვთ მასების მოქმედების განსაზღვრისათვის, როცა პროლეტარული რევოლუცია გვაიძულებს ბრძოლის ცეცხლში გამოვყოთ მტრები მეგობრებისაგან, განვდევნოთ ცუდი მოკავშირეები მტრისათვის გადამწყვეტი ლახვრის ჩასაცემად.

XIX საუკუნის დამლევს რევოლუციური მარქსიზმის იდეური ბრძოლა რევიზიონიზმთან მხოლოდ შესავალია პროლეტარიატის დიადი რევოლუციური ბრძოლებისა, პროლეტარიატისა, რომელიც, მეშჩანობის ყველა მერყეობისა და სისუსტის მიუხედავად, წინ მიდის თავისი საქმის სრული გამარჯვებისაკენ.

გათელილი ბილიკით!

რუსეთის რევოლუციის, ე. ი. მისი პირველი სამი წლის შეფასება დღის წესრიგში დგას. თუ არ გამოვარკვიეთ ჩვენი პოლიტიკური პარტიების კლასობრივი ბუნება, თუ არ გავითვალისწინეთ კლასების ინტერესები და ურთიერთდამოკიდებულება ჩვენს რევოლუციაში, ისე შეუძლებელია ერთი ნაბიჯიც კი გადავდგათ წინ პროლეტარიატის უახლოესი ამოცანებისა და ტაქტიკის განსაზღვრის საქმეში. ამ სტატიაში ჩვენ განზრახვა. გვაქვს შევაჩეროთ ჩვენი მკითხველების ყურადღება ასეთი გათვალისწინების ერთ-ერთ ცდაზე.

«გოლოს სოციალ-დემოკრატას» [13] მე-3 ნომერში თ. დანი და გ. პლეხანოვი გამოდიან — ერთი — რევოლუციის შედეგების სისტემატური შეფასებით, მეორე — შეჯამებული დასკვნებით მუშათა პარტიის ტაქტიკის შესახებ. დანის შეფასება იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის იმედი არ შეიძლებოდა ილუზია არ გამომდგარიყო. «პროლეტარიატის ახალი ფართო რევოლუციური გამოსვლის შესაძლებლობა... მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ბურჟუაზიის პოზიციაზე». «ვიდრე რევოლუციური მუშათა მოძრაობის აღმავლობა არ აამოძრავებს ქალაქის მეშჩანობას, ხოლო ქალაქის რევოლუციის განვითარება ხანძარს არ დაანთებს სოფლად — მისი (ახალი აღმავლობის) პირველ ეტაპებზე მთავარ პოლიტიკურ ძალებად პირისპირ აღმოჩნდებიან პროლეტარიატი და ბურჟუაზია».

ამგვარ «ჭეშმარიტებათა» ტაქტიკური დასკვნები აშკარად არ არის თ. დანის მიერ ბოლომდე გამოთქმული. მას, ალბათ,

შერცხვა ბოლომდე დაეწერა ის, რაც მისი სიტყვებიდან თავისთავად გამომდინარეობს: ერჩია მუშათა კლასისათვის მენშევიკების ცნობილი ტაქტიკა — მხარი დაუჭირონ ბურჟუაზიას (გაიხსენეთ ბლოკები კადეტებთან; კადეტური სამინისტროს ლოზუნგისათვის მხარის დაჭერა; პლეხანოვის სრულძალაუფლებიანი სათათბირო და ა. შ.). სამაგიეროდ პლეხანოვმა შეავსო დანი, თავისი ფელეტონი «გოლოს სოციალ-დემოკრატას» მე-3 ნომერში შემდეგი სიტყვებით რომ დაამთავრა: «კარგი იქნებოდა რუსეთისათვის, რუს მარქსისტებს რომ 1905 — 1906 წლებში შესძლებოდათ თავიდან აეცილებინათ ეს შეცდომები, რომლებიც მარქსმა და ენგელსმა გერმანიაში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაუშვეს!» (სახელდობრ: შეუფასებლობა მაშინდელი კაპიტალიზმის განვითარების უნარისა და გადაჭარბებით შეფასება პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედების უნარისა).

ეს ცხადზე უცხადესია. დანი და პლეხანოვი ცდილობენ ძალიან ფრთხილად, ისე რომ საგნები პირდაპირ არ დაასახელონ, გაამართლონ მენშევიკური პოლიტიკა კადეტებისაგან პროლეტარიატის დამოკიდებულებისა. მაშ დავაკვირდეთ მათი ამ წამოწყების «თეორიულ დასაბუთებას».

დანი ისე მსჯელობს, რომ «გლეხთა მოძრაობა» დამოკიდებულია «ქალაქის რევოლუციის ზრდასა და განვითარებაზე ამ რევოლუციის ბურჟუაზიული და პროლეტარული კალაპოტით». ამიტომ «ქალაქის რევოლუციის» აღმავლობას მოსდევდა გლეხთა მოძრაობის აღმავლობა, მისი დაცემის შემდეგ კი «რევოლუციის აღმავლობით მიჩქმალული სოფლის შინაგანი ანტაგონიზმი კვლავ მწვავდება», «მთავრობის აგრარული პოლიტიკა, გლეხობის გათიშვის პოლიტიკა და ა. შ. უკვე შედარებით წარმატებით სარგებლობს». აქედან წარმოსდგება ჩვენ მიერ მოყვანილი დასკვნა, რომ ახალი აღმავლობის პირველ ეტაპებზე მთავარი პოლიტიკური ძალები იქნებიან პროლეტარიატი და ბურჟუაზიაო. «ეს მდგომარეობა, — თ. დანის აზრით, — უნდა გამოიყენოს და შეიძლება გამოიყენოს პროლეტარიატმა რევოლუციის ისეთი გან-

ვითარებისათვის, რომელიც შორს მოიტოვებს მისი ახალი აღმავლობის გამოსავალ წერტილს და გამოიწვევს საზოგადოების სრულ დემოკრატიზაციას აგრარული საკითხის რადიკალური (!!) გადაწყვეტის ნიშნით (sic! *)».

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ეს მსჯელობა მთლიანად აგებულია ჩვენი რევოლუციის აგრარული საკითხის რადიკალურ გაუგებლობაზე და რომ ეს გაუგებლობა ყოვლად უხეიროდ არის დაფარული იაფფასიანი და ფუჭი ფრაზებით «სრულ დემოკრატიზაციაზე» საკითხის «გადაწყვეტის» «ნიშნით».

თ. დანი ფიქრობს, რომ «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის იმედები» დამოკიდებულია და დამოკიდებული იყო ნაროდნიკულ ცრურწმენებზე, სოფლის შინაგანი ანტაგონიზმისა და გლეხთა მოძრაობის ინდივიდუალისტური ხასიათის დავიწყებაზე. ესაა ჩვეულებრივი და ყველასათვის დიდი ხნის ცნობილი მენშევიკური შეხედულებანი. მაგრამ არა გვგონია, რომ ვისმე დღევანდლამდე ასე რელიეფურად გამოეფინოს საჩვენებლად მთელი მათი უაზრობა, ვიდრე ეს თ. დანმა მოიმოქმედა განსახილველ სტატიაში. ფრიად პატივცემულმა პუბლიცისტმა მოახერხა ვერ შეემჩნია, რომ აგრარული საკითხის მის მიერ დაპირისპირებული ორივე «გადაწყვეტა» შეესაბამება «გლეხთა მოძრაობის ინდივიდუალისტურ ხასიათს»! მართლაც, სტოლიპინური გადაწყვეტა, რომელიც, დანის აზრით, სარგებლობს «შედარებითი წარმატებით», გლეხთა ინდივიდუალიზმს ემყარება. ეს უეჭველია. მაგრამ რა არის მეორეგვარი გადაწყვეტა, რომელსაც თ. დანმა უწოდა «რადიკალური» და «საზოგადოების სრულ დემოკრატიზაციასთან» დაკავშირებული? ხომ არ ფიქრობს ფრიად პატივცემული დანი, რომ იგი არ ემყარება გლეხთა ინდივიდუალიზმს?

უბედურებაც ის არის, რომ ცარიელი ფრაზით «აგრარული საკითხის რადიკალური გადაწყვეტის ნიშნით საზო-

* — ასე! რედ.

გადოების სრული დემოკრატიზაციის» შესახებ დანი ფარავს რადიკალურ შეუსაბამობას. ის შეუგნებლად, ბრმასავით აწ ყ დ ე ბ ა აგრარული საკითხის ორ, ობიექტურად შესაძლებელ და ისტორიის მიერ საბოლოოდ ჯერ კიდევ აურჩეველ «გადაწყვეტას» და ვერ იჩენს უნარს ნათლად და ზუსტად წარმოიდგინოს ო რ ი ვ ე გადაწყვეტის ხასიათი და ამა თუ იმ გადაწყვეტის პირობები.

რატომ შეიძლება სარგებლობდეს «შედარებითი წარმატებით» სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა? იმიტომ რომ ჩვენს გლეხობაში უკვე დიდი ხანია შექმნა კაპიტალისტურმა განვითარებამ მტრული კლასები გლეხთა ბურჟუაზიისა და გლეხთა პროლეტარიატისა. შესაძლებელია თუ არა სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის სრული წარმატება და რას ნიშნავს ეს წარმატება? იგი შესაძლებელია, თუ განსაკუთრებით ხელსაყრელი გარემოებანი შეიქმნება სტოლიპინისათვის, იგი ნიშნავს აგრარული საკითხის «გადაწყვეტას» ბურჟუაზიულ რუსეთში იმ აზრით, რომ ს ა ბ ო ლ ო ო დ (პროლეტარულ რევოლუციამდე) განმტკიცდება მ თ ე ლ ი მიწის, როგორც მემამულეთა, ისე გლეხთა მიწის, კერძო საკუთრება. ეს იქნება პ რ უ ს ი უ ლ ი ტიპის «გადაწყვეტა», რაც ნამდვილად უზრუნველყოფს რუსეთის კაპიტალისტურ განვითარებას. ოღონდ განუზომლად უფრო ნელ განვითარებას, რომელიც ძალაუფლებას დიდი ხნით ჩაუგდებს ხელთ იუნკერს და ათასჯერ უფრო შემაწუხებელი იქნება პროლეტარიატისა და გლეხობისათვის, ვიდრე მეორე ობიექტურად შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი, აგრეთვე კაპიტალისტური «გადაწყვეტა აგრარული საკითხისა».

საკითხის ამ მეორენაირ გადაწყვეტას დანმა საქმის ჩაუფიქრებლად «რადიკალური» უწოდა. იაფფასიანი სიტყვაა, და შიგ აზრის ნატამალიც არ არის. სტოლიპინური გადაწყვეტაც მეტად რადიკალურია, ვინაიდან იგი რადიკალურად ამსხვრევს ძველ თემს და რუსეთის ძველ აგრარულ წყობილებას. რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის აგრარული საკითხის გ ლ ე ხ უ რ ი გადაწყვეტის ნამდვილი განსხვავება

ს ტ ო ლ ი პ ი ნ უ რ-კ ა დ ე ტ უ რ ი გადაწყვეტისაგან იმაში მდგომარეობს, რომ პირველი უთუოდ სპობს მიწის მემამულურ კერძო საკუთრებას და ძალიან შესაძლებელია — მიწის გლეხურ საკუთრებასაც (ამ კერძო საკითხს — გლეხის სანადელო მიწის საკითხს ჩვენ ჯერ არ შევეხებით, ვინაიდან დანის მთელი მსჯელობა შემცდარია ახლანდელი ჩვენი, «მუნიციპალიზატორული», აგრარული პროგრამის თვალსაზრისითაც კი).

ახლა კითხვა იბადება, მართლა შესაძლებელია თუ არა ობიექტურად ეს მეორენაირი გადაწყვეტა? უეჭველად შესაძლებელია. ამაზე თანახმაა ყველა მოაზროვნე მარქსისტი; თ ო რ ე მ პროლეტარიატის მიერ მხარის დაჭერა წვრილ მესაკუთრეთა მისწრაფებისა, რომ კონფისკებულ იქნას მსხვილი საკუთრება, რეაქციული შარლატანობა იქნებოდა. არც ერთ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში არც ერთი მარქსისტი არ დაწერს პროგრამას, რომელიც მხარს უჭერდეს გ ლ ე ხ თ ა მისწრაფებას — მიწის მსხვილი საკუთრების კონფისკაციას. რუსეთში ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც ასეთი მხარის დაჭერის აუცილებლობის თანახმა არიან. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთისათვის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ შესაძლებელია კაპიტალისტური აგრარული განვითარების ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი გზა, არა «პრუსიული», არამედ «ამერიკული», არა მემამულურ-ბურჟუაზიული (ანუ იუნკრული), არამედ გლეხურ-ბურჟუაზიული.

სტოლიპინი და კადეტები, თვითმპყრობელობა და ბურჟუაზია, ნიკოლოზ მეორე და პეტრე სტრუვე ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ საჭიროა კაპიტალისტურად «გაიწმინდოს» რუსეთის დახავსებული აგრარული წყობილება მემამულეთა მიწის საკუთრების შენარჩუნების საშუალებით. ისინი ერთმანეთს შორდებიან მხოლოდ იმაში, თუ როგორ შეინარჩუნონ უკეთესად და რამდენად შეინარჩუნონ.

მუშები და გლეხები, სოციალ-დემოკრატები და ნაროდნიკები (ტრუდოვიკები, სახალხო სოციალისტები, ესერები მათ შორის, თანახმანი არიან იმაში, რომ საჭიროა კ ა პ ი-

ტალისტურად «გაიწმინდოს» რუსეთის დახავსებული აგრარული წყობილება მემამულეთა მიწის საკუთრების ძალდატანებით მოსპობის საშუალებით. ისინი ერთმანეთს შორდებიან იმაში, რომ სოციალ-დემოკრატებს ესმით კაპიტალისტური ხასიათი ყოველი, თუნდაც უაღრესად რადიკალური აგრარული რევოლუციისა თანამედროვე საზოგადოებაში — მუნიციპალიზაციისაც, ნაციონალიზაციისაც, სოციალიზაციისაც და დაყოფისაც, ნაროდნიკებს კი ეს არ ესმით და გამთანაბრებლობის მეშჩანურ-უტოპიური ფრაზებით მოსავენ თავის ბრძოლას გლეხურ-ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციისათვის მემამულურ-ბურჟუაზიული ევოლუციის წინააღმდეგ.

თ. დანის მთელი დაბნეულობა და მთელი შეუსაბამობა იმაზეა დამოკიდებული, რომ მას სრულიად ვერ გაუგია რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეკონომიური საფუძველი. ახლანდელ რევოლუციაში მიწისათვის გაჩაღებული გლეხთა ბრძოლის ეკონომიური შინაარსისა და მნიშვნელობის საკითხზე რუსეთის მარქსისტული და მეშჩანური სოციალიზმის უთანხმოების იქით მან «ვერ შეამჩნია» რეალური საზოგადოებრივი ძალების ბრძოლა ობიექტურად შესაძლებელი კაპიტალისტური აგრარული ევოლუციის ამა თუ იმ გზისათვის. და თავისი ეს სრული გაუგებლობა მან დაფარა ფრაზებით სტოლიპინის «შედარებითი წარმატებისა» და «აგრარული საკითხის რადიკალური გადაწყვეტის ნიშნით საზოგადოების სრული დემოკრატიზაციის» შესახებ.

ნამდვილად კი აგრარული საკითხი ახლა რუსეთში ასე დგას: სტოლიპინის პოლიტიკის წარმატებისათვის საჭიროა მრავალი წლის განმავლობაში ძალდატანებით თრგუნავდნენ და ყლეტდნენ გლეხთა მასებს, რომლებსაც არა სურთ შიმშილით დაიხოცონ და არა სურთ თავისი სოფლებიდან გაასახლონ. ისტორიაში ყოფილა ამგვარი პოლიტიკის წარმატების მაგალითები. ფუჭი და სულელური დემოკრატიული ფრაზეოლოგია იქნებოდა, ჩვენ რომ გვეთქვა, რუსეთში ასეთი პოლიტიკის წარმატება «შეუძლებელიაო». შესაძლებე-

ლია! მაგრამ ჩვენი საქმეა ნათლად დავანახვოთ ხალხს, თუ რა ჯდება ასეთი წარმატება, და მთელი ძალღონით ვიბრძოლოთ კაპიტალისტური აგრარული განვითარების სხვანაირი, უფრო მოკლე და უფრო სწრაფი გზისათვის გლეხთა რევოლუციის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ. ძნელია კაპიტალისტურ ქვეყანაში გლეხთა რევოლუცია პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ძალიან ძნელია, მაგრამ იგი შესაძლებელია, და მისთვის უნდა ვიბრძოლოთ. რევოლუციის სამმა წელმა ჩვენ და მთელ ხალხს გვასწავლა არა მარტო ის, რომ მისთვის უნდა ვიბრძოლოთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვიბრძოლოთ. ვერავითარი მენშევიკური «მიდგომა» კადეტების მხარდაჭერის პოლიტიკისადმი ვერ აღმოფხვრის რევოლუციის ამ გაკვეთილებს მუშათა შეგნებიდან.

შემდეგ. რა იქნება, თუ, მასების ბრძოლის მიუხედავად, სტოლიპინის პოლიტიკა საკმაოდ დიდხანს გასძლებს «პრუსიული» გზის წარმატებისათვის? მაშინ რუსეთის აგრარული წყობილება სავსებით ბურჟუაზიული გახდება, მსხვილი გლეხები თითქმის მთელ სანადელო მიწას დაეპატრონებიან, მიწათმოქმედება კაპიტალისტური გახდება და აგრარული საკითხის არავითარი, არც რადიკალური, არც არა-რადიკალური «გადაწყვეტა» კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს დროს არ იქნება შესაძლებელი. მაშინ კეთილსინდისიერი მარქსისტები პირდაპირ, აშკარად და სავსებით უკუაგდებენ ყოველგვარ «აგრარულ პროგრამას» და ეტყვიან მასებს: მუშებმა ყველაფერი მოიმოქმედეს, რაც კი შეეძლოთ, არა იუნკრული, არამედ ამერიკული კაპიტალიზმის უზრუნველსაყოფად რუსეთისათვის. მუშები მოგიწოდებენ ახლა პროლეტარიატის სოციალური რევოლუციისაკენ, ვინაიდან აგრარული საკითხის სტოლიპინურად «გადაწყვეტის» შ ე მ დ ე გ ა რ ა ვ ი თ ა რ ი ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი რევოლუცია, რომელიც შესძლებს სერიოზულად შესცვალოს გლეხთა მასების ცხოვრების ეკონომიური პირობები, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს ო.

აი როგორ დგას რუსეთში ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციის ურთიერთობის საკითხი, საკითხი, რო-

მელიც განსაკუთრებით არივდარია დანმა თავისი რუსული სტატიის გერმანულ გადმოცემაში («Neue Zeit»[14] № 27).

ბურჟუაზიული რევოლუციები რუსეთში შესაძლებელია, გარდუვალიც კია, სტოლიპინურ-კადეტური აგრარული გზის ნიადაგზედაც. მაგრამ ასეთ რევოლუციებში, ისევე როგორც საფრანგეთის 1830 და 1848 წლების რევოლუციებში, ლაპარაკიც კი არ შეიძლება «აგრარული საკითხის რადიკალური გადაწყვეტის ნიშნით საზოგადოების სრულ დემოკრატიზაციაზე». ან უფრო სწორად: ასეთ რევოლუციებში მხოლოდ მეშჩანი quasi *-სოციალისტები კიდევ ილაყბებენ კაპიტალისტურად ჩამოყალიბებული ქვეყნისათვის უკვე გადაწყვეტილი აგრარული საკითხის «გადაწყვეტაზე» (განსაკუთრებით «რადიკალურ გადაწყვეტაზე»).

მაგრამ რუსეთში ჯერ სრულებითაც არ ჩამოყალიბებულა კაპიტალისტური აგრარული წესები. ეს ცხადია არა მარტო ჩვენთვის, მენშევიკებისთვისაც და ბოლშევიკებისთვისაც, არა მარტო ისეთი ადამიანებისათვის, რომლებიც თანაუგრძნობენ რევოლუციას და მისი ახალი აღმავლობის მოსურნენი არიან, — ეს ცხადია რევოლუციის ისეთი თანამიმდევარი, შეგნებული და აშკარა, გაბედული მტრებისა და შავრაზმული თვითმპყრობელობის მეგობრებისათვის, როგორიც არის ბ-ნი პეტრე სტრუვე. თუ იგი «გაბმით ყვირის», რომ ჩვენ გვჭირდება ბისმარკი, გვჭირდება რეაქციის გადაქცევა ზემოდან მოწყობილ რევოლუციადაო, ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ სტრუვე ვერ ხედავს ჩვენში ვერც ბისმარკს, ვერც ზემოდან მოწყობილ რევოლუციას. სტრუვე ხედავს, რომ მარტოოდენ სტოლიპინის რეაქციითა და ათასი სახრჩობელათი ვერ შექმნი კნეხტის მემამულურ-ბურჟუაზიულ, მტკიცე რუსეთს. საჭიროა რაღაც სხვა რამ, გადაწყვეტა (თუნდაც ბისმარკულად) რაღაც მსგავსი ნაციონალური ისტორიული ამოცანებისა, გერმანიის გაერთიანებისა, შემოღება საყოველთაო საარჩევნო უფლებისა. სტოლიპინს კი უხდება მხოლოდ დუმბაძის გაერთიანება

* — ვითომ. რ ე დ.

რიგის მუზეუმის[15] გმირებთან! უ ხ დ ე ბ ა 1905 წლის 11 დეკემბრის კანონით[16] შემოღებული ვიტესებური საარჩევნო უფლების გაუქმებაც კი! გლეხების ნაცვლად, რომელნიც კმაყოფილნი არიან აგრარული პოლიტიკის დანისებური «შედარებითი წარმატებით», სტოლიპინს უხდება მესამე სათათბიროს გლეხებისაგანაც კი მოისმინოს «ტრუდოვიკული» მოთხოვნები!

როგორლა არ უნდა «იყვიროს», იგოდოს და იტიროს პეტრე სტრუვემ, როცა ის ნათლად ხედავს, რომ ჩვენში ვ ე რ გ ა ა მ ო დ ი ს, ჯერ კიდევ ვერა და ვერ გამოდის მოწესრიგებული, უწყინარი, ზომიერი და აკურატული, შეკვეცილი და სხვა ამგვარი «კონსტიტუცია»?

სტრუვემ კარგად იცის, თუ საით მიდის ის. თ. დანს კი არაფერი არ უსწავლია და არაფერი არ დავიწყებია რევოლუციის სამი წლის განმავლობაში. იგი ისევ ბრმასავით ეზიდება პროლეტარიატს ბატონ სტრუვეების ფრთებქვეშ. იგი ისევ ლუღლუღებს იმავე რეაქციულ მენშევიკურ სიტყვებს, თითქოს შეიძლებოდეს პროლეტარიატი და ბურჟუაზია აღმოჩნდნენ ჩვენში «მთავარ პოლიტიკურ ძალებად»... ვის წინააღმდეგ, უპატივცემულესო? გუჩკოვის წინააღმდეგ? მონარქიის წინააღმდეგ?

თუ, ამავე დროს, ლიბერალების რა წარმოუდგენელ შელამაზებამდე მიდის თ. დანი, ამას გვიჩვენებს მისი გერმანული სტატია. მას არც კი რცხვენია მოუთხროს გერმანელ საზოგადოებას, რომ III სათათბიროში ქალაქების მეშჩანობამ აირჩია «პროგრესული ამომრჩევები» (ესე იგი კადეტები), გლეხებმა კი ვითომ მოგვცეს რეაქციულ ამომრჩევთა 40 პროცენტი! გაუმარჯოს «პროგრესულ» მილიუკოვებსა და სტრუვეებს, რომლებიც ტაშს უკრავენ სტოლიპინს! გაუმარჯოს დანების კავშირს მილიუკოვებთან «რეაქციული» გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც ტრუდოვიკულ სულისკვეთებას იჩენდნენ მესამე სათათბიროში!

პლეხანოვიც აყალბებს ენგელსს იმავე რეაქციული მენშევიკური თეორიების გულისათვის. ენგელსი ამბობდა, რომ

მარქსის 1848 წლის ტაქტიკა ს წ ო რ ი იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ ტაქტიკამ მისცა ნამდვილად პროლეტარიატს სწორი, მტკიცე, დაუვიწყარი გაკვეთილებიო. ენგელსი ამბობდა: ამ ტაქტიკას წარმატება ვერა ხვდა, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ იმისა, რომ იგი ერთადერთი სწორი იყო, წარმატება ვერა ხვდა პროლეტარიატის არასაკმაო მომზადებულობისა და კაპიტალიზმის არასაკმაო განვითარებულობის გამოო[17]. პლეხანოვი კი, თითქოს ენგელს დასცინისო, თითქოს სურს ძალიან გაახაროს ბერნშტეინები და სტრელცოვებიო[18], — ენგელსს ისე განმარტავს, ვითომ იგი «ინანიებდა» მარქსის ტაქტიკას! ვითომ იგი მერე მცდარად თვლიდა მას და უპირატესობას ანიჭებდა გერმანელი კადეტების მხარის დაჭერის ტაქტიკას!

ხომ არ გვეტყვის ხვალ გ. პლეხანოვი, რომ ენგელსი 1849 წლის აჯანყებათა გამო ფიქრობდა, «არ უნდა მოგეკიდათ ხელი იარაღისთვისაო»?

მარქსი და ენგელსი პროლეტარიატს ასწავლიდნენ რევოლუციურ ტაქტიკას, ბრძოლის უმაღლეს ფორმებამდე განვითარების ტაქტიკას, ტაქტიკას, რომლის მეოხებით გლეხობა გაჰყვება პროლეტარიატს და არა პროლეტარიატი — ლიბერალურ გამცემლებს.

«პროლეტარი» № 29,
1908 წ. 16 (29) აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

კადეტების ბლოკი ოქტიაბრისტებთან?

1 (14) აპრილის გაზეთ «Frankfurter Zeitung»-ში[19] მოთავსებული კერძო დეპეშა პეტერბურგიდან იუწყება: «მარტის დამლევიდან ფარული მოლაპარაკება არის ოქტიაბრისტებსა, ზომიერ მემარჯვენეებსა, კადეტებსა და მშვიდობიანი განახლების პარტიას[20] შორის იმის შესახებ, ხომ არ შეძლება შეადგინონ მათ ბ ლ ო კ ი. გეგმა გამომდინარეობს ოქტიაბრისტებისაგან, რომლებსაც უკვე არ შეუძლიათ უკიდურეს მემარჯვენეთა მხარის დაჭერის იმედი ჰქონდეთ. ამ უკანასკნელთ, რომელნიც განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან ოქტიაბრისტებისა დუმბაძის შესახებ შეტანილი შეკითხვის გამო, განზრახვა აქვთ ხმა მისცენ ოპოზიციასთან ერთად ცენტრის წინააღმდეგ. ასეთი ხერხი გააძნელებდა სათათბიროს მუშაობას, ვინაიდან უკიდურეს მემარჯვენეთა შეერთება ოპოზიციასთან იძლევა 217 ხმას ცენტრისა და ზომიერ მემარჯვენეთა 223 ხმის წინააღმდეგ. პირველი თათბირი (ბლოკის შესახებ) შესდგა 12 აპრილს (30 მარტს ძველი სტილით). ამ თათბირს ესწრებოდა პროპორციულობის საფუძველზე არჩეული 30 რწმუნებული პირი. თათბირი არავითარ შედეგამდე არ მისულა და დაადგინა — უახლოესი კვირის განმავლობაში ახალი თათბირი შეკრიბოს».

რამდენად უტყუარია ეს ცნობა, ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში რუსული გაზეთების დუმილი საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი საბუთი არ არის, და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს საზღვარგარეთული პრესის ინფორმაცია.

პრინციპულად არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ ფარული მოლაპარაკება მიმდინარეობს. კადეტებმა მთელი თა-

ვისი პოლიტიკური ისტორიით, დაწყებული სტრუვეს დარბაზობით ვიტესთან 1905 წლის ნოემბერში, განგრძობილი ფარული მოლაპარაკებით ტრეპოვთან და კომპანიასთან 1906 წლის ზაფხულში[21] და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს, რომ მათი ტაქტიკის დედაარსია ამა ქვეყნის ძლიერებთან უკანა კარებიდან სირბილი. მაგრამ, ეს ცნობა მოლაპარაკების შესახებ მართალიც რომ არ გამოდგეს, — უეჭველი რჩება, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ III სათათბიროში ა რ ს ე ბ ო ბ ს კადეტების ჩუმი ბლოკი ოქტიაბრისტებთან კადეტების მარჯვნივ შებრუნების საფუძველზე. III სათათბიროში კადეტების მიერ ხმისმიცემის მთელი რიგი შემთხვევები ამას უდავოდ ამტკიცებენ, რომ აღარ ვილაპარაკოთ კადეტთა სიტყვების შინაარსზე და მათი პოლიტიკური გამოსვლების ხასიათზე.

III სათათბიროში ო რ ი უმრავლესობაა, — ვამბობდით ჩვენ ჯერ კიდევ მის მოწვევამდე (იხ. «პროლეტარი» და რსდმპ 1907 წლის ნოემბრის სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია) *. და ჩვენ უკვე მაშინ ვამტკიცებდით, რომ ამ ფაქტის აღიარებისაგან თავის არიდება (როგორც იქცეოდნენ მენშევიკები), ხოლო, რაც მთავარია, კ ა დ ე ტ უ რ-ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ უ ლ ი უმრავლესობის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი დახასიათებისაგან თავის არიდება იმას ნიშნავს, რომ საშუალება მისცე ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს თავის ნებაზე ჭაჩანჩალოს.

კადეტების კლასობრივი ბუნება სულ უფრო ცხადად იჩენს თავს: ვისაც არ უნდოდა ამის დანახვა 1906 წელს, იმას ფაქტები აიძულებენ ა ღ ი ა რ ო ს ეს ახლა, ან მთლიანად ოპორტუნიზმისაკენ დაექანოს.

«პროლეტარი» № 29,
1908 წ. 16 (29) აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 143 — 156 და 171 — 173. რ ე დ.

რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის [22]

ახლა რუსეთში უკვე არავინ იფიქრებს იმაზე, რომ რევოლუცია მარქსის მიხედვით მოახდინონო. ასე, ან დაახლოებით ასე, განაცხადა ამას წინათ ერთმა ლიბერალურმა,—თითქმის დემოკრატიულმაც კი, — თითქმის სოციალ-დემოკრატიულმაც კი, — (მენშევიკურმა) გაზეთმა, «სტოლიჩნაია პოჩტამ» [23]. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ სიტყვების ავტორებმა შესძლეს სწორად ჩასწვდომოდნენ, თუ როგორია დ ე დ ა ა რ ს ი იმ განწყობილებისა თანამედროვე პოლიტიკაში და იმ დამოკიდებულებისა ჩვენი რევოლუციის გაკვეთილებისადმი, რომელიც უეჭველად გაბატონებულია ინტელიგენციის, ნახევრადგანათლებული მეშჩანობის უაღრესად ფართო წრეებში და, შეიძლება ითქვას, სრულიად გაუნათლებელი წვრილი ბურჟუაზიის ბევრ ფენაში.

ამ სიტყვებში გამოხატულია სიძულვილი არა მარტო საერთოდ მარქსიზმისადმი, რომელსაც ახასიათებს ურყევი რწმენა პროლეტარიატის რევოლუციური მისიისა, უსაზღვრო მზადყოფნა — მხარი დაუჭიროს ფართო მასების ყოველ რევოლუციურ მოძრაობას, გაამწვავოს ბრძოლა და ბოლომდე მიიყვანოს იგი. არა. გარდა ამისა, ამ თქმაში გამოხატულია სიძულვილი ბრძოლის იმ ხერხებისადმი, მოქმედების იმ მეთოდებისადმი, იმ ტაქტიკისადმი, რომლებიც ს ა ქ მ ი თ ნ ა ც ა დ ი ა ს უ ლ ა ხ ლ ა ხ ა ნ რუსეთის რევოლუციის პ რ ა ქ ტ ი კ ა ში. ყველა ის გამარჯვება, — ან ნახევარგამარჯვება, უფრო სწორად რომ ითქვას, მეოთხედი გამარჯვება, — რაც ჩვენმა რევოლუციამ მოიპოვა, მოპოვე-

ბულია სავსებით და მარტოოდენ იმის მეოხებით, რომ უშუალო-რევოლუციურ შეტევას აწარმოებდა პროლეტარიატი, რომელიც მიუძღოდა მშრომელი მოსახლეობის არაპროლეტარულ ელემენტებს. ყველა დამარცხება გამოწვეულია ასეთი შეტევის შესუსტებით და დაკავშირებულია ტაქტიკასთან, რომელიც გაურბის ამ შეტევას, ვარაუდობს მის არარსებობას, ზოგჯერ კი (კადეტები) პირდაპირ თავიდან აცილებასაც კი.

და ახლა, კონტრრევოლუციური რეპრესიების მძვინვარების პერიოდში, მეშჩანობა ლაჩრულად ეგუება ცხოვრების ახალ ბატონ-პატრონებს, ეთვისება ერთი საათის ახალ ხალიფებს, უარს ამბობს ძველზე, ცდილობს დაივიწყოს იგი, არწმუნებს თავის თავსაც და სხვებსაც, რომ ახლა რუსეთში უკვე არავინ ფიქრობს მოახდინოს რევოლუცია მარქსის მიხედვით, არავის მოსდის აზრად «პროლეტარიატის დიქტატურა» და ასე შემდეგ.

ბურჟუაზიის სხვა რევოლუციებშიც ძველი ხელისუფლების ფიზიკური გამარჯვება აჯანყებულ ხალხზე ყოველთვის იწვევდა სასოწარკვეთილებასა და რღვევას «განათლებული» საზოგადოების ფართო წრეებში. მაგრამ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის, რომლებიც ნამდვილად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, რომლებიც რაოდენადმე მაინც შესამჩნევ როლს ასრულებდნენ მართლაც რევოლუციურ მოვლენებში, ყოველთვის იყო იმის საწინააღმდეგო ილუზიები, რაც სუფევს ახლა რუსეთის ინტელიგენტურ მეშჩანობაში. ეს იყო «თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის» გარდუვალი, დაუყოვნებლივი და სრული გამარჯვების ილუზიები, ილუზიები არა ბურჟუაზიული, არამედ საერთო-კაცობრიული რესპუბლიკის შესახებ, ისეთი რესპუბლიკისა, რომელიც დაამყარებდა მშვიდობას ქვეყნად და კაცთა შორის სათნოებას. ეს იყო ილუზიები იმისა, რომ არ არსებობს კლასობრივი შუღლი მონარქიითა და შუა საუკუნეთა წესებით დაჩაგრული ხალხის შიგნით, რომ შეუძლებელია «იდეის» დამარცხება ძალადობის მეთოდებით, რომ ერთმანეთს აბსოლუ-

ტურად უპირისპირდება დრომოჭმული ფეოდალიზმი და ახალი თავისუფალი, დემოკრატიული, რესპუბლიკური წეს-წყობილება, რომლის ბურჟუაზიულობა სრულებით არ იყო შეგნებული ან მეტისმეტად ბუნდოვანად იყო შეგნებული.

ამიტომ კონტრრევოლუციის პერიოდებში მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისამდე მისულ პროლეტარიატის წარმომადგენლებს სჭირდებოდათ ბრძოლა (როგორც, მაგალითად, მარქსსა და ენგელსს 1850 • წელს) ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ილუზიების წინააღმდეგ, რევოლუციის ტრადიციებისა და მისი არსის იდეალისტური გაგების წინააღმდეგ, ზერელე ფრაზების წინააღმდეგ, რომლებიც ცვლიდნენ მტკიცე და სერიოზულ მუშაობას განსაზღვრული კლასის წრეში[24]. ჩვენში კი პირიქითაა. ჩვენ ვერ ვხედავთ პრიმიტიული რესპუბლიკანიზმის ილუზიებს, რომლებიც შეაფერხებენ რევოლუციური მუშაობის განგრძობის საარსებო საქმეს ახალ, შეცვლილ პირობებში. ჩვენ ვერ ვხედავთ რესპუბლიკის მნიშვნელობის გ ა ზ ვ ი ა დ ე ბ ა ს, ფეოდალიზმთან და მონარქიასთან ბრძოლის ამ აუცილებელი ლოზუნგის გადაქცევას საერთოდ ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის ყოველი და ყოველგვარი განმათავისუფლებელი ბრძოლის ლოზუნგად. სოციალისტ-რევოლუციონერები და მათი მონათესავე ჯგუფები, რომლებიც ასაზრდოებდნენ ამის მ ს გ ა ვ ს იდეებს, სულ მცირერიცხოვანნი დარჩნენ, და სამი წლის რევოლუციური ქარიშხლის პერიოდში (1905 — 1907) მათ რესპუბლიკანიზმით ფართო გაჩაცების ნაცვლად მოუვლინა ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი მეშჩანობის, სახალხო სოციალისტების, ახალი პარტია, ანტიპოლიტიკური ბუნტარობისა და ანარქიზმის ახალი გაძლიერება.

მეშჩანურ გერმანიაში 1848 წლის რევოლუციის პირველი შეტევის მეორე დღესვე მკაფიოდ გამოაშკარავდა წვრილბურჟუაზიული რესპუბლიკური დემოკრატიის ილუზიები. მეშჩანურ რუსეთში 1905 წლის რევოლუციის შეტევის მეორე დღესვე მკაფიოდ გამოაშკარავდა და კვლავ აშკარავდება ილუზიები წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმისა, რომე-

ლიც იმედოვნებდა უბრძოლველად მიეღწია კომპრომისისათვის, ეშინოდა ბრძოლისა და პირველივე დამარცხების შემდეგ ჩქარობდა უარი ეთქვა თავის წარსულზე, სწამლავდა საზოგადოებრივ ატმოსფეროს სასოწარკვეთილებით, სულმოკლეობითა და რენეგატობით.

ცხადია, ეს განსხვავება წარმოსდგება სოციალური წყობილებისა და ორივე რევოლუციის ისტორიული ვითარების განსხვავებიდან. მაგრამ საქმე იმაში როდია, რომ რუსეთის წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის მასა ნაკლებად მწვავე წინააღმდეგობაში ყოფილიყოს ძველ წესწყობილებასთან. სწორედ პირიქით. ჩვენმა გლეხობამ რუსეთის რევოლუციის პირველ პერიოდშივე შექმნა გაცილებით უფრო ძლიერი, გარკვეული, პოლიტიკურად შეგნებული აგრარული მოძრაობა, ვიდრე XIX საუკუნის წინანდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებში იყო. საქმე ის არის, რომ ფენას, რომელიც შეადგენდა რევოლუციური დემოკრატიის ბირთვს ევროპაში,— ქალაქის ამჭრულ ხელოსნობას, ქალაქის ბურჟუაზიას და წვრილ ბურჟუაზიას, — რუსეთში კონტრრევოლუციური ლიბერალიზმისაკენ უ ნ დ ა ე ქ ნ ა პ ი რ ი. შეგნებულობა სოციალისტური პროლეტარიატისა, რომელიც ევროპის სოციალისტური გადატრიალების საერთაშორისო არმიასთან ხელიხელჩაკიდებული მიდის, — უკიდურესი რევოლუციურობა გლეხისა, რომელიც მეგატონეთა მხრივ საუკუნებრივი ჩაგვრით უაღრესად სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე და მემამულეთა მიწების კონფისკაციის მოთხოვნამდეა მიყვანილი, — აი ის გარემოება, რამაც რუსეთის ლიბერალიზმი გააქანა კონტრრევოლუციის ბანაკში გაცილებით უფრო ძლიერად, ვიდრე ევროპის ლიბერალიზმი. ამიტომ რუსეთის მუშათა კლასს განსაკუთრებული ძალით დააწვა ამოცანა: შეინარჩუნოს ტრადიციები რევოლუციური ბრძოლისა, რომლისაგან განდგომას ჩქარობენ ინტელიგენცია და მეშჩანობა, განავითაროს და განამტკიცოს ეს ტრადიციები, ჩაუნერგოს ისინი ხალხის ფართო მასების შეგნებას, მიიტანოს გარდუვალი დემოკრატიული მოძრაობის შემდგომ აღმავლობამდე.

თვითონ მუშებს სტიქიურად გაჰყავთ სწორედ ასეთი ხაზი. ისინი ერთობ მგზნებარედ განიცდიდნენ ოქტომბრისა და დეკემბრის დიად ბრძოლას. ისინი ერთობ ნათლად ხედავდნენ, რომ მათი მდგომარეობა მ ხ ო ლ ო დ ამ უშუალოდ რევოლუციურ ბრძოლასთან დაკავშირებით იცვლებოდა. ისინი ახლა ამბობენ ან, ყოველ შემთხვევაში, გრძნობენ ყველანი, როგორც ის ფეიქარი, რომელმაც თავის პროფ. ორგანოსათვის გაგზავნილ წერილში განაცხადა: მეფაბრიკეებმა წაგვართვეს ჩვენი მონაპოვარნი, ქარგლები ისევე წინანდებურად დაგვცინიან, დ ა ი ც ა თ, ი ს ე ვ დ ა დ გ ე ბ ა 1 9 0 5 წ ე ლ ი ო.

დაიცათ, ისევ დადგება 1905 წელიო. აი როგორ უყურებენ საქმეს მუშები. მათი შეხედულებით ბრძოლის ამ წელმა მოგვცა იმის ნიმუში, თ უ რ ა უ ნ დ ა გ ა კ ე თ დ ე ს. ინტელიგენციისა და რენეგატი მეშჩანობისათვის ეს არის «გადარეული წელი», ეს არის ნიმუში იმისა, თ უ რ ა ა რ უ ნ დ ა გ ა კ ე თ დ ე ს. პროლეტარიატისათვის რევოლუციის გამოცდილების გადამუშავება და კრიტიკული შეთვისება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ისწავლოს ბრძოლის მ ა შ ი ნ დ ე ლ ი მეთოდების უ ფ რ ო წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ გამოყენება, რომ იგივე ოქტომბრის საგაფიცვო და დეკემბრის შეიარაღებული ბრძოლა გახადოს უფრო ფართო, უფრო კონცენტრირებული, უფრო შეგნებული. კონტრრევოლუციური ლიბერალიზმისათვის, რომელსაც ხელში ჰყავს ჩაჭერილი რენეგატი ინტელიგენცია, რევოლუციის გამოცდილების შეთვისება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სამუდამოდ გამოეთხოვოს «ველური» მასობრივი ბრძოლის «გულუბრყვილო» სწრაფვას და შეცვალოს იგი «კულტურული, ცივილიზებული» კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი მუშაობით სტოლიპინის «კონსტიტუციონალიზმის» ნიადაგზე.

ახლა ყველა და თვითეული ლაპარაკობს რევოლუციის გამოცდილების შეთვისებასა და კრიტიკულ შემოწმებაზე. ლაპარაკობენ ამაზე სოციალისტები და ლიბერალები. ლაპარაკობენ ოპორტუნისტები და რევოლუციური სოციალ-დემო-

კრატები. მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სწორედ ორ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ დაპირისპირებათა შორის მერყეობს რევოლუციური გამოცდილების შეთვისების მთელი მრავალნაირი რეცეპტები. ყველა როდი სვამს ნათლად კითხვას, — რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება შევითვისოთ და დავეხმაროთ მასებს შეითვისონ იგი უფრო მტკიცე, შეუპოვარი და უფრო გადამწყვეტი ბრძოლისათვის, — თუ რევოლუციის კადეტური გამცემლობის «გამოცდილება» შევითვისოთ და გადავცეთ მასებს?

კარლ კაუცკი მიადგა ამ საკითხს მისი ძირითადი თეორიული დაყენების მხრივ. თავისი ცნობილი, ყველა მთავარ ევროპულ ენაზე გადათარგმნილი ნაშრომის «სოციალური რევოლუციის» მეორე გამოცემაში მან შეიტანა მთელი რიგი დამატებანი და ცვლილებანი, რომლებიც ეხება რუსეთის რევოლუციის გამოცდილებას. მეორე გამოცემის წინასიტყვაობა დათარიღებულია 1906 წლის ოქტომბრით, მაშასადამე, ავტორის წინაშე უკვე იყო მასალა მსჯელობისათვის არა მარტო 1905 წლის «ქარიშხლისა და შეტევის» შესახებ, არამედ ჩვენი რევოლუციის «კადეტური პერიოდის» მთავარ მოვლენათა შესახებაც, კადეტების საარჩევნო გამარჯვებებითა და პირველი სათათბიროთი საყოველთაო (თითქმის საყოველთაო) გატაცების ეპოქის შესახებ.

რუსეთის რევოლუციის გამოცდილების რა საკითხები მიიჩნია კაუცკიმ საკმაოდ დიდ და ძირითად, — ან, ყოველ შემთხვევაში, იმდენად მნიშვნელოვან საკითხებად, რომ ა ხ ა ლ ი მასალა მისცეს მარქსისტს, რომელიც სწავლობს ა ა ე რ თ ო დ «სოციალური რევოლუციის ფორმებსა და ნარაღებს» (როგორც ვვეუბნება კაუცკის ნაშრომის მეშვიდე პარაგრაფის, ე. ი. სწორედ 1905 — 1906 წლების გამოცდილების მითითებათა მიხედვით შევსებული პარაგრაფის სა-ბაური)?

ავტორს აუღია ორი საკითხი.

ჯერ-ერთი, იმ ძალების კლასობრივი შემადგენლობის საკითხი, რომლებსაც უ ნ ა რ ი შ ე ს წ ე ვ თ მოიპოვონ

გამარჯვება რუსეთის რევოლუციაში, გახადონ იგი ნამდვილად ძლევამოსილ რევოლუციად.

მეორე, რევოლუციური ენერგიის წარმართვისა და შეტევითი ხასიათის მიხედვით მასების ბრძოლის იმ უმაღლესი ფორმების მნიშვნელობის საკითხი, რომლებიც წამოაყენა რუსეთის რევოლუციამ, სახელდობრ: დეკემბრის ბრძოლის, ე. ი. შეიარაღებული აჯანყების საკითხი.

ყოველმა სოციალისტმა (განსაკუთრებით კი მარქსისტმა), რომელიც ცოტათი მაინც დაკვირვებით ეკიდება რუსეთის რევოლუციის მოვლენებს, უნდა აღიაროს, რომ ეს მართლაც ძირითადი, მთავარი საკითხებია რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის, აგრეთვე იმ ტაქტიკური ხაზის შეფასებისათვის, რომელსაც უკარნახებს მუშათა პარტიას საქმის ახლანდელი ვითარება. თუ ჩვენ სავსებით და ნათლად ვერ გავერკვევით იმაში, თუ რა კლასებს შესწევთ უნარი, ობიექტურ-ეკონომიური პირობების გამო, ძლევამოსილი გახადონ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, ჩვენი სიტყვები იმ მისწრაფების შესახებ, რომ ძლევამოსილი გავხადოთ ეს რევოლუცია, იქნება ცარიელი ფრაზები, მარტოოდენ დემოკრატიული დეკლამაცია, ჩვენი ტაქტიკა ბურჟუაზიულ რევოლუციაში გარდუვალად იქნება უპრინციპო და მერყევი.

მეორე მხრით, რათა კონკრეტულად განვსაზღვროთ რევოლუციური პარტიის ტაქტიკა საერთო-ნაციონალური კრიზისის უაღრესად მშფოთვარე დროს, რასაც ქვეყანა განიცდის, აშკარად არ არის საკმარისი მარტო აღნიშვნა იმ კლასებისა, რომლებსაც უნარი შესწევთ იმოქმედონ რევოლუციის ძლევამოსილად დამთავრების აზრით. ეგრეთწოდებული მშვიდობიანი განვითარების პერიოდებისაგან, იმ პერიოდებისაგან, როცა ეკონომიური პირობები არ იწვევენ ღრმა კრიზისებს, არ წარმოშობენ მძლავრ მასობრივ მოძრაობას, რევოლუციური პერიოდები სწორედ იმით განირჩევიან, რომ ბრძოლის ფორმები რევოლუციურ პერიოდებში გარდუვალად არის ხოლმე გაცილებით უფრო მრავალნაირი, იმასთან მასების უშუალო რევოლუციური ბრძოლა სჭარბობს

წინამძღოლთა საპროპაგანდო-საგიტაციო მოღვაწეობას პარლამენტში, პრესაში და სხვ.. ამიტომ, თუ რევოლუციური პერიოდების შეფასებისას ჩვენ დავჯერდებით სხვადასხვა კლასის მოქმედების ხ ა ზ ი ს განსაზღვრას და არ გავუკეთებთ ანალიზს მათი ბრძოლის ფ ო რ მ ე ბ ს, მაშინ ჩვენი მსჯელობა მეცნიერულად არასრული, არადიალექტიკური იქნება, ხოლო პრაქტიკულ-პოლიტიკურად იგი მ კ ვ დ ა რ რ ე ზ ო ნ ი ო რ ო ბ ა დ იქცევა (რასაც ფრჩხილებში ვიტყვით, ცხრამეათედით სჯერდება ამხ. პლეხანოვი თავის ნაწერებში სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკაზე რუსეთის რევოლუციაში).

რევოლუცია მართლაც მარქსისტულად, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით რომ შეაფასო, უნდა შეაფასო იგი, როგორც ბრძოლა ცოცხალი საზოგადოებრივი ძალებისა, რომლებიც ჩაყენებულნი არიან ასეთ და ასეთ ობიექტურ პირობებში, მოქმედებენ ასე და ასე და მეტნაკლები წარმატებით იყენებენ ბრძოლის ასეთსა და ასეთს ფორმებს. ასეთი ანალიზის ნიადაგზე და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ნიადაგზე საესებით შესაფერისია, კიდევ მეტი, აუცილებელიცაა მარქსისტისათვის ბრძოლის ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი მხარის, მისი ტექნიკური საკითხების შეფასებაც. აღიარება ბრძოლის განსაზღვრული ფორმისა და უარყოფა იმისა, რომ აუცილებელია ისწავლო მისი ტექნიკა, — ეს იგივეა ჩვენ რომ საჭიროდ ვცნოთ მ ო ც ე მ უ ლ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ანგარიში არ გავუწიოთ იმ კანონს, რომელიც ა მ არჩევნების ტექნიკას აწესებს.

შევეხოთ ახლა კაუცკის პასუხს ორივე ზემოთდასმულ საკითხზე, რომელიც, როგორც ცნობილია, შეტად ხანგრძლივსი და ცხარე დავას იწვევდა რუს სოციალ-დემოკრატებს შორის რევოლუციის მ თ ე ლ ი პერიოდის განმავლობაში, დაწყებული 1905 წლის გაზაფხულით, როცა რსდმპ ლონდონის ბოლშევიკურმა მესამე ყრილობამ [28] და ამავე დროს ჟენევაში შემდგარმა მენშევიკურმა კონფერენციამ ზუსტ რეზოლუციებში დაადგინეს თავიანთი ტაქტიკის პრინციპული საფუძვლები, და

გათავებული გაერთიანებული რსდმპ 1907 წლის გაზაფხულის ლონდონის ყრილობით [22].

პირველ კითხვაზე კაუცკი შემდეგ პასუხს იძლევა. დასავლეთ ევროპაში, — ამბობს ის, — პროლეტარიატი შეიცავს მოსახლეობის დიდ მასას. ამიტომ დემოკრატიის გამარჯვება ახლანდელ ევროპაში ნიშნავს პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობას. «რუსეთში, სადაც გლეხი მოსახლეობა სჭარბობს, ეს მოსალოდნელი არ არის. რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება ახლო მომავალში (გერმანულად: **äbsehbar**, ე. ი. ისეთ მომავალში, რომელიც შეიძლება გაითვალისწინო, თვალით განჭვრიტო) გამორიცხული არ არის რუსეთშიაც, მაგრამ ეს გამარჯვება შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის (**Koalition**) საქმე». და კაუცკი იმასაც კი ამბობს, რომ ასეთი გამარჯვება გარდუვალად მისცემდა მძლავრ ბიძგს პროლეტარულ რევოლუციას დასავლეთ ევროპაში.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ცნება ჯერ კიდევ საკმაოდ არ განსაზღვრავს იმ ძალებს, რომლებმაც შეიძლება გამარჯვება მოიპოვონ ასეთ რევოლუციაში. შესაძლებელია და ყოფილა ისეთი ბურჟუაზიული რევოლუციები, რომლებშიც სავაჭრო და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია მთავარი მამოძრავებელი ძალის როლს ასრულებდა. ამგვარი რევოლუციების გამარჯვება შესაძლებელი იყო, როგორც ბურჟუაზიის სათანადო ფენის გამარჯვება თავის მოწინააღმდეგეებზე (მაგალითად, პრივილეგიურ თავადაზნაურობაზე ან შეუზღუდავ მონარქიაზე). სხვაგვარი მდგომარეობაა რუსეთში. ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვება ჩვენში შეუძლებელია, რ ო გ ო რ ც ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა. ეს პარადოქსად ჩანს, მაგრამ ეს ფაქტია. გლეხი მოსახლეობის სიჭარბე, მისი საშინელი დაბეჩავება (ნახევრადბატონყმური) მსხვილი მიწათმფლობელობით, უკვე სოციალისტურ პარტიად დარაზმული პროლეტარიატის ძალა და შეგნებულობა, — ყველა ეს გარემოება თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ხასიათის

აძლევს ჩ ვ ე ნ ს ბურჟუაზიულ რევოლუციას. ეს თავისებურება არ სპობს რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათს (როგორც მარტოვი და პლეხანოვი ცდილობდნენ წარმოედგინათ საქმე თავიანთ მეტად უხეირო შენიშვნებში კაუცკის პოზიციის გამო). ეს თავისებურება მხოლოდ განაპირობებს ჩვენი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ხასიათს და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის აუცილებლობას ა ს ე თ რევოლუციაში გამარჯვებისათვის. ვინაიდან «პროლეტარიატისა და გლეხობის კოალიცია», რომელიც გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს აღწევს ბურჟუაზიულ რევოლუციაში, სხვა არა არის რა, თუ არა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა.

ეს დებულება გამოსავალი პუნქტია ტაქტიკური უთანხმოებისა სოციალ-დემოკრატიის შიგნით რევოლუციის დროს. მხოლოდ მაშინ, თუ ამ დებულებას მხედველობაში მივიღებთ, შეგვიძლია გავიგოთ ყველა კერძო დავა (კადეტების მხარის დაჭერის საკითხზე საერთოდ, მემარცხენე ბლოკზე და მის ხასიათზე და ა. შ.) და შეტაკებანი ცალკეულ შემთხვევათა გამო. მხოლოდ ეს ძირითადი ტაქტიკური უთანხმოება და სრულიადაც არა «მებრძოლიზმი» ან «ბოიკოტიზმი», როგორც ზოგჯერ ფიქრობენ საქმეს გაუცნობელი ადამიანები, არის ბოლშევიკებისა და მენშევიკების უთანხმოებათა ს ა თ ა ვ ე რევოლუციის პირველ პერიოდში (1905 — 1907 წლები).

და უაღრესად აუცილებელია მთელი ყურადღებით გამოვიკვლიოთ უთანხმოების ეს სათავე, განვიხილოთ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ორივე სათათბიროს და გლეხთა უშუალო ბრძოლის გამოცდილება. თუ ჩვენ ასეთ სამუშაოს ა ხ ლ ა არ შევასრულებთ, — მაშინ ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადავდგამთ ტაქტიკის დარგში მოძრაობის შემდგომი ალმავლობისას ისე, რომ არ აღვძრათ ძველი დავა ან არ გამოვიწვიოთ ფრაქციული კონფლიქტები და დაშლა პარტიის შიგნით. სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ლიბერალიზმისა და გლეხური ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი უნდა დადგინ-

დეს რუსეთის რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე. სხვანაირად ჩვენ არ გვექნება პროლეტარიატის პრინციპულად გამართული ტაქტიკა. «პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი», შევნიშნავთ აქვე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავიგოთ პროლეტარიატისა და გლეხობის სხვადასხვა კლასის თუ პარტიების შეერთების აზრით. არათუ შეერთება, არამედ ყოველგვარი ხანგრძლივი შეთანხმებაც კი დამღუპველი იქნებოდა მუშათა კლასის სოციალისტური პარტიისათვის და დ ა ა ს უ ს ტ ე ბ დ ა რევოლუციურ-დემოკრატიულ ბრძოლას. გლეხობა რომ გარდუვალად მერყეობს ლიბერალურ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ეს მისი კლასობრივი მდგომარეობიდან გამომდინარეობს, ხოლო ჩვენმა რევოლუციამ ამ მხრივ უამრავი მაგალითი მოგვცა ბრძოლის სულ სხვადასხვა დარგში (ვიტეს სათათბიროს ბოიკოტი; არჩევნები; ტრუდოვიკები I და II სათათბიროში და ა. შ.). მხოლოდ მაშინ, თუ პროლეტარიატი აწარმოებს რევოლუციის ავანგარდის უთუოდ დამოუკიდებელ პოლიტიკას, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს იგი ჩამოაშოროს გლეხობა ლიბერალებს, გაათავისუფლოს იგი მათი გავლენისაგან, თან გაიყოლოს ბრძოლის მსვლელობაში და ამრიგად განახორციელოს «კავშირი» ს ა ქ მ ი თ, კავშირი მაშინ და იმდენად, როცა და რამდენადაც გლეხობა რევოლუციურად იბრძვის. არა ლაქუცი ტრუდოვიკებთან, არამედ მათი სუსტი მხარეებისა და ქანაობის ულმობელი კრიტიკა, რესპუბლიკური და რევოლუციური გლეხური პარტიის იდეის პროპაგანდა — აი ერა გზით შეიძლება განხორციელდეს პროლეტარიატისა და გლეხობის «კავშირი» საერთო მტრებზე გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს და არა ბლოკებისა და შეთანხმებათა თამაშისათვის.

რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ჩვენ მიერ აღნიშნული განსაკუთრებული ხასიათი განასხვავებს მას ახალი დროის სხვა ბურჟუაზიული რევოლუციებისგან, მაგრამ აახლოებს ძველი დროის დ ი დ ბურჟუაზიულ რევოლუციებთან, როცა გლეხობა თვალსაჩინო რევოლუციურ როლს ასრუ-

ლებდა. ამ მხრივ უაღრესი ყურადღების ღირსია ის, რასაც წერდა ფრიდრიხ ენგელსი თავის შესანიშნავ ღრმა და აზრებით მდიდარ სტატიაში «ისტორიული მატერიალიზმის შესახებ» (ინგლისური წინასიტყვაობა შრომისა «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ», გადათარგმნილი თვითონ ენგელსის მიერ გერმანულ ენაზე «**Neue Zeit**»-ში *, 1892 — 1893, წელი XI, ტომი 1). «ორიგინალური მოვლენაა, — ამბობს ენგელსი, — საშიშე დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაში» (რეფორმაცია გერმანიაში და XVI საუკუნის გლეხთა ომი; ინგლისის XVII საუკუნის რევოლუცია; საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლუცია) «გლეხები შეადგენდნენ მებრძოლ არმიას. და სწორედ გლეხები წარმოადგენდნენ იმ კლასს, რომელიც მოპოვებული გამარჯვების შემდეგ გარდუვალად ჩანაგდება ამ გამარჯვების ეკონომიური შედეგების გამო. კრომველიდან ასი წლის შემდეგ ინგლისელი იომანრი (**jeomanry** — გლეხობა) თითქმის საკვებით გაჭრა. ამავე დროს კი მხოლოდ და მხოლოდ ამ იომანრისა და ქალაქის პლებეური ელემენტის ჩარევის მეოხებით მივიდა ბრძოლა უკანასკნელ გადამწყვეტ შედეგამდე, და კარლოს I ეშაფოტზე მოხვდა. იმისათვის, რომ ბურჟუაზიას შესძლებოდა მიეღო გამარჯვების ის ნაყოფი მაინც, რომელიც მაშინ უკვე საკვებით მომწიფებული იყო მოსაკრეფად, — ამისათვის საჭირო იყო რევოლუცია საგრძნობლად გასცილებოდა ასეთ მიზანს. სწორედ ასევე იყო 1793 წელს საფრანგეთში, 1848 წელს — გერმანიაში. ჩანს, ასეთია ნამდვილად ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი კანონი». იმავე სტატიის მეორე ადგილასაც ენგელსი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის რევოლუცია იყო «პირველი აჯანყება, რომელშიაც ბრძოლა მიყვანილ იქნა ბოლომდე, ერთ-ერთი მებრძოლი მხარის, სახელდობრ არისტოკრატიის, სრულ მოსპობამდე და მეორე მხარის, სახელდობრ ბურჟუაზიის, სრულ გამარჯვებამდე» [27].

* — «ახალი დროება». რ ე დ.

ენგელსის ორივე ისტორიული დაკვირვება თუ განზოგადება შესანიშნავად დაადასტურა რუსეთის რევოლუციის მსვლელობამ. დადასტურდა ისიც, რომ მხოლოდ გლეხობისა და პროლეტარიატის, «ქალაქის პლებეური ელემენტის» ჩარევას შეუძლია სერიოზულად წასწიოს წინ ბურჟუაზიული რევოლუცია (თუ XVI საუკუნის გერმანიასა, XVII საუკუნის ინგლისსა და XVIII საუკუნის საფრანგეთში შეიძლება გლეხობა პირველ რიგში დავაყენოთ, XX საუკუნის რუსეთში უთუოდ აუცილებელია გადავაბრუნოთ თანაფარდობა, ვინაიდან პროლეტარიატის ინიციატივისა და ხელმძღვანელობის გარეშე გლეხობა არაფერია). დადასტურდა ისიც, რომ რევოლუცია უნდა წავწიოთ მის უშუალო, უახლოეს, უკვე სავსებით მომწიფებულ ბურჟუაზიულ მიზნებზე გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო შ ო რ ს, რათა ნამდვილად განვახორციელოთ ე ს მიზნები, რათა საბოლოოდ განვამტკიცოთ მინიმალური ბურჟუაზიული მონაპოვარნი. ამიტომ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ზიზღით მოეპყრობოდა ენგელსი მეშჩანურ რეცეპტებს — წინასწარ მოამწყვდიონ რევოლუცია მხოლოდ უშუალო-ბურჟუაზიულ, ვიწრო-ბურჟუაზიულ ჩარჩოებში, «რათა არ დაფრთხეს ბურჟუაზია», როგორც ამბობდნენ კავკასიელი მენშევიკები თავის 1905 წლის რეზოლუციაში, ან რათა იყოს «გარანტია რესტავრაციისაგან», როგორც ამბობდა სტოკჰოლმში პლეხანოვი!

მეორე საკითხს, 1905 წლის დეკემბრის აჯანყების შეფასების საკითხს, კაუცკი განიხილავს თავისი ბროშურის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში. «მე უკვე ახლა არ შემიძლია, — წერს იგი, — იმ გარკვეულობით, როგორც 1902 წელს, ვამტკიცო, რომ შეიარაღებული აჯანყებანი და საბარიკადო ბრძოლები არ ითამაშებენ გადამწყვეტ როლს მომავალ რევოლუციებში. ამის წინააღმდეგ ძალიან მკაფიოდ მეტყველებს გამოცდილება მოსკოვის ქუჩებში გამართული ბრძოლისა, როცა ერთი მუჭა ხალხი კვირის განმავლობაში უმკლავდებოდა მთელ არმიას საბარიკადო ბრძოლაში და თითქმის აღწევდა გამარჯ-

ვებას, სხვა ქალაქებში რევოლუციური მოძრაობის მარცხს რომ შესაძლებელი არ გაეხადა გაეგზავნათ არმიისათვის ისეთი მაშველი ძალები, რომ, ბოლოს და ბოლოს, ინსურგენტების წინააღმდეგ თავმოყრილ იქნა საშინლად ჭარბი ძალა. რა თქმა უნდა, საბარიკადო ბრძოლის ეს შედარებითი წარმატება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქის მოსახლეობა ენერგიულად უჭერდა მხარს რევოლუციონერებს, ხოლო ჯარები სავსებით დემორალიზებულნი იყვნენ. მაგრამ ვის შეუძლია გარკვეულად ამტკიცოს, რომ რაღაც მსგავსი შეუძლებელია დასავლეთ ევროპაში?»

ამრიგად, აჯანყებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, როცა უკვე შეუძლებელი იყო მებრძოლთა უშუალო გამხნევების მიზნით გატაცება, ისეთი ფრთხილი მკვლევარი, როგორიც კაუცკი არის, გადაჭრით აღიარებს მოსკოვის აჯანყებას საბარიკადო ბრძოლის «შედარებით წარმატებად» და საჭიროდ თვლის შეასწოროს ის თავისი საერთო დასკვნა, რომ ქუჩის ბრძოლების როლი მომავლის რევოლუციებში არ შეიძლება დიდი იყოსო.

1905 წლის დეკემბრის ბრძოლამ დ ა ა მ ტ კ ი ც ა, რომ შეიარაღებულმა აჯანყებამ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გაიმარჯვოს სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო ორგანიზაციის თანამედროვე პირობებში. დეკემბრის ბრძოლამ ის მოგვცა, რომ მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობა ამიერიდან უნდა ითვალისწინებდეს ბრძოლის ამგვარივე ფორმების შესაძლებლობას უახლოეს პროლეტარულ რევოლუციებში. აი ნამდვილად რა დასკვნები გამომდინარეობენ ჩვენი რევოლუციის გამოცდილებიდან, — აი რა გაკვეთილები უნდა შეითვისონ უფართოესმა მასებმა. რა შორსაა ეს დასკვნები და ეს გაკვეთილები მსჯელობის იმ ხ ა ზ ი ს ა გ ა ნ, რომელიც მოგვცა პლეხანოვმა თავის ჰეროსტრატულ — შესანიშნავი აზრით დეკემბრის აჯანყების შესახებ: «არ უნდა მოეკიდნათ ხელი იარაღისთვისაო». რა უამრავი რენეგატული კომენტარი გამოიწვია ამგვარმა შეფასებამ! რა ურიცხვი ბინძური ლიბერალური ხელი ებლა-

უჭებოდა მას, რათა გახრწნილება და მეშჩანური კომპრომისის სულისკვეთება შეეტანათ მუშათა მასებში!

პლეხანოვის შეფასებაში ისტორიული სიმართლის ნატამალიც არ არის. თუ მარქსმა, რომელმაც კომუნამდე ნახევარი წლით ადრე თქვა, რომ აჯანყება სიგიჟე იქნებაო, მაინც შესძლო შეეფასებინა ეს «სიგიჟე», როგორც XIX საუკუნის პროლეტარიატის უდიდესი მასობრივი მოძრაობა, ათასჯერ უფრო მეტი უფლებით უნდა ნერგავდნენ ახლა რუსი სოციალ-დემოკრატები მასებში იმ რწმენას, რომ დეკემბრის ბრძოლა უალრესად აუცილებელი, უალრესად კანონიერი, უალრესად დიდი პროლეტარული მოძრაობა იყო კომუნის შემდეგ. რუსეთის მუშათა კლასი სწორედ ასეთ შეხედულებებზე აღიზრდება, — რაც უნდა ილაპარაკოს, რაც უნდა ცრემლი ღვაროს სოციალ-დემოკრატიის ამა თუ იმ ინტელიგენტმა.

აქ, იქნებ, საჭირო იყოს შენიშვნა, თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ ეს სტატია პოლონელი ამხანაგებისათვის იწერება. მე, სამწუხაროდ, პოლონური ენა არ ვიცი და მხოლოდ ყურმოკვრით ვიცნობ პოლონეთის პირობებს. და ადვილად შეუძლიათ მიპასუხონ, რომ სწორედ პოლონეთში მთელმა პარტიამ კისერი მოიტეხა უძლური პარტიზანულობის, ტერორისა და ბრჭყვიალა აფეთქებათა გამო, და სწორედ აჯანყების ტრადიციებისა და პროლეტარიატისა და გლეხობის ერთობლივი ბრძოლის გულისთვისაო (პოლონეთის სოციალისტური პარტიის ეგრეთწოდებული «პრავიცა» [23]). ძალიან შესაძლებელია, რომ ამ თვალსაზრისით პოლონეთის პირობები მართლაც რადიკალურად განსხვავდებოდეს დანარჩენი რუსეთის პირობებისაგან. ამის შესახებ არაფერი არ შემიძლია ვთქვა. მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ არსად, გარდა პოლონეთისა, არ გვინახავს ჩვენ რევოლუციური ტაქტიკიდან ასეთი უაზრო გადახვევა, რომელიც სამართლიან წინააღმდეგობასა და ბრძოლას იწვევს. და აქ თავისთავად იბადება აზრი: ხომ სწორედ პოლონეთში არ ყოფილა მასობრივი შეიარაღებული ბრძოლა 1905 წლის დეკემბერს! და განა სწორედ ამიტომ არ დაინერგა პო-

ლონეთში და მხოლოდ პოლონეთში დამახინჯებული და უაზრო ტაქტიკა ანარქიზმისა, რომელიც რევოლუციას «აკეთებს», განა ამიტომ არ არის ასე, რომ პირობებმა შეუძლებელი გახადეს იქ, თუნდაც მოკლე ხნით, განვითარებულიყო მასობრივი შეიარაღებული ბრძოლა? განა სწორედ ასეთი ბრძოლის ტრადიცია, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ტრადიცია არ წარმოადგენს ზოგჯერ ერთადერთ სერიოზულ საშუალებას, რომ დაძლეულ იქნას ანარქისტული ტენდენციები მუშათა პარტიის შიგნით არა შაბლონური, ფილისტერული, მეშჩანური მორალის დახმარებით, არამედ იმ გზით, რომ უმიზნო, უაზრო, დაჭაჭსული ძალადობის ნაცვლად გამოვიყენოთ მიზნობრივი, მასობრივი, ფართო მოძრაობასთან დაკავშირებული ძალადობა და გავამწვავოთ უშუალოდ პროლეტარული ბრძოლა?

ჩვენი რევოლუციის შეფასების საკითხს სრულიადაც არა აქვს მარტო თეორიული მნიშვნელობა, არამედ უაღრესად უშუალო, პრაქტიკულად საჭირბოროტო მნიშვნელობაცა აქვს. მთელი ჩვენი მუშაობა პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის დარგში ამჟამად განუყრელად დაკავშირებულია მუშათა კლასისა და ნახევრადპროლეტარული მოსახლეობის უფართოესი მასების მიერ სამი დიადი წლის გაკვეთილების შეთვისების პროცესთან. ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია დავჯერდეთ ცარიელ განცხადებას (პოლონეთის სოციალისტური პარტიის «ლევიცის» X ყრილობის რეზოლუციების მსგავსად), რომ მონაცემები ახლა საშუალებას არ გვაძლევენ დავადგინოთ, რევოლუციური აფეთქების გზა თუ ხანგრძლივი, ნელი, პატარა ნაბიჯებით წინსვლის გზა ძევს ახლა ჩვენს წინაშე. რა თქმა უნდა, ამის დადგენას ახლა მსოფლიოს ვერავითარი სტატისტიკა ვერ შესძლებს. რა თქმა უნდა, ჩვენი მუშაობა ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ იგი მთლიანად გამსჭვალული იყოს საერთო სოციალისტური სულისკვეთებითა და შინაარსით, რაც უნდა მძიმე განსაცდელს გვიმზადებდეს ჩვენ მომავალი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. ამაზე შეჩერება იმას ნიშნავს, რომ არ შეგვეძლოს რაიმე ფაქტიური

ხელმძღვანელობა გავუწიოთ პროლეტარულ პარტიას. ჩვენ პირდაპირ უნდა დავსვათ და მტკიცედ გადავწყვიტოთ საკითხი, თუ რა მიმართულებით გავწევთ ჩვენ ახლა მუშაობას რევოლუციის სამი წლის გამოცდილების გადასამუშავებლად? ჩვენ აშკარად და ყველას გასაგონად უნდა განვაცხადოთ, იმათ ჭკუის სასწავლებლად, ვინც მერყეობს და სულით ეცემა; იმათ შესარცხვენად, ვინც რენეგატობს და სოციალიზმს შორდება, რომ მუშათა პარტია მასების უშუალო-რევოლუციურ ბრძოლაში, 1905 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის ბრძოლაში ხედავს პროლეტარიატის უდიდეს მოძრაობას კომუნის შემდეგ, რომ მხოლოდ ბრძოლის ასეთი ფორმების განვითარება წარმოადგენს რევოლუციის მომავალ წარმატებათა საწინდარს, რომ ბრძოლის ეს ნიმუშები უნდა გვინათებდეს გზას მებრძოლების ახალ თაობათა აღზრდის საქმეში.

თუ ჩვენ ასეთი მიმართულებით გავწევთ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას და გვეხსომება, რომ პარტიის მხოლოდ მრავალი წლის სერიოზულმა და მტკიცე მოსამზადებელმა მოღვაწეობამ უზრუნველყო მისი სრული გავლენა პროლეტარიატზე 1905 წელს, — ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ მოვლენათა ყოველგვარი განვითარებისა და თვითმპყრობელობის რღვევის ყოველგვარი ტემპის დროს მუშათა კლასი განუხრელად განმტკიცდება და შეგნებულ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ძალად გაიზრდება.

დაიბეჭდა 1908 წ. აპრილს ჟურნალში
«Przeglacd Socjaldemokratyczny» № 2
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

რუსულ ენაზე (თარგმანი პოლონურიდან)
დაიბეჭდა 1908 წ. 10 (23) მაისს
გაზეთ «პროლეტარში» № 30

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
ჟურნალის ტექსტთან.

მეორე გაწვევის კადეტები

რუსეთიდან მიღებული კორესპონდენცია, რომელსაც ამ ნომერში ვათავსებთ «მეცნიერული ქრონიკის» სათაურით, მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ჩვენ მივიღეთ — ჩვენი გაზეთის გამოსვლის წინ — იმ ფაქტების დადასტურება, რომლებზედაც კორესპონდენტი ლაპარაკობს, და უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ მათზე.

იქმნება ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია; ხდება საზოგადოებრივი მოძრაობის ერთგვარი ახალი შებრუნება. ჯგუფდებიან ბურჟუაზიული დემოკრატიის ელემენტები, რომლებსაც სურთ «კადეტებზე მემარცხენენი» იყვნენ და რომლებიც იზიდავენ მენშევიკებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს. თავს იჩენს თითქოს ერთგვარი ბუნდოვანი შეგნება იმისა, რომ კადეტური ოპოზიცია მესამე სათათბიროში არის ხრწნადი გვამი და რომ აუცილებელია «რაღაცა გაკეთდეს» ამ ოპოზიციის დამოუკიდებლად.

ასეთია ფაქტები. ეს ფაქტები ჯერ კიდევ სრულიადაც არ განირჩევიან გარკვეულობით, მაგრამ უკვე სახავენ იმ გაკვეთილების თვალსაზრისით გასაგებსა და გარდუვალ მოვლენებს, რომლებიც რევოლუციის პირველმა სამმა წელმა მოგვცა.

პირველი გაწვევის კადეტები რევოლუციის ღია სცენაზე 1905 წლის ზაფხულში გამოჩნდნენ. სამი არასრული წლის განმავლობაში მათ მოასწრეს დამჭკნარიყვნენ ისე, რომ გაფურჩქვნა ვერ მოასწრეს. მათ ნაცვლად ჩნდებიან მეორე

გაწვევის კადეტები. რა აზრი აქვს ამ ცვლილებას და რა ამოცანებს აყენებს იგი მუშათა პარტიის წინაშე?

პირველი გაწვევის კადეტები ხმაურობდნენ 1904 წლის ბანკეტებზე, ეწეოდნენ საერობო კამპანიას, გამოხატავდნენ საზოგადოებრივი აღმავლობის დასაწყისს მაშინ, როცა ჯერ კიდევ სრულიად გაურკვეველი იყო კლასების დამოკიდებულება თვითმპყრობელობისადმი და ერთმანეთს შორის, ე. ი. იმ დრომდე, როცა მასების აშკარა ბრძოლამ და კლასების, და არა პატარა ჯგუფების, პოლიტიკამ განსაზღვრა ეს ურთიერთობა. კადეტები აჯგუფებდნენ მაშინ ბურჟუაზიული, ეგრეთწოდებული განათლებული საზოგადოების ყველა დაყოველგვარ ელემენტებს, დაწყებული მემამულით, რომელიც ცდილობდა მოეპოვებინა არა იმდენად კონსტიტუცია, რამდენადაც სანელებლით შეზავებული ზუთხი, და გათავებული მოსამსახურე, დაქირავებული ინტელიგენციით. კადეტები ენზადებოდნენ შუამავლობა გაეწიათ «ისტორიულ ძალაუფლებასა», ე. ი. მეფის თვითმპყრობელობასა, და მუშათა კლასის და გლეხობის მებრძოლ მასებს შორის. დეპუტაცია მეფესთან 1905 წლის ზაფხულში დასაწყისი იყო ამ მლიქვნელობისა, — ვინაიდან სხვანაირი შუამავლობა, გარდა მლიქვნელობისა, არ ესმით რუს ლიბერალებს. და მას შემდეგ არ ყოფილა რუსეთის რევოლუციის არც ერთი რამდენადმე დიდი ეტაპი, როცა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს არ «ეშუამავლოს» თვითმპყრობელობისა და მემამულეთა შავრაზმული ხროვის მსახურთა წინაშე იმავე მუხლმოდრეკის მეთოდით. 1905 წლის აგვისტოში იგი ებრძოდა ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის რევოლუციურ ტაქტიკას. 1905 წლის ოქტომბერში მან გამოჰყო ოქტიაბრისტების აშკარად კონტრრევოლუციური პარტია და ამავე დროს პეტრე სტრუვე გაგზავნა ვიტესთან დერეფანში და ქადაგებდა ზომიერებასა და წესიერებას. 1905 წლის ნოემბერში ის გმობდა ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვას და მწუხარებას გამოთქვამდა ჯარისკაცების აჯანყებათა «საშინელების» გამო. 1905 წლის დეკემ-

ბერში ის დამფრთხალი ეტმასნებოდა დუბასოვს[29], რათა მეორე დღეს შეემუსრა (მგონი, უნდა გვეთქვა — ჩაეწიხლა) «სიგიჟის სტიქია». 1906 წლის დამდეგს ის ცხარედ იცავდა თავს «სამარცხვინო» ეჭვისაგან, თითქოს ლიბერალებს შეეძლოთ აგიტირება საზღვარგარეთ თვითმპყრობელობის განსამტკიცებელი მილიარდიანი სესხის წინააღმდეგ. პირველ სათათბიროში ლიბერალიზმი ყბედობდა სახალხო თავისუფლებაზე. ამასთან ჩუმად დაძვრებოდა უკანა კიბიდან ტრეპოვთან და ებრძოდა ტრუდოვიკებსა და მუშათა დეპუტატებს. ვიბორგის მანიფესტით[30] ის ცდილობდა მოეკლა ორი კურდღელი, გამძვრალ-გამომძვრალიყო ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ქცევა — საჭიროების მიხედვით — აეხსნათ რევოლუციის მხარის დაჭერის აზრითაც და რევოლუციასთან ბრძოლის აზრითაც. ალარაფერს ვამბობთ მეორე და მესამე სათათბიროებზე, სადაც კადეტების ლიბერალიზმმა მთელი ბრწყინვალებით გვიჩვენა თავისი ოქტიაბრისტული ბუნება.

სამი წლის განმავლობაში კადეტებმა იმდენი «იმუშავეს», რომ ახალი გამოცოცხლების ცდები თავიდანვე უკავშირდება ლოზუნგს — «კადეტებზე მარცხნივ!» პირველი გაწვევის კადეტებმა ა უ ტ ა ნ ე ლ ი გ ა ხ ა დ ეს თ ა ვ ი ს თ ა ვ ი. მათ დაისამარეს თავი ხალხის თავისუფლების მუდმივი გამცემლობით.

მაგრამ ხომ არ არიან იმავე გვამის შხამით მოწამლული მეორე გაწვევის კადეტები, რომლებიც ძველების ნაცვლად მოდიან? ხომ არ აპირებენ «სოციალ-კადეტები», ბატონი სახალხო სოციალისტები, რომლებიც განსაკუთრებით ხმაურობენ ახალი ორგანიზაციის ახლო, გაიმეორონ ძველი, სამი წლის გამოცდილებით ჩვენთვის უკვე ცნობილი, ევოლუცია?

ამ კითხვას უნდა ვუპასუხოთ არა მომავლის მკითხაობით, არამედ წარსულის ანალიზით. და ეს ანალიზი უდავოდ ცხადყოფს, რომ «ესერული მეწშევიკები», ბატონი სახალხო სოციალისტები მართლაც ასრულებდნენ კადეტების როლს ტრუდოვიკული, გლეხური პოლიტიკური ორგანიზაციის ანუ,

უფრო სწორად რომ ითქვას, პოლიტიკური მოძრაობის იმ წრეში, რომელშიც ისინი მოქმედებდნენ თავის «საუკეთესო დღეებში», მაგალითად, პირველი სათათბიროს ეპოქაში. გაიხსენეთ მთავარი ფაქტები სახალხო სოციალისტების «პარტიის» (პაწაწა ჯგუფის?) ისტორიისა რუსეთის რევოლუციაში. თავისი ნათლობა მათ მიიღეს «განთავისუფლების კავშირში» [31]. ესერების პარტიის ყრილობაზე, 1905 წლის დეკემბერში, ისინი — მუდამ მერყეევნი კადეტებსა და ესერებს შორის — იცავდნენ უაზრო ბუნდოვან პოზიციას, რადგან სურდათ სოციალისტ-რევოლუციონერებთან ყოფილიყვნენ ერთადაც და ცალ-ცალკეც. ოქტომბრის თავისუფლებათა პერიოდში ისინი უძღვებოდნენ პოლიტიკურ გაზეთებს სოც.-რევოლუციონერებთან შეკავშირებულნი. ასევე იყო პირველი სათათბიროს ეპოქაში: «უმაღლესი» დიპლომატია, უთანხმოებათა «ეშმაკური» დაფარვა ხალხის თვალისაგან! პირველი სათათბიროს გარეკვის შემდეგ, აჯანყებათა მეორე ხანის მარცხის შემდეგ, სვეაბორგის დათრგუნვის შემდეგ ამ ჯენტლმენებმა გადაწყვიტეს მარჯვნივ შებრუნება. ისინი «ალეგალიზებენ» თავის პარტიას მხოლოდ იმისათვის, ცხადია, რომ პრესაში ლეგალურად დაგმონ აჯანყების იდეა და ამტკიცონ აქტიური რესპუბლიკური პროპაგანდის უდროობა. გლეხთა დეპუტატების წინაშე პირველ სათათბიროში ისინი ამარცხებენ ესერებს, — აგროვებენ 104 ხელმოწერას თავის აგრარულ პროექტზე 33 ესერული ხელმოწერის წინააღმდეგ. წვრილი მეპატრონე გლეხის «ფხიზელი» ბურჟუაზიული მისწრაფება მიწის ნაციონალიზაციისაკენ სძლევს «სოციალიზაციის» ბურუსს. გლეხთა პოლიტიკურ-რევოლუციური ორგანიზაციისაკენ, აჯანყებისათვის ორგანიზაციისაკენ მისწრაფების ნაცვლად ჩვენ სოციალ-კადეტებში ვხედავთ მისწრაფებას ლეგალობისა და პარლამენტარიზმის თამაშისაკენ, ვიწრო ინტელიგენტური წრეობრიობისაკენ. რუსი გლეხის მერყეობა კადეტიდან და ინტელიგენტ ოპორტუნისტ სახალხო სოციალისტიდან ინტელიგენტურად არამტკიცე რევოლუციონერი ესერისაკენ მოასწავებს წვრილი მიწათმოქმედების ორჭოფ

მდგომარეობას, მის უუნარობას პროლეტარიატის ხელმძღვანელობის გარეშე აწარმოოს მტკიცე კლასობრივი ბრძოლა.

და თუ ახლა ბატონი სახალხო სოციალისტები კვლავ იწყებენ მენარცხენე კადეტებთან «ყიალს» და თან მიათრევენ მოუსაზრებელ მენშევიკებსა და ესერებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ კომპანიას ვერაფერი ვერ უსწავლია რევოლუციის სამი წლის განმავლობაში. ისინი ამბობენ, ეკონომიური მოთხოვნები გვაცალკევებენო. მათ სურთ გაერთიანდნენ უფრო მახლობელ პოლიტიკურ მოთხოვნებზე. მათ სრულიად ვერაფერი გაუგიათ რევოლუციის მსვლელობისა, რომელმაც ცხადყო რუსეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, რომ მხოლოდ მასობრივი ბრძოლაა ძლიერი და რომ მხოლოდ სერიოზულ ეკონომიურ გარდაქმნათა გულისათვის შეიძლება გაიშალოს ასეთი ბრძოლა.

მენშევიკები და ესერები რომ ისევ და ისევ მისჩანჩალებენ მემარცხენე კადეტებს, ეს ახალი ამბავი არ არის. ასე იყო II სათათბიროს არჩევნებისას პეტერბურგში. ასე იყო ზოგისთვის კადეტური სამინისტროს და სრულძალაუფლებიანი სათათბიროს საკითხში, ზოგისთვის სახალხო სოციალისტებთან ფარული ბლოკის საკითხში. არის, ალბათ, ღრმა მიზეზები, რომლებიც მეშჩანურ ინტელიგენციას უქმნიან «სენის მაგვარ მიდრეკილებას», ლიბერალური ბურჟუაზიის ფრთებქვეშ ყოფნის მიდრეკილებას.

ამ მიდრეკილებას, ჩვეულებრივ, ფარავენ, რა თქმა უნდა, სიტყვებით იმის შესახებ, რომ უნდათ გამოიყენონ ახალი აღმავლობა ან ძალთა ახალი დაჯგუფება და სხვ.

დიახ, ბატონებო, ჩვენც გვინდა გამოვიყენოთ... გვამი — ოღონდ არა მის «გასაცოცხლებლად», არამედ ნიადაგის გასანოყიერებლად, არა დამპალი თეორიებისა და ფილისტერული სულისკვეთების წაქეზებისათვის, არამედ «ეშმაკის ადვოკატის» როლისათვის. ჩვენ ვასწავლით ხალხს სახალხო სოციალისტებისა და მემარცხენე კადეტების ამ ახალი, კარგი, საუცხოო მაგალითით, ვასწავლით, თუ რა არ უნდა აკეთოს,

ვასწავლით აგრეთვე იმას, რომ მოერიდოს კადეტურ გამცემ-ლობასა და მეშჩანურ უნიათობას. ჩვენ დაკვირვებით ვადევ-ნებთ თვალყურს ამ ახალი მახინჯის ზრდასა და განვითარებას (თუკი იგი მკვდარადშობილი არ არის), — ამასთან ყოველ საათს მოვაგონებთ ვისაც ჯერ არს, რომ ყოველი ასეთი ჩანა-სახი, თუ იგი მკვდრადშობილი არ არის, აუცი-ლებლად და გარდუვალად მოასწავებს თანამედროვე რუსეთ-ში მუშათა კლასისა და გლეხობის მასობრივი ბრძოლის შე-სავალს. «განთავისუფლების კავშირი» აღორძინებაშია. თუ ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ზედაფენები უკვე რაღაცას გრძნობენ. ხოლო თუ ასეა, ეს ნიშნავს, რომ დასაწყისს მოჰყვება გაგრძელება, ინტელიგენტურ ფაციფუცს — პრო-ლეტარული ბრძოლა.

და ბრძოლის გაკვეთილებით, მხოლოდ ბრძოლაში და მხოლოდ რევოლუციურად მებრძოლ გლეხთა მასებთან რე-ვოლუციური დაახლოების გაკვეთილებით ვასწავლით ხალხს მეორე გაწვევის კადეტების სცენაზე გამოსვლის გამო.

«პროლეტარი» №30,
1908 წ. 10 (23) მაისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს"

პირველად დაიბეჭდა 1918 წელს
ცალკე ბროშურად,
გამომც. «ეიზნ ი ზნანიე»

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით

ამ სტატიის ამოცანას შეადგენს რუსეთის სოფლის მეურნეობაში არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობის მოკლე მიმოხილვა. ასეთ ნაშრომს არ შეიძლება სპეციალური გამოკვლევის ხასიათი ჰქონდეს. მან უნდა შეაჯამოს მარქსისტული კვლევის შედეგები, აღნიშნოს ჩვენი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის თვითეული რამდენადმე მაინც დიდი ნიშანთვისების ადგილი რუსეთის სახალხო მეურნეობის საერთო წყობილებაში, დახატოს რუსეთის აგრარულ ურთიერთობათა განვითარების ზოგადი ხაზი და ცხადყოს ის კლასობრივი ძალები, რომლებიც ასე თუ ისე განსაზღვრავენ ამ განვითარებას. ამიტომ ჩვენ განვიხილავთ აღნიშნული თვალსაზრისით რუსეთის მიწათმფლობელობას, შემდეგ მემამულურ და გლეხურ მეურნეობას, ხოლო დასასრულ წარმოვადგენთ საერთო დასკვნებს იმის შესახებ, თუ სად მიგვიყვანა ჩვენმა ევოლუციამ XIX საუკუნის განმავლობაში და რა ამოცანები უანდერძა მან XX საუკუნეს.

I

XIX საუკუნის დამლევის ევროპული რუსეთის მიწათმფლობელობა ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ უახლესი, 1905 წლის საადგილმამულო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით (ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის გამოცემა, სპბ. 1907 [33]).

ამ გამოკვლევით სულ ევროპულ რუსეთში აღრიცხული იყო 395,2 მილიონი დესეტინა მიწა. მისი განაწილება სამ ძირითად ჯგუფად ასეთია:

I	ჯგუფი —	კერძო მფლობელობანი	101,7	მლნ. დეს.
II	»	» სანადელო მიწები	138,8	» »
III	»	» ხაზინისა და სხვა მიწები	154,7	» »
		სულ ევროპულ რუსეთში	395,2	მლნ. დეს.

უნდა ითქვას, რომ სახაზინო მიწების რიცხვში ჩვენს სტატისტიკას შეაქვს შორეული ჩრდილოეთის, არხანგელსკის, ოლონეცისა და ვოლოგდის გუბერნიების ასეულ მილიონზე მეტი დესეტინა. სახაზინო მიწების დიდი ნაწილი უნდა გამორიცხოს, რაკი ლაპარაკია ევროპული რუსეთის ნამდვილ სასოფლო-სამეურნეო ფონდზე. ჩემს ნაშრომში სოციალ-დემოკრატების აგრარულ პროგრამაზე რუსეთის რევოლუციაში (ეს ნაშრომი დაწერილია 1907 წლის დამლევს, მაგრამ მისი გამოქვეყნება შეფერხდა ავტორისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო) ევროპული რუსეთის ნამდვილ სასოფლო-სამეურნეო ფონდს მე განვსაზღვრავ დაახლოებით 280 მილიონ დესეტინად *. სახაზინო მიწებიდან აქ შედის არა ასორმოცდაათი მილიონი, არამედ სულ 39,5 მლნ. დესეტინა, მაშასადამე, მემამულური და გლეხური საკუთრების გარეთ ევროპულ რუსეთში რჩება ერთ მეშვიდედზე ნაკლები ნაწილი მიწის ფართობი. ექვსი მეშვიდედი ორი ანტაგონისტური კლასის ხელშია.

შევხედოთ ამ კლასების მიწათმფლობელობას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წოდებრივადაც, ვინაიდან კერძო მფლობელობის მიწების დიდი ნაწილი თავადაზნაურობისაა, ხოლო სანადელო მიწები — გლეხობისა. 101,7 მილიონი დესეტინა კერძომფლობელობის მიწიდან 15,8 მილიონი ეკუთვნის საზოგადოებებსა და ამხანაგობებს, დანარჩენი

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 270. რედ.

85,9 მლნ. დესეტინა კი პირად საკუთრებას შეადგენს. აი ამ უკანასკნელის განაწილება წოდებათა მიხედვით 1905 წელს და, პარალელურად, 1877 წელს:

მფლობელთა წოდებანი	ეკუთვნის 1905 წ. მლნ. დეს.	%	ეკუთვნის 1877 წ. მლნ. დეს.	%	1905 წელს გადიდდა + შემცირდა — მლნ. დეს.	1905 წელს გადიდდა + შემცირდა — რამდენჯერ
თავადაზნაურებს	53,2	61,9	73,1	79,9	—19,9	—1,40
სასულიერო პირებს	0,3	0,4	0,2	0,2	+ 0,1	+1,74
ვაჭრებსა და საპატიო მოქალაქეებს	12,9	15,0	9,8	10,7	+ 3,1	+1,30
მდაბიო მოქალაქეებს	3,8	4,4	1,9	2,1	+ 1,9	+1,85
გლეხებს	13,2	15,4	5,8	6,3	+ 7,4	+2,21
დანარჩენ წოდებებს	2,2	2,5	0,3	0,3	+ 1,9	+8,07
უცხოელ ქვეშევრდომებს	0,3	0,4	0,4	0,5	— 0,1	—1,52
სულ პირად მესაკუთრეებს	85,9	100,0	91,5	100,0	— 5,6	—1,09

ამრიგად, მთავარი პირადი მესაკუთრენი რუსეთში თავადაზნაურები არიან. მათ ეკუთვნის დიდძალი მიწა. მაგრამ განვითარების მიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ თავადაზნაურული მიწათმფლობელობა მცირდება. იზრდება და უაღრესად სწრაფად იზრდება მიწათმფლობელობის უწოდებრიობა. ყველაზე უფრო სწრაფად 1877—1905 წლების პერიოდში გადიდდა «დანარჩენ წოდებათა» მიწათმფლობელობა (რვაჯერ 28 წლის განმავლობაში) და შემდეგ გლეხებისა (ერთიორად და უფრო მეტად). მაშასადამე, გლეხები სულ უფრო და უფრო გამოყოფენ ისეთ სოციალურ ელემენტებს, რომლებიც მიწის კერძო მესაკუთრეებად იქცევიან. ეს საერთო ფაქტია. და ჩვენ, გლეხური მეურნეობის ანალიზის დროს, უნდა ცხადვყოთ ის საზოგადოებრივ-ეკონომიური მექანიზმი, რომელიც ახდენს ასეთ გამოყოფას. ჯერჯერობით საჭიროა ზუსტად დავადგინოთ, რომ მიწის კერძო საკუთრების განვითარება რუსეთში გამოიხატება წოდებრიობიდან უწოდებრიობისაკენ გადასვლით. XIX საუკუნის დამლევს ფეოდალური ანუ თავადაზნაურობის ბატონყმური საადგილმამულო საკუთრება ისევ მოიცავს მთელი კერძო საადგილმამულო საკუთრების უდიდეს უმრავლესობას, მაგრამ განვი-

თარება აშკარად მიიმართება მიწის ბურჟუაზიული კერძო საკუთრების შექმნისაკენ. კლებულობს ისეთი კერძო მიწათმფლობელობა, რომელიც მემკვიდრეობით გადადის «დრუჟინიკებისა», მემამულეებისა, მსახურეული პირებისა და სხვათაგან. მატულობს ისეთი კერძო მიწათმფლობელობა, რომელსაც პირდაპირ ფულით იძენენ. კლებულობს მიწის ძალა, იზრდება ფულის ძალა. მიწა სულ უფრო და უფრო ექცევა სავაჭრო ბრუნვაში; შემდგომ გადმოცემაში ჩვენ დავინახავთ, რომ ამ მოქცევის ოდენობა კიდევ ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მარტო მიწათმფლობელობის მონაცემები გვიჩვენებენ.

მაგრამ თუ ჯერ კიდევ რაოდენ ძლიერია «მიწის ძალა», ე. ი. მებატონე-მემამულეთა შუასაუკუნებრივი მიწათმფლობელობის ძალა რუსეთში XIX საუკუნის დამლევს, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს იმ მონაცემებიდან, რომლებიც ცხადყოფენ კერძო საადგილმამულო საკუთრების განაწილებას მფლობელობის ოდენობის მიხედვით. წყარო, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, მეტად დაწვრილებით გამოყოფს მონაცემებს უმსხვილესი კერძო მიწათმფლობელობის შესახებ. აი საერთო განაწილება მფლობელობის ოდენობის მიხედვით:

მფლობელობათა ჯგუფები	მფლობელობანი	მიწა დესეტინობით	საშუალოდ 1 მფლობელობაზე დესეტინობით
10 დეს. და ნაკლები.....	409 864	1 625 276	3,9
10— 50 ».....	209 119	4 891 031	23,4
50— 500 ».....	106 065	17 326 495	163,3
500— 2000 ».....	21 748	20 590 708	947
2 000—10 000 ».....	5 386	20 602 109	3 825
10 000 დეს-ზე მეტი.....	699	20 798 504	29 754
სულ 500 დესეტინ. მეტი	27 833	61 991 321	2 227
მთლად ევროპ. რუსეთში	752 881	85 834 073	114

აქედან ჩანს, რომ კერძო პირადს მიწათმფლობელობაში წვრილი საკუთრება სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობს. მიწათმფლობელთა მთელი რიცხვის ექვსი მეშვიდედი, 619 ათასი 753 ათასიდან, ფლობს მხოლოდ 6½ მილიონ დესეტინას. პირიქით, არსებობს თვალუწვდენი ლატიფუნდიები: შვიდასი მესაკუთრე ფლობს საშუალოდ ოცდაათ-

ათას დესეტინას თვითეული. ამ შვიდას კაცს ერთისამად მეტი მიწა აქვს, ვიდრე ექვსას ათას წვრილ მიწათმფლობელს. ლატიფუნდიები საერთოდ შეადგენენ რუსეთის კერძო მიწათმფლობელობის დამახასიათებელ ნიშანთვისებას. რომ გამოვყოთ 500 დესეტინაზე მეტი მიწის შემცველი ყველა მფლობელობა, მივიღებთ ოცდარვა ათას მესაკუთრეს, რომელნიც ფლობენ 62 მილიონ დესეტინას, ე. ი. საშუალოდ 2 227 დესეტინას თვითეული. ამ 28 ათასის ხელშია მთელი კერძო მიწათმფლობელობის სამი მეოთხედი *. მფლობელთა წოდებრიობის მხრივ ეს უზარმაზარი ლატიფუნდიები უმთავრესად თავადაზნაურობისაა. 27 833 მფლობელობიდან 18 102, ე. ი. თითქმის ორი მესამედი, თავადაზნაურებს ეკუთვნის, და მათ აქვთ 44½ მილიონი დესეტინა მიწა, ე. ი. ლატიფუნდიების მიწის მთელი რაოდენობის 70%-ზე მეტი. ამრიგად ცხადია, რომ რუსეთში XIX საუკუნის დამლევს უამრავი მიწა — ამასთან, როგორც ცნობილია, საუკეთესო ხარისხის მიწა — წინანდებურად (როგორც შუა საუკუნეებში) თავმოყრილია პრივილეგიური თავადაზნაურული წოდების ხელში, გუშინდელი მებატონე-მემამულეების ხელში. იმაზე, თუ მეურნეობის რა ფორმები იქმნება ასეთ ლატიფუნდიებში, ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ. ახლა კი დავძენთ მხოლოდ მოკლე შენიშვნას იმ საყოველთაოდ ცნობილი და ლიტერატურაში ბ-ნ რუბაკინის მიერ მკაფიოდ დასურათებული ფაქტის გამო, რომ ბიუროკრატიის უმაღლესი მოხელენი ზედიზედ გვევლინებიან თავადაზნაურული ლატიფუნდიების ამ მფლობელთა რიცხვში [34].

გადავიდეთ სანადელო მიწათმფლობელობაზე. 1,9 მილიონი დესეტინის გამოკლებით, რაც განაწილებული არ არის მიწათმფლობელობის ოდენობის მიხედვით, დანარჩენი მასა,

* ტექსტი რომ ციტატებით არ ავაჭრელოთ, აქ ერთბაშად აღვნიშნავთ, რომ მონაცემთა უმეტესობა აღებულია ზემოხსენებული ნაშრომიდან და წიგნიდან — «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», გამოც. მე-2, სპბ., 1908. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3. რ ე დ.)

136,9 მილიონი დესეტინა, 12¼ მილიონი გლეხური კომლის მფლობელობაშია. ეს საშუალოდ იძლევა 11,1 დესეტინას კომლზე. მაგრამ სანადელო მიწაც უთანაბროდაა განაწილებული: მისი თითქმის ნახევარი, 64 მილიონი დესეტინა 137-დან, არის მიწით მდიდარი 2,1 მილიონი კომლის ხელში, ე. ი. საერთო რიცხვის ერთი მეექვსედის ხელში.

აი შეჯამებული მონაცემები ევროპულ რუსეთში სანადელო მიწის განაწილების შესახებ:

კომლთა ჯგუფები	კომლი	დესეტინა	საშუალოდ 1 კომლზე დესეტ.
5 დეს-მდე	2 857 650	9 030 333	3,1
5—8 »	3 317 601	21 706 550	6,5
სულ 8 დეს-მდე	6 175 251	30 736 883	4,9
8—15 დეს.	3 932 485	42 182 923	10,7
15—30 »	1 551 904	31 271 922	20,1
30 დეს. მეტი	617 715	32 695 510	52,9
სულ ევროპ. რუსეთში	12 277 355	136 887 238	11,1

ამრიგად, ნადელიანი კომლების ნახევარზე მეტს — 6,2 მილიონს 12,3 მილიონიდან — აქვს 8 დესეტინამდე კომლზე. საერთოდ და საშუალოდ მთელი რუსეთისათვის ეს რაოდენობა უეჭველად არასაკმარისია ოჯახის შესანახად. ამ კომლების სამეურნეო მდგომარეობაზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, გავიხსენოთ საერთო მონაცემები სამხედრო ცხენთაღწერებისა (ერთადერთი სტატისტიკისა, რომელიც პერიოდულად და რეგულარულად მოიცავს მთელ რუსეთს). ევროპული რუსეთის 48 გუბერნიაში, ე. ი. დონის ოლქისა და არხანგელსკის გუბერნიის გამოკლებით, 1896 — 1900 წლებში აღრიცხული იყო 11 112 287 გლეხური კომლი. მათგან უცხენო აღმოჩნდა 3 242 462 კომლი, ე. ი. 29,2%. ერთცხენიანი იყო 3 361 778 კომლი, ე. ი. 30,3%. ცნობილია, თუ რა არის უცხენო გლეხი რუსეთში (რა თქმა უნდა, აქ ჩვენ ვიღებთ საერთო შედეგებს, და არა რაიმე განსაკუთრებულ რაიონებს, როგორიცაა სარძეო მეურნეობის რაიონები გარეუბნებში, მეთამბაქოობისა და ა. შ.). ცნობილია აგრეთვე ერთცხენიანი

გლეხის გაჭირვება და სიღატაკე. კომლების ექვსმილიონიანი მასა — ეს ნიშნავს 24-დან 30-მდე მილიონ მოსახლეს. და მთელი ეს მოსახლეობა შეადგენს პაუპერებს, მათხოვრებს, მიწის პაწაწა ნაკვეთების მქონეთ, რომლებითაც არ შეიძლება ცხოვრება, რომლებზედაც შეიძლება მხოლოდ შიმშილით ამოგხდეს სული. თუ ვივარაუდებთ, რომ ვაინაჩრობით ცხოვრებისათვის შეძლებულ საადგილმამულო მეურნეობაში საჭიროა სულ ცოტა 15 დესეტინა, მივიღებთ 10 მილიონ გლეხურ კომლს, რომელნიც ამ დონეზე დაბლა დგანან, და მათ აქვთ 72,9 მილიონი დესეტინა მიწა.

შემდეგ. სანადელო მიწათმფლობელობის შესახებ უნდა აღინიშნოს მისი ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი ნიშანთვისება. გლეხთა შორის სანადელო მიწის განაწილების უთანაბრობა განუზომლად უფრო ნაკლებია, ვიდრე კერძომფლობელური მიწის განაწილების უთანაბრობა. მაგრამ სამაგიეროდ ნადელიან გლეხთა შორის არის ბევრი სხვაგვარი განსხვავება, დაყოფა, ზღუდე. ეს არის განსხვავებანი გლეხთა თანრიგებს შორის, რაც ისტორიულად შექმნილა მრავალი საუკუნის განმავლობაში. რათა თვალსაჩინოდ ცხადვყოთ ეს ზღუდეები, ავიღოთ ჯერ საერთო მონაცემები მთელი ევროპული რუსეთისათვის. 1905 წლის სტატისტიკა ასეთს ძირითად თანრიგებს იძლევა. ყოფილ სამფლობელო გლეხებს აქვთ საშუალოდ 6,7 დესეტინა სანადელო მიწა კომლზე. ყოფილ სახელმწიფო გლეხებს — 12,5 დესეტინა. ყოფილ საუფლისწულოებს — 9,5 დესეტინა. კოლონისტებს — 20,2 დესეტინა. მეჩინშეებს — 3,1 დესეტინა. რეზეშებს — 5,3 დესეტინა. ბაშკირებსა და ტეფტიარებს[35] — 28,3 დესეტინა. ბალტიისპირა გლეხებს — 36,9 დესეტინა. კაზაკებს — 52,7 დესეტინა. უკვე აქედან ჩანს, რომ გლეხთა სანადელო მიწათმფლობელობა წმინდა შუასაუკუნებრივია. ბატონყმობა ჯერ კიდევ ცოცხლობს იმ უამრავ ზღუდეთა შორის, რომლებიც დარჩენილია გლეხთა შორის. თანრიგები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო მიწის რაოდენობით, არამედ აგრეთვე გადასახ-

დელთა ოდენობით, გამოყიდვის პირობებით, მიწათმფლობელობის ხასიათით და ა. შ. ავიღოთ მთელი რუსეთის საერთო მონაცემის ნაცვლად ეროი გუბერნიის მონაცემები, და ჩვენ მაშინ დავინახავთ, თუ რას ნიშნავს ყველა ეს ზღუდე. აი სარატოვის გუბერნიის საერობო-სტატისტიკური კრებული[36]. გარდა საერთო-რუსული თანრიგებისა, ე. ი. ჩვენ მიერ ზემოთ უკვე მოხსენებულთა, ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ადგილობრივი მკვლევარნი განასხვავებენ გლეხთა ისეთ თანრიგებს, როგორიცაა ნაბოძარნი, სრული მესაკუთრენი, სათემო მფლობელობის მქონე სახელმწიფო გლეხები, მეოთხედი მფლობელობის მქონე სახელმწიფო გლეხები, მემამულეთაგან სახელმწიფო გლეხები, სახაზინო ნაკვეთების მოიჯარადრენი, გლეხი-მესაკუთრენი, გადმოსახლებულნი, გაზატებულნი, უღალონი, თავისუფალი მხვნელ-მთესველნი, ყოფილი საფაბრიკონი და ა. შ.. შუასაუკუნებრივ ზღუდეთა ეს ქსელი იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ ერთი და იმავე სოფლის გლეხები იყოფიან ორ სრულიად სხვადასხვა კატეგორიად — «ბ-ნ NN-ის ნაყმევებად» და «ქ-ნ მ. მ.-ის ნაყმევებად». ჩვენი ლიბერალურ-ნაროდნიკული ბანაკის მწერლები, რომლებსაც უნარი არ შესწევთ რუსეთის სამეურნეო ურთიერთობას შეხედონ განვითარების თვალსაზრისით, როგორც ბატონყმური წესწყობილების შეცვლას ბურჟუაზიულით, ჩვეულებრივ უგულებელყოფენ ამ ფაქტს. ნამდვილად კი XIX საუკუნის რუსეთის ისტორია და მეტადრე მისი უშუალო შედეგი — XX საუკუნის დასაწყისის ამბები რუსეთში — სრულიად გაუგებარი იქნება, თუ ამ ფაქტის მთელი მნიშვნელობა არ შევაფასეთ. ქვეყანა, სადაც იზრდება გაცვლა-გამოცვლა და ვითარდება კაპიტალიზმი, არ შეიძლება არ განიცდიდეს ყოველგვარ კრიზისებს, თუ სახალხო მეურნეობის მთავარ დარგში შუასაუკუნებრივი ურთიერთობა ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლებასა და ზღუდეს წარმოადგენს. ყბადაღებული თემი, რომლის მნიშვნელობაზე ჩვენ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი, გლეხს არ იცავს პროლეტარიზაციისაგან, მაგრამ ამავე დროს

ნამდვილად თამაშობს გლეხთა გამთიშველი შუასაუკუნებრივი ზღუდის როლს; გლეხები თითქოს მიჯაჭულნი არიან პატარა კავშირებზე და თანრიგებზე, რომლებსაც სრულიად დაუკარგავთ «არსებობის აზრი».

ვიდრე გადავიდოდეთ საბოლოო დასკვნებზე ევროპული რუსეთის მიწათმფლობელობის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ საქმის კიდევ ერთი მხარე. არც მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი მიწა აქვს «ზედა 30 ათას» მემამულეს და მილიონობით გლეხურ კომლს, არც მონაცემები გლეხურ მიწათმფლობელობაში შუასაუკუნებრივ ზღუდეთა შესახებ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმის ნამდვილად გასათვალისწინებლად, თუ რამდენად «შევიწროებული», შებოჭილი და დაბეჩავებულია ჩვენი გლეხი ბატონყმობის ცოცხალი ნაშთებით. ჯერ-ერთი, მიწები, რაც გლეხებს ნადელად დაუტოვეს მემამულეთა სასარგებლოდ, განხორციელებული გლეხთა იმ ექსპროპრიაციის შემდეგ, რომელსაც 1861 წლის დიდი რეფორმა ეწოდება, შეუდარებლად უფრო უარესი ხარისხისაა, ვიდრე მემამულეთა მიწები. ამას მოწმობს მთელი ვეებერთელა ლიტერატურა, რომელიც შეიცავს ადგილობრივ აღწერილობას და საერობო სტატისტიკის გამოკვლევებს. ამის შესახებ მოიპოვება უდავო მასობრივი მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ გლეხთა მიწების ნაკლებ მოსავლიანობას მემამულეთა მიწებთან შედარებით; საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს განსხვავება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია სანადელო მიწების უცუდეს ხარისხზე და მხოლოდ შემდეგ — ღატაკური გლეხური მეურნეობის უფრო ცუდად დამუშავებასა და ხარვეზებზე. მეორე, უმრავლეს შემთხვევაში გლეხებს, მემამულეთა მიერ 1861 წელს მიწისაგან მათი «განთავისუფლების» დროს, მიწები იმგვარად მიუზომეს, რომ გლეხები «თავისი» მემამულის ხაფანგში აღმოჩნდნენ. რუსულმა საერობო-სტატისტიკურმა ლიტერატურამ პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერება გაამდიდრა მემამულური მეურნეობის გაძღოლის უაღრესად ორიგინალური, თვითმყოფი, ჯერ კიდევ თითქმის უნახავი წესის აღწერილობით.

ეს არის მეურნეობა ჩამონაჭერი მიწების საშუალებით. გლეხები «გაათავისუფლეს» 1861 წელს მათი მეურნეობისათვის აუცილებელი წყალსალევებისაგან, საძოვრებისაგან და სხვა. გლეხთა მიწები სოლად შეჭრილია მემამულეთა მიწებს შორის, ასე რომ ბატონი მემამულეებისათვის უზრუნველყოფილია მეტისმეტად საიმედო — და მეტისმეტად კეთილშობილური — შემოსავალი, წანახედის გადასახდელი «ქათამი ვერსად გამომიშვია», — ეს მწარე გლეხური სიმართლე, ეს «ყელზე საბელმობმულის იუმორი» ყოველ გრძელ ციტატზე უკეთ გვამცნობს გლეხური მიწათმფლობელობის იმ თავისებურებას, რომელიც სტატისტიკურად არ შეიძლება გამოიხატოს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს თავისებურება წმინდა წყლის ბატონყმობაა, როგორც თავისი წარმოშობით, ისე მემამულური მეურნეობის ორგანიზაციის წესზე გავლენის მოხდენით.

ახლა გადავალთ დასკვნებზე ევროპული რუსეთის მიწათმფლობელობის შესახებ. ჩვენ ცხადვყავით ცალკე აღებული მემამულური და გლეხური მიწათმფლობელობის პირობები. ახლა უნდა შევხედოთ მათ ურთიერთკავშირს. საამისოდ ავიღოთ ზემომოყვანილი დაახლოებითი ციფრი ევროპული რუსეთის მიწის ფონდის სიდიდის შესახებ — 280 მილიონი დესეტინა — და ვნახოთ, თუ როგორ ნაწილდება მთელი ეს მასა სხვადასხვა ტიპის მიწის მფლობელობათა შორის. თუ რა ტიპებია ეს, დაწვრილებით ნაჩვენები იქნება შემდგომ გადმოცემაში, ახლა კი ცოტა წინასწარ და ვარაუდით ავიღოთ ძირითადი ტიპები. კომლზე 15 დესეტინამდე მიწის მფლობელობანი მივაკუთვნოთ პირველ ჯგუფს, — ესაა გაჩანაგებული, ბატონყმური ექსპლოატაციით წელში გაწყვეტილი გლეხობა. მეორე ჯგუფს შეადგენს საშუალო გლეხობა — 15-დან 20 დესეტინამდე მფლობელობა. მესამეს — შეძლებული გლეხობა (გლეხური ბურჟუაზია) და კაპიტალისტური მიწათმფლობელობა, 20-დან 500 დესეტინამდე. მეოთხეს — ბატონყმური ლატიფუნდიები, — 500 დესეტინაზე მეტი. რომ

შევაერთოთ ამ ჯგუფების მიხედვით როგორც გლეხური, ისე მემამულური მიწათმფლობელობა და მოვახდინოთ ცოტაოდენი დამრგვალება* და დაახლოებით გამოანგარიშება (რაც დაწვრილებით აღნიშნული მაქვს ზემოხსენებულ ნაშრომში), ჩვენ მივიღებთ რუსეთის მიწათმფლობელობის შემდეგ სურათს XIX საუკუნის დამლევისათვის.

მიწათმფლობელობა ევროპულ რუსეთში
XIX საუკუნის დამლევს

	რიცხვი მფლობელობათა	დესეტინებისა (მილიონობით)	1 მფლობელობაზე დესეტინა
ა) გაჩანაგებული, ბატონყმური ექსპლოატაციით წელში გატეხილი გლეხობა	10,5	75,0	7,0
ბ) საშუალო გლეხობა.....	1,0	15,0	15,0
გ) გლეხური ბურჟუაზია და კაპიტალისტური მიწათმფლობელობა.....	1.5	70,0	46,7
დ) ბატონყმური ლატიფუნდიები.....	0,03	70,0	2 333
სულ	13,03	230,0	17,6
ოდენობის მიხედვით განაწილებული არ არის მფლობელობა		50,0	
მთლად	13,03	280,0	21,4

ვიმეორებთ: აქ აღებული ჯგუფების ეკონომიური დახასიათების სისწორე დამტკიცებული იქნება ქვემოთ. და თუ კერძო მომენტები ამ სურათისა (რომელიც საქმის არსის გამო არ შეიძლება დაახლოებითი არ იყოს) კრიტიკას გამოიწვევენ, ჩვენ ვთხოვთ მკითხველს დაკვირვებით ადევნოს თვალყური იმას, რომ კერძო მომენტების კრიტიკის გამო შეუძლებელი იყოს საქმის არსის კონტრაბანდულად უარყოფა. ხოლო საქმის ეს არსი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის მიწათმფლობელობის ერთ პოლუსზე ჩვენ გვყავს

* მაგალითად, ლატიფუნდიებს დავუმატეთ, 62 მილიონი დესეტინა მემამულური მიწის გარდა, 5,1 მილიონი დეს. საუფლისწულო მიწა და 3,6 მილიონი დესეტინა 272 სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობისა, რომელთაგან თვითეულს აქვს 1 000 დესეტინაზე მეტი.

75 მილიონი დესეტინა მიწის მფლობელი — 10½ მილიონი კომლი (დაახლოებით 50 მილიონი მოსახლეობა), მეორე პოლუსზე კი — 70 მილიონი დესეტინა მიწის მფლობელი — ოცდაათი ათასი ოჯახი (დაახლოებით ასორმოცდაათი ათასი მოსახლეობა).

მიწათმფლობელობის საკითხს რომ მოვრჩეთ, ჩვენ ახლა ისღა გვაკლია, რომ გავცილდეთ საკუთრივ ევროპული რუსეთის ფარგლებს და ზოგადად განვიხილოთ კოლონიზაციის მნიშვნელობა. მკითხველს რომ ერთგვარი წარმოდგენა მივცეთ რუსეთის იმპერიის მთელ მიწის ფონდზე (ფინეთის გამოკლებით), ვისარგებლოთ ბ-ნ მერტვაგოს მონაცემებით. თვალსაჩინოობისათვის ჩვენ ამ მონაცემებს მოვიყვანთ ცხრილის ფორმით და დავუმატებთ მოსახლეობის 1897 წლის აღწერის ციფრებს.

	სულ მიწა		აქედან		მათ შორის ადგილმამული				მოსახლეობა 1897 წ.	
	კვად. ვერსი ათასობით	დესეტინა მილიონობით	მიწა, რომლის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება, მილიონ დესეტ.	ალრიცხული მიწები მილიონ დეს.	სახნავი	სათიბი	ტყე	სულ	სულ ათასობით	1 კვადრატ. ვერსზე
					მილიონობით დესეტინა					
პოლონეთის სამეფოს 10 გუბ.	111,6	11,6	—	11,6	7,4	0,9	2,5	10,8	9 402,2	84,8
88 გუბ. ვოლგის დასავლეთით ...	1 755,6	183,0	—	183,0	99,6	18,7	34,0	146,8	—	—
12 გუბ. ვოლგის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ..	2 474,9	258,0	—	258,0	22,3	7,1	182,0	161,4	—	—
სულ ევრ. რუსეთის 50 გუბერნია	4 230,5	441,0	—	441,0	115,9	25,8	166,0	307,7	93 442,9	22,1
კავკასია.....	411,7	42,9	22,1	20,8	6,5	2,2	2,5	11,2	9 289,4	22,6
ციმბირი.....	10 966,1	1 142,6	639,7	502,9	4,3	3,9	121,0	129,2	5 758,8	0,5
შუა აზია.....	3 141,6	327,3	157,4	169,9	0,9	1,6	8,0	10,5	7 746,7	2,5
სულ აზიის რუსეთი.....	14 519,4	1 512,8	819,2	693,6	11,7	7,7	131,5	150,9	—	—
მთლად რუსეთის იმპერია	18 861,5	1 965,4	819,2	1 146,2	135,0	34,4	300,0	469,4	125 640,0	6,7

ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, თუ ჯერ კიდევ რა ცოტა-რამ ვიცით რუსეთის განაპირა მხარეების შესახებ. რა თქმა უნდა, იმის ფიქრი, რომ შიდა რუსეთის მიწის საკითხი «გადაწყვეტილ იქნას» მოსახლეობის განაპირა მხარეებში გადასახლების გზით, მეტისმეტი სისულელე იქნება. სრულიად უეჭველია, რომ მხოლოდ შარლატნებს შეუძლიათ ასეთი «გადაწყვეტის» შემოთავაზება, რომ ევროპული რუსეთის ძველი ლატიფუნდიების ზემოთ ნაჩვენები წინააღმდეგობანი და იმავე ევროპული რუსეთის ცხოვრებისა და მეურნეობის ახალი პირობების წინააღმდეგობანი უნდა «გადაწყდეს» ასეთი თუ ისეთი გადატრიალებით ევროპულ რუსეთში, და არა მის გარეთ. საქმე ის კი არ არის, რომ გადასახლებით იხსნა გლეხები ბატონყმობისაგან. საქმე ის არის, რომ ცენტრის აგრარულ საკითხთან ერთად დგას კოლონიზაციის აგრარული საკითხი. საქმე ის კი არ არის, რომ ევროპულ რუსეთში არსებული კრიზისი მიჩქმალო კოლონიზაციის საკითხით, არამედ ის, რომ ცხადყო ბატონყმური ლატიფუნდიების დამღუპველი შედეგები როგორც ცენტრისათვის, ისე განაპირა მხარეებისათვის. რუსულ კოლონიზაციას აფერხებენ ბატონყმობის ნაშთები რუსეთის ცენტრში. თუ არა აგრარული გადატრიალებით ევროპულ რუსეთში, თუ არა გლეხთა განთავისუფლებით ბატონყმური ლატიფუნდიების ჩაგვრისაგან, ისე არ შეიძლება რუსული კოლონიზაციის განთავისუფლება და მოწესრიგება. ეს მოწესრიგება უნდა მდგომარეობდეს არა ბიუროკრატიულ «ზრუნვაში» გადასახლებისათვის, და არც «გადასახლებათა ორგანიზაციაში», რაზედაც ლაპარაკი უყვართ ლიბერალურ-ნაროდნიკული ბანაკის მწერლებს, არამედ იმ პირობების აღმოფხვრაში, რომლებიც რუს გლეხს ხვედრად არგუნებენ სიბნელეს, დაბეჩავებასა და გაველურებას ლატიფუნდიების მფლობელებთან მუდმივ კაბალაში ყოფნის მეოხებით.

ბ-ნი მერტვაგო ბროშურაში, რომელიც მას დაუწერია ბ-ნ პროკოპოვიჩთან ერთად («რამდენი მიწაა რუსეთში და

როგორ ვსარგებლობთ ამ მიწით?» მ., 1907), სამართლიანად აღნიშნავს, რომ კულტურის ზრდა უვარგის მიწებს ვარგისად ხდის. აკადემიკოსები ბერი და გელმერსენი, საქმის მცოდნენი, 1845 წელს წერდნენ, რომ თავრიდის ველები «ყ ო ვ ე ლ-თ ვ ი ს უღარიბესი და ძნელად დასამუშავებელი იქნება ჰავის გამო და წყლის ნაკლებობის მიზეზით!!» [37]. მაშინ თავრიდის გუბერნიის მოსახლეობას მოჰყავდა 1,8 მილიონი ჩეტვერტი პური. 60 წლის შემდეგ მოსახლეობა გაორკეცდა და მოჰყავს 17,6 მილიონი ჩეტვერტი, ე. ი. თითქმის ერთიათად მეტი.

ეს მეტად სწორი და საგულისხმო მსჯელობაა, ოღონდ ბ-ნ მერტვაგოს ერთი რამ დავიწყებია: მთავარი პირობა, რამაც შესაძლებელი გახადა ნოვოროსიის სწრაფი კოლონიზაცია, იყო ბ ა ტ ო ნ ყ მ ობ ის გ ა დ ა ვ ა რ დ ნ ა რუსეთის ცენტრში. მხოლოდ გადატრიალებამ ცენტრის ფარგლებში შესაძლებელი გახადა სწრაფად, ფართოდ, ამერიკულად დაესახლებინათ სამხრეთი და მოეხდინათ მისი ინდუსტრიალიზაცია (სამხრეთ რუსეთის ა მ ე რ ი კ უ ლ ზრდაზე 1861 წლის შემდეგ ხომ ძალიან და ძალიან ბევრი რამ ითქვა). და ახლა მხოლოდ გადატრიალებას ევროპულ რუსეთში, მხოლოდ ბატონყმობის ნაშთების სრულ მოსპობას იქ, გლეხთა განთავისუფლებას შუასაუკუნებრივი ლატიფუნდიებისაგან შეუძლია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მისცეს დასაბამი კოლონიზაციის ახალ ერას.

კოლონიზაციის საკითხი რუსეთში დაქვემდებარებული საკითხია ქვეყნის ცენტრის აგრარული საკითხის მიმართ. XIX საუკუნის დასასრული ჩვენს წინაშე ალტერნატივას აყენებს: ან ბატონყმობის საბოლოო ლიკვიდაცია «ძველისძველ» რუსულ გუბერნიებში; მაშინ უზრუნველყოფილია ჩვენი განაპირა მხარეების კოლონიზაციის სწრაფი, ფართო, ამერიკული განვითარება. ან აგრარული საკითხის გადაჭრის გაჭიანურება ცენტრში; მაშინ გარდუვალია საწარმოო ძალთა განვითარების ხანგრძლივი შეფერხება, ბატონყმური ტრადიციების შენარჩუნება კოლონიზაციის საქმეშიც. პირველ შემთხვევაში მიწათმოქმედებას წარმართავს თავისუფალი ფერმერი, მეორე

შემთხვევაში — კაბალური გლეხი და ჩამონაჭერი მიწების საშუალებით «მეურნეობის გამძღოლი» ბატონი.

II

გადავდივართ მემამულური მეურნეობის ორგანიზაციაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ორგანიზაციის ძირითად ნიშანს წარმოადგენს კაპიტალისტური სისტემის («თავისუფალი დაქირავება») შეერთება შრომამიგების სისტემასთან. რა არის ეს შრომამიგების სისტემა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გადავხედოთ მემამულური მეურნეობის ორგანიზაციას ბატონყმობის დროს. ყველასათვის ცნობილია, თუ რა იყო ბატონყმობა იურიდიული, ადმინისტრაციული, საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით. მაგრამ ძალიან იშვიათად აინტერესებთ საკითხი, თუ რა შეადგენდა მემამულეთა და გლეხთა ეკონომიური ურთიერთობის არსს ბატონყმობის დროს. გლეხებს მაშინ მიწას აძლევდნენ მემამულენი. ზოგჯერ ისინი გლეხებს ასესხებდნენ წარმოების სხვა საშუალებებსაც, მაგალითად, ხე-ტყეს, პირუტყვს და სხვა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ყმა გლეხებისათვის მემამულეთა სანადელო მიწის ამ გამოყოფას? ნადელი მაშინ ხ ე ლ ფ ა ს ი ს ფ ო რ მ ა იყო, თანამედროვე ურთიერთობასთან შეფარდებით რომ ვილაპარაკოთ. კაპიტალისტურ წარმოებაში მუშას ხელფასი ფულით ეძლევა. კაპიტალისტის მოგება ფულის სახით რეალიზდება. აუცილებელი და ნამეტი შრომა (ე. ი. შრომა, რომელიც ანაზღაურებს მუშის შენახვას, და შრომა, რომელიც აუნაზღაურებელ ნამეტ ღირებულებას აძლევს კაპიტალისტს) შეერთებულია შრომის ერთ პროცესად ფაბრიკაში, ერთ საფაბრიკო სამუშაო დღედ და ა. შ. სხვანაირად არის საქმე საბატონო მეურნეობაში. აუცილებელი და ნამეტი შრომა აქაც არის, ისე როგორც იგი არის მონურ მეურნეობაშიც. მაგრამ ეს ორივე სახეობის შრომა გაყოფილია დროისა და სივრცის მიხედვით. ყმა გლეხი სამ დღეს მუშაობს ბატონისათვის, სამ დღეს — თავისთვის. ბატონისათვის მუშაობს მემამულის მიწაზე ანუ მემამულისათვის

პურის მოსაწევად. თავისთავისთვის ის მუშაობს სანადელო მიწაზე, საკუთარი თავისთვის და თავისი ოჯახისათვის შოულობს იმ პურს, რომელიც აუცილებელია მუშაძალის მემამულისათვის შესანახად.

მაშასადამე, მეურნეობის ბატონყმური ანუ საბატონო სისტემა თანაბარია კაპიტალისტური სისტემისა იმ მხრივ, რომ ორივე შემთხვევაში მომუშავე იღებს მხოლოდ აუცილებელი შრომის პროდუქტს, ხოლო ნამეტი შრომის პროდუქტს აუნაზღაურებლად აძლევს წარმოების საშუალებათა მესაკუთრეს. ბატონყმური მეურნეობის სისტემა კაპიტალისტურისაგან განირჩევა შემდეგი სამი მხრით. ჯერ-ერთი, ბატონყმური მეურნეობა არის ნატურალური მეურნეობა, კაპიტალისტური მეურნეობა კი ფულადი მეურნეობაა. მეორე, ბატონყმურ მეურნეობაში ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენს მომუშავის მ ი მ ა გ რ ე ბ ა მიწაზე, მისთვის მიწის მიცემა, კაპიტალისტურ მეურნეობაში კი — მომუშავის განთავისუფლება მიწისაგან. შემოსავლის (ე. ი. ნამეტი პროდუქტის) მისაღებად მებატონე-მემამულეს თავის მიწაზე უნდა ჰყავდეს გლეხი, რომელსაც მოეპოვება ნადელი, ინვენტარი, პირუტყვი. უმიწაწყლო, უცხენო, უმეურნეობო გლეხი უვარგისი ობიექტია ბატონყმური ექსპლოატაციისათვის. შემოსავლის (მოგების) მისაღებად კაპიტალისტს თვალწინ უნდა ჰყავდეს სწორედ უმიწაწყლო, უმეურნეობო მომუშავე, რომელიც იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა შრომის თავისუფალ ბაზარზე. მესამე, გლეხი, რომელსაც მიწა აქვს მიღებული, პ ი რ ა დ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი უნდა იყოს მემამულისაგან, ვინაიდან მიწის მქონე გლეხი არ წავა საბატონო სამუშაოზე ისე, თუ იგი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი არ ა რ ი ს. მეურნეობის სისტემა აქ წარმოშობს «გარეეკონომიურ იძულებას», ბატონყმობას, იურიდიულ დამოკიდებულებას, არასრულუფლებიანობას და ა. შ. პირიქით, «იდეალური» კაპიტალიზმი არის სრული თავისუფლება ხელშეკრულებისა თავისუფალ ბაზარზე — **მესაკუთრესა და პროლეტარს შორის.**

მხოლოდ მაშინ, თუ ნათლად გავარკვევთ ბატონყმურ ან, რაც იგივეა, საბატონო მეურნეობის ამ ეკონომიურ არსს, ჩვენ შეგვეძლება გაკიგოთ შრომამიგების ისტორიული ადგილი და მნიშვნელობა. შრომამიგება საბატონო მეურნეობის პირდაპირი და უშუალო ნაშთია. შრომამიგება არის საბატონო მეურნეობიდან კაპიტალიზმზე გადასვლა. შრომამიგების არსი ის არის, რომ მემამულეთა მიწებს გლეხები ამუშავებენ თ ა ვ ი ს ი ინ ვ ე ნ ტ ა რ ი თ, რისთვისაც იღებენ საზღაურს ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ ნატურით (მიწა, ჩამონაჭრები, საძოვარი, საზამთრო სესხი და სხვ.). მონახევრეობის სახელით ცნობილი მეურნეობის ფორმა შრომამიგების ერთ-ერთი ნაირსახეობაა. შრომამიგებითი მემამულური მეურნეობისათვის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა ნადელიანი გლეხი, რომელსაც გააჩნია თუნდაც უცუდესი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი; აუცილებელია აგრეთვე, რათა ეს გლეხი წელში გატეხილი იყოს გაჭირვებით და კაბალას თანხმდებოდეს. კაბალა თავისუფალი დაქირავების ნაცვლად შრომამიგების აუცილებელი თანამგზავრია. მემამულე აქ გამოდის არა როგორც მეწარმე-კაპიტალისტი, რომელიც ფლობს ფულსა და შრომის იარაღთა მთელ ერთობლიობას. მემამულე შრომამიგების დროს გამოდის მევახშედ, რომელიც სარგებლობს მეზობელი გლეხის გაჭირვებით და ჩალისფასად იძენს მის შრომას.

რათა უფრო თვალსაჩინოდ ცხადვყოთ ეს, ავიღოთ მიწათმოქმედების დეპარტამენტის მონაცემები, — წყარო, რომელსაც ვერავინ დასწამებს ბატონ მიწათმფლობელებისადმი არაკეთილმოსურნეობას. ცნობილი გამოცემა «ნებითდაქირავებული შრომა მეურნეობაში» და სხვა (ნაკვეთი V «მ ე ტ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ი ს ა გ ა ნ მიღებული სასოფლო-სამეურნეო და სტატისტიკური ცნობები». სპბ., 1892)[38] იძლევა 8 წლის (1883 — 1891) ცნობებს შუა შავნიადაგიანი ზოლის შესახებ: 'გლეხური ინვენტარით ერთი დესეტინა საშემოდგომო პურეულის სრული დამუშავების საშუალო საზღაურად უნდა ჩაითვალოს 6 მანეთი. ხოლო თუ გამოვიანგარიშეთ იმავე სა-

მუშაოთა ღირებულება ნებით დაქირავების პირობებში, მივიღებთ, — ამბობს იგივე გამოცემა, — 6 მან. 19 კაპიკს მხოლოდ ქვეითი შრომისას, ცხენის მუშაობის ჩ ა უ თ ვ ლ ე ლ ა დ; ეს სამუშაო 4 მან. 40 კაპ. ნაკლებად არ შეიძლება ჩაითვალოს (ციტ. გამოც., გვ. 45; «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», გვ. 141 *). მაშასადამე, ნებით დაქირავების ფასი უდრის 10 მან. 69 კ., შრომამიგებითი კი — 6 მანეთს. როგორ უნდა აიხსნას ეს მოვლენა, თუ იგი არის არა შემთხვევითი, არა ერთეული რამ, არამედ ნორმალური და ჩვეულებრივი? ისეთი სიტყვები, როგორიცაა «კაბალა», «მევახშეობა», «მექრთამეობა» და სხვა, გვიჩვენებენ გარიგების ფორმასა და ხასიათს, მაგრამ ვერ გვიხსნიან მის სამეურნეო არსს. როგორ შეუძლია გლეხს მთელი რიგი წლების განმავლობაში 6 მანეთად შეასრულოს ხოლმე ის სამუშაო, რომელიც 10 მან. 69 კაპ. ღირს? გლეხს ეს იმიტომ შ ე უ ძ ლ ი ა, რომ მისი ნადელი ჰფარავს გლეხის ოჯახის ხარჯების ნაწილს და შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ს ხ დ ი ს ხელფასის შემცირებას «ნებით დაქირავების» ნორმაზე მეტად. გლეხი იძულებულია ასე მოიქცეს სწორედ იმიტომ, რომ ღატაკური ნადელი მიაბამს ხოლმე მას მეზობელ მემამულეზე და საშუალებას არ აძლევს თავისი მეურნეობით იცხოვროს. გასაგებია, რომ ასეთი მოვლენა შეიძლება «ნორმალური» იყოს მხოლოდ როგორც კაპიტალიზმის მიერ საბატონო მეურნეობის გამოდევნის პროცესის ერთ-ერთი რგოლი. ვინაიდან გლეხი გარდუვალად ჩანაგდება ასეთი პირობების გამო და ნელა, მაგრამ აუცილებლად იქცევა პროლეტარად.

აი კიდევ ამგვარივე, მაგრამ რაოდენადმე უფრო სრული მონაცემები სარატოვის მაზრის შესახებ. საშუალო ფასი ერთი დესეტინის დამუშავებისა, სადაც შედის აგრეთვე მოსავლის აღება, პურეულის გამოტანა და გალეწვა, შეადგენს 9,6 მანეთს ზამთარში გარიგებისას, ამასთან ხელფასის 80 — 100% წინდაწინ გაიცემა. შრომამიგების დროს მოხვნის იჯა-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 3, გვ. 220 — 221. რ ე დ.

რის ფასია 9,4 მანეთი. ნებით დაქირავებისას — 17½ მანეთი! მკა და გატანა შრომამიგების დროს ერთი დესეტინა ღირს 3,8 მანეთი, ნებით დაქირავებისას — 8½ მანეთი და ა. შ. თვითეული ციფრი შეიცავს გლეხის უსაზღვრო გაჭირვების, კაბალისა და გაჩანაგების გრძელ მოთხრობას. თვითეული ციფრი მოწმობს, თუ რაოდენ ცოცხალია XIX საუკუნის დამლევის რუსეთში ბატონყმური ექსპლოატაცია და საბატონო მეურნეობის ნაშთები.

თუ რამდენად გავრცელებულია შრომამიგების სისტემა, ამის აღრიცხვა ძალიან ძნელია. საქმე ჩვეულებრივ იმგვარადაა, რომ მემამულურ მეურნეობაში შეერთებულია შრომამიგებისა და კაპიტალისტური სისტემები, რომლებსაც იყენებენ მიწათმოქმედების სხვადასხვა ოპერაციაში. მიწის უმნიშვნელო ნაწილი მუშავდება მემამულის ინვენტარით და დაქირავებული მუშების საშუალებით. მიწის მეტი ნაწილი იჯარით ეძლევა გლეხებს, სანახევროდ, შრომამიგებით. აი რამდენიმე ილუსტრაცია, რასაც ჩვენ ვიღებთ ბ-ნ კაუფმანის საფუძვლიანი ნაშრომიდან, სადაც მას შეჯამებული აქვს მთელი რიგი უახლესი მონაცემები კერძომფლობელური მეურნეობის შესახებ *. ტულის გუბერნია (ცნობები ეხება 1897 — 1898 წლებს) — «მემამულეებს ძველი სამმინდვრიანობა შერჩათ... შორეულ მიწას გლეხები იტაცებენ»; კერძომფლობელური მიწების დამუშავება მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელია. კურსკის გუბერნია: ...«გლეხებისათვის მიწის დესეტინობით დარიგებამ, რაც ხელსაყრელია მაღალი ფასების გამო..., ნიადაგის გამოფიტვა გამოიწვია». ვორონეჟის გუბერნია: ...საშუალო და წვრილი მფლობელნი «მეურნეობას მეტწილად წარმართავენ მხოლოდ და მხოლოდ გლეხური ინვენტარის საშუალებით ან იჯარით სცემენ თავის მამულებს... მეტწილ მეურნეობებში ხმარობენ ხერხებს, რომლებსაც არავითარი გაუმჯობესება არ ახასიათებს».

* «აგრარული საკითხი». დოლგორუკოვისა და პეტრუნკევიჩის გამოცემა, ტ. II, მ., 1907, გვ. 442 — 628: «კერძო მიწათმფლობელობის კულტურულ-სამეურნეო მნიშვნელობის საკითხისათვის».

ამგვარი შენიშვნები გვიჩვენებენ, რომ XIX საუკუნის დამლევის ვითარებას სავსებით მიუდგება ევროპული რუსეთის სხვადასხვა გუბერნიის ის ზოგადი დახასიათება შრომამიგებისა თუ კაპიტალისტური სისტემის სიჭარბის მიხედვით, რომელიც მოგვცა ბ-მა ანენსკიმ წიგნში «მოსავლის გავლენა და ა. შ.». მოგვყავს ეს დახასიათება ცხრილის სახით:

	გუბერნიების რიცხვი			სულ კერძო მფლობელთა ნათესი (ათას დესეტ.)
	შავნიადაგიანი ზოლი	არაშავნიადაგიანი ზოლი	სულ	
I. გუბერნიები, სადაც სჭარბობს კაპიტალისტური სისტემა.....	9	10	19	7 407
II. გუბერნიები, სადაც სჭარბობს შერეული სისტემა	3	4	7	2 222
III. გუბერნიები, სადაც სჭარბობს შრომამიგების სისტემა	12	5	17	6 281
სულ	24	19	43	15 910

მაშასადამე, შრომამიგება შავნიადაგიან ზოლში უდავოდ სჭარბობს, ხოლო უკანა რიგში დგება ყველა ამ 43 გუბერნიაში, რომლებიც შეტანილია ამ ცხრილში. ამასთან საგულისხმოა აღინიშნოს, რომ I ჯგუფში (კაპიტალისტური სისტემა) მოქცეულია სწორედ ისეთი ადგილები, რომლებიც დამახასიათებელნი არ არიან სამიწათმოქმედო ცენტრისათვის: ბალტიისპირა გუბერნიები, სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიები (მეჭარხლეობის რაიონი), სამხრეთის გუბერნიები, ორივე დედაქალაქის გუბერნიები.

თუ რა გავლენას ახდენს შრომამიგება მიწათმოქმედების საწარმოო ძალთა განვითარებაზე, ამას მკაფიოდ მოწმობს ბ-ნ კაუფმანის ნაშრომში შეჯამებული მასალები. «საეჭვო არ არის, — ვკითხულობთ იქ, — რომ წვრილი გლეხური იჯარა და მონახევრეობა წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას, რომელიც ყველაზე მეტად აფერხებს სოფლის მეურნეობის პროგრესს»... პოლტავის გუბერნიის სოფლის მეურნეობის მიმოხილვებში მუდამ აღნიშნავენ, რომ «მოიჯარადრენი ცუდად ამუშავებენ მიწას, თესენ ცუდ თესლს, სარეველა ბალახით ავსებენ».

მოგილიოვის გუბერნიაში (1898 წ.) «მეურნეობის ყოველგვარ გაუმჯობესებას აფერხებს მონახევრეობის მეურნეობის უხერხულობა». ზვინის სანახევრობა[39] («სკოპ'შჩინა») ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ «დნეპროვსკის მაზრის სოფლის მეურნეობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ზედმეტია ახალი რამის შემოღებისა და გაუმჯობესების ფიქრი». «ჩვენი მასალები, — წერს ბ-ნი კაუფმანი (გვ. 517), — გვაძლევენ მთელ რიგ გარკვეულ მითითებებს, რომ ერთი და იგივე მამულის ფარგლებშიც კი იჯარით გაცემულ მიწებზე მეურნეობის ძველი, დრომოჭმული წესები ისევ არსებობენ, მაშინ, როდესაც საკუთრად დასამუშავებელ მიწებზე უკვე შემოღებულია მემინდვრეობის ახალი, უფრო სრულყოფილი სისტემები». მაგალითად, იჯარით აღებულ მიწებზე სამმინდვრიანობა არსებობს ზოგჯერ ნაკელის შეუტანლადაც კი, — ხოლო ეკონომიების სახნავ მიწებზე არის მრავალმინდვრიანი თესლბრუნვა. მონახევრეობა აფერხებს ბალახთესვას, ხელს უშლის სასუქის გავრცელებას, აყოვნებს უკეთეს სასოფლო-სამეურნეო იარაღთა გამოყენებას. ყოველივე ამის შედეგი ნათლად ემჩნევა მონაცემებს მოსავლის შესახებ. აი, მაგალითად, სიმბირსკის გუბერნიის ერთი ლატიფუნდია: ჭვავის მოსავალი ეკონომიების სახნავ მიწაზე არის 90 ფუთი ერთ დესეტინაზე, ხორბლისა — 60 ფუთი, შვრიისა — 74 ფუთი, ხოლო სანახევრო მიწებზე — 58 — 28 — 50 ფუთი. აი საერთო მონაცემები მთელი მაზრისათვის (გორბატოვის მაზრა, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნია):

ჭვავის მოსავლიანობა ფუთობით დესეტინაზე

ნიადაგის თანრიგები	სანადილო მიწები	კერძომფლობელური მიწები ეკონომიების ნათესი	სანახევრო	საიჯარო
I	62	74	—	44
II	55	63	49	—
III	51	60	50	42
IV	48	69	51	51
ყველა თანრიგისათვის	54*	66	50	45*

* ბ-ნ კაუფმანს, გვ. 521, ალბათ, ბეჭდვითი შეცდომა აქვს ამ ორ ციფრში.

ამრიგად, მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი მიწები, რომლებსაც ბატონყმურად ამუშავებენ (მონახევრეობა და წვრილი იჯარა), ნ ა კ ლ ე ბ მოსავალს იძლევა, ვიდრე სანადელო მიწები! ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რადგან იგი უდავოდ ამტკიცებს, რომ მთავარი და ძირითადი მიზეზი რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ჩამორჩენილობისა, მთელი სახალხო მეურნეობის უძრაობისა და მიწათმოქმედის ისეთი დაბეჩავებისა, როგორიც არსად არ ნახულა, არის შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა, ე. ი. ბატონყმობის პირდაპირი ნაშთი. ვერავითარი კრედიტი, ვერავითარი მელიორაცია, ვერავითარი «დახმარება» გლეხისადმი, «ხელშეწყობის» ვერავითარი ლონისძიება, ბიუროკრატებსა და ლიბერალებს რომ ამოუჩემებიათ, ვერავითარ სერიოზულ შედეგს ვერ გამოიღებს, ვიდრე რჩება მეურნეობის ბატონყმური ლატიფუნდიების, ტრადიციების, სისტემების უღელი. და პირიქით, აგრარული გადატრიალება. რომელიც სპობს მემამულურ მიწათმფლობელობას და ანგრევს ძველ შუასაუკუნებრივ თემს (მიწის ნაციონალიზაცია, მაგალითად, ანგრევს მას არა პოლიციური, არა მოხელური გზით), უეჭველად გახდებოდა უაღრესად სწრაფი და ნამდვილად ფართო პროგრესის საფუძვლად. სანახევრო და საიჯარო მიწების მეტისმეტად მცირე მოსავალი აიხსნება «ბატონისათვის» მუშაობის სისტემით. არა მარტო ამ მიწების მოსავალი იმატებდა, იგივე, ახლანდელი მიწათმოქმედი რომ განთავისუფლებულიყო «ბატონისათვის» მუშაობისაგან, არამედ სანადელო მიწების მოსავალიც გარდუვალად გაიზრდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ მოისპობოდა მეურნეობის ბატონყმური დაბრკოლებანი.

საქმის ახლანდელი ვითარებისას კი კერძომფლობელური მეურნეობის კაპიტალისტური პროგრესი, რა თქმა უნდა, ხდება, მაგრამ იგი უაღრესად ნელია და რუსეთს გარდუვალად ამძიმებს დიდი ხნით «ველური მემამულის» პოლიტიკური და სოციალური ბატონობით. ჩვენ ახლა განვიხილავთ, თუ რით გამოიხატება ეს პროგრესი. და შევეცდებით განვსაზღვროთ მისი ზოგიერთი ზოგადი შედეგი.

«ეკონომიების» ნათესების, ე. ი. კაპიტალისტურად დამუშავებული მემამულური მიწების მოსავლიანობა რომ გლეხური მიწების მოსავლიანობაზე უფრო დიდია, ეს მოწმობს კაპიტალიზმის ტექნიკურ პროგრესს მიწათმოქმედებაში. ეს პროგრესი დაკავშირებულია შრომამიგების სისტემიდან ნებით დაქირავების სისტემაზე გადასვლასთან. გლეხობის გაჩანაგება, გაუცხენოება, ინვენტარის დაკარგვა, მიწათმოქმედის გაპროლეტარება აიძულებს მემამულეებს გადავიდნენ თავისი ინვენტარით მუშაობაზე. იზრდება მანქანების მოხმარება სოფლის მეურნეობაში, რომლებიც ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და გარდუვალად იწვევენ წმინდა კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო მანქანები რუსეთში საზღვარგარეთიდან შემოიტანეს 788 ათასი მანეთისა 1869 — 1872 წლებში, 2,9 მილიონი მანეთისა 1873 — 1880 წლებში, 4,2 მილიონი მანეთისა 1881 — 1888 წლებში, 3,7 მილიონი მანეთისა 1889 — 1896 წლებში, 15,2 — 20,6 მილიონი მანეთისა 1902 — 1903 წლებში. სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება რუსეთში განისაზღვრებოდა (დაახლოებით, ფაბრიკა-ქარხნების საკმაოდ არაზუსტი სტატისტიკით) 2,3 მილიონი მანეთით 1876 წელს, 9,4 მილიონი მანეთით 1894 წელს, 12,1 მილიონი მანეთით 1900 — 1903 წლებში. უდავოა, რომ ეს ციფრები მოწმობენ მიწათმოქმედების პროგრესს და, რა თქმა უნდა, სწორედ კაპიტალისტურ პროგრესს. მაგრამ აგრეთვე უდავოა, რომ ეს პროგრესი უაღრესად ნელია იმასთან შედარებით, რაც შესაძლებელია თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოში: მაგალითი — ამერიკაა. 1900 წლის 1 ივნისის აღწერით შეერთებულ შტატებში ფერმებს ეკავათ 838,6 მილიონი აკრი მიწა, ე. ი. დაახლოებით 324 მილიონი დესეტინა. ფერმების რიცხვი უდრიდა 5,7 მილიონს, ასე რომ 1 ფერმას საშუალოდ ეწევდა 146,2 აკრი (დაახლოებით 60 დესეტ.). და აი, მიწათმოქმედების იარაღთა წარმოება ამ ფერმერებისათვის შეადგენდა 157,7 მილიონ დოლარს 1900 წელს (1890 წელს — 145,3 მილიონ დოლარს; 1880 წელს — 62,1 მილიონ

დოლარს) *. რუსეთის ციფრები სასაცილოდ მცირეა ამ ციფრებთან შედარებით, და მცირეა იმიტომ, რომ დიდი და ძლიერია ჩვენში ბატონყმური ლატიფუნდიები.

გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების შედარებითი გავრცელება მფლობელთა და გლეხთა შორის საგანი იყო სპეციალური ანკეტისა, რაც ჩაატარა მიწათმოქმედების სამინისტრომ გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში. ნაკრები ამ ანკეტის მონაცემებისა, რომლებიც ვრცლად არის გადმოცემული ბ-ნ კაუფმანის ნაშრომში, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგ ცხრილში:

რაიონები	გაუმჯობესებულ სას.-საშ. იარაღთა ფართო გავრცელების მაჩვენებელთა პროცენტი	
	მფლობელნი	გლეხები
ცენტრალური სამიწათმოქმედო....	20 — 51	8 — 20
შუა ვოლგისა.....	18 — 66	14
ნოვოროსიისა	50 — 91	33 — 65
ბელორუსიისა.....	54 — 86	17 — 41
პრიოზიორნი	24 — 47	1 — 21
პოდმოსკოვნი.....	22 — 51	10 — 26
სამრეწველო.....	4 — 8	2

საშუალოდ ყველა ამ რაიონში ვიღებთ 42% მემამულეებისათვის და 21% გლეხებისათვის.

ნაკელის სასუქის გავრცელების შესახებ სტატისტიკის ყველა მონაცემი აგრეთვე უდავოდ მოწმობს, «რომ ამ საქმეში მფლობელური მეურნეობა სულ მუდამ დიდად უსწრებდა და ახლაც უსწრებს გლეხურ მეურნეობას» (კაუფმანი, გვ. 544). ეს ცოტაა: საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული რეფორმისშემდგომ რუსეთში ისეთი მოვლენა, როგორიცაა მემამულეთა მიერ ნაკელის შეყიდვა გლეხებისაგან. ეს უკვე გლეხის მეტისმეტი, უკიდურესი გაჭირვების შედეგია. ამ ბოლო დროს ეს მოვლენა კლებულობს.

* «Abstract of the Twelfth Census». 1900, Third Edition, Washington, 1904, pages 217 and 302 — agricultural implements («მეთორმეტე აღწერის მიმოხილვა». 1900, მე-3 გამოც., ვაშინგტონი, 1904, გვ. 217 და 302 — სასოფლო-სამეურნეო იარაღები. რ ე დ.).

დასასრულ, ზუსტი და მასობრივი სტატისტიკური მონაცემები მემამულურ და გლეხურ მეურნეობაში სამიწათმოქმედო ტექნიკის დონის საკითხზე მოიპოვება ბალახთესვის გავრცელების შესახებ (კაუფმანი, გვ. 561). აი მთავარი დასკვნები:

წ ლ ე ბ ი	საკვები ბალახების ნათესი ევროპულ რუსეთში	
	გლეხები	მფლობელები
1881	49,8 ათ. დეს.	491,6 ათ. დეს.
1901	499,0 » »	1 046,0 » »

როგორია მემამულური და გლეხური მეურნეობის ყველა ამ განსხვავების შედეგი? ამაზე მსჯელობისათვის მოიპოვება მონაცემები მხოლოდ მოსავლიანობის შესახებ. მთელ ევროპულ რუსეთში საშუალოდ 18 წლის მანძილზე (1883 — 1900) მოსავლიანობა შემდეგი იყო (ჩეტვერტობით):

	ჭვავი	საშემოდგომო ხორბალი	საგაზაფხულო ხორბალი	შვრია
მფლობელები	6,0	5,75	5,0	8,5
გლეხები	5,0	5,0	4,25	7,0
განსხვავება	16,7%	13,0%	15,0%	17,6%

ბ-ნი კაუფმანი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ ეს განსხვავება «არცთუ ისე დიდია» (გვ. 592). ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ის, რომ გლეხებს 1861 წელს უფრო ცუდი მიწები დაუტოვეს, არამედ ისიც, რომ საერთო საშუალო მონაცემები მთელი გლეხობის შესახებ ჩქმალავენ (როგორც ახლა დავინახავთ) დიდ განსხვავებას.

საერთო დასკვნა, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ მემამულური მეურნეობის განხილვიდან, შემდეგია. კაპიტალიზმი სავსებით აშკარად იკაფავს გზას ამ დარგში. ხდება საბატონო მეურნეობის შეცვლა ნებით დაქირავების მეურნეობით. კაპიტალისტური მიწათმოქმედების ტექნიკური პროგრესი შრომამიგებისა და წვრილ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით სავსებით გარკვეულად ისახება ყველა მიმართულებით. მაგრამ ეს პროგრესი არაჩვეულებრივ ნელია თანამედროვე

კაპიტალისტური ქვეყნისათვის. XIX საუკუნის დასასრულს რუსეთში ვხედავთ მთელი საზოგადოებრივი განვითარების საჭიროებისა და ბატონყმობის უაღრესად მწვავე წინააღმდეგობას. ეს ბატონყმობა მემამულური თავადაზნაურული ლატიფუნდიების სახით, მეურნეობის შრომამიგების სისტემის სახით წარმოადგენს სამეურნეო ევოლუციის მუხრუჭს, ჩაგვრის, ბარბაროსობის, თათრული წესების უსასრულო ფორმების სათავეს რუსეთის ცხოვრებაში.

III

გლეხური მეურნეობა შეადგენს რუსეთის თანამედროვე აგრარული საკითხის ცენტრალურ პუნქტს. ჩვენ ზემოთ ცხადვყავით, თუ როგორია გლეხური მიწათმფლობელობის პირობები, და ახლა უნდა გავიგოთ, რანაირია გლეხური მეურნეობის ორგანიზაცია — ამ სიტყვის არა ტექნიკური, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით.

აქ პირველ ადგილზე ვხვდებით გლეხური თემის საკითხს. ამ საკითხზე არსებობს უაღრესად ვრცელი ლიტერატურა, და ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ნაროდნიკული მიმართულება თავისი მსოფლმხედველობის ძირითად პუნქტებს უკავშირებს ამ «გათანაბრების» ინსტიტუტის ნაციონალურ თავისებურებებს. ამის გამო უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ლიტერატურაში რუსული საადგილმამულო თემის შესახებ მუდამ გადანასკვულია და ძალიან ხშირად ერთმანეთშია არეული საკითხის ორი სხვადასხვა მხარე: ერთი მხრით, აგრიკულტურული და ყოფაცხოვრებითი, ხოლო მეორე მხრით — პოლიტიკურ-ეკონომიური. თემის შესახებ დაწერილ მეტწილ თხზულებებში (ვ. ორლოვი, ტრიროგოვი, კეისლერი, ვ. ვ.)[40] საკითხის პირველ მხარეს ისე ბევრი ადგილი და ყურადღება ეთმობა, რომ მეორე მხარე სავსებით ჩრდილში რჩება. ამავე დროს კი ამგვარი წესი სრულიადაც არ არის მართებული. რუსეთის საადგილმამულო ურთიერთობის თავისებურება, ყოველ სხვა ქვეყანაში არსებულ ურთიერთობასთან შედარებით, ეჭვს გარეშეა, მაგრამ ვერ იპოვნით ორ წმინდა კაპიტა-

ლისტურ, საყოველთაოდ აღიარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, რომელნიც ერთიმეორისაგან ასევე მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდნენ აგრარული ყოფით, საადგილმამულო ურთიერთობის ისტორიით, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებით და ა. შ.. ის, რამაც რუსული საადგილმამულო თემის საკითხს მისცა თავისი მნიშვნელობა და სიმწვავე, ის, რამაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჰყო ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ორი ძირითადი მიმართულება — ნაროდნიკული და მარქსისტული, — ეს სრულიადაც არ არის საკითხის არც აგრიკულტურული და არც ყოფაცხოვრებითი მხარე. შესაძლოა, ამ მხარისათვის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოთ ადგილობრივ მკვლევარებს როგორც იმიტომ, რომ ყოველმხრივ გაეთვალისწინებინათ სამიწათმოქმედო ყოფის სწორედ ადგილობრივი თავისებურებანი, ისე იმიტომ, რომ უკუეგდოთ ბიუროკრატიის უმეცრული, აშკარად თავხედური ცდები წვრილმანი, პოლიციური სულით გაჟღენთილი რეგლამენტაციისა. მაგრამ ეკონომისტისათვის ყოველ შემთხვევაში სრულიად შეუწყნარებელია მიჩქმალოს მიწის ხელახლა გაყოფის ნაირსახეობის, მისი ტექნიკისა და მისთანათა შესწავლით ის საკითხი, თუ რა მ ე ე ურ ნ ე ო ბ ა თ ა ტ ი პ ე ბ ი იქმნება თემის შ ი გ ნ ი თ, როგორ ვითარდება ეს ტიპები, როგორ იქმნება ურთიერთობა მუშების დამქირავებელთა და შავ სამუშაოზე დაქირავებულთა შორის, შეძლებულთა და ღარიბთა შორის, მეურნეობის გამაუმჯობესებელთა და ტექნიკაში უკეთესობის შემტანთა და იმათ შორის, ვინც ჩანაგდება, თავს ანებებს მეურნეობას, გარბის სოფლიდან. უეჭველია, სწორედ ამ ჭეშმარიტების შეგნებამ აიძულა ჩვენი ერობელი სტატისტიკოსები — რომლებმაც ფასდაუდებელი მასალა მოგვცეს რუსეთის სახალხო მეურნეობის შესასწავლად — გადასულიყვნენ გასული საუკუნის 80-იან წლებში გლეხთა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი დაჯგუფებიდან თემების, ნადელის მიხედვით, მოხარკეთა სიაში შეტანილ თუ არსებულ მამრობითი სქესის სულთა რიცხვის მიხედვით ერთადერთ მეცნიერულ დაჯგუფებაზე კომლთა ს ა მ ე ე ურ ნ ე ო

შეძლებულობის დაკვალად. გავიხსენოთ, რომ იმ ხანებში, როცა ინტერესი რუსეთის ეკონომიური შესწავლისადმი განსაკუთრებით დიდი იყო, ამ საკითხში ისეთი «პარტიული» მწერალიც კი, როგორიც არის ბ-ნი ვ. ვ., მთელი სულითა და გულით მიესალმა «ადგილობრივ-სტატისტიკური გამოცემის ახალ ტიპს» (სათაური ბ-ნ ვ. ვ.-ს სტატიისა, რომელიც მოთავსებულია «სევერნი ვესტნიკში» [41], 1885 წ., № 3) და განაცხადა: «საჭიროა ციფრობრივი მონაცემები შევუფარდოთ გლეხობის სულ სხვადასხვანაირი ეკონომიური ჯგუფების არა ისეთ აგლომერატს, როგორიცაა სოფელი თუ თემი, არამედ თვით ამ ჯგუფებს».

ჩვენი თემის ძირითადი თვისება, რამაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ნაროდნიკების თვალში, არის მიწათსარგებლობის გამთანაბრებლობა. ჩვენ სრულიად განზე დავტოვებთ იმ საკითხს, თუ როგორ აღწევს თემი ამ გამთანაბრებლობას, და პირდაპირ მივმართავთ ეკონომიურ ფაქტებს, ამ გამთანაბრებლობის შედეგებს. მთელი სანადელო მიწის განაწილება ევროპულ რუსეთში, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ცხადვყავით ზუსტი მონაცემებით, სრულებითაც არ არის გამთანაბრებელი. განაწილებას გლეხთა თანრიგებს შორის, სხვადასხვა სოფლის გლეხთა შორის, ერთი სოფლის სხვადასხვა მემამულის («ყოფილთა») გლეხთა შორისაც კი არაფერი აქვს საერთო გამთანაბრებელ განაწილებასთან, მხოლოდ პატარა თემების შიგნით გადაყოფის აპარატი ქმნის ამ მცირე კარჩაკეტილი კავშირების გათანაბრებას. მაშ ვნახოთ საერობო სტატისტიკის მონაცემები კომლთა შორის სანადელო მიწის განაწილების შესახებ. ამასთან, იგულისხმება, ჩვენ უნდა ავიღოთ კომლთა დაჯგუფება არა ოჯახის სიდიდის, არა მომუშავეთა რიცხვის მიხედვით, არამედ აუცილებლად ცალკეულ კომლთა სამეურნეო შეძლებულობის მიხედვით (ნათესი, მუშა პირუტყვის რიცხვი, ძროხების რაოდენობა და სხვ.), ვინაიდან წვრილი მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქმნის და აძლიერებს ქონებრივ

უთანასწორობას პატრიარქალურ კავშირებს შიგნით, შემდეგ იმაში მდგომარეობს, რომ გადააქცევს უბრალო უთანასწორობას კაპიტალისტურ ურთიერთობად. მაშასადამე, ჩვენ მივჩქმალავდით ახალი სამეურნეო ევოლუციის ყველა თავისებურებას, მიზნად რომ არ დაგვესახა გლეხობის სამეურნეო შეძლებულობის განსხვავებათა სპეციალურად შესწავლა.

ავიღოთ ჯერ ერთი ტიპიური მაზრა (საერობო სტატისტიკის კომლობრივი გამოკვლევანი დეტალური კომბინაციური ცხრილებით შეფარღებულია ცალკეულ მაზრებთან) და შემდეგ მოვიყვანოთ საბუთები, რომლებიც გვაიძულებენ განვავრცოთ ჩვენთვის საინტერესო დასკვნები მთელი რუსეთის გლეხობაზე. მასალები ამოღებული გვაქვს «კაპიტალიზმის განვითარებიდან», თავი II *.

კრასნოუფიმსკის მაზრაში, პერმის გუბერნიაში, სადაც მხოლოდ და მხოლოდ თემური გლეხური მიწათმფლობელობაა, სანადელო მიწა ნაწილდება შემდეგნაირად:

	ერთ კომლზე ორივე სქესის სული	ერთ კომლზე სანადელო მიწა დესეტინობით
არ ამუშავებენ მიწას.....	3,5	9,8
ამუშავებენ 5 დესეტინამდე	4,5	12,9
» 5 — 10 »	5,4	17,4
» 10 — 20 »	6,7	21,8
» 20 — 50 »	7,9	28,8
» 50 დეს.-ზე მეტს	8,2	44,6
სულ	5,5	17,4

ჩვენ ვხედავთ, რომ კომლთა სამეურნეო შეძლებულობის ზრდასთან ერთად უსათუოდ წესიერად იზრდება ოჯახის ოდენობა. ცხადია, დიდოჯახიანობა გლეხის კეთილდღეობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს. ეს უდავოა. საკითხი მხოლოდ ის არის, თუ რა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას იწვევს ეს კეთილდღეობა მთელი სახალხო მეურნეობის მოცემულ ვითარებაში. რაც შეეხება სანადელო მიწას, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი უთანაბროდაა განაწილებული, თუმ-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 3, გვ. 65 — 203. რ ე დ.

ცა ეს უთანაბრობა არც ისე დიდია. რაც უფრო შეძლებულია გლეხური კომლი, მით უფრო მეტი სანადელო მიწა მოდის 1 სულ მოსახლეზე. დაბალ ჯგუფში 3 დესეტინაზე ნაკლები სანადელო მიწა უწევს ორივე სქესის ერთ სულს; შემდგომ ჯგუფებში 3 დესეტინამდე — 3 დესეტ. — 4 დესეტინამდე — ოთხი და, ბოლოს, უკანასკნელ, უმაღლეს ჯგუფში 5 დესეტინაზე მეტი სანადელო მიწა ორივე სქესის 1 სულს. მაშასადამე, დიდოჯახიანობა და სანადელო მიწით მეტი უზრუნველყოფა წარმოადგენს გლეხთა პატარა უმცირესობის შეძლებულობის საფუძველს, ვინაიდან ორი უმაღლესი ჯგუფი მოიცავს კომლთა საერთო რიცხვის მხოლოდ ერთ მეათედ ნაწილს. აი პროცენტური თანაფარდობა კომლთა რიცხვსა, მოსახლეობის რაოდენობასა და სანადელო მიწის განაწილებას შორის:

	პროცენტები ჯამის მიმართ		
კომლთა ჯგუფები	კომლი	ორივე სქესის მოსახლეობა	სანადელო მიწა
არ ამუშავებენ მიწას.....	10,2	6,5	5,7
ამუშავებენ 5 დესეტინამდე	30,3	24,8	22,6
» 5 — 10 »	27.0	26,7	2ი,0
» 10 — 20 »	22,4	27,3	28,3
» 20 — 50 »	9,4	13,5	15,5
» 50 დეს.-ზე მეტს	0,7	1,2	1,9
სულ	100,0	100,0	100,0

ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ სანადელო მიწის განაწილების პროპორციულობა ნამდვილად არის, რომ თემური გათანაბრების შედეგს ჩვენ ვითვალისწინებთ. პროცენტული წილი მოსახლეობისა ჯგუფების მიხედვით და სანადელო მიწისა — ჯგუფების მიხედვით საკმაოდ ახლოსაა ერთიმეორესთან. მაგრამ უკვე აქაც თავს იჩენს ცალკეულ კომლთა სამეურნეო შეძლებულობის გავლენა: დაბალი ჯგუფების მიწის წილი ნაკლებია მოსახლეობის წილზე, მაღალი ჯგუფებისა — მეტია. და ეს მოვლენა გამონაკლისი არ არის, ეხება არა მარტო ერთ მაზრას, არამედ საერთოა მთელი რუსეთისათვის. ზემოაღნიშნულ ნაშრომში მე შეჯა-

შებული მაქვს ერთნაირი მონაცემები რუსეთის სულ სხვადასხვა ადგილის 7 გუბერნიის 21 მაზრის შესახებ. ეს მონაცემები, რომლებიც ეხება ნახევარ მილიონ გლეხურ კომლს, ყველგან გვიჩვენებს ერთნაირ თანაფარდობას. შეძლებულ კომლთა 20% მოიცავს მოსახლეობის 26,1% — 30,3% და სანადელო მიწის 29,0% — 36,7%. უღარიბეს კომლთა 50% მოიცავს მოსახლეობის 36,6% — 44,7% და სანადელო მიწის 33,0% — 37,7%. სანადელო მიწის განაწილების პროპორციულობა ყველგან არის, და ამავე დროს ყველგან იჩენს თავს ის, რომ თემი ი ხ რ ე ბ ა გლეხური ბურჟუაზიისაკენ; პროპორციულობისაგან გადახვევა ყველგან ხდება გლეხობის უმაღლესი ჯგუფების სასარგებლოდ.

ამრიგად, დიდი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ, როცა ვსწავლობთ გლეხობის დაჯგუფებას სამეურნეო შეძლებულობის მიხედვით, ჩვენ უგულებელვყოფდეთ თემის «გამთანაბრებლობის» გავლენას. სწორედ პირიქით, ჩვენ დიახაც ვითვალისწინებთ ზუსტი მონაცემების საშუალებით ამ გამთანაბრებლობის ნამდვილ სამეურნეო მნიშვნელობას. ჩვენ დიახაც ცხადვყოფთ, თუ რამდენად ვრცელდება ეს გამთანაბრებლობა, თუ რას იწვევს, ბ ო ლ ო ს და ბ ო ლ ო ს, მიწების გადაყოფათა მთელი სისტემა. დაე, ეს სისტემა იძლეოდეს სხვადასხვა ხარისხის მიწებისა და სხვადასხვა ადგილმამულის საუკეთესო განაწილებას, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ გლეხობის შეძლებული ჯგუფების უპირატესობა უღარიბესი ჯგუფების მიმართ თავს იჩენს ა გ რ ე თ ვ ე სანადელო მიწის განაწილებაშიც. სხვა, არა სანადელო, მიწების განაწილებაც, როგორც ახლა დავინახავთ, გაცილებით უფრო უთანაბროა.

ცნობილია იჯარის მნიშვნელობა გლეხურ მეურნეობაში. მიწის საჭიროება იწვევს კაბალურ ურთიერთობათა არაჩვეულებრივად სხვადასხვაგვარ ფორმებს ამ ნიადაგზე. ძალიან ხშირად, როგორც ზემოთაც ვთქვით, გლეხთა მიერ მიწის იჯარით აღება არსებითად არის მემამულური მეურნეობის შრომამიგების სისტემა, — არის ბატონისათვის მუშახელის

შეძენის ბატონყმური წესი. ამრიგად, ჩვენი გლეხური იჯარის ბატონყმური მნიშვნელობა უეჭველია. მაგრამ, რაკი ჩვენს თვალწინ არის მოცემული ქვეყნის კაპიტალისტური ევოლუცია, სპეციალურად უნდა გამოვიკვლიოთ, თუ როგორ იჩენს თავს და იჩენს კი თავს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ურთიერთობა გლეხურ იჯარაში. ამისათვის ისევ საჭიროა მონაცემები არა მთელი თემებისა და სოფლების შესახებ, არამედ გლეხობის სხვადასხვა სამეურნეო ჯგუფების შესახებ. მაგალითად, «საერობო სტატისტიკის შედეგებში» ბ-ნი კარიშევი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ნატურალური იჯარა (ე. ი. იჯარა არა ფულით, არამედ სანახევროდ ან შრომამიგებით) ჩვეულებრივ ყ ვ ე ლ გ ა ნ უფრო ძვირია ფულადს იჯარაზე, და ამასთან მნიშვნელოვნად უფრო ძვირია, ზოგჯერ ერთიორადაც კი; შემდეგ, რომ ნატურალური იჯარა გავრცელებულია ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ გ ლ ე ხ ო ბ ი ს უ ღ ა რ ი ბ ე ს ჯ გ უ ფ ე ბ შ ი. რაოდენადმე შეძლებული გლეხები ცდილობენ ფულად აიღონ მიწა იჯარით. «მოქირავნე იყენებს სულ მცირედ შესაძლებლობას, რომ ფულად შეიტანოს საიჯარო თანხა და ამით გააიაფოს სხვისი მიწით სარგებლობის ღირებულება» (კარიშევი, ციტირებული თხზულება, გვ. 265) [42].

მაშასადამე, ჩვენი იჯარის ბატონყმური მხარეები მთელი სიმძიმით აწვება უღარიბეს გლეხებს. შეძლებულნი ცდილობენ თავი დააღწიონ შუასაუკუნებრივ უღელს, და ამას ისინი ახერხებენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ საკმაო ფული გააჩნიათ. თუ გაქვს ფული — შეგიძლია იჯარით აიღო მიწა ნაღდ ფულად ჩვეულებრივ საბაზრო ფასებში. თუ არა გაქვს ფული — ჩავარდები კაბალაში, მამასისხლად დაგიჯდება მიწა მონახევრეობისა თუ შრომამიგების სახით. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ რაოდენ უფრო მცირეა შრომამიგების ფასები ნებით დაქირავების ფასებზე. ხოლო თუ იჯარის პირობები სხვადასხვანაირია სხვადასხვა შეძლების გლეხებისათვის, მაშინ ცხადია, რომ ჩვენ ვერ დავჯერდებით (როგორც ამას ყოველთვის შვრება კარიშევი) გლეხთა დაჯგუფებას ნადელის მიხედვით, ვინაიდან ასეთი დაჯგუფება ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ა დ

აერთებს სხვადასხვა შეძლების კომლებს, ურევს სოფლის პროლეტარიატს გლეხურ ბურჟუაზიაში.

ავიღოთ საილუსტრაციოდ მონაცემები კამიშის მაზრის შესახებ სარატოვის გუბერნიაში, რომელიც თითქმის მთლიანად თემურია (ამ გუბერნიის 2 455 თემიდან 2 436-ს მიწა თემურ მფლობელობაში აქვს). აი როგორია აქ თანაფარდობა კომლთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის მიწის იჯარის მხრივ:

მეკომურთა ჯგუფები	კომლთა %	1 ნადელიან კომლს უწევს დესეტინა სანადელო სახნავი	საიჯარო მიწა
მუშა პირუტყვი არა ჰყავთ	26,4	5,4	0,3
ჰყავთ 1 სული მუშა პირუტყვი.....	20,3	6,5	1,6
» 2 » » »	14,6	8,5	3,5
» 3 » » »	9,3	10,1	5,6
» 4 » » »	8,3	12,5	7,4
» 5 და მეტი »	21,1	16,1	16,6
სულ	100,0	9,3	5,4

სანადელო მიწის განაწილებას ჩვენ უკვე ვიცნობთ: შეძლებული კომლები მოსახლეობის ერთეულზე გაანგარიშებით უკეთ არიან ასეთი მიწით უზრუნველყოფილნი, ვიდრე ღარიბი კომლები. იჯარის განაწილება ბ ე ვ რ ა თ ე უ ლ ჯ ე რ უფრო უთანაბროა. უმაღლეს ჯგუფში ერთისამად მეტი სანადელო მიწაა, ვიდრე დაბალში (16,1 წინააღმდეგ 5,4-სა). იჯარით აღებული მიწა კი უმაღლეს ჯგუფში ორმოცდაათჯერ მეტია, ვიდრე დაბალში (16,6 წინააღმდეგ 0,3-ისა). მაშასადამე, იჯარა ვერა სპობს გლეხთა სამეურნეო შეძლებულობის განსხვავებას, არამედ ბევრ ათეულჯერ აძლიერებს, ამწვავებს მას. საწინააღმდეგო დასკვნა, რასაც არა ერთგზის ვხვდებით ეკონომისტ-ნაროდნიკებთან (ვ. ვ., ნიკ. — ონი[43], მარესი, კარიშევი, ვიხლიაევი და სხვ.), შემდეგ შეცდომაზეა დამყარებული. ჩვეულებრივ იღებენ გლეხთა დაჯგუფებას ნადელის მიხედვით და გვიჩვენებენ, რომ მცირენადელიანები მეტს იღებენ იჯარით, ვიდრე მრავალნადელიანები. ამაზე ჩერდებიან და არ მიგვითითებენ, რომ მიწას იჯარით იღებენ უმთავრესად მცირენადელიანი თემების შეძლებული კომლები, და

რომ ამიტომ თემების მოჩვენებითი გამთანაბრებლობა მხოლოდ ფარავს განაწილების უდიდეს უთანაბრობას თემების შიგნით. მაგალითად, კარიშევი თვითონ აღიარებს, რომ «დიდი იჯარებით სარგებლობენ a) მიწით ნაკლებად უზრუნველყოფილი თანრიგები, მაგრამ b) მათგან უფრო უზრუნველყოფილი ჯგუფები» (იხ. აღნ. თხზ., გვ. 139); მიუხედავად ამისა, ის სისტემატურად არ იკვლევს იჯარის განაწილებას ჯგუფების მიხედვით.

უფრო ცხადი რომ იყოს ეკონომისტ-ნაროდნიკების ეს შეცდომა, მოვიყვანოთ ერთი მაგალითი — ბ-ნ მარესისა (წიგნიდან: «მოსავლისა და პურის ფასების გავლენა», ტ. I, გვ. 34). მას მელიტოპოლის მაზრის მონაცემებიდან გამოჰყავს «იჯარის დაახლოებით თანაბარი სულადობრივი განაწილება». რაშია საქმე? იმაში, რომ თუ კომლები მამრობითი სქესის მომუშავეთა რიცხვის მიხედვით გავანაწილეთ, აღმოჩნდება, რომ კომლები, რომლებსაც მომუშავენი არა ჰყავთ, იჯარით იღებენ «საშუალოდ» 1,6 დესეტინას მოიჯარადრე კომლზე, 1 მომუშავის პატრონი კომლები — 4,4 დესეტინას; ორი მომუშავისა — 8,3 დესეტინას, სამი მომუშავისა — 14,0 დესეტინას. მთელი საქმეც ის არის, რომ ეს «საშუალონი» აერთიანებენ სრულიად სხვადასხვანაირი სამეურნეო შეძლებულობის კომლებს, მაგალითად, 1 მომუშავისა და 2—3 სული მუშა პირუტყვის პატრონ კომლთა შორის არიან კომლები, რომლებიც იჯარით იღებენ 4 დესეტინას და თესვენ 5—10 დესეტინას, და 4 და მეტი სული მუშა პირუტყვის პატრონი კომლები იჯარით იღებენ 38 დესეტინას და თესვენ 50 დესეტინაზე მეტს. ამრიგად, ბ-ნ მარესის მიერ გამოყვანილი გამთანაბრებლობა ფიქციურია. ნამდვილად კი მელიტოპოლის მაზრაში უმდიდრეს კომლთა 20%, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველაზე მეტად არიან უზრუნველყოფილნი როგორც სანადელო, ისე ნაყიდი მიწით, თავს უყრის იჯარით აღებული მთელი მიწის 66,3%, ე. ი. ორ მესამედს, და მიწის მხოლოდ 5,6% უტოვებენ უღარიბეს კომლთა ნახევარს.

შემდეგ. თუ ჩვენ ვხედავთ, რომ, ერთი მხრივ, ერთი დესეტინა მიწა ან მისი ნაწილიც კი იჯარით აღებული აქვთ უცხენო და ერთცხენიან კომლებს, ხოლო მეორე მხრივ, 7 — 16 დესეტინა იჯარით აქვთ აღებული ოთხ და მეტცხენიან კომლებს, ცხადია, რომ აქ რაოდენობა თვისებაში გადადის. პირველი იჯარა არის გაჭირვებით გამოწვეული იჯარა, კაბალური იჯარა. ამგვარ პირობებში მყოფი «მოიჯარადრე» არ შეიძლება არ გადაიქცეს ექსპლოატაციის იარაღად შრომამიგების, ზამთარში დაქირავების, ფულის სესხებისა და მისთანათა საშუალებით. პირიქით, კომლი, რომელსაც 12 — 16 დესეტინა სანადელო მიწა აქვს და, გ ა რ დ ა ა მ ი ს ა, იჯარით იღებს 7 — 16 დესეტინას, აშკარაა, იჯარას მიმართავს არა გაჭირვების გამო, არამედ სიმდიდრის წყალობით, არა «გამოსაკვებად», არამედ გასამდიდრებლად, იმისათვის, რომ «ფული გააკეთოს». აქ ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ იჯარის გადაქცევას კაპიტალისტურ ფერმერობად, მეწარმეობის ჩასახვას მიწათმოქმედებაში. ამგვარი კომლები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მიწათმოქმედ მუშებს ქირაობენ.

ახლა კითხვა ისმება, რამდენად საერთო მოვლენაა ეს აშკარად მეწარმეობითი იჯარა? ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ სავაჭრო მიწათმოქმედების სხვადასხვა რაიონში მეწარმეობითი მეურნეობის ზრდა სხვადასხვანაირად გვევლინება. ახლა კი მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი და გავაკეთოთ ზოგადი დასკვნები იჯარის შესახებ.

თავრიდის გუბერნიის დნეპროვსკის მაზრაში კომლები, რომლებიც 25 და მეტ დესეტინას თესვენ, შეადგენენ საერთო რიცხვის 18,2%. ისინი ფლობენ 16 — 17 დესეტინა სანადელო მიწას კომლზე და იჯარით იღებენ 17 — 44 დესეტინას. სამარის გუბერნიის ნოვოუზენის მაზრაში კომლები, რომლებსაც ჰყავთ 5 და მეტი სული მუშა პირუტყვი, შეადგენენ საერთო რიცხვის 24,7%. ისინი თესვენ 25 — 53 — 149 დესეტინას კომლზე, იჯარით იღებენ რა 14 — 54 — 304 დესეტინა არასანადელო მიწას კომლზე (პირველი ციფრი ეხება

5 — 10 სული მუშა პირუტყვის პატრონთა ჯგუფს, კომლთა 17,1%; მეორე — 10 — 20 სული მუშა პირუტყვის პატრონთა ჯგუფს, კომლთა 5,8%; მესამე — 20 და მეტი სული პირუტყვის პატრონთა ჯგუფს, კომლთა 1,8%). სანადელო მიწა მათ იჯარით აღებული აქვთ სხვა საზოგადოებებში 12 — 29 — 67 დესეტინა თვითეულს და თავის საზოგადოებაში — 9 — 21 — 74 დესეტინა. პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრაში კომლთა მთელი რიცხვის 10,1% ამუშავებს 20 დესეტინას და მეტს. მათ აქვთ 28 — 44 დესეტინა სანადელო მიწა კომლზე, ხოლო იჯარით აღებული აქვთ 14 — 40 დესეტინა სახნავი და 118 — 261 დესეტინა სათიბი. ორიოლის გუბერნიის ორ მაზრაში (ელეცისა და ტრუბჩევსკისა) 4 და მეტი ცხენის პატრონი კომლები შეადგენენ საერთო რიცხვის 7,2%. თვითეულს აქვს 15,2 დესეტინა სანადელო მიწა, ხოლო ნაყიდი მიწისა და იჯარის საშუალებით თავისი მიწათსარგებლობა 28,4 დესეტინამდე აჰყავს. ვორონეჟის გუბერნიის ზადონსკის მაზრაში სათანადო ციფრებია: კომლთა 3,2% აქვს 17,1 დესეტინა სანადელო მიწა და მთელი მიწათსარგებლობის 33,2% დესეტინა თვითეულს. ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სამ მაზრაში (ვნიაგინსკის, მაკარიევსკისა და ვასილსკის) კომლთა 9,5% ჰყავს 3 და მეტი ცხენი თვითეულს. სანადელო მიწა აქვთ 13 — 16 დესეტინა კომლზე, ხოლო თვითეული კომლის სარგებლობაშია სულ 21 — 34 დესეტინა.

აქედან ჩანს, რომ მეწარმეობითი იჯარა გლეხობაში ერთეული და შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ საერთო და საყოველთაოა. თემიდან ყველგან გამოიყოფიან შეძლებული კომლები, რომლებიც ყოველთვის შეადგენენ უმნიშვნელო უმცირესობას და ყოველთვის აწყობენ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას მეწარმეობითი იჯარის საშუალებით. ამიტომ ზოგადი ფრაზებით სასურსათო და კაპიტალისტური იჯარის შესახებ არაფრის გამორკვევა არ შეიძლება ჩვენი გლეხური მეურნეობის საკითხებში: საჭიროა შევისწავლოთ კონკრეტული მონაცემები იჯარის ბატონ-

ყმური მხარეების განვითარებისა და მ ა ს შ ი ვ ე კაპიტალისტური ურთიერთობის გაჩენის შესახებ.

ჩვენ ზევით მოვიყვანეთ მონაცემები, თუ მოსახლეობისა და სანადელო მიწის რა ნაწილია თავმოყრილი ყველაზე შეძლებულ კომლთა 20% ფარგლებში. ახლა შეგვიძლია დავძინოთ, რომ მათ ხელში თავმოყრილია გლეხობის მიერ იჯარით აღებული მთელი მიწის 50,8%-დან 83,7%-მდე, ხოლო დაბალ ჯგუფთა კომლების 50%-ის წილად რჩება იჯარით აღებული მთელი მიწის 5%-დან 16%-მდე. აქედან დასკვნა ნათელია: თუ ჩვენ შეგვეკითხებიან, თუ რანაირი იჯარა სჭარბობს რუსეთში, სასურსათო თუ მეწარმეობითი, გაჭირვებით გამოწვეული იჯარა თუ შეძლებულ გლეხთა იჯარა, ბატონყმური (შრომამიგებითი, კაბალური) თუ ბურჟუაზიული, პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. მოიჯარადრე კომლთა რიცხვის მიხედვით, უეჭველია, მოიჯარადრეთა უმრავლესობა იჯარას იღებს გაჭირვების გამო. გლეხთა დიდი უმრავლესობისათვის იჯარა არის კაბალა. იჯარით აღებული მიწის რაოდენობის მიხედვით, უეჭველია, მისი ნახევარი მაინც შეძლებული გლეხობის, სოფლის ბურჟუაზიის ხელშია, რომელიც აწყობს კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას.

მონაცემები საიჯარო მიწის ფასების შესახებ ჩვეულებრივ მოჰყავთ მხოლოდ «საშუალოდ» ყველა მოიჯარადრისათვის და მთელი მიწისათვის. თუ რაოდენ ა ფ ე რ ა დ ე ბ ე ნ ე ს საშუალო ციფრები გლეხთა უსაზღვრო გაჭირვებასა და ჩაგვრას, ჩანს თავრიდის გუბერნიის დნეპროვსკის მაზრის საერობო სტატისტიკის მონაცემებიდან, სადაც ბედნიერი გამონაკლისის სახით აღნიშნულია იჯარის ფასები გლეხობის სხვადასხვა ჯგუფისათვის:

	პროცენტი მოიჯარადრე კომლებისა	დესიტინა სახნავი 1 მოიჯარადრე კომლზე	1 დესიტინის ფასი მანეთობით
ვინც თესავს 5 დეს.-მდე.....	25	2,4	15,25
» » 5—10 »	42	3,9	12,00
» » 10—25 »	69	8.5	4,75
» » 25—50 »	88	20,0	3,75
» » 50 დეს.-ზე მეტს.....	91	48,6	3,55
ს უ ლ	56,2	12,4	4,23

ამრიგად, იჯარის «საშუალო» ფასი — 4 მან. 23 კაპ. დესეტინაზე — პირდაპირ ამახინჯებს სინამდვილეს, რადგან ფარავს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც საქმის დედაარსს შეადგენენ. ღარიბი გლეხობა იძულებულია იჯარით აიღოს მიწა გამაჩანაგებელ ფასად, რომელიც საშუალო ფასს ერთისამად და უფრო მეტად აღემატება. მდიდრები ხელსაყრელად ყიდულობენ მიწას «ბითუმად» და, რა თქმა უნდა, თუ შემთხვევა მოიტანს, გადასცემენ მას გაჭირვებულ მეზობელს 275% მოგებით. იჯარაც არის და იჯარაც. არის ბატონყმური კაბალა, არის ირლანდიური იჯარა და არის მიწის ვაჭრობა, კაპიტალისტური ფერმერობა.

ისეთი მოვლენა, როგორიცაა გლეხების მიერ მიწის გაცემა, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენებს კაპიტალისტურ ურთიერთობას თემის შიგნით, ღარიბი გლეხობის გაჩანაგებას და უმცირესობის გამდიდრებას ამ გაჩანაგების გზაზე შემდგარი მასის ხარჯზე. მიწის იჯარით აღება და გაცემა იმგვარი მოვლენებია, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ თემთან და მის გამთანაბრებლობასთან. რა მნიშვნელობა ექნება ნამდვილ ცხოვრებაში სანადელო მიწის განაწილების ამ გამთანაბრებლობას, თუ ღარიბი გლეხობა იძულებულია გასცეს მდიდრებზე, მისთვის გათანაბრებით მიცემული მიწა? და «თემურ» შეხედულებათა რა უფრო თვალსაჩინო გაბათილება შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ვიდრე არის ეს ფაქტი ცხოვრების მიერ ნადელების ოფიციალური, რევიზიული, კაზიონური გამთანაბრებლობის გვერდის აქცევისა? ყოველნაირი გამთანაბრებლობის უძლურებას კაპიტალიზმის განვითარების წინაშე ნათლად ამტკიცებს ღარიბთა მიერ სანადელო მიწის გაცემისა და მდიდართა ხელში იჯარის კონცენტრაციის ფაქტი.

რამდენად ფართოდ არის გავრცელებული სანადელო მიწების გაცემის ეს მოვლენა? გასული საუკუნის 80-იანი წლების იმ, ახლა უკვე მოძველებული, საერობო-სტატისტიკური გამოკვლევებით, რომლებსაც ჩვენ ჯერჯერობით იძულებული ვართ დავჯერდეთ, მიწის გამცემ კომლთა რიცხვი და გაცემული სანადელო მიწის პროცენტი დიდი არა ჩანს. მაგალითად,

თავდრიდის გუბერნიის დნეპროვსკის მაზრაში სანადელო მიწას სცემს მეკომურთა 25, 7%; სანადელო მიწა გაცემულია 14, 9%. სამარის გუბერნიის ნოვოუზენის მაზრაში მიწას სცემს კომლთა 12%. სარატოვის გუბერნიის კამიშინის მაზრაში გაცემული მიწის პროცენტია 16. პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრაში სანადელო სახნავს სცემს 8 ½ ათასი მეურნე 23½ ათასიდან, ე. ი. მესამედზე მეტი. გაცემულია 50 ½ ათასი დესეტინა სანადელო მიწა 410 ათასიდან, ე. ი. დაახლოებით 12 %. ვორონეჟის გუბერნიის ზადონსკის მაზრაში სცემენ 6 ½ ათას დესეტინა სანადელო მიწას 135 ½ ათასიდან, ე. ი. 5%-ზე ნაკლებს. ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სამ მაზრაში იცემა 19 ათასი დესეტინა 433 ათასიდან, ე. ი. აგრეთვე 5 %-ზე ნაკლები. მაგრამ ყველა ეს ციფრი მხოლოდ გვეჩვენება უმნიშვნელო ციფრებად, ვინაიდან ამგვარი პროცენტული თანაფარდობა შეიცავს ჩუმ ვარაუდს, თითქოს მიწას მეტად თუ ნაკლებად თანაბრად სცემდნენ ყველა ჯგუფის მეურნენი. ასეთი ვარაუდი კი პირდაპირ ეწინააღმდეგება სინამდვილეს. იჯარისა და გაცემის აბსოლუტურ ციფრებზე, გაცემული მიწის ან მიწის გამცემ მეურნეთა საშუალო პროცენტებზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიწას სცემს უმთავრესად ღარიბი გლეხობა, ხოლო მიწის ყველაზე მეტ რაოდენობას იჯარით იღებენ შეძლებულნი. ამის შესახებ საერობო სტატისტიკის გამოკვლევათა მონაცემები არავითარ ეჭვს არ სტოვებენ. ყველაზე უფრო შეძლებულ კომლთა 20%-ზე მოდის მთელი გაცემული მიწის 0, 3 %-დან 12, 5%-მდე. პირიქით, დაბალი ჯგუფების კომლთა 50 %-ს გაცემული მიწის რაოდენობიდან უწევს 63, 3%-დან 98, 0%-მდე. და ღარიბთაგან გაცემულ ამ მიწებს, რა თქმა უნდა, იჯარით იღებენ იგივე შეძლებული გლეხები. აქ ისევ ცხადია, რომ გლეხობის სხვადასხვა ჯგუფში მიწის გაცემას სხვადასხვანაირი მნიშვნელობა აქვს: ღარიბნი მიწას სცემენ გაჭირვების გამო, რაკი მათ შესაძლებლობა არა აქვთ დაამუშაონ მიწა, რაკი არ გააჩნიათ თესლი, პირუტყვი, ინვენტარი და მეტისმეტად სჭირდებათ ფული.

მდიდრები ცოტას სცემენ, ან სცვლიან მიწის ერთ ნაკვეთს მეორეზე მეურნეობის ინტერესებისათვის, ან პირდაპირ ვაჭრობენ მიწით.

აი კონკრეტული მონაცემები თავრიდის გუბერნიის დნეპროვსკის მაზრის შესახებ:

	პროცენტები	
	მეკოპორებისა, როლლებიც გასცემენ სანადელო მიწას	გაცემული სანადელო მიწისა
ვინც არ თესავს.....	80	97,1
ვინც თესავს 5 დეს.-მდე	30	38,4
» 5—10 »	23	17,2
» 10—25 »	16	8,1
» 25—50 »	7	2,9
» 50 დეს.-ზე მეტს.....	7	13,8
მაზრაში	25,7	14,9

განა ამ მონაცემებიდან ცხადი არ არის, რომ მიწის მიტოვება და პროლეტარიზაცია აქ ძალიან ფართოდ არის შეერთებული ერთი მუჭა მდიდრების მიერ მიწის ვაჭრობასთან? განა დამახასიათებელი არ არის, რომ გაცემული სანადელო მიწის პროცენტი მატულობს სწორედ იმ მსხვილ მხვნელ-მთესველთა შორის, რომლებსაც აქვთ 17 დესეტინა სანადელო მიწა კომლზე, 30,0 დესეტინა ნაყიდი და 44,0 დესეტინა იჯარით აღებული მიწა? საერთოდ და მთლიანად დნეპროვსკის მაზრის ღარიბთა მთელი ჯგუფი, ე. ი. კომლთა 40%, რომელსაც აქვს 56 ათასი დესეტინა სანადელო მიწა, იჯარით იღებს 8 ათას დესეტინას და სცემს 21½ ათას დესეტინას. შეძლებულთა ჯგუფი კი, რომელიც შეადგენს კომლთა 18,4% და ფლობს 62 ათას დესეტინა სანადელო მიწას, სცემს 3 ათას დესეტინა სანადელო მიწას და იჯარით იღებს 82 ათას დესეტინას. თავრიდის გუბერნიის სამ მაზრაში ამ შეძლებულ ჯგუფს იჯარით აღებული აქვს 150 ათასი დესეტინა სანადელო მიწა, ე. ი. მთელი გაცემული სანადელო მიწის სამი მეხუთედი! სამარის გუბერნიის ნოვოუზენის მაზ-

რაში უცხენო კომლთა 47% და ერთცხენიანთა 13% სცემენ სანადელო მიწას, ხოლო 10 და მეტი სული მუშა პირუტყვის პატრონნი, ე. ი. კომლთა საერთო რიცხვის მხოლოდ 7,6%, იჯარით იღებენ 20 — 30 — 60 — 70 დესეტინა ს ა ნ ა დ ე ლ ო მიწას თვითეული.

ნაყიდი მიწის შესახებ ჩვენ თითქმის იგივე უნდა ვთქვათ, რაც იჯარის შესახებ ვთქვით. განსხვავება აქ ისაა, რომ იჯარაში არის ბატონყმური მხარეები, რომ იჯარა განსაზღვრულ პირობებში არის შრომამიგებითი და კაბალური, ე. ი. არის ხერხი მემამულურ მეურნეობაზე მუშახელის მიმაგრებისა მეზობელ გაღატაკებულ გლეხთა რიცხვიდან. ნადელიანი გლეხების მიერ მიწის კერძო საკუთრებად ყიდვა კი წმინდა ბურჟუაზიულ მოვლენას წარმოადგენს. დასავლეთში მოჯამაგირეებსა და დღიურ მუშებს ზოგჯერ მიამაგრებენ მიწაზე მათთვის მიწის პატარა ნაკვეთების მიყიდვის გზით. რუსეთში ანალოგიური ოპერაცია უკვე დიდი ხანია ოფიციალურად განხორციელებულია 1861 წლის «დიდი რეფორმის» სახით, და ახლა გლეხების მიერ მიწის ყიდვა მხოლოდ და მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ თემიდან გამოიყოფიან სოფლის ბურჟუაზიის წარმომადგენლები. თუ როგორ ვითარდებოდა 1861 წლის შემდეგ მიწის შეყიდვა გლეხების მიერ, ამაზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, როცა ვარჩევდით მონაცემებს მიწათმფლობელობის შესახებ. აქ კი უნდა აღვნიშნოთ ნაყიდი მიწის უდიდესი კონცენტრაცია უმცირესობის ხელში. შეძლებულ კომლთა 20%-ის ხელში თავმოყრილია ნაყიდი მიწის 59,7%-დან 99%-მდე; ულარიბეს კომლთა 50%-ს აქვს გლეხთა მიერ შესყიდული მიწის მთელი რაოდენობის 0,4%-დან 15,4%-მდე. ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ 7½ მილიონი დესეტინა მიწიდან, რაც გლეხებმა პირად საკუთრებად შეიძინეს 1877 წლიდან 1905 წლამდე (იხ. ზემოთ), ²/₃-დან ³/₄-მდე შეძლებულ კომლთა სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის ხელშია. იგივე ითქმის, რა თქმა უნდა, გლეხთა საზოგადოებებისა და ამხანაგობების მიერ მიწის ყიდვაზე. 1877 წელს გლეხთა საზოგადოებანი

ფლობდნენ 765 ათას დესეტინა ნაყიდ მიწას, ხოლო 1905 წელს — უკვე 3,7 მილიონ დესეტინას, გლეხთა ამხანაგობებს კი 1905 წელს ჰქონდათ კერძო საკუთრებად 7,6 მილიონი დესეტინა მიწა. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მიწა, რომელსაც საზოგადოებანი ყიდულობენ ან იჯარით იღებენ, სხვანაირად ნაწილდებოდეს, ვიდრე ინდივიდუალური შესყიდვისა ან იჯარით აღების დროს. ფაქტები ამის საწინააღმდეგოს მეტყველებენ. მაგალითად, თავრიდის გუბერნიის სამი კონტინენტური მაზრის შესახებ შეკრებილი იყო ხაზინისაგან გლეხთა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ე ბ ი ს მიერ იჯარით აღებული მიწის განაწილების მონაცემები, ამასთან აღმოჩნდა, რომ იჯარით აღებული მიწის 76% შეძლებულთა ჯგუფის ხელშია (კომლთა 20%-მდე), უღარიბეს გლეხთა 40%-ს კი აქვს იჯარით აღებული მთელი მიწის მხოლოდ 4%. გლეხები მათ მიერ იჯარით აღებულ თუ ნაყიდ მიწას მხოლოდ **«ფულის მიხედვით» ჰყოფენ.**

IV

სანადელო, საიჯარო, ნაყიდი და იჯარით გაცემული გლეხური მიწის შესახებ ზემოთ მოყვანილ მონაცემთა ჯამს იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ გლეხობის ნ ა მ დ ვ ი ლ ი მ ი წ ა თ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა დღითი დღე უფრო და უფრო ნაკლებ შესაბამისი ხდება გლეხობის ოფიციალური, კაზიონური, სანადელო მიწათმფლობელობისა. რა თქმა უნდა, რომ ავიღოთ საერთო ციფრები ან «საშუალო» სიდიდენი, მაშინ სანადელო მიწის გაცემას იჯარით აღება დაფარავს, დანარჩენი იჯარა და ნაყიდი მიწა განაწილდება კომლთა მთელ მასას შორის თითქოს თანასწორად, და მივიღებთ შთაბეჭდილებას, რომ ნამდვილი მიწათსარგებლობა არც ისე არსებითად განსხვავდება ოფიციალური, ე. ი. სანადელო მიწათსარგებლობისაგან. მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება ფიქცია იქნება, რადგან გლეხთა ნამდვილი მიწათსარგებლობა ყველაზე მეტად განსხვავდება სანადელო მიწის პირვანდელი გამთანაბრებლობისაგან ს წ ო რ ე დ უ კ ი დ უ რ ე ს ჯ გ უ ფ ე ბ შ ი, ასე რომ «საშუალო» ციფრებით სარგებლობის დროს საქმე აუცილებლად მახინჯდება.

ნამდვილად კი დაბალი ჯგუფების გლეხთა მთელი მიწათსარგებლობა თანაფარდობით, — ზოგჯერ კი აბსოლუტურადაც, — ნაკლებია სანადელო მიწათმფლობელობასთან შედარებით (მიწის გაცემა; იჯარის სრულიად უმნიშვნელო ნაწილი); უმაღლესი ჯგუფებისათვის კი მთელი მიწათსარგებლობა ყოველთვის, თანაფარდობითაც და აბსოლუტურადაც, უფრო მაღალია სანადელო მიწათმფლობელობასთან შედარებით, ნაყიდი და იჯარით აღებული მიწის კონცენტრაციის გამო. უღარიბეს ჯგუფთა კომლების 50%-ს, როგორც დავინახეთ, ხელთა აქვს სანადელო მიწის 33-დან 37%-მდე; სულ მიწათსარგებლობა კი მხოლოდ 18,6% — 31,9% შეადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში შემცირებას თითქმის ერთიორად ვხედავთ: მაგალითად, პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრაში სანადელო მიწის 37,4% და მთელი მიწათსარგებლობის 19,2%. შეძლებულ კომლთა 20%-ს აქვს სანადელო მიწის 29 — 36%, სულ მიწათსარგებლობა კი 34 — 49% შეადგენს. აი ზოგიერთი კონკრეტული მონაცემი ამ თანაფარდობის საილუსტრაციოდ. თავრიდის გუბერნიის დნეპროვსკის მაზრაში უღარიბეს კომლთა 40%-ს აქვს 56 ათასი დესეტინა სანადელო მიწა; მთელი მათი მიწათსარგებლობა კი უდრის 45 ათას დესეტინას, ე. ი. 11 ათასი დესეტინით ნ ა კ ლ ე ბ ს. შეძლებულ ჯგუფს (კომლთა 18%) აქვს 62 ათასი დესეტინა სანადელო მიწა; მთელი მისი მიწათსარგებლობა კი შეადგენს 167 ათას დესეტინას, ე. ი. 105 ათასი დესეტინით მეტს. აი მონაცემები ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სამი მაზრის შესახებ:

	1 კომლზე მოდის დესეტინობით სანადელო მიწა	სულ მიწათსარგებლობა
უცხენონი	5,1	4,4
1-ცხენიანნი	8,1	9,4
2 »	10,5	13,8
3 »	13,2	21,0
4 და მეტცხენიანნი	16.4	34.6
სულ	8,3	10,3

აქაც ყველაზე დაბალ ჯგუფში მიწის იჯარისა და გაცემის შედეგად გამოვიდა მიწათსარგებლობის აბსოლუტური შემცირება. ეს დაბალი ჯგუფი კი, ე. ი. უცხენონი, მოიცავს კომლთა მთელ 30%-ს. კომლთა თითქმის მესამედი აბსოლუტურად ზარალობს იჯარისა და გაცემისაგან. ერთცხენიანებმა (კომლთა 37%) გაადიდეს თავისი მიწათსარგებლობა, მაგრამ ძალიან ცოტათი, ნაკლები პროპორციით, ვიდრე გლეხური მიწათსარგებლობის საშუალო გადიდებაა (8,3 დესეტინიდან 10,3 დესეტინამდე). ამიტომ ამ ჯგუფის წილი საერთო მიწათსარგებლობაში შემცირდა: მას ჰქონდა 36,6% სანადელო მიწა სამივე მაზრაში, გახდა კი 34,1% საერთო მიწათსარგებლობისა. პირიქით, უმაღლესი ჯგუფების სრულიად უმნიშვნელო უმცირესობამ საშუალოზე გაცილებით უფრო მეტად გაადიდა თავისი მიწათსარგებლობა. სამცხენიანებმა (კომლთა 7,3%) მიწათმფლობელობა ერთნახევრად გაადიდეს: 13 დესეტინიდან 21 დესეტინამდე. მრავალცხენიანებმა (კომლთა 2,3%) — ერთიორად და უფრო მეტად, 16 დესეტინიდან 35 დესეტინამდე.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, როგორც საერთო მოვლენას, სანადელო მიწის როლის შემცირებას გლეხურ მეურნეობაში. ეს შემცირება ხდება სოფლის ორივე პოლუსზე სხვადასხვა გზით. ღარიბებში სანადელო მიწის როლი ეცემა, იმიტომ რომ მზარდი გაჭირვება და გაჩანაგება აიძულებს მათ გასცენ იგი, მიატოვონ მიწა, შეამცირონ მიწის მეურნეობა პირუტყვის, ინვენტარის, თესლის, ფულადი სახსრების ნაკლებობის გამო და გადავიდნენ ან რაიმე დაქირავებით მუშობაზე, ან... ცათა სასუფეველში. გლეხთა დაბალი ჯგუფები წყდებიან, — შიმშილი, სურავანდი, ტიფი თავის საქმეს აკეთებენ. გლეხთა უმაღლეს ჯგუფებში სანადელო მიწის მნიშვნელობა კლებულობს, რადგან გაფართოების გზაზე შემდგარი მეურნეობა იძულებულია შორს გასცილდეს თავის ფარგლებს, იძულებულია დაეყრდნოს ახალ, არა საბეგრო, არამედ თავისუფალ, არა ძველისძველ გვაროვნულ, არამედ ბაზარზე ნაყიდ მიწათმფლობე-

ლობას: ყიდვა და იჯარით აღება. რაც უფრო მდიდარია გლეხობა მიწით, რაც უფრო სუსტია ბატონყმობის კვალი, რაც უფრო სწრაფია სამეურნეო განვითარება, მით უფრო ძლიერია ეს განთავისუფლება სანადელო მიწისაგან, მთელი მიწის მოქცევა სავაჭრო ბრუნვაში, კომერციული მიწათმოქმედების აგება იჯარით აღებულ მიწაზე. მაგალითია ნოვოროსია. ჩვენ ახლა დავინახეთ, რომ შეძლებული გლეხობა იქ მეურნეობას ეწევა უფრო ნაყიდ და იჯარით აღებულ მიწაზე, ვიდრე სანადელო მიწაზე. ეს პარადოქსად ჩანს, მაგრამ ეს ფაქტია: რუსეთის ყველაზე მრავალმიწიან ადგილას სანადელო მიწით ყველაზე უზრუნველყოფილ შეძლებულ გლეხობას (16—17 დესეტინა სანადელო მიწა კომლზე) მიწის მეურნეობის სიმძიმის ცენტრი სანადელო მიწიდან ა რ ა ს ა ნ ა დ ე ლ ო ზ ე გადააქვს!

გლეხობის ორივე სწრაფად მზარდ პოლუსზე სანადელო მიწის როლის შემცირების ფაქტს, სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ აგრარული გადატრიალების პირობების შესაფასებლად, რომელიც XIX საუკუნემ უანდერძა XX საუკუნეს და რომელმაც კლასების ბრძოლა გამოიწვია ჩვენს რევოლუციაში. ეს ფაქტი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ძველი მიწათმფლობელობის, როგორც მემამულური, ისე გლეხური მიწათმფლობელობის, მ ს ხ ვ რ ე ვ ა უ თ უ ო ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა გახდა. ეს მსხვრევა აბსოლუტურად გარდუვალია, და ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შეუშლის მას ხელს. ბრძოლა წარმოებს ამ მსხვრევის ფორმის გამო, მისი ხერხების გამო: ეს უნდა მოხდეს სტოლიპინურად, როცა მემამულური მიწათმფლობელობა დარჩება და კულაკები გაძარცვავენ თემს, თუ გლეხურად, როცა მემამულური მიწათმფლობელობა მოისპობა და დაინგრევა მიწის ყველა შუასაუკუნებრივი ზღუდე მიწის ნაციონალიზაციის საშუალებით. მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ. აქ კი საჭიროა აღვნიშნოთ ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ სანადელო მიწის როლის შემცირება იწვევს გამოსაღების და ბეგრის მეტისმეტად უთანაბრო განაწილებას.

ცნობილია, რომ რუსი გლეხობის გამოსაღებსა და ბეგარას შუა საუკუნეთა დიდი კვალი ატყვია. ჩვენ აქ ვერ გამოვეკიდებით დეტალებს, რომლებიც რუსეთის ფინანსურ ისტორიას ეხება. საკმარისია აღინიშნოს გამოყიდვა — შუასაუკუნებრივი ღალის ეს პირდაპირი გაგრძელება, ეს მებატონე-მემამულეთათვის განკუთვნილი ხარკი, რომელსაც პოლიციური სახელმწიფოს საშუალებით ახდევინებენ. საკმარისია გავიხსენოთ თავადაზნაურთა და გლეხთა მიწების დაბეგვრის უთანაბრობა, ნატურალური ბეგარა და ა. შ. ჩვენ მოგვყავს გამოსაღებისა და ბეგრის მხოლოდ შენაჯამი ოდენობა გ ლ ე ხ თ ა ბ ი უ ჯ ე ტ ე ბ ი ს ვორონეჟის სტატისტიკის მონაცემთა მიხედვით[44]. გლეხური ოჯახის საშუალო მთლიანი შემოსავალი (66 ტიპური ბიუჯეტის მონაცემებით) განსაზღვრულია 491 მან. 44 კაპ., მთლიანი გასავალი — 443 მანეთით, წმინდა შემოსავალი — 48 მან. 44 კაპ. იმ გამოსაღებისა და ბეგრის თანხა კი, რაც «საშუალო» კომლს უწევს, უდრის 34 მან. 35 კაპ. ამრიგად, გამოსაღები და ბეგარა შეადგენს წ მ ი ნ დ ა შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს 70%. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ფორმითაა გამოსაღები, ნამდვილად კი ეს «მ ო ბ ე გ რ ე წ ო დ ე ბ ი ს» წინანდელი ბატონყმური ექსპლოატაციაა. საშუალო ოჯახის წმინდა ფულადი შემოსავალი უდრის სულ 17 მან. 83 კაპიკს, ე. ი. რუსი გლეხის «გამოსაღები» ე რ თ ი ო რ ა დ ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა მის წმინდა ფულად შემოსავალს, — ასეა არა 1849 წლის, არამედ 1 8 8 9 წლის მონაცემებით!

მაგრამ საშუალო ციფრები აქაც აფერადებენ გლეხის გაჭირვებას და ბევრად უფრო უკეთესად გვიხატავენ გლეხობის მდგომარეობას, ვიდრე ის სინამდვილეში არის. სხვადასხვა სამეურნეო შეძლებულობის გლეხთა ჯგუფებს შორის გამოსაღებისა და ბეგრის განაწილების მონაცემები გვიჩვენებენ, რომ უცხენო და ერთცხენიანი გლეხის (ე. ი. რუსეთის გლეხურ ოჯახთა მთელი რიცხვის ს ა მ ი მ ე ხ უ თ ე დ ი ს) გამოსაღები და ბეგარა ბევრად აღემატება არა მარტო წმინდა ფულად შემოსავალს, არამედ წმინდა მთლიან შემოსავალსაც. აი ეს მონაცემები:

	ბიუჯეტის მონაცემები (1 მეურნეობაზე მანეთობით)			
	მთლიანი შემოსავალი	გასავალი	გამოსაღები და ბუგარა	იგივე %-ბით გასავლის მიმართ
ა) უცხენონი	118,10	109,08	15,47	14,19
ბ) 1-ცხენ.	178,12	174,26	17,77	10,20
გ) 2 »	429,72	379,17	32,02	8,44
დ) 3 »	753,19	632,36	49,55	7,83
ე) 4 »	978,66	937,30	67,90	7.23
ვ) 5 და მეტ ცხენ....	1 766,79	1 593,77	86,34	5,42
საშუალოდ	491,44	443,00	34,35	7,75

უცხენო და ერთცხენიანი გლეხები გამოსაღების სახით იხდიან მთელი თავისი მ თ ლ ი ა ნ ი გასავლის მ ე შ ვ ი დ ე დ დ ა მ ე ა თ ე დ ნაწილს. არა გვგონია, ბატონყმური ღალაც კი ყოფილიყოს ასე დიდი: მემამულისათვის ხელსაყრელი არ იყო გარდუვალი გაჩანაგება გლეხთა მასისა, რომელიც მის საკუთრებას შეადგენდა. რაც შეეხება გამოსაღების უთანაბრობას, იგი ძალიან დიდია: შეძლებულნი თავისი შემოსავლის კვალობაზე ერთისამად — ერთიორად ნაკლებს იხდიან. რაზეა დამოკიდებული ეს უთანაბრობა? იმაზე, რომ გამოსაღებთა მთავარ მასას გლეხები მიწის მიხედვით ჰყოფენ. გამოსაღებთა წილი და სანადელო მიწის წილი გლეხისათვის ერთდება ერთ ცნებად: «სული». და თუ ჩვენს მაგალითში გამოვიანგარიშებთ იმ გამოსაღებისა და ბეგრის ჯამს, რაც სხვადასხვა ჯგუფში მოდის 1 დესეტინა სანადელო მიწაზე, მივიღებთ ასეთ ციფრებს: ა) 2,6 მან.; ბ) 2,4; გ) 2,5; დ) 2,6; ე) 2,9 და ვ) 3,7 მან. ყველაზე უმაღლესი ჯგუფის გამოკლებით, სადაც არის მსხვილი სამრეწველო დაწესებულებები, რომლებიც ცალკე იბეგრება, ჩვენ ვხედავთ გამოსაღებთა დაახლოებით თანაბარ განაწილებას. სანადელო მიწის წილი აქაც შეესაბამება, საერთოდ და მთლიანად, გამოსაღების წილს. ეს მოვლენა ჩვენი თემის საბეგრო ხასიათის პირდაპირი ნაშთია (და პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთიც). თვით შრომამიგების მეურნეობის პირობების გამო ეს სხვანაირად არც შეიძლება იყოს: მემამულენი ვერ შესძლებდნენ «განთავისუფლების» შემდეგ ნახევარი საუკუნით

უზრუნველეყოთ თავისთვის კაბალური მომუშავენი მეზობელ გლეხთა წრიდან, ეს გლეხები მიჯაჭულნი რომ არ ყოფილიყვნენ საშიმშილო ნადელებზე, ვალდებულნი რომ არ ყოფილიყვნენ მამასისხლად აენაზღაურებინათ ეს ნადელები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ XIX საუკუნის დამლევს რუსეთში სრულიადაც არ არის იშვიათი ისეთი შემთხვევები, როცა გლეხები იძულებულნი არიან თავი დაიხსნან სანადელო მიწისაგან, «სართი» იხადონ ნადელზე უარისთქმისათვის, ე. ი. დამატებით გადაუხადონ განსაზღვრული თანხა იმას, ვინც თვითონ აიღო წასული გლეხის ნადელი. მაგალითად, ბ-ნი ეზანკოვი წიგნში «ბაბია სტორონა» (კოსტრომა, 1891 წ.)[45] აღწერს კოსტრომელი გლეხების ყოფაცხოვრებას და ამბობს, რომ გარესამუშაოზე გასულ კოსტრომელთა შორის «მეპატრონენი იშვიათად იღებენ მიწაში გამოსაღებთა ერთგვარ მცირე ნაწილს, არამედ ჩვეულებრივ გასცემენ ხოლმე მხოლოდ იმისათვის, რომ დამქირავებლებმა იგი შემოღობონ და იბუდარაონ, მთელ გამოსაღებს კი თვითონ მეპატრონე იხდის». «იაროსლავლის გუბერნიის მიმოხილვაში», რომელიც 1896 წელს გამოვიდა, გვხვდება მთელი რიგი ერთნაირი ცნობები, რომ გარესამუშაოზე გამსვლელი მუშები იძულებულნი არიან თავი დაიხსნან ნადელისაგან.

რა თქმა უნდა, წმინდა სამიწათმოქმედო გუბერნიებში «მიწის» ასეთ «ძალას» ვერ ვხვდებით. მაგრამ მათთვისაც სხვა ფორმით, უეჭველია, ძალა აქვს იმ მოვლენას, რომ სანადელო მიწის როლი სოფლის ორივე პოლუსზე ეცემა. ეს საყოველთაო ფაქტია. და რაკი ასეა, გამოსაღების განაწილება სანადელო მიწის მიხედვით გარდუვალად იწვევს დაბეგვრის სულ უფრო და უფრო მეტ უთანაბრობას. ეკონომიურ განვითარებას ყოველმხრივ და სულ სხვადასხვა გზით მივყევართ იქითკენ, რომ მიწათმფლობელობის შუასაუკუნებრივი ფორმები ინგრევა, წოდებრივი ზღუდეები (სანადელო, მემამულური და სხვ. მიწები) იმსხვრევა, მეურნეობის ახალი ფორმები იქმნება განურჩევლად ორივეგვარი მიწათმფლობელობის

ნაჭრებისაგან. XIX საუკუნემ უანდერძა XX საუკუნეს, როგორც უეჭველად სავალდებულო ამოცანა, დაამთავროს მიწათმფლობელობის შუასაუკუნებრივი ფორმების «წმენდა». ბრძოლა წარმოებს იმის გამო, ჩატარდება თუ არა ეს «წმენდა» მიწის გლეხური ნაციონალიზაციის სახით, თუ კულაკების მიერ თემის დაჩქარებული ძარცვისა და მემამულური მეურნეობის იუნკრულ მეურნეობად გადაქცევის სახით.

განვაგრძოთ გლეხური მეურნეობის თანამედროვე წყობილების მონაცემების განხილვა და გადავიდეთ მიწის საკითხიდან მესაქონლეობის საკითხზე. და აქაც ჩვენ ისევ უნდა დავადგინოთ, როგორც საერთო წესი, რომ პირუტყვის განაწილება გლეხურ მეურნეობათა შორის გაცილებით უფრო უთანაბროა, ვიდრე სანადელო მიწის განაწილება. აი, მაგალითად, მესაქონლეობის ოდენობა თავრიდის გუბერნიის დნეპროვსკის მაზრის გლეხებში:

	ერთ კომლზე მოდის	
	სანადელო მიწა	სულ პირუტყვი
ვინც არ თესავს.....	6,4	1,1
ვინც თესავს 5 დესეტინამდე...	5,5	2,4
» » 5—10 » ...	8,7	4,2
» » 10—25 » ...	12,5	7,3
» » 25—50 » ...	16,6	13,9
» » 50 დეს.-ზე მეტს.....	17 4	30,0
საშუალოდ	11,2	7,6

განსხვავება უკიდურეს ჯგუფებს შორის პირუტყვის რაოდენობის მხრივ ერთიათად უფრო მეტია, ვიდრე სანადელო მიწის რაოდენობის მხრივ. მეურნეობის ნამდვილი ოდენობა მესაქონლეობის მონაცემებითაც ძალიან ცოტათი წააგავს იმას, რასაც ჩვეულებრივ გვისახავენ, როცა სჯერდებიან საშუალო მონაცემებს და ნადელის ყოვლის განმსაზღვრელი როლის ვარაუდს. რა მაზრებიც უნდა ავიღოთ, ყველგან პირუტყვის განაწილება გაცილებით უფრო უთანაბრო აღმოჩნდება, ვიდრე სანადელო მიწის განაწილება. შეძლებულ კომლთა 20%-ის ხელში, რომელთაც აქვთ 29—36% სანა-

დელო მიწა, თავმოყრილია მუშა პირუტყვის მთელი იმ რაოდენობის 37%-დან 57%-მდე, რაც გააჩნია მოცემული მაზრის ან მაზრათა ჯგუფის გლეხობას. დაბალი ჯგუფების კომლთა 50%-ის წილად რჩება პირუტყვის მთელი რაოდენობის 14%-დან 30%-მდე.

მაგრამ ეს მონაცემები ჯერ კიდევ არ გამოხატავენ საკმაოდ ნამდვილ განსხვავებათა მთელ სიღრმეს. პირუტყვის რაოდენობის საკითხთან ერთად არა ნაკლები, ხოლო ზოგჯერ უფრო დიდი მნიშვნელობაცა აქვს მისი ხ ა რ ი ს ხ ი ს საკითხს. თავისთავად გასაგებია, რომ ნახევრად გაჩანაგებულს, ღატაკი მეურნეობის პატრონს, ყოველმხრივ დამონებულ გლეხს არ ძალუძს შეიძინოს და შეინახოს რაოდენადმე კარგი ხარისხის პირუტყვი. შიმშილობს პატრონი (ვაგლახი პატრონი), შიმშილობს პირუტყვიც, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ვორონეჟის გუბერნიის ბიუჯეტის მონაცემები მეტისმეტად თვალსაჩინოდ ცხადყოფენ, თუ რაოდენ უბადრუკია უცხენო და ერთცხენიან გლეხთა, ე. ი. რუსეთის გლეხურ მეურნეობათა მთელი რიცხვის ს ა მ ი მ ე ხ უ თ ე დ ი ს, მესაქონლეობა. მოგვყავს ამ მონაცემების ამონაკრები გლეხთა მესაქონლეობის დასახასიათებლად:

	სულ პირუტყვი 1 მეურნეობაზე, მსხვილფეხა საქონელზე გადაყვანილი	საშუალო გასავალი წელიწადში (მანეთობით)	
		ინვენტარისა და პირუტყვის შევსება და რემონტი	პირუტყვის კვება
ა) უცხენონი	0,8	0,08	8,12
ბ) 1-ცხენიანნი	2,6	5,36	36,70
გ) 2 »	4,9	8,78	71,21
დ) 3 »	9,1	9,70	127.03
ე) 4 »	12,8	30,80	173,24
ვ) 5 » და მეტი	19,3	75,80	510,07
ს ა შ უ ა ლ ო დ	5,8	13,14	98,91

ევროპულ რუსეთში უცხენო გლეხი 1896 — 1900 წლებში 3¼ მილიონი კომლი იყო. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორია მათი სამიწათმოქმედო «მეურნეობა», როცა წლიურად ცოცხალ და მკვდარ ინვენტარზე იხარჯება რ ვ ა კ ა პ ი კ ი.

ერთცხენიანი გლეხი იყო 3⅓ მილიონი კომლი. ინვენტარისა და პირუტყვის შესავსებად ხუთი მანეთი წლიური გასავლისას მათ მხოლოდ შეუძლიათ მუდამ გამოუვალ გაჭირვებაში იყვნენ. ასე გასინჯეთ, ორცხენიანი გლეხებისა (2½ მილიონი კომლი) და სამცხენიანთა (1 მილიონი კომლი) გასავალიც კი ცოცხალ და მკვდარ ინვენტარზე შეადგენს სულ 9 — 10 მანეთს წელიწადში. მხოლოდ ორ უმაღლეს ჯგუფში (მთელ რუსეთში ასეთი გლეხური მეურნეობა არის 1 მილიონი, მაშინ როცა ყველა გლეხური მეურნეობა 11 მილიონს შეადგენს) გასავალი ცოცხალ და მკვდარ ინვენტარზე ცოტათი მაინც უახლოვდება წესიერი სამიწათმოქმედო მეურნეობის მაგვარ რამეს.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში პირუტყვის ხარისხი არ შეიძლება ერთნაირი იყოს სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობებში. მაგალითად, ერთი მუშა ცხენის ღირებულება განისაზღვრება: ერთცხენიანი გლეხისა — 27 მანეთით, ორცხენიანისა — 37 მან., სამცხენიანისა — 61 მან., ოთხცხენიანისა — 52 მან. და მრავალცხენიანისა—69 მანეთით. განსხვავება უკიდურეს ჯგუფებს შორის 100%-ს აღემატება. და ეს მოვლენა საერთოა ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, სადაც კი წვრილი და მსხვილი მეურნეობა არსებობს. ჩემს წიგნში «აგრარული საკითხი» (ნაწილი I, სპბ. 1908) * მე ცხადვყავი, რომ დრეკსლერის გამოკვლევებმა გერმანიის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დარგში სავსებით ასეთივე შედეგი მოგვცეს. ერთი საშუალო პირუტყვის საშუალო წონა შეადგენდა მსხვილ მამულებში 619 კილოგრამს (1884 წ., ციტ. თხზ., გვ. 259), 25 და მეტი ჰექტარის გლეხურ მეურნეობებში — 427 კილოგრამს, 7½-დან 25 ჰექტარამდე მიწის მეურნეობებში — 382 კილოგრამს; 2½-დან 7½ ჰექტარამდე მიწის მქონე მეურნეობებში — 352 კილოგრამს და, ბოლოს, მეურნეობებში, რომლებსაც 2½ ჰექტარამდე მიწა აქვთ, — 301 კილოგრამს.

პირუტყვის რაოდენობასა და ხარისხზე არის აგრეთვე დამოკიდებული მიწის მოვლა, კერძოდ მისი გაპოხიერება.

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 224 — 237. რ ე დ.

ჩვენ ზემოთ ცხადვყავით, რომ სტატისტიკის ყველა მონაცემი მთელი რუსეთისათვის მოწმობს მემამულეთა მიწების უკეთ გაპოხიერებას გლეხთა მიწებთან შედარებით. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი დაყოფა, რომელიც სწორი და კანონიერი იყო ბატონყმობის დროს, დაძველდა. სხვადასხვა გლეხურ მეურნეობათა შორის ღრმა უფსკრული ძევს, და ყველა გამოკვლევას, გაანგარიშებას, დასკვნას, თეორიას, რომლებსაც საფუძვლად უდევს წარმოდგენა «საშუალო» გლეხურ მეურნეობაზე, მივყევართ აბსოლუტურად შემცდარ აზრებამდე ამ საკითხში. საერობო სტატისტიკა, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად სწავლობს კომლთა სხვადასხვა ჯგუფს და სჯერდება თემობრივ მონაცემებს. მაგრამ აი პერმის გუბერნიაში (კრასნოუფიმსკის მაზრა) გამონაკლისის სახით შეკრებილი იყო კომლობრივი გამოკვლევისას ზუსტი მონაცემები სხვადასხვა გლეხური კომლების მიერ მიწის გაპოხიერების შესახებ:

	პროცენტი მეურნეობებისა რომლებსაც, საერთოდ, გაპქონდათ ნაკელი	რამდენი ფერმი ნაკელი გაპქონდათ 1 კომლზე (გამტანზე)
ვინც ამუშავებს 5 დეს.-მდე	33,9	80
» » 5—10 »	66,2	116
» » 10—20 »	70,3	197
» » 20—50 »	76,9	358
» » 50 დეს.-ზე მეტს	84,3	732
საშუალოდ	51,7	176

აქ ჩვენ უკვე ვხედავთ მეურნეობის სხვადასხვა აგრიკულტურულ ტიპს მეურნეობის ოდენობის მიხედვით. სხვა ადგილასაც მკვლევარნი, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს ამ საკითხს, ანალოგიურ დასკვნებამდე მივიდნენ. ორიოლელი სტატისტიკოსები იუწყებიან, რომ შეძლებული გლეხები ერთი სული მსხვილფეხა პირუტყვისაგან თითქმის ერთიორად მეტ ნაკელს იღებენ, ვიდრე შეუძლონი. როცა კომლს 7,4 სული პირუტყვი ჰყავს, ნაკელის გროვა უდრის 391 ფუთს, ხოლო როცა კომლს 2,8 სული პირუტყვი ჰყავს, იგი უდრის 208

ფუთს. «ნორმალურად» ითვლება 400 ფუთი, მაშასადამე, ნორმას აღწევს შეძლებულ გლეხთა მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა. ღარიბი გლეხობა კი იძულებულია ჩალა და ნაკელი სათბობად მოიხმაროს, ზოგჯერ კიდევაც გაჰყიდოს ნაკელი და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ საკითხი, თუ როგორ იზრდება უცხენოთა რიცხვი გლეხობაში. 1888 — 1891 წლებში ევროპული რუსეთის 48 გუბერნიაში იყო 2,8 მილიონი უცხენო კომლი მთელი რიცხვიდან — 10,1 მილიონიდან, ე. ი. 27,3%. დაახლოებით 9—10 წლის შემდეგ, 1896—1900 წლებში, 11,1 მილიონი კომლიდან უცხენო იყო 3,2 მილიონი, ე. ი. 29,2%. მაშასადამე, გლეხობის ექსპროპრიაციის ზრდა უეჭველია. მაგრამ თუ ამ პროცესს აგრონომიული თვალსაზრისით განვიხილავთ, მივიღებთ პირველი შეხედვით პარადოქსულ დასკვნას. ეს დასკვნა გააკეთა ცნობილმა ნაროდნიკმა მწერალმა ბ-მა ვ. ვ.-მა ჯერ კიდევ 1884 წელს («ვესტნიკ ევროპი»[46], 1884 წ., № 7), როცა მან ერთმანეთს შეადარა სახნავი დესეტინების რაოდენობა, რაც მოდის 1 ცხენზე ჩვენს გლეხურ მეურნეობაში და «ნორმალურ» სამმინდვრიან მეურნეობაში — ნორმალურში აგრონომიის თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ გლეხებს ერთობ ბევრი ცხენი ჰყავთ: მათ უწევთ მხოლოდ 5—8 დესეტინა სახნავი ერთ ცხენზე, მაშინ როცა აგრონომია 7—10 დესეტინას ითვალისწინებსო. «მაშასადამე, — დაასკვნა ბ-მა ვ. ვ.-მა, — რუსეთის ამ ოლქის (ცენტრალური შავნიადაგიანი ზოლის) მოსახლეობის ნაწილის გაუცხენოება უნდა მივიჩნიოთ, რაოდენადმე, მუშა პირუტყვის რაოდენობისა და დასამუშავებელი ფართობის ნორმალური თანაფარდობის აღდგენადაო». ნამდვილად კი, პარადოქსი იმით აიხსნება, რომ გაუცხენოებას თან სდევს მიწის კონცენტრაცია შეძლებულ კომლთა ხელში, რომლებსაც გამოუდით ცხენების რაოდენობის «ნორმალური» თანაფარდობა დასამუშავებელ ფართობთან. ამ «ნორმალური» თანაფარდობის «აღდგენა» კი არ ხდება (ვინაიდან იგი არასოდეს არ ყოფილა ჩვენს გლეხურ მეურნეობაში), არამედ მას აღწევს მხოლოდ გლეხური ბურ-

ეუაზია. «არანორმალობა» კი იმით გამოიხატება, რომ წვრილ გლეხურ მეურნეობაში იქსაქსება წარმოების საშუალებანი: მიწის იმ რაოდენობას, რომელსაც მილიონი ერთცხენიანი გლეხი ამუშავებს მილიონი ცხენის საშუალებით, შეძლებული გლეხები უკეთ და უფრო საფუძვლიანად ამუშავებენ 1/2 ან 3/4 მილიონი ცხენის საშუალებით.

გლეხური მეურნეობის მკვდარ ინვენტარში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ჩვეულებრივი გლეხური ინვენტარი და გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღები. პირველის განაწილება, საერთოდ და მთლიანად, შეესაბამება მუშა პირუტყვის განაწილებას; ამგვარ მონაცემებში ახალ რამეს გლეხური მეურნეობის დასახასიათებლად ვერ ვიპოვნით. გაუმჯობესებული იარაღები კი, რაც გაცილებით უფრო ძვირად ღირს, ანაზღაურდება მხოლოდ უფრო მსხვილი მეურნეობის პირობებში, შემოაქვთ მხოლოდ ისეთ მეურნეობებს, რომლებიც წარმატებით ვითარდებიან, და შეუდარებლად უფრო ძლიერადაა კონცენტრირებული. ამ კონცენტრაციის მონაცემები ძალიან საგულისხმოა, რადგან ეს არის ერთადერთი მონაცემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ზუსტად განვსაზღვროთ, თუ საითკენ და რა საზოგადოებრივ პირობებში ხდება გლეხური მეურნეობის პ რ ო გ რ ე ს ი. უეჭველია, 1861 წლიდან ამ მიმართულებით გადადგმულია ნაბიჯი, მაგრამ ძალიან ხშირად უარყოფენ ან საეჭვოდ თვლიან ამ პროგრესის კაპიტალისტურ ხასიათს არა მარტო მემამულურ, არამედ გლეხურ მეურნეობაშიც.

აი საერობო სტატისტიკის მონაცემები გაუმჯობესებულ იარაღთა განაწილების შესახებ გლეხთა შორის:

	100 მეურნეობაზე მოდის გაუმჯობესებული სას.-სამ. იარაღი	
	ორიოლის გუბერნიის 2 მაზრა	ვორონეჟის გუბერნიის 1 მაზრა
უცხენონი	0,01	—
1-ცხენიანნი	0,2	0,06
2—3 »	3,5	1,6
4 და მეტცხენიანნი	36,0	23,0
ს ა შ უ ა ლ ო დ	2,2	1,2

ამ ადგილას გაუმჯობესებული იარაღები გლეხთა შორის შედარებით სუსტად არის გავრცელებული. ასეთი იარაღების მქონე კომლთა საერთო პროცენტი სრულიად უმნიშვნელოა. მაგრამ დაბალი ჯგუფები თითქმის სრულიად ვერ სარგებლობენ ასეთი იარაღებით, ხოლო უმაღლეს ჯგუფებს შორის ისინი სისტემატურად შემოაქვთ ხმარებაში. სამარის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრაში მეურნეთა მხოლოდ 13%-ს აქვს გაუმჯობესებული იარაღები, ამასთან ეს პროცენტი მატულობს 40%-მდე 5-დან 20-მდე სული მუშა პირუტყვის პატრონთა ჯგუფში და 62%-მდე — 20 და მეტი სული მუშა პირუტყვის პატრონთა ჯგუფში. პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრაში (მაზრის სამი რაიონი) 100 მეურნეობაზე მოდის 10 გაუმჯობესებული იარაღი; ეს საერთო საშუალო ციფრია; 100 მეურნეობაზე, რომლებიც ამუშავებენ 20—50 დესეტინას, მოდის 50 იარაღი, ხოლო 100 მეურნეობაზე, რომლებიც ამუშავებენ 50 დესეტინას, — 180 იარაღიც კი. თუ ავიღეთ ის პროცენტული თანაფარდობა, რომელიც ჩვენ ზემოთ მივიღეთ სხვადასხვა მაზრის მონაცემების შესადარებლად, აღმოჩნდება, რომ შეძლებულ კომლთა 20%-ს აქვს გაუმჯობესებულ იარაღთა მთელი რაოდენობის 70%-დან 86%-მდე, ხოლო ღარიბი გლეხობის კომლთა 50%-ის წილად რჩება 1,3%-დან 3,6%-მდე. მაშასადამე, სრულიად უეჭველია, რომ გლეხობაში გაუმჯობესებულ იარაღთა გავრცელების პროგრესი (ამ პროგრესზე ლაპარაკობს, სხვათა შორის, ბ-ნი კაუფმანი ზემოთ ციტირებულ 1907 წლის ნაშრომში) არის შეძლებული გლეხობის პროგრესი. გლეხურ კომლთა მთელი რიცხვის სამ მეხუთედს, უცხენოსა და ერთცხენიანს, თითქმის სრულიად არ ძალუძს ისარგებლოს ამ გაუმჯობესებით.

V

გლეხურ მეურნეობას რომ განვიხილავდით, ჩვენ გლეხებს აქამდე ვიღებდით უმთავრესად როგორც მეპატრონეებს და ამავე დროს აღვნიშნავდით, რომ დაბალი ჯგუფები მუდამ განიდევნებიან მეპატრონეთა რიცხვიდან. საითკენ განიდევნე-

ბიან? ცხადია, პროლეტარიატის რიგებისაკენ. ჩვენ ახლა დაწვრილებით უნდა განვიხილოთ, თუ სახელდობრ როგორ ჩნდება პროლეტარიატი, განსაკუთრებით სოფლის პროლეტარიატი, და როგორ იქმნება მუშა ძალის ბაზარი მიწათმოქმედებაში. თუ შრომამიგების მეურნეობისათვის ტიპიურ კლასობრივ ფიგურებს წარმოადგენენ მემამულე-მებატონე და მიწამიზომილი კაბალური გლეხი, კაპიტალისტური მეურნეობისათვის ტიპიურნი არიან დამქირავებელი-ფერმერი და დაქირავებული მოჯამაგირე ან დღიური მუშა. თუ როგორ ხდება მემამულისა და შეძლებული გლეხის გადაქცევა დამქირავებლად, ეს ჩვენ ცხადვყავით. ახლა ვნახოთ, როგორ ხდება გლეხის გადაქცევა დაქირავებულად.

რამდენად იყენებენ დაქირავებულ შრომას შეძლებული გლეხები? თუ ავიღებთ მოჯამაგირიან კომლთა საშუალო პროცენტს გლეხურ კომლთა მთელი რიცხვის მიმართ (როგორც ჩვეულებრივ იქცევიან), მაშინ საკმაოდ მცირე პროცენტი გამოვა: 12,9% — თავრიდის გუბერნიის დნეპროვსკის მაზრაში, 9% — სამარის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრაში, 8% — სარატოვის გუბერნიის კამიშის მაზრაში, 10,6% — პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრაში, 3,5% — ორიოლის გუბერნიის 2 მაზრაში, 3,8% — ვორონეჟის გუბერნიის 1 მაზრაში, 2,6% — ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის 3 მაზრაში. მაგრამ ამგვარი მონაცემები, არსებითად, ფიქციურია, რადგან განისაზღვრება მოჯამაგირიან კომლთა თანაფარდობა კომლთა მთელ რიცხვთან, მათ შორის იმ კომლთა რიცხვთან, რომელნიც მოჯამაგირეებს იძლევიან. ბურჟუაზია ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენს. მუშების დამქირავებელი კომლი ყოველთვის «ცოტა» იქნება. საკითხი ის არის, იქმნება აქ მეურნეობის განსაკუთრებული ტიპი, თუ დაქირავება შემთხვევითია? ამ საკითხზედაც სავსებით გარკვეულ პასუხს იძლევა საერობო სტატისტიკის მონაცემები, რომლებიც ყველგან გვიჩვენებენ, რომ შეძლებული გლეხობის ჯგუფებში მოჯამაგირიან კომლთა

პროცენტი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ მთელ მაზრაში. მოვიყვანოთ პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრის მონაცემები, სადაც გამონაკლისის სახით მოიპოვება ცნობები არა მარტო მოჯამაგირეთა დაქირავების, არამედ დღიური მუშების დაქირავების შესახებაც, ე. ი. დაქირავების ისეთი ფორმის შესახებ, რომელიც უფრო ტიპიურია მიწათმოქმედებისათვის.

	პროცენტი მეურნეობათა, რომელნიც ქირაობენ მუშებს				
	მაშრ. სქ. მომუშავეთა რიცხვი 1 კომლზე	ვადით დაქირავებულნი	თიბვაზე	მკაზე	ლეწვაზე
ფინც არ ამუშავებს მიწას	0,6	0,15	0,6	—	—
» ამუშავებს 5 დს.-მდე ...	1,0	0,7	5,1	4,7	9,2
» » 5 – 10 »	1,2	4,2	14,3	20,1	22.3
» » 10—20 »	1,5	17,7	27,2	43,9	25,9
» » 20—50 »	1,7	50,0	47,9	69,6	33,7
» » 50 დს.-ზე მეტს.....	2,0	83,1	64,5	87,2	44,7
საშუალოდ	1,2	10,6	16,4	24,3	18,8

ჩვენ ვხედავთ, რომ შეძლებული კომლები განირჩევიან უფრო მრავალრიცხოვანი ოჯახური შემადგენლობით, რომ მათ უფრო მეტი ჰყავთ თავისი, ოჯახის, მომუშავენი, ვიდრე შეუძლო კომლებს. მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი გაცილებით მეტ დაქირავებულ შრომას იყენებენ. «ოჯახური კოოპერაცია» მეურნეობის გაფართოების საფუძველს წარმოადგენს და ამრიგად იქცევა კაპიტალისტურ კოოპერაციად. უმაღლეს ჯგუფებში მუშების დაქირავება აშკარად ხდება სისტემად, გაფართოებული მეურნეობის გაძღოლის პირობად. ამასთან დღიური მუშების დაქირავება მეტად მნიშვნელოვნად არის გავრცელებული გლეხობის საშუალო ჯგუფშიაც კი: თუ ორ უმაღლეს ჯგუფში (კომლთა 10,3%) კომლთა უმრავლესობა ქირაობს მუშებს, ჯგუფში, რომელიც 10—20 დესეტინას ამუშავებს (22,4%), კომლთა მთელი რიცხვის ორ მეხუთედზე მეტი ქირაობს მუშებს მკაზე, აქედან დასკვნა ის არის, რომ შეძლებული გლეხობა ვერ იარსებებდა, რომ არ ყოფილიყო მილიონიანი არმია მოჯამაგირეებისა და დღიური მუშებისა, რომლებიც მზად არიან მას მომსახურება გაუწიონ.

და თუ მაზრობრივი მონაცემები მოჯამაგირიან კომლთა საშუალო პროცენტის შესახებ, როგორც დავინახეთ, მნიშვნელოვანი ცვლადობით ხასიათდება, სამაგიეროდ უეჭველად საყოველთაო მოვლენაა მოჯამაგირიან კომლთა კონცენტრაცია გლეხობის უმაღლეს ჯგუფებში, ე. ი. შეძლებულ კომლთა გადაქცევა მეწარმეებად. შეძლებულ კომლთა 20%-ზე მოდის მოჯამაგირიან კომლთა მთელი რაოდენობის 48%-დან 78%-მდე.

სოფლის მეორე პოლუსზე სტატისტიკა ჩვენ ჩვეულებრივ არ გვაწვდის ცნობებს იმ კომლთა რიცხვის შესახებ, რომელნიც იძლევიან ყოველგვარ დაქირავებულ მუშებს. მთელ რიგ საკითხებში ჩვენმა საერობო სტატისტიკამ მეტად დიდი ნაბიჯი გადადგა გუბერნატორთა და ყოველგვარ დეპარტამენტთა ანგარიშების ძველ ოფიციალურ სტატისტიკასთან შედარებით. მაგრამ ერთ საკითხში ძველი ოფიციალური თვალსაზრისი დარჩენილია საერობო სტატისტიკაშიც, სახელდობრ გლეხთა ეგრეთწოდებულ «საშოვრის» საკითხში. მიწათმოქმედება საკუთარ ნაკვეთზე ითვლება გლეხის ნამდვილ მოსაქმეობად; ყოველი სხვანაირი მოსაქმეობა კი გარეშე «საშოვარს» ანუ «რეწვას» მიეკუთვნება, ამასთან აქ ერთმანეთში ურევენ ისეთ სამეურნეო კატეგორიებს, რომელთა გარჩევასაც მოითხოვს პოლიტიკური ეკონომიის ანაბანა. მაგალითად, «სოფლის მეურნეობის მრეწველთა» თანრიგში მოხვდებიან დაქირავებული მუშების მასასთან ერთად მეპატრონე-მეწარმენიც (მაგ., მებაღჩენი), მათთან ერთად აგრეთვე «საშოვრიან კომლთა» რიცხვში ჩაითვლებიან მათხოვრები და ვაჭრები, შინამოსამსახურენი და ხელოსან-მეპატრონენი და სხვა. ცხადია, ეს აშკარა პოლიტიკურ-ეკონომიური არევდარევა ბატონყმობის პირდაპირი ნაშთია. მემამულისათვის მართლაც სულ ერთი იყო, თუ რას აკეთებდა განზე მ ი ს ი მეღალე გლეხი: ვაჭრობას მისდევდა, დაქირავებით მუშობდა თუ მრეწველობას ეწეოდა როგორც მეპატრონე; ყველა ყმა-გლეხს ერთნაირად აწევდა საერთო ღალა, ყველა ითვლებოდა თავის ნამდვილ საქმეს დროებით და პირობით მოშორებულად.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ეს თვალსაზრისი დღითიდღე სულ უფრო და უფრო მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა სინამდვილეს. საშოვრიან გლეხურ კომლთა უმრავლესობა, უეჭველია, ეკუთვნის იმ კომლთა რიცხვს, რომელნიც დაქირავებულ მომუშავეებს იძლევიან, მაგრამ ჩვენ აქ სავსებით ზუსტი სურათი არ შეიძლება გვქონდეს, რადგან მ ე პ ა ტ რ ო ნ ე-მრეწველთა უმცირესობა მაინც ხვდება საერთო რიცხვში და შ ე ა ლ ა მ ა ზ ებ ს ხოლმე გაჭირვებულთა მდგომარეობას. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. სამარის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრაში სტატისტიკოსებმა «სარეწების» საერთო მასიდან გამოჰყვეს «სამიწათმოქმედო სარეწები» [17]. რა თქმა უნდა, ეს ტერმინიც არ არის ზუსტი, მაგრამ პროფესიების სია იმ მითითებას მაინც იძლევა, რომ 14 063 ამგვარ «მრეწველიდან» 13 297 კაცი მოჯამაგირე და დღიური მუშაა. მაშასადამე, აქ დაქირავებული მუშების ძალიან დიდი სიჭარბე გვაქვს. სამიწათმოქმედო სარეწების განაწილება შემდეგია:

						პროცენტი მამრ. სქ. მომუშავეებისა, რომლებიც სამიწათმოქმედო სარეწებს მისდევენ
ვისაც არა ჰყავს მუშა						71,4
ვისაც ჰყავს	1		სული	მუშა	პირუტყვი	48,7
»	»	2—3	»	»	»	20,4
»	»	4	»	»	»	8,5
»	»	5—10	»	»	»	5,0
»	»	10 - 20	»	»	»	3,9
»	»	20 და მეტი	»	»	»	2,0
					მ ა ზ რ ა ში	25,0

მაშასადამე, უცხენო გლეხების შვიდი მეათედი დაქირავებული მუშები არიან, ხოლო ერთცხენიანებისა — თითქმის ნახევარი. პერმის გუბერნიის კრასნოუფიმსკის მაზრაში სამიწათმოქმედო სარეწების მქონე კომლთა საშუალო პროცენტი უდრის 16,2%-ს, ხოლო იმათგან, ვინც მიწას არ ამუშავებს, «მრეწველია» 52,3%, ვინც ამუშავებს 5 დესეტინამდე — 26,4%. სხვა მაზრებში, სადაც სამიწათმოქმედო სარე-

წები სპეციალურად არ არის გამოყოფილი, სურათი ნაკლებად მკაფიო გამოდის, მაგრამ მაინც საერთო წესად რჩება, რომ «სარეწები» და «საშოვრები», საერთოდ რომ ითქვას, დაბალი ჯგუფების სპეციალობაა. დაბალი ჯგუფების კომლთა 50%-ზე მოდის საშოვრიან კომლთა მთელი რიცხვის 60%-დან 93%-მდე.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხობის დაბალი ჯგუფები, კერძოდ ერთცხენიანი და უცხენო კომლები, თავისი მდგომარეობით სახალხო მეურნეობის საერთო წყობაში წარმოადგენენ ნადელის მქონე მოჯამაგირეებსა და დღიურ მუშებს (უფრო ფართოდ: დაქირავებულ მუშებს). ამ დასკვნას ადასტურებენ ის მონაცემებიც, რომლებიც შეეხება დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდას 1861 წლის შემდეგ მთელ რუსეთში, დაბალ ჯგუფთა შემოსავლის წყაროს საბიუჯეტო გამოკვლევებიც და, ბოლოს, ამ ჯგუფების საარსებო დონის მონაცემებიც. აი, ამ სამმაგ დამამტკიცებელ საბუთზე ჩვენ ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

საერთო მონაცემები მთელ რუსეთში სოფლის დაქირავებული მუშების რიცხვის ზრდაზე მოიპოვება მხოლოდ საშოვარზე გამსვლელი მუშების შესახებ, ამასთან მონაცემებში ზუსტად არ არიან განსხვავებულნი მიწათმოქმედი და არამიწათმოქმედი მუშები. იმ საკითხს, სჭარბობენ თუ არა საერთო რიცხვში პირველნი თუ მეორენი, ნაროდნიკულ ლიტერატურაში პირველთა სასარგებლოდ წყვეტდნენ, მაგრამ ჩვენ ქვემოთ აღვნიშნავთ ამის საწინააღმდეგო შეხედულების საფუძვლებს. ის ფაქტი, რომ 1861 წლის შემდეგ გლეხობაში სწრაფად გადიდდა საშოვარზე გამსვლელ მუშათა რიცხვი, სრულიად უეჭველია. ამას მოწმობს ყველა წყარო. მოვლენის დაახლოებითს სტატისტიკურ გამოხატულებას გვაძლევენ ცნობები საპასპორტო შემოსავლისა და გაცემული პასპორტების რიცხვის შესახებ. 1868 წელს საპასპორტო შემოსავალი შეადგენდა 2,1 მილიონ მანეთს, 1884 წელს — 3,3 მილიონ მანეთს, 1894 წელს — 4,5 მილიონ მანეთს, მაშასადამე,

ეს შემოსავალი გაზრდილია ერთიორად და უფრო მეტად. პასპორტი და ბილეთი ევროპულ რუსეთში 1884 წელს გაიცა 4,7 მილიონი, 1897 — 1898 წლებში — 7,8 — 9,3 მილიონი. აქ ცამეტი წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ გაორკეცებას. ყველა ეს მონაცემი საერთოდ და მთლიანად შეესაბამება სხვა გაანგარიშებებს, მაგალითად, ბ-ნ უვაროვის გაანგარიშებას, სადაც მან შეაჯერა საერობო სტატისტიკის მონაცემები, მეტწილად, მოძველებული მონაცემები, 20 გუბერნიის 126 მაზრის შესახებ და 5 მილიონი კაცით განსაზღვრა საშოვრებზე გასულ მუშათა საალბათო ციფრი[48]. ბ-ნი ს. კოროლენკო ადგილობრივი ჭარბი მუშების რიცხვის მონაცემების მიხედვით ამ ციფრს 6 მილიონი კაცით განსაზღვრავდა.

მთელი ამ ჯამიდან, ბ-ნ ნიკოლაი — ონის აზრით, «უდიდესი უმრავლესობა» სამიწათმოქმედო სარეწებია. მე დაწვრილებით ვილაპარაკე «კაპიტალიზმის განვითარებაში» *, რომ 60, 80 და 90-იანი წლების მონაცემები და გამოკვლევები სავსებით ამტკიცებენ ამ დასკვნის მცდარობას. საშოვარზე გასული მუშების უმრავლესობა, თუმცა არა უდიდესი უმრავლესობა, არამიწათმოქმედი მუშები არიან. აი ყველაზე უფრო სრული და ყველაზე უფრო ახალი მონაცემები გუბერნიების მიხედვით საცხოვრებელ მოწმობათა განაწილების შესახებ; მოწმობანი გაიცა ევროპულ რუსეთში 1898 წელს:

გუბერნიების ჯგუფები	1898 წელს გაცემული ყველა საცხოვრებელი მოწმობის რაოდენობა
1) 17 გუბერნია, სადაც სჭარბობს არასამიწათმოქმედო საშოვარზე გასვლა	3 369 597
2) 12 გარდამავალი გუბერნია.....	1 674 231
3) 21 გუბერნია, სადაც სჭარბობს სამიწათმოქმედო საშოვარზე გასვლა	2 765 762
სულ 50 გუბერნიაში	7 809 590

თუ გარდამავალ გუბერნიებში ვივარაუდეთ მიწათმოქმედი მუშების ნახევარი, მაშინ დაახლოებითი, ყველაზე

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 3, გვ. 672 — 687. რედ.

ზაალბათო განაწილება ასეთი იქნება: დაახლოებით 4,2 მილიონი არამიწათმოქმედი დაქირავებული მუშა და დაახლოებით 3,6 მილიონი მიწათმოქმედი დაქირავებული მუშა. ამ ციფრის პარალელურად უნდა დაისვას ციფრი ბ-ნ რუდნევისა[49], რომელმაც 1894 წელს შეაჯერა საერობო სტატისტიკის მონაცემები 19 გუბერნიის 148 მაზრისათვის და 3½ მილიონი კაცით განსაზღვრა სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების დაახლოებითი რიცხვი. ეს ციფრი, 80-იანი წლების მონაცემებით, მოიცავს როგორც ადგილობრივს, ისე საშოვარზე გასულ მიწათმოქმედ მუშებს. 90-იანი წლების დამლევს ამდენი იყო მარტო საშოვარზე გასული სასოფლო-სამეურნეო მუშა.

მიწათმოქმედი დაქირავებული მუშების რიცხვის ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური მეწარმეობის იმ განვითარებასთან, რომელიც ჩვენ ვნახეთ მემამულურ და გლეხურ მეურნეობაში. აიღეთ, მაგალითად, მანქანების ხმარება სოფლის მეურნეობაში. შეძლებული გლეხისათვის ეს რომ ნიშნავს მის გადასვლას მეწარმეობაზე, ჩვენ ცხადვყავით ზუსტი მონაცემებით. მემამულურ მეურნეობაში კი მანქანებისა და საერთოდ გაუმჯობესებული იარაღების ხმარება ნიშნავს კაპიტალიზმის მიერ შრომამიგების გარდუვალად გამოდევნას. გლეხური ინვენტარის ადგილს იკავებს მემამულური ინვენტარი; ძველი სამმინდვრიანობის ადგილს — იარაღების გამოცვლასთან დაკავშირებული ახალი ტექნიკური ხერხები; კაბალური გლეხი არ გამოდგება გაუმჯობესებული იარაღებით მუშაობისათვის, და მის ადგილს იჭერს მოჯამაგირე ან დღიური მუშა.

ევროპული რუსეთის იმ რაიონში, სადაც ყველაზე უფრო განვითარდა რეფორმის შემდეგ მანქანების ხმარება, — ყველაზე მეტად გავრცელებულია გარედან მოსული მუშების დაქირავებული სამუშაო ძალის მოხმარებაც. ეს რაიონია ევროპული რუსეთის სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მხარეები. მიწათმოქმედი მუშების მოსვლამ ამ რაიონში შექმნა უაღრესად ტიპიური და მკაფიოდ გამოხატული კაპიტა-

ლისტური ურთიერთობა. საჭიროა ამ ურთიერთობაზე შევჩერდეთ, რათა ძველი და დღევანდლამდე ჭარბი შრომამიგება შევადაროთ ახალ ნაკადს, რომელიც სულ უფრო და უფრო იკვლევს გზას. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთი რაიონი გამოირჩევა ყველაზე მაღალი ხელფასით მიწათმოქმედებაში. მთელი ათეული წლის (1881 — 1891 წწ.) მონაცემებით, რომლებიც ყოველგვარ შემთხვევითს ქანაობას გამორიცხავენ, რუსეთში ყველაზე უფრო მაღალი ხელფასია თავრიდის, ბესარაბიისა და დონის გუბერნიებში. წლიური მომუშავე აქ იღებს, თუ სარჩოსაც ჩავთვლით, 143 მან. 50 კაპიკს, ვადით დაქირავებული (ზაფხულში) — 55 მან. 67 კაპიკს. შემდეგი ადგილი ხელფასის სიდიდის მხრივ უკავია ყველაზე უფრო სამრეწველო რაიონს — პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირისა და იაროსლავლის გუბერნიებს. აქ წლიურ სოფლის მუშას აძლევენ 135 მან. 80 კაპიკს, ვადით დაქირავებულს — 53 მანეთს. ხელფასის ყველაზე დაბალ დონეს ვხვდებით ცენტრალურ სამიწათმოქმედო გუბერნიებში (ყაზანის, პენზის, ტამბოვის, რიაზანის, ტულის, ორიოლისა და კურსკის გუბერნიები), ე. ი. შრომამიგების, კაბალისა და საერთოდ ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთის მთავარ რაიონში. აქ წლიური მომუშავე მიწათმოქმედებაში იღებს სულ 92 მან. 95 კაპიკს — ერთნახევრად ნაკლებს, ვიდრე ყველაზე უფრო კაპიტალისტურ გუბერნიებში, ხოლო ვადით დაქირავებული — 35 მან. 64 კაპიკს, ზაფხულში 20 მანეთით ნაკლებს, ვიდრე სამხრეთში. სწორედ ამ ცენტრალური რაიონიდან გადის დიდძალი მუშა. ყოველ გაზაფხულს 1½ მილიონზე მეტი მუშა გადის აქედან ნაწილობრივ სამიწათმოქმედო საშოვარზე (უმთავრესად სამხრეთში, ნაწილობრივ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სამრეწველო გუბერნიებშიც), აგრეთვე არასამიწათმოქმედო სამუშაოებზე დედაქალაქებში და სამრეწველო გუბერნიებში. გასვლის ამ მთავარ რაიონსა და მისვლის ორ მთავარ რაიონს შორის (სამიწათმოქმედო სამხრეთი და დედაქალაქები, ორი სამრეწველო გუბერნიითურთ) მდებარეობს გუბერნიები, სადაც საშუალო ხელფასია. ეს

გუბერნიები იზიდავენ მუშების ნაწილს ყველაზე «იაფი» და ყველაზე მშიერი ცენტრიდან და თავის მხრივ უშვებენ მუშების ნაწილს უფრო ძვირ რაიონებში. ბ-ნ ს. კოროლენკოს წიგნში «ნებითდაქირავებული შრომის» შესახებ ძალიან ვრცელი მასალის საფუძველზე დაწვრილებით არის დახატული მუშათა ხეტიალისა და მოსახლეობის ადგილგადანაცვლების ეს პროცესი. კაპიტალიზმი ამრიგად აღწევს მოსახლეობის უფრო თანაბარზომიერ (კაპიტალის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, რა თქმა უნდა) განლაგებას; ანიველირებს ხელფასს მთელ ქვეყანაში, ქმნის შრომის ნამდვილად ერთიან, ნაციონალურ, ბაზარს; თანდათან ნიადაგს აცლის წარმოების ძველ წესებს და «აცთუნებს» კაბალურ გლეხს მაღალი ხელფასით. აქედან წარმოსდგება ბატონ მემამულეთა უსასრულო ჩივილი ადგილობრივი მუშების გარყვნილების გამო, თავაშვებულებისა და ლოთობის გამო, — რასაც საშოვარზე გასვლა წარმოშობსო, — ქალაქის მიერ მუშების «გაფუჭების» გამო და სხვ.

ყველაზე მეტი მუშის მისვლის რაიონში XIX საუკუნის დამლევისათვის შეიქმნა საკმაოდ მსხვილი კაპიტალისტური საწარმონი მიწათმოქმედებაში. კაპიტალისტური კოოპერაცია ჩამოყალიბდა, მაგალითად, ისეთი მანქანების ხმარებისას, როგორიცაა სალეწი მანქანები. ბ-ნი ტეზიაკოვი, რომელმაც ასწერა ხერსონის გუბერნიის სოფლის მეურნეობის მუშების ცხოვრებისა და შრომის პირობები[50], აღნიშნავს, რომ ცხენის სალეწი მანქანა მოითხოვს 14-დან 23-მდე და მეტ მუშას, ხოლო ორთქლის სალეწი მანქანა — 50-დან 70-მდე მუშას. ზოგიერთ მეურნეობაში თავს იყრიდა 500 — 1 000 მუშა, რაც უაღრესად დიდი ციფრია მიწათმოქმედებისათვის. კაპიტალიზმმა შესაძლებელი გახადა მამაკაცის უფრო ძვირი შრომის შეცვლა ქალისა და ბავშვის შრომით. მაგალითად, დაბა კახოვკაში — თავრიდის გუბერნიის ერთ-ერთ მთავარ მუშათა ბაზარზე, სადაც წინათ თავს იყრიდა 40 000-მდე მუშა, ხოლო გასული საუკუნის 90-იან წლებში — 20 — 30 ათასი მუშა, 1890 წელს აღრიცხული იყო 12,7% ქალები, ხოლო 1895

წელს — უკვე 25,6%. ბავშვი 1893 წელს იყო 0,7%, ხოლო 1895 წელს — უკვე 1,69%.

კაპიტალისტური ეკონომიები, რომლებიც მუშებს რუსეთის ყველა კუთხიდან აგროვებდნენ, ახარისხებდნენ მათ თავის საჭიროებათა მიხედვით და ქმნიდნენ ფაბრიკის მუშათა იერარქიის მსგავს რამეს. განასხვავებენ, მაგალითად, სრულ მუშებს, ნახევარმუშებს — მათგან გამოჰყოფენ კიდევ «დიდი ღონის მუშებს (16 — 20 წლისა) — და «მცირე ღონის» ნახევარმუშებს (8 — 14 წლის ბავშვები). არავითარი კვალი მემამულის ძველი, ეგრეთწოდებული «პატრიარქალური» ურთიერთობისა «თავისი» გლეხისადმი აქ არა რჩება. მუშახელი იქცევა საქონლად, ყოველი სხვა საქონლის მსგავსად. «ჭეშმარიტ-რუსული» ტიპის კაბალა ქრება და ადგილს უთმობს ყოველკვირეული ანგარიშის გასწორებას ფულით, მუშებისა და მეპატრონეების მძაფრ კონკურენციასა და გაფიცვებს. დაქირავების ბაზრებზე უამრავი მუშის თავმოყრამ და შრომის წარმოუდგენლად მძიმე, ანტიჰიგიენურმა პირობებმა გამოიწვიეს ცდები, რომ საზოგადოებრივი კონტროლი გაეწიოს მსხვილ ეკონომიებს. ეს ცდები დამახასიათებელია «მსხვილი ინდუსტრიისათვის» მიწათმოქმედებაში, მაგრამ, იგულისხმება, რომ მათ არავითარი სიმტკიცე არ შეიძლება ჰქონდეთ ისეთ პირობებში, როცა არ არის პოლიტიკური თავისუფლება და მუშათა აშკარა ორგანიზაციები. თუ რაოდენ მძიმეა მოსულ მუშათა შრომის პირობები, ჩანს იქიდან, რომ სამუშაო დღე 12½ საათიდან 15 საათამდე გრძელდება. მანქანებზე მომუშავე მუშების ტრავმული დაშავება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. განვითარდა მუშების პროფესიული სნეულებანი (მაგალითად, სალეწ მანქანებზე მომუშავეებისა) და ა. შ.. შრომამიგებისა და საბატონო მეურნეობის წმინდა შუასაუკუნებრივი, მოწინავე ქვეყნებში დიდი ხნის გამქრალი წესების გვერდით, XIX საუკუნის მიწურულის რუსეთში შეხვდებით წმინდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის მთელ «მშვენიერებას» მეტად განვითარებული ამერიკული სახით. რუსეთის აგრარულ ურთიერთობათა მთელი უდიდესი სხვადასხვაობა

იმით გამოიხატება, რომ ექსპლოატაციის ბატონყმური და ბურჟუაზიული ხერხები ერთმანეთთანაა გადანასკული.

რათა მოვრჩეთ იმის გადმოცემას, თუ როგორია დაქირავებული შრომის პირობები რუსეთის მიწათმოქმედებაში, აღვნიშნავთ კიდევ ბიუჯეტის მონაცემებს დაბალი ჯგუფების გლეხთა მეურნეობის შესახებ. დაქირავებით მუშაობა აქ გვევლინება «საშოვრების» ან «სარეწების» შერბილებული სახელწოდებით. რა მიმართებაშია ამ საშოვართა შემოსავალი სამიწათმოქმედო მეურნეობის შემოსავალთან? ვორონეჟელ უცხენო და ერთცხენიან გლეხთა ბიუჯეტები ზუსტ პასუხს გვაძლევენ ამაზე. ყველა წყაროს მთლიანი შემოსავალი უცხენოსათვის განისაზღვრება 118 მან. 10 კაპიკით, აქედან მიწათმოქმედების შემოსავალი — 57 მან. 11 კაპიკით, «სარეწების» შემოსავალი — 59 მან. 4 კაპიკით. ამ უკანასკნელ თანხას შეადგენს 36 მან. 75 კაპ. — «პირადი სარეწების» შემოსავალი და 22 მან. 29 კაპ. — სხვადასხვა შემოსავალი. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მ ი წ ი ს გ ა ც ე მ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი! ერთცხენიანი გლეხის მთლიანი შემოსავალია 178 მან. 12 კაპიკი, აქედან 127 მან. 69 კაპ. — მიწათმოქმედებისა და 49 მან. 22 კაპ. — სარეწებისა (35 მან. — პირადი სარეწებისა, 6 მან. — მეურმეობისა, 2 მან. — «სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება-საწარმოებისა» და 6 მან. — სხვადასხვა შემოსავალი). მიწის მეურნეობის გასავალი რომ გამოვაკლოთ, მივიღებთ 69 მან. 37 კაპიკს მიწათმოქმედებიდან, მაშინ როცა სარეწების შემოსავალი შეადგენს 49 მან. 22 კაპიკს. აი როგორ შოულობს საარსებო საშუალებებს რუსეთის გლეხურ კომლთა მთელი რიცხვის სამი მეხუთედი. გასაგებია, რომ ასეთ გლეხთა საარსებო დონე მოჯამაგირეთა საარსებო დონეზე უფრო მაღალი არ არის, ზოგჯერ კი უფრო დაბალიცაა. იმავე ვორონეჟის გუბერნიაში წლიურად დაქირავებული მოჯამაგირის საშუალო ხელფასი (ათი წლის — 1881 — 1891 წწ. განმავლობაში) უდრის 57 მანეთს, პლუს საზრდო, ღირებული 42 მანეთად. ამავე დროს უცხენო გლეხის მ თ ე ლ ი ო ჯ ა ხ ი ს საზრდოს ღირებულება შეადგენს 78 მა-

ნ ე თ ს წ ე ლ ი წ ა დ შ ი, როცა ოჯახი 4 სულისაგან შესდგება, ერთცხენიანი გლეხისა — 98 მანეთს წელიწადში, როცა ოჯახი ხუთი სულისაგან შესდგება. რუსი გლეხი შრომამიგებით, გამოსაღებითა და კაპიტალისტური ექსპლოატაციით ისეთ მათხოვრულ, მშიერ საარსებო დონემდეა დაქვეითებული, რომელიც ევროპაში წარმოუდგენლად ითვლება. იქ ამგვარ სოციალურ ტიპს პ ა უ პ ე რ ე ბ ს უწოდებენ.

VI

რომ შევაჯამოთ ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა გლეხობის რღვევის შესახებ, ჩვენ ჯერ მოვიყვანთ ლიტერატურაში ერთადერთ შენაჯამ მონაცემებს მთელი ევროპული რუსეთის შესახებ, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ წარმოდგენა ვიქონიოთ სხვადასხვა პერიოდში გლეხობის შიგნით არსებულ სხვადასხვა ჯგუფზე. ეს არის სამხედრო ცხენთაღწერის მონაცემები. ჩემი წიგნის «კაპიტალიზმის განვითარების» * მეორე გამოცემაში მე შევაჯერე ეს მონაცემები 1888 — 1891 და 1896 — 1900 წლების პერიოდებისა ევროპული რუსეთის 48 გუბერნიისათვის. აი ყველაზე არსებითი შედეგების ამონაკრები:

	გლეხურ კომლთა რიცხვი (მილიონობით)			
	1888—1891 წწ.		1896—1900 წწ.	
	სულ	%	სულ	%
უცხენონი	2,8	27,3	3,2	29,2
1-ცხენიანნი.....	2,9	28,5	3,4	30,3
2 »	2,2	22,2	2,5	22,0
3 »	1,1	10,6	1,0	9,4
4 და მეტცხენ	1,1	11,4	1,0	9,1
სულ	10,1	100,0	11,1	100,0

ეს მონაცემები, როგორც უკვე გაკვრით აღვნიშნე, მოწმობენ გლეხობის ექსპროპრიაციის გაძლიერებას. კომლთა რიცხვის მთელი მილიონით მატებას შედეგად ორი დაბალი ჯგუფის ზრდა მოჰყვა. ცხენების საერთო რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში შემცირდა 16,91 მილიონიდან 16,87 მილიო-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 3, გვ. 154 — 155. რ ე დ.

ნამდე, ე. ი. მთელი გლეხობა საერთოდ რაოდენადმე უფრო ღარიბი გახდა ცხენების მხრივ. გაღარიბდა უმაღლესი ჯგუფიც, რომელსაც 1888 — 1891 წლებში ჰყავდა 5,5 ცხენი კომლზე, ხოლო 1896 — 1900 წლებში — 5,4 ცხენი.

ამ მონაცემებიდან ადვილად შეიძლება გააკეთონ ის დასკვნა, რომ გლეხობაში «დიფერენციაცია» არ ხდებაო: ყველაზე მეტად გადიდდა უღარიბესი ჯგუფი, ყველაზე მეტად შემცირდა (კომლთა რიცხვის მხრივ) უმდიდრესი ჯგუფი. ეს დიფერენციაცია კი არ არის, არამედ სიღატაკის ნიველირებაა! და ასეთ დასკვნებს, რომლებიც ამგვარ ხერხებზეა დამყარებული, ძალიან ხშირად შეხვდებით ლიტერატურაში. მაგრამ თუ ჩვენ დავსვით კითხვა: შეიცვალა თუ არა ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება გლეხობის შიგნით, ჩვენ სხვა რამეს დავინახავთ. 1888 — 1891 წლებში დაბალი ჯგუფების კომლთა ნახევარს გააჩნდა ცხენების საერთო რაოდენობის 13,7%, 1896 — 1900 წლებშიც — სწორედ ამდენივე პროცენტი. ყველაზე შეძლებული ჯგუფებიდან კომლთა მეხუთედ ნაწილს პირველ პერიოდში მოეპოვებოდა ცხენების საერთო რაოდენობის 52,6%, მეორე პერიოდში — 53,2%. ცხადია, ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება თითქმის არ შეცვლილა. გლეხობა გაღარიბდა, შეძლებული ჯგუფები გაღარიბდნენ, 1891 წლის კრიზისმა მეტად სერიოზულად იჩინა თავი, მაგრამ სოფლის ბურჟუაზიის დამოკიდებულება გაჩანაგების გზაზე შემდგარ გლეხობასთან ამით არ შეცვლილა, და, არსებითად, ვერც შეიცვლებოდა.

ამ გარემოებას ხშირად მხედველობიდან უშვებენ ადამიანები, რომლებიც კისრულობენ მსჯელობას გლეხობის რღვევის შესახებ ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. სასაცილო იქნებოდა, მაგალითად, იმის ფიქრი, რომ ცალკეული მონაცემებით ცხენების განაწილების შესახებ შეიძლებოდეს თუნდაც რისამე ახსნა-განმარტება გლეხობის რღვევის საკითხში. ეს განაწილება ჯერ კიდევ სრულიად არაფერს არ ამტკიცებს, თუ იგი არ ავიღეთ გლეხური მეურნეობის მონაცემების მ თ ე ლ ე რ-

თ ო ბ ლ ი ო ბ ა ს თ ა ნ დაკავშირებით. თუ ჩვენ, ეს მონაცემები რომ განვიხილეთ, ჯგუფებს შორის დავადგინეთ საერთო რამ მიწის იჯარით აღებისა და გაცემის, გაუმჯობესებული იარაღებისა და სასუქის, საშოვრისა და ნაყიდი მიწის, დაქირავებული მუშებისა და პირუტყვის რაოდენობის განაწილების მხრივ, თუ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მოვლენის ყველა ეს სხვადასხვა მხარე განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ნამდვილად ცხადყოფს დაპირისპირებული ეკონომიური ტიპების — პროლეტარიატისა და სოფლის ბურჟუაზიის წარმოშობას, — თუ ჩვენ ყოველივე ეს დავადგინეთ, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დადგენილია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ ცალკეული მონაცემები თუნდაც ცხენების განაწილების შესახებ ყოველივე ზემოთ გადმოცემულის ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო დ. პირიქით, თუ დაიმოწმებდით ცხენთა რაოდენობის შემცირების ამა თუ იმ შემთხვევას, ვთქვათ, შეძლებულ ჯგუფში ამა და ამ პერიოდის მანძილზე და მ ხ ო ლ ო დ ა ქ ე დ ა ნ გამოიყვანდით რაიმე ზოგად დასკვნებს გლეხობის შიგნით სოფლის ბურჟუაზიისა და გლეხობის სხვა ჯგუფების თანაფარდობის შესახებ, ეს აშკარა სისულელე იქნებოდა. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მეურნეობის არც ერთ დარგში არ არის და არც შეიძლება იყოს (ბაზრის ბატონობის დროს) თანაზომიერი განვითარება: კაპიტალიზმი სხვანაირად ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვითარდებოდეს, თუ არა ნახტომებით, ზიგზაგებით, როცა იგი ხან სწრაფად მიაბიჯებს, ხან დროებით წინანდელ დონეზე დაბლა ეცემა. და რუსეთის აგრარული კრიზისისა და მომავალი გადატრიალების საკითხის დედაარსი მდგომარეობს სრულიადაც არა იმაში, თუ სახელდობრ როგორია კაპიტალიზმის განვითარების დონე ან როგორია ამ განვითარების ტემპი, არამედ იმაში, არის თუ არა ეს კაპიტალისტური კრიზისი და გადატრიალება, ხდება თუ არა იგი გლეხობის სოფლის ბურჟუაზიად და პროლეტარიატად გადაქცევის პირობებში, წარმოადგენს თუ არა ცალკეულ კომლთა ურთიერთობა ბურჟუაზიულ ურთიერთობას თემის

შიგნით. სხვანაირად რომ ვთქვათ: რუსეთის აგრარული საკითხის ყოველი გამოკვლევის პირველი ამოცანაა დადგენა ძირითადი მონაცემებისა აგრარულ ურთიერთობათა კლასობრივი არსის დასახასიათებლად. და მხოლოდ შემდეგ, როცა გამორკვეულია, თუ რა კლასებთან და განვითარების რა მიმართულებასთან გვაქვს საქმე, შეიძლება ვილაპარაკოთ კერძო საკითხებზე, განვითარების ტემპზე, საერთო მიმართულების ამა თუ იმ სახეცვლილებაზე და ა. შ.

რუსეთის რეფორმის შემდგომდროინდელ გლეხურ მეურნეობაზე მარქსისტულ შეხედულებათა საფუძველს წარმოადგენს ამ მეურნეობის ტიპის აღიარება წვრილბურჟუაზიულ ტიპად. და მარქსისტული ბანაკის ეკონომისტთა დავა ეკონომიხტ-ნაროდნიკებთან, უწინარეს ყოვლისა, წარმოებდა (და უნდა წარმოებდეს, თუ მიზნად გვაქვს უთანხმოებათა ნამდვილი არსის გამორკვევა) სახელდობრ იმის გამო, სწორია თუ არა, შესაფერისია თუ არა ასეთი დახასიათება. თუ ეს საკითხი სრული სიცხადით არ გამოგვირკვევია, ისე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ რაიმე უფრო კონკრეტული ან პრაქტიკული საკითხებისაკენ. მაგალითად, განხილვა აგრარული საკითხის გადაწყვეტის ამა თუ იმ გზისა, რომელიც XIX საუკუნემ XX საუკუნეს უანდერძა, სრულიად უიმედო და დაბნეული საქმე იქნებოდა, თუ წინასწარ არ გამოვარკვევდით, საერთოდ რა მიმართულებით ხდება ჩვენი აგრარული ევოლუცია, რა კლასებს შეუძლიათ მოგებაში იყვნენ მოვლენათა ასეთი თუ ისეთი მსვლელობისას და ა. შ.

ის დაწვრილებითი მონაცემები გლეხობის რღვევის შესახებ, რაც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, არკვევენ აგრარული გადატრიალების ყველა დანარჩენი საკითხის სწორედ იმ საფუძველს, რომლის გაუგებლად არ შეიძლება წინ წავიდეთ. გლეხობის სხვადასხვა ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულების ის ერთობლიობა, რასაც ჩვენ დეტალურად ვიკვლევდით რუსეთის სხვადასხვა, ერთიმეორის საპირდაპირო კუთხეში, გვიჩვენებს სწორედ თემის შიგნით არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა არსს. ეს ურთიერთდამო-

კიდებულება თვალნათლივ ცხადყოფს გლეხური მეურნეობის წვრილბურჟუაზიულ ბუნებას მოცემულ ისტორიულ ვითარებაში. როდესაც მარქსისტები ამბობდნენ, რომ წვრილი მწარმოებელი მიწათმოქმედებაში (სულ ერთია, სანადელო მიწაზე ეწევა იგი მეურნეობას თუ რომელიმე სხვა მიწაზე) სასაქონლო მეურნეობის განვითარებისას გარდუვალად წარმოადგენს წვრილ ბურჟუასაო, — ეს დებულება გაკვირვებას იწვევდა; ამბობდნენ, რომ იგი დაუმტკიცებელია, შაბლონურად გადმოაქვთ უცხო ნიმუშებიდან ჩვენს ორიგინალურ პირობებშიო. მაგრამ მონაცემები, რომლებიც ეხება ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებას, იჯარით აღებული მიწის წართმევას თემის შეძლებული წევრების მიერ შეუძლო წევრებისაგან, მოჯამაგირეთა დაქირავებას პირველთა მიერ და მეორეთა გადაქცევას დაქირავებულ მუშებად და ა. შ., ა. შ. და ა. შ. — ყველა ეს მონაცემები ადასტურებს მარქსიზმის თეორიულ დასკვნებს და უდავოს ხდის მათ. რუსეთის სამეურნეო განვითარების მიმართულების საქმეში თემის მნიშვნელობის საკითხს ეს მონაცემები ს ა ბ ო ლ ო ო დ წ ყ ვ ე ტ ე ნ, ვინაიდან ჩვენი მონაცემები გვიჩვენებენ ნამდვილი (და არა გამოგონილი) თემის სწორედ ამ ნამდვილ მიმართულებას. მიუხედავად სანადელო მიწის მთელი გამთანაბრებლობისა, მიუხედავად ხელახალი დაყოფისა და ა. შ., ი რ კ ვ ე ვ ა, რომ თემის გლეხების ნამდვილი სამეურნეო განვითარების მიმართულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება სოფლის ბურჟუაზია და პროლეტარიატის რიგებისაკენ იდევნება უღარიბეს მეურნეთა მასა. და სტოლიპინის აგრარული პოლიტიკაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მიწის ნაციონალიზაციაც, რასაც ტრუდოვიკები მოითხოვენ, ამ განვითარების ხაზზეა, თუმცა აგრარული საკითხის «გადაწყვეტის» ამ ორ ფორმას შორის უდიდესი განსხვავებაა საზოგადოებრივი განვითარების სისწრაფის, საწარმოო ძალთა ზრდისა და მასის ინტერესთა ყველაზე მეტად დაცვის თვალსაზრისით.

ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების საკითხიც. წინანდელი გადმოცემა შეიცავდა,

როგორც წანამძღვარს, იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ მთელი რეფორმის შემდგომი ეპოქა განირჩევა ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის ზრდით. ამის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემების მოყვანა ჩვენ სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია. მაგრამ საჭიროა ცხადვყოთ, ჯერ-ერთი, თუ სახელდობრ რამდენად ემორჩილება უკვე ბაზარს ახლანდელი გლეხური მეურნეობა, და მეორეც, რა განსაკუთრებულ ფორმებს იღებს მიწათმოქმედება ბაზრისადმი დამორჩილების მიხედვით.

პირველ საკითხზე ყველაზე უფრო ზუსტი მონაცემები მოიპოვება ვორონეჟის ერობის საბიუჯეტო სტატისტიკაში. ჩვენ აქ შეგვიძლია გამოვყოთ გლეხური ოჯახის ფულადი გასავალი და შემოსავალი მთელი გასავლიდან და შემოსავლიდან (შემოსავალ-გასავლის მთლიანი ჯამი ზემოთ იყო მოყვანილი). აი ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს ბაზრის როლს:

	რა პროცენტს შეადგენს გლეხის ფულადი გასავალი და შემოსავალი მთელი გასავალ-მეტოსავლის მიმართ?	
	%	%
უცხენონი	57,1	54,6
1-ცხენიანნი	46,5	41,4
2 »	43,6	45,7
3 »	41,5	42,3
4 »	46,9	40,8
5 და მეტცხენ.....	60,2	59,2
საშუალოდ	49,1	47,9

ამრიგად, საშუალო გლეხის მეურნეობაც კი, — რომ აღარაფერი ვთქვათ შეძლებული და გაღატაკებული, ნახევრადპროლეტარი გლეხების მეურნეობაზე, — უაღრესად ემორჩილება ბაზარს. ამიტომ ყოველგვარი ისეთი მსჯელობა გლეხურ მეურნეობაზე, რომელიც უგულებელყოფს ბაზრის, გაცვლა-გამოცვლის, სასაქონლო წარმოების უპირატეს და მზარდ როლს, სრულიად მცდარია. ბატონყმური ლატიფუნდიებისა და მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობა —

ლონისძიება, რომლისკენაც მიმართულია რუსი გლეხობის მთელი ზრახვები XIX საუკუნის დამლევს, კი არ შეასუსტებს, არამედ გააძლიერებს ბაზრის ბატონობას, რადგან ვაჭრობისა და სასაქონლო წარმოების ზრდას აფერხებს შრომამიგება და კაბალა.

მეორე საკითხის გამო უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის შეჭრა მიწათმოქმედებაში თავისებური პროცესია, რომლის სწორად გაგება შეუძლებელია, თუ დავჯერდით დაუსაბუთებელ მონაცემებს საერთოდ რუსეთის შესახებ. მიწათმოქმედება სავაჭრო ხასიათს იღებს არა ერთბაშად და არა ერთნაირად სხვადასხვა მეურნეობაში და სახელმწიფოს სხვადასხვა რაიონში. პირიქით, ბაზარი ჩვეულებრივ იმორჩილებს რთული სამიწათმოქმედო მეურნეობის ერთ მხარეს, ერთ ადგილას, მეორე მხარეს სხვა ადგილას, ამასთან დანარჩენი მხარეები კი არ ქრება, არამედ ეგუება «მთავარს», ე. ი. ფულადს მხარეს. მაგალითად, ერთ ადგილას იქმნება უპირატესად სავაჭრო მარცვლეული მეურნეობა; მთავარ პროდუქტს, რომელიც გასაყიდად მზადდება, მარცვლეული წარმოადგენს. მესაქონლეობა დაქვემდებარებულ როლს ასრულებს ასეთ მეურნეობაში და შემდეგ — ხვნა-თესვის მეურნეობის ცალმხრივი განვითარების უკიდურეს შემთხვევებში — თითქმის ქრება. მაგალითად, ამერიკაში შორეული დასავლეთის «ხორბლეული ფაბრიკები» ხანდახან ერთი ზაფხულისათვის ეწყობოდა თითქმის უპირუტყვოდ. სხვა ადგილებში იქმნება უპირატესად სავაჭრო მესაქონლეობა. მთავარ პროდუქტებს, რომლებსაც გასაყიდად აწარმოებენ, ხორცის ან რძის პროდუქტები წარმოადგენენ. წმინდა სამიწათმოქმედო მეურნეობა ეგუება მესაქონლეობას. გასაგებია, რომ მეურნეობის სიდიდეც და მეურნეობის ორგანიზაციის წესებიც სხვადასხვანაირი იქნება ერთსა და მეორე შემთხვევაში. ნათესის სიდიდის მიხედვით არ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ საგარეუბნო საშეო მეურნეობაზე. არ შეიძლება მსხვილი და წვრილი მეურნეობის ერთნაირი საზომი ავიღოთ ველის მხვნელ-მთესველისათვის, მებოსტნისათვის, მეთამბაქოესა-

თვის, «მერძევე ფერმერისათვის» (ინგლისური გამოთქმა რომ ვიხმაროთ) და ა. შ.

გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის შეჭრა მიწათმოქმედებაში იწვევს მის სპეციალიზაციას, და ეს სპეციალიზაცია სულ უფრო და უფრო იზრდება. მეურნეობის ერთსა და იმავე მაჩვენებლებს (მაგალითად, ცხენების რაოდენობა) სხვადასხვანაირი მნიშვნელობა ენიჭება სავაჭრო მიწათმოქმედების სხვადასხვანაირ რაიონებში. უცხენო გლეხთა შორის დედაქალაქის ახლო ადგილას არიან, მაგალითად, მსხვილი მეურნენი, რომელთაც ჰყავთ, ვთქვათ, მეწველი პირუტყვი, რომლებიც დიდ თანხებს ატრიალებენ, მუშებს ქირაობენ. რა თქმა უნდა, უცხენო და ერთცხენიან გლეხთა საერთო მასაში ამგვარი ფერმერების რიცხვი სრულიად უმნიშვნელოა, მაგრამ თუ ჩვენ ავიღებთ მარტო საერთო მონაცემებს, რომლებიც მოიცავენ მთელ ჩვენ ქვეყანას, მაშინ ჩვენ ვერ გავითვალისწინებთ კაპიტალიზმის განსაკუთრებულ სახეს მიწათმოქმედებაში.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. თუ მას უგულებელყოფ, მაშინ ვერ შეიმუშავებ სწორ წარმოდგენას კაპიტალიზმის განვითარებაზე მიწათმოქმედებაში და ადვილად ჩაიდენ გამარტივების შეცდომას. მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩასწვდე პროცესის მთელ სირთულეს, თუ გაითვალისწინებ მიწათმოქმედების ნამდვილ თავისებურებებს. როცა ამბობენ, რომ მიწათმოქმედება თავის თავისებურებათა გამო კაპიტალისტური განვითარების კანონებს არ ექვემდებარებაო, ეს სავსებით მცდარია. მიწათმოქმედების თავისებურებანი აფერხებენ მიწათმოქმედების დაქვემდებარებას ბაზრისადმი, ეს ასეა, მაგრამ მაინც ყველგან და ყველა ქვეყანაში შეუკავებლად მიმდინარეობს სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდის პროცესი. ოღონდ სავაჭრო მიწათმოქმედების ამ წარმოშობის ფორმები, მართლაც, თავისებურია და შესწავლის განსაკუთრებულ მეთოდებს მოითხოვს.

ნათქვამი რომ განვმარტოთ, ავიღოთ თვალსაჩინო მაგალითები რუსეთის სავაჭრო მიწათმოქმედების სხვადასხვა რაიონიდან. სავაჭრო მარცვლეული მეურნეობის რაიონში (ნოვოროსია, იმიერვოლგის მხარე) ჩვენ ვხედავთ მარცვლოვანი პურეულის მოსავლის უაღრესად სწრაფ ზრდას; 1864 — 1866 წლებში ეს გუბერნიები ჩამორჩებოდნენ ცენტრალურ შავნიადაგიან გუბერნიებს, — მათ ჰქონდათ მხოლოდ 2,1 ჩეტვერტი წმინდა მოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე; 1883 — 1887 წლებში ეს გუბერნიები ცენტრის წინ იყვნენ, — მათ ჰქონდათ 3,4 ჩეტვერტი წმინდა მოსავალი სულზე. ნათესების გაფართოება — აი რა არის ამ რაიონისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი რეფორმისშემდგომ ეპოქაში. მიწის დამუშავება აქ ძალიან ხშირად მეტად პრიმიტიულია — მთელი ყურადღება მარტო იმას ექცევა, რომ რაც შეიძლება მეტი ფართობი მოხნან. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქ ამერიკული «ხორბლეულის ფაბრიკების» მსგავსი რამ იქმნებოდა. ნათესის სიდიდის მიხედვით (რაც უმაღლესი ჯგუფების გლეხებთან 271 დესეტინამდე აღწევდა კომლზე) სავსებით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ მეურნეობის ოდენობასა და ტიპზე. სხვა რაიონში — სამრეწველო და კერძოდ დედაქალაქის ახლობელ რაიონში — ნათესების ამგვარ გაფართოებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. სავაჭრო მარცვლეული მეურნეობა კი არა, არამედ სავაჭრო მესაქონლეობაა აქ განსაკუთრებით დამახასიათებელი. დამუშავებული მიწის დესეტინათა რაოდენობის ან მუშა ცხენების რაოდენობის მიხედვით აქ ვეღარ იქონიებ სწორ წარმოდგენას მეურნეობაზე. გაცილებით უფრო გამოსადეგი საზომია ძროხების რაოდენობა (რძის მეურნეობა). არა ნათესების გაფართოება, არამედ თესლბრუნვის შეცვლა, ბალახეულის თესვა შეადგენს აქ მსხვილი მეურნეობის პროგრესის დამახასიათებელ ნიშანს. მრავალცხენიანი კომლი აქ ნაკლებია; იქნებ, ცხენების რაოდენობის შემცირებაც კი ზოგჯერ მეურნეობის პროგრესს ნიშნავდეს. სამაგიეროდ აქაურ გლეხებს მეტი ძროხა ჰყავთ, ვიდრე დანარჩენ რუსეთში. ბ-ნი ბლაგოვეშ-

ჩენსკი საერობო სტატისტიკის შენაჯამი მონაცემების მიხედვით საშუალოდ 1,2 ძროხას ანგარიშობდა კომლზე; პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერისა და სმოლენსკის გუბერნიების 18 მაზრაში იყო 1,6, მარტო პეტერბურგის გუბერნიაში კი — 1,8 ძროხა თითო კომლზე[61]. სავაჭრო კაპიტალსაც და წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალსაც აქ უმთავრესად მესაქონლეობის პროდუქტებთან აქვთ საქმე. შემოსავლის ოდენობა ყველაზე მეტად დამოკიდებულია მეწველი ძროხების რაოდენობაზე. იქმნება «მერძეველობის ფერმები». ძლიერდება მიწათმოქმედი მუშების დაქირავება შეძლებული გლეხების მიერ; ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გაღარიბებული ცენტრიდან სამრეწველო გუბერნიებში მიდიან სამიწათმოქმედო სამუშაოებზე. ერთი სიტყვით, იგივე საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა აქ თავს იჩენს სრულიად სხვა ფორმით, ისეთ აგრიკულტურულ პირობებში, რომლებიც წმინდა სამიწათმოქმედო პირობებს არა ჰგავს.

ხოლო თუ ავიღეთ სპეციალური კულტურები, მაგალითად, მეთამბაქოობა, ან მიწათმოქმედების შეერთება პროდუქტების ტექნიკურ დამუშავებასთან (სპირტის გამოხდა, შაქრის ჭარხლის, ზეთის, კარტოფილ-სახამებლის და სხვა წარმოება), აღმოჩნდება, რომ მეწარმეობითი ურთიერთობის გამოვლინების ფორმები აქ არა ჰგავს არც იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს სავაჭრო მარცვლეული მეურნეობის დროს, არც იმ ურთიერთობას, რომელიც იქმნება სავაჭრო მესაქონლეობის პირობებში. საზომად აქ უნდა ავიღოთ ან სპეციალურ კულტურათა ნათესების რაოდენობა, ან პროდუქტების ტექნიკური დამუშავების იმ საწარმოს ოდენობა, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ მეურნეობასთან.

მიწათმოქმედების საერთო სტატისტიკა, რომელსაც საქმე აქვს მხოლოდ თართობთა ოდენობასთან ან პირუტყვის რაოდენობასთან, საკმაოდ ვერ ითვალისწინებს ფორმების მთელ ამ მრავალფეროვნებას, და ამიტომ ძალიან ხშირად დასკვნები, რომლებიც მხოლოდ ამგვარი სტატისტიკის მონაცემებს ემყარება, მცდარია. სავაჭრო მიწათმოქმედება გაცი-

ლებით უფრო სწრაფად იზრდება, გაცვლა-გამოცვლის გავლენა უფრო ფართო ხდება, კაპიტალის მიერ სოფლის მეურნეობის გარდაქმნა გაცილებით უფრო ღრმა არის, ვიდრე ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საერთო მთლიანი ციფრებისა და აბსტრაქტულ საშუალოთა მიხედვით.

VII

ახლა შევაჯამოთ ყოველივე ის, რაც ზემოთ ვთქვით XIX საუკუნის დამლევის რუსეთის აგრარული საკითხისა და აგრარული კრიზისის რაობის შესახებ.

რაში მდგომარეობს ამ კრიზისის არსი? მ. შანინი ბროშურაში «მუნიციპალიზაცია თუ საკუთრებად დაყოფა» (ვილნო, 1907 წ.) დაჟინებით იცავს იმ აზრს, რომ ჩვენი სამიწათმოქმედო კრიზისი არის აგრიკულტურული კრიზისი, რომ მისი ყველაზე ღრმა ფესვებია — რუსეთის წარმოუდგენლად დაბალი სამიწათმოქმედო ტექნიკის ამაღლების აუცილებლობა, მემინდვრეობის უმაღლეს სისტემებზე გადასვლის აუცილებლობა და ა. შ.

ეს აზრი მცდარია, იმიტომ რომ იგი ერთობ აბსტრაქტულია. უმაღლეს ტექნიკაზე გადასვლის აუცილებლობა უეჭველია, მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს გადასვლა ნამდვილად კიდევაც ხდებოდა რუსეთში 1861 წლის შემდეგ. რაც უნდა ნელი იყოს პროგრესი, სრულიად უდავოა, რომ როგორც მემამულური მეურნეობა, ისე გლეხური მეურნეობა შეძლებული უმცირესობის სახით გადადიოდა ბალახთესვაზე, გაუმჯობესებულ იარაღთა გამოყენებაზე, მიწის უფრო სისტემატურად და გულდასმით გაპოხიერებაზე და ა. შ.. და რაკი სამიწათმოქმედო ტექნიკის ეს ნელი პროგრესი საყოველთაო პროცესია, რომელიც 1861 წლიდან მომდინარეობს, აშკარაა, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მიუთითო მასზე და ამ გზით ახსნა XIX საუკუნის დასასრულის სამიწათმოქმედო კრიზისის გამწვავება, რასაც ყველა აღიარებს. მეორე, ცხოვრებაში დასახული აგრარული საკითხის «გადაწყვეტის» ორივე ფორმა, მისი სტოლიპინური გადაწყვეტაც ზ ე მ ო დ ა ნ, მემამულური მი-

წათმფლობელობის შენარჩუნებისა და თემის საბოლოო მოსპობის, კულაკების მიერ მისი გაძარცვის გზით, — და გლეხური (ტრუდოვიკული) გადაწყვეტაც ქვემოდან, მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობისა და მთელი მიწის ნაციონალიზაციის გზით, — ორივე ეს გადაწყვეტა თავისებურად აადვილებს უმაღლეს ტექნიკაზე გადასვლას, მიიმართება აგრიკულტურული პროგრესის ხაზით. მაგრამ ერთი გადაწყვეტა ამ პროგრესს ამყარებს მიწათმოქმედებიდან ღარიბი გლეხობის გაძევების პროცესის დაჩქარებაზე, მეორე კი — ბატონყმური ლატიფუნდიების მოსპობის გზით შრომამიგების გაძევების პროცესის დაჩქარებაზე. ღარიბი გლეხობა რომ ძალიან ცუდად «უძღვება მეურნეობას» თავის მიწაზე, ეს უეჭველი ფაქტია. მაშასადამე, უეჭველია, რომ თუ მისი მიწები ერთ მუჭა შეძლებულ გლეხობას მიეცა წასალეკად და გასაძარცვავად, აგრიკულტურა ამაღლდება. მაგრამ სწორედ ასევე უეჭველია ის ფაქტიც, რომ მემამულური მიწები, რომელთა ექსპლოატირებაც ხდება შრომამიგებისა და კაბალის საშუალებით, მუშავდება ძალიან ცუდად, სანადელო მიწებზე უარესად (გაიხსენეთ ზემოთ მოყვანილი მონაცემები: სანადელო მიწებიდან 54 ფუთი 1 დესეტინაზე, ეკონომიების მიწებიდან — 66, მონახევრეობის პირობებში დამუშავებული მიწებიდან — 50, გლეხების მიერ წლიურად დაიჯარებული მიწებიდან — 45). მემამულური მეურნეობის შრომამიგების სისტემა არის მიწათმოქმედების არაჩვეულებრივ ჩამორჩენილი წესების შენარჩუნება, არის ბარბაროსობის გამარადისება აგრიკულტურაშიც და მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. მაშასადამე, უეჭველია, რომ თუ ყოველგვარ შრომამიგებას ძირფესვიანად აღმოვფხვრით, ე. ი. სავსებით მოვსპობთ (და ამასთან გამოუყიდავად) მთელ მემამულურ მიწათმფლობელობას, მაშინ აგრიკულტურა ამაღლდება.

მაშასადამე, აგრარული საკითხისა და აგრარული კრიზისის არსი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოისპოს აგრიკულტურის ამაღლების დაბრკოლებანი, არამედ იმაში, თუ

რანაირად მოისპოს ეს დაბრკოლებანი, რომელმა კლასმა და რა მეთოდით მოსპოს ისინი. ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დაბრკოლებათა მოსპობა კი უთუოდ აუცილებელია, აუცილებელია ამ სიტყვის არა მარტო სუბიექტური აზრით, არამედ ობიექტური აზრითაც, ე. ი. ეს მოსპობა გარდუვალია, და ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს მის აცილებას.

მ. შანინის შეცდომა, რომელსაც სჩადის აგრეთვე აგრარულ საკითხზე მომუშავე ძალიან ბევრი მწერალი, იმაში მდგომარეობს, რომ მან სწორი დებულება სამიწათმოქმედო ტექნიკის ამაღლების აუცილებლობის შესახებ ერთობ აბსტრაქტულად აიღო და ვერ გაითვალისწინა რუსეთის მიწათმოქმედებაში ბატონყმური და კაპიტალისტური მხარეების გადანასკვის თავისებური ფორმები. რუსეთის სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების მთავარ და ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს ბატონყმობის ნაშთები, ე. ი. უწინარეს ყოვლისა შრომამიგება და კაბალა, შემდეგ ბატონყმური გამოსაღებნი, გლეხის არათანასწორუფლებიანობა, მისი დაბეჩავებულობა უმაღლესი წოდების წინაშე და ა. შ. და ა. შ.. ბატონყმობის ამ ნაშთების მოსპობა დიდი ხანია სამეურნეო აუცილებლობად იქცა, და მიწათმოქმედების კრიზისი XIX საუკუნის დამლევს არაჩვეულებრივ ძლიერ გამწვავდა სწორედ იმიტომ, რომ შუასაუკუნებრიობისაგან რუსეთის განთავისუფლების პროცესი ძალიან გაჭიანურდა, რომ შრომამიგება და კაბალა ერთობ დიდ ხანს «ცოცხლობენ». ისინი 1861 წლის შემდეგ ისე ნელა კვდებოდნენ, რომ ახალ ორგანიზმს დასჭირდა ბატონყმობისაგან სწრაფი გაწმენდის ძალდატანებითი საშუალებანი.

როგორია რუსეთის მიწათმოქმედების ეს ახალი სამეურნეო ორგანიზმი? ჩვენ ზემოთ ვცდილობდით განსაკუთრებით ვრცლად გაგვეშუქებინა ეს საკითხი, ვინაიდან ამის შესახებ ლიბერალურ-ნაროდნიკული ბანაკის ეკონომისტებს შორის განსაკუთრებით არასწორი წარმოდგენა არსებობს. ახალი სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც ჩვენში ბატონყმური

ნაჭუჭიდან გამოდის, არის სავაჭრო მიწათმოქმედება და კაპიტალიზმი. მემამულური მეურნეობის ეკონომიკა, რამდენადაც ეს მეურნეობა წარიმართება არა შრომამიგებით, არა ნადელის მქონე გლეხის კაბალით, სრული სიცხადით გვიჩვენებს კაპიტალისტურ ნიშანთვისებებს. გლეხური მეურნეობის ეკონომიკა — რამდენადაც ჩვენ უნარი შეგვწევს ჩავიხედოთ თემის შიგნით და დავაკვირდეთ, თუ რა ხდება ცხოვრებაში სანადელო მიწათმფლობელობის ოფიციალური გამთანაბრებლობის წინააღმდეგ — ისევ გვიჩვენებს ყველგან წმინდა კაპიტალისტურ ნიშანთვისებებს. სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა რუსეთში განუწყვეტლივ მიმდინარეობს, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, და ეს სავაჭრო მიწათმოქმედება გარდუვალად იქცევა კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად, თუმცა ამ გადაქცევის ფორმები უაღრესად მრავალფეროვანია და იცვლება ცალკეულ რაიონებში.

რაში უნდა მდგომარეობდეს შუასაუკუნებრივი ნაჭუჭის ის ძალდატანებითი მოსპობა, რომელიც აუცილებელი შეიქნა ახალი სამეურნეო ორგანიზმის შემდგომი თავისუფალი განვითარებისათვის? შუასაუკუნებრივი მიწათმფლობელობის მოსპობაში. დღემდე რუსეთში შუასაუკუნებრივია მემამულური მიწათმფლობელობაც და გლეხური მიწათმფლობელობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ამსხვრევენ ახალი ეკონომიური პირობები მიწათმფლობელობის ამ შუასაუკუნებრივ ჩარჩოებსა და ზღუდეებს, როცა აიძულებენ ღარიბ გლეხს გასცეს თავისი ძველისძველი ნადელი, აიძულებენ შეძლებულ გლეხს შეადგინოს თავისი, შედარებით მსხვილი მეურნეობა სხვადასხვა მიწის — როგორც სანადელო, ისე ნაყიდი და მემამულისაგან იჯარით აღებული მიწის ნაჭრებისაგან. და მემამულურ მიწაზედაც შრომამიგების, წლიური გლეხური იჯარის და ეკონომიების ნათესის მიხედვით მიწების დაყოფა გვიჩვენებს, რომ მეურნეობის ახალი სისტემები იქმნება ძველი, შუასაუკუნებრივი მიწათმფლობელობის ფარგლებს გარეთ.

ამ მიწათმფლობელობის ერთბაშად მოსპობა მაშინ შეიძლება, თუ გადაჭრით გავწყვეტთ კავშირს წარსულთან. ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს მიწის ნაციონალიზაცია, რომელსაც კიდეც მოითხოვდა, მეტად თუ ნაკლებად თანამიმდევრად, გლეხობის ყველა წარმომადგენელი 1905—1907 წლების პერიოდში. მიწის კერძო საკუთრების მოსპობა სრულიადაც არა სცვლის სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმფლობელობის ბურჟუაზიულ საფუძვლებს. არაფერია იმ აზრზე უფრო მცდარი, თითქოს მიწის ნაციონალიზაციას რაიმე საერთო ჰქონდეს სოციალიზმთან ან მიწათსარგებლობის გამთანაბრებლობასთანაც კი. რაც შეეხება სოციალიზმს, ცნობილია, რომ იგი სასაკონლო მეურნეობის მოსპობაში მდგომარეობს. ნაციონალიზაცია კი არის მიწის გადაქცევა სახელმწიფოს საკუთრებად, და ასეთი გადაქცევა ოდნავადაც არ ლახავს მიწის კერძო მეურნეობას. იქნება თუ არ იქნება მიწა მთელი ქვეყნის, მთელი ხალხის საკუთრება ანუ «კუთვნილება», ამით არ იცვლება მიწის მეურნეობის სისტემა, სწორედ ისევე, როგორც არ იცვლება შეძლებული გლეხის მეურნეობის (კაპიტალისტური) სისტემა, ყიდულობს თუ არ ყიდულობს იგი მიწას «სამუდამოდ», იჯარით იღებს თუ არა მემამულურ ან სახაზინო მიწას, «ჰკრებს» თუ არა დაბეჩავებული შეუძლო გლეხების ნადელებს. რაკი რჩება გაცვლა-გამოცვლა, სოციალიზმზე ლაპარაკიც კი სასაცილოა. ხოლო მიწათმოქმედების პროდუქტებისა და წარმოების საშუალებათა გაცვლა-გამოცვლა სრულიად არ არის დამოკიდებული მიწათმფლობელობის ფორმებზე. (შევნიშნავ ფრჩხილებში, რომ აქ ვაშუქებ ნაციონალიზაციის მხოლოდ ეკონომიურ მნიშვნელობას და არ ვიცავ მას, როგორც პროგრამას; ასეთი დაცვა მე მოცემული მაქვს ზემოხსენებულ ნაშრომში *.)

რაც შეეხება გამთანაბრებლობას, ჩვენ ზემოთ უკვე ცხადვყავით მისი ნამდვილად გამოყენება სანადელო მიწის განაწილებისას. ჩვენ ვნახეთ, რომ სანადელო მიწა თემის

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 362—404. რ ე დ.

შიგნით საკმაოდ თანაბრად ნაწილდება, მხოლოდ ოდნავი გადახრით მდიდრებისაკენ. მაგრამ ამ გამთანაბრებლობისაგან ბოლოს და ბოლოს ძალიან ცოტა რამ რჩება იმის გამო, რომ ღარიბი გლეხობა სცემს მიწას და იჯარა თავს იყრის მდიდრების ხელში. ცხადია, მიწათმფლობელობის ვერავითარი გამთანაბრებლობით ვერ მოსპობ ნამდვილი მიწათსარგებლობის უთანაბრობას, რაკი არსებობს მეპატრონეთა ქონებრივი განსხვავება და გაცვლა-გამოცვლის სისტემა, რომელიც ამწვავებს ამ განსხვავებას.

ნაციონალიზაციის ეკონომიური მნიშვნელობა სრულიადაც არ არის ის, რაც ძალიან ხშირად ჰგონიათ. ეს მნიშვნელობა ბურჟუაზიულ ურთიერთობასთან ბრძოლაში კი არ მდგომარეობს (ნაციონალიზაცია ყველაზე თანამიმდევარი ბურჟუაზიული ღონისძიებაა, როგორც ეს მარქსმა დიდი ხანია ცხადყო [52]), არამედ ბატონყმურ ურთიერთობასთან ბრძოლაში. შუასაუკუნებრივი მიწათმფლობელობის სიჭრელე აფერხებს სამეურნეო განვითარებას; წოდებრივი ჩარჩოები ხელს უშლის სავაჭრო ბრუნვას; ძველი მიწათმფლობელობისა და ახალი მეურნეობის ერთმანეთთან შეუსაბამობა მწვავე წინააღმდეგობებს წარმოშობს; მემამულეები ლატიფუნდიების წყალობით აჭიანურებენ შრომამიგების არსებობას; გლეხები, თითქოს გეტოში, ჩაკეტილი არიან სანადელო მიწათმფლობელობაში, რომლის ჩარჩოებს ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ამსხვრევს. ნაციონალიზაცია პირწმინდად ანადგურებს მთელ შუასაუკუნებრივ ურთიერთობას მიწათმფლობელობაში, სპობს ყველა ხელოვნურ ზღუდეს მიწაზე, მიწას ნამდვილად ხდის თავისუფალს — ვისთვის? ყოველი მოქალაქისათვის? სრულიადაც არა. უცხენო გლეხის (ე. ი. 3½ მილიონი კომლის) თავისუფლება, როგორც ჩვენ დავინახეთ, იმაში მდგომარეობს, რომ გასცეს სანადელო მიწა. მიწა თავისუფალი ხდება — მ ე პ ა ტ რ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს, იმისთვის, ვისაც მართლაც სურს და შ ე უ ძ ლ ი ა მისი დამუშავება ისე, როგორც ამას მოითხოვენ საერთოდ მეურნეობისა და კერძოდ მსოფლიო ბაზრის თანამედროვე პირობები. ნაციონალიზაცია და-

აჩქარებდა ბატონყმობის სიკვდილს და წმინდა ბურჟუაზიული ფერმერობის განვითარებას ყოველგვარი შუასაუკუნებრივი ნაგვისაგან გაწმენდილ მიწაზე. აი ნაციონალიზაციის ნამდვილი ისტორიული მნიშვნელობა რუსეთში, როგორც იგი ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დამლევისათვის.

რაც შეეხება კაპიტალიზმისათვის მიწათმფლობელობის გაწმენდის მეორე, ობიექტურად არა შეუძლებელ გზას, ეს გზა, როგორც დავინახეთ, მდგომარეობს მდიდრების მიერ თემის დაჩქარებულ გაძარცვაში და შეძლებული გლეხობის მიწის კერძო საკუთრების განმტკიცებაში. შრომამიგებისა და კაბალის მთავარი წყარო ამასთან ხელუხლებელი რჩება, მემამულური ლატიფუნდიები რჩება. ცხადია, კაპიტალიზმისათვის გზის გაწმენდის ასეთი წესი განუზომლად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფს საწარმოო ძალთა თავისუფალ განვითარებას, ვიდრე პირველი წესი. რაკი ლატიფუნდიები რჩება, გარდუვალად რჩება აგრეთვე კაბალური გლეხი, მონახევრეობა, წვრილი წლიური იჯარა, გლეხური ინვენტარით «საბატონო» მიწების დამუშავება, ე. ი. რჩება უაღრესად ჩამორჩენილი კულტურა და მთელი ის აზიური ბარბაროსობა, რომელსაც სოფლის პატრიარქალური ყოფაცხოვრება ეწოდება.

განვითარების გზაზე შემდგარ ბურჟუაზიულ რუსეთში აგრარული საკითხის «გადაწყვეტის» ორი, ჩემ მიერ აღნიშნული, წესი შეესაბამება მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების ორ გზას. ამ გზებს მე ვუწოდებ პრუსიულსა და ამერიკულს. პირველი ხასიათდება იმით, რომ მიწათმფლობელობის შუასაუკუნებრივი ურთიერთობა კი არ ისპობა ერთბაშად, არამედ ნელა ეგუება კაპიტალიზმს, რომელიც ამის გამო დიდი ხნით ინარჩუნებს ნახევრადფეოდალურ ნიშანთვისებებს. პრუსიული მემამულური მიწათმფლობელობა არ დაუნგრევია ბურჟუაზიულ რევოლუციას, არამედ იგი დარჩა და საფუძველი გახდა «იუნკრული» მეურნეობისა, რომელიც ძირითადად კაპიტალისტურია, მაგრამ მაინც ინარჩუნებს სოფლის მოსახლეობის ერთგვარ დამოკიდებუ-

ლებას, როგორიცაა, მაგალითად, **Gesindeordnung** * და სხვ. ამით იუნკრების სოციალური და პოლიტიკური ბატონობა მრავალი ათეული წლით განმტკიცდა 1848 წლის შემდეგ, და გერმანიის მიწათმოქმედების საწარმოო ძალთა განვითარება შეუდარებლად უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე ამერიკაში. იქ, პირიქით, კაპიტალისტური მიწათმოქმედების საფუძველი გახდა არა მსხვილ მემამულეთა ძველი მონათმფლობელური მეურნეობა (სამოქალაქო ომმა დაანგრია მონათმფლობელური ეკონომიები), არამედ თავისუფალი ფერმერის თავისუფალი მეურნეობა თავისუფალ მიწაზე, რომელიც თავისუფალი იყო, ერთი მხრივ, ყოველგვარი შუასაუკუნებრივი ბორკილებისაგან, ბატონყმობისა და ფეოდალიზმისაგან, ხოლო მეორე მხრივ — მიწის კერძო საკუთრების ბორკილებისგანაც. მიწები ამერიკაში რიგდებოდა მისი ვეებერთელა მიწის მარაგიდან ნომინალურ ფასად, და მხოლოდ ახალ, სავსებით კაპიტალისტურ საფუძველზე განვითარდა იქ ახლა მიწის კერძო საკუთრება.

კაპიტალისტური განვითარების ორივე ეს გზა სავსებით ნათლად დაისახა რუსეთში 1861 წლის შემდეგ. უეჭველია მემამულური მეურნეობის პროგრესი, ამასთან ამ პროგრესის ნელი პროცესი შემთხვევითი კი არ არის, არამედ გარდუვალია, ვიდრე ბატონყმობის ნაშთები რჩება. უეჭველია აგრეთვე, რომ რაც უფრო თავისუფალია გლეხობა, რაც უფრო ნაკლებად აწვება მას ბატონყმობის ნაშთები (მაგალითად, სამხრეთში არის ყველა ეს ხელსაყრელი პირობა), ბოლოს, რაც უფრო უკეთ არის გლეხობა მიწით უზრუნველყოფილი საერთოდ და მთლიანად, მით უფრო ძლიერია გლეხობის როვევა, მით უფრო სწრაფად ჩნდება სოფლის მეწარმე-ფერმერთა კლასი. ქვეყნის შემდგომი განვითარების მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ განვითარების ამ გზებიდან რომელი გაიმარჯვებს საბოლოოდ მეორეზე და, ამის შესაბამისად, რომელი კლასი გაატარებს აუცილებელსა და გარდუვალ

* — შინაყმების წესდება. რ ე დ.

გარდაქმნას: ძველი მებატონე-მიწათმფლობელი თუ თავისუფალი გლეხი-ფერმერი.

ჩვენში ხშირად ფიქრობენ, თითქოს მიწის ნაციონალიზაცია ნიშნავდეს მიწის გამორიცხვას სავაჭრო ბრუნვიდან. ამ თვალსაზრისზე უეჭველად დგას მოწინავე გლეხთა და გლეხობის იდეოლოგთა უმრავლესობა. მაგრამ ასეთი შეხედულება ძირფესვიანად მცდარია. სწორედ პირიქით. მიწის კერძო საკუთრება დაბრკოლებას უქმნის კაპიტალის თავისუფალ გამოყენებას მიწაზე. ამიტომ სახელმწიფოსაგან მიწის თავისუფალი იჯარის დროს (და სწორედ ამით გამოიხატება ნაციონალიზაციის რაობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში) მიწა უფრო ძლიერად ებმება სავაჭრო ბრუნვაში, ვიდრე მიწის კერძო საკუთრების ბატონობის დროს. თავისუფლება კაპიტალის გამოყენებისა მიწაზე, თავისუფლება კონკურენციისა მიწათმოქმედებაში გაცილებით უფრო მეტია თავისუფალი იჯარის დროს, ვიდრე კერძო საკუთრების პირობებში. მიწის ნაციონალიზაცია არის, ასე ვთქვათ, ლენდლორდიზმი ულენდლორდოდ. ხოლო თუ რას ნიშნავს ლენდლორდიზმი მიწათმოქმედების კაპიტალისტური განვითარების საქმეში, ამის შესახებ შესანიშნავი სიღრმით მსჯელობს მარქსი «ზედმეტი ღირებულების თეორიებში». მისი მსჯელობა მე მოვიყვანე ზემოდასახელებულ ნაშრომში აგრარული პროგრამის შესახებ, მაგრამ საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო ნებას მივცემ ჩემს თავს ერთხელ კიდევ გავიმეორო იგი *.

პარაგრაფში რიკარდოს რენტის თეორიის ისტორიული პირობების შესახებ («Theorien über den Mehrwert». II. Band, 2 Teil, Stuttgart, 1905, S. 5 — 7 **) მარქსი ამბობს, რომ რიკარდო და ანდერსონი «გამოდიან შეხედულებიდან, რომელიც ძალიან უცნაური ჩანს კონტინენტზე». სახელდობრ: ისინი ფიქრობენ, რომ «სრულიად არ არსებობს

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 334 — 339. რ ე დ.

** — «ზედმეტი ღირებულების თეორიები». ტომი II, ნაწილი 2, შტუტგარტი, 1905, გვ. 5 — 7 [53]. რ ე დ.

საადგილმამულო საკუთრება, როგორც მიწაზე კაპიტალის ყოველგვარი გამოყენების დაბრკოლება». პირველი შეხედვით, ეს წინააღმდეგობაა, იმიტომ რომ სწორედ ინგლისში ფეოდალური საადგილმამულო საკუთრება განსაკუთრებით სრულად შენახულად ითვლება. მაგრამ მარქსი განმარტავს, რომ სწორედ ინგლისში კაპიტალი «ისე ულმობლად უსწორდებოდა ტრადიციულ სამიწათმოქმედო წესებს, როგორც არსად სხვაგან ქვეყნად». ამ მხრივ ინგლისი «ყველაზე რევოლუციური ქვეყანაა მსოფლიოშიო». «ყველა ისტორიულად მემკვიდრეობით მიღებული წესები იქ, სადაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ კაპიტალისტური წარმოების პირობებს მიწათმოქმედებაში ან არ შეესაბამებოდნენ ამ პირობებს, ულმობლად იქნა აღგვილი: არათუ შეიცვალა სოფლების განლაგება, არამედ აღიგავა თვით ეს სოფლებიც; არათუ აღიგავა სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები და დასახლების ადგილები, არამედ თვით ეს მოსახლეობაც; არათუ აღიგავა მეურნეობის ძველისძველი ცენტრები, არამედ თვით ეს მეურნეობაც. გერმანელებში, — განაგრძობს მარქსი, — ეკონომიური წესები განისაზღვრა სათემო მიწების (**Feldmarken**) ტრადიციული მდებარეობით, სამეურნეო ცენტრების განლაგებით, მოსახლეობის თავმოყრის გარკვეული ადგილებით. ინგლისელებში მიწათმოქმედების ისტორიული წესები თანდათან შექმნა კაპიტალმა, დაწყებული XV საუკუნიდან. ინგლისური ტექნიკური გამოთქმა «**clearing of estates**» («მიწების წმენდა») არც ერთ კონტინენტურ ქვეყანაში არ გვხვდება. ხოლო რას ნიშნავს ეს **clearing of estates**? ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს არც ბინადარ მოსახლეობას — მას მიერეკებოდნენ; არც არსებულ სოფლებს — მათ მიწასთან ასწორებდნენ; არც სამეურნეო ნაგებობებს — მათ ანგრევდნენ; არც სოფლის მეურნეობის მოცემულ დარგებს — მათ სცვლიდნენ ერთი დაკვრით, მაგალითად, სახნავ-სათეს მინდვრებს გადააქცევდნენ პირუტყვის საბალახოდ; ერთი სიტყვით, წარმოების არცერთ პირობას არ იღებდნენ იმ სახით, როგორც ისინი ტრა-

დიციით არსებობდნენ, არამედ ისტორიულად ქმნიდნენ ამ პირობებს ისეთი ფორმით, რომ ისინი ყოველ მოცემულ შემთხვევაში კაპიტალის ყველაზე ხელსაყრელი გამოყენების მოთხოვნათა შესაფერისნი ყოფილიყვნენ. ამდენად, მაშასადამე, მართლაც არ არსებობს მიწის საკუთრება, რადგან ეს საკუთრება საშუალებას აძლევს კაპიტალს — ფერმერს — თავისუფლად იმეურნეოს და მარტოოდენ ფულადი შემოსავლის მიღებით იყოს დაინტერესებული. რომელიმე პომერანელ მემამულეს (მარქსი გულისხმობს როდბერტუსს, რომლის რენტის თეორიას ის ბრწყინვალედ და ზედმიწევნით აბათილებს ამ თხზულებაში), «რომელსაც თავში უზის მხოლოდ ძველი მამაპაპეული სათემო მიწები, მეურნეობის ცენტრები, მიწათმფლობელობის კოლეგია და სხვ., შეუძლია ამიტომ შეძრწუნებულმა ხელი ხელს შემოჰკრას სამიწათმოქმედო ურთიერთობის განვითარებაზე რიკარდოს «არაისტორიული» შეხედულების გამო». ნამდვილად კი «ინგლისის პირობები ერთადერთი პირობებია, რომლებშიც ადექვატურად (იდეალური სისრულით) განვითარდა მიწის თანამედროვე საკუთრება, ე. ი. მიწის საკუთრება, კაპიტალისტური წარმოებით სახეშეცვლილი. ინგლისური თეორია (ე. ი. რიკარდოს რენტის თეორია) ამ პუნქტში კლასიკურია წარმოების თანამედროვე, ე. ი. კაპიტალისტური წესისათვის».

ინგლისში მიწის ეს წმენდა მიმდინარეობდა რევოლუციურ ფორმებში, როცა ძალდატანებით იმსხვრეოდა გლეხური მიწათმფლობელობა. ძველის, დრომოჭმულის მსხვრევა აბსოლუტურად გარდუვალია რუსეთშიაც, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეს (და მეოცე საუკუნის პირველ 7 წელსაც) ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია საკითხი, თუ რომელი კლასი და რა ფორმით მოახდენს ჩვენთვის აუცილებელ მსხვრევას. ზემოთ ჩვენ ცხადვყავით, თუ როგორია ამჟამად რუსეთში მიწის განაწილების საფუძველი. ჩვენ ვნახეთ, რომ 10½ მილიონ გლეხურ კომლს, რომლებსაც აქვთ 75 მილიონი დესეტინა მიწა, უპირისპირდება 30 000 მფლობელი ლატიფუნ-

დიებისა, რომლებიც 70 მილიონ დესეტინას შეიცავენ. ერთ-ერთი შესაძლო შედეგი ბრძოლისა, რომელიც არ შეიძლება ამ ნიადაგზე არ გაჩაღდეს, იმაში მდგომარეობს, რომ ათი მილიონი კომლის მიწათმფლობელობა თითქმის გაორკეცდება, ხოლო ზედა ოცდაათი ათასის მიწათმფლობელობა გაქრება. განვიხილოთ ეს შესაძლო შედეგი წმინდა თეორიულად, იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ჩამოყალიბდა აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევისათვის. როგორი უნდა ყოფილიყო. ასეთი ცვლილების შედეგები? მიწათმფლობელობის ურთიერთობათა თვალსაზრისით აშკარაა, რომ შუასაუკუნებრივი სანადელო და შუასაუკუნებრივი მემამულური მიწათმფლობელობა ხელახლა იქნებოდა გადაჯგუფებული. ძველი მთლად იქნებოდა აღგვილი. მიწათმფლობელობის ურთიერთობაში არაფერი ტრადიციული არ დარჩებოდა. რა ძალა განსაზღვრავდა მიწათმფლობელობის ახალ ურთიერთობას? გამთანაბრებლობის «პრინციპი»? ასე ფიქრობს მოწინავე გლეხი, რომელსაც ნაროდნიკული იდეოლოგია შეხებია. ასე ფიქრობს ნაროდნიკი. მაგრამ ეს ილუზიაა. თემში გამთანაბრებლობის «პრინციპი», კანონით აღიარებული და ადათით დადასტურებული, ნამდვილად იწვევს მიწათმფლობელობის შეგუებას ქონებრივი შეძლებულობის განსხვავებასთან. და ამ ეკონომიური ფაქტის საფუძველზე, რომელიც ათასჯერ დადასტურებულია როგორც რუსული, ისე დასავლეთ-ევროპული მონაცემებით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გამთანაბრებლობის იმედი გაქარწყლდებოდა როგორც ილუზია, ხოლო მიწათმფლობელობის გადაჯგუფება დარჩებოდა როგორც ერთადერთი მტკიცე შედეგი. დიდია თუ არა ასეთი შედეგის მნიშვნელობა? უაღრესად დიდია, რადგან ვერავითარი სხვა ღონისძიება, ვერავითარი სხვა რეფორმა, ვერავითარი სხვა გარეოქმნა ვერ მოგვიტანენ რუსეთში სამიწათმოქმედო ტექნიკის უაღრესად სწრაფი, თანთან ერა თავისუფალი პროგრესისა და ჩვენი ცხოვრებიდან ბატონყმობის, წოდებ-

რიობის, აზიურობის ყველა კვალის გაქრობის ასეთ სრულ გარანტიებს.

ტექნიკის პროგრესიო? — შეიძლება შემოგვედაონ? მაგრამ განა ზემოთ ნაჩვენები არ არის ზუსტი მონაცემებით, რომ მემამულური მეურნეობა გლეხურ მეურნეობაზე უფრო მაღლა დგას ბალახთესვითაც, მანქანების ხმარებითაც, მიწის გაპოხიერებითაც, რა თქმა უნდა, პირუტყვის ხარისხითაც და ა. შ.? დიახ, ეს ნაჩვენებია, და ეს ფაქტი სრულიად უეჭველია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ეს განსხვავება სამეურნეო ორგანიზაციის, ტექნიკისა და სხვათა მხრივ თავს იყრის მოსავლიანობაში. ჩვენ კი ვნახეთ, რომ მონახევრეობის და სხვა მსგავს პირობებში გლეხების მიერ დამუშავებული მემამულური მიწის მოსავალი სანადელო მიწის მოსავალზე ნაკლებია. აი რა გარემოებას ივიწყებენ თითქმის ყოველთვის, როდესაც რუსეთის მემამულური და გლეხური მეურნეობის აგრიკულტურულ დონეზე ლაპარაკობენ! მემამულური მეურნეობა უფრო მაღლა დგას, რამდენადაც მას კაპიტალისტურად უძღვებიან. და მთელი საქმე ის არის, რომ ამ «რამდენადაც»-მა XIX საუკუნის დამლევისათვის შრომამიგება ჩვენს ცენტრში მეურნეობის უპირატეს სისტემად დასტოვა. რამდენადაც მემამულურ მიწებზე ახლაც მეურნეობს კაბალური გლეხი თავისი მამაპაპური იარაღებით, წესებით და სხვ., იმდენად მემამულური მიწათმფლობელობა წარმოადგენს ჩამორჩენილობისა და უძრაობის მთავარ მიზეზს. მიწათმფლობელობის ცვლილება, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, გაადიდებდა სამონახევრო და იჯარით აღებული მიწების მოსავალს (ახლა ეს მოსავალი — იხ. ციფრები ზემოთ — უდრის 50 და 45 ფუთს, მაშინ როდესაც სანადელო მიწაზე შეადგენს 54 ფუთს და მფლობელურ ნაოესებზე — 66 ფუთს). ეს მოსავალი თუნდაც სანადელო მიწების მოსავლის დონემდე გადიდდეს, მაშინაც კი დიდი ნაბიჯი იქნებოდა წინ გადადგმული. მაგრამ თავისთავად გასაგებია, სანადელო მიწების მოსავალიც გადიდდებოდა როგორც იმის გამო, რომ

გლეხი განთავისუფლდებოდა ბატონყმური ლატიფუნდიების ჩაგვრისაგან, ისე იმის მეოხებით, რომ სანადელო მიწები მაშინ, სახელმწიფოს მთელი დანარჩენი მიწების მსგავსად, თავისუფალი მიწები გახდებოდნენ, რომლებიც თანაბრად მისაწვდომი იქნებოდა (არა ყველა მოქალაქისათვის, არამედ სამიწათმოქმედო კაპიტალის მქონე მოქალაქეთათვის, ე. ი. —) ფერმერებისათვის.

ეს დასკვნა გამომდინარეობს სრულიადაც არა ჩვენ მიერ აღებული მონაცემებიდან მოსაკლიანობის შესახებ. პირიქით, ეს მონაცემები აღებულია მხოლოდ იმ დასკვნის თვალსაჩინო ილუსტრაციისათვის, რომელიც გამომდინარეობს რუსეთის მემამულური და გლეხური მეურნეობის ევოლუციის მონაცემების მ თ ე ლ ი ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ი დ ა ნ. ამ დასკვნის გასაბათილებლად საჭიროა გაბათილებულ იქნეს ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის მიწათმოქმედების ისტორია არის ისტორია ბატონყმური წარმოებითი ურთიერთობის შეცვლისა ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობით.

თუ დავემყარებით გლეხურ მეურნეობათა ახლანდელი რაოდენობის მონაცემებს, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ ჩვენ მიერ განხილული აგრარული გარდაქმნა მიწათმოქმედების უაღრეს დაჭუცმაცებას გამოიწვევდა. რას ბრძანებთ, ცამეტი მილიონი მეურნეობა 280 მილიონ დესეტინაზე! განა ეს გასაოცარი დაქსაქსულობა არ არის! ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: ჩვენ ხომ ა ხ ლ ა ვხედავთ ასეთ უზომო დაქსაქსულობას, რადგან ა ხ ლ ა ცამეტი მილიონი მეურნეობა მ ე უ რ ნ ე ო ბ ს 280 მილიონ დესეტინაზე ნ ა კ ლ ე ბ ფართობზე! მაშასადამე, ცვლილება, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიწვევდა გაუარესებას ამ საქმეში. ეს ცოტაა. ჩვენ შემდეგ ვაყენებთ კითხვას, გვაქვს თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ მეურნეობათა საერთო რიცხვი ამ ცვლილების შემდეგ წინანდელი დარჩება? ჩვეულებრივ სწორედ ასე უყურებენ საქმეს ნაროდნიკული თეორიებისა და თვით იმ გლეხთა აზრის გავლენით, რომელ-

ნიც მთელი გულისწადილით ეტანებიან მიწას და იმასაც კი ოცნებობენ, რომ სამრეწველო მუშები წვრილ მიწათმოქმედებად იქცნენ. უეჭველია, რუსი სამრეწველო მუშების განსაზღვრული რიცხვი XIX საუკუნის დამლევს თვითონაც დგას ამ გლეხურ თვალსაზრისზე. მაგრამ საკითხი ის არის, ს წ ო რ ი ა თუ არა ეს თვალსაზრისი? შეესაბამება თუ არა იგი ო ბ ი ე ქ ტ უ რ სამეურნეო პირობებს და ეკონომიური განვითარების მსვლელობას? საკმარისია ნათლად დავსვათ ეს კითხვა, რათა დავინახოთ, რომ გლეხური შეხედულება განისაზღვრება დრომოჭმული და დაუბრუნებელი წარსულით, და არა მზარდი მომავლით. გლეხური შეხედულება ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს. იგი წარმოადგენს გუშინდელი დღის იდეოლოგიას, ეკონომიური განვითარება კი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ იწვევს მიწათმოქმედი მოსახლეობის არა გადიდებას, არამედ შემცირებას.

ცვლილება მიწათმფლობელობის ურთიერთობაში, რასაც ჩვენ აქ განვიხილავთ, არ მოსპობს და ვერც მოსპობს მიწათმოქმედი მოსახლეობის წილის შემცირების ამ პროცესს, რომელიც საერთოა კაპიტალიზმის განვითარების გზაზე შემდგარი ყველა ქვეყნისათვის. იქნებ შემეკითხონ: რანაირად შეიძლება ამ ცვლილებამ გავლენა მოახდინოს მიწათმოქმედი მოსახლეობის შემცირებაზე, რაკი მიწა ყველასათვის თავისუფლად მისაწვდომი გახდება? ამაზე მე ვუპასუხებ ციტატით გლეხთა დეპუტატის (პოლტავის გუბერნიიდან) ბ-ნ ჩიჟევსკის მიერ სათათბიროში წარმოთქმული სიტყვიდან. 1906 წლის 24 მაისის სხდომაზე მან თქვა: «ჩვენში გლეხები, იგივე ამრჩევლები, რომლებიც ჩვენ აქ გვგზავნიდნენ, მაგალითად, ასეთ გაანგარიშებას ახდენდნენ: «ჩვენ რომ ცოტათი უფრო მდიდარნი ვიყოთ და თვითეულ ჩვენს ოჯახს რომ შეეძლოს წელიწადში ხუთი-ექვსი მანეთი დახარჯოს შაქარზე, — თვითეულ იმ მაზრაში, სადაც შესაძლებელია ჭარხლის წარმოება, რამდენიმე შაქრის ქარხანა გაჩნდებოდა, იმ ქარხნების დამატებით, რომლებიც ახლა არსებობსო». სავსებით ბუნებრივია, ეს ქარხნები რომ გაჩენილიყო, რა

დიდძალი მუშახელი დასჭირდებოდა მეურნეობას მისი ინტენსიფიკაციის დროს! გადიდდებოდა შაქრის ქარხნების წარმოება და ა. შ.» («სტენოგრაფიული ანგარიშები», გვ. 622).

ეს ადგილობრივი მოღვაწის უაღრესად დამახასიათებელი აღიარებაა. მას რომ ჰკითხოთ, რა აზრისა ხართ საერთოდ აგრარული გარდაქმნის მნიშვნელობაზეო, ის, ალბათ, ნაროდნიკულ შეხედულებებს გამოთქვამდა. მაგრამ რაკი დადგა საკითხი არა «აზრების», არამედ გარდაქმნის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი შედეგების შესახებ, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ მ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე მ ერთბაშად დასძლია ნ ა რ ო დ ნ ი კ უ ლ ი უ ტ ო პ ი ა. ვინაიდან ის, რაც გლეხებმა თავის დეპუტატს ბ-ნ ჩიჟევსკის უთხრეს, არის სწორედ კაპიტალისტური სინამდვილე, კაპიტალისტური სინამდვილის სიმართლე. შაქრის ქარხნების რაოდენობისა და მათი ნაყოფიერების ზრდა მართლაც უდიდესი იქნებოდა წვრილ მიწათმოქმედთა მასის მდგომარეობის ყოველი რამდენადმე სერიოზული გაუმჯობესების დროს; და თავისთავად გასაგებია, არა მარტო ჰარხლის შაქრის წარმოებას, არამედ დამმუშავებელი მრეწველობის ყველა დარგს: საფეიქროს, რკინის, მანქანათმშენებლობის, საერთოდ მშენებლობის და სხვა დარგებს უდიდესი ბიძგი მიეცემოდა და «დიდძალი მუშახელი» დასჭირდებოდა. და ეს ეკონომიური აუცილებლობა გამთანაბრებლობის ყველა მომხიბლავ იმედსა და ოცნებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა. სამი და მეოთხედი მილიონი უცხენო კომლი ვერ გადაიქცევა «მეპატრონედ» ა რ ც რ ა ი მ ე აგრარული გარდაქმნით, არც მიწათმფლობელობის რაიმე ცვლილებით და არც მიწის რაიმე «დარიგებით». ეს მილიონობით კომლი (ეგრეთვე ერთცხენიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი), როგორც ჩვენ დავინახეთ, ც ო დ ვ ი ლ ობ ს თავის ნ ა კ ვ ე თ მიწაზე, ს ც ე მ ს თ ა ვ ი ს ნ ა დ ე ლ ს. მრეწველობის ამერიკული განვითარება გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ ჩამოაშორებდა მიწათმოქმედებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში ასეთ უიმედო მეურნეთა უმრავლესობას, და ვერავითარი «მიწის უფლება» ვერ შეუშლის ხელს ამ ჩამოშორებას. მეტად უბადრუკი, ლატაკური და მოძველებული

ინვენტარის მქონე ცამეტი მილიონი წვრილი მეურნე, რომელნიც ჩიჩქნიან როგორც თავის სანადელო, ისე მებატონის მიწას, — ეს არის დღევანდელი დღის სინამდვილე; ეს არის ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი ჭარბმოსახლეობა მიწათმოქმედებაში, ხელოვნური იმ აზრით, რომ ძალდატანებით ინარჩუნებენ იმ ბატონყმურ ურთიერთობას, რომელმაც დიდი ხანია დრო მოიჭამა და რომელიც ერთ დღესაც კ ი ვ ე რ გ ა ს ძ ლ ე ბ დ ა, რომ არ იყოს ეგზეკუციები, დახვრეტა, დამსჯელი ექსპედიციები და სხვა. მასის მდგომარეობის ყოველი სერიოზული გაუმჯობესება, ყოველი სერიოზული დარტყმა ბატონყმური ნაშთებისათვის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ძირს გამოუთხრიდა სოფლის ამ ჭარბმოსახლეობას, დიდად გააძლიერებდა მიწათმოქმედებიდან მოსახლეობის ჩამოშორებისა და მრეწველობისაკენ გადასვლის პროცესს (რომელიც ახლაც, თუმცა ნელა, მიმდინარეობს), მეურნეობათა რიცხვს შეამცირებდა 13 მილიონიდან გაცილებით უფრო დაბალ ციფრამდე, წინ წაიყვანდა რუსეთს ამერიკულად და არა ჩინურად, როგორც ახლაა.

აგრარულმა საკითხმა რუსეთში XIX საუკუნის დამლევს საზოგადოებრივ კლასებს გადასაწყვეტად დაუსახა ამოცანა: ბოლო მოუღონ ბატონყმობის ნაშთებს და გასწმინდონ მიწათმფლობელობა, გასწმინდონ მთელი გზა კაპიტალიზმისათვის, საწარმოო ძალთა ზრდისათვის, კლასების თავისუფალი და აშკარა ბრძოლისათვის. კლასების იგივე ბრძოლა განსაზღვრავს, თუ რანაირად გადაწყდება ეს ამოცანა.

1908 წ. 1 ივლისი ახ. სტილით.

თანამედროვე რღვევის ზოგიერთი ნიშნის შესახებ

ჩვენ არა ერთგზის აღგვინიშნავს იდეური და ორგანიზაციული რღვევა მარჯვნივ, ბურჟუაზიული დემოკრატიისა და სოციალისტი ოპორტუნისტების ბანაკში, გარდუვალი რღვევა — კონტრრევოლუციის თარეშის პერიოდში — იმ პარტიებსა და მიმდინარეობათა შორის, სადაც წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია სჭარბობს. მაგრამ რღვევის სურათი სრული არ იქნებოდა, რომ არ შევჩერებულიყავით რღვევაზე აგრეთვე «მარცხნივ», წვრილბურჟუაზიული «სოციალისტ-რევოლუციონერების» ბანაკში.

რასაკვირველია, გამოთქმა «მარცხნივ» აქ შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ მეტად და მეტად პირობითი აზრით, იმათ დასახასიათებლად, ვისაც მიდრეკილება აქვს მემარცხენეობა ითამაშოს. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს «პროლეტარში», რომ სწორედ რუსეთის რევოლუციის პერიოდმა თავისი უდიდესი აღმავლობისას განსაკუთრებით ნათლად ცხადყო აშკარა, მასობრივ პოლიტიკაში ესერული «რევოლუციონალიზმის» მთელი მერყეობა, უმტკიცობა, მთელი უპრინციპობა. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენები. 1905 წლის შემოდგომის აღმავლობა: ესერები ფარულ ბლოკში არიან ენესებთან, რომლებიც ლეგალურ «სახალხო-სოციალისტური პარტიისაკენ ეწევიან». სოც.-რევოლუციონერთა პარტიის 1905 წლის დეკემბრის ყრილობა უარყოფს ესერული პარტიის ამგვარი ორეულის შექმნის «გეგმას», მაგრამ 1906 წლის გაზაფხულისა და ზაფ-

ხულის აღმავლობის დროს ჩვენ კ ვ ლ ა ვ ვხედავთ, რომ ესერები ყოველდღიურ გაზეთებში, ე. ი. საყოველთაო სახალხო აგიტაციის მთავარ ტრიბუნაზე, ენესებთან ბლოკში არიან. ენესები აშკარად უარყოფენ რევოლუციას 1906 წლის შემოდგომაზე, სკეაბორგისა და კრონშტადტის დამარცხების შემდეგ, აშკარად გამოდიან, როგორც ოპორტუნისტები, და, მიუხედავად ამისა, II სათათბიროს არჩევნებმა პეტერბურგში (1907 წლის გაზაფხული) კვლავ აღადგინა ესერების, ენესებისა და ტრუდოვიკების «ნაროდნიკული ბლოკი». ერთი სიტყვით, რევოლუციამ სავსებით და საბოლოოდ გამოააშკარავა, რომ სოც.-რევოლუციონერების პარტიას არ გააჩნია რამდენადმე მაინც გარკვეული კლასობრივი დასაყრდენი, ეს პარტია მან სინამდვილეში დაიყვანა წვრილბურჟუაზიული გლეხური დემოკრატიის დანართის, ფრთის როლამდე, ა ი ძ უ ლ ა ი გ ი მუდმივ ექანავა სიტყვიერ რევოლუციურ სწრაფვასა და ენესურ-ტრუდოვიკულ დიპლომატიას შორის. მაქსიმალისტების გამოყოფამ, რომლებიც რევოლუციის განმავლობაში სულ მუდამ ეყოფოდნენ ესერებს და საბოლოოდ მაინც ვერ გამოეყვნენ, მხოლოდ დაადასტურა ნაროდნიკული რევოლუციურობის კლასობრივი უმტკიცობა. ესერულ ცენტრს, «წმინდა» ესერებს, — ვწერდით ჩვენ «პროლეტარის» ჯერ კიდევ მე-4 ნომერში მოთავსებულ სტატიაში «ესერული მენშევიკები», — აღარაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ მარქსისტებისაგან ნასესხები მოსაზრებებით თავი დაიცვან ესერობის ორივე «ახალი» მიმართულებისაგან *. თუ სოციალ-დემოკრატები რევოლუციიდან ისე გამოვიდნენ, რომ საბოლოოდ დარაზმეს თავის გარშემო ერთი გარკვეული კლასი, სახელდობრ პროლეტარიატი, და ჩამოაყალიბეს მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის დამახასიათებელი ორი მიმდინარეობა — ოპორტუნისტული და რევოლუციური, სოციალისტ-რევოლუციონერები რევოლუციიდან გამოვიდნენ ისე, რომ მათ არა აქვთ არავითარი პირდაპირი ბაზა, არავითარი გარკვეული მიჯნა, რომელიც მათ გამოჰყოფდა,

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 11, გვ. 223. რ ე დ.

ერთი მხრივ, წვრილ მეპატრონეთა მასასთან დაკავშირებული ტრუდოვიკებისა და ენესეპისაგან, მეორე მხრივ, მაქსიმალისტებისაგან, როგორც ინტელიგენტური ტერორისტული ჯგუფისაგან.

და ახლა, როცა მაქსიმალიზმი გაქრა, — შესაძლებელია, დროებით, — ჩვენ ვხედავთ მისი მონათესავე მიმდინარეობის აღდგენას ახალი სამოსით. გაზეთუნა «რევოლუციონნაია მისლ»[54] (№ 1 — 1908 წ. აპრილი, № 2 — ივნისი, «სოციალისტ-რევოლუციონერების ჯგუფის» ორგანო, ემიჯნება «ს.-რ. პარტიის ოფიციალურ ორგანოს», ე. ი. ცენტრალურ ორგანოს, «ზნამია ტრუდას»[55], და აცხადებს «ჩვენი (ე. ი. ესერული) თეორიული მსოფლმხედველობის, ბრძოლისა და ორგანიზაციის ესერული მეთოდების გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ა ს». რა თქმა უნდა, მთელი ეს «გადასინჯვა», მთელი ეს «კრიტიკული შემოქმედებითი მუშაობა», რასაც ახალი გაზეთი გვპირდება, მარტოოდენ ფრაზაა. ნამდვილად კი თეორიის რაიმე გადასინჯვაზე არ არის და არც შეიძლება იყოს ლაპარაკი, რადგან ახალ გაზეთს არავითარი თეორიული მსოფლმხედველობა არ გააჩნია, არამედ მის ფურცლებზე გვესმის მხოლოდ ტერორისაკენ მოწოდების გადამღერება ათას ჰანგზე და აგრეთვე უხეში, უხეირო, გულუბრყვილო შეგუება ამ ვითომდა ახალ, ნამდვილად კი ძველ, ძველისძველ შეხედულებებთან რევოლუციაზე, მასობრივ მოძრაობაზე, საერთოდ პარტიების მნიშვნელობაზე და ა. შ. ასეთი «თეორიული» ავლა-დიდების გასაოცარი უბადრუკობა თვალში გვხვდება, როცა მას ვადარებთ გადასინჯვის, კრიტიკისა და შემოქმედების ენაწყლიან დაპირებებთან. ესერობის როგორც «ახალი», ისე «ძველი» მიმართულების თეორიულ შეხედულებათა სრული დაბნეულობა მით უფრო ნათლად აშკარავდება, რომ «რევოლუციონნაია მისლ» თვითონ უსვამს ხაზს «ევოლუციას, რომელიც ხდება ს.-რ. პარტიის ოფიციალური ორგანოს ხელმძღვანელთა შეხედულებებში», — ევოლუციას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გაძლიერებით უსვამენ ხაზს «სისტემატური ცენტრალური პოლიტიკური ტერორის» მნიშვნელობას

«მოვლენათა დასაჩქარებლად». ეს ციტატი მოყვანილია «ზნამია ტრუდას» მე-8 ნომრიდან. ხოლო მე-10 — 11 ნომერში (1908 წ. თებერვალ-მარტი) ჩვენ ვხვდებით სრულიად ასეთსავე სიტყვებს იმის შესახებ, რომ «მთელი პარტიის ძალღონე წარიმართოს» «ცენტრალური პოლიტიკური ტერორისაკენ», რომ საჭიროა გამოინახოს ამისათვის «დიდი ფულადი სახსრები», ამასთან იქვე «გადაკვრით» ნაჩვენებია ამ სახსრების შესაძლო წყარო: «ყველა პარტია, — წერს «ზნამია ტრუდა», გვ. 7 — 8, — თვით კადეტებიც და მშვიდობიანი განახლების მომხრეებიც, ისარგებლებს ამ საქმიანობის უახლოესი ნაყოფით. და ამიტომ პარტიას უფლება აქვს უაღრესად ფართო საზოგადოებრივი დახმარების იმედი იქონიოს ამ თავის ბრძოლაში».

მკითხველი ხედავს, რომ ახალი რამ ახალი გაზეთის სიტყვებში არაფერი არ არის. ეს გაზეთი დამახასიათებელია მხოლოდ იმ მხრივ, რომ იძლევა საგულისხმო მასალას «მემარცხენე» და ვითომდა-რევოლუციური ფრაზებით დაფარული რ ღ ვ ე ვ ი ს შესაფასებლად. მენშევიკები «გოლოს სოციალ-დემოკრატაში» (№ 1) ლიბერალებისაგან ფულადი სახსრების შეგროვებას ამართლებენ მიზნების ერთგვარი პოლიტიკური სოლიდარობით. ესერები «ზნამია ტრუდაში» ეუბნებიან კადეტებსა და მშვიდობიანი განახლების მომხრეებს: თქვენვე ისარგებლებთ ნაყოფითაო. უკიდურესობანი ერთდებიან. წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნიზმსა და წვრილბურჟუაზიულ რევოლუციურობას ერთნაირად «თვალი უჭირავთ» — თუმცა სხვადასხვა მხრიდან — კადეტებსა და მშვიდობიანი განახლების მომხრეებზე.

და არა მარტო ამაში ერთდებიან აღნიშნული უკიდურესობანი. მენშევიკებიცა და «რევოლუციური» ნაროდნიკებიც რევოლუციიდან გულგატეხილნი გამოვიდნენ. ერთნიც და მეორენიც მზად არიან ხელი ჩაიქნიონ პარტიულობაზე, ძველ პარტიულ ტრადიციებზე, რევოლუციურ მასობრივ ბრძოლაზე. «შეცდომა, რომელიც საერთოა თითქმის ყველა რევოლუცი-

ური პარტიისათვის, — წერს «რევოლუციონნოე ნედომისლიე», — შეცდომა, რომელმაც დამღუპველი როლი ითამაშა ახლანდელ კრიზისში, მდგომარეობს გაზვიადებულ რწმენაში მასობრივი სახალხო აჯანყების შესაძლებლობისა და აუცილებლობისადმი»... «ცხოვრებამ პარტიის მოლოდინი ვერ გაამართლა». თურმე, ტყუილად ქმნიდნენ სოციალისტ-რევოლუციონერები «სოციალისტურ პროგრამას მარქსისტული შაბლონის მიხედვით», ტყუილად ქმნიდნენ «წარმოდგენას რევოლუციაზე, როგორც ისეთ რამეზე, რაც ეიგივება მასობრივ მოძრაობასა და მასობრივ აჯანყებას, რომლებსაც ეკონომიური მოთხოვნილებანი იწვევენ, თუმცა, მართალია, შესწორებას იძლეოდნენ ინიციატივიანი უმცირესობის შესახებ». საჭიროა, შესწორებათა ნაცვლად, განვითარდეს «ინიციატივიანი უმცირესობის აქტიური მოქმედების თეორია და პრაქტიკა» (№ 1, გვ. 6 — 7). საჭიროა განდიდებულ იქნეს მნიშვნელობა «უშუალო გრძნობისა, რომელიც მოიცავს რევოლუციონერს, და იდეალებისა, რომლებიც მას აღაფრთოვანებენ» (№ 2, გვ. 1), ხოლო თეორიული საკითხები, ფილოსოფია, მეცნიერული სოციალიზმი, ყოველივე ეს არაფერია «ახალი» სოციალ-რევოლუციური ობსკურანტების აზრით. «არის თუ არა იმედი შეიარაღებული აჯანყებისა მეტად თუ ნაკლებად უახლოეს (სწორედ ასეა ნათქვამი: «მეტად თუ ნაკლებად უახლოეს») მომავალში?» — კითხულობს «რევოლუციონნოე ნედომისლიე» და უპასუხებს: «ამაში ყველა თანახმაა: ასეთი იმედი არ არის» (№ 2, გვ. 2). დასკვნა: რუსეთში «პოლიტიკური გადატრიალება არ შეიძლება სხვანაირად მოხდეს, თუ არა რევოლუციური უმცირესობის მიერ» (გვ. 7). «ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რევოლუციური პარტიების წარუმატებლობის მიზეზები შემთხვევითი არ ყოფილა და, ჩვენი აზრით, დამოკიდებული იყო არა მარტო ობიექტურ პირობებზე და არა მარტო ტაქტიკურ შეცდომებზე, არამედ აგრეთვე მათი ორგანიზაციის კონცეფციაშიც მდგომარეობდა» (გვ. 10): თურმე ნუ იტყვით, რევოლუციონერები ისახავდნენ

«განუხორციელებელ ამოცანებს» — მასებისათვის ნამდვილი ხელმძღვანელობის გაწევის ამოცანებს; სოციალ-დემოკრატები თავგზას უბნევდნენ ესერებს და აიძულებდნენ მათ, ნამდვილი საქმის — ტერორისტული ბრძოლის — საზიანოდ, ეფიქრათ გლეხობის ორგანიზებაზე და მის მომზადებაზე საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის (გვ. 11). პარტიების უკიდურესი ცენტრალიზაცია — «გენერლობა» — «ავტორიტარობის სული» (გვ. 12) — აი ბოროტება. «დიდ ძლიერ პარტიაში რევოლუციონერები ხედავდნენ დასახული მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებასა და საწინდარს და ვერ ამჩნევდნენ ასეთი პარტიის შექმნის ვერც პრაქტიკულ შეუძლებლობას ჩვენს რუსულ პირობებში და ვერც ყველა მის ბნელ მხარეს» (გვ. 12).

მგონი, კმარა! აზრის რა ქაოსი სუფევს «რევოლუციონნაია მისლში», რა ობსკურანტიზმს ქადაგებს იგი, საქმის პირველ სიძნელეთა შემდეგ რა უხამს ობივატელურ სასოწარკვეთილებასა, სულმოკლეობასა და გულგატეხილობაზე შენდება ვითომდა-რევოლუციური პროგრამა, — ამაზე ლაპარაკიც კი არა ღირს. მოყვანილი ციტატები თავისთავად მეტყველებენ.

მაგრამ ნუ იფიქრებს მკითხველი, თითქოს ამგვარი მსჯელობა მხოლოდ სისულელე იყოს, რომელიც შემთხვევით წამოუყრანტალებია უცნობ და უმნიშვნელო პატარა ჯგუფს. არა, ასეთი შეხედულება შემცდარი იქნებოდა. აქ არის თავისებური ლოგიკა, ლოგიკა გულგატეხილობისა პარტიისა და სახალხო რევოლუციისადმი, გულგატეხილობისა მასების უნარისადმი — უშუალო რევოლუციური ბრძოლის უნარისადმი. ეს არის ლოგიკა ინტელიგენტური ნერვებაშლილობისა, ისტერიულობისა, მტკიცე, შეუპოვარი მუშაობის უუნარობისა, იმის უუნარობისა, რომ შეუფარდონ თეორიისა და ტაქტიკის ძირითადი პრინციპები შეცვლილ გარემოებებს, იმის უუნარობისა, რომ აწარმოონ პროპაგანდისტული, სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა ისეთ პირობებში, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ჩვენ მიერ ამ ცოტა ხნის წინათ

განცდილი ვითარებისაგან. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალლონე მოანდომონ ბრძოლას ობივატელურ რღვევასთან, რომელიც ედება არა მარტო მაღალ, არამედ დაბალ კლასებსაც, ნაცვლად იმისა, რომ უფრო მტკიცედ დარაზმონ დაქსაქსული პარტიული ძალები ნაცადი რევოლუციური პრინციპების დასაცავად, ნაცვლად ამისა წონასწორობას მოკლებული ადამიანები, მასებში კლასობრივ დასაყრდენს მოწყვეტილნი, წყალში ყრიან ყველაფერს, რასაც სწავლობდნენ, და მოითხოვენ «გადასინჯვას», ე. ი. ძველი ხარახურისაკენ, რევოლუციური კუსტარულობისაკენ, პაწაწა ჯგუფების დაქსაქსული საქმიანობისაკენ დაბრუნებას. ამ ჯგუფებისა და ცალკეული პირების ვერავითარი გმირობა ტერორისტულ ბრძოლაში ვერ შესცვლის იმას, რომ მათი საქმიანობა, როგორც პ ა რ ტ ი ი ს კაცებისა, რ ღ ვ ე ვ ი ს გამოხატულებაა. და მეტისმეტად საგულისხმოა შევითვისოთ ის ჭეშმარიტება, — რასაც ადასტურებს გამოცდილება ყველა ქვეყნისა, რომელსაც კი რევოლუციის დამარცხება განუცდია, — რომ ერთი და იგივე ფსიქოლოგია, ერთი და იგივე კლასობრივი თავისებურება, მაგალითად, წვრილი ბურჟუაზიისა, მჟღავნდება ოპორტუნისტის მჭმუნვარებაშიც და ტერორისტის თავგანწირულებაშიც.

«ყველა თანახმაა, რომ არ არის იმედი შეიარაღებული აჯანყებისა მეტად თუ ნაკლებად უახლოეს მომავალში». ჩაუფიქრდით ამ გესლიან და შაბლონურ ფრაზას. ადამიანები, ალბათ, არასოდეს არ ჩაფიქრებიან ობიექტურ პირობებს, რომლებიც წარმოშობენ ჯერ ფართო პოლიტიკურ კრიზისს, შემდეგ კი, ამ კრიზისის გამწვავებისას, სამოქალაქო ომს. ადამიანებს ზეპირად დ ა უ ს წ ა ვ ლ ი ა თ შეიარაღებული აჯანყების «ლ ო ზ უ ნ გ ი» და ვერ გ ა უ გ ი ა თ კი ამ ლოზუნგის მნიშვნელობა და გამოყენების პირობები. ამიტომაც ასე იოლად წამოიძახებენ ხოლმე ისინი მოუსაზრებელ, ბრმად მიღებულ ლოზუნგებს რევოლუციის პირველსავე დამარცხებათა შემდეგ. ხოლო ეს ადამიანები რომ აფასებდნენ მარქსიზმს, როგორც XX საუკუნის ერთადერთ რევოლუციურ თეორიას, ისინი

რომ შეისწავლიდნენ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას, დაინახავდნენ, თუ რა განსხვავებაა ფრაზასა და ნამდვილი რევოლუციური ლოზუნგების განვითარებას შორის. სოციალ-დემოკრატებს არ წამოუყენებიათ აჯანყების «ლოზუნგი» არც 1901 წელს, როდესაც დემონსტრაციებმა აიძულეს კრიჩევსკი და მარტინოვი მოერთოთ ყვირილი «იერიშის» შესახებ», არც 1902 და 1903 წლებში, როდესაც განსვენებულმა ნადეჟდინმა ძველი «ისკრის» გეგმას «ლიტერატურ-შჩინა» უწოდა. აჯანყების ლოზუნგი წამოაყენეს მხოლოდ 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ, როდესაც უკვე არც ერთ კაცს არ შეეძლო დაეჭვებულიყო, რომ საერთო-ნაციონალურმა პოლიტიკურმა კრიზისმა ი ფ ე თ ქ ა, რომ იგი მასების უშუალო მოძრაობაში დღითი-დღე კი არა, საათობით მწვავდება. და რამდენიმე თვეში ამ კრიზისმა აჯანყებამდე მ ი გ ვ ი ყ ვ ა ნ ა.

რა გაკვეთილი გამომდინარეობს აქედან? ის გაკვეთილი, რომ ჩვენ ახლა დაკვირვებით უნდა ვადევნოთ თვალყური ახალ პოლიტიკურ კრიზისს, რომელიც მზადდება, ვასწავლოთ მასებს 1905 წლის გაკვეთილები, შევაგნებინოთ მათ ყოველი მწვავე კრიზისის აჯანყებად გადაქცევის გარდუვალობა და განვამტკიცოთ ორგანიზაცია, რომელიც წამოაყენებს ამ ლოზუნგს კრიზისის დადგომის მომენტში. ხოლო საკითხის ასე დასმა: «არის თუ არა იმედი უახლოეს მომავალში?» — უნაყოფოა. საქმის ვითარება რუსეთში ისეთია, რომ ვერც ერთი რაოდენადმე დაკვირვებული სოციალისტი ვერ გაბედავს წინასწარმეტყველებას. ყოველივე, რაც კი ჩვენ ვ ი ც ი თ და რის თქმაც შეგვიძლია, არის ის, რომ თუ არ გარდაიქმნა აგრარული ურთიერთობა, თუ სავსებით არ დაიმსხვრა ძველი საადგილმამულო წყობილება, ისე რუსეთს სიცოცხლე არ შეუძლია, ის კი იცოცხლებს. ბრძოლა წარმოებს იმის გამო, შესძლებს თუ არა სტოლიპინი მემამულურად განახორციელოს ეს მსხვრევა, თუ გლეხები მუშების ხელმძღვანელობით თ ვ ი თ ო ნ მოახდენენ მას ისე, როგორც ეს მათთვის ხელ-

საყრელია. სოციალ-დემოკრატების საქმეა ჩაუნერგონ მასებს მზარდი კრიზისის ამ ეკონომიური საფუძვლის ნათელი გაგება და აღზარდონ სერიოზული პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარებოდა ხალხს შეეთვისებინა რევოლუციის მდიდარი გაკვეთილები და შესძლებდა მისთვის ხელმძღვანელობა გაეწია ბრძოლაში, როდესაც მომწიფდებიან მზარდი ძალები ახალი რევოლუციური «კამპანიისათვის».

მაგრამ ეს პასუხი, რა თქმა უნდა, «გაურკვეველ» რამედ მოეჩვენება ისეთ ადამიანებს, რომლებიც «ლოზუნგებს» უყურებენ არა როგორც კლასობრივი ანალიზიდან და განსაზღვრული ისტორიული მომენტის გათვალისწინებიდან გამომდინარე პრაქტიკულ დასკვნას, არამედ როგორც თილისმას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ მიცემული აქვს პარტიას ან მიმართულებას. ასეთი ადამიანებისათვის გაუგებარია, რომ სავსებით გარკვეული და გაურკვეველი მომენტების სხვადასხვაობასთან ტაქტიკის შეფარდების უუნარობა არის პოლიტიკური მოუმზადებლობისა და თვალთახედვის სივიწროვის შედეგი. განვამტკიცოთ ორგანიზაცია! რევოლუციური «წივილის» ჩვენებური გმირები ათვალისწუნებით იღმიჭებიან ასეთი უბრალო, უწყინარი ამოცანის გამო, რომელიც «ახლავე», დაუყოვნებლივ, ხვალვე არავითარ ხმაურსა და რახარუხს არ გვპირდება. «ცხოვრებამ არ გაამართლა პარტიის მოლოდინი». და ამას ამბობენ იმ რევოლუციის 3 წლის შემდეგ, რომელმაც მოგვცა ქვეყნად უმაგალითო დადასტურება ძლიერი პარტიების როლისა და მნიშვნელობისა! სწორედ რუსეთის რევოლუციამ თავის პირველსავე პერიოდში გვიჩვენა, რომ პლევეს წესების[56] დროსაც კი შეიძლება შეიქმნას პარტია, რომელსაც ნამდვილად შესწევს უნარი უხელმძღვანელოს კლასებს. 1905 წლის გაზაფხულზე ჩვენი პარტია არალეგალური წრეების კავშირს წარმოადგენდა; შემოდგომაზე კი იგი მილიონობით პროლეტარის პარტიად იქცა. «ერთბაშად» მოხდა ეს, ბატონებო, თუ ათეული წლის ნელმა, გულმოდგინე, უხილავმა და უხმაურო მუშაობამ მო-

ამზადა და უზრუნველყო ასეთი შედეგი? და თუ ასეთ მომენტში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, ბატონი ოფიციალური და არაოფიციალური ესერები პირველ რიგში აყენებენ მეფის მკვლელობას, და არა გლეხთა მასაში ისეთი პარტიული ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც შეეძლება ტრუდოვიკობის, როგორც მიმდინარეობის, უსახო რევოლუციურობიდან გამოსჭედოს რაღაც უფრო მკვიდრი, იდეური, მაგარი და მტკიცე, — მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ ნაროდნიკული სოციალიზმი რუსეთში კვდება, რომ იგი უკვე დიდი ხანია მოკვდა, რომ მისი ბელადები ბუნდოვანად გრძნობენ თავის «კრახს», როგორც ნაროდნიკებისას, სახალხო რევოლუციის პირველსავე კამპანიაში.

ჩვენ გლეხობისაგან არ მოველოდით იმის უნარს, რომ ისინი ხელმძღვანელ ან თუნდაც დამოუკიდებელ როლს შეასრულებდნენ რევოლუციაში, და ჩვენ სულით არ დავეცემით იმის გამო, რომ მარცხი ხვდა პირველ კამპანიას, რომელმაც გვიჩვენა, რომ გლეხობაში დიდად არის გავრცელებული რევოლუციურ-დემოკრატიული, თუმცა მეტისმეტად ბუნდოვანი და გაურკვეველი იდეები. და ჩვენ შევძლებთ კვლავ ისევე მტკიცედ და გულმოდგინედ მუშაობას, როგორც რევოლუციამდე ვმუშაობდით, რათა არ შეწყდეს პარტიული ტრადიცია, რათა განმტკიცდეს პარტია და მან შესძლოს მეორე კამპანიაში ხელმძღვანელობა გაუწიოს არა 2—3 მილიონ პროლეტარს, არამედ ერთი ხუთად, ერთი ათად მეტს. თქვენ არ გჯერათ ეს ამოცანა? თქვენთვის მომაბეზრებელია ეგი? გზა მშვიდობისა, დიდად პატივცემულნო: თქვენ რევოლუციონერები არა ხართ, თქვენ მხოლოდ მჩხავანები ხართ!

და ასევე ისტერიულად სვამს თქვენი ოფიციალური ორგანო III სათათბიროში მონაწილეობის საკითხს *. «ზნამია

* ესერული ბოიკოტიზმის დაწერილებითი განხილვა იხ. «პროლეტარის» მე-18 ნომერში — სტატია «პარლამენტური კრეტინიზმი უკუღმა». უკვე 1907 წ. შემოდგომაზე ესერები მოუწოდებდნენ ვითომდა ნამდვილად რევოლუციური ბოიკოტისტური ტრადიციისაკენ, საქმით კი აუგვანებდნენ

ტრუდას» მე-10 — 11 ნომერში ერთი მამლაყინწა დასკინის ჩვენი სოციალ-დემოკრატი დეპუტატების შ ე ც დ ო მ ე ბ ს მე-III სათათბიროში და მათ განცხადებათა გამო გაიძახის: «ვინ იცნობს ამ განცხადებებს, ამ ხმის მიცემას და თავის შეკავებას?» (გვ. 11).

ჩვენ ამაზე ვიტყვით: დიახ, ჩვენი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები III სათათბიროში ბევრ შეცდომას სჩადიოდნენ. და სწორედ ეს მაგალითი, რომლის აღება ესერებმა კეთილინებეს, გვიჩვენებს, თუ რა სხვადასხვაგვარად ეკიდებიან საქმეს მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა დ ა ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ უ რ ი ჯ გ უ ფ ი. მუშათა პარტიას ესმის, რომ პოლიტიკური მიყუჩებისა და რღვევის პერიოდში ეს რღვევა გარდუვალად დაეტყობა სათათბიროს ფრაქციასაც, რომელსაც III სათათბიროში კიდევ უფრო ნაკლებად, ვიდრე მეორეში, შეეძლო თავი მოეყარა. ყველაზე დიდი პარტიული ძალებისათვის. ამიტომ მუშათა პარტია აკრიტიკებს და ასწორებს თავისი დეპუტატების შეცდომებს; თვითეული ორგანიზაცია, როცა განიხილავს ყოველ სიტყვას და იმ დასკვნამდე მივა, რომ ესა და ეს განცხადება ან გამოსვლა შეცდომაა, მასალას იძლევა მასების პოლიტიკური გამოსვლისათვის. ნუ სწუხდებით, ბატონო ესერებო: პოლიტიკური კრიზისის გამწვავების მომენტში ჩვენი ფრაქცია და, ყოველ შემთხვევაში, სათათბიროს ჩვენი ფრაქციის წევრები შ ე ს ძ ლ ე ბ ე ნ თ ა ვ ი ს ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს შ ე ს-

---

ამ ტრადიციას, არარად აქცევდნენ მას, რევოლუციურ ბ ო ი კ ო ტ-თ ა ვ დ ა ს ხ ვ ა ს ცვლიდნენ იმით, რომ საცოდავად და უმწეოდ «უარს ამბობდნენ მონაწილეობაზე» ...უკვე მაშინ არწმუნებდნენ ისინი გულმინდობილ საზოგადოებას, რომ რეაქციული სათათბიროსათვის «ზურგის შექცევა» იმას ნიშნავსო, რომ მთავრობას «დიდი მორალური» დამარცხება არგუნო და გადადგა «პირველი სერიოზული ნაბიჯი საერთო პოლიტიკური სურათის შეცვლისაკენაო».

ჩვენ მაშინვე გამოვააშკარავეთ ჭეშმარიტი ხასიათი ამ «რევოლუციური რეტორიკისა, რასაც მიმართავენ... ვაგბატონები, რომლებიც გულღრღვილო პარტიული რეკლამის გულისათვის არ ერიდებიან მასაში დაბნეულობის შეტანას».

რ ულ ე ბ ა ს. მათ შეცდომებს ჩვენ ვაკრიტიკებთ საჯაროდ, აშკარად მასების წინაშე. ამ კრიტიკით სწავლობენ დეპუტატები, სწავლობენ კლასები, სწავლობს პარტია, რომელსაც მძიმე დრო უნახავს და რომელმაც იცის, რომ არა ისტერიულობით, არამედ ყ ვ ე ლ ა ორგანიზაციის გულმოდგინე და მტკიცე მუშაობით შეიძლება ღირსეულად დააღწიო თავი მძიმე მდგომარეობას. «პროლეტარს», როგორც საზღვარგარეთულ გაზეთს, შეგნებული ჰქონდა თავისი მოვალეობა — ფრთხილად ეძლია რჩევა შორიდან, მაგრამ ისიც აშკარად სახავდა ფრაქციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს. ფრაქციის მუშაობის დამატებით, ჩვენი აშკარა პარტიული კრიტიკა აღწევს იმას, რომ მასები იცნობენ სათათბიროში გაკეთებულ განცხადებებსაც და მათი პარტიული შესწორებების ხ ა ს ი ა თ ს ა ც. ხოლო თუ უნარი არ შეგწევს დაიფასო სათათბიროში წარმოთქმული სიტყვა ისეთ მომენტებში, როდესაც პარტიული ორგანიზაციები და პარტიული პრესა დიდ რღვევას განიცდიან, ეს იმას ნიშნავს, რომ უზომო ინტელიგენტური ქარაფშუტობა გამოიჩინო.

ბატონ ესერებს არ ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს აშკარა სოციალისტურ გამოსვლებს, როცა წარმოებს ამ გამოსვლების პირდაპირი კრიტიკა და მათი შესწორება პარტიულ ორგანოებში. ბატონი ესერები ამჯობინებენ მიჩქმალონ თ ა ვ ი ს მოღვაწეთა შეცდომები: ეს ერთხელ კიდევ მოგვაგონა «ზნამია ტრუდას» მე-10 — 11 ნომერმა, რომელმაც გაგვლანძღა «უხამსი» განცხადებისათვის კადეტებისადმი გერშუნის სიყვარულის შესახებ. ჩვენ უკვე დიდი ხანია გამოვთქვით ჩვენი აზრი ამ საკითხზე * და არ გავიმეორებდით მას უსათუოდ დღეს, როცა სულ ცოტა ხანია გასული მას შემდეგ, რაც მოკვდა მეფის ჯალათების მიერ განაწამები ადამიანი, რომელმაც რევოლუციური ორგანიზაციისადმი ერთგულებით ღრმა პატივისცემა დაიმსახურა. მაგრამ თუ ბატონმა ესერებმა კეთილინებეს საკითხის წამოყენება, — ჩვენ

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 182 — 192. რ ე დ.

პასუხს გავცემთ. გარდა ლანძღვა-გინებისა, თქვენ ვერაფერს გვიპასუხებთ, ბატონებო, ვერ იტყვით პირდაპირ და აშკარად, თუ რომელი თქვენგანი იწონებს და არ იწონებს გერშუნის პოზიციას სოც.-რევოლუციონერთა პარტიის თებერვლის (1907 წ.) ყრილობაზე. თქვენ არ შეგიძლიათ არსებითად გვიპასუხოთ და გამოააშკარაოთ თქვენი ბელადების შეცდომები, მათი მომხრეების რიცხვი და ა. შ., იმიტომ რომ თქვენ არა გყავთ პ ა რ ტ ი ა, არ აფასებთ მასების აღზრდას პირთა, განცხადებათა, მიმართულებათა და ელფერთა აშკარა კრიტიკის გზით.

მუშათა კლასი შესძლებს აღზარდოს და გამოაწრთოს თავისი ორგანიზაციები თავის წარმომადგენელთა აშკარა გაკრიტიკებით. არა ერთბაშად, არა ისე, რომ არ იყოს შეხლა-შემოხლა, ბრძოლა, არა უშრომლად, მაგრამ ჩ ვ ე ნ გ ა დ ა ვ წ ყ ვ ე ტ თ მოვლენების საძნელო შებრუნებით ჩვენს წინაშე დასმულ ძნელ ამოცანას: შევაერთოთ აშკარა გამოსვლები სათათბიროში პარტიულ არალეგალურ მოღვაწეობასთან. ამ ამოცანის გადაწყვეტით თავს იჩენს სიმწიფე პარტიისა, რომელმაც გამოიარა რევოლუციის პირველი კამპანია, — ამ ამოცანის გადაწყვეტა იქნება ერთ-ერთი გარანტია იმისა, რომ მეორე კამპანიაში პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით შესძლებს უფრო მეტი უნარით, უფრო დარაზმულად იბრძოლოს და უფრო გადაჭრით გაიმარჯვოს.

«პროლეტარი» № 32,
1908 წ. 2 (15) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში [57]

ავტორეფერატი

ვასრულებ პოლონელი ამხანაგების თხოვნას და ვეცდები მოკლედ გადმოვცე აქ შინაარსი ჩემი წიგნისა, რომელსაც ზემოთმოყვანილი სახელწოდება აქვს; წიგნი დაწერილია 1907 წლის ნოემბერში, მაგრამ დღევანდლამდე არ გამოსულა ჩემგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო *.

ამ წიგნის პირველ თავში მე ვარკვევ «რუსეთის აგრარული გადატრიალების ეკონომიურ საფუძვლებსა და არსს». ერთმანეთს ვუპირისპირებ უახლეს (1905 წლის) მონაცემებს რუსეთის მიწათმფლობელობის შესახებ, ევროპული რუსეთის ყველა 50 გუბერნიის მიწის ფონდს განვსაზღვრავ, მრგვალი ციფრებით, 280 მილიონი დესეტინით და შედეგად ვიღებ მთელი მიწის, როგორც სანადელო, ისე კერძომფლობელობის მიწის, საკუთრების განაწილების ქვემოთ მოცემულ სურათს:

	მფლობელობათა რიცხვი	დესეტინა მიწის რაოდენობა	საშუალოდ 1 მფლობელობაზე დესეტინა
	(მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ)		
ა) გაჩანაგებული გლეხობა, ბატონყმური ექსპლოატაციით დაჩაგრული....	10,5	75,0	7,0
ბ) საშუალო გლეხობა.....	1,0	15,0	15,0
გ) გლეხური ბურჟუაზია და კაპიტალისტური მიწათმფლობელობა.....	1,5	70,0	46,7
დ) ბატონყმური ლატიფუნდიები.....	0,03	70,0	2 333,0
ს ო ლ	13,03	230,0	17,6
მფლობელობათა მიხედვით განაწილებული არ არის.....	—	50,0	—
მ თ ლ ა დ	13,03	280,0	21,4

* თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 265 — 542. რ ე დ.

ყველა, ვინც ცოტათი მაინც იცნობს საზოგადოებრივ სტატისტიკას, მიხვდება, რომ ეს სურათი შეიძლება მხოლოდ დაახლოებით იყოს სწორი. მაგრამ ჩვენთვის საგულისხმოა არა ის დეტალები, რომლებშიც ჩვეულებრივ იხრჩობიან თვითონ და ახრჩობენ საქმის არსს ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულების ეკონომისტები, არამედ პროცესის კლასობრივი შინაარსი. ჩემი სურათი არკვევს ამ შინაარსს, გვიჩვენებს, თუ რისთვის წარმოებს ბრძოლა რუსეთის რევოლუციაში. 30 000 მემამულე — უმთავრესად თავადაზნაურობა, აგრეთვე საუფლისწულო უწყება ფლობენ 70 მილიონ დესეტინა მიწას. ეს ძირითადი ფაქტი უნდა დავუპირისპიროთ მეორე ფაქტს: 10½ მილიონი გლეხური კომლისა და ყველაზე წვრილი მესაკუთრის მფლობელობაშია 75 მილიონი დესეტინა მიწა.

ამ უკანასკნელთ შეეძლოთ ერთიორად გაედიდებინათ თავისი მფლობელობანი პირველთა ხარჯზე: ასეთია ბრძოლის ობიექტურად გარდუვალი ტენდენცია, დამოუკიდებლად სხვადასხვა კლასის სხვადასხვანაირი შეხედულებისა მასზე.

აგრარული კრიზისის ეკონომიური არსი სრული სიცხადით ირკვევა ზემოთმოყვანილი სურათიდან. მილიონობით წვრილ, გაჩანაგებულ, გაღარიბებულ გლეხებს, რომელთაც აბეჩავებს გაჭირვება, უმეცრება და ბატონყმობის ნაშთები, არ შეუძლიათ სხვანაირად იცხოვრონ, თუ არა მემამულისაგან ნახევრადბატონყმურ დამოკიდებულებაში; ისინი ამუშავებენ მის მიწას საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით საბალახოს, საძოვრის, წყალსალევის, საერთოდ «მიწის» საზღაურად, ზამთრის სესხის საზღაურად და ა. შ. და ა. შ.. მეორე მხრით, უზარმაზარი ლატიფუნდიების მფლობელებს არ შეუძლიათ ასეთ პირობებში სხვანაირად გაუძღვნენ მეურნეობას, თუ არა მეზობელი გაჩანაგებული გლეხების შრომის საშუალებით, რადგან მეურნეობის ამგვარად გაძღოლა არ მოითხოვს კაპიტალის დახარჯვას და მიწის დამუშავების ახალ

სისტემებზე გადასვლას. აუცილებელი შედეგია ის, რაც მრავალგზის ყოფილა აღწერილი რუსულ ეკონომიურ ლიტერატურაში, როგორც შრომამიგების სისტემა. ეს სხვა არა არის რა, თუ არა ბატონყმობის შემდგომი განვითარება. ექსპლოატაციის საფუძველს შეადგენს არა მუშის ჩამოშორება მიწისაგან, არამედ გაჩანაგებული გლეხის იძულებით მიმაგრება მიწაზე, არა მესაკუთრის კაპიტალი, არამედ მისი მიწა, არა ლატიფუნდიების მფლობელის ინვენტარი, არამედ გლეხის ძველებური კავი, არა სამიწათმოქმედო კულტურის პროგრესი, არამედ ძველი მრავალწლოვანი რუტინა, არა «ნებით დაქირავება», არამედ მევახშეობის კაბალაში ჩავარდნა.

საქმის ზემოთაღნიშნული ვითარების შედეგები სამიწათმოქმედო კულტურის სფეროში შეიძლება შემდეგი ციფრებით გამოვხატოთ: სანადელო მიწა იძლევა 54 ფუთ მოსავალს დესეტინაზე, მემამულური მიწა, როცა ხუტორულად ითესება, მემამულის ხარჯზე და მემამულის ინვენტარით მუშავდება და დაქირავებული შრომა გამოიყენება, — 66 ფუთს, იგივე მემამულური მიწა ე. წ. «მონახევრეობით» დამუშავებისას — 50 ფუთს და, ბოლოს, გლეხების მიერ იჯარით აღებული მემამულური მიწა — 45 ფუთს. მემამულური მიწა ბატონყმურ-მევახშური დამუშავებისას (ზემოხსენებული «მონახევრეობა» და გლეხური იჯარა) უარეს მოსავალს იძლევა, ვიდრე გამოფიტული, ხარისხობრივად უარესი სანადელო მიწა. ეს დაკაბალება, რასაც განამტკიცებენ ბატონყმური ლატიფუნდიები, მთავარ დაბრკოლებად ხდება რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის.

მაგრამ ზემოთმოყვანილი სურათიდან სხვა რამეც ირკვევა. სახელდობრ: ეს განვითარება კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიძლება ორნაირად ხდებოდეს. ან: ლატიფუნდიები რჩება და თანდათან იქცევა მიწის კაპიტალისტური მეურნეობის საფუძვლად, — ეს არის აგრარული კაპიტალიზმის პრუსიული ტიპი; მდგომარეობის ბატონ-პატრონია იუნკერი. მთელი ათე-

ული წლების მანძილზე რჩება მისი პოლიტიკური ბატონობა და გლეხის დაბეჩავებულობა, დამცირება, სილატაკე და უმეცრება. საწარმოო ძალთა განვითარება ძალიან ნელა მიიწევს წინ, — იმის მსგავსად, როგორც რუსეთის მიწათმოქმედებაში 1861 წლიდან 1905 წლამდე.

ანდა რევოლუცია აღგვის მემამულეთა მფლობელობას. კაპიტალისტური მიწათმოქმედების საფუძვლად ხდება თავისუფალი ფერმერი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ, ე. ი. მთელი შუასაუკუნებრივი ნაგავისაგან გაწმენდილ მიწაზე. ეს არის აგრარული კაპიტალიზმის ა მ ე რ ი კ უ ლ ი ტიპი, ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ თ ა რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ს წ რ ა ფ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ისეთ პირობებში, რომლებიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია ხალხის მასისათვის კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი ყველა პირობიდან.

ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ბრძოლა წარმოებს რუსეთის რევოლუციაში არა «სოციალიზაციისა» და ნაროდნიკების სხვა სისულელეთა გამო, — ეს სხვა არაფერია, თუ არა მეშჩანური იდეოლოგია, სხვა არაფერია, თუ არა წვრილბურჟუაზიული ფრაზები, — ა რ ა მ ე დ ი მ ი ს გ ა მ ო, თუ რ ა გზით წავა რუსეთის კაპიტალისტური განვითარება: «პრუსიული» თუ «ამერიკული» გზით. თუ რევოლუციის ეს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი საფუძველი არ გამოვარკვიეთ, ისე სრულიად ვ ე რ ა ფ ე რ ს გავიგებთ აგრარული პროგრამის საკითხში (როგორც ვერ გაიგო მასლოვმა, რომელიც ეკონომიურად-გარდუვალს კი არ არკვევს, არამედ აბსტრაქტულად-სასურველს განიხილავს).

ადგილის ნაკლებობა საშუალებას არ მაძლევს გადმოვცე პირველი თავის დანარჩენი შინაარსი; მხოლოდ ორიოდე სიტყვით შევაჯამებ მას: ყველა კადეტი მთელი ძალღონით ცდილობს მიჩქმალოს აგრარული გადატრიალების არსი, ხოლო ბატონი პროკოპოვიჩები ე ხ მ ა რ ე ბ ი ა ნ მათ ამაში. კადეტები ერთმანეთში ურევენ (ცდილობენ «შეარიგონ») აგრარული პროგრამების ორ ძირითად ხ ა ზს რევოლუციაში: მემამულურსა და გლეხურს. შემდეგ, ისევ ორიოდე სიტყ-

ვით: რუსეთში უკვე 1861 — 1905 წლებში გამოაშკარავდა კაპიტალისტური აგრარული ევოლუციის ორივე ტიპი — პრუსიულიც (მემამულური მეურნეობის თანდათანი განვითარება კაპიტალიზმის მიმართულებით) და ამერიკულიც (გლეხობის ფენებად დაყოფა და უფრო თავისუფალ და მიწით უფრო მდიდარ სამხრეთში საწარმოო ძალთა განვითარების სისწრაფე). დასასრულ, კოლონიზაციის საკითხიც, რომელსაც ამ თავში ვარკვევ და რომელსაც აქ ვერ ვაშუქებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ რუსეთში ასეული მილიონობით დესეტინის გამოყენებისათვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენენ ბატონყმური ლატიფუნდიები ცენტრის მიწათმფლობელობაში. ამ მემამულეებზე გამარჯვება მძლავრი იმპულსი აღმოჩნდება, რომელიც გამოიწვევს ტექნიკისა და კულტურის ისეთ განვითარებას, რომ დასამუშავებლად ვარგისი მიწების ფართობი ათჯერ უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე იგი 1861 წლის შემდეგ იზრდებოდა. აი რამდენიმე ციფრი: მთელი რუსეთის სახელმწიფოს დესეტინების საერთო რაოდენობიდან — 1 965 მილიონი დესეტინიდან — 819 მილიონი დესეტინის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ამრიგად, განსახილველად რჩება მხოლოდ 1 146 მილიონი დესეტინა, რომელთაგან გამოყენებულია 469 მილიონი დესეტინა, აქედან 300 მილიონი დესეტინა ტყე. ახლა სრულიად გამოუსადეგარი მიწების ძალიან დიდი რაოდენობა ვარგისი გახდება უახლოეს მომავალში, თუ რუსეთი თავს დააღწევს მემამულურ ლატიფუნდიებს *.

* ლიბერალურ-ნაროდნიკული ეკონომისტები ასე მსჯელობენ: ცენტრში მიწის ნაკლებობის გამო, კოლონიზაციისათვის ციმბირის, შუა აზიის და სხვათა გამოუსადეგრობის გამო საჭიროა მიწის დამატებით გაცემა. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელი იქნებოდა მემამულური ლატიფუნდიების საკითხში დაგეეცადნა, მიწის ნაკლებობა რომ არ ყოფილიყოო. მარქსისტები სრულიად სხვანაირად უნდა მსჯელობდნენ: მანამდე, სანამ მემამულური ლატიფუნდიები არ მოისპობა, შეუძლებელია საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარება როგორც ცენტრში, ისე კოლონიებში (რუსეთის განაპირა მხარეებში).

ჩემი წიგნის მეორე თავის საგანია რევოლუციის მიერ რსდმპ აგრარული პროგრამების შემოწმება. ყველა წინანდელი პროგრამის ძირითადი შეცდომაა არასაკმაოდ კონკრეტული წარმოდგენა იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს კაპიტალისტური აგრარული ევოლუციის ტიპი რუსეთში. და ეს შეცდომა განიმეორეს მენშევიკებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს სტოკჰოლმის ყრილობაზე და მისცეს პარტიას მუნიციპალიზაციის პროგრამა. საკითხის სწორედ ეკონომიური მხარე, ე. ი. ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე, სრულიად არ ყოფილა განხილული სტოკჰოლმში, სჭარბობდა «პოლიტიკური» მოსაზრებანი, პოლიტიკანობა, და არა მარქსისტული ანალიზი. ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას სტოკჰოლმის ყრილობის მომენტით, როდესაც მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო 1905 წლის დეკემბრისა და 1906 წლის პირველი სათათბიროს შეფასებაზე. სწორედ ამიტომ პლეხანოვი, რომელმაც სტოკჰოლმში გაატარა მასლოვის მუნიციპალიზაცია, სრულიად არ ჩაფიქრებია იმას, თუ როგორია «გლეხური აგრარული რევოლუციის» (სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები, გვ. 42, პლეხანოვის სიტყვები) ეკონომიური შინაარსი კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს ან ლიტონი ფრაზაა და მარქსისტისათვის შეუფერებელი «დაჭერა» გლეხებისა დემაგოგიისა და მოტყუების საშუალებით («Bauernfang»), ანდა — არსებობს ეკონომიური შესაძლებლობა კაპიტალიზმის ყველაზე უფრო სწრაფი განვითარებისა გლეხობის გამარჯვების მეოხებით, ხოლო ასეთ შემთხვევაში უსათუოდ საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ ისეთი გამარჯვება, აგრარული კაპიტალიზმის ისეთი გზა, მიწათმფლობელობის ურთიერთობათა ისეთი სისტემა, რომელნიც შეესაბამებიან «გლეხური აგრარული რევოლუციის» ამ გამარჯვებას.

სტოკჰოლმში ყველაზე გავლენიანი «მუნიციპალიზატორების» მთავარი საბუთი იმას ემყარებოდა, რომ გლეხები მტრულად ეკიდებიან სანადელო მიწების ნაციონალიზა-

ციასაო. ჯონმა[58], მუნიციპალიზაციის მომხრეთა მ ო მ ხ ს ე ნ ე ბ ე ლ მ ა, წამოიძახა: «ჩვენ ერთი ვანდეა[59] კი არ გვექნებოდა, არამედ გლეხობის საყოველთაო აჯანყება» (რა საშინელებაა!) «ს ა კ უ თ ა რ ი გლეხური სანადელო მიწების გამგებლობაში სახელმწიფოს ჩარევის ცდის წინააღმდეგ, მათი «ნაციონალიზების» ცდის წინააღმდეგო» (სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები, გვ. 40). კოსტროვმა[60] წამოიძახა: «გლეხებთან ამით (ნაციონალიზაციით) მისვლა იმას ნიშნავს, რომ ჩამოიშორო ისინი. გლეხთა მოძრაობა ჩვენ გვერდს აგვივლის ან ჩვენს წინააღმდეგ წარიმართება, და ჩვენ რევოლუციის განზე დავრჩებით. ნაციონალიზაცია აუძლურებს სოციალ-დემოკრატიას, აშორებს მას გლეხობისაგან და, ამრიგად, აუძლურებს რევოლუციასაც» (გვ. 88).

მგონი, ნათელია. გლეხები მტრულად ეკიდებიან ნაციონალიზაციას, — აი მენშევიკების მთავარი არგუმენტი. და თ უ ე ს მ ა რ თ ა ლ ი ა, განა ცხადი არ არის, რომ სასაცილოა მოახდინო... «გლეხური აგრარული რევოლუცია» გლეხთა სურვილის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ?

მაგრამ მართალია თუ არა ეს? 1905 წელს პ. მასლოვი წერდა: «მიწის ნაციონალიზაცია, როგორც აგრარული საკითხის გადაწყვეტის საშუალება, ამჟამად რუსეთში არ შეიძლება ვცნოთ უწინარეს ყოვლისა (ყურადღება მიაქციეთ ამ «უწინარეს ყოვლისა») იმიტომ, რომ იგი სავსებით უტოპიურია»... «მაგრამ განა გლეხები დათანხმდებიან»? (პ. მ ა ს ლ ო ვ ი, «აგრარული პროგრამების კრიტიკა», 1905 წ., გვ. 20).

ხოლო 1 9 0 7 წ ე ლ ს, მ ა რ ტ ს ი: «ყველა ნაროდნიკული ჯგუფი (ტრუდოვიკები, სახალხო სოციალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები) მხარს უჭერს მიწის ნაციონალიზაციას ამა თუ იმ ფორმით» (ჟურნალი «ო ბ რ ა ზ ო ვ ა ნ ი ე»[61], 1907 წ., № 3, გვ. 100). და ვინ წერდა ამას? ს წ ო რ ე დ ი გ ი ვ ე პ. მ ა ს ლ ო ვ ი!

ესეც თქვენი ახალი ვანდეა! ესეც თქვენი გლეხთა აჯანყება ნაციონალიზაციის წინააღმდეგ! და ნაცვლად იმისა, რომ პატიოსნად ეღიარებინა თავისი შეცდომა, ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიურად გამოეკვლია, რატომ უნდა დაეჭირათ მხარი გლეხებს ნაციონალიზაციისათვის, მასლოვი მოიქცა როგორც ივანე გულმავიწყი. მან ამჯობინა დაევიწყნა თავისი საკუთარი სიტყვები და ყველა გამოსვლა სტოკჰოლმის ყრილობაზე.

ეს კიდევ არაფერი. «არასასიამოვნო შემთხვევის» კვალის დასაფარავად მასლოვმა მოიგონა ჭორი ტრუდოვიკებზე, თითქოს მათ მხარი დაეჭიროთ ნაციონალიზაციისათვის მეშჩანურ მოსაზრებათა გამო, რადგან ისინი «ცენტრალურ ხელისუფლებაზე ამყარებდნენ იმედებსაო» (Ibid. *). ეს რომ ჭორია, ამას შემდეგი შედარება ამტკიცებს. ტრუდოვიკების მიწის პროექტში, რომელიც მათ შეიტანეს როგორც პირველ, ისე მეორე სათათბიროში, მე-16 პარაგრაფში ნათქვამია: «საერთო-სახალხო მიწის ფონდის გამგებლობა უნდა დაეკისროს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეულ ადგილობრივ თვითმმართველობებს, რომელნიც კანონით დაწესებულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებენ».

რსდმპ აგრარული პროგრამა, რომელიც მენშევიკებმა გაატარეს, ამბობს: რსდმპ მოითხოვს... «4) კერძომფლობელური მიწების კონფისკაციას, გარდა წვრილი მიწათმფლობელობისა, და მათ გადაცემას დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილი ორგანოების განკარგულებაში» («რომლებიც აერთიანებენ — მუხლი 3 — ქალაქისა და სოფლის ოკრუგებს»).

არსებითი განსხვავება ამ პროგრამებს შორის მდგომარეობს არა იმაში, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიტყ-

* — Ibidem — იქვე. რედ.

ვები «გამგებლობა» და «განკარგულება» *, არამედ გამოყიდვის საკითხში (გამოყიდვა სტოკჰოლმის ყრილობაზე უარყოფილ იქნა ბოლშევიკების ხმებით დანისა და კომპანიის წინააღმდეგ; მენშევიკები კვლავ ცდილობდნენ მის გატარებას ყრილობის შემდეგ) და გლეხთა მიწების საკითხში. მენშევიკები გამოჰყოფენ მათ, ტრუდოვიკები არ გამოჰყოფენ. ტრუდოვიკებმა დაუმტკიცეს მუნიციპალისტებს, რომ მე მართალი ვიყავი.

უდავოა, რომ ტრუდოვიკების პროგრამა შეტანილი I და II სათათბიროში, გლეხთა მასების პროგრამაა. როგორც გლეხთა დეპუტატების ლიტერატურა, ისე მათი ხელმოწერა პროექტებზე და მათი განაწილება გუბერნიების მიხედვით — ყოველივე სავსებით დამაჯერებლად ამტკიცებს ამას. 1905 წელს მასლოვი წერდა, რომ «განსაკუთრებით» (ციტირებული ბროშურა, გვ. 20) მეკომურ გლეხებს არ შეუძლიათ დათანხმდნენ ნაციონალიზაციასაო. აღმოჩნდა, რომ ეს «განსაკუთრებული» მიქარვაა. ასე, მაგალითად, პოდოლსკის გუბერნიაში გლეხები მიწათმოქმედი-მეკომურები არიან, ხოლო «104»-ის მიწის პროექტს (ტრუდოვიკების პროექტს, რომელიც ზემოთ იყო ციტირებული) ხელი მოაწერა 13 პოდოლსკელმა პირველ სათათბიროში და 10-მა მეორე სათათბიროში!

რატომ დაუჭირეს მხარი გლეხებმა ნაციონალიზაციას? იმიტომ, რომ მათ ინსტიქტურად შეიგნეს მთელი შუასაუკუნებრივი საადგილმამულო საკუთრების მოსპობის აუცილებლობა გაცილებით უკეთ, ვიდრე ბეცმა ვითომდა-მარქსისტებმა. შუასაუკუნებრივი საადგილმამულო საკუთრება უნდა მოისპოს იმისათვის, რომ გზა გაეწმინდოს კაპიტალიზმს მიწათმოქმედებაში; და სხვადასხვა ქვეყანაში და მეტნაკლებად კაპიტალმა მოსპო ძველი შუასაუკუნებრივი

* რომ სიტყვა «განკარგულება» შეცვლილი ყოფილიყო სიტყვით «საკუთრებად», ეს შესწორება უარყოფილ იქნა სტოკჰოლმში მენშევიკების მიერ (იხ. ოქმები, გვ. 152).

მიწათმფლობელობა, დაუქვემდებარა იგი ბაზრის მოთხოვნებს და გარდაქმნა სავაჭრო მიწათმოქმედების პირობების შესაბამისად. ჯერ კიდევ «კაპიტალის» მესამე ტომში მარქსი აღნიშნავდა, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი საადგილმამულო საკუთრებას მ ო უ ს წ რ ე ბ ს ხოლმე ისეთ ისტორიულ ფორმებში, რომლებიც კაპიტალიზმს არ შეესაბამებიან (მიწათმფლობელობა კლანური (გვაროვნული), თემური, ფეოდალური, პატრიარქალური და სხვ.), და გარდაქმნის მას ახალ ეკონომიურ მოთხოვნათა შესაბამისად [62].

«ზედმეტი ღირებულების თეორიებში» *, პარაგრაფში «რიკარდოს რენტის თეორიის ისტორიული პირობები» მარქსმა გენიალური სიცხადით განავითარა ეს აზრი. იქ მარქსი ამბობს: «არსად ქვეყნად კაპიტალისტური წარმოება, დაწყებული ჰენრიხ VII ეპოქიდან, ასე ულმობლად არ გასწორებია ტრადიციულ მიწათმოქმედების წესებს, არსად არ შეუქმნია მას თავისთვის ასეთი სრულყოფილი (ადეკვატური=იდეალურად შესაფერისი) პირობები და ესოდენ არ დაუმორჩილებია ეს პირობები. ინგლისი ამ მხრივ ყველაზე რევოლუციური ქვეყანაა მსოფლიოში». «ხოლო რას ნიშნავს **clearing of estates** (სიტყვასიტყვით=მამულების წმენდა ანუ მიწების წმენდა)? ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს არც ბინადარ მოსახლეობას — მას მიერეკებოდნენ, — არც არსებულ სოფლებს — მათ მიწასთან ასწორებდნენ, — არც სამეურნეო ნაგებობებს — მათ ანგრევდნენ, — არც სოფლის მეურნეობის მოცემულ დარგებს, — მათ ერთი დაკვრით სცვლიდნენ, მაგალითად, სახნავ-სათეს მინდვრებს გადააქცევდნენ პირუტყვის საბალახოდ, — ერთი სიტყვით, წარმოების არც ერთ პირობას არ იღებდნენ იმ სახით, როგორც ისინი ტრადიციით არსებობდნენ, არამედ ისტორიულად ქ მ ნ ი დ ნ ე ნ ამ პირობებს ისეთი ფორმით, რომ ისინი ყოველ ცალ-

* «Theorien über den mehrwert». II. Band, 2. Teit, stuttgart, 1905 («ზედმეტი ღირებულების თეორიები», II ტომი, 2 ნაწილი, შტუტგარდი, 1905. რ ე დ.).

კეულ შემთხვევაში კაპიტალის ყველაზე ხელსაყრელი გამოყენების მოთხოვნათა შესაფერისნი ყოფილიყვნენ. ამდენად, მაშასადამე, მართლაც არ არსებობს მიწის საკუთრება, რადგან ეს საკუთრება საშუალებას აძლევს კაპიტალს — ფერმერს — თავისუფლად იმეურნეოს და მარტოოდენ ფულადი შემოსავლის მიღებით იყოს დაინტერესებული (გვ. 6 — 7) [63].

ასეთია შუასაუკუნებრივი ფორმების ყველაზე სწრაფი მოსპობისა და კაპიტალიზმის ყველაზე თავისუფალი განვითარების პირობები — მთელი ძველი მიწათმფლობელობის მოსპობა, მიწის კერძო საკუთრების მოსპობა, როგორც კაპიტალის დაბრკოლებისა. რუსეთშიაც გარდუვალია შუასაუკუნებრივი მიწათმფლობელობის ასეთი რევოლუციური «წმენდა» და ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს ამის შეჩერებას. საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს და ბრძოლა მარტოოდენ იმის გამო წარმოებს, იქნება ეს «წმენდა» მემამულური თუ გლეხური. შუასაუკუნებრივი მიწათმფლობელობის «წმენდა» მემამულეთა მიერ — ეს არის გლეხთა გაძარცვა 1861 წელს, ეს არის სტოლიპინის 1906 წლის აგრარული რეფორმა (კანონმდებლობა 87 მუხლის მიხედვით). მიწების გლეხური «წმენდა» კაპიტალიზმისათვის — ეს არის მიწის ნაციონალიზაცია.

სწორედ ეს ეკონომიური არსი ნაციონალიზაციისა ბურჟუაზიულ რევოლუციაში, რომელსაც ახდენენ მუშები და გლეხები, სრულიად ვერ გაიგეს მასლოვმა, პლეხანოვმა და კომპანიამ. ისინი აგრარულ პროგრამას ადგენდნენ არა შუასაუკუნებრივ მიწათმფლობელობასთან, როგორც ბატონყმურ ურთიერთობათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშთთან, საბრძოლველად, არა იმისათვის, რომ სავსებით გასწმენდოდა გზა კაპიტალიზმს, არამედ უბადრუკი მეშჩანური ცდისათვის — ძველისა და ახლის «ჰარმონიულად» შეერთებისათვის, ნადელებად მიზომვის მეოხებით წარ-

მოშობილი მიწის საკუთრებისა და რევოლუციის მიერ კონ-ფისკებული ბატონყმური ლატიფუნდიების შეერთებისათვის.

დასასრულ, რათა ცხადვყო მუნიციპალიზაციის იდეის მთელი მეშჩანური რეაქციულობა, მოვიყვან მონაცემებს იჯარის შესახებ (იჯარის საკითხის მნიშვნელობა მე უკვე აღვნიშნე მასლოვთან დავის დროს 1906 წელს ჩემს ბროშურაში «მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა» *). სარატოვის გუბერნიის კამიშის მაზრაში **:

| მეურნეობა ჯგუფები | | |

მიწის რაოდენობა ძლივს აღემატება იჯარით გაცემული მიწის რაოდენობას, ხოლო დათესილი მიწის ფართობი «ნადელზე» ნაკლებია. ყველა უმაღლესი ჯგუფის, ე. ი. გლეხთა უმცირესობის, მიერ იჯარით აღებული მიწის რაოდენობა რამდენიმეჯერ აღემატება იჯარით გაცემულ მიწის რაოდენობას, და დათესილი მიწის ფართობი მით უფრო აღემატება «ნადელის» ოდენობას, რაც უფრო შეძლებულია გლეხი.

ამგვარი თანაფარდობა ბატონობს მთელ რუსეთში. კაპიტალიზმი ანგრევს სამიწათმოქმედო თემს, ათავისუფლებს გლეხებს «ნადელის» ბატონობისაგან, ამცირებს სანადელო მიწების როლს სოფლის ორივე პოლუსზე, ხოლო ღრმა მოაზროვნე მენშევიკები გაიძახიან: «გლეხები აჯანყდებიან სანადელო მიწების ნაციონალიზაციის წინააღმდეგო».

რუსეთში შუასაუკუნებრივია არა მარტო მემამულური, არამედ გლეხური სანადელო საკუთრებაც, ეს «მხედველობიდან გამორჩათ» მენშევიკებს. განმტკიცება სანადელო საკუთრებისა, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობას, რეაქციული ღონისძიებაა, მუნიციპალიზაცია კი განამტკიცებს სანადელო საკუთრებას არასანადელო საკუთრებისაგან განსხვავებით, რომლის «მუნიციპალიზაცია უნდა მოხდეს». სანადელო მიწის ფლობა გლეხებს ჰყოფს ათასი შუასაუკუნებრივი ზღუდით და შუასაუკუნებრივი ფისკალური «თემით», აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას. «თემს» და ნადელების ამ ფლობას გარდუვალად მოსპობს კაპიტალიზმი. სტოლიპინი ამას გრძნობს და შავრაზმულად ანგრევს. გლეხები ამას გრძნობენ და მოწადინებული არიან გლეხურად, ანუ რევოლუციურ-დემოკრატიულად დაანგრიონ. მენშევიკები კი გაიძახიან: «არ შეიძლება სანადელო მიწებს ხელი ვახლოთო».

ნაციონალიზაცია სპობს «თემს», რომელიც ნაშთს წარმოადგენს, და შუასაუკუნებრივ სანადელო საკუთრებას ისე, როგორც კი საერთოდ შეგვიძლია გონებით წარმოვიდგინოთ ამ

ინსტიტუტების მოსპობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში გლეხთა ინტერესების რაც შეიძლება მეტად დაცვით. «ყბადაღებული საკითხი «თემის» შესახებ, — ვკითხულობთ ჩვენ ბროშურაში «მასალები გლეხთა საკითხისათვის (გლეხთა სრულიად რუსეთის კავშირის დელეგატთა ყრილობის 1905 წ. 6—10 ნოემბრის სხდომების ანგარიში». პეტერბურგი, 1905 წ.), — სრულიადაც არ დასმულა და ულაპარაკოდ გადაწყდა უარყოფითად: მიწა უნდა იყოს პირთა და ამხანაგობათა სარგებლობაში, — ამბობს როგორც პირველი, ისე მეორე ყრილობის რეზოლუციები» (გვ. 12). კითხვაზე, ხომ არ დაზარალდებიან სანადელო მიწების ნაციონალიზაციისაგან თვით გლეხები, დელეგატები უპასუხებდნენ: «სულ ერთია განაწილებისას მიიღებენო» (გვ. 20). გლეხ-მესაკუთრეს (და მის იდეოლოგს, ბ-ნ პეშეხონოვს) ჩინებულად ესმის, რომ «სულ ერთია მიიღებენ მიწას განაწილებისას», რომ მალე მოისპობა ბატონყმური ლატიფუნდიები. ხოლო ფართო მასშტაბით «განაწილება», რაც მთელი მიწის ნაციონალიზაციას ნიშნავს, მას ესაჭიროება იმისათვის, რომ თავი დააღწიოს შუა საუკუნეთა ბორკილებს, რომ «გაწმინდოს» მიწები, რომ მიწებით სარგებლობა შეუფარდოს ახალ ეკონომიურ პირობებს. ეს საუცხოოდ გამოთქვა მეორე სათათბიროში ბ-ნ მუშენკომ, რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერების სახელით ლაპარაკობდა, როცა მან, მისი დამახასიათებელი გულუბრყვილობით, თქვა: «სწორი განსახლება (მიწათმოქმედთა) მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მიწაზე მოისპობა ღობე, როდესაც მოიხსნება ყოველი ზღუდე, რაც მას შექმნილი აქვს მიწის კერძო საკუთრების პრინციპით» (მე-2 სათათბიროს ოქმები, გვ. 1172). შეადარეთ ეს განცხადება მარქსის ზემოთმოყვანილ სიტყვებს, და მიხვდებით, რომ მეშჩანურ ფრაზეოლოგიაში «სოციალიზაციისა» და «გათანაბრების» შესახებ იმალება მეტად რეალური შინაარსი: ძველი შუასაუკუნებრივი საადგილმამულო საკუთრების ბურჟუაზიულ-რევოლუციური წმენდა.

მიწების მუნიციპალიზაცია ბურჟუაზიულ რევოლუციაში რეაქციული ღონისძიებაა, რადგან ეს ღონისძიება ხელს უშლის შუასაუკუნებრივი საადგილმამულო საკუთრების მოსპობის ეკონომიურად აუცილებელსა და გარდუვალ პროცესს, ხელს უშლის მიწის ყველა მეურნისათვის ერთნაირი ეკონომიური პირობების შექმნის პროცესს, როგორიც უნდა იყოს მათი მდგომარეობა, მათი წარსული, 1861 წლის ნადელი და ა. შ.. მიწების საკუთრებად დაყოფა ახლა რეაქციული ღონისძიება იქნებოდა, რადგან იგი ხელუხლებლად დატოვებდა სანადელო მიწის ახლანდელ, მოძველებულ საკუთრებას, რომელიც ნაშთს წარმოადგენს; მაგრამ მერე, ნაციონალიზაციის გზით მიწის სრული გაწმენდის შემდეგ, დაყოფა შესაძლებელი იქნებოდა, როგორც ახალი, თავისუფალი ფერმერობის ლოზუნგი*. მარქსისტების საქმეა დაეხმარონ რადიკალურ ბურჟუაზიას (ე. ი. გლეხობას) რაც შეიძლება უფრო სრულად მოსპოს ძველმანი და უზრუნველყოს კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება, და სრულიადაც არა ის, რომ დაეხმაროს მეშჩანებს მათ მისწრაფებაში — მყუდროდ მოეწყონ, შეეგუონ წარსულს.

მესამე თავი ეხება «ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის თეორიულ საფუძვლებს».

მე, რა თქმა უნდა, არ განუმეორებ პოლონელ ამხანაგებს ისეთ რამეებს, რაც საყოველთაოდ ცნობილია ყოველი მარქსისტისათვის, რომ მიწების ნაციონალიზაცია კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნიშნავს აბსოლუტური და არა დიფერენციული რენტის მოსპობას და ა. შ.. რაკი რუსი მკითხველები მყავდა მხედველობაში, მე დაწვრილებით უნდა მელაპარაკნა ამაზე, რადგან პეტრე მასლოვი ამტკიცებდა, რომ კარლ მარქსის თეორია აბსოლუტური რენტის შესახებ არის «წინააღმდეგო-

* მ. შანინმა თავის ბროშურაში «მუნიციპალიზაცია თუ საკუთრებად დაყოფა», ვილნა, 1907, ხაზი გაუსვა საკითხის იმ მხარეს, რომელიც აგრიკულტურას ეხება, მაგრამ ვერ გაიგო განვითარების ორი გზა და ახლანდელი მიწათმფლობელობის მოსპობის მნიშვნელობა.

ბა», რომელიც «შეიძლება აიხსნას მხოლოდ (!!) იმით, რომ მესამე ტომი გამოცემულია მისი სიკვდილის შემდეგ, სადაც შესულია ავტორის შავად ნაწერი მონახაზებიცაო» («აგრარული საკითხი») *.

ეს პრეტენზია პეტრე მასლოვისა, რომელსაც სურს გააასწოროს კარლ მარქსის შავად ნაწერი მონახაზები, ჩემთვის ახალ რამეს არ წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1901 წელს ჟურნალ «ზ ა რ ი ა ს ი» [64] აღვნიშნავდი, რომ მასლოვმა ჟურნალ «ე ი ზ ნ ს ი» [65] დაამახინჯა მარქსის რენტის თეორია **. მაგრამ მალე ამის შემდეგ, 1906 წელს, პეტრე მასლოვმა გაიმეორა ეს აღვირახსნილი და უეჭველი სისულელე (მესამე გამოცემის წინასიტყვაობა დათარიღებულია 1906 წ. 26 აპრილით), რ ო ც ა გ ა მ ო ს უ ლ ი ი ყ ო «ზედმეტი ღირებულების თეორიები», სადაც მარქსმა სრული სიცხადით გამოარკვია აბსოლუტური რენტის თეორია. ეს უკვე უბადლო რამ არის! რადგან აქ შესაძლებლობა არა მაქვს გავიმეორო პეტრე მასლოვის მიერ მარქსის «გასწორებათა» დაწვრილებითი გარჩევა, რაც მოცემულია ჩემს წიგნში, ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს გასწორებანი ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაცვეთილ არგუმენტებს წარმოადგენენ. პეტრე მასლოვი იქამდე მიდის, რომ მარქსის აბსოლუტური რენტის თეორიას იგი უპირისპირებს «აგურის წარმოებას» (გვ. 111). ცდილობს გააცოცხლოს «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი», ამტკიცებს, რომ «უამკანონოდ არ შეიძლება აიხსნას «იმიერ-ოკეანის» კონკურენცია» (გვ. 107) და, დასასრულ, იმასაც კი ამბობს, რომ მ ა რ ქ ს ი ს ა მ თ ე ო რ ი ი ს დ ა უ რ ღ ვ ე ვ ლ ა დ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ნ ა რ ო დ ნ ი კ ე ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ა ო. «რომ არ ყოფილიყო ფაქტი მიწის იმავე ფართობზე გაწეული შრომის თანამიმდევარი ხარჯვის ნაყოფიერების დაცემისა, იქნებ, კიდევ შესაძლებელი ყოფილიყო განხორციელება... ნაროდნიკების იდილიისა» (მასლოვი,

* «აგრარული საკითხი», მე-3 გამოცემა, გვ. 108, შენიშვნა.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 5, გვ. 150. რ ე დ.

ჟურნალი «ობრაზოვანიე», 1907, № 2, გვ. 123). ერთი სიტყვით, პეტრე მასლოვის ეკონომიური თეორია აბსოლუტური რენტის, ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების «ფაქტის, «ნაროდნიკობის» ძირითადი შეცდომების, კულტურის გაუმჯობესებისა და ტექნიკის გაუმჯობესების განსხვავების საკითხებში არც ერთ ცოცხალ სიტყვას არ შეიცავს. რაკი მასლოვმა აბსოლუტური რენტის თეორია დაარღვია წმინდა ბურჟუაზიული არგუმენტებით, რომლებიც წარმოუდგენლად გაუგვანებულია კაპიტალის ოფიციალური დამცველების მიერ, იგი გარდუვალად უნდა დაქანებულიყო მარქსიზმის დამმახინჯებელთა რიგებისაკენ. მაგრამ, მარქსიზმი რომ დაამახინჯა, პეტრე მასლოვი ამასთან იმდენად საზრიანი გამოდგა, რომ მისი წიგნის — «აგრარული საკითხის» გერმანულ თარგმანში უკვე ა მისი შესწორება მარქსის შავად ნაწერი მონახაზებისა გამოტოვებული აღმოჩნდა. ევროპელთა წინაშე მასლოვმა თავისი თეორია ჯიბეში დამალა! უნებლიეთ მომაგონდა ამის გამო, — ვწერდი III თავში, — ამბავი ერთი უცნობისა, რომელიც პირველად დაესწრო ანტიკურ ფილოსოფოსთა საუბარს და ამასთან სულ მუდამ სდუმდა. «თუ შენ ჭკვიანი ხარ, — უთხრა ამ უცნობს ერთ-ერთმა ფილოსოფოსმა, — მაშინ შენ სულელურად იქცევი, ხოლო თუ სულელი ხარ, მაშინ ჭკვიანად იქცევიო».

თავისთავად იგულისხმება, რომ ვინც უარყოფს აბსოლუტური რენტის თეორიას, ის ყოველგვარ შესაძლებლობას ისპობს გაიგოს მიწის ნაციონალიზაციის მნიშვნელობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რადგან ნაციონალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს არა დიფერენციული, არამედ მხოლოდ აბსოლუტური რენტის მოსპობა. ვინც უარყოფს აბსოლუტურ რენტას, ის უარყოფს კერძო მიწათმფლობელობის, როგორც კაპიტალიზმის განვითარების დაბრკოლების, ყოველგვარ ეკონომიურ მნიშვნელობას. ამის წყალობით საკითხს: ნაციონალიზაცია თუ მუნიციპალიზაცია მასლოვი და კომპანია გარდუვალად განსაზღვრავენ პოლიტიკური საკითხით («ვის მი-

ეცეს მიწა?») და უგულებელყოფენ საკითხის ეკონომიურ არსს. სანადელო მიწების (ე. ი. ხარისხობრივად უარესი და უფრო ცუდ მეურნეთა ხელში მყოფი მიწების) კერძო საკუთრების შეხამება მიწების დანარჩენი (უკეთესი) ნახევრის საზოგადოებრივ საკუთრებასთან ა ბ ს უ რ დ უ ლ ი ხდება რაოდენადმე განვითარებულ და თავისუფალ კაპიტალისტურ სახელმწიფოში. ეს სხვა არაფერია, თუ არა ა გ რ ა რ უ ლ ი ბ ი მ ე ტ ა ლ ი ზ მ ი.

მენშევიკების ამ შეცდომის შედეგად აღმოჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა მიწის კერძო საკუთრების კრიტიკა ხელში ჩაუგდეს სოციალისტ-რევოლუციონერებს. მარქსმა «კაპიტალში» მოგვცა ამ კრიტიკის შესანიშნავი ნიმუში *. ჩვენში კი აღმოჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატები სრულიადაც არ ეწევიან ამ კრიტიკას კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით, მასებამდე კი აღწევს მხოლოდ ნაროდნიკების კრიტიკა, ე. ი. მიწის კერძო საკუთრების მეშჩანურად დამახინჯებული კრიტიკა.

მოვიხსენიებ, როგორც დეტალს, რომ რუსულ ლიტერატურაში ნაციონალიზაციის წინააღმდეგ ასეთი არგუმენტიც იყო წამოყენებული: იგი იქნებოდა «ფულადი რენტა» წვრილი გლეხური საკუთრების დროსაო. ეს არ არის სწორი. «ფულადი რენტა» (იხ. «კაპიტალი», III) [67] მემამულისათვის წარმოადგენს პროცენტს, რომელსაც თანამედროვე ფორმა აქვს მიცემული. თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე გლეხური იჯარის დროს მიწის საზღაური, უეჭველია, რაოდენადმე ფ უ ლ ა დ რ ე ნ ტ ა ს წარმოადგენს. ბატონყმური ლატიფუნდიების მოსპობა დაანჩარებს გლეხობის ფენებად დაყოფას, გააძლიერებს გლეხურ ბურჟუაზიას, რომელიც უკვე ახლაც ქმნის კაპიტალისტურ იჯარას: გაიხსენეთ ზემოთმოყვანილი მონაცემები გლეხობის მაღალ ჯგუფებში მიწის იჯარის შესახებ.

---

* იხ., მაგალითად, «Das Kapital», III, 2. T., S. 346 — 347 მიწის ფასის, როგორც კაპიტალიზმის განვითარების დაბრკოლების შესახებ. იქვე, 344 — 345, 341 და 342 [68].

დასასრულ, უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მარქსისტებს შორის საკმაოდ გავრცელებულია ის შეხედულება, თითქოს ნაციონალიზაცია შეიძლება განხორციელდეს კაპიტალიზმის განვითარების მხოლოდ ძალიან მაღალ საფეხურზე. ეს არ არის სწორი. მაშინ დღის წესრიგში დაისმება უკვე არა ბურჟუაზიული, არამედ სოციალისტური რევოლუციის საკითხი. მიწის ნაციონალიზაცია ყველაზე თანამიმდევარ ბურჟუაზიულ ღონისძიებას წარმოადგენს. მარქსი ა რ ა ე რ თ ხ ე ლ ამტკიცებდა ამას, დაწყებული «სილატაკის ფილოსოფიით»[68]. «ზედმეტი ღირებულების თეორიებში» მარქსი ამბობს (II. **Band, I. Teil, S.** 208): «რადიკალური ბურჟუა თეორიულად მიდის მიწის კერძო საკუთრების უარყოფამდე... მაგრამ პრაქტიკულად მას არ ჰყოფნის გაბედულება, რადგან თავდასხმა საკუთრების ერთ ფორმაზე, შრომის პირობების მიმართ კერძო საკუთრების ფორმაზე, ძალიან სახიფათო იქნებოდა სხვა ფორმისთვისაც. გარდა ამისა, ბურჟუამ თავისთავი თვითონ «გაიტერიტორიალა»[69]. რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია ისეთ პირობებში ხდება, როდესაც არსებობს რადიკალური ბურჟუა (გლეხი), რომელსაც «შესწევს ვაჟკაცობა» წამოაყენოს ნაციონალიზაციის პროგრამა მრავალმილიონიანი მასების გულისათვის და რომელიც ჯერ კიდევ არ «გატერიტორიალებულა», ე. ი. მეტ ზარალს ნახულობს მიწის (მ უ ა ს ა უ კ უ ნ ე ბ რ ი ვ ი) საკუთრებიდან, ვიდრე სარფასა და «მოგებას» მიწის (ბურჟუაზიული) საკუთრებიდან. რუსეთის რევოლუცია ვ ე რ გ ა ი მ ა რ ჯ ვ ე ბ ს ისე, თუ ეს «რადიკალური ბურჟუა», რომელიც კადეტსა და მუშას შორის მერყეობს, მასობრივი გამოსვლით მხარს არ დაუჭერს პროლეტარიატს რევოლუციურ ბრძოლაში. რუსეთის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს სხვანაირად, თუ არა როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა.

წიგნის მეოთხე თავში ლაპარაკია «პოლიტიკურ და ტაქტიკურ» მოსაზრებებზე აგრარული პროგრამის საკითხებში. აქ პირველ ადგილზეა პლეხანოვის «ცნობილი» არგუმენტი:

«ჩემი პოზიციის გასაღებია, — წამოიძახა მან სტოკჰოლმში, — რესტავრაციის შესაძლებლობაზე მითითებაო» (ოქმები, გვ. 113). მაგრამ ეს სავსებით დაჟანგული გასაღებია, «რესტავრაციისაგან გარანტიის» საბაბით რეაქციასთან გ ა რ ი გ ე ბ ი ს კადეტური გასაღებია. პლეხანოვის არგუმენტი ყოვლად უბადრუკი სოფიზმია, რადგან ის თვითონვე ამტკიცებს, რესტავრაციისაგან გარანტია არ არსებობსო, და მაინც ი გ ო ნ ე ბ ს ასეთ გარანტიას. «იგი (მუნიციპალიზაცია) ხელში არ უგდებს მიწას ძველი წესწყობილების პოლიტიკურ წარმომადგენლებს» (გვ. 45, პლეხანოვის სიტყვა). რა არის რესტავრაცია? სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ძველი წესწყობილების წარმომადგენელთა ხელში. შეიძლება თუ არა არსებობდეს გარანტია რესტავრაციისაგან? არა, ასეთი გარანტია «არც შეიძლება იყოს» (ოქმები, გვ. 44, პლეხანოვის სიტყვა). ამიტომ... გამოიგონა გარანტია — «მუნიციპალიზაცია ხელში არ უგდებს მიწასაო».

მუნიციპალიზაციის დროს დარჩება ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა სანადელო და მემამულური მიწებს შორის, ე. ი. მუნიციპალიზაცია გააადვილებს რესტავრაციას ანუ ამ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი ს ა ღ დ გ ე ნ ა s **de jure***. პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ მუნიციპალიზაცია არის კ ა ნ ო ნ ი მემამულური მიწების მიმართ ფლობის შეცვლისა. რა არის კანონი? გაბატონებული კლასების ნების გამოხატულება. რესტავრაციის დროს ი გ ი ვ ე კლასები კვლავ გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ნ ი გახდებიან. განა მათ შებოჭავს კანონი, ამხანაგო პლეხანოვ? ამას რომ ჩაფიქრებოდით, მიხვდებოდით, რომ ვერავითარი კანონი ვერ შებოჭავს გაბატონებული კლასების ნების გამოხატვას. ნაციონალიზაცია კი აძნელებს რესტავრაციას ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ, რადგან იგი ს პ ო ბ ს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ზ ლუდეს, მ ი წ ი ს მ თ ე ლ შუასაუკუნებრივ საკუთრებას და შ ე უ გ უ ე ბ ს მას წარმოების ახალ, ერთ მთელად შეერთებულ კაპიტალისტურ პირობებს.

---

* — იურიდიულად. რ ე დ.

პლეხანოვის სოფისტიკა არის მიღება კადეტური ტაქტიკისა: წაიყვანონ პროლეტარიატი არა სრული გამარჯვებისაკენ, არამედ ძველ ხელისუფლებასთან გარიგებისაკენ. სინამდვილეში ერთადერთ აბსოლუტურ «გარანტიას რესტავრაციისაგან» წარმოადგენს სოციალისტური გადატრიალება დასავლეთში, შედარებითი გარანტია კი არის რევოლუციის ბოლომდე გატარება, ძველის რაც შეიძლება უფრო რადიკალური მოსპობა, რაც შეიძლება მაღალი დონე დემოკრატიისა (რესპუბლიკა) პოლიტიკაში და კაპიტალიზმისათვის გზის გაწმენდა — ეკონომიკაში.

პლეხანოვის მეორე არგუმენტი ამბობს: «საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რომლებიც მიწას ფლობენ, მუნიციპალიზაცია ქმნის დასაყრდენს რეაქციის წინააღმდეგ. და ეს მეტად ძლიერი დასაყრდენი იქნება» (ოქმები, გვ. 45). არ არის მართალი. ადგილობრივი თვითმმართველობა არასოდეს და არსად არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს დასაყრდენი რეაქციის წინააღმდეგ კაპიტალიზმის ეპოქაში. კაპიტალიზმს გარდუვალად მივყევართ სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციისაკენ, და ყოველი ადგილობრივი თვითმმართველობა უსათუოდ დაძლეული იქნება რეაქციული სახელმწიფო ძალაუფლების დროს. პლეხანოვი ოპორტუნიზმს ქადაგებს, როდესაც ყურადღებას აქცევს არა «დემოკრატიზმს ცენტრში» ანუ რესპუბლიკას, — ერთადერთ დასაყრდენს რეაქციის წინააღმდეგ, როგორიც კი შესაძლებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, — არამედ ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც ყოველთვის უძლურია დიდი ისტორიული ამოცანების მიმართ, პატარა, წვრილმანია, დამოუკიდებლობას მოკლებული და დაჭსაქსულია. «გლეხურ აგრარულ რევოლუციას» არ შეუძლია გაიმარჯვოს რუსეთში, თუ მან ვერ დასძლია ცენტრალური ხელისუფლება, პლეხანოვი კი მენშევიკებს ჩააგონებს შეხედულებებს, რომლებიც სტოკჰოლმში გამოთქვა მენშევიკმა ნოვოსელსკიმ: «ჭეშმარიტად დემოკრატიულ ადგილობრივ თვითმმართველობათა

დროს ახლა მიღებული პროგრამა შეიძლება განხორციელდეს (დააკვირდით!) ცენტრალური მთავრობის დემოკრატიზაციის ისეთი დონის პირობებშიც, რომელსაც არ შეიძლება ეწოდოს მისი დემოკრატიზაციის უმაღლესი ხარისხი. ასე ვთქვათ, შედარებითი დონის დემოკრატიზაციის დროსაც კი მუნიციპალიზაცია მავნებელი კი არა, სასარგებლო იქნება» (ოქმები, გვ. 138).

ეს ცხადზე უცხადესია. ვასწავლოთ ხალხს შეეგუოს მრნარქიას, იქნებ არ «მიაქციონ ყურადღება» ჩვენს საოლქო მოღვაწეობას და «გვიბოძონ სიცოცხლე», როგორც შჩედრინის ჭიჭყინას.

მესამე სათათბირო კარგი ილუსტრაციაა მუნიციპალიზაციისა და ადგილობრივი დემოკრატიზმის შესაძლებლობისა ისეთ პირობებში, როცა ცენტრში «შედარებითი», მენშევიკური დემოკრატიზმია.

შემდეგ, მუნიციპალიზაცია განამტკიცებს ფედერალიზმს და ოლქების დაქუცმაცებულობას. ტყუილად როდი იყო, რომ II სათათბიროში მემარჯვენე კაზაკი კარაულოვი პლეხანოვზე უფრო ცუდად არ აკამტვერებდა ნაციონალიზაციას (ოქმები, გვ. 1366) და მხარს უჭერდა მუნიციპალიზაციას ოლქების მიხედვით. კაზაკთა მიწები რუსეთში უკვე წარმოადგენენ მუნიციპალიზაციას. და სახელმწიფოს სწორედ ეს დაქუცმაცება ცალკეულ ოლქებად იყო ერთ-ერთი მიზეზი რევოლუციის დამარცხებისა პირველ სამწლიან კამპანიაში!

ნაციონალიზაცია, — გვეუბნება შემდეგი არგუმენტი, — აძლიერებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასაო! ჯერ-ერთი, ეს არგუმენტი წამოყენებულია იმ მიზნით, რომ აღძრან უნდობლობა ცალკეულ ეროვნებათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. «იქნებ, — წერდა პ. მასლოვი «ობრაზოვანიეში», 1907, № 3, გვ. 104, — ზოგიერთ ადგილას გლეხები დათანხმებულიყვნენ გაეზიარებინათ თავისი მიწები, მაგრამ საკმარისია, რათა ერთი დიდი რაიონის (მაგალითად, პოლონეთის) გლეხებმა უარი თქვან თავისი

მიწების გაზიარებაზე, რომ მთელი მიწის ნაციონალიზაციის პროექტი სისულელე გამოდგესო». კარგი არგუმენტი კია, თქვენმა მზემ! ხომ არ უნდა ვთქვათ ჩვენ უარი რესპუბლიკაზე, რადგან «საკმარისია ერთი დიდი რაიონის გლეხებმა უარი თქვან» და ა. შ.? ეს არგუმენტი კი არა, დ ე მ ა გ ო გ ი ა ა. ჩვენი პოლიტიკური პროგრამა გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობასა და უსამართლობას, მოითხოვს ფართო ავტონომიას ცალკეული პროვინციებისათვის (იხ. პარტიის პროგრამის მე-3 მუხლი). მაშასადამე, საქმე ის კი არ არის, რომ კვლავ გამოვიგონოთ ხოლმე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მიულწეველი ახალი «გარანტიები», არამედ ის, რომ პროლეტარიატის პარტია თავისი პროპაგანდისტული და სააგიტაციო მოღვაწეობით მ ო უ წ ო დ ე ბ დ ე ს არა დაქუცმაცებისაკენ, არამედ შეერთებისაკენ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა დიადი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, და არა ყრუ გაველურებისა და ნაციონალური შეზღუდულობისაკენ. აგრარულ საკითხს რუსეთის ცენტრი წყვეტს, განაპირა მხარეებში ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა სხვანაირად მოქმედება, თუ არა მ ა გ ა ლ ი თ ი თ *. ეს აშკარაა ყოველი დემოკრატისთვისაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალ-დემოკრატზე. და საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, უნდა ა ს წ ი ო ს პროლეტარიატმა გლეხობა უმაღლეს მიზნებამდე, თუ დ ა ე შ ვ ა ს იგი გლეხობის მეშჩანურ დონემდე.

მეორე, ამტკიცებენ, რომ ნაციონალიზაცია გააძლიერებს ცენტრის თვითნებობის შესაძლებლობას, ბიუროკრატიას და ა. შ.. რაც შეეხება ბიუროკრატიას, უნდა აღინიშნოს, რომ მიწების გ ა მ გ ე ბ ლ ო ბ ა ნაციონალიზაციის დროსაც რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში. ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოთმოყვანილი არგუმენტი ყალბია. ცენტრალური ხელისუფლება დააწესებს ზოგად პირობებს, ე. ი., მაგალითად,

* კაპიტალისტურ სახელმწიფოში მიწის კერძო საკუთრება და ნაციონალიზაცია პარალელურად კ ე რ ი ა რ ს ე ბ ე ბ ე ნ. ერთმა მათგანმა უნდა დასძლიოს. მუშათა პარტიის საქმეა დაიცვას უფრო მაღალი სისტემა.

აკრძალავს მიწების ყოველგვარ გაცემას და ა. შ.. და განა ჩვენი ახლანდელი, ე. ი. მენშევიკური, პროგრამა არ გადასცემს «დემოკრატიული სახელმწიფოს განკარგულებაში» არა მარტო «საგადასახლებო ფონდს», არამედ აგრეთვე «ტყეებსა და წყლებს, რომლებსაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ»? მაგრამ ფრთის ქვეშ თავის დამალვა გონივრული არ არის, აქაც შესაძლებელია უ ს ა ზ ღ ვ რ ო თვითნებობა, რადგან თვითონ ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება განსაზღვრავს ხოლმე, თუ რ ა წყლებსა და ტყეებსა აქვს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მენშევიკები «გარანტიებს» იქ კი არ ეძებენ, სადაც უნდა ეძებდნენ: მ ხ ო ლ ო დ ცენტრის სრულ დემოკრატიზმს, მხოლოდ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს შეუძლია უზრუნველყოს ცენტრსა და ოლქებს შორის კონფლიქტების რაც შეიძლება ნაკლები შესაძლებლობა.

«გაძლიერდება ბურჟუაზიული სახელმწიფოო»,—გაიძახიან მენშევიკები, რომლებიც ფარულად უჭერენ მხარს ბურჟუაზიულ მონარქისტებს (კადეტებს) და საჯაროდ ალტაცებას ეძლევიან იმ ფიქრით, რომ ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებსაც დაუჭერენ მხარს. ნამდვილი ისტორიული საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე დასმულია ობიექტური ისტორიული, საზოგადოებრივი განვითარებით, ასეთია; აგრარული ევოლუციის პრუსიული თუ ამერიკული ტიპი? ფსევდოკონსტიტუციონალიზმის ნიღაბქვეშ ამოფარებული მემამულური მონარქია თუ გლეხური (ფერმერული) რესპუბლიკა? ისტორიის მიერ საკითხის ა ს ე თ ობიექტურ დაყენებაზე თვალის დახუჭვა იმას ნიშნავს, რომ თავი მოიტყუო და სხვებიც მოატყუო, მეშჩანურად დაემალო მწვავე კლასობრივ ბრძოლას, დემოკრატიული რევოლუციის საკითხის მწვავედ, მარტივად და გადაჭრით დასმას.

«ბურჟუაზიულ სახელმწიფოს» ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ. ამაზე ოცნებობა მხოლოდ მეშჩანებს შეუძლიათ. ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუციაა სწორედ იმიტომ, რომ მასში ბრძოლა წარმოებს არა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, არამედ კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ო რ ფ ო რ მ ა ს შ ო-

რ ი ს, მისი განვითარების ორ გზას, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ დაწესებულებათა ორ ფორმას შორის. ოქტიაბრისტების თუ კადეტების მონარქიაც არის «შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი» ბურჟუაზიული «დემოკრატია» მენშევიკ ნოვოსელსკის თვალსაზრისით. პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკაც არის ბურჟუაზიული დემოკრატია. ჩვენს რევოლუციაში ე რ თ ნ ა ბ ი ჯ-ს ა ც კ ი ვერ გადავდგამთ, — და ჩვენ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს, — თუ ასე თუ ისე მ ხ ა რ ს ა ო ა რ დ ა ვ უ ჭ ე რ თ ბურჟუაზიის ამა თუ იმ ფენას ძველი წესწყობილების წინააღმდეგ.

თუ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ნაციონალიზაცია ნიშნავს ფულის მოხმარებას არმიისათვის, მუნიციპალიზაცია კი — მედიცინისა და სახალხო განათლებისთვისაო, ეს ფილისტერის შესაფერისი სოფისტიკაა. ასე, სიტყვასიტყვით ასე მსჯელობს მასლოვი:... «ნაციონალიზაცია, ე. ი. (sic! *) მიწის რენტის დახარჯვა არმიისა და ფლოტისათვის; მიწების მუნიციპალიზაცია, ე. ი. რენტის დახარჯვა მოსახლეობის საჭიროებისათვის» («ო ბ რ ა ზ ო ვ ა ნ ი ე, 1907, № 3, გვ. 103). ეს არის მეშჩანური სოციალიზმი, ანუ ბუზების მოსპობა ფხვნილით, რომელიც კუდზე უნდა მოაყაროთ დაჭერილ ბუზებს! კეთილმა მასლოვმა ვერ მოისაზრა, რომ თუ ერობები რუსეთში და მუნიციპალიტეტები დასავლეთში სახელმწიფოსთან შედარებით მეტს ხარჯავენ მედიცინაზე და სხვ., ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ უკვე გასწია თ ა ვ ი ს ი უმნიშვნელოვანესი ხარჯები (ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ბატონობის უზრუნველსაყოფად) წყაროებიდან, რომელნიც ყველაზე მეტ შემოსავალს იძლევიან, და ადგილობრივ დაწესებულებებს ეგრეთწოდებული «მოსახლეობის საჭიროებისათვის» დ ა უ ტ ო ვ ა მ ე ო რ ე ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი წყაროები. ასი ათასები — ჯარისათვის, გროშები — პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს საჭიროებისათვის, — აი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხარჯების ჭეშმარიტი თანაფარდობა, — და მასლოვი უნდა იყო, რათა

* — ასე! რ ე დ.

იფიქრო, რომ საკმარისია გადასცე რენტა მუნიციპალიტეტების «განკარგულებაში», და ბურჟუაზიული სახელმწიფო მოტყუებული იქნება ოსტატი «პოლიტიკოსი» მენშევიკების მიერ! ამ «ოსტატური პოლიტიკის» წყალობით ბურჟუაზიული სახელმწიფო ასეულ ათასებს მისცემს ხოლმე პროლეტარებს, ხოლო გროშებს გაიღებს არმიისა და ფლოტისათვის?

სინამდვილეში მენშევიკები ატარებენ მეშჩანურ პოლიტიკას: თავი აარიდონ ადგილობრივი თვითმმართველობის პროვინციულ ჯურღმულში იმ მწვავე საკითხის გადაწყვეტას, რომელიც დასმულია ისტორიის მიერ: უნდა არსებობდეს ჩვენში ფერმერების ცენტრალიზებული ბურჟუაზიული რესპუბლიკა, თუ იუნკრების ცენტრალიზებული ბურჟუაზიული მონარქია. თავს ვერ აარიდებთ, ბატონებო! ვერავითარი პროვინციალიზმი, ვერავითარი გათამაშება მუნიციპალურ სოციალიზმთან ვერ გაგათავისუფლებთ ამ მწვავე საკითხის გადაჭრაში გარდუვალი მონაწილეობისაგან. თქვენი გაქნილობა სინამდვილეში მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: კადეტური ტენდენციისათვის ფარულად მხარის დაჭერას და ამავე დროს რესპუბლიკური ტენდენციის მნიშვნელობის გაუგებლობას.

მენშევიკები რომ მუნიციპალიზაციის დაცვით ევროპის ფაბიანურ «მუნიციპალურ სოციალიზმს» ეკეკლუცებიან, ამას ნათლად მოწმობს სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები. «ზოგიერთ ამხანაგს, — ამბობს იქ კოსტროვი, — თითქოს პირველად ესმის მუნიციპალური საკუთრების ამბავი. მოვაგონებ მათ, რომ დასავლეთ ევროპაში არის მთელი მიმართულება (სწორედ რომ!! კოსტროვმა უნებლიეთ სიმართლე თქვა!), «მუნიციპალური სოციალიზმი» (ინგლისი)». (ოქმები, გვ. 88). ეს «მიმართულება» რომ უკიდურესი ოპორტუნიზმის მიმართულებაა, ამას არც კოსტროვი და არც ლარინი* არ ჩაფი-

* «გლეხთა საკითხი და სოციალ-დემოკრატია». განსაკუთრებით ბუნდოვანი კომენტარი მენშევიკური პროგრამისა. იხ. გვ. 66. 103 გვერდზე მუნიციპალიზაციის ეს საცოდავი დამცველი მიუთითებს ნაციონალიზაციაზე, როგორც საუკეთესო გამოსავალზე!

ქრებიან. სოციალისტ-რევოლუციონერებს შეჰფერით მიაკერონ მეშჩანური რეფორმატორობა ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანებს, მაგრამ სოციალ-დემოკრატები ამას არ უნდა სჩადიოდნენ, ბატონებო! დასავლეთის ბურჟუაზიულ ინტელიგენციას (ფაბიანელები ინგლისში, ბერნშტეინელები გერმანიაში, ბრუსისტები საფრანგეთში), გასაგებია, სიმძიმის ცენტრი გადააქვს სახელმწიფო წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს საკითხებიდან ადგილობრივი თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს საკითხებზე. ჩვენს წინაშე დგას სწორედ სახელმწიფო წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს, მისი აგრარული საფუძვლის საკითხი, და აქ «მუნიციპალური სოციალიზმის» დაცვა აგრარული სოციალიზმის თ ა მ ა შ ს ნიშნავს. დაე, მეშჩანებმა იჩქარონ და «გაიკეთონ ბუდე» მომავალი დემოკრატიული რუსეთის მყუდრო მუნიციპალიტეტებში. პროლეტარიატის ამოცანაა დარაზმოს მასები არა ამ მიზნისათვის, არამედ რევოლუციური ბრძოლის გასაჩაღებლად ს რ უ ლ ი დემოკრატიზაციისათვის დღეს, სოციალისტური გადატრიალებისათვის ხვალ.

ჩვენ, ბოლშევიკებს, ხშირად გვისაყვედურებენ უტოპიზმს, ჩვენი რევოლუციური შეხედულებების ფანტასტიკურობას. და განსაკუთრებით ხშირად გაისმის ეს საყვედურები სწორედ ნაციონალიზაციის გამო. მაგრამ ასეთი საყვედურები სწორედ აქ არის ყველაზე ნაკლებად დასაბუთებული. ვისაც ნაციონალიზაცია «უტოპიად» მიაჩნია, ის არ უფიქრდება პოლიტიკურ და აგრარულ ცვლილებათა გაქანების საჭირო თანაფარდობას. ნაციონალიზაცია არა ნაკლებ «უტოპიურია» — ჩვეულებრივი მეშჩანის თვალსაზრისით! — ვიდრე რესპუბლიკა. ერთიც და მეორეც არა ნაკლებ უტოპიურია, ვიდრე «გ ლ ე ხ უ რ ი» აგრარული რევოლუცია, ე. ი. გლეხთა აჯანყების გამარჯვება კაპიტალისტურ ქვეყანაში. ყველა ეს ცვლილება ერთნაირად «საძნელოა» ყოველდღიური მყუდრო განვითარების აზრით, და ყველილი სახელდობრ და მხოლოდ ნაციონალიზაციის უტოპიურობაზე უწინარეს ყოვლისა მოწმობს, რომ ა რ ე ს მ ი თ აუცილებელი და განუყრელი კავშირი ეკონომიურ და პოლიტი-

კურ გადატრიალებას შორის. არ შეიძლება მემამულეთა მიწების კონფისკაცია (პროგრამული მოთხოვნა, რომელსაც აღიარებენ როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები), თუ არ მოსპე მემამულური (და ამასთან ერთად ოქტიაბრისტული, არა წმინდა მემამულური) თვითმპყრობელობა. და არ შეიძლება თვითმპყრობელობის მოსპობა ისე, თუ არ გაჩაღდა შეგნებული მილიონიანი მასების რევოლუციური მოქმედება, თუ არ ექნება ადგილი მასობრივი გმირობის დიად მოზღვავებას, თუ ეს მასები არ გამოიჩენენ მზადყოფნასა და უნარს — «იერიში მიიტანონ ზეცაზე», როგორც თქვა კ. მარქსმა პარიზელ მუშებზე კომუნის პერიოდში[70]. თავის მხრივ, ეს რევოლუციური მოზღვავება წარმოუდგენელია ისე, თუ რადიკალურად არ იქნება მოსპობილი ბატონყმობის ყ ვ ე ლ ა ნაშთი, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში ჩაგრავდნენ გლეხებს, მათ შორის მიწის მ თ ე ლ ი შუასაუკუნებრივი საკუთრება, ფისკალური «თემის» ყველა ბორკილი, ავად სახსენებელი «ბოძება» ნამცეცებისა მთავრობის მხრივ და ა. შ., ა. შ. და ა. შ.

ადგილის ნაკლებობის გამო (მე ისედაც გადავამეტე სტატიის ფარგლებს, რომლებიც დამიწესა «პშეგლონდის»[71] რედაქციამ) მე. გამოვტოვებ შინაარსს ჩემი წიგნის მ ე ხ უ თ ე თავისას («კლასები და პარტიები აგრარულ საკითხზე II სათათბიროში გამართული კამათის მიხედვით»).

გ ლ ე ხ ე ბ ი ს მიერ სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, რადგან ამ სიტყვებში გამოხატულია უ ბ რ ა ლ ო გლეხების ის მხურვალე სურვილი მემამულური ჩაგვრისაგან თავის დაღწევისა, ის მგზნებარე სიძულვილი შუასაუკუნებრიობისადმი, ბიუროკრატიისადმი, ის სტიქიური, უშუალო, ხშირად გულუბრყვილო და არა საესებით მკაფიო, მაგრამ ამავე დროს მძაფრი რევოლუციურობა, რომელიც გრძელ მსჯელობაზე უკეთ ამტკიცებს, თუ რა პოტენციური დამანგრეველი ენერგია დაგროვდა გლეხთა მასებში თავადაზნაურობის, მემამულეებისა და რომანოვების წინააღმდეგ. შეგნებული პროლეტარიატის ამოცანაა ულმობლად გამოარ-

კვიოს, ამხილოს და გააქარწყლოს მთელი ეს უამრავი მეშჩანური ტყუილი, ვითომდა სოციალისტური ფრაზები, ბავშვურად გულუბრყვილო მოლოდინი, რასაც გლეხები უკავშირებენ აგრარულ გადატრიალებას, მაგრამ გააქარწყლოს ყოველივე ეს არა იმისათვის, რომ დაამშვიდოს და დააწყნაროს გლეხი (როგორც იქცეოდნენ ორივე სათათბიროში ხალხის თავისუფლების მოღალატენი, ბატონი კადეტები), არამედ იმისათვის, რომ გაღვივოს მასებში ფოლადისებრი, ურყევი და გაბედული რევოლუციურობა. თუ არ იქნება ეს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ო ბ ა, თუ გ ლ ე ხ თ ა მასებმა არ გააჩაღეს შეუპოვარი და ულმობელი ბრძოლა, ისე სავსებით «უტოპიურია» კონფისკაციაც, რესპუბლიკაც, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლებაც. ამიტომ მარქსისტებმა ნათლად და გარკვეულად უნდა დასვან საკითხი: რუსეთის ეკონომიური განვითარების ორი მიმართულება, კაპიტალიზმის ორი გზა დაისახა სრული გარკვეულობით. დაე, ყველა კარგად ჩაუფიქრდეს ამას. პირველი რევოლუციური კამპანიის განმავლობაში, სამი წლის — 1905 — 1907 წლების მანძილზე ორივე ეს მიმართულება ჩვენთვის გამოირკვა არა როგორც თეორიული განზოგადებანი, არა როგორც დასკვნები 1861 წლიდან მომხდარი ევოლუციის ასეთი და ასეთი ნ ი შ ნ ე ბ ი დ ა ნ. არა, ეს მიმართულებანი ახლა ჩვენთვის გამოირკვა სწორედ როგორც მიმართულებანი, დ ა ს ა ხ უ ლ ნ ი მტრული კლასების მიერ. მემამულეებმა და კაპიტალისტებმა (ოქტიაბრისტებმა) სავსებით გამოარკვიეს თავისთვის, რომ არ არსებობს სხვა მიმართულება, გარდა კაპიტალისტურისა, და რომ მ ა თ თ ვ ი ს შეუძლებელია ამ გზით წასვლა «თემის» იძულებითი, დაჩქარებული დანგრევის, ამასთან სწორედ ისეთი დანგრევის განუხორციელებლად, რომელიც ეიგივება... აშკარა მევახშურ ყაჩაღობას, «წალეკვასა და გაძარცვას» პოლიციის ან «დამსჯელი» რაზმების მხრივ. ეს ისეთი «ოპერაციაა», რომელზედაც მეტისმეტად ადვილია კისრის მოტეხა! გლეხობის მასებმა კი სწორედ ამ სამი წლის განმავლობაში არა ნაკლებ მკაფიოდ გამოარკვიეს თავისთვის,

რომ ამაოა ყოველგვარი იმედი «მამა-მეფისა», ყოველგვარი ვარაუდი მშვიდობიანი გზისა და რომ აუცილებელია რევოლუციური ბრძოლა საერთოდ მთელი შუასაუკუნებრიობისა და კერძოდ მთელი შუასაუკუნებრივი საკუთრების მოსასპობად.

სოციალ-დემოკრატიის მთელი პროპაგანდა და აგიტაცია უნდა ემყარებოდეს ამ შედეგების დანერგვას მასების შეგნებაში, მასების მომზადებას იმისათვის, რომ მათ გამოიყენონ ეს გამოცდილება რაც შეიძლება უკეთ ორგანიზებული, გაბედული და ურყევი თავდასხმისათვის რევოლუციის მ ე ო რ ე კამპანიაში.

სწორედ ამიტომ ღრმად რეაქციულია პლეხანოვის მიერ სტოკჰოლმში წარმოთქმული სიტყვები იმ თემაზე, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობა «ნაროდოვოლცობის» აღორძინებას ნიშნავსო. თვითონ პლეხანოვმა აბსურდამდე მიიყვანა თავისთავი: მას გამოუდის «გლეხური აგრარული რევოლუცია» პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაუპყრობლად, გლეხობის მიერ ძალაუფლების დაუპყრობლად! პირიქით, კაუცკი, რომელიც ბოლშევიკებისა და მენშევიკების განხეთქილების დასაწყისში აშკარად იხრებოდა მენშევიკებისაკენ, იღუტრად გადავიდა ბოლშევიკების მხარეზე და აღიარა, რომ მხოლოდ «პროლეტარიატისა და გლეხობ[illegible] პირობებში შესაძლებელი რევოლუციის

ველი კაპიტალიზმის დროს საწარმოო ძალთა ამერიკულად სწრაფი განვითარებისა, თუ იგი პროლოგი გახდება სოციალისტური რევოლუციისა დასავლეთში.

1908 წლის 18 ივლისი.

P. S * აქ მე არ გავიმეორებ აგრარული პროგრამის ჩემს პროექტს, რომელიც წარედგინა რსდმპ სტოკჰოლმის ყრილობას და არა ერთხელ დაბეჭდილა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში. დავჯერდები მხოლოდ რამდენიმე მოსაზრებას. კაპიტალისტური აგრარული ევოლუციის ორი მიმართულების არსებობისას პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს «თუ» (ტექნიკური გამოთქმა სტოკჰოლმის ყრილობაზე), ე. ი. პროგრამა მხედველობაში უნდა იღებდეს ორივე შესაძლებლობას. სხვანაირად რომ ითქვას: ვიდრე საქმე ისე მიდის, როგორც დღემდე მიდიოდა, ჩვენ მოვითხოვთ მიწის სარგებლობის თავისუფლებას, სასამართლოებს საიჯარო ქირის შესამცირებლად, წოდებრიობის მოსპობას და ა. შ. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვებრძვით თანამედროვე მიმართულებას, მხარს ვუჭერთ გლეხთა რევოლუციურ მოთხოვნებს საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარების, კლასობრივი ბრძოლის ფართო გაქანებისა და თავისუფლების ინტერესებისათვის. მხარს რომ უჭერს გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას შუასაუკუნებრიობის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია განმარტავს, რომ აგრარულ ურთიერთობათა საუკეთესო ფორმას კაპიტალისტურ საზოგადოებაში (და ამასთან ერთად ბატონყმობის ლიკვიდაციის საუკეთესო ფორმას) წარმოადგენს მიწების ნაციონალიზაცია, რომ მხოლოდ რადიკალურ პოლიტიკურ გადატრიალებასთან, თვითმპყრობელობის მოსპობასა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებასთან

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ედ.

დაკავშირებით შეიძლება რადიკალური აგრარული გადატრიალება, მემამულეთა მიწის საკუთრების კონფისკაცია და მიწების ნაციონალიზაცია.

ასეთია აგრარული პროგრამის ჩემი პროექტის შინაარსი. ამ პროექტის ის ნაწილი, რომელიც ახასიათებს მთელი ახლანდელი აგრარული გარდაქმნის ბურჟუაზიულ თვისებებს და აშუქებს სოციალ-დემოკრატიის წმინდა პროლეტარულ თვალსაზრისს, მიღებულ იქნა სტოკჰოლმში და შესულია ახლანდელ პროგრამაში.

დაიბეჭდა 1908 წ. აგვისტოს ჟურნალში «Przeglad Socjal-demokratyczny» № 6

ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით
თარგმანი პოლონურიდან

ფიცხი მასალა მსოფლიო პოლიტიკაში

რევოლუციურმა მოძრაობამ ევროპისა და აზიის სხვადასხვა სახელმწიფოში ამ ბოლო დროს ისე საგრძნობლად იჩინა თავი, რომ ჩვენს წინაშე საკმაოდ ნათლად ისახება პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლის ახალი და წინანდელზე გაცილებით უფრო მაღალი ეტაპი.

სპარსეთში მოხდა კონტრრევოლუცია, რომელმაც თავისებურად შეაერთა რუსეთის პირველი სათათბიროს გარეკვა რუსეთის 1905 წლის დამლევის აჯანყებასთან. იაპონელთა მიერ სამარცხვინოდ დამარცხებული რუსეთის მეფის ჯარები შურს იძიებენ კონტრრევოლუციის სამსახურში გულმოდგინების გამოჩენით. რუსეთში ხალხის მასობრივი დახვრეტის, დამსჯელი ექსპედიციების, ცემა-ტყეპისა და ძარცვის საგმირო საქმეებს მოსდევს იმავე კაზაკების საგმირო საქმეების ჩადენა სპარსეთის რევოლუციის ჩასახშობად. შავრაზმელი მემამულეებისა და გაფიცვებითა თუ სამოქალაქო ომით დამფრთხალ კაპიტალისტების სათავეში მდგომი ნიკოლოზ რომანოვი რომ სპარსელი რევოლუციონერების წინააღმდეგ მძვინვარებს, ეს გასაგებია; საერთაშორისო ჯალათების როლი პირველად როდი ხვდება წილად ქრისტესმოყვარე რუს მხედრებს. ხოლო ინგლისი რომ ფარისეველურად ხელს იბანს და აშკარად მეგობრულ ნეიტრალიტეტს იცავს სპარსელი რეაქციონერებისა და აბსოლუტიზმის მომხრეების მიმართ, — ეს რამდენადმე სხვაგვარი მოელენაა. საკუთარ ქვეყანაში მუშათა მოძრაობის ზრდით გაბოროტებული და, ინდოეთის რევოლუ-

ციური ბრძოლის გაძლიერებით დაშინებული ლიბერალური ინგლისელი ბურჟუები სულ უფრო ხშირად, სულ უფრო გულახდილად, სულ უფრო მკვეთრად გვიჩვენებენ, თუ რა მ ხ ე ც ე ბ ი ხდებიან უაღრესად «ცივილიზებული», კონსტიტუციონალიზმის უმაღლესი სკოლაგანვლილი ევროპელი პოლიტიკური «მოღვაწენი», როდესაც საქმე ეხება მასების ბრძოლის გაჩაღებას კაპიტალის წინააღმდეგ, კაპიტალისტური კოლონიური სისტემის, ე. ი. დამონების, ძარცვისა და ძალადობის სისტემის წინააღმდეგ. მძიმეა სპარსელი რევოლუციონერების მდგომარეობა ისეთ ქვეყანაში, რომლის ერთმანეთს შორის გაყოფა თითქმის უკვე დააპირეს, ერთი მხრით, ინდოეთის ბატონ-პატრონებმა და, მეორე მხრით, რუსეთის კონტრრევოლუციურმა მთავრობამ. მაგრამ თავრიზში გაჩაღებული შეუპოვარი ბრძოლა, სამხედრო ბედიღბლის არა ერთხელ გადასვლა რევოლუციონერთა მხარეზე, რომელნიც — თითქოს — უკვე სასტიკად იყვნენ დამარცხებულნი, გვიჩვენებენ, რომ შაჰის ბაშიბუზუკები, რუსი ლიახოვებისა[72] და ინგლისელი დიპლომატების დახმარების დროსაც კი, უაღრესად ძლიერ წინააღმდეგობას ხვდებიან ქვემოდან. ასეთი რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც უნარი შესწევს სამხედრო წინააღმდეგობა გაუწიოს რესტავრაციის ცდებს და რომელიც ასეთი ცდების გმირებს აიძულებს დახმარებისათვის უცხოტომელებს მიმართონ, — არ შეიძლება მოისპოს და სპარსეთის რეაქციის ყოვლად სრული ტრიუმფი ასეთ პირობებში მხოლოდ ახალ სახალხო აჯანყებათა შესავალი აღმოჩნდებოდა.

თურქეთის ჯარებში გამარჯვება მოიპოვა რევოლუციურმა მოძრაობამ, რომელსაც ახალგაზრდა თურქები ხელმძღვანელობენ. მართალია, ეს გამარჯვება ნახევარგამარჯვებაა ან უფრო ნაკლებიც კი, რადგან თურქეთის ნიკოლოზ მეორემ ჯერჯერობით თავი დააღწია იმით, რომ ცნობილი თურქული კონსტიტუციის აღდგენას შეპირდა. მაგრამ ასეთი ნახევარგამარჯვებანი რევოლუციებში, ძველი ხელისუფლების ასეთი

იძულებითი ნაჩქარევი დათმობანი ფრიად უტყუარი საწინდარია სამოქალაქო ომის ახალი, გაცილებით უფრო გადამწყვეტი, უფრო მწვავე პერიპეტიებისა, რომლებიც ბრძოლაში აბამენ ხალხის უფრო ფართო მასებს. სამოქალაქო ომის სკოლა კი ხალხისათვის ამაოდ არ ჩაივლის. ეს მძიმე სკოლაა, და მისი სრული კურსი აუცილებლად შეიცავს კონტრრევოლუციის გამარჯვებებს, გაბოროტებული რეაქციონერების თარეშს, ძველი ხელისუფლების მიერ მეამბოხეებთან ანგარიშის მხეცურად გასწორებას და ა. შ.. მაგრამ მხოლოდ გაუსწორებელ პედანტებს და გამოტვინებულ მუმიებს შეუძლიათ გოდება მორთონ იმის გამო, რომ ხალხები შედიან ამ სატანჯველ სკოლაში; ეს სკოლა ჩაგრულ კლასებს ასწავლის სამოქალაქო ომის წარმოებას, ასწავლის ძლევამოსილ რევოლუციას, აგროვებს თანამედროვე მონების მასებში იმ სიძულვილს, რასაც მუდამ გულში იმარხავენ დაბეჩავებული, გონებამძიმე, უმეცარი მონები და რაც იწვევს უდიდეს ისტორიულ საგმირო საქმეებს მონების მხრივ, რომლებსაც თავისი მონობის სირცხვილი შეუგნიათ.

«ცივილიზებული» ინგლისელი კაპიტალისტების ადგილობრივი მონები ინდოეთში სწორედ ამ ბოლო დროს არასასიამოვნო შეშფოთებას იწვევენ თავიანთ «ბატონებში». დასასრული არ უჩანს იმ ძალადობასა და ძარცვას, რასაც ინდოეთის ინგლისური მმართველობის სისტემა ეწოდება. ქვეყნად არსად — რა თქმა უნდა, რუსეთის გამოკლებით — არ არის მასების ასეთი სიღატაკე, მოსახლეობის ქრონიკული შიმშილობა. თავისუფალი ბრიტანეთის ყველაზე ლიბერალური და რადიკალური მოღვაწენი, როგორიცაა, მაგალითად, ჯონ მორლი (Morley) — ავტორიტეტი რუსი და არარუსი კადეტებისათვის, «პროგრესული» (ნამდვილად=კაპიტალის წინაშე მლიქვნელი) პუბლიცისტიკის ვარსკვლავი, — როცა ინდოეთის მმართველნი ხდებიან, ნამდვილ ჩინგისყაენებად გადაიქცევიან ხოლმე, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ მათთვის რწმუნებული მოსახლეობის «დაწყნარების» ყველა

ზომა, პოლიტიკური პროტესტანტების გაწყეპლვაც კი! ინგლისელი სოციალ-დემოკრატების პატარა ყოველკვირეული გაზეთი «Justice» («სამართლიანობა») აკრძალულია ინდოეთში ამ, მორლის მსგავსი, ლიბერალური და «რადიკალური» არამზადების მიერ. ხოლო როდესაც ინგლისის პარლამენტის წევრმა, «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» (Inderpendent Labour Party) ბელადმა კეირ-ჰარდიმ გაბედა კადნიერად ჩასულიყო ინდოეთში და ადგილობრივ მკვიდრებთან ელაპარაკნა დემოკრატიის უაღრესად ელემენტარულ მოთხოვნებზე, მთელმა ინგლისურმა ბურჟუაზიულმა პრესამ ღმუილი ასტეხა «მეამბოხის» წინააღმდეგ. და ახლა ფრიად გავლენიანი ინგლისური გაზეთები კბილთა ღრჭენით ლაპარაკობენ «აგიტატორებზე», რომლებიც არღვევენ ინდოეთის მყუდროებას, და მიესალმებიან მოსამართლეთა წმინდა-რუსულ, პლევესებურ განაჩენებს და ადმინისტრაციული ძალადობის ღონისძიებებს ინდოელი დემოკრატ-პუბლიცისტების წინააღმდეგ. მაგრამ თავის მწერლებსა და პოლიტიკურ ბელადებს ინდოეთში უკვე ქუჩა ექომაგება. ინდოელ დემოკრატს ტილაკს (Tilak) მიუსაჯეს მრავალი წლის გადასახლება, ამასთან ინგლისის თემთა პალატისათვის ამ დღეებში მიცემული შეკითხვით გამოირკვა, რომ ინდოელმა ნაფიცმა მსაჯულებმა მხარი დაუჭირეს მის გამართლებას, ბრალდება კი გამოტანილ იქნა ინგლისელ ნაფიც მსაჯულთა ხმებით! ინგლისელი ტურების საზიზღარმა განაჩენმა — ფულის ქისის ლაქიების ამ შურისძიებამ დემოკრატის მიმართ ქუჩის დემონსტრაციები და გაფიცვა გამოიწვია ბომბეიში. პროლეტარიატი უკვე ინდოეთშიც გაიზარდა შეგნებული პოლიტიკური მასობრივი ბრძოლის დონემდე, — და რაკი ეს ასეა, ინდოეთში ინგლისურ-რუსულ წესებს წირვა გამოუვიდათ! აზიური ქვეყნების კოლონიური ძარცვით ევროპელებმა შესძლეს გამოეწრთოთ ერთი მათგანი, იაპონია, დიდ სამხედრო გამარჯვებათათვის, რომლებმაც მისთვის უზრუნველყვეს დამოუკიდებელი ნაციონალური განვითარება. სრულიად უეჭველია,

რომ ინგლისელთა მიერ ინდოეთის საუკუნებრივი ძარცვა, ამ «მოწინავე» ევროპელების ახლანდელი ბრძოლა სპარსეთისა და ინდოეთის დემოკრატიის წინააღმდეგ, გ ა მ ო ა წ რ თ ო ბ ს აზიის მილიონობით და ათეულ მილიონობით პროლეტარს, გამოაწრთობს ასეთივე ძლევამოსილი ბრძოლისათვის (როგორც იაპონელებისა) მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ევროპელ შეგნებულ მუშას უკვე ჰყავს აზიელი ამხანაგები, და ამ ამხანაგების რიცხვი დღითი-დღე კი არა, საათობით გაიზრდება.

ჩინეთშიც რევოლუციურმა მოძრაობამ შუასაუკუნებრიობის წინააღმდეგ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ამ ბოლო თვეებში. მართალია, ჯერ კიდევ არ შეიძლება გარკვეული რამ ითქვას სწორედ ახლანდელი მოძრაობის შესახებ, — ისე ცოტაა ინფორმაცია ამაზე და ისე ბევრია ცნობები ამბოხებაზე ჩინეთის სხვადასხვა ადგილას, — მაგრამ «ახალი სულისკვეთებისა» და «ევროპული გავლენის» ძლიერი ზრდა ჩინეთში, განსაკუთრებით რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, ეჭვს გარეშეა, მაშასადამე, გარდუვალია ძველ ჩინურ ამბოხებათა გადაქცევაც შეგნებულ დემოკრატიულ მოძრაობად. კოლონიური ძარცვის ზოგიერთმა მონაწილემ ამჯერად რომ შეშფოთება იგრძნო, ეს ჩანს ფრანგების მოქმედებიდან ინდო-ჩინეთში: ისინი ე ხ მ ა რ ე ბ ო დ ნ ე ნ ჩინეთის «ისტორიულ ხელისუფლებას» რევოლუციონერების შემუსვრაში! მათ აგრეთვე ეშინოდათ «თავისი», მეზობლად მდებარე, აზიური სამფლობელოების მთლიანობის დარღვევისა.

მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიის შეშფოთებას მარტო აზიური სამფლობელოები არ იწვევენ. ველნევ-სან-ჟორჟის ბარიკადებმა პარიზის მიდამოებში, ამ ბარიკადების მომწყობ გაფიცულთა დახვრეტამ (ხუთშაბათი, 30 (17) ივლისი), — ამ ამბებმა ერთხელ და ერთხელ კიდევ ცხადყვეს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ევროპაში. კლემანსო, რადიკალი, რომელიც მართავს საფრანგეთს კაპიტალისტების სახელით, არაჩვეულებრივი გულმოდგინებით მუშაობს რესპუბლიკურ-

ბურჟუაზიული ილუზიების უკანასკნელი ნაშთების მოსასპობად პროლეტარიატში. «რადიკალური» მთავრობის ბრძანებით მოქმედი ჯარების მიერ მუშების დახვრეტა კლემანსოს დროს თითქმის წინანდელზე უფრო ხშირ მოვლენად იქცა. კლემანსომ ამისათვის ფრანგი სოციალისტებისაგან უკვე მიიღო «წითელის» მეტსახელი, და ახლა, როდესაც კვლავ დაღვრილია მუშების სისხლი მისი აგენტების, ჟანდარმებისა და გენერლების მიერ, სოციალისტები იხსენებენ მოსწრებულ სიტყვას, რომელიც ამ ყველაზე უფრო პროგრესულმა ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელმა ერთხელ უთხრა მუშათა დელეგატებს: «ჩვენ და თქვენ ბარიკადის სხვადასხვა მხარეზე ვართო». დიახ, ფრანგი პროლეტარიატი და უკიდურესი ბურჟუაზიული რესპუბლიკელები ახლა საბოლოოდ დგებიან ბარიკადის სხვადასხვა მხარეზე. საფრანგეთის მუშათა კლასმა რესპუბლიკის მოსაპოვებლად და დასაცავად ბევრი სისხლი დაღვარა, და ამჟამად, სავსებით დამკვიდრებული რესპუბლიკური წესწყობილების ნიადაგზე, გადამწყვეტი ბრძოლა მესაკუთრეთა და მშრომელთა შორის უფრო და უფრო სწრაფად ახლოვდება. «ეს უბრალო ცემა-ტყეპა კი არ იყო, — წერს «L'Humanité»[73] 30 ივლისის დღის შესახებ, — ეს ბრძოლიხ მონაკვეთი იყოო». გენერლებსა და პოლიციელებს აუცილებლად უნდოდათ პროვოკაცია მოეწყოთ მუშებისათვის და გადაექციათ მშვიდობიანი, შეუიარაღებელი დემონსტრაცია ხოცვა-ჟლეტად. მაგრამ ჯარები, როცა ისინი ყოველმხრივ გარს შემოერტყნენ გაფიცულებსა და მანიფესტანტებს და თავს ესხმოდნენ უიარაღო ხალხს, წინააღმდეგობას წააწყდნენ; მათ ბარიკადების დაუყოვნებლივ აღმართვა გამოიწვიეს და საქმე მიიყვანეს ისეთ ამბებამდე, რომლებიც მთელ საფრანგეთს აღელვებენ. ციფრებისაგან აღმართული ბარიკადები მეტისმეტად ცუდი იყო, — წერს იგივე გაზეთი. მაგრამ ეს კი არ არის საგულისხმო. საგულისხმოა ის, რომ მესამე რესპუბლიკამ ჩვეულებიდან გადააგდო ბარიკადები. ახლა კლემანსოს კვლავ შემოაქვს ისინი ჩვეულებად», — და ის ამ

შემთხვევაში მსჯელობს ისევე გულახდილად, როგორც ლაპარაკობდნენ სამოქალაქო ომის შესახებ «1848 წლის ივნისის ჯალათები, როგორც ლაპარაკობდა გალიფე 1871 წელს».

და მარტო სოციალისტური პრესა როდი იგონებს 30 ივლისის ამბების გამო ამ დიდ ისტორიულ თარიღებს. ბურჟუაზიული გაზეთები ცოფმორეული გაბოროტებით თავს ესხმიან მუშებს და ბრალად სდებენ მათ, რომ ისინი ისე იქცეოდნენ, თითქოს სოციალისტური რევოლუციის დაწყებას აპირებდნენო. ერთი ამ გაზეთთაგანი ამასთან მოგვითხრობს ერთ პატარა, მაგრამ დამახასიათებელ ეპიზოდს, რომელიც გვიხატავს ორივე მხარის სულისკვეთებას შემთხვევის ადგილას. როდესაც მუშებს ერთი თავიანთი დაჭრილი ამხანაგი მიჰყავდათ გენერალ ვირვერის ახლოს, რომელიც სარდლობდა იერიშს გაფიცულთა წინააღმდეგ, მანიფესტანტების მასიდან გაისმა შეძახილები: «Saluer!» («სალამი მიეცით»). და ბურჟუაზიული რესპუბლიკის გენერალმა სალამი მისცა დაჭრილ მტერს.

პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლის გამწვავებას ვხედავთ ყველა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში, ამასთან ისტორიული პირობების, პოლიტიკური წესწყობილებისა და მუშათა მოძრაობის ფორმების განსხვავება განაპირობებს ერთი და იმავე ტენდენციის სხვადასხვანაირ გამოვლინებას. ამერიკასა და ინგლისში, სრული პოლიტიკური თავისუფლების დროს, ისეთ პირობებში, როცა პროლეტარიატს არ გააჩნია არავითარი, ან, ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე მაინც ცოცხალი რევოლუციური და სოციალისტური ტრადიცია, ეს გამწვავება თავს იჩენს იმით, რომ ძლიერდება მოძრაობა ტრესტების წინააღმდეგ, უაღრესად იზრდება სოციალიზმი და მქონებელი კლასების ყურადღება მისდამი, მუშათა ორგანიზაციები, ზოგჯერ წმინდა ეკონომიური ორგანიზაციები, გადადიან გეგმაზომიერ და დამოუკიდებელ პროლეტარულ პოლიტიკურ ბრძოლაზე. ავსტრიასა და გერმანიაში, ნაწილობრივ სკანდინავიის ქვეყნებშიაც, კლასობრივი ბრძოლის გამწ-

ვავება თავს იჩენს საარჩევნო ბრძოლით, პარტიების დამოკიდებულებით, სხვადასხვა ჯურის ყველა და ყოველგვარი ბურჟუების ურთიერთ დაახლოებით საერთო მტრის — პროლეტარიატის წინააღმდეგ, სასამართლო და პოლიციური რეპრესიების გაძლიერებით. ორი მტრული ბანაკი ნელა, მაგრამ განუხრელად ადიდებს თავის ძალებს, განამტკიცებს თავის ორგანიზაციებს, სულ უფრო და უფრო მკვეთრად შორდება ერთმანეთს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თითქოს ემზადება, ჩუმად და დაძაბულად, მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. რომანულ ქვეყნებში — იტალიაში, მეტადრე საფრანგეთში — კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მეღავნდება განსაკუთრებით მძაფრი, მკვეთრი, ნაწილობრივ პირდაპირ რევოლუციური აფეთქებით, როდესაც პროლეტარიატის გულში ჩამარხული სიძულვილი თავისი მჩაგვრელებისადმი უეცარი ძლიერებით ამოხეთქს ხოლმე, და პარლამენტური ბრძოლის «მშვიდობიანი» ვითარება იცვლება ნამდვილი სამოქალაქო ომის სცენებით.

პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა არ მიიმართება და არც შეიძლება მიიმართებოდეს თანაზომიერად და ერთნაირი ფორმებით სხვადასხვა ქვეყანაში. ყველა საშუალების სრული და ყოველმხრივი გამოყენება მოქმედების ყველა სარბიელზე შესაძლებელი ხდება მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასობრივი ბრძოლის შედეგად. თვითეულ ქვეყანას თავისი საგულისხმო, ორიგინალური მხარეები შეაქვს საერთო ნაკადში, მაგრამ ყოველ ცალკეულ ქვეყანაში მოძრაობას თან ახლავს ცალკეული სოციალისტური პარტიების ესა თუ ის ცალმხრიობა, ესა თუ ის თეორიული ან პრაქტიკული ნაკლი. საერთოდ და მთლიანად ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ საერთაშორისო სოციალიზმი უზარმაზარ ნაბიჯს დგამს წინ, პროლეტარიატის მილიონნიანი არმიები ირაზმებიან მთელ რიგ კონკრეტულ შეტაკებებში მტერთან, ახლოვდება გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიასთან, — ბრძოლა, რომელიც ბევრად უფრო მ ო მ ზ ა დ ე ბ უ-

ლ ი ა მუშათა კლასის მხრივ, ვიდრე კომუნის — პროლეტარების ამ უკანასკნელი დიადი აჯანყების დროს იყო.

და მთელი საერთაშორისო სოციალიზმის ეს ნაბიჯი წინ, აზიაში რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლის გამწვავებასთან ერთად, რუსეთის რევოლუციას განსაკუთრებულ და განსაკუთრებით ძნელ პირობებში აყენებს. რუსეთის რევოლუციას ჰყავს დიდი საერთაშორისო მოკავშირე ევროპაშიც და აზიაშიც, მაგრამ ამასთან ერთად და ს წ ო რ ე დ ა მ ი ს გ ა მ ო მას ჰყავს არა მარტო ნაციონალური, არა მარტო რუსეთელი, არამედ ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო მტერიც. რეაქცია პროლეტარიატის გაძლიერებული ბრძოლის წინააღმდეგ გარდუვალია ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, და ეს რეაქცია რაზმავს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიულ მთავრობებს ყოველი სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ, ყოველი რევოლუციის წინააღმდეგ აზიაშიც და მეტადრე ევროპაში. ჩვენი პარტიის ოპორტუნისტები, რუსეთის ლიბერალური ინტელიგენციის უმრავლესობის მსგავსად, დღევანდლამდე ოცნებობენ რუსეთის ისეთ ბურჟუაზიულ რევოლუციაზე, რომელიც «ხელს არ ჰკრავდა» ბურჟუაზიას, არ დააფრთხობდა მას, არ წარმოშობდა «მეტისმეტ» რეაქციას, არ გამოიწვევდა რევოლუციური კლასების მიერ ძალაუფლების დაპყრობას. ფუჭი იმედებია! ფილისტერული უტოპიაა! ფიცხი მასალა ისე სწრაფად იზრდება მსოფლიოს ყველა მოწინავე სახელმწიფოში, ხანძარი ისე აშკარად ედება აზიის მეტწილ სახელმწიფოებს, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ ღრმა ძილით ეძინათ, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიული რეაქციის გაძლიერება და ყოველი ცალკეული ნაციონალური რევოლუციის გამწვავება აბსოლუტურად გარდუვალია.

რუსეთის კონტრრევოლუცია ვერ ასრულებს და ვერც შეასრულებს ჩვენი რევოლუციის ისტორიულ ამოცანებს. რუსეთის ბურჟუაზია აუცილებლად სულ უფრო და უფრო იხრება საერთაშორისო ანტიპროლეტარული და ანტიდემოკრატიული მიმდინარეობისაკენ. რუსეთის პროლეტარიატს

ლიბერალური მოკავშირეების იმედი კი არ უნდა ჰქონდეს. მან დამოუკიდებლად უნდა იაროს თავისი გზით რევოლუციის სრული გამარჯვებისაკენ, ამასთან უნდა დაეყრდნოს რუსეთში აგრარული საკითხის თვითონ გლეხთა მასების მიერ ძალადატანებით გადაწყვეტის აუცილებლობას, დაეხმაროს მათ შავრაზმელი მემამულეებისა და შაერაზმული თვითმპყრობელობის ბატონობის დამხობაში, თავის ამოცანად დაისახოს პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა რუსეთში და ახსოვდეს, რომ მისი ბრძოლა და მისი გამარჯვებანი განუყრელად დაკავშირებულია საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობასთან. ნაკლები ილუზიები კონტრრევოლუციური (რუსეთშიაც და მთელ მსოფლიოშიც) ბურჟუაზიის ლიბერალიზმის მიმართ. მეტი ყურადღება საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ზრდას!

«პროლეტარი» № 33,
1908 წ. 23 ივლისი (5 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რედაქციისაგან[74]

ამხ. მასლოვის თეორიული აბდაუბდის ეს მიმოხილვა ამოღებულია ნ. ლენინის ნაშრომიდან, რომელიც შეიცავს ჩვენი აგრარული განვითარების ტენდენციების სისტემატურ გარჩევას. ცხადია, მხილება მასლოვის «ორიგინალური» აგრარული თეორიებისა, რომლებიც გაჟღენთილია ფრიად უგვანო რევიზიონიზმის სულისკვეთებით, გარდუვალად იწვევს პარტიული პროგრამის ზოგიერთი დებულების კრიტიკასაც. ამ საკითხზე ჩვენ სავსებით დროულად მიგვაჩნია დისკუსია პარტიულ პრესაში.

რაც შეეხება ამხ. მასლოვის თეორიულ «აღმოჩენებს», ჩვენ მათ გამო ორიოდე სიტყვით უნდა მივმართოთ განსაკუთრებით ამხ. პლეხანოვს, როგორც ჩვენი აგრარული რევიზიონისტის მფარველ ანგელოზს.

«გოლოს სოციალ-დემოკრატას» მე-6 — 7 ნომერში, უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების განხილვისას, თქვენ კეთილინებეთ და გზადაგზა შეუდექით მიკიბულ-მოკიბულ, ორაზროვან მსჯელობას, რომელიც ა რ ა ს ა კ ა დ რ ი ს ა დ უნდა ჩაითვალოს. თქვენს თავს ნება მიეცით პრესაში გაგეცხადებინათ, რომ ჩვენი პარტიის ესა და ეს წევრნი თქვენთვის ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი ა რ ა რ ი ა ნ, ხოლო ამასთან მამაცობა არ გეყოთ აშკარად და მკაფიოდ განგემარტათ, თქვენ თვითონ აპირებთ ჩვენი ორგანიზაციიდან გასვლას, თუ ცდილობთ ორგანიზაციიდან ამა და ამ წევრთა გარიცხვას? ეს ერთსა და იმავე დროს ლაჩრობაც არის და უხეშობაც.

ერთი დააკვირდით, უანგარო მეომარო, თქვენი მასლოვის რევიზიონისტულ საგმირო საქმეებს. და ეს სწორედ იმ პატარა სამფლობელოში ხდება, სადაც თქვენ, ლიტერატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მრისხანე დუმბაძედ ითვლებით. სადღაა თქვენი კრიტიკა ამხ. მასლოვის რევიზიონისტული ჩმახვისა? სადაა თქვენი დაცვა კარლ მარქსის ეკონომიური თეორიისა? და განა თქვენ არ იყავით, რომ ყოველნაირად მხარს უჭერდით და აგულიანებდით მასლოვს?

ჩვენი პარტიული ფამუსოვები მზად არიან გაითამაშონ მარქსიზმის დამცველ ულმობელ და მკაცრ მებრძოლთა როლი, — მაგრამ ფრაქციული ნათლიმამობის გულისათვის ისინი მზად არიან მარქსიზმისაგან ფრიად სერიოზული გადახვევანიც მიჩქმალონ!

«პროლეტარი» № 33,
1908 წ. 23 ივლისი (5 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მებრძოლი მილიტარიზმი და სოციალ-დემოკრატიის ანტიმილიტარისტული ტაქტიკა

დიპლომატები აჟიტაციას მოუცავს. სეტყვასავით ცვივა «ნოტები», «მოხსენებანი», «განცხადებანი»; მინისტრები ჩურჩულებენ გვირგვინოსანი მანეკენების ზურგს უკან, რომლებიც შამპანურის ჭიქის ტრიალით «განამტკიცებენ მშვიდობას». მაგრამ «ქვეშევრდომებმა» ჩინებულად იციან, რომ ყვავ-ყორნები ლეშის სუნზე მოფრინდებიან ხოლმე. და კონსერვატორმა ლორდმა კრომერმა ინგლისის პალატას განუცხადა, რომ «ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც განსაცდელი ემუქრება ნაციონალურ (?) ინტერესებს, აშლილია ვნებათა ღელვა და ჩნდება შეტაკების საფრთხე და შესაძლებლობა, რაც უნდა «მშვიდობიანი იყოს (!) მმართველთა განზრახვებიო».

ფიცხი მასალა ამ ბოლო დროს საკმაოდ დაგროვდა და უფრო და უფრო მატულობს. სპარსეთის რევოლუცია იმუქრება მოშალოს ყველა ზღუდე — «გავლენის სფეროები», რაც იქ ევროპულ სახელმწიფოებს აღუმართავთ. კონსტიტუციური მოძრაობა თურქეთში იმუქრება გამოსტაცოს ეს სამფლობელო ევროპელ კაპიტალისტურ მტაცებელთა კლანჭებს; გარდა ამისა, მრისხანედ წამოიჭრა ძველი, ახლა გამწვავებული «საკითხები» — მაკედონიისა, შუა აზიისა, შორეული აღმოსავლეთისა და ა. შ. და ა. შ.

ამავე დროს კი, ახლანდელ აშკარა და ფარულ ხელშეკრულებათა, შეთანხმებათა და სხვა მისთანათა გაბმული ქსელის პირობებში, საკმარისია პატარა წკიპურტი ჰკრან რომელიმე «სახელმწიფოს», რომ «ნაპერწკლიდან ალი გაღვივდეს».

და რაც უფრო მრისხანედ აჩხარუნებენ იარაღს მთავრობანი ერთიმეორის წინააღმდეგ, მით უფრო ულმობლად ახშობენ ისინი ანტიმილიტარისტულ მოძრაობას შინ, საკუთარ ქვეყანაში. ანტიმილიტარისტების დევნა იზრდება ექსტენსიურად და ინტენსიურად. კლემანსო-ბრიანის «რადიკალურ-სოციალისტური» სამინისტრო არანაკლებ ძალმომრეობას მიმართავს, ვიდრე ბიულოვის იუნკრულ-კონსერვატიული სამინისტრო. «ახალგაზრდობის ორგანიზაციების» დაშლამ მთელ გერმანიაში, რაც მოჰყვა კავშირებისა და კრებების ახალი კანონის შემოღებას, რომელიც კრძალავს 20 წელზე ახალგაზრდა პირთა დასწრებას პოლიტიკურ კრებებზე, მეტისმეტად გააძნელა ანტიმილიტარისტული აგიტაცია გერმანიაში.

ამის შედეგად დავა სოციალისტების ანტიმილიტარისტული ტაქტიკის შესახებ, რაც თითქმის მიყუჩდა შტუტგარტის კონგრესის[75] დროიდან, კვლავ ცოცხლდება პარტიულ პრესაში.

პირველი შეხედვით უცნაური მოვლენაა: როდესაც ასე აშკარად დიდმნიშვნელოვანია ეს საკითხი, როდესაც ასე აშკარად თვალში გვხვდება მილიტარიზმის მავნებლობა პროლეტარიატისათვის, ძნელია იპოვნო სხვა საკითხი, რომლის გამო არსებობდეს ასეთი მერყეობა, ასეთი უთანხმოება დასავლეთის სოციალისტთა წრეში, როგორც დავაში ანტიმილიტარისტული ტაქტიკის შესახებ.

ამ საკითხის სწორად გადაწყვეტის პრინციპული წანამძღვრები დიდი ხანია დადგენილია სავსებით მტკიცედ და უთანხმოებას არ იწვევს. თანამედროვე მილიტარიზმი კაპიტალიზმის შედეგია. თავისი ორივე ფორმით იგი არის კაპიტალიზმის

«ბუნების გამოვლინება»: როგორც სამხედრო ძალა, რომელსაც იყენებენ კაპიტალისტური სახელმწიფოები თავიანთ საგარეო შეტაკებათა დროს («Militarismus nach aussen», როგორც იტყვიან ხოლმე გერმანელები) და როგორც იარაღი, რომელიც გაბატონებული კლასების ხელში პროლეტარიატის ყოველგვარი (ეკონომიური და პოლიტიკური) მოძრაობის დათრგუნვის საშუალებას წარმოადგენს («Militarismus nach innen»). მთელმა რიგმა ინტერნაციონალურმა კონგრესებმა (პარიზისა, 1889 წ., ბრიუსელისა, 1891 წ., ციურიხისა, 1893 წ., და, ბოლოს, შტუტგარტისა, 1907 წ.) თავის რეზოლუციებში დამთავრებული გამოხატულება მისცეს ამ შეხედულებას. ამ კავშირს მილიტარიზმსა და კაპიტალიზმს შორის ყველაზე უფრო საფუძვლიანად ადგენს შტუტგარტის რეზოლუცია, თუმცა დღის წესრიგის შესაბამისად («საერთაშორისო კონფლიქტების შესახებ») შტუტგარტის კონგრესი უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა მილიტარიზმის იმ მხარეს, რომელსაც გერმანელები უწოდებენ «Militarismus nach aussen» («საგარეო» მხარეს). აი ამ რეზოლუციის ის ადგილი, რომელიც ამ საკითხს ეხება: «ომები კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ჩვეულებრივ წარმოადგენენ მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენციის შედეგს, რადგან თვითეული სახელმწიფო ცდილობს არათუ უზრუნველყოს თავისთვის გასაღების სფერო, არამედ დაიპყრას ახალი სფეროებიც, ამასთან მთავარ როლს ამ შემთხვევაში ასრულებს სხვა ხალხებისა და ქვეყნების დამონება. შემდეგ, ამ ომებს წარმოშობს განუწყვეტელი სამხედრო შეიარაღება, რასაც იწვევს მილიტარიზმი, რომელიც წარმოადგენს ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობისა და მუშათა კლასის პოლიტიკური დამორჩილების მთავარ იარაღს.

ომებს ხელს უწყობენ ნაციონალისტური ცრურწმენანი, რომლებსაც სისტემატურად აღვიძებენ ცივილიზებულ ქვეყნებში გაბატონებული კლასების ინტერესებისათვის იმ მიზნით, რომ ხელი ააღებინონ პროლეტარულ მასებს მათ საკუ-

თარ კლასობრივ ამოცანებზე და აიძულონ ისინი დაივიწყონ საერთაშორისო კლასობრივი სოლიდარობის მოვალეობა.

ამრიგად, ომები ჩაქსოვილია თვით კაპიტალიზმის არსში. ომები შეწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობას შეწყვეტს კაპიტალისტური წყობილება, ანდა, როდესაც ადამიანთა და ფულადი სახსრების უზარმაზარი მსხვერპლი, რასაც იწვევს სამხედრო-ტექნიკური განვითარება, და შეიარაღებით წარმოშობილი სახალხო აღშფოთება ბოლოს მოუღებენ ამ სისტემას.

მუშათა კლასი, რომელიც უმთავრესად იძლევა ჯარისკაცებს და რომელსაც უმთავრესად აწვება მატერიალური მსხვერპლი, განსაკუთრებით არის ომების ბუნებრივი მტერი, რადგან ომები ეწინააღმდეგებიან მის მიერ დასახულ მიზანს: სოციალისტურ პრინციპზე დამყარებული ისეთი ეკონომიური წყობილების შექმნას, რომელიც ნამდვილად განახორციელებს ხალხთა სოლიდარობას»...

II

ამრიგად, პრინციპული კავშირი მილიტარიზმსა და კაპიტალიზმს შორის მტკიცედ დადგენილია სოციალისტთა წრეში, და ამ პუნქტში უთანხმოება არ არის. მაგრამ ამ კავშირის აღიარება ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს კონკრეტულად სოციალისტების ანტიმილიტარისტულ ტ ა ქ ტ ი კ ა ს, არ წყვეტს პრაქტიკულ საკითხს, თუ როგორ ვიბრძოლოთ მილიტარიზმის ტვირთის წინააღმდეგ და როგორ შევუშალოთ ხელი ომებს. და აი, სწორედ ამ კითხვების პასუხში იჩენს თავს მნიშვნელოვანი განსხვავება სოციალისტთა შეხედულებებში. შტუტგარტის კონგრესზე შეიძლებოდა განსაკუთრებული სიცხადით შეგვემჩნია ეს უთანხმოებანი.

ერთ პოლუსზე დგანან ფოლმარის ტიპის გერმანელი სოციალ-დემოკრატები. რაკი მილიტარიზმი კაპიტალიზმის პირმშოა, — მსჯელობენ ისინი, — რაკი ომები კაპიტალისტური განვითარების აუცილებელი თანამგზავრია, არავითარი სპეციალური ანტიმილიტარისტული საქმიანობა არ არის საჭიროო.

სწორედ ასე განაცხადა ფოლმარმა ესენის პარტეიტაგზე. იმ საკითხში კი, როგორ უნდა მოიქცნენ სოციალ-დემოკრატები, თუ ომი გამოცხადდება, გერმანელი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა, ბებელისა და ფოლმარის მეთაურობით, დაჟინებით დგას იმ პოზიციაზე, რომ სოციალ-დემოკრატებმა უნდა დაიცვან თავისი სამშობლო თავდასხმისაგან, რომ ისინი ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ «თავდაცვითს» ომში. ამ დებულებამ ფოლმარი შტუტგარტში მიიყვანა განცხადებამდე, რომ «მთელი სიყვარული კაცობრიობისადმი ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის კარგი გერმანელები ვიყოთო», ხოლო სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ნოსკე მიიყვანა იქამდე, რომ რაიხსტაგში განეცხადებინა: თუ გერმანიის წინააღმდეგ ომი დაიწყო, «სოციალ-დემოკრატები არ ჩამორჩებიან ბურჟუაზიულ პარტიებს და თოფებს გადაიგდებენ მხრებზეო»; აქედან კი ნოსკეს დარჩენია მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა, რომ განაცხადოს: «ჩვენ გვსურს, რათა გერმანია რაც შეიძლება შეიარაღებული იყოსო».

მეორე პოლუსზე დგას ერვეს მომხრეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო, — მსჯელობენ ერვეისტები. მაშასადამე, ყველა და ყოველგვარი ომი კაპიტალისტებისთვისაა სასარგებლო; მაშასადამე, პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს ყოველი ომის წინააღმდეგ. ომის ყოველ გამოცხადებას პროლეტარიატმა უნდა უპასუხოს სამხედრო გაფიცვითა და აჯანყებით. სწორედ ამით უნდა გამოიხატოს უმთავრესად ანტიმილიტარისტული პროპაგანდაო. ამიტომ შტუტგარტში ერვემ წარადგინა რეზოლუციის შემდეგი პროექტი: ...«კონგრესი მოუწოდებს უპასუხონ ომის ყოველგვარ გამოცხადებას, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, სამხედრო გაფიცვითა და აჯანყებით».

ასეთია ორი «უკიდურესი» პოზიცია ამ საკითხში დასავლეთის სოციალისტებს შორის. «როგორც მზე მცირე წვეთ წყალში», ისე ისახება მათში ის ორი სენი, რომელიც ჯერ

კიდევ ვნებს დასავლეთის სოციალისტური პროლეტარიატის საქმიანობას: ოპორტუნისტული ტენდენციები, ერთი მხრით, და ანარქისტული ფრაზიორობა — მეორე მხრით.

უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე შენიშვნა პატრიოტიზმის შესახებ. რომ «პროლეტარებს სამშობლო არა აქვთ», ეს მართლაც ნათქვამია «კომუნისტურ მანიფესტში»; ფოლმარის, ნოსკეს და კომპანიის პოზიცია რომ «სახეში ურტყამს» ინ-ტერნაციონალური სოციალიზმის ამ ძირითად დებულებას, ესეც მართალია. მაგრამ აქედან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს, რომ მართებული იყოს ერვეს და ერვეისტების მტკიცება, თითქოს პროლეტარიატისთვის სულ ერთი იყოს, რა სამშობლოში ცხოვრობს ის: ცხოვრობს ის მონარქიულ გერმანიაში, თუ რესპუბლიკურ საფრანგეთში, ან დესპოტურ თურქეთში. სამშობლო, ე. ი. მოცემული პოლიტიკური, კულტურული და სოციალური წრე, უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში; და თუ მართალი არ არის ფოლმარი, რომელიც აწესებს პროლეტარიატის რაღაც «ჰეშმარიტ-გერმანულ» დამოკიდებულებას «სამშობლოსადმი», ასევე მართალი არ არის ერვეც, რომელიც შეუწყნარებელ არაკრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის ასეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორისადმი. პროლეტარიატს არ შეუძლია განურჩევლად და გულგრილად მოეკიდოს თავისი ბრძოლის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პირობებს, მაშასადამე, მისთვის არ შეიძლება სულ ერთი იყოს საკუთარი ქვეყნის ბედიც. მაგრამ ქვეყნის ბედი მას მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ეს ეხება მის კლასობრივ ბრძოლას, და არა რაიმე ბურჟუაზიული, სოციალ-დემოკრატისათვის სრულიად შეუფერებელი «პატრიოტიზმის» გამო.

უფრო რთულია მეორე საკითხი — მილიტარიზმისა და ომისადმი დამოკიდებულების საკითხი. უკვე პირველი შეხედვით აშკარაა, რომ ერვე შეუწყნარებლად ურევს ერთმანეთში ამ ორ საკითხს, ეკიწყებს მიზეზობრივ კავშირს ომსა და

კაპიტალიზმს შორის; ერვეისტულ ტაქტიკას თუ მიიღებდა, პროლეტარიატი თავის თავს უნაყოფო მუშაობას არგუნებდა ხვედრად: მთელ თავის საბრძოლო მზადყოფნას (ხომ აჯანყებაზეა ლაპარაკი) ის მოახმარდა შედეგთან (ომთან) ბრძოლას და განზე დასტოვებდა მიზეზს (კაპიტალიზმს).

აქ სავსებით მეღავნდება აზროვნების ანარქისტული მეთოდი. ბრმა რწმენა ყოველგვარი **action directe** *-ს სასწაულმოქმედი ძალისადმი; ამ «უშუალო ზემოქმედების» ამოგლეჯა საერთო სოციალურ-პოლიტიკური კონიუქტურიდან ამ უკანასკნელის სულ მცირედი ანალიზის გარეშე; ერთი სიტყვით, «საზოგადოებრივ მოვლენათა თვითნებურ-მექანიკური გაგება» (კ. ლიბკნეხტის თქმით) აშკარაა.

ერვეს გეგმა «ძალიან მარტივია»: ომის გამოცხადების დღეს სოციალისტი ჯარისკაცები დეზერტირობას გასწევენ, ხოლო რეზერვისტები გაფიცვას გამოაცხადებენ და შინ დარჩებიან. მაგრამ «რეზერვისტების გაფიცვა პასიური წინააღმდეგობა როდია: მუშათა კლასი მალე გადავიდოდა აშკარა წინააღმდეგობაზე, აჯანყებაზე, და ამ უკანასკნელს მით უფრო ექნებოდა ტრიუმფით დამთავრების შანსები, რომ მოქმედი არმია ქვეყნის საზღვარზე იდგებოდა» (**G. Hervé. «Leur patrie»** **).

ასეთია ეს «ნამდვილი, პირდაპირი და პრაქტიკული გეგმა», და მის წარმატებაში დარწმუნებული ერვე წინადადებას იძლევა სამხედრო გაფიცვითა და აჯანყებით ვუპასუხოთ ომის ყოველგვარ გამოცხადებას.

როგორც აქედან ნათლად ვხედავთ, საკითხი ის კი არ არის, შეუძლია თუ არა პროლეტარიატს, როცა იგი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, გაფიცვითა და აჯანყებით უპასუხოს ომის გამოცხადებას. დავა იმის გამო წარმოებს, შეიბოჭოს თუ არა პროლეტარიატი ვალდებულებით — ყ ო ვ ე ლ ომს უპასუხოს აჯანყებით. საკითხის ამ უკანასკნელი **აზრით**

* — უშუალო ზემოქმედების. რ ე დ.

** — გ. ერვე. «მათი სამშობლო». რ ე დ.

გადაწყვეტა იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატს წაართვა გადამწყვეტი ბრძოლის მომენტის არჩევის საშუალება და გადასცე იგი მტრებს; პროლეტარიატი კი არ აირჩევს ბრძოლის მომენტს თავისი ინტერესების შესაბამისად, როდესაც მაღალია მისი საერთო-სოციალისტური შეგნება, მტკიცეა მისი ორგანიზებულობა, ხელსაყრელია საბაბი და ა. შ.; არა, ბურჟუაზიული მთავრობები შესძლებდნენ, მის პროვოცირებას აჯანყებისათვის მაშინაც კი, როდესაც პირობები მისთვის არახელსაყრელი იქნებოდა, მაგალითად, ისეთი ომის გამოცხადებით, რომელსაც განსაკუთრებით შეუძლია გამოიწვიოს პატრიოტული და შოვინისტური გრძნობები მოსახლეობის ფართო ფენებში და რომელიც ერთგვარად გაამარტოვებს აჯანყებულ პროლეტარიატს. მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ისიც, თუ რა გააფთრებით დაატყდებოდა თავს ბურჟუაზია, — რომელიც მონარქიული გერმანიით დაწყებული, რესპუბლიკური საფრანგეთითა და დემოკრატიული შვეიცარიით გათავებული, ესოდენი სისასტიკით სდევნის ანტიმილიტარისტულ საქმიანობას მშვიდობიან დროს, — სამხედრო გაფიცვის მოწყობის ყოველგვარ ცდას ომის შემთხვევაში, სამხედრო კანონების, სამხედრო წესების, სამხედრო-საველე სასამართლოებისა და სხვა მისთანათა მოქმედების დროს.

მართალია კაუცკი, როდესაც ერვეს იდეის შესახებ ამბობს: «სამხედრო გაფიცვის იდეა ჩაისახა «კარგი» მოტივების გავლენით, იგი კეთილშობილია და აღსავსეა გმირობით, მაგრამ იგი გმირული სისულელეაო».

პროლეტარიატს, თუ იგი ამას მიზანშეწონილად და შესაფერისად მიიჩნევს, შეუძლია ომის გამოცხადებას სამხედრო გაფიცვით უპასუხოს; მას შეუძლია, სოციალური რევოლუციის მისაღწევად სხვა საშუალებათა შორის, სამხედრო გაფიცვასაც მიმართოს. ხოლო ამ «ტაქტიკური რეცეპტით» შებოჭვა კი პროლეტარიატის ინტერესს არ ემსახურება.

სწორედ ასე უპასუხა ამ სადავო საკითხს შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესმა.

III

მაგრამ თუ ერვეისტების შეხედულება «გმირული სისულელეა», ფოლმარის, ნოსკეს და «მემარჯვენე ფრთაში» მოკალათებული მათი თანამოაზრეების პოზიცია ოპორტუნისტული ლაჩრობაა. რაკი მილიტარიზმი კაპიტალის პირმშოა და მასთან ერთად დაეცემა, — მსჯელობდნენ ისინი შტუტგარტში და განსაკუთრებით ესენში, — საჭიროც არ არის სპეციალურად ანტიმილიტარისტული აგიტაცია: იგი არ უნდა იყოსო. მაგრამ, მაგალითად, მუშათა და ქალთა საკითხის რადიკალური გადაწყვეტაც ხომ, — უპასუხებდნენ მათ შტუტგარტში, — აგრეთვე შეუძლებელია კაპიტალისტური წყობილების არსებობის დროს; ჩვენ მაინც ვიბრძვით მუშათა კანონმდებლობისათვის, ქალების სამოქალაქო უფლებათა გაფართოებისათვის და ა. შ.. განსაკუთრებული ანტიმილიტარისტული პროპაგანდა მით უფრო ენერგიულად უნდა წარმოებდეს, რომ სულ უფრო ხშირდება შრომისა და კაპიტალის ბრძოლაში სამხედრო ძალის ჩარევის შემთხვევები და სულ უფრო აშკარა ხდება მილიტარიზმის დიდი მნიშვნელობა პროლეტარიატის არა მარტო ახლანდელ ბრძოლაში, არამედ მომავალშიც — სოციალური რევოლუციის დროს.

სპეციალურ-ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას არა მარტო პრინციპული დამამტკიცებელი საბუთები მოეპოვება, არამედ დიდი ისტორიული გამოცდილებაც აქვს. ამ მხრივ სხვა ქვეყნებზე წინ მიდის ბელგია. ბელგიის მუშათა პარტიამ, გარდა ანტიმილიტარიზმის იდეების საერთო პროპაგანდისა, მოაწყო სოციალისტური ახალგაზრდობის ჯგუფები «ახალგაზრდა გვარდიის» სახელწოდებით («Jeunes Gardes»). ერთი და იმავე ოლქის ჯგუფები შედიან საოლქო ფედერაციის შემადგენლობაში; ყველა საოლქო ფედერაცია, თავის მხრივ, გაერთიანებულია ნაციონალურ ფედერაციად, რომელსაც სათავეში უდგას «მთავარი საბჭო». «ახალგაზრდა გვარდიელთა» ორგანოები («La jeunesse — c'est l'avenir»; «De

Caserne», «De Loteling» * და ა. შ.) ათეულ ათასობით ეგზემპლარი ვრცელდება! ფედერაციებიდან ყველაზე ძლიერია ვალონისა; იგი შეიცავს 62 ადგილობრივ ჯგუფს, რომლებშიც ითვლება 10 ათასი წევრი; სულ «ახალგაზრდა გვარდია» ამჟამად შესდგება 121 ადგილობრივი ჯგუფისაგან.

წერილობითს აგიტაციასთან ერთად ინტენსიურად წარმოებს ზეპირი აგიტაციაც: იანვარსა და სექტემბერში (გაწვევის თვეები) ბელგიის მთავარ ქალაქებში ეწყობა სახალხო კრებები და პროცესიები; მერიების კარებთან, ცის ქვეშ, სოციალისტი ორატორები განუმარტავენ ახალწვეულებს მილიტარიზმის მნიშვნელობას. «ახალგაზრდა გვარდიელთა» «მთავარ საბჭოსთან» შექმნილია «საჩივართა კომიტეტი», რომლის მოვალეობას შეადგენს შეკრიბოს ცნობები მთელი იმ უსამართლობის შესახებ, რაც ყაზარმებში ხდება. ეს ცნობები, რუბრიკით — «არმიიდან», ყოველდღე ქვეყნდება პარტიის ცენტრალურ ორგანოში «Le peuple»-ში **. ანტიმილიტარისტული პროპაგანდა ყაზარმის მიჯნაზე როდი ჩერდება; ჯარისკაცი-სოციალისტები პროპაგანდის მიზნით არმიის შიგნით აწყობენ ჯგუფებს. ამჟამად ასეთი ჯგუფი («ჯარისკაცთა კავშირები») დაახლოებით თხუთმეტია.

ბელგიის ნიმუშის მიხედვით, ინტენსივობისა და ორგანიზაციული მხარის მეტნაკლებობით, წარმოებს ანტიმილიტარისტული პროპაგანდა საფრანგეთში ***, შვეიცარიაში, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში.

---

* — «ახალგაზრდობა — ეს მომავალია»; «ყაზარმა», «ახალწვეული». რ ე დ.

** — «ხალხი». რ ე დ.

*** ფრანგების საინტერესო თავისებურებას შეადგენს ეგრეთწოდებული «ჯარისკაცის კაპიკის» ორგანიზაცია: ყოველ კვირას მუშა ერთ სუს აძლევს თავისი კავშირის მდივანს; ამგვარად შემდგარი თანხა ეგზავნება ჯარისკაცებს «იმის მოსაგონებლად, რომ ისინი, ჯარისკაცის ტანისამოსით გამოწყობილნიც კი, ეკუთვნიან ექსპლოატირებულ კლასს და რომ მათ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყონ».

ამრიგად, სპეციალური ანტიმილიტარისტული საქმიანობა არათუ სპეციალურად აუცილებელია, არამედ პრაქტიკულადაც მიზანშეწონილი და ნაყოფიერია. ამიტომ, რამდენადაც ფოლმარი ილაშქრებდა მის წინააღმდეგ და მიუთითებდა, რომ საამისოდ გერმანიაში შეუძლებელი პოლიციური პირობებიაო, რომ ამის წყალობით პარტიულ ორგანიზაციებს განადგურების საფრთხე ემუქრებაო, — საკითხი მდგომარეობდა მოცემული ქვეყნის პირობათა კონკრეტულ ანალიზში; ეს ფაქტის საკითხია, და არა პრინციპისა. თუმცა აქაც სამართლიანია ჟორესის შენიშვნა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც ახალგაზრდობის დროს, სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებული კანონების მძიმე ჟამს, გაუძლო გრაფ ბისმარკის რკინის ხელს, ახლა, როცა იგი შეუდარებლად გაიზარდა და განმტკიცდა, შეეძლო არ შეშინებოდა აწინდელი მმართველების დევნისაო. მაგრამ ფოლმარი სრულიადაც არ არის მართალი, როდესაც ცდილობს დაეყრდნოს სპეციალური ანტიმილიტარისტული პროპაგანდის პრინციპული მიზანშეუწონლობის არგუმენტებს.

არა ნაკლები ოპორტუნიზმითაა გაჟღენთილი ფოლმარისა და მის თანამოაზრეთა შეხედულება, რომ სოციალ-დემოკრატები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ თავდაცვის ომშიო. კაუცკის მიერ მოცემულ ბრწყინვალე კრიტიკას ქვაქვაზე არ დაუტოვებია ამ შეხედულებიდან. კაუცკიმ აღნიშნა, რომ ზოგჯერ ყოვლად შეუძლებელია გაერკვე, მეტადრე პატრიოტული აღტყინების მომენტებში, გამოწვეულია თუ არა ესა თუ ის ომი თავდაცვისა ან შეტევის მიზნებით (მაგალითი, რომელიც მოჰყავდა კაუცკის: თავს დაესხა თუ თავს იცავდა იაპონია რუსეთ-იაპონიის ომის დასაწყისში?). სოციალ-დემოკრატები დიპლომატიური მოლაპარაკების ქსელში გაიხლართებოდნენ, მათ რომ განეზრახათ ამ ნიშნის მიხედვით დაედგინათ თავისი დამოკიდებულება ომისადმი. სოციალ-დემოკრატები ისეთ მდგომარეობაშიც კი შეიძლება აღმოჩნდნენ, რომ შეტევის ომები მოითხოვონ. 1848 წელს (ურიგო

არ იქნება, ეს ერვეისტებსაც ახსოვდეთ) მარქსი და ენგელსი საჭიროდ სთვლიდნენ გერმანიის ომს რუსეთის წინააღმდეგ. უფრო გვიან ისინი ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე, რათა წაექეზებინათ ინგლისი რუსეთთან ომის დასაწყებად. კაუცკი იძლევა, სხვათა შორის, შემდეგ ჰიპოთეზურ მაგალითს: «წარმოვიდგინოთ, — ამბობს ის, — რომ რევოლუციურმა მოძრაობამ გაიმარჯვა» რუსეთში, და ამ გამარჯვების გავლენამ გამოიწვია საფრანგეთში ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში; მეორე მხრივ, წარმოვიდგინოთ, რომ ახალი რუსეთის წინააღმდეგ შეიქმნა ევროპელი მონარქების კოალიცია. განაცხადებს თუ არა პროტესტს ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატია, თუ საფრანგეთის რესპუბლიკა მაშინ დაეხმარება რუსეთს?» (კ. კაუცკი. «ჩვენი შეხედულება პატრიოტიზმსა და ომზე»).

აშკარაა, ამ საკითხში (ისევე როგორც შეხედულებაში «პატრიოტიზმზე») ომის არა თავდაცვითი თუ შეტევითი ხასიათი, არამედ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესები, ან, უკეთ რომ ვთქვათ, პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობის ინტერესები, წარმოადგენენ იმ ერთადერთ შესაძლებელ თვალსაზრისს, რომლითაც უნდა იქნას განხილული და გადაწყვეტილი საერთაშორისო ურთიერთობის ამა თუ იმ მოვლენისადმი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულების საკითხი.

თუ რა საოცარ შეუსაბამობამდე შეუძლია მისვლა ოპორტუნიზმს ამ საკითხებშიც, ამას გვიჩვენებს ჟორესის ამასწინანდელი გამოსვლა. ერთ პატარა გერმანულ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გაზეთში ის გამოთქვამს თავის შეხედულებას საერთაშორისო მდგომარეობაზე და იცავს საფრანგეთისა და ინგლისის კავშირს რუსეთთან იმ ბრალდებისაგან, რომ ამას მშვიდობის საწინააღმდეგო განზრახვები აქვსო, და ამ კავშირს უყურებს, როგორც «მშვიდობის გარანტიას»; იგი

მიესალმება იმ ფაქტს, რომ «ჩვენ ახლა მოვესწარით ორი ძველისძველი მტრის — ინგლისისა და რუსეთის კავშირსაო».

ასეთი შეხედულების საუცხოო შეფასებას და ჟორესის წინააღმდეგ მძაფრ პასუხს იძლევა რ. ლუქსემბურგი «ღია წერილში» ჟორესისადმი «Neue Zeit»-ის * უკანასკნელ წიგნაკში.

უწინარეს ყოვლისა, რ. ლუქსემბურგი აღნიშნავს, რომ «რუსეთისა» და «ინგლისის» კავშირზე ლაპარაკი ნიშნავს «ბურჟუაზიული პოლიტიკოსების ენით ლაპარაკს», რადგან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები და პროლეტარიატის ინტერესები საგარეო პოლიტიკაში ერთმანეთს ეწინააღმდეგება და არ შეიძლება ლაპარაკი ინტერესთა ჰარმონიაზე საგარეო ურთიერთობათა დარგში. თუ მილიტარიზმი კაპიტალიზმის პირმშოა, მაშინ ომებიც არ შეიძლება მოისპოს მმართველთა და დიპლომატთა ინტრიგებით, და სოციალისტების ამოცანაა არა ის, რომ ილუზიები შექმნან ამის გამო, არამედ, პირიქით, ის, რომ მუდმივად ამხილონ დიპლომატიური «მშვიდობიანი ნაბიჯების» თვალთმაქცობა და უსუსურობაო.

მაგრამ «წერილის» ცენტრალური პუნქტია შეფასება ინგლისის და საფრანგეთის კავშირისა რუსეთთან, რასაც ასე აქებ-ადიდებს ჟორესი. ევროპის ბურჟუაზიამ შესაძლებლობა მისცა ცარიზმს მოეგერებინა რევოლუციური შეტევა. «ახლა აბსოლუტიზმი ცდილობს რევოლუციაზე დროებითი გამარჯვება გადააქციოს საბოლოო გამარჯვებად და უწინარეს ყოვლისა მიმართავს ყველა შერყეული დესპოტიის ნაცად საშუალებას — საგარეო პოლიტიკის წარმატებებს». რუსეთის ყველა კავშირი ახლა ნიშნავს «დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის საღმრთო კავშირს რუსეთის კონტრრევოლუციასთან, თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსებისა და პოლონელების ჩაბხრჩობლებთან და ჯალათებთან; ეს კავში-

* — «ახალი დროება». რ ე დ.

რები მოასწავებენ უაღრესად სისხლიანი რეაქციის განმტკიცებას არა მარტო რუსეთის შიგნით, არამედ ინტერნაციონალურ ურთიერთობაშიც». «ამიტომ ყველა ქვეყნის სოციალისტებისა და პროლეტარების უაღრესად ელემენტარული ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ძალღონით შეუშალონ ხელი კონტრრევოლუციურ რუსეთთან კავშირს».

«როგორ უნდა აიხსნას, — მიმართავს რ. ლუქსემბურგი ჟორესს, — «რომ თქვენ «უაღრესად ენერგიულად» ეცდებით გახადოთ რუსეთის რევოლუციისა და სპარსეთის აჯანყების პირსისხლიანი ჯალათების მთავრობა ევროპული პოლიტიკის გავლენიან ფაქტორად, რუსული სახრჩობელები — ინტერნაციონალური მშვიდობის სვეტებად, თქვენ, რომელმაც თავის დროზე საფრანგეთის პარლამენტში წარმოთქვით ბრწყინვალე სიტყვა რუსეთისათვის სესხის მიცემის წინააღმდეგ. თქვენ, რომელმაც რამდენიმე კვირის წინათ მოათავსეთ თქვენს გაზეთ «Humanite»-ში * მხურვალე მოწოდება საზოგადოებრივი აზრისადმი რუსეთის პოლონეთში სამხედრო სასამართლოთა სისხლისმღვრელი მუშაობის წინააღმდეგ? როგორ შეიძლება შევათანხმოთ თქვენი სამშვიდობო გეგმები, საფრანგეთ-რუსეთისა და ინგლის-რუსეთის კავშირზე დამყარებულნი, საფრანგეთის პარლამენტის სოციალისტური ფრაქციისა და სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს ადმინისტრაციული კომისიის ამასწინანდელ პროტესტთან ფალიერის რუსეთს გამგზავრების წინააღმდეგ, იმ პროტესტთან, რომელსაც ხელს აწერთ თქვენ და რომელიც მხურვალე სიტყვებით იცავს რუსეთის რევოლუციის ინტერესებს. თუ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოისურვებს დაიმოწმოს თქვენი წარმოდგენა ინტერნაციონალურ მდგომარეობაზე, ის თქვენს პროტესტზე განაცხადებს: ვინც მიზანს იწონებს, იმან საშუალებებიც უნდა მოიწონოს, ვინც მეფის რუსეთთან კავშირს სთვლის ინტერნაციონალური

* — «ჰაცობრიობა». რ ე დ.

მშვიდობის ჰარმონიად, იმან უნდა მიიღოს ყველაფერი, რაც ამ კავშირს განამტკიცებს და ხელს უწყობს მეგობრობასო.

რას იტყოდით თქვენ, როდისმე რომ აღმოჩენილიყვნენ გერმანიაში, რუსეთში, ინგლისში სოციალისტები და რევოლუციონერები, რომლებიც «მშვიდობის ინტერესებისათვის» საჭიროდ მიიჩნევდნენ კავშირს რესტავრაციის მთავრობასთან ან ტიერისა და ჟიულ ფავრის მთავრობასთან და შემოსავდნენ ასეთ კავშირს თავისი მორალური ავტორიტეტით!!..»

ეს წერილი თავისთავად მეტყველებს, და რუს სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ მხოლოდ მიესალმონ ამხ. რ. ლუქსემბურგს ამ პროტესტისათვის და ინტერნაციონალური პროლეტარიატის წინაშე რუსეთის რევოლუციის დაცვისათვის.

«პროლეტარი» № 33,
1908 წ. 23 ივლისი (5 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე

დიდი მხატვრის სახელის შედარება რევოლუციასთან, რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც მან აშკარად აარიდა თავი, შეიძლება პირველი შეხედვით უცნაური და ხელოვნური მოგვეჩვენოს. ხომ არ დავარქმევთ სარკეს იმას, რაც, ცხადია, არ ასახავს მოვლენებს სწორად? მაგრამ ჩვენი რევოლუცია უაღრესად რთული მოვლენაა; მის უშუალო მომხდენთა და მონაწილეთა მასაში ბლომად არიან ისეთი სოციალური ელემენტები, რომლებსაც აგრეთვე აშკარად არ ესმოდათ, რაც ხდებოდა, და რომლებიც აგრეთვე თავს არიდებდნენ მოვლენათა მსვლელობით მათ წინაშე დასმულ ნამდვილ ისტორიულ ამოცანებს. და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე.

ლეგალურ რუსულ პრესას, რომელიც აღსავსეა სტატიებით, წერილებითა და შენიშვნებით ტოლსტოის 80 წლისთავის იუბილეს გამო, ყველაზე ნაკლებად აინტერესებს მის ნაწარმოებთა ანალიზი რუსეთის რევოლუციისა და მისი მამოძრავებელი ძალების ხასიათის თვალსაზრისით. მთელი ეს პრესა გულისამრევად აღსავსეა პირმოთნეობით, ორგვარი პირმოთნეობით: კაზიონურითა და ლიბერალურით. პირველი

იმ მოქრთამული მჯღაბნელების ტლანქი პირმოთნეობა, რომ-ლებსაც გუშინ ნაბრძანები ჰქონდათ ლ. ტოლსტოის დევნა, დღეს კი ნაბრძანები აქვთ გამოუძებნონ მას პატრიოტიზმი და ეცადონ დაიცვან რიგიანობა ევროპის წინაშე. ამ ჯურის მჯღაბნელებს რომ ფული მისცეს მათ ნაჯღაბნში, ეს ყველა-სათვის ცნობილია, და ისინი ვერავის ვერ მოატყუებენ. გა-ცილებით უფრო დახვეწილია და ამიტომ გაცილებით უფრო მავნებელი და საშიშია ლიბერალური პირმოთნეობა. «რეჩის» კადეტურ ბალალაიკინებს რომ ყური დაუგდოთ — ისინი ტოლსტოისადმი უაღრესად სრული და უაღრესად მხურვალე თანაგრძნობით არიან გამსჭვალულნი. ნამდვილად კი, გაან-გარიშებული დეკლამაცია და მაღალფარდოვანი ფრაზები «დიდ ღვთისმაძიებელზე» სულ ერთიანად სიყალბეა, რადგან რუს ლიბერალს არც ტოლსტოის ღმერთი სწამს და არც არ-სებული წყობილების ტოლსტოურ კრიტიკას თანაუგრძნობს. ის ეტმასნება პოპულარულ სახელს, რათა გაადიდოს თავისი პოლიტიკური კაპიტალი, რათა გაითამაშოს საერთო-ნაციონა-ლური ოპოზიციის ბელადის როლი, იგი ცდილობს ფრაზების რახარუხითა და კორიანტელით ჩ ა ა ხ შ ო ს მოთხოვნილე-ბა — პირდაპირი და ნათელი პასუხი იქნას გაცემული კითხ-ვაზე: რა იწვევს «ტოლსტოელობის» აშკარა წინააღმდეგუ-რობას, ჩვენი რევოლუციის რა ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებს გამოხატავს იგი?

წინააღმდეგურობა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედუ-ლებებში, მოძღვრებებში, სკოლაში მართლაც ხმამაღლა მღა-ღადებელია. ერთი მხრივ, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურა-თები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც. მეორე მხრივ, — მემამულე, რომელიც თავს იგლახავებს ქრისტეს გულისთვის. ერთი მხრივ, საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებ-რივი სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ, — მეორე მხრივ, «ტოლსტოელი», ე. ი. გაცვეთილი, ისტერიული მოწუწუნე,

რუს ინტელიგენტად წოდებული, რომელიც საქვეყნოდ თავში ხელს იცემს და გაიძახის: «მე საძაგელი ვარ, მე საზიზღარი ვარ, მაგრამ ზნეობრივი სრულყოფისათვის ვიღწვი, ხორცეულს აღარა ვჭამ და ახლა ბრინჯის კატლეტებით ვსაზრდოობო». ერთი მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ულმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მონაპოვრებისა და მუშათა მასების სიღატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოსის ქადაგება, რომ «ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს» ძალადობით. ერთი მხრივ, უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა; — მეორე მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყნად, სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება, რომ სახაზინო სამსახურის ხუცების ადგილას ზნეობრივი რწმენის ხუცები დადგნენ, ე. ი. დაინერგოს უაღრესად გაქნილი და ამიტომ განსაკუთრებით საძაგელი ხუცობა. ჭეშმარიტად:

ღატაკიცა ხარ, ბარაქიანიც,
ძლიერიცა ხარ და უძლურიცა
— დედავ რუსეთო!

ასეთ წინააღმდეგობათა დროს ტოლსტოის რომ სრულიად არ შეეძლო გაეგო არც მუშათა მოძრაობა და მისი როლი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, არც რუსეთის რევოლუცია, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებაში შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ იმ წინააღმდეგური პირობების გამოხატულებაა, რომლებშიც ჩაყენებული იყო XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსეთის ცხოვრება. პატრიარქალური სოფელი, რომელიც მხოლოდ გუშინ განთავისუფლდა ბატონყმობისაგან, პირდაპირ წასალეკად და გასაცარცვავად ჰქონდა მიცემული კაპიტალსა და ხაზინას. გლეხური მეურნეობისა და

Лев Толстой, как зеркало русской революции.

Сопоставление имени великого художника со революцией, которой он явно не понял, бо которой он явно отдранился, может показаться на первый взгляд странным и искусственным. Не нарушаем ли здесь правило Гете, что отвлекаться не отражает явления справедливо? Но наша революция — явление чрезвычайно сложное; среди масс со многовековыми, совершенно своеобразными и укоренившимися себе чисто патриархальными элементами, которые Гете явно не понимал и не принимал, Гете бы отшатнулся от беспощадно исторического взгляда, потребовавшего перед всем миром сорвать маску. И если перед нашим объективным

გლეხის ცხოვრების ძველი ბურჯები, ის ბურჯები, რომლებიც მართლაც საუკუნეთა განმავლობაში იდგა, არაჩვეულებრივი სისწრაფით ინგრეოდა. და ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა უნდა შევაფასოთ არა თანამედროვე მუშათა მოძრაობისა და თანამედროვე სოციალიზმის თვალსაზრისით (ასეთი შეფასება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ იგი საკმარისი არ არის), არამედ კარს მომდგარი კაპიტალიზმის, მასების გაჩანაგებისა და უმიწაწყლოდ დატოვების წინააღმდეგ მიმართული იმ პროტესტის თვალსაზრისით, რომელიც უნდა წარმოეშვა პატრიარქალურ რუსულ სოფელს. ტოლსტოი სასაცილოა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელსაც აღმოუჩენია კაცობრიობის ხსნის ახალი რეცეპტები, — ამიტომაც სავსებით უბადრუკნი არიან საზღვარგარეთელი და რუსი «ტოლსტოელები», რომლებმაც მოისურვეს დოგმად გადაექციათ მისი მოძღვრების სწორედ ყველაზე სუსტი მხარე. ტოლსტოი დიდია, როგორც იმ იდეებისა და იმ სულისკვეთების გამომხატველი, რომლებიც შეიქმნა მილიონობით რუს გლეხობაში რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყების დროისათვის. ტოლსტოი ორიგინალურია, ვინაიდან მთლიანად აღებულ მის შეხედულებათა ერთობლიობა გამოხატავს სწორედ ჩვენი რევოლუციის, როგორც გ ლ ე ხ უ რ ი ბურჟუაზიული რევოლუციის, თავისებურებას. ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა, ამ თვალსაზრისით, — ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში. ერთი მხრივ, ბატონყმური ჩაგვრის საუკუნეებმა და რეფორმის შემდგომდროინდელი დაჩქარებული გაჩანაგების ათეულმა წლებმა უდიდესი სიძულვილი, გულისწყრომა და თავგანწირული გაბედულება დააგროვეს. მისწრაფება, რომ ძირიან-ფესვიანად აღგავონ ოფიციალური ეკლესიაც, მემამულეებიც, მემამულური მთავრობაც, მოსპონ მიწათმფლობელობის ყველა ძველი ფორმა და წესი, გაწმინდონ ნიადაგი, შექმნან პოლი-

ციურ-კლასობრივი სახელმწიფოს ნაცვლად თავისუფალ და თანასწორუფლებიან წვრილ გლეხთა თანაცხოვრება, — ეს მისწრაფება წითელ ზოლად გასდევს გლეხთა ყოველ ისტორიულ ნაბიჯს ჩვენს რევოლუციაში, და, უეჭველია, ტოლსტოის ნაწერების იდეური შინაარსი გაცილებით უფრო შეესაბამება ამ გლეხურ მისწრაფებას, ვიდრე განყენებულ «ქრისტიანულ ანარქიზმს», როგორც ზოგჯერ უწოდებენ მის შეხედულებათა «სისტემას».

მეორე მხრივ, გლეხობა, რომელიც მიისწრაფვის თანაცხოვრების ახალი ფორმებისაკენ, ძალიან შეუგნებლად, პატრიარქალურად, სალოსურად ეკიდებოდა იმას, თუ როგორი უნდა იყოს ეს თანაცხოვრება, როგორი ბრძოლით უნდა მოიპოვოს მან თავისუფლება, როგორი ხელმძღვანელები შეიძლება ჰყავდეს მას ამ ბრძოლაში, როგორ ეპყრობა გლეხური რევოლუციის ინტერესებს ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რატომ არის აუცილებელი მეფის ხელისუფლების ძალით დამხობა მემამულური მიწათმფლობელობის მოსასპობად. გლეხობის მთელმა წარსულმა ცხოვრებამ ასწავლა მას ბატონისა და მოხელის სიძულვილი, მაგრამ ვერ ასწავლა და ვერც ასწავლიდა, სად ეძებნა ყველა ამ კითხვის პასუხი. ჩვენს რევოლუციაში გლეხობის მცირე ნაწილი მართლაც იბრძოდა და ამ მიზნისათვის რამდენადმე კიდეც ირაზმებოდა, და სულ მცირე ნაწილი იარაღს ჰკიდებდა ხელს თავისი მტრების გასაჟლეტად, მეფის მსახურთა და მემამულეების დამცველთა მოსასპობად. გლეხობის უმეტესი ნაწილი ტიროდა და ლოცულობდა, რეზონიორობდა და ოცნებობდა, თხოვნებს წერდა და «შუაკაცებს» გზავნიდა, — სწორედ ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის სულისკვეთებისამებრ! და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ტოლსტოისებური თავშეკავება პოლიტიკისაგან, ტოლსტოისებური უარყოფა პოლიტიკისა, ამ პოლიტიკისადმი ინტერესის უქონლობა და მისი გაუგებლობა აკეთებდნენ იმას, რომ შეგნებულ და რევოლუციურ პროლეტარიატს მიჰყვებოდა

უმცირესობა, უმრავლესობა კი ხელში უვარდებოდა იმ უპრინციპო, მლიქვნელ, ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, რომლებიც კადეტების სახელწოდებით გარბოდნენ ტრუდოვიკების კრებიდან სტოლიპინის დერეფანში, ეღიჭინებოდნენ, ევაჭრებოდნენ, მორიგებას ცდილობდნენ, შერიგებას ჰპირდებოდნენ, — ვიდრე ისინი ჯარისკაცის ჩექმით არ გამოაპანღურეს. ტოლსტოის იდეები ჩვენი გლეხური აჯანყების; სისუსტისა და ნაკლოვანებათა სარკეა, პატრიარქალური სოფლის უნიათობისა და «მეურნე გლეხის» ბეჩავი ლაჩრობის ასახულება.

აიღეთ ჯარისკაცთა 1905 — 1906 წლების აჯანყებანი. ჩვენი რევოლუციის ამ მებრძოლთა სოციალური შემადგენლობა შუათანაა გლეხობასა და პროლეტარიატს შორის. უკანასკნელი უმცირესობაშია. ამიტომ მოძრაობა ჯარში დაახლოებითაც კი ვერ გვიჩვენებს ისეთ სრულიად რუსეთის მასშტაბით დარაზმულობას, ისეთ პარტიულ შეგნებულობას, რაც გამოიჩინა პროლეტარიატმა, რომელიც თითქოს ხელის ერთი გაქნევით გახდა სოციალ-დემოკრატიული. მეორე მხრივ, არა არის რა იმ აზრზე უფრო მცდარი, თითქოს ჯარისკაცების აჯანყებათა წარუმატებლობის მიზეზი ოფიცრობიდან გამოსულ ხელმძღვანელთა უყოლობა ყოფილიყოს. პირიქით, რევოლუციის გიგანტური პროგრესი «ნაროდნაია ვოლიას» დროიდან სწორედ იმით გამოიხატა, რომ უფროსთა წინააღმდეგ იარაღს მოჰკიდა ხელი «უენო პირუტყვმა», რომლის დამოუკიდებლობამ ასე დააფრთხო ლიბერალური მემამულეები და ლიბერალური ოფიცრობა. ჯარისკაცი აღსავსე იყო გლეხის საქმისადმი თანაგრძნობით; მისი თვალები აღინთებოდა ხოლმე მიწის ხსენებაზედაც კი. ძალაუფლება ჯარში არა ერთხელ გადასულა ჯარისკაცთა მასის ხელში, — მაგრამ ეს ძალაუფლება გაბედულად თითქმის არ ყოფილა გამოყენებული; ჯარისკაცები ყოყმანობდნენ; რომელიმე საძულველ უფროსს რომ მოჰკლავდნენ, ისინი ორიოდე დღის შემდეგ,

ზოგჯერ რამდენიმე საათის შემდეგ, პატიმრობიდან ათავისუფლებდნენ დანარჩენებს, მოლაპარაკებას მართავდნენ ხელისუფლებასთან და შემდეგ დასახვრეტად დგებოდნენ, გასაწკეპლად წვებოდნენ, ისევ ებმოდნენ უღელში — სავსებით ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის სულისკვეთებისამებრ!

ტოლსტოიმ ასახა გულში დაგროვილი სიძულვილი, შომწიფებული მისწრაფება უკეთესისაკენ, წარსულისაგან თავის დაღწევის სურვილი, — და მოუმწიფებელი ოცნება, პოლიტიკური აღუზრდელობა, რევოლუციური უნიათობა. ისტორიულ-ეკონომიური პირობები გვიხსნიან მასების რევოლუციური. ბრძოლის წარმოშობის აუცილებლობასაც და ბრძოლისათვის მათ მოუმზადებლობასაც, ტოლსტოისებურ მორჩილებას ბოროტებისადმი, რაც პირველი რევოლუციური კამპანიის დამარცხების ფრიად სერიოზული მიზეზი იყო.

ამბობენ, დამარცხებული არმიები კარგად სწავლობენო. რა თქმა უნდა, რევოლუციური კლასების შედარება არმიებთან სწორია მხოლოდ მეტად ვიწრო აზრით. კაპიტალიზმის განვითარება ყოველ საათობით სცვლის და ამწვავებს იმ პირობებს, რომლებიც ბიძგს აძლევდნენ მემამულე-მებატონეებისა და მათი მთავრობისადმი სიძულვილით ერთად დარაზმულ მილიონობით გლეხს რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლისათვის. თვითონ გლეხობაში გაცვლა-გამოცვლის, ბაზრის ბატონობისა და ფულის მეუფების ზრდა სულ უფრო და უფრო აძევებს ძველ პატრიარქალურ ცხოვრებას და პატრიარქალურ ტოლსტოურ იდეოლოგიას. მაგრამ რევოლუციის პირველ წელთა და მასობრივ რევოლუციურ ბრძოლაში პირველ დამარცხებათა ერთი მონაპოვარი ეჭვს გარეშეა: ეს არის სასიკვდილო ლახვარი, რომელიც ჩაეცა მასების წინანდელ მოდუნებულობასა და დონდლობას. გამმიჯნავი ხაზები უფრო მკაფიო გახდა. კლასები და პარტიები გაიმიჯნენ. სტოლიპინის

გაკვეთილების ეროს ცემაში, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების განუხრელი, მტკიცე აგიტაციის დროს არა მარტო სოციალისტური პროლეტარიატი, არამედ გლეხობის დემოკრატიული მასებიც გარდუვალად წარმოშობენ უფრო და უფრო გამოწრთობილ მებრძოლებს, რომლებიც უფრო და უფრო ნაკლებად ჩაიდენენ ტოლსტოელობის ჩვენს ისტორიულ ცოდვას!

«პროლეტარი» № 35,
1908 წ. 11 (24) სექტემბერი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტთან

ინგლისელი და გერმანელი მუშების საერთაშორისო დემონსტრაცია[76]

როგორც ცნობილია, ინგლისისა და გერმანიის ბურჟუაზიული პრესა, მეტადრე ქუჩური ფურცლები უკვე დიდი ხანია ეწევიან შოვინისტურ კამპანიას და ამხედრებენ ერთ ქვეყანას მეორის წინააღმდეგ. ინგლისელი და გერმანელი კაპიტალისტების კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე უფრო და უფრო გააფთრებული ხდება. ინგლისის ყოფილი პირველობა და მისი განუყოფელი ბატონობა მსოფლიო ბაზარზე წარსულს ჩაბარდა. გერმანია ისეთი კაპიტალისტური ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებიან, და მისი მრეწველობის პროდუქტები უფრო და უფრო მეტად ეძებენ გასაღებას საზღვარგარეთ. ბრძოლა კოლონიებისათვის, სავაჭრო ინტერესების შეტაკებანი ომების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში. საკვირველი არ არის, რომ ორივე ქვეყნის კაპიტალისტებს ინგლისისა და გერმანიის ომი გარდუვალ მოვლენად მიაჩნიათ, ხოლო სამხედრო წოდების წარმომადგენლებს იქაც და აქაც — პირდაპირ სასურველად. ინგლისელ შოვინისტებს უნდათ დააუძლურონ სახიფათო კონკურენტი და ამ მიზნით მოსპონ საზღვაო ძლიერება გერმანიისა, რომელიც ამ სარბიელზე ჯერ კიდევ უსაზომოდ უფრო სუსტია,

ვიდრე ინგლისი. გერმანელი იუნკრები და გენერლები ბურბონ ვილჰელმ II-ის მეთაურობით ინგლისთან ბრძოლას ეშურებიან იმ იმედით, რომ ისარგებლებენ სახმელეთო ძალების უპირატესობით, ამასთან ოცნებობენ იმაზე, რომ სამხედრო გამარჯვებათა ხმაურით ჩაახშობენ მუშათა მასების სულ უფრო და უფრო მზარდ უკმაყოფილებასა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას გერმანიაში.

ინგლისელმა და გერმანელმა მუშებმა გადაწყვიტეს საჯაროდ გამოვიდნენ ომის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ. ორივე ქვეყნის მუშური გაზეთები დიდი ხანია ეწევიან განუხრელ ბრძოლას შოვინიზმთან და მილიტარიზმთან. მაგრამ ახლა საჭირო გახდა მუშათა კლასის ნებისყოფის ერთგვარი უფრო ძლიერი გამოხატვა, ვიდრე ეს პრესის ორგანოების მეშვეობით შეიძლება. ინგლისელმა მუშებმა გადაწყვიტეს გაეგზავნათ დელეგაცია ბერლინში, რათა მძლავრი დემონსტრაციის გზით განეცხადებინათ, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის პროლეტარიატს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სოლიდარულად აწარმოოს ომი ომის წინააღმდეგ.

დემონსტრაცია მოხდა ბერლინში კვირას, 20 (7) სექტემბერს. ინგლისელი მუშების დეპუტატებმა ამჯერად შესძლეს შეუფერხებლად გამოსულიყვნენ ბერლინის პროლეტარიატის წინაშე. ორი წლის წინათ, როდესაც ჟ. ჟორესმა საფრანგეთის მუშათა კლასის სახელით გადაწყვიტა გამოსულიყო ბერლინში სოციალ-დემოკრატიული მასების წინაშე, რათა პროტესტი განეცხადებინა ბურჟუაზიის შოვინისტების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობამ აუკრძალა მას გერმანელი მუშების წინაშე ლაპარაკი. ამჯერად კი გერმანიის მთავრობამ ვერ გაბედა ინგლისის პროლეტარიატის დელეგატების გაძევება.

მუშათა მრავალრიცხოვანი კრება მოიწვიეს ბერლინის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში. 5 000-მდე კაცმა ერთბაშად გაავსო შენობა, და მრავალი ათასი იძულებული გახდა ბაღსა და ქუჩაში დარჩენილიყო. წესრიგს იცავდნენ არჩეული მუშები, რომლებსაც სახელოზე წითელი ლენტები ჰქონდათ

გაკეთებული. ამხანაგი ლეგინი, ცნობილი ბელადი გერმანიის მუშათა პროფესიული კავშირებისა (ეგრეთწოდებული «თავისუფალი», ე. ი. სინამდვილეში სოციალ-დემოკრატიული კავშირებისა), მიესალმა ინგლისის დელეგაციას გერმანიის მთელი პოლიტიკურად და პროფესიულად ორგანიზებული მუშათა კლასის სახელით. ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინათ, — თქვა მან, — გამართეს დემონსტრაცია მშვიდობის სასარგებლოდ ფრანგმა და ინგლისელმა მუშებმა. მაშინ მოწინავე სოციალისტებს ჯერ კიდევ არ უმაგრებდნენ ზურგს ორგანიზებული მასები. ახლა ინგლისისა და გერმანიის მუშათა კავშირებში ერთად ითვლება 4⅓ მილიონი წევრი. ამ არმიის სახელით გამოდიან ახლა ინგლისელი დელეგატები და ბერლინის კრება და აცხადებენ, რომ მუშათა კლასის ხელთაა ომისა და მშვიდობის საკითხის გადაწყვეტა.

ინგლისელი მუშების დელეგატმა მადისონმა საპასუხო სიტყვაში სასტიკად დაგმო ბურჟუაზიის შოვინისტური სისინი და გადასცა 3 000 მუშის ხელმოწერილი «ბრიტანეთის მუშების ადრესი გერმანიის მუშებს». ხელისმომწერთა შორის, — აღნიშნა მან, — არიან ინგლისის მუშათა მოძრაობის ორივე მიმართულების წარმომადგენლები (ე. ი. სოციალ-დემოკრატებიც და «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» მომხრენიც, რომელნიც ჯერ კიდევ არ დგანან რამდენადმე თანამიმდევარ სოციალისტურ თვალსაზრისზე). ადრესში ნათქვამია, რომ ომები მქონებელი კლასების ინტერესებს ემსახურებიან. მუშათა მასებს აწევთ ომების მთელი სიდუხჭირე; მქონებელი კლასები სარგებლობას იღებენ ხალხის უბედურებიდან. დაე, დაირაზმონ მუშები სამხედრო წოდებასთან საბრძოლველად, მშვიდობის უზრუნველსაყოფად!

სხვა ინგლისელი დეპუტატებისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლის რიხარდ ფიშერის სიტყვების შემდეგ კრება დამთავრდა იმით, რომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც სასტიკად გმობს «გაბატონებული და ექსპლოატატორული კლასების ანგარებიანსა და ბეც პოლიტი-

კას» და გამოთქვამს მზადყოფნას — იმოქმედონ შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად, ე. ი. მთელი ძალღონითა და საშუალებებით იბრძოლონ ომის წინააღმდეგ. კრება დაიშალა წესიერად მუშათა მარსელიოზის მღერით. ქუჩებში დემონსტრაციები არ გამართულა. ბერლინის პოლიციასა და ადგილობრივ სამხედრო ხელისუფალთ მოლოდინი გაუცრუვდათ. გერმანული წესები იმით ხასიათდება, რომ მუშების უაღრესად მშვიდობიანი დემონსტრაციაც კი ვერ მოეწყო პოლიციური და სამხედრო დემონსტრაციის გაუმართავად. ბერლინის გარნიზონი მობილიზებული იყო. ჯარების რაზმები განლაგებული იყვნენ სასტიკი გეგმის მიხედვით ქალაქის სულ სხვადასხვა ადგილას — უმთავრესად ისე, რომ ძნელი ყოფილიყო იმის შემჩნევა, თუ სად და რამდენი ჯარისკაცია დამალული. პოლიციელთა პატრულები დაიარებოდნენ ქუჩებში და მოედნებზე, კრების დარბაზის ახლოს, და მეტადრე — იქიდან სასახლისაკენ მიმავალ გზაზე. სასახლე გარშემორტყმული იყო გადაცმულ პოლიციელთა და ეზოებში დამალული ჯარის რაზმების ნამდვილი რკალით. მოწყობილი იყო პოლიციური პიკეტების რთული სისტემა, — პოლიციელთა ჯგუფები იდგნენ ქუჩების კუთხეებში, — პოლიციის ოფიცრები მივლინებული იყვნენ ყველა «მნიშვნელოვან» ადგილას, — პოლიციელი ველოსიპედისტები ასრულებდნენ მზვერავთა მოვალეობას და ახსენებდნენ სამხედრო ხელისუფალთ «მტრის» ყოველ ნაბიჯს, — ხიდებსა და არხის გადასასვლელებს სამმაგი ძალებით იცავდნენ. «იცავდნენ საფრთხეში ჩავარდნილ მონარქიას», — სარკასტულად წერს «Vorwärts»[77] ვილჰელმ II-ის მთავრობის მთელ ამ ღონისძიებათა გამო.

წარმოებდა რეპეტიცია, — დავძენთ ჩვენი მხრივ. ვილჰელმ II და გერმანიის ბურჟუაზია ახდენდნენ აჯანყებულ პროლეტარიატთან საომარი ბრძოლის რეპეტიციას. ასეთი

რეპეტიციები უსათუოდ და ყოველ შემთხვევაში სასარგებლოა მუშათა მასებისთვისაც და ჯარისკაცებისთვისაც. Ça ira (საქმე წარიმართება!), ასე ამბობს ფრანგული მუშური სიმღერა. განმეორებულ რეპეტიციებს ახლა იქნებ ჯერ კიდევ მეტად ნელა, მაგრამ სამაგიეროდ მეტად უტყუარად მივყევართ დიადი ისტორიული შედეგისაკენ.

დაწერილია 1908 წ. 3 (16) ოქტომბრამდე

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის კრებულში XXV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სტუდენტობის მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა

პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტების გაფიცვა გამოცხადდა. გაფიცვას მთელი რიგი სხვა სასწავლებლები შეუერთდნენ. მოძრაობა უკვე მოედო მოსკოვსა და ხარკოვს. ყველა ცნობის მიხედვით, რაც კი მოიპოვება საზღვარგარეთულ თუ რუსულ გაზეთებში, აგრეთვე რუსეთიდან გამოგზავნილ კერძო წერილებში, ჩვენ საკმაოდ ფართო აკადემიური მოძრაობის ფაქტის წინაშე ვდგევართ.

უკან, წარსულისაკენ! უკან, რევოლუციამდელი რუსეთისაკენ, — აი უწინარეს ყოვლისა რას მოწმობენ ეს ამბები. მთავრობის რეაქცია წინანდებურად ავიწროებს უნივერსიტეტებს. თვითმპყრობელურ რუსეთში სტუდენტთა ორგანიზაციებთან მუდმივმა ბრძოლამ მიიღო ფორმა «პრემიერ» სტოლიპინის სრული თანხმობით მოქმედი შავრაზმელი მინისტრის შვარცის ლაშქრობისა 1905 წლის შემოდგომაზე სტუდენტებისათვის დაპირებული ავტონომიის წინააღმდეგ (რა არ «აღუთქვა» მაშინ თვითმპყრობელობამ რუსეთის მოქალაქეებს რევოლუციური მუშათა კლასის იერიშის ზეგავლენით!), — იმ ავტონომიის წინააღმდეგ, რომლითაც სტუდენტები სარგებლობდნენ, ვიდრე თვითმპყრობელობას «სტუდენტებისათვის არ ეცალა», და რომლის წართმევას არ შეეძლო არ შესდგომოდა თვითმპყრობელობა, რჩებოდა რა იგი თვითმპყრობელობად.

წინანდებურად სწუხს და ბუზღუნებს ლიბერალური პრესა, — ამჯერად ზოგიერთ ოქტიაბრისტთან ერთად, — სწუხან

და წუწუნებენ ბატონი პროფესორები, ემუდარებიან მთავრობას — ნუ დაადგება რეაქციის გზას, გამოიყენოს საუცხოო შემთხვევა იმისათვის, რომ «რეფორმებით უზრუნველყოს მშვიდობა და წესრიგი» «მღელვარებით განაწამებ ქვეყანაში»; — ემუდარებიან სტუდენტობას — არ მიმართოს მოქმედების უკანონო საშუალებებს, რომელნიც მხოლოდ რეაქციისათვის არის ხელსაყრელნიო და ა. შ., ა. შ. და ა. შ. რა ძველისძველი, გაცვეთილი ჰანგებია ყოველივე ეს და რა ცოცხლად წარმოგვიდგენენ ეს ჰანგები იმას, რაც იყო ამ ოციოდე წლის წინათ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს! მაშინდელი დროის მსგავსება ახლანდელ დროსთან განსაკუთრებით საოცარი ჩანს, თუ თანამედროვე მომენტი ავიღეთ ცალკე, რევოლუციის განვლილ სამ წელთან დაუკავშირებლად, ვინაიდან სათათბირო (პირველი შეხედვით) მხოლოდ ოდნავ სხვანაირად გამოხატავს ძალთა სავსებით იმავე რევოლუციამდელ თანაფარდობას: ბატონობას ველური მემამულისას, რომელსაც ურჩევნია ურთიერთობა სასახლესთან და ზემოქმედება თავის მოძმე მოხელის საშუალებით, ვიდრე ყოველგვარი წარმომადგენლობა; იმავე მოხელის მხარის დაჭერას სოვდაგრობის მიერ (ოქტიაბრისტები), რომელიც ვერ ბედავს დაშორდეს კეთილმყოფელ მამებს; — «ოპოზიციას» ბურჟუაზიული ინტელიგენციისას, რომელიც ყველაზე მეტად ზრუნავს თავისი ლოიალობის დამტკიცებისათვის და ამა ქვეყნის ძლიერთა შეგონებას თვლის ლიბერალიზმის პოლიტიკურ მოღვაწეობად. სათათბიროს მუშათა დეპუტატები ძალიან, ძალიან სუსტად მოგვაგონებენ იმას, თუ რა როლი შეასრულა ახლახან პროლეტარიატმა თავისი აშკარა მასობრივი ბრძოლით.

კითხვა იბადება, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ასეთ პირობებში მივაკუთვნოთ მნიშვნელობა სტუდენტობის პრიმიტიულ-აკადემიური ბრძოლის ძველ ფორმებს? თუ ლიბერალები დაეშვნენ 80-იანი წლების «პოლიტიკამდე» (აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ დაცინვით შეიძლება პოლიტიკაზე ლაპარაკი), ხომ არ იქნება სოციალ-დემოკრატიის მხრივ თავისი ამოცანების დაკ-

ნინება, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს ასე თუ ისე მხარი დაუჭიროს აკადემიურ ბრძოლას?

ასეთ საკითხს, როგორც ეტყობა, აყენებენ აქა-იქ სოციალ-დემოკრატი სტუდენტები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გაზეთის რედაქციას მოუვიდა სოციალ-დემოკრატ სტუდენტთა ჯგუფის ერთი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

«13 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებამ დაადგინა — მოუწოდოს სტუდენტებს სტუდენტთა სრულიად რუსეთის გაფიცვისაკენ და თავისი მოწოდება დაასაბუთა შვარცის აგრესიული ტაქტიკით; გაფიცვის პლატფორმა აკადემიურია, კრება მიესალმება კიდეც მოსკოვისა და პეტერბურგის პროფესორთა საბჭოების «პირველ ნაბიჯებს» ავტონომიისათვის ბრძოლის საქმეში. ჩვენ საგონებელში გვაგდებს აკადემიური პლატფორმა, წამოყენებული პეტერბურგის კრების მიერ, და მიგვაჩნია იგი ახლანდელ პირობებში შეუწყნარებლად და ისეთ მოვლენად, რასაც არ შეუძლია გააერთიანოს სტუდენტობა აქტიური, ფართო ბრძოლისათვის. სტუდენტთა გამოსვლა ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს მხოლოდ როგორც საერთო პოლიტიკურ გამოსვლასთან. კოორდინებული და ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოგვიდგენია განცალკევებულად. არ მოიპოვებიან ის ელემენტები, რომლებიც შესძლებდნენ სტუდენტობის გაერთიანებას. ამის გამო ჩვენ აკადემიური გამოსვლის წინააღმდეგი ვართ».

შეცდომას, რასაც სჩადიან წერილის ავტორები, გაცილებით მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რადგან ავტორების მსჯელობა არსებითად ეხება შეუდარებლად უფრო ფართო და მნიშვნელოვან თემას, ვიდრე არის ამ გაფიცვის მონაწილეობის საკითხი.

«სტუდენტთა გამოსვლა ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს მხოლოდ როგორც საერთო პოლიტიკურ გამოსვლასთან კოორდინებული. ამის გამო ჩვენ აკადემიური გამოსვლის წინააღმდეგი ვართ».

ასეთი მსჯელობა ძირფესვიანად შემცდარია. რევოლუციური ლოზუნგი — უნდა მიისწრაფვოდე, რათა სტუდენტთა პოლიტიკური გამოსვლა კოორდინებული იყოს პროლეტარიატთან, და ა. შ. — აქ იქცევა უფრო და უფრო ფართო, ყოველმხრივი, საბრძოლო აგიტაციის ცოცხალი სახელმძღვანელოს ნაცვლად მკვდარ დოგმად, რომელიც მექანიკურად შეეფარდება მოძრა-

ობის სხვადასხვა ფორმის სხვადასხვა ეტაპს. საკმარისი როდია მხოლოდ გამოაცხადო პოლიტიკური კოორდინებული გამოსვლა და ამით გაიმეორო რევოლუციის გაკვეთილების «უკანასკნელი სიტყვა». უნდა შ ე გ ე ძ ლ ო ს გასწიო აგიტაცია პოლიტიკური გამოსვლისათვის და გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ამ აგიტაციისათვის ყველა შესაძლებლობა, ყველა პირობა და, უწინარეს ყოვლისა, ყველაზე მეტად ამა თუ იმ მოწინავე ელემენტების ყოველგვარი მასობრივი კონფლიქტები თვითმპყრობელობასთან. საქმე, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ ჩვენ წინასწარ გავყოთ სტუდენტთა ყოველგვარი მოძრაობა სავალდებულო «სტადიებად» და აუცილებლად ვადევნოთ თვალყური თვითეული სტადიის წესიერად გავლას იმის შიშით, ვაი, თუ «უდროოდ» გადავიდეთ პოლიტიკაზე და სხვ.. ამგვარი შეხედულება უალრესად მავნე პედანტობა იქნებოდა და მხოლოდ ოპორტუნისტულ პოლიტიკამდე მიგვიყვანდა. მაგრამ ასევე მავნეა პირუკუ შეცდომა, როდესაც არ სურთ ანგარიში გაუწიონ ფაქტიურად შექმნილ მდგომარეობას და მოცემული მასობრივი მოძრაობის პირობებს ყალბად გაგებული გაქვავებული ლოზუნგის გულისათვის: ლოზუნგის ასეთი გამოყენება აუცილებლად გადაიქცევა რევოლუციურ ფრაზად.

შესაძლებელია ისეთი პირობები, როდესაც აკადემიური მოძრაობა აკნინებს პოლიტიკურ მოძრაობას ან ქსაქსავს მას ან გვაშორებს მისგან, და — მაშინ სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რა თქმა უნდა, ვალდებული არიან წარმართონ თავიანთი აგიტაცია ასეთი მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ ყველა ხედავს, რომ ახლანდელი მომენტის ობიექტური პოლიტიკური პირობები სხვანაირია: აკადემიური მოძრაობა გამოხატავს იმ მოსწავლე ახალგაზრდობის ახალი «ცვლის» მოძრაობის დ ა ს ა წ ყ ი ს ს, რომელიც მეტნაკლებად უკვე შეეჩვია ვიწრო ავტონომიას, ამასთან ეს მოძრაობა იწყება ისეთ ვითარებაში, როცა ამჟამად არ არის მასობრივი ბრძოლის სხვა ფორმები, იწყება დროებითი სიწყნარის ვითარებაში, როდესაც ფართო მასები განაგრძობენ რევოლუციის სამი წლის

გამოცდილების მ ო ნ ე ლ ე ბ ა ს ჯერ ისევ ჩუმად, დაკვირვებით, ნელა.

ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატია დიდ შეცდომას ჩაიდენდა, თუკი იგი «აკადემიური გამოსვლის წინააღმდეგ» გაილაშქრებდა. არა, იმ სტუდენტთა ჯგუფებმა, რომლებიც ჩვენს პარტიას ეკუთვნიან, მთელი ძალღონე უნდა მიმართონ მოცემული მოძრაობის მხარის დაჭერისა, გამოყენებისა და გაფართოებისაკენ. ისევე როგორც სოციალ-დემოკრატიის მიერ მოძრაობის პრიმიტიული ფორმებისათვის ყოველგვარი მხარის დაჭერა, ეს მხარის დაჭერაც უნდა მდგომარეობდეს ყველაზე მეტად და უმთავრესად იდეურ და ორგანიზაციულ ზეგავლენაში უფრო ფართო ფენებზე, რომელნიც აგზნებული ჰრიან კონფლიქტით და კონფლიქტის ამ ფორმაში ძალიან ხშირად განიცდიან პ ი რ ვ ე ლ პოლიტიკურ კონფლიქტს. ეს იმიტომ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც უნივერსიტეტებში შესულია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, თითქმის სავსებით ცხოვრობდა პოლიტიკისაგან მოწყვეტილი ცხოვრებით და იზრდებოდა ვიწრო აკადემიური ავტონომიზმის სულისკვეთებით, იზრდებოდა არა მარტო ოფიციალური პროფესორებისა და მთავრობის პრესის მიერ, არამედ ლიბერალური პროფესორებისა და კადეტთა მთელი პარტიის მიერაც. ასეთი ახალგაზრდობისათვის ფართო გაფიცვა (თუკი ეს ახალგაზრდობა შესძლებს ფართო გაფიცვის მოწყობას! ჩვენ ყველაფერი უნდა მოვიმოქმედოთ, რომ დავეხმაროთ მას ამაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ, სოციალისტები, როდი ვითავდებებთ ამა თუ იმ ბურჟუაზიული მოძრაობის წარმატებას!) წარმოადგენს პოლიტიკური კონფლიქტის დასაწყისს, სულ ერთია, შეგნებული აქვთ ეს მებრძოლებს თუ არა. ჩვენი ამოცანაა განვუმარტოთ «აკადემიური» პროტესტანტების მასას ამ კონფლიქტის ობიექტური მნიშვნელობა, შევეცადოთ გავხადოთ ეს კონფლიქტი შ ე გ ნ ე ბ უ ლ პოლიტიკურ კონფლიქტად, გააკეთებინოთ სტუდენტობის სოც.-დემოკრატიული ჯგუფების სააგიტაციო მუშაობა და წ ა რ ვ მ ა რ თ ო თ მ თ ე ლ ი ეს

მუშაობა იქითკენ, რომ შეითვისონ 3 წლის ისტორიის რევოლუციური დასკვნები, რომ შეიგნონ ახალი რევოლუციური ბრძოლის გარდუვალობა, რომ ჩვენი ძველი — მაგრამ მაინც სავსებით თანამედროვე — ლოზუნგები თვითმპყრობელობის დამხობისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისა კვლავ გადიქცნენ განხილვის საგნად და დემოკრატიის ახალ თაობათა პოლიტიკური კონცენტრაციის საშუალებად.

სოციალ-დემოკრატ სტუდენტებს არავითარ შემთხვევაში არა აქვთ უფლება უარი თქვან ასეთ მუშაობაზე, — და, რაც უნდა ძნელი იყოს ეს მუშაობა ამჟამად, რაც უნდა მარცხი შეემთხვეს ამა თუ იმ აგიტატორს ამა თუ იმ უნივერსიტეტში, სათვისტომოში, კრებაზე და ა. შ., ჩვენ ვიტყვით: უკაკუნებდეთ და განგეღოთ! პოლიტიკური აგიტაციის მუშაობა არასოდეს არ დაიკარგება ამაოდ. მისი წარმატება განიზომება არა მარტო იმით, შევძელით თუ არა ჩვენ ახლავე და ერთბაშად მიგვეღო უმრავლესობა ან კოორდინებული პოლიტიკური გამოსვლის თანხმობა. შესაძლოა, ჩვენ ამას ერთბაშად ვერ მივაღწევთ: იმიტომაც ვართ ორგანიზებული პროლეტარული პარტია, რომ დროებითმა წარუმატებლობამ არ შეგვაკრთოს, არამედ დაჟინებით, განუხრელად, მტკიცედ ვ ა წ ა რ მ ო ო თ ჩ ვ ე ნ ი მ უ შ ა ო ბ ა უაღრესად მძიმე პირობებშიც კი.

სანკტ-პეტერბურგის სტუდენტთა კოალიციური საბჭოს მოწოდება, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ, გვიჩვენებს, რომ სტუდენტობის ყველაზე აქტიური ელემენტებიც კი დაჟინებით იცავენ წმინდა აკადემიზმს და ჯერ ისევ კადეტურ-ოქტიაბრისტულ ჰანგებს იმეორებენ. და ეს იმ დროს, როდესაც კადეტურ-ოქტიაბრისტული პრესა გაფიცვის მიმართ მეტისმეტად საზიზღრად იქცევა და გაჩაღებული ბრძოლის დროს ამტკიცებს, რომ გაფიცვა მავნებელია, დანაშაულებრივია და ა. შ.. ჩვენ არ შეგვიძლია არ მივესალმოთ იმ მტკიცე პასუხს, რომელიც ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა საჭიროდ ცნო გაეცა კოალიციური საბჭოსათვის (იხ. «პარტიიდან» [78]).

აშკარაა, თანამედროვე სტუდენტობისათვის, იგი რომ «აკადემიკოსებიდან» «პოლიტიკოსებად» გადაიქცეს, ჯერ კიდევ საკმარისი არ არის შვარცის მათრახი, ახალი კადრების სრული რევოლუციური განსწავლისათვის მას ესაჭიროება კიდევ ახალი და ახალი შავრაზმელი ფელდფებელების მორიელები. ამ კადრებთან, რომლებსაც წვრთნის მთელი სტოლიპინური პოლიტიკა, წვრთნის კონტრრევოლუციის თვითეული ნაბიჯი, დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ ჩვენც, სოციალ-დემოკრატებმაც, რომლებიც ნათლად ვხედავთ, რომ ობიექტურად გარდუვალია ახალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონფლიქტები ნაციონალური მასშტაბით თვითმპყრობელობასთან, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა შავრაზმულ-ოქტიაბრისტულ სათათბიროს.

დიახ, ნაციონალური მასშტაბით, რადგან შავრაზმული კონტრრევოლუცია, რუსეთს რომ უკან ეზიდება, არათუ აწრთობს რევოლუციური პროლეტარიატის რიგების ახალ მებრძოლებს, არამედ გარდუვალად გამოიწვევს არაპროლეტარული, ე. ი. ბურჟუაზიული დემოკრატიის ახალ მოძრაობასაც (აქ ჩვენ ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, არა მ თ ე ლ ი ო პ ო ზ ი ც ი ი ს მონაწილეობას ბრძოლაში, არამედ ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის ნამდვილად დემოკრატიული, ე. ი. ბრძოლის უნარის მქონე ელემენტების ფართო მონაწილეობას). სტუდენტთა მასობრივი ბრძოლის დაწყება 1908 წელს რუსეთში არის პოლიტიკური სიმპტომი, კონტრრევოლუციით შექმნილი მთელი თანამედროვე მდგომარეობის სიმპტომი. ათასი და მილიონი ძაფი აკავშირებს მოსწავლე ახალგაზრდობას საშუალო და დაბალ ბურჟუაზიასთან, წვრილ მოხელეობასთან, გლეხობის, სამღვდელოების გარკვეულ ჯგუფებთან და ა. შ.. თუ 1908 წლის გაზაფხულზე ცდილობდნენ აღედგინათ «განთავისუფლების კავშირი» *, უფრო მემარცხენე, ვიდრე ძველი კადეტური, ნახევრადმემამულური კავშირია, რომელსაც პეტრე სტრუვე წარმოადგენდა, — თუ შემოდგომაზე იწყებს მღელვარებას ახალგაზრდობის მასა, რომელიც ყველაზე ახლო დგას

* იხ. ეს ტომი, გვ. 62—67. რ ე დ.

რუსეთის დემოკრატიულ ბურჟუაზიასთან, — თუ გაათკეცებული გაბოროტებით კვლავ ღმუილი მორთეს მოქრთამულმა მჯღაბნელებმა სკოლებში რევოლუციის წინააღმდეგ, — თუ ყოდებენ და ტირიან საზიზღარი ლიბერალური პროფესორები და კადეტთა ბელადები უდროო, სახიფათო, დამღუპველი გაფიცვების გამო, რომლებიც არასასიამოვნოა საყვარელი ოქტიაბრისტებისათვის და რომლებსაც შეუძლიათ «ჩამოგვაშორონ» ოქტიაბრისტები, გაბატონებული ოქტიაბრისტებიო, — მაშინ ახალი დენთი ემატება საპირისწამლეს! მაშინ მ ა რ ტ ო სტუდენტობაში ა რ იწყება რეაქცია — რეაქციის წინააღმდეგ.

და რაც უნდა სუსტი და ჩანასახ მდგომარეობაში იყოს ეს დასაწყისი, მუშათა კლასის პარტიამ უნდა გამოიყენოს იგი და გამოიყენებს კიდეც. ჩვენ უნარი შეგვწევდა გვემუშავნა წლებისა და ათეული წლების განმავლობაში რევოლუციის წინ; შეგვქონდა ჩვენი რევოლუციური ლოზუნგები ჯერ წრეებში, შემდეგ მუშათა მასებში, შემდეგ ქუჩაში, შემდეგ ბარიკადებზე. ჩვენ უნდა შევძლოთ ა ხ ლ ა ც მოვაწყოთ უწინარეს ყოვლისა ის, რაც დღევანდელი დღის ამოცანას წარმოადგენს, ურომლისოდაც ფუჭი სიტყვები იქნება ლაპარაკი კოორდინებულ პოლიტიკურ გამოსვლაზე, — სახელდობრ: მტკიცე პროლეტარული ორგანიზაცია, რომელიც ყველგან გასწევს პ ო ლ ი ტ ი კ ურ ა გ ი ტ ა ც ი ა ს მასებში თავისი რევოლუციური ლოზუნგების გულისათვის. ამ ორგანიზაციას თავის სტუდენტურ წრეში, ამ აგიტაციას მოცემული მოძრაობის ნიადაგზე უნდა მოჰკიდონ ხელი ჩვენმა საუნივერსიტეტო ჯგუფებმაც.

პროლეტარიატი საქმეს არ დააყოვნებს. იგი ხშირად უთმობს გამოსვლების პირველობას ბურჟუაზიულ დემოკრატიას ბანკეტებზე, ლეგალურ კავშირებში, უნივერსიტეტების კედლებში, საწარმომადგენლო დაწესებულებათა ტრიბუნაზე. მაგრამ იგი არასოდეს არა სთმობს და არ დასთმობს პირველობას მასების სერიოზულ, დიად რევოლუციურ ბრძოლაში.

არც ისე სწრაფად და არც ისე ადვილად მწიფდება ყველა პირობა ამ ბრძოლის აფეთქებისათვის, როგორც ეს სურს რომელიმე ჩვენგანს, — მაგრამ ეს პირობები განუწყვეტლივ მწიფდება და მზადდება. და პატარა აკადემიური კონფლიქტების პატარა დასაწყისი დიდი დასაწყისია, რადგან მას დღეს თუ არა, ხვალ, ხვალ თუ არა, ზეგ — დიდი გაგრძელება მოჰყვება.

«პროლეტარი» № 36,
1908 წ. 3 (16) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბალკანეთისა და სპარსეთის ამბები

ამ ბოლო დროს ბალკანეთის ამბებმა აავსეს არა მარტო რუსეთის პოლიტიკური პრესა, არამედ მთელი ევროპისაც. ერთ ხანს ევროპის ომის საფრთხე ძალიან მოახლოებული ჩანდა, და ახლაც იგი მაინც ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის აცილებული, თუმცა გაცილებით უფრო მოსალოდნელია, რომ საქმე ხმაურითა და ყვირილით გათავდება, ომამდე კი არ მივა.

ვნახოთ ზოგადად, თუ რა ხასიათისაა კრიზისი და როგორია ის ამოცანები, რომლებსაც იგი აკისრებს რუსეთის მუშათა პარტიას.

აზიის ხალხების გამოღვიძებას პოლიტიკური ცხოვრებისათვის განსაკუთრებით შეუწყო ხელი რუსეთ-იაპონიის ომმა და რუსეთის რევოლუციამ. მაგრამ ეს გამოღვიძება ისე ნელა ედებოდა ერთი ქვეყნიდან მეორეს, რომ სპარსეთში თითქმის გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის კონტრრევოლუციამ, რომელიც ისევ ასრულებს ამ როლს, ხოლო თურქეთის რევოლუცია ერთბაშად წააწყდა საახელმწიფოთა კონტრრევოლუციურ კოალიციას რუსეთის მეთაურობით. მართალია, ეს უკანასკნელი მტკიცება, პირველი შეხედვით, ეწინააღმდეგება ევროპული პრესისა და დიპლომატიის განცხადებათა საერთო ტონს: ამ განცხადებებს რომ ყური დაეუგდოთ, ოფიციოზების სტატიებს რომ დაეუჯეროთ, — ყველანი გამსჭვალულნი არიან განახლებული თურქეთისადმი «თანაგრძნობით», ყველას მხოლოდ ისა სურს, რომ თურქეთში განმტკიცდეს და განვითარდეს კონსტიტუციური რეჟიმი,

ყველას ქებით ცამდე აჰყავს ბურჟუაზიული ახალგაზრდა თურქების «ზომიერება».

მაგრამ მთელი ეს სიტყვები ევროპის ახლანდელ რეაქციულ მთავრობათა და ევროპის ახლანდელი რეაქციული ბურჟუაზიის საზიზღარი ბურჟუაზიული თვალთმაქცობის ნიმუშია. ნამდვილად კი ევროპის არც ერთ ქვეყანას, რომელიც თავისთავს დემოკრატიას უწოდებს, ევროპის არც ერთ ბურჟუაზიულ პარტიას, რომელიც თავისთავს უწოდებს დემოკრატიულს, პროგრესულს, ლიბერალურს, რადიკალურს და სხვ., არაფრით არ დაუმტკიცებია თავისი ნამდვილი სურვილი — დაეხმაროს თურქეთის რევოლუციას, მის გამარჯვებას, მის განმტკიცებას. პირიქით, ყველას ე შ ი ნ ი ა თურქეთის რევოლუციის წარმატებისა, ვინაიდან ამ წარმატებას აუცილებლად მოჰყვებოდა ერთი მხრივ, ავტონომიისა და ნამდვილი დემოკრატიისაკენ მისწრაფების განვითარება ბალკანეთის ყველა ხალხში, მეორე მხრივ, სპარსეთის რევოლუციის გამარჯვება, ახალი ბიძგი დემოკრატიული მოძრაობისა აზიაში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერება ინდოეთში, თავისუფალი წესწყობილების შექმნა რუსეთის საზღვრის ვეებერთელა მანძილზე, მაშასადამე, ახალი პირობების შექმნა, რომლებიც გააძნელებდნენ შავრაზმული ცარიზმის პოლიტიკას და გააადვილებდნენ რევოლუციის აღმავლობას რუსეთში, და ასე შემდეგ.

დედაარსი იმისა, რაც ახლა ხდება ბალკანეთში, თურქეთში, სპარსეთში, გამოიხატება ევროპის სახელმწიფოთა კონტრრევოლუციური კოალიციით აზიაში მზარდი დემოკრატიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ჩვენი მთავრობების მთელი მეცადინეობა, «დიდი» ევროპული გაზეთების მთელი ქადაგება იმაში მდგომარეობს, რომ მიჩქმალონ ეს ფაქტი, რომ დააბნიონ საზოგადოებრივი აზრი, რომ თვალთმაქცური სიტყვებითა და დიპლომატიური ოინებით დაფარონ ევროპის ეგრეთწოდებული ცივილიზებული ერების კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კ ო ა ლ ი ც ი ა აზიის ყველაზე ნაკლებად ცივილიზებული და

დემოკრატიზმს ყველაზე მეტად მოწადინებული ერების წინააღმდეგ. და პროლეტარიატის პოლიტიკის მთელი არსი ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ ნიღაბი ჩამოეგლიჯოს ბურჟუაზიულ თვალთმაქცებს, გამოაშკარავდეს ხალხის უაღრესად ფართო მასების წინაშე რეაქციულობა ევროპის მთავრობებისა, რომლებიც შინ, თავიანთ ქვეყნებში, პროლეტარული ბრძოლის შიშის გამო ჟანდარმის როლს ასრულებენ და ეხმარებიან სხვებს ამ როლის შესრულებაში აზიის რევოლუციის მიმართ.

ინტრიგების ქსელი, რომლებითაც ევროპამ მოიცვა თურქეთისა და ბალკანეთის ყველა მოვლენა, უაღრესად მჭიდროა, და ობივატელური საზოგადოება ეგება დიპლომატების ანკესზე, რომლებიც ცდილობენ ყურადღება მიაქციონ წვრილმანებს, კერძო მომენტებს, მიმდინარე ამბების ცალკეულ მხარეებს, ცდილობენ დააბნელონ საერთოდ აღებული მთელი პროცესის აზრი. პირიქით, ჩვენი ამოცანა, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანა არის განვუმარტოთ ხალხს მოვლენათა სწორედ საერთო კავშირი, მთელი მიმდინარე ამბების ძირითადი მიმართულება და სარჩული.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კონკურენცია, რომელთაც სურთ «წაგლიჯონ ნაჭერი» და გაიფართოონ თავისი სამფლობელოები და თავისი კოლონიები, — შემდეგ დამოკიდებულ ან ევროპის «მეურვეობის» ქვეშ მყოფ ხალხთა დამოუკიდებელი დემოკრატიული მოძრაობის შიში,—აი მთელი ევროპული პოლიტიკის ორი მამოძრავებელი რამ. ახალგაზრდა თურქებს აქებენ ზომიერებისა და თავშეკავებისათვის, ე. ი. აქებენ თურქეთის რევოლუციას იმისათვის, რომ იგი სუსტია, იმისათვის, რომ იგი არ აღვიძებს ხალხის ქვედაფენებს, არ იწვევს მასების ნამდვილ დამოუკიდებლობას, იმისათვის, რომ იგი მტრულად ეკიდება ოტომანთა იმპერიაში დაწყებულ პროლეტარულ ბრძოლას, — და ამავე დროს წინანდებურად განაგრძნობენ თურქეთის ძარცვას. აქებენ იმისათვის, რომ ჯერ-ჯერობით შესაძლებელია თურქეთის სამფლობელოთა ძველე-

ბურად ძარცვა. აქებენ ახალგაზრდა თურქებს და განაგრძობენ პოლიტიკას, რომელიც სავსებით აშკარად წარმოადგენს თურქეთის დაყოფის პოლიტიკას. ამის გამო უაღრესად სწორად და მოსწრებულად თქვა «ლაიფციგის სახალხო გაზეთმა», ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების ორგანომ:

«1791 წლის მაისში შორსმჭვრეტელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც ნამდვილად ზრუნავდნენ სამშობლოს სიკეთისათვის, გაატარეს პოლიტიკური რეფორმა პოლონეთში. პრუსიის მეფე და ავსტრიის იმპერატორი აქებდნენ 3 მაისის კონსტიტუციას, მიესალმებოდნენ მას, როგორც ისეთ საქმეს, რომელსაც «სიკეთე მოჰქონდა მეზობელი სახელმწიფოსათვის». მთელი მსოფლიო ხოტბას ასხამდა პოლონელ რეფორმატორებს იმ «ზომიერებისათვის», რომლითაც ისინი შეუდგნენ თავიანთ საქმეს პარიზის საშინელი იაკობინელებისაგან განსხვავებით... 1793 წლის 23 იანვარს პრუსიამ, ავსტრიამ და რუსეთმა ხელი მოაწერეს პოლონეთის დაყოფის ხელშეკრულებას!

1908 წლის აგვისტოში ახალგაზრდა თურქებმა გაატარეს პოლიტიკური რეფორმა, რომელმაც არაჩვეულებრივ უწყინრად ჩაიარა. მთელი მსოფლიო აქებდა მათ კეთილმართებული «ზომიერებისათვის», რომლითაც მათ ხელი მოჰკიდეს საქმეს რუსეთის საშინელი სოციალისტებისაგან განსხვავებით... 1908 წლის ოქტომბერში ხდება მთელი რიგი ამბები, და ყველა ამ ამბავს თურქეთის დაყოფისაკენ მივყევართ».

მართლაც, პირდაპირ ბალღობა იქნებოდა, ვისმე რომ დაეჯერებინა დიპლომატების სიტყვები და ანგარიში არ გაეწია მათი საქმეებისათვის, სახელმწიფოთა კოლექტიური გამოსვლისათვის რევოლუციური თურქეთის წინააღმდეგ. საკმარისია ერთმანეთს დავუპირისპიროთ ზოგიერთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების, ამ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრისა და მოლაპარაკების ფაქტი და შემდგომი ამბები, რათა გულუბრყვილო რწმენა დიპლომატების განცხადებებისადმი კვამლივით გაიფანტოს. აგვისტოსა და სექტემბერში, სწორედ ახალგაზრდა თურქული რევოლუციის შემდეგ და ავსტრიისა და ბულგარეთის დეკლარაციების გამოქვეყნების წინ, ჩვენ ვხედავთ, რომ ბ-ნი იზვოლსკი კარლსბადსა და მარიენბადში ხვდება ედუარდ

მეფეს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ კლემანსოს, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ-ერენტალი ზალცბურგში ხვდება იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიტონის, შემდეგ იზვოლსკი 15 სექტემბერს ბუხლოეში ხვდება ერენტალს, ბულგარეთის მთავარი ფერდინანდი ბუდაპეშტში ხვდება ფრანც-იოსებს, იზვოლსკი ხვდება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ფონ-შენს, შემდეგ ტიტონის და იტალიის მეფეს.

ეს ფაქტები თავისთავად მეტყველებენ. ავსტრიისა და ბულგარეთის გამოსვლის წ ი ნ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ა რ ს ე ბ ი თ ი უკვე მოჰახრაკებული იყო უაღრესად კონსპირაციულად და უშუალოდ, მეფეებისა და მინისტრების პირადი შეხვედრის დროს, ე ქ ვ ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს შ ო რ ი ს: რუსეთსა, ავსტრიასა, გერმანიასა, იტალიასა, საფრანგეთსა და ინგლისს შორის. შ ე მ დ ე გ გაზეთებში დაწყებული მითქმა-მოთქმა იმის გამო, მართალი თქვა თუ არა ერენტალმა, რომ იტალია, გერმანია და რუსეთი დათანხმდნენ, რომ ავსტრიამ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსია (შეერთება) მოახდინოსო, — ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ე ს ს უ ლ ე რ თ ი ა ნ ა დ კ ო მ ე დ ი ა ა, ს უ ლ ე რ თ ი ა ნ ა დ თ ვ ა ლ ი ს ა ხ ვ ე ვ ა ა, რაც მხოლოდ ლიბერალურ ფილისტერებს ატყუებს. ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის მესვეურებმა, იზვოლსკებმა, ერენტალებმა და გვირგვინოსანი ავაზაკების მთელმა ამ ბანდამ თავისი მინისტრებითურთ განზრახ გადაუგდეს ძვალი პრესას: ინებეთ, ბატონებო, და ერთმანეთს დაერიეთ იმის გამო, თუ ვინ ვის ატყუებს და ვინ ვის აწყენინებს — ავსტრია რუსეთს, თუ ბულგარეთი ავსტრიას და ა. შ., «პირველმა» ვინ «დაფხრიწა» ბერლინის ტრაქტატი[79], ვინ და როგორ ეკიდება სახელმწიფოთა კონფერენციის გეგმას და სხვა და ა. შ.. კეთილინებეთ, შეაქციეთ ამ საინტერესო და მნიშვნელოვანი — დიახ! უაღრესად მნიშვნელოვანი! — საკითხებით საზოგადოებრივი აზრი. ჩვენ სწორედ ეს გვესაჭიროება, რომ დავფაროთ უ მ თ ა ვ რ ე ს ი და ძ ი რ ი თ ა დ ი წინასწარ უკვე მიღწეული

შეთანხმება ძირითადში, ე. ი. ისეთ რამეებში, როგორიცაა გამოსვლა ახალგაზრდა თურქეთის რევოლუციის წინააღმდეგ, შემდგომი ნაბიჯები თურქეთის გასაყოფად, ამა თუ იმ საბაბით დარდანელის საკითხის გადასინჯვა, რუსეთის შავრაზმელი მეფისათვის ნების დართვა — ჩაახშოს სპარსეთის რევოლუცია. აი საქმის მთელი დედააზრი, აი ნამდვილად რა გვესაჭიროება ჩვენ, მთელი ევროპის რეაქციული ბურჟუაზიის ბელადებს, და აი რას ვაკეთებთ ჩვენ. ლიბერალური ყეყეჩები კი დაე მოჰყვნენ პრესასა და პარლამენტებში ლაყბობას იმის შესახებ, თუ რით დაიწყო, ვინ რა თქვა და საბოლოოდ რა საბაბით უნდა გაფორმდეს, ხელმოწერილი და ნაჩვენები იქნას მთელი მსოფლიოსათვის კოლონიური ძარცვისა და დემოკრატიულ მოძრაობათა ჩახშობის პოლიტიკაო.

ყველა დიდი ევროპული სახელმწიფოს ლიბერალური პრესა — გარდა ამჟამად ყველაზე უფრო «მაძღარი» ავსტრიის პრესისა — ახლა იმით არის გართული, რომ ბრალად სდებს თ ა ვ ი ს მთავრობას თ ა ვ ი ს ი ნაციონალური ინტერესების არასაკმაოდ დაცვას. თვითეული ქვეყნის ლიბერალები თავის ქვეყანას და თავის მთავრობას ისე გვიხატავენ, რომ ისინი ყველაზე უფრო მოუხერხებელნი არიან, რომ მათ ყველაზე ნაკლებად «გამოიყენეს» მდგომარეობა, რომ ისინი მოტყუებულნი დარჩნენ და სხვ. სწორედ ამ პოლიტიკას ეწევიან ჩვენებური კადეტებიც, რომლებიც უკვე დიდი ხანია იქამდე მივიდნენ, რომ ავსტრიის წარმატებანი მათ «შურსა» გვრის (სიტყვასიტყვით ასე ამბობს ბ-ნი მილიუკოვი). ლიბერალური ბურჟუების მთელი ეს პოლიტიკა საერთოდ და ჩვენებური კადეტების პოლიტიკა განსაკუთრებით ყველაზე საძაგელი თვალთმაქცობაა, პროგრესისა და თავისუფლების ნამდვილ ინტერესთა ყველაზე საზიზღარი გამცემლობა, ვინაიდან ასეთი პოლიტიკა, ჯერ-ერთი, აბნელებს ხალხის მასების დემოკრატიულ შეგნებას, რაკი რეაქციულ მთავრობათა შეთქმულებას ჩქმალავს; მეორე, იგი თვითეულ ქვეყანას უბიძგებს ეგრეთწოდებული აქტიური საგარეო პოლიტიკის გზისაკენ,

ე. ი. იწონებს კოლონიური ძარცვისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის საქმეებში სახელმწიფოთა ჩარევის სისტემას, ჩარევისა, რომელიც ყოველთვის რეაქციულია; მესამე, ეს პოლიტიკა პირდაპირ უწყობს ხელს რეაქციას, რაკი აინტერესებს ხალხებს იმით, თუ რამდენს მივიღებთ «ჩვენ», რამდენი შეგვხდება «ჩვენ» გაყოფის დროს, რამდენს დავათმობინებთ «ჩვენ». რეაქციული მთავრობებისათვის სწორედ ამჟამად არის ყველაზე მეტად საჭირო სწორედ ის, რომ მათ შეეძლოთ დაიმოწმონ «საზოგადოებრივი აზრი» თავის დაპყრობათა ან «კომპენსაციის» მოთხოვნათა და მისთანათა დასასაბუთებლად. შეხედეთ, ჩემი ქვეყნის პრესა ბრალად მდებს მეტისმეტ უანგარობას, ნაციონალური ინტერესების არასაკმაოდ დაცვას, დამთმობლობას, იგი ომს იმუქრება, მაშასადამე, ჩემი მოთხოვნები, როგორც უაღრესად «მცირენი და სამართლიანნი», სავსებით დაკმაყოფილებულ უნდა იქნანო!

რუსი კადეტების პოლიტიკა, ისევე როგორც ევროპელი ლიბერალური ბურჟუების პოლიტიკა, არის ლაქიობა რეაქციულ მთავრობათა წინაშე, არის კოლონიურ დაპყრობათა, ძარცვისა და სხვის საქმეებში ჩარევის დაცვა. კადეტების პოლიტიკა განსაკუთრებით მავნებელია იმიტომ, რომ იგი «ოპოზიციის» დროშით წარმოებს, და ამის გამო ძალიან ბევრს უბნევს გზაკვალს, ნდობას უნერგავს იმათ, ვისაც არაფერი სჯერა რუსეთის მთავრობისა, რყვნის მასების შეგნებას. ამიტომ ჩვენს დეპუტატებსაც სათათბიროში და ყველა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ არ შეიძლება არც ერთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა ბალკანეთის ამბების გამო სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეში ისე, რომ არ განვმარტოთ ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ტ რ ი ბ უ ნ ი დ ა ნ ა ც, ფურცლებშიც და კრებებზეც, თუ რა კ ა ვ შ ი რ ი არსებობს თვითმპყრობელობის რეაქციულ პოლიტიკასა და კადეტების თვალთმაქცურ ოპოზიციას შორის. არ შეიძლება განუმარტო ხალხს მეფის პოლიტიკის მთელი მავნეობა, მთელი რეაქციულობა ისე, თუ არ

განმარტე კადეტური საგარეო პოლიტიკის ი გ ი ვ ე ა რ ს ი. არ შეიძლება ებრძოლო შოვინიზმსა და შავრაზმელობას საგარეო პოლიტიკაში, თუ არ ებრძოლე კადეტების ფრაზებს, მანჭიობას, მიკიბ-მოკიბვას და იკლიკანტობას.

აი მაგალითი იმისა, თუ სადამდე მიჰყავს სოციალისტები ლიბერალური ბურჟუაზიის თვალსაზრისისადმი დამთმობლობას. ოპორტუნისტების ცნობილ ორგანოში «Sozialistische Monatshefte («სოციალისტური — ??? — ყოველთვიური») მაქს შიპელი წერს ბალკანეთის კრიზისის გამო: «პარტიის თითქმის ყველა მოაზროვნე წევრი შეცდომად ჩათვლიდა, თუ ჩვენს ბერლინის ცენტრალურ ორგანოში (ე. ი. «Vorwärts»-ში*) ამას წინათ ერთხელ კიდევ გამოთქმული აზრი გაიმარჯვებდა, სახელდობრ ის აზრი, რომ გერმანიას არაფერი აქვს საძებნი ბალკანეთის არც ახლანდელ, არც მომავალ გადატრიალებებშიო. გასაგებია, რომ ჩვენ არ უნდა ვესწრაფოდეთ ტერიტორიების შეძენას... მაგრამ უეჭველია, რომ სახელმწიფოთა ღიდი გადაჯგუფება ამ მხარეში, რომელიც ევროპის, მთელი აზიისა და აფრიკის ნაწილის მნიშვნელოვან შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს, მეტად უშუალოდ ეხება ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას... რუსული რეაქციული მაქინის ყოველგვარი რამდენადმე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჯერჯერობით სრულიად გამორიცხულია... ჩვენ საფუძველი არა გვაქვს... რუსეთის სახით ვხედავდეთ მტერს ყოველ შემთხვევაში და უეჭველ მტრად მიგვაჩნდეს იგი, როგორც მიაჩნდა მტრად 50-იანი წლების დემოკრატიას» (S. 1319).

ამ ჩერჩეტ ლიბერალს, რომელიც სოციალისტის ნიღაბით იფარება, ვერ შეუმჩნევია რუსეთის რეაქციული ინტრიგები «სლავ ძმებზე» «ზრუნვის საბურველ ქვეშ! როცა ამბობს: «ჩვენ» (გერმანიის ბურჟუაზიის სახელით), «ჩვენი» მდგომარეობაო და სხვა, ის ვერ ამჩნევს ვერც რუსეთის მახვილს ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის წინააღმდეგ, ვერც რუსეთის ნაბიჯებს სპარსეთის რევოლუციის წინააღმდეგ!

* — «წინ». რ ე დ.

მოყვანილი სიტყვები დაბეჭდილია 22 ოქტომბრით დათარიღებულ ჟურნალში. 18 (5) ოქტომბერს «ნოვოე ვრემიამ»[50] მოათავსა მჭუხარე სტატია იმის გამო, რომ «ანარქიამ თავრიზში არაჩვეულებრივ ფარგლებს მიაღწია», რომ ეს ქალაქი თითქოს «სანახევროდ დანგრეული და გაძარცულია ნახევრადველური რევოლუციონერების მიერ» რევოლუციის გამარჯვებამ შაჰის ჯარებზე თავრიზში, როგორც ხედავთ, მყისვე გამოიწვია რუსული ოფიციოზის გაცოფება, სპარსეთის რევოლუციური ჯარის მეთაური სათარ-ხანი ამ სტატიაში გამოცხადებულია «ადერბეიჯანელ პუგაჩოვად» (ადერბეიჯანი ანუ აზერბეიჯანი არის სპარსეთის ჩრდილო პროვინცია; ამ პროვინციის მთავარი ქალაქია თავრიზი; ამ პროვინციის მოსახლეობა, რეკლიუს მიხედვით, აღწევს სპარსეთის მთელი მოსახლეობის თითქმის 1/5-მდე). «კითხვა იბადება, — წერდა «ნოვოე ვრემია», — შეუძლია თუ არა რუსეთს უსასრულოდ ითმინოს მთელი ეს უმსგავსოება, რომელიც აჩანაგებს ჩვენს მილიონიან ვაჭრობას სპარსეთის საზღვარზე?... არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია და ადერბეიჯანი ეთნოგრაფიულად ერთ მთელს წარმოადგენენ. ამიერკავკასიის ნახევრად ინტელიგენტ თათრებს დავიწყებიათ, რომ ისინი რუსეთის ქვეშევრდომნი არიან; ისინი მხურვალე თანაგრძნობით მოეპყრნენ თავრიზის არეულობას და იქ თავის მოხალისეებს გზავნიან... ჩვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ძმიჯნავე ადერბეიჯანი დაწყნარებულ იყოს. რაც უნდა სამწუხარო იყოს ეს, გარემოებამ შეიძლება აიძულოს რუსეთი, მიუხედავად მთელი მისი სურვილისა, რომ არაფერში არ ჩაერიოს, თვითონ იკისროს ეს საქმე».

20 ოქტომბერს გერმანულ «ფრანკფურტის გაზეთს» დეპეშით აუწყებდნენ პეტერბურგიდან, რომ რუსეთისათვის «კომპენსაციად» ნავარაუდევია ადერბეიჯანის ოკუპაცია. 24 (11) ოქტომბერს იმავე გაზეთმა მოათავსა დეპეშა თავრიზიდან: «გუშინწინ რუსეთის ექვსი ბატალიონი ქვეითი ჯარი კავალერიისა და არტილერიის სა-

თანადო რაოდენობით გადავიდა სპარსეთის საზღვარს და თავრიზში დღეს ელიანო»

რუსეთის ჯარები სპარსეთის საზღვარს გადადიოდნენ სწორედ იმ დღეს, როდესაც მ. შიპელი მონასავით იმეორებდა ლიბერალური და პოლიციური პრესის დაპირებებს, ყმუილს და ეუბნებოდა გერმანელ მუშებს, რომ რუსეთის მნიშვნელობა, როგორც რეაქციული ახმახისა, წარსულს ჩაბარდა და რუსეთის სახით უეჭველად მტრის დანახვა შეცდომა არისო!

მოსალოდნელია სპარსელი რევოლუციონერების ახალი ხოცვა-ჟლეტა ნიკოლოზ პირსისხლიანის ჯარების მიერ. არაოფიციალურ ლიახოვს მოსდევს ადერბეიჯანის ოფიციალური ოკუპაცია და იმის განმეორება აზიაში, რაც მოიმოქმედა რუსეთმა ევროპაში 1849 წელს, როდესაც ნიკოლოზ I ჯარებს გზავნიდა უნგრეთის რევოლუციის წინააღმდეგ. მაშინ ევროპაში ბურჟუაზიულ პარტიებში ჯერ კიდევ იყო ნამდვილი დემოკრატია, რომელსაც უნარი შესწევდა ებრძოლნა თავისუფლებისათვის, და არა მარტო თვალთმაქცურად ელაყბა მასზე, როგორც ახლა იქცევა ყველა ბურჟუაზიული დემოკრატი. მაშინ რუსეთი ევროპელი ჟანდარმის როლს ასრულებდა ზოგიერთი ქვეყნის, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ევროპული ქვეყნის წინააღმდეგ. ახლა ევროპის ყველა უდიდესი სახელმწიფო, «წითელი» კლემანსოს «დემოკრატიული» რესპუბლიკის გამოუკლებლივ, სასიკვდილოდ დაშინებულია თავისი ქვეყნის დემოკრატიის ყოველგვარი გაფართოებით, როგორც ისეთი რამით, რაც პროლეტარიატისათვის სასარგებლოა, და ეხმარება რუსეთს აზიელი ჟანდარმის როლის შესრულებაში.

სრულიად უეჭველია, რომ რუსეთის, ავსტრიის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის სექტემბრის რეაქციული შეთქმულება შეიცავდა სპარსეთის რევოლუციის წინააღმდეგ რუსეთის «მოქმედების თავისუფლებას». სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმას, იყო ეს ჩაწერილი რაიმე საიდუმლო დოკუმენტში, რომელიც მრავალი

წლის შემდეგ დაიბეჭდება ისტორიული მასალების კრებულში, თუ ეს იზვოლსკიმ მხოლოდ უთხრა თავის ფრიად თავაზიან თანამოსაუბრეებს, ან თვითონ ამ მოსაუბრეებმა «გადაუკრეს სიტყვა», რომ აი ჩვენ «ოკუპაციიდან» გადავდივართ «ანექსიაზე», თქვენ კი, იქნებ, ლიახოვიდან გადახვიდეთ «ოკუპაციაზეო», ან კიდევ როგორმე სხვანაირად, — ყოველივე ამას ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს. არსებითია ის, რომ, რაც უნდა ნაკლებად იყოს გაფორმებული სახელმწიფოთა სექტემბრის კონტრრევოლუციური შეთქმულება, ეს შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა ფ ა ქ ტ ი ა და მისი მნიშვნელობა დღითიდღე სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება. ეს არის შეთქმულება პროლეტარიატის წინააღმდეგ და დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს არის შეთქმულება იმ მიზნით, რომ პირდაპირ ჩაახშონ რევოლუცია აზიაში ან არაპირდაპირ დაარტყან ამ რევოლუციას. ეს არის შეთქმულება იმ მიზნით, რომ განაგრძონ კოლონიური ძარცვა და ტერიტორიების დაპყრობა დღეს ბალკანეთში, ხვალ სპარსეთში, ზეგ, იქნებ, მცირე აზიაში, ეგვიპტეში და ა. შ. და ა. შ.

გვირგვინოსანი ავაზაკებისა და საერთაშორისო კაპიტალის ამ გაერთიანებული ძალის დამხობა მხოლოდ პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციას შეუძლია. ყველა სოციალისტური პარტიის საჭირბოროტო ამოცანაა გააძლიერონ აგიტაცია მასებში, ნიღაბი ჩამოჰგლიჯონ ყველა ქვეყნის დიპლომატების თამაშს და თვალსაჩინოდ, ნათლად ცხადყონ ყველა ფაქტი, რომლებიც მოწმობენ ყ ვ ე ლ ა მ ო კ ა ვ შ ი რ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს საზიზღარ როლს, თანაბრად ყველასი, როგორც ჟანდარმის ფუნქციების უშუალო შემსრულებლების, ისე ამ ჟანდარმის ხელშემწყობთა, მეგობართა და ფინანსისტთა როლს.

რუს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს სათათბიროში, — სადაც მოელიან იზვოლსკის გამოსვლასაც და კადეტ-ოქტიაბრისტების შეკითხვასაც, — ახლა ეკისრებათ უაღრესად მძიმე, მაგრამ ამავე დროს უაღრესად მაღალი, დიდი მოვალეობა. ისინი არიან წევრები დაწესებულებისა, რომელიც ფარავს

მთავარი რეაქციული სახელმწიფოს, კონტრრევოლუციის მთავარი შეთქმულის პოლიტიკას, მათ უნდა ჰპოვონ უნარი და მამაცობა თქვან მთელი სიმართლე. ისეთ მომენტში, როგორც ახლანდელი მომენტია, შავრაზმული სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს ბევრი რამ აქვთ მინიჭებული, მაგრამ ბევრიც მოეთხოვებათ, ვინაიდან მათ გარდა არავინაა, რომ სათათბიროში ხმა აღიმაღლოს ცარიზმის წინააღმდეგ არა ოქტიაბრისტულ-კადეტური თვალსაზრისით. კადეტთა «პროტესტი» კი ამგვარ დროს და ამგვარ გარემოებაში უარესია, ვიდრე არაფრის თქმა, რადგან ეს შეიძლება იყოს პროტესტი მხოლოდ იმავე კაპიტალისტური მგლების ხროვიდან იმავე მგლური პოლიტიკის გულისათვის.

დაე შეუდგნენ მუშაობას სათათბიროს ჩვენი ორგანიზაციაც და ჩვენი ყველა დანარჩენი პარტიული ორგანიზაციაც. მასებში აგიტაციას ახლა ასკეცად მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ჩვეულებრივ დროს. ამასთან სამი გარემოება უნდა წამოვწიოთ წინ მთელ ჩვენს პარტიულ აგიტაციაში. ჯერ-ერთი, წინააღმდეგ მთელი რეაქციული და ლიბერალური პრესისა, დაწყებული შავრაზმელებითა და გათავებული კადეტებით, სოციალ-დემოკრატია ნიღაბს ხდის დიპლომატიურ თამაშს, რაც წარმოებს სახელმწიფოთა კონფერენციების, შეთანხმების სახით, ინგლისთან ავსტრიის საწინააღმდეგო ან ავსტრიასთან გერმანიის საწინააღმდეგო კავშირის ან რომელიმე სხვა კავშირის სახით. ჩვენი საქმეა ცხადვყოთ სახელმწიფოთა რეაქციული შეთქმულების ფაქტი, რომელიც უკვე მოხდა, რომლის დაფარვასაც მთავრობები მთელი ძალღონით ცდილობენ უფრო აშკარა მოლაპარაკების კომედიით. ვიბრძოლოთ დიპლომატიური კომედიების წინააღმდეგ, განვუმარტოთ ხალხს სიმართლე, ვამხილოთ საერთაშორისო ანტიპროლეტარული რეაქცია! მეორე, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ამ შეთქმულების რეალური, და არა სიტყვიერი ნაყოფი და შედეგები: ლახვრის ჩაცემა თურქეთის რევო-

ლუციისათვის — ხელის შეწყობა რუსეთისათვის სპარსეთის რევოლუციის ჩახშობის საქმეში — სხვის საქმეებში ჩარევა და დემოკრატიის ძირითადი პრინციპის, ერთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევა. ჩვენი პროგრამა, ისე როგორც მსოფლიოს ყველა სოციალ-დემოკრატიის პროგრამა, იცავს ამ უფლებას. და არა არის რა იმაზე უფრო რეაქციული, ვიდრე, ერთი მხრივ, ავსტრიელების, მეორე მხრივ, რუსი შავრაზმელების ზრუნვა «მოძმე სლავებზე». ეს «ზრუნვა» ფარავს უაღრესად საზიზღარ ინტრიგებს, რომლებითაც ძველთაგანვე გაითქვა სახელი რუსეთმა ბალკანეთში. ეს «ზრუნვა» ყოველთვის გამოიხატება ნ ა მ დ ვ ი ლ ი დემოკრატიზმის ხელყოფით ბალკანეთის ამა თუ იმ ქვეყანაში. სახელმწიფოთა ერთადერთი გულწრფელი «ზრუნვა» ბალკანეთის ქვეყნების მიმართ შეიძლება მდგომარეობდეს ერთ და მხოლოდ ერთ რამეში: დაანებონ თავი, არ გაუმწარონ სიცოცხლე უცხოელთა ჩარევით, ნუ სდებენ სარმას თურქეთის რევოლუციას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიისაგან როდი უნდა მოელოდეს მუშათა კლასი ასეთ პოლიტიკას!

ყველა ბურჟუაზიული პარტია — თვით უაღრესად ლიბერალურნი და «დემოკრატიულნი» სახელწოდებით, მათ შორის ჩვენებური კადეტებიც — კაპიტალისტური საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისზე დგას. ეს არის მესამე გარემოება, რომელზედაც სოციალ-დემოკრატიამ განსაკუთრებით ენერგიულად უნდა მიუთითოს. ლიბერალები და კადეტების პარტია არსებითად მხარს უჭერენ კაპიტალისტური ერების იმავე მეტოქეობას, ოღონდ, შავი რაზმისაგან განსხვავებით, ხაზს უსვამენ ამ მეტოქეობის სხვა ფორმებს, ცდილობენ მიაღწიონ სხვანაირ საერთაშორისო შეთანხმებებს, ვიდრე ის შეთანხმებებია, რომლებსაც ახლა ეყრდნობა მთავრობა. და ეს ლიბერალური ბრძოლა ბურჟუაზიული საგარეო პოლიტიკის ერთი სახეობის წინააღმდეგ ასეთივე პოლიტიკის სხვა სახეობისათვის, ეს ლიბერალური საყვედურები მთავრობის მიმართ იმის გამო, რომ იგი სხვებს ჩამორჩება (ძარ-

ცვისა და ჩარევის საქმეში!), უაღრესად გამხრწნელ გავლენას ახდენენ მასებზე. ძირს ყოველგვარი კოლონიური პოლიტიკა, ძირს მთელი პოლიტიკა ჩარევისა და კაპიტალისტური ბრძოლისა სხვისი მიწისათვის, უცხო მოსახლეობისათვის, ახალი პრივილეგიებისათვის, ახალი ბაზრებისათვის, სრუტეებისათვის და სხვა! სოციალ-დემოკრატია არ იზიარებს «მშვიდობიანი და სამართლიანი» კაპიტალისტური პროგრესის სულელურ მეშჩანურ უტოპიას! სოციალ-დემოკრატია იბრძვის მთელი კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ, რადგან მან იცის, რომ ქვეყნად არ არსებობს მშვიდობისა და თავისუფლების სხვა დამცველი, გარდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატისა.

P. S. * მას შემდეგ, რაც ეს სტატია დასაბეჭდათ გადაეცა სტამბას, გაზეთებში გამოქვეყნდა პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს დ ე პ ე შ ა თ ა ს ა ა გ ე ნ ტ ო ს დეპეშა, რომელიც უარყოფს იმ ცნობას, რომ რუსეთის ჯარები სპარსეთის საზღვარს გადავიდნენო. ეს დეპეშა მოთავსებულია 24 ოქტომბრის «Frankfurter Zeitung»-ში **, მეორე, დილის გამოცემაში. მ ე-3 გამოცემაში დაბეჭდილია კონსტანტინეპოლიდან 24 ოქტომბერს, ს ა ღ ა მ ო ს 10 საათსა და 50 წუთზე გამოგზავნილი დეპეშა. ამ დეპეშაში ნათქვამია: 24 ოქტომბერს, საღამოს, კონსტანტინეპოლში შეიტყეს, რომ რუსეთის ჯარები სპარსეთის საზღვარს გადავიდნენო. საზღვარგარეთის პრესა, გარდა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა, ჯერჯერობით სდუმს რუსეთის ჯარების სპარსეთში შესევის შესახებ.

დასკვნა: მთელი სიმართლის საბოლოოდ გაგება ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია. ყოველ შემთხვევაში «უარყოფანი», რომლებიც მომდინარეობენ მეფის მთავრობისაგან და ·ს ა ნ კ ტ-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს დ ე პ ე შ ა თ ა ს ა ა გ ე ნ ტ ო დ ა ნ რათქმა უნდა, არავითარი ნდობის ღირსი არ

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

** — «ფრანკფურტის გაზეთი». რ ე დ.

არის. რუსეთი რომ სახელმწიფოთა დასტურით იბრძვის სპარსეთის რევოლუციის წინააღმდეგ მთელი საშუალებებით, ინტრიგებით დაწყებული და ჯარების გაგზავნით გათავებული, ეს ფაქტია. ის რომ აწარმოებს აზერბეიჯანის საოკუპაციო პოლიტიკას, ესეც უეჭველია. თუ ჯარები ჯერ კიდევ არ გადასულან საზღვარს, საამისოდ, ალბათ, ყოველი ზომაა მიღებული: კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება.

«პროლეტარი» № 37,
1908 წ. 16 (29) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია ხელნაწერთან.

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა [81]

კვირას, 11 ოქტომბერს ახალი სტილით, ბრიუსელში შესდგა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს პირველი სხდომა შტუტგარტის კონგრესის შემდეგ. ამასთან სხვადასხვა სოციალისტური პარტიის წარმომადგენელთა თავმოყრა შერჩეული იყო როგორც მარჯვე მომენტი სოციალისტი ჟურნალისტებისა და პარლამენტარების კონფერენციებისათვის. პირველი კონფერენცია შესდგა ბიუროს კრების წინახანს, შემდეგი კონფერენცია კი კრების მეორე დღეს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კონფერენციის შემადგენლობა თითქმის არ განსხვავდებოდა ბიუროს შემადგენლობისაგან: ბიუროს წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ ჟურნალისტებიც და პარლამენტარებიც. მხოლოდ რამდენიმე ბელგიელმა სოციალისტ-დეპუტატმა შეავსო კონფერენციის შემადგენლობა ორშაბათს, 12 ოქტომბერს.

ჟურნალისტების კონფერენცია შესდგა შაბათს, დღის 3 საათზე. განიხილეს სხვადასხვა სოციალისტური პარტიის პერიოდულ ორგანოთა ურთიერთობის მოწესრიგებისა და განვითარების საკითხი. ბელგიელებმა შეადგინეს იმ კორესპონდენტების სია თავიანთი პარტიის წევრთა რიცხვიდან, რომლებიც მზად არიან მიაწოდონ ცნობები სხვა პარტიების ორგანოებს ამა თუ იმ (უმთავრესად) საკითხზე. გამოითქვა სურვილი რომ ასეთივე სიები შეადგინონ სხვა პარტიებმაც, ამასთან საჭიროდ იქნა ცნობილი აღინიშნოს, თუ რა ენა იცის კორეს-

პონდენტმა. საზღვარგარეთის ბიულეტენები სოც.-რევოლუციონერების პარტიისა («რუსსკაია ტრიბუნა» ფრანგულ ენაზე) და სოციალ-დემოკრატებისა (გერმანულ ენაზე [82]) აღინიშნა, როგორც განსაკუთრებით სასარგებლო გამოცემანი ჩვენი უცხოელი ამხანაგებისათვის. მითითებულ იქნა აგრეთვე, რომ იმ ქვეყნებისათვის, სადაც არსებობს სხვადასხვა სოციალისტური პარტია ან სხვადასხვა მიმართულება ერთ პარტიაში, კორესპონდენტთა სიებში უნდა აღინიშნოს, თუ რა პარტიას ეკუთვნიან ისინი, და ა. შ.. საზღვარგარეთ მცხოვრებმა რუსმა სოციალ-დემოკრატებმა უნდა გამოიყენონ ეს საერთაშორისო კონფერენცია უცხოეთის სოციალისტურ ორგანოებში კორესპონდენციების მოთავსების საქმის უფრო სწორად მოგვარებისათვის.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო სოციალისტური ბიურო დაუკავშირდება იმ ერებს, რომლებსაც ყოველდღიური სოციალისტური გაზეთები არა აქვთ, რეგულარული ბიულეტენების გამოცემის საკითხზე (ბიულეტენები გამოიცემა ინტერნაციონალის სამი ოფიციალური ენიდან ერთ-ერთ ენაზე, ან სამივე ამ ენაზე: ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად). შემდეგ ბიურო შეეკითხება სხვადასხვა ქვეყნის ყოველდღიური სოციალისტური გაზეთების რედაქციებს, თუ რა თანხის გაღებას იკისრებენ ისინი ასეთი ბიულეტენების წესიერად მიღებისათვის.

ამ გადაწყვეტილებას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურომ [83] განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ჩვენი უცხოელი ამხანაგებისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გაცნობის საქმე სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული, და ამ საქმის მოწესრიგების, საზღვარგარეთ სამ ენაზე პ ა რ ტ ი უ ლ ი ბიულეტენის გამოცემის საკითხი დაუყოვნებლივ უნდა განვიხილოთ სერიოზულად და ყოველივე შესაძლებელი უნდა გავაკეთოთ ასეთი გეგმის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

შემდეგ, განხილულ იქნა ბიუროს მდივნის კ. გიუისმანსის წინადადება იმის შესახებ, რომ გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც 70 ყოველდღიური პარტიული ორგანო აქვთ, ითავონ და შექმნან ბერლინის, ვენის, პარიზის, ბრიუსელისა და სხვათა სოციალისტური გაზეთების რედაქციების სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირის საერთაშორისო ბიურო. გერმანელმა დელეგატებმა შეუძლებლად მიიჩნიეს ამ გეგმის დაუყოვნებლივ განხორციელება, მაგრამ აღნიშნეს, რომ გერმანიაში ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური საინფორმაციო ბიურო და დროთა განმავლობაში, როცა ეს საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგება, შესაძლებელი გახდება ვიფიქროთ იმაზე, რომ იგი საერთაშორისო ბიუროდ იქნას გადაქცეულიო. კონფერენცია ამ დაპირებით დაკმაყოფილდა, და სხდომა დაიხურა მას შემდეგ, რაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება — კვლავაც შეეთავსოს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომები სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტი ჟურნალისტების კონფერენციებს.

საღამოს «**Maison du Peuple**»-ში * შესდგა საერთაშორისო მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს ავსტრიის, გერმანიის, ინგლისის, თურქეთისა და ბულგარეთის დელეგატებმა — უმთავრესად საერთაშორისო კონფლიქტების თემაზე და ყველა ქვეყნის სოციალისტური პროლეტარიატის ბრძოლაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მიტინგი დამთავრდა იმით, რომ ერთხმად იქნა მიღებული ასეთი შინაარსის რეზოლუცია: «საერთაშორისო მიტინგი, შეკრებილი 10 ოქტომბერს (ახალი სტილით) «**Maison du Peuple**»-ში, ერთხელ კიდევ ადასტურებს მსოფლიო პროლეტარიატის ენერგიულ გადაწყვეტილებას დაიცვას მშვიდობა ერებს შორის და მთელი ძალღონით იბრძოლოს კაპიტალისტური მილიტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც აჩანაგებს და ჩაგრავს ყველა ხალხს. მიტინგი გამოთქვამს

* — «ხალხის სახლში». რ ე დ.

რწმენას, რომ მუშათა ინტერნაციონალის სხვადასხვა ნაციონალური განყოფილებანი სავსებით გამოიყენებენ ამ საკითხზე საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მიერ შტუტგარტში მიღებულ გადაწყვეტილებას». კრება დაიშალა «ინტერნაციონალის» სიმღერით.

შემდეგი დღე მთლიანად მოხმარდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომას. დღის წესრიგის პირველ საკითხს, — ინგლისის «მუშათა პარტიის» (Labour Party) დაშვების შესახებ — მოუნდა მთელი დილის სხდომა. საქმე ის არის, რომ ინტერნაციონალის წესდებით მის წევრებად შეიძლება იყვნენ, ჯერ-ერთი, სოციალისტური პარტიები, რომლებიც სცნობენ კლასობრივ ბრძოლას, და, მეორე, მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც დგანან კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე (ე. ი. პროფესიული კავშირები). ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისის თემთა პალატაში შექმნილი «მუშათა პარტია» თავისთავს აშკარად არ უწოდებს სოციალისტურს და გადაჭრით და გარკვევით არა სცნობს კლასობრივი ბრძოლის პრინციპს (რასაც, ვიტყვით ფრჩხილებში, მოითხოვენ ამ პარტიისაგან ინგლისელი სოციალ-დემოკრატები). მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ინტერნაციონალში საერთოდ და შტუტგარტის სოციალისტურ კონგრესზე კერძოდ ეს «მუშათა პარტია» დაშვებულ იქნა, რადგან არსებითად ეს პარტია არის შერეული ტიპის ორგანიზაცია, რომელიც დგას იმ ორ ტიპს შუა, რაც განსაზღვრულია ინტერნაციონალის წესდების 1-ლ და მე-2 მუხლში, — და წარმოადგენს ინგლისის ტრედუნიონების პოლიტიკურ წარმომადგენლობას. მიუხედავად ამისა, ამ პარტიის დაშვების საკითხი აღიძრა და იგი აღძრა თვითონ მან ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» სახით (Independent Labour Party, აი-ელ-პი, როგორც ინგლისელები ამბობენ), რომელიც შეადგენს ინტერნაციონალის ბრიტანეთის სექციის ერთ-ერთ ქვესექციას ორი ქვესექციიდან. მეორე ქვესექციას შეადგენს «ს.-დ. ფედერაცია».

«დამოუკიდებელი მუშათა პარტია» მოითხოვდა პ ი რ დ ა-პ ი რ აღიარებას, რომ «მუშათა პარტია» შედის ინტერნაციონალში. მისი დელეგატი, ბრუს გლეიზიერი (Bruce Glazier) ხაზგასმით აღნიშნავდა ასეული ათასობით ორგანიზებული მუშების ამ საპარლამენტო წარმომადგენლობის უდიდეს მნიშვნელობას, ხოლო ეს მუშები სულ უფრო და უფრო გარკვევით მიდიან სოციალიზმისკენაო. პრინციპები, ფორმულები, კატეხიზმო მან მეტად ათვალწუნებით მოიხსენია. მას უპასუხა კაუცკიმ, რომელიც გაემიჯნა სოციალიზმის პრინციპებისა და საბოლოო მიზნის ათვალწუნებით შეფასებას, მაგრამ მთლიანად დაუჭირა მხარი «მუშათა პარტიის» დაშვებას, როგორც ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც სინამდვილეში კლასობრივ ბრძოლას ეწევა. კაუცკიმ წამოაყენა ასეთი შინაარსის რეზოლუცია:

«იღებს რა მხედველობაში საერთაშორისო კონგრესების წინანდელ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც შესაძლებლად მიაჩნიათ ყველა ორგანიზაციის დაშვება, თუ კი იგი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე დგას და პოლიტიკურ ბრძოლას სცნობს, — საერთაშორისო ბიურო აცხადებს, რომ ინგლისის «მუშათა პარტია» დაიშვება საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზე, რადგან იგი, პირდაპირ არ სცნობს რა (ausdrücklich) პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლას, ნამდვილად მაინც ეწევა მას და დგება მის ნიადაგზე თვითონ თავისი ორგანიზაციით, რომელიც დამოუკიდებელია ბურჟუაზიული პარტიებისაგან». კაუცკის მხარეზე იყვნენ ავსტრიელები, ფრანგებიდან — ვალიანი და, როგორც კენჭისყრამ ცხადყო, პატარა ერების უმრავლესობა. წინააღმდეგი იყვნენ უწინარეს ყოვლისა გაინდმანი, ინგლისის «ს.-დ. ფედერაციის» წარმომადგენელი, რომელიც მოითხოვდა, რათა საქმე ძველ მდგომარეობაში დარჩენილიყო, ვიდრე «მუშათა პარტია» პირდაპირ არ აღიარებს კლასობრივი ბრძოლის პრინციპს და სოციალიზმს, — შემდეგ რუსელი (გედისტი ქალი, საფრანგეთის მეორე დელეგატი), რუბანოვიჩი, სოც.-რევოლუცი-

ონერთა პარტიისგან, და ავრამოვი, ბულგარელ სოციალისტთა რევოლუციური ფრაქციის დელეგატი.

მე ავიღე სიტყვა, რომ შევერთებოდი კაუცკის რეზოლუციის პირველ ნაწილს. შეუძლებელია არ იქნას დაშვებული «მუშათა პარტია», ე. ი. ტრედუნიონების წარმომადგენლობა პარლამენტში, რაკი კონგრესებმა წინათ უკვე დაუშვეს საერთოდ ყველა ტრედუნიონი, ისეთებიც კი, რომელნიც თავიანთ წარმომადგენლობას ბურჟუაზიულ პარლამენტარებს გადასცემდნენ. მაგრამ მართებული არ არის, ვთქვი მე, კაუცკის რეზოლუციის მეორე ნაწილი, რადგან ს ა ქ მ ი თ «მუშათა პარტია» არ არის ლიბერალებისაგან ნამდვილად დამოუკიდებელი და არ აწარმოებს საკუთარი დამოუკიდებელ კლასობრივ პოლიტიკას-მეთქი. ამიტომ მე წარვადგინე შესწორება: ითქვას რეზოლუციის ბოლოში, დაწყებული სიტყვებიდან «რადგან»: — «რადგან იგი («მუშათა პარტია») წარმოადგენს ინგლისის ნამდვილად პროლეტარული ორგანიზაციების პირველ ნაბიჯს შეგნებული კლასობრივი პოლიტიკისაკენ და ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მუშათა პარტიისაკენ». ეს შესწორება მე შევიტანე ბიუროში. კაუცკიმ არ მიიღო ჩემი შესწორება და თავის შემდგომ სიტყვაში განაცხადა, რომ «მოლოდინის» საფუძველზე საერთაშორისო ბიუროს არ შეუძლია გადაწყვეტილებანი მიიღოსო. მაგრამ მთავარი ბრძოლა წარმოებდა კაუცკის საერთოდ მთელი რეზოლუციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. კენჭისყრისას ადლერმა წამოაყენა წინადადება — გაეყოთ რეზოლუცია ორ ნაწილად, და ორივე მიღებულ იქნა საერთაშორისო ბიუროს მიერ, პირველი ნაწილი — 3 ხმის წინააღმდეგ, ამასთან ერთმა თავი შეიკავა, მეორე ნაწილი — 4 ხმის წინააღმდეგ, ხოლო ერთმა თავი შეიკავა. ამრიგად, კაუცკის რეზოლუცია ბიუროს გადაწყვეტილება გახდა. ორივე კენჭისყრაში თავი შეიკავა რუბანოვიჩმა. აღვნიშნავ კიდევ, რომ ვიქტორ ადლერმა, რომელმაც ილაპარაკა ჩემს შემდეგ და კაუცკის მეორე სიტყვამდე, ასე მიპასუხა: — მომყავს ბელ-

გიის სოციალისტური ორგანოს «Le Peuple»-ს * ანგარიშის მიხედვით, რამდენადაც ეს გაზეთი იძლეოდა სხდომების ყველაზე უფრო დაწვრილებითსა და ზუსტ ანგარიშებს, — ლენინის წინადადება მიმზიდველია (séduisante, — ადლერმა თქვა: «verlockend, მაცთუნებელია), მაგრამ იგი ვერ დაგვავიწყებს იმ ფაქტს, რომ «მუშათა პარტია» ბურჟუაზიული პარტიების გარეთ დადგა. ჩვენი საქმე არ არის ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ გააკეთა ეს მან. ვაღიარებთ პროგრესის ფაქტს».

ასეთი იყო კამათი საერთაშორისო ბიუროში აღნიშნულ საკითხზე. ახლა ნებას მივცემ ჩემს თავს უფრო დაწვრილებით შევჩერდე ამ კამათზე, რათა «პროლეტარის» მკითხველებს ავუხსნა ჩემი პოზიცია. ვ. ადლერისა და კ. კაუცკის მოსაზრებებმა მე ვერ დამარწმუნეს, და მე კვლავ არასწორად ვთვლი მათ. კაუცკიმ, როცა ის თავის რეზოლუციაში ამბობს, რომ «მუშათა პარტია» «პირდაპირ არ სცნობს პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლასაო», უეჭველია, გამოთქვა ერთგვარი «მოლოდინი», ერთგვარი «მსჯელობა» იმის შესახებ, თუ როგორია «მუშათა პარტიის» პოლიტიკა ახლა და როგორი უნდა იყოს იგი. მაგრამ კაუცკიმ ეს გამოთქვა ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ, ამასთან ისე, რომ გამოვიდა, ჯერ-ერთი, არსებითად არასწორი მტკიცება და, მეორეც, ისეთი მტკიცება, რომელიც საბაბს იძლევა, რომ კაუცკის ა ზ რ ი მრუდედ იქნას გაგებული. ინგლისის «მუშათა პარტია», როცა იგი შორდება პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ შ ი (არა არჩევნებში! არა მთელ თავის პოლიტიკაში! არა თავის პროპაგანდასა და აგიტაციაში!) ბურჟუაზიულ პარტიებს, ამით პირველ ნაბიჯს რომ დგამს სოციალიზმისაკენ და პროლეტარული მასობრივი ორგანიზაციების კლასობრივი პოლიტიკისაკენ, ეს უდავოა. ეს «მოლოდინი» კი არ არის, არამედ ფაქტია. ეს სწორედ ის ფაქტია, რომელიც გვიკარნახებს მივიღოთ ინტერნაციონალში «მუშათა პარტია», რაკი ჩვენ მასში ტრედუნიონები მივიღეთ. ბოლოს, სწორედ ასეთი ფორმულირება აიძულებდა ასეულ ათასობით ინგლისელ მუშებს,

* — «ხალხი». რ ე დ.

რომელნიც უეჭველად პატივს სცემენ ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებს, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამხდარან სოციალისტები, ერთხელ კიდევ ჩაფიქრებოდნენ იმას, თუ რატომ მიაჩნიათ, რომ მათ მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადადგეს, და როგორი უნდა იყოს შემდგომი ნაბიჯები ამ გზაზე. ჩემს ფორმულირებაში ნასახიც არ არის იმის პრეტენზიისა, რომ ინტერნაციონალმა იკისროს და გადაწყვიტოს ნაციონალური მუშათა მოძრაობის კონკრეტული და დეტალური საკითხები, იკისროს და განსაზღვროს, თუ სახელდობრ როდის და სახელდობრ რა შემდგომი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ხოლო შემდგომი ნაბიჯების გადადგმა რომ საერთოდ საჭიროა, ეს არ შეიძლება არ აღვიაროთ იმ პარტიის მიმართ, რომელიც პირდაპირ და ნათლად არ იღებს კლასობრივი ბრძოლის პრინციპს. ეს არაპირდაპირ აღიარა კაუცკიმ თავის რეზოლუციაში ნაცვლად იმისა, რომ ეს პირდაპირ ეღიარებინა. ისე გამოვიდა, თითქოს ინტერნაციონალი თავდებობს იმას, რომ «მუშათა პარტია» ნამდვილად ეწევა თანამიმდევარ კლასობრივ ბრძოლას, თითქოს საკმარისია ცალკეულ მუშათა ჯგუფად გამოიყოს პარლამენტში მუშათა ორგანიზაცია, რომ ის მთელ თავის მოქმედებაში ბურჟუაზიისაგან დამოუკიდებელი გახდეს.

უეჭველია, გაინდმანმა, რუსელმა, რუბანოვიჩმა და ავრამოვმა ამ საკითხში კიდევ უფრო უმართებულო პოზიცია დაიკავეს (რომელიც კი არ გამოასწორა, არამედ არივდარია რუბანოვიჩმა იმით, რომ თავი შეიკავა რეზოლუციის ორივე ნაწილის კენჭის ყრის დროს). როდესაც ავრამოვმა თქვა, რომ «მუშათა პარტიის» დაშვება ოპორტუნიზმის წაქეზებას ნიშნავსო, ეს აშკარად შემცდარი აზრი იყო. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ენგელსის წერილი ზორგესადმი. მთელი რიგი წლების განმავლობაში ენგელსი დაჟინებით აღნიშნავს, რომ ინგლისელი სოციალ-დემოკრატები გაინდმანის მეთაურობით შეცდომას სჩადიან, როცა სექტანტურად იქცევიან, როცა უნარს ვერ იჩენენ მიემხრონ ტრედუნიონების შეუცნობელ, მაგრამ

მძლავრ კლასობრივ ინსტინქტს და «დოგმად» აქცევენ მარქსიზმს, მაშინ როდესაც იგი უნდა იყოს «მოქმედების სახელმძღვანელო» [84]. როცა არის ობიექტური პირობები, რომლებიც აფერხებენ პროლეტარული მასების პოლიტიკური შეგნებულობისა და კლასობრივი დამოუკიდებლობის ზრდას, უნდა შეგვეძლოს მოთმინებით, დინჯად ვიმუშაოთ მათთან ხელიხელჩაკიდებით, არაფერი დავთმოთ ჩვენს პრინციპებში, მაგრამ არც უარი ვთქვათ პროლეტარული მასების შუაგულში მუშაობაზეო. ენგელსის ეს გაკვეთილები დადასტურებულია მოვლენების შემდგომი განვითარებით, როდესაც ინგლისის ტრედუნიონები, — კარჩაკეტილნი, არისტოკრატიულნი, მეშჩანურად ეგოისტურნი, სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილნი, წარმომშობნი მუშათა კლასის მთელი რიგი აშკარა გამცემლებისა, რომლებიც ბურჟუაზიას მიეყიდნენ სამინისტრო ადგილებისათვის (მაგალითად, არამზადა ჯონ ბერნსი), — მაინც უახლოვდებიან სოციალიზმს, ბორძიკით, არათანმიმდევრად, მრუდედ, მაგრამ მაინც უახლოვდებიან სოციალიზმს. ინგლისის მუშათა კლასში რომ ახლა სოციალიზმი სწრაფად იზრდება, სოციალიზმი რომ ამ ქვეყანაში კვლავ მასობრივი მოძრაობა ხდება, სოციალური რევოლუცია რომ ახლოვდება დიდ ბრიტანეთში, — ამას მხოლოდ ბრმები ვერ დაინახავენ.

ინტერნაციონალი უეჭველად უმართებულოდ მოიქცეოდა, თუ პირდაპირ და გადაჭრით არ გამოხატავდა თავის სრულ თანაგრძნობას ინგლისის მასობრივი მუშათა მოძრაობის ამ უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯისადმი, თუ არ წაახალისებდა კაპიტალიზმის აკვანში დაწყებულ დიად შემობრუნებას. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შესაძლებელი იყოს ნამდვილად უკვე ახლა ვცნოთ «მუშათა პარტია» ბურჟუაზიისგან დამოუკიდებელ პარტიად, რომელიც კლასობრივ ბრძოლას ეწევა, ვცნოთ სოციალისტურ პარტიად და ა. შ.. უნდა გასწორებულიყო ინგლისის «ს.-დ. ფედერაციის» ერთი უეჭველი შეცდომა, მაგრამ არ უნდა შეექმნათ თუნდაც მოჩ-

ვენება იმისა, რომ აქეზებენ ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ხელმძღვანელი ინგლისელი ოპორტუნისტების სხვა, უეჭველ, არანაკლებ მნიშვნელოვან შეცდომებს. ეს ხელმძღვანელები რომ ოპორტუნისტები არიან, ეს უდავოა. რ. მაკდონალდი, I. L. P.-ის (აი-ელ-პი)· ბელადი, შტუტგარტში წინადადებასაც კი იძლეოდა, ინტერნაციონალის წესდების მეორე მუხლი იმგვარად შეეცვალათ, რომ კლასობრივი ბრძოლის აღიარების ნაცვლად მოეთხოვათ მუშათა კავშირების მხოლოდ კეთილსინდისიერება (bona fides) ინტერნაციონალში შესასვლელად· კაუცკიმ თვითონ მაშინვე შენიშნა ბროს გლეიზიერის სიტყვებში ოპორტუნისტული ჰანგები და გაემიჯნა მას — ბიუროში წარმოთქმულ თავის სიტყვაში, მაგრამ, სამწუხაროდ, არა თავის რეზოლუციაში. ბიუროში სიტყვა ათიოდე პირისათვის ითქვა. რეზოლუცია კი მილიონებისათვის არის დაწერილი.

ჩემს წინაშე ძევს ინგლისური სოციალიზმის ორივე მიმართულების გაზეთები, რომლებიც შეიცავენ საერთაშორისო ბიუროს სხდომის შეფასებას. «დამოუკიდებელი (ჰმ! ჰმ!) მუშათა პარტიის» ორგანო, «Labour Leader» * აღტაცებულია დაპირდაპირ ეუბნება ათეულ ათასობით ინგლისელ მუშას, რომ საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ არათუ სცნო «მუშათა პარტია» (ეს მართალია და ეს საჭიროც იყო), არამედ «სცნო აგრეთვე I. L. P.-ის პოლიტიკა» («Labour Leader», Oct. 16, 1908, p. 665). ეს მართალი არ არის. ეს ბიუროს არ უცვნია. ეს არის კაუცკის რეზოლუციის მცირე უხერხულობის უკანონო ოპორტუნისტული განმარტება. მცირე უხერხულობას უკვე მოაქვს საკმაოდ დიდი ნაყოფი. ამას ემატება კიდევ ცუდი თარგმანი: ტყუილად კი არ ამბობენ იტალიელები, რომ მთარგმნელები მოღალატენი არიანო (traduttori — tradittori). ბიუროს რეზოლუციების ოფიციალური თარგმანი სამს ოფიციალურ ენაზე ჯერ კიდევ არ გამოსულა, და, როდის გამოვა, არ ვიცით. კაუცკის ნათქვამი

* — «მუშათა ბელადი». რედ.

აქვს, რომ «მუშათა პარტია» «დგება კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე» (რეზოლუციის ბოლო; ორიგინალში: sich... auf seinen, d. h. des Klassenkampfs, Boden stellt), ხოლო ინგლისელი სოც.-დემოკრატების თარგმანით გამოვიდა: «დგება საერთაშორისო სოციალიზმის ნიადაგზე»; — ინგლისელი ოპორტუნისტების (I. L. P.) თარგმანით გამოვიდა: «სცნობს საერთაშორისო სოციალიზმის პოზიციას» (იქვე). მოდით ახლა და გაასწორეთ ასეთი შეცდომები ინგლისელი მუშების წინაშე აგიტაციის დროს!

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ბრუს გლეიზიერს ბრალად დავდო რეზოლუციის დამახინჯება. დარწმუნებული ვარ, რომ მას ასეთი განზრახვა არ შეიძლებოდა ჰქონოდა. და ეს არც ისე მნიშვნელოვანია. მნიშვნელობა აქვს კაუცკის რეზოლუციის სწორედ მეორე ნაწილის აზრის გამოყენებას პრაქტიკულ მასობრივ მუშაობაში. «Labour Leader»-ის იმავე გვერდზე «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» მეორე წევრი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს ბიუროს სხდომისა და ბრიუსელში გამართული მიტინგის გამო და უჩივის იმას, რომ მიტინგზე «თითქმის არ ჩანდა სოციალიზმის იდეალური და ეთიკური მხარის ხაზგასმა», — რა მხარესაც ჩვენში, I. L. P.-ის მიტინგებზე ყოველთვის უსვამენ ხაზსაო, — და სჭარბობდა «ამის ნაცვლად» (in ist stead) «კლასობრივი ომის უსულგულო და შთაგონებასმოკლებული (barren and uninspiring) დოგმაო».

როდესაც კაუცკი წერდა თავის რეზოლუციას ინგლისელების შესახებ, მას თვალწინ ედგა არა ინგლისელი «დამოუკიდებელი», არამედ გერმანელი სოციალ-დემოკრატი...

ინგლისელი სოც.-დემოკრატების ორგანო «Justice» ათავსებს გაინდმანის მწარე სიტყვებს ბიუროს უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელიც «უკუაგდებს პრინციპებს წაჯექუკუჯექობის მოთამაშეთა გულისათვის». «მე სრულიადაც არ შეპარება ეჭვი, — წერს გაინდმანი, — ბიუროს რომ პირდა-

პირი ულტიმატუმი წაეყენებინა «მუშათა პარტიისათვის», იგი დაუყოვნებლივ დაემორჩილებოდა და გადაწყვეტდა შეგუებოდა საერთაშორისო სოციალიზმის მიმართულებას». იმავე ნომრის მეორე სტატიაში კი მოყვანილია ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ «დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ» თავისი წევრების ნაწილი გაატარა როგორც «ლიბერალიზმის, ისე «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» შ ე რ ე უ ლ ი დროშით» (liberal-labour alliance) და რომ ზოგიერთ «დამოუკიდებელს» მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ დ ა ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მ ი ნ ი ს ტ რ ი «ჯ ო ნ ბ ე რ ნ ს ი» («Justice», 17 Oct. 1908, p. 4 et 7 *).

არა, თუ გაინდმანი განახორციელებს იმ გეგმას, რომელსაც იგი იუწყება, სახელდობრ: კვლავ აღძრავს ამ საკითხს კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე (1910 წელს), მაშინ რსდმპ უნდა ეცადოს კაუცკის რეზოლუციის შესწორებას.

დღის წესრიგის მეორე პუნქტი იყო საკითხი სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატისა და სოციალისტების საერთო გამოსვლისა საერთაშორისო და კოლონიურ შეტაკებათა წინააღმდეგ, რომელთა საფრთხესაც ჰქმნის ბურჟუაზიულ მთავრობათა პოლიტიკა. ვალიანმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც ძიღებულ იქნა ძალიან მცირე ცვლილებით. კამათში ავსტრიის დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ მათი პარტია დელეგაციებში ოფიციალურად გამოდის ფრანც-იოსების პოლიტიკის წინააღმდეგ და ადასტურებს სოციალისტების მიერ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლების აღიარებას. მაგრამ, ფრანც-იოსების პოლიტიკის წინააღმდეგ რომ გამოვდივართ, ჩვენ, — ამბობდნენ ავსტრიელები, — წინააღმდეგი ვართ აგრეთვე აბდულ-ჰამიდისა ან ედუარდ VII პოლიტიკისა. ჩვენი საქმეა მთავრობას დავაკისროთ პასუხისმგებლობა მისი

---

* — «სამართლიანობა», 1908 წ. 17 ოქტომბერი, გვ. 4 და 7. რ ე დ

მოქმედების შედეგებისათვისაო. ინგლისელები გამოთქვამდნენ სურვილს, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატები უფრო გარკვეული განცხადებებით გამოსულიყვნენ თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ავსტრიელები ზემოთქმულს არ გასცილებიან. ავრამოვი, დელეგატი ბულგარელი სოციალისტებისა («ვიწრო», ე. ი. რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისა; ბულგარეთში არიან კიდევ «ფართო», ე. ი. ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატები), მოითხოვდა მოხსენებული ყოფილიყო თვით ბალკანეთის სახელმწიფოთა იმპერიალისტური ბურჟუაზია, მაგრამ სათანადო შესწორება უარყოფილ იქნა. ბულგარეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხზე, — თქვა ავრამოვმა, — ბულგარელი სოციალისტები გადაჭრით გამოვიდნენ ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ, რადგან ეს გამოცხადება სოციალისტებს მავნე ავანტიურად მიაჩნიათ მუშათა კლასის თვალსაზრისით. ბრუს გლეიზიერი წინადადებას იძლეოდა. ჩაერთოთ რეზოლუციაში მითითება, რომ საჭიროა საერთაშორისო დემონსტრაციების ორგანიზაცია, მაგრამ გადაწყდა, რომ ეს სურვილი ბიუროს მეშვეობით ეუწყოს ცალკეულ ნაციონალურ პარტიებს. ვანკოლი (ჰოლანდიელი სოც.-დემოკრატების დელეგატი) წინადადებას იძლეოდა, ჩაერთოთ პროტესტი სახელმწიფოთა მიერ ბერლინის ტრაქტატის დარღვევის წინააღმდეგ, მაგრამ კენჭისყრის წინ მან უკან წაიღო ეს წინადადება: აღინიშნა, რომ სოციალისტების საქმე არ არის სპეციალურად დაიცვან ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ტრაქტატები. საერთაშორისო ბიუროს მიერ მიღებული რეზოლუციის ტექსტი შემდეგია:

«აღნიშნავს რა უწინარეს ყოვლისა, რომ ინგლისელი და გერმანელი სოციალისტები თავისი სამშვიდობო მანიფესტაციებით, ფრანგი სოციალისტები მაროკოს ექსპედიციის საწინააღმდეგო აგიტაციით, დანიელი სოციალისტები განიარაღების სასარგებლო წინადადებით მოქმედებდნენ ინტერნაციონალის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

იღებს რა შემდეგ მხედველობაში,

რომ ომის საფრთხე რჩება, რომ კაპიტალისტური იმპერიალიზმი განაგრძობს ინტრიგებს ინგლისსა და გერმანიაში, რომ მაროკოს ექსპედი-

ცია და ავანტიურა გრძელდება, რომ ცარიზმი, ეძებს რა უწინარეს ყოვლისა ახალ სეხს, ცდილობს არივდარიოს მდგომარეობა, რათა განმტკიცდეს თავის ბრძოლაში რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უცხოეთის სახელმწიფოთა ჩარევა და მათი ანგარებიანი მისწრაფებანი უფრო მეტად აღვივებენ, ვიდრე როდისმე ეროვნულ და რელიგიურ ვნებათაღელვას, რომ სულ ბოლო დროს ბულგარეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და განსაკუთრებით ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შეერთებამ ავსტრიასთან გაადიდეს ომის საფრთხე და უფრო ახლობელი გახადეს ეს საფრთხე, რომ, ბოლოს, ყველგან მთავრობათა შეთქმულებანი, მათი შეიარაღების გაძლიერება, საომარი სულისკვეთება, კაპიტალისტური კონკურენცია და კოლონიების ძარცვა შეადგენენ მშვიდობის მუქარას, —

საერთაშორისო სოციალისტური ბიურო ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სოციალისტური პარტია და ორგანიზებული პროლეტარიატი წარმოადგენენ ერთადერთ ძალას, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს საერთაშორისო მშვიდობა, და რომ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ დაიცვან იგი.

ბიურო მოუწოდებს ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს, შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესის რეზოლუციის თანახმად, გააძლიერონ თავისი სიფხიზლე, თავისი საქმიანობა, დაძაბონ მთელი ძალღონე აღნიშნული მიმართულებით და წინადადებას აძლევს პარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და გამგეობებს, მათს საპარლამენტო ფრაქციებს, მათს დელეგატებს ბიუროში გამონახონ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სამდივნოსთან ერთად როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური საშუალებანი და პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც, ამა თუ იმ კონკრეტული გარემოების შესაბამისად, ყველაზე მეტად შეუწყობდნენ ხელს ომის თავიდან აცილებას და მშვიდობის შენარჩუნებას».

დღის წესრიგის მესამე პუნქტი იყო ბრიტანეთის სექციის წინადადება — რეგულარულად მოეწვიათ საერთაშორისო სოციალისტური ბიურო წელიწადში ორჯერ. სავალდებულო რეზოლუცია ამ საკითხზე არ მიუღიათ. გამოითქვა მხოლოდ სურვილი ამის შესასრულებლად. ეტყობა, დიდ უმრავლესობას საჭიროდ არ მიაჩნია კრების მოწვევა უფრო ხშირად, ვიდრე ერთხელ წელიწადში (როგორც იყო დღემდე), — რა თქმა უნდა, გარდა საგანგებო შემთხვევებისა.

დღის წესრიგის მეოთხე პუნქტს შეადგენდა ბიუროს წინადადება — შეცვლილიყო თვითეული პარტიის შესატანის

ოდენობა ბიუროს შესანახად. დღევანდლამდე ბიუროს ნომინალური შემოსავალი უდრიდა 14 950 ფრანკს წელიწადში (დაახლოებით 6 000 მანეთს); განზრახულია გადიდდეს ეს თანხა 26 800 ფრანკამდე ანუ, ჩვეულებრივი ნარჩენების გამოკლებით, 20 000 ფრანკამდე (8 000 მან.) მრგვალი ანგარიშით. ამისათვის თვითეულ პარტიას უნდა შეეტანა წელიწადში 100 ფრანკი თვითეული ხმის კვალობაზე, რომელიც მას დათმობილი აქვს საერთაშორისო სოციალისტურ ყრილობებზე. რუსეთს აქვს 20 ხმა და მან, მაშასადამე, უნდა გადაიხადოს 2 000 ფრანკი, აქედან 700 ფრანკი — სოც.-რევოლუციონერებმა, 1 000 ფრანკი სოც.-დემოკრატებმა და 300 ფრანკი — პროფესიულმა კავშირებმა. დღევანდლამდე რუსეთი იხდიდა 1 500 ფრანკს წელიწადში, აქედან ჩვენ ვიხდიდით 900 ფრანკს (სოც.-რევოლუციონერების პარტიასთან შეთანხმებით). სავალდებულო დადგენილება ამ საკითხზეც არ ყოფილა მიღებული. ბიუროს დაევალა, დაუკავშირდეს ნაციონალურ პარტიებს, გამოითქვა სურვილი, რომ შესატანი შეადგენდეს 100 ფრანკს წელიწადში თვითეული ხმის კვალობაზე.

მეხუთე პუნქტი ეხებოდა ხმების რიცხვის შეცვლას შვეციისათვის — გადიდდეს 12 ხმამდე — და უნგრეთისათვის — საერთო გადიდება გადაიდო, მომატებულია 2 ხმა კროატიისათვის. დაშვებულია აგრეთვე თურქეთის სექციის სომხური ქვესექცია უფრო ადრე, ვიდრე ეს თურქული სექცია შეიქმნებოდეს — თურქეთში მცხოვრები სომეხი სოციალისტები უარს ამბობენ «უცადონ» თურქებს, — ამასთან ამ ქვესექციას მიეცა 4 ხმა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენს ამხანაგებს — სომეხ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც იცნობენ თურქეთში სომხური სოციალიზმის მდგომარეობას, გამოეთქვათ თავისი აზრი ამ საკითხზე.

დღის წესრიგის მეექვსე პუნქტი ეხებოდა ჩილის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიღებას. ეს პარტია შეიქმნა ჩილის

დემოკრატიული პარტიის გათიშვის შემდეგ. ჩილის სოციალ-დემოკრატებიც უკამათოდ მიიღეს.

დღის წესრიგის მეშვიდე პუნქტი ეხებოდა რუსეთის სიონისტ-სოციალისტებს[85]. როგორც ცნობილია, მათ შტუტგარტის ყრილობის წინ მიმართეს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წინადადებით — მიეღოთ ისინი ინტერნაციონალის რუსული სექციის სოც.-დემოკრატიულ ქვესექციაში. ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა უარი უთხრა, ამასთან მიიღო დასაბუთებული რეზოლუცია სოც.-დემოკრატების რიგებში სიონისტების შეყვანის წინააღმდეგ, თუნდაც ისინი თავისთავს «სიონისტ-სოციალისტებს» უწოდებდნენ. სიონისტ-სოციალისტების წარმომადგენელი გამოცხადდა შტუტგარტში, და შტუტგარტშიც ჩვენმა ქვესექციამ უარი თქვა მის მიღებაზე, ხოლო სოც.-რევოლუციონერებმა თავი შეიკავეს. რადგან, წესდების მიხედვით, ინტერნაციონალის ახალი წევრები შეიძლება მიღებულ იქნან მხოლოდ ნაციონალური სექციების თანხმობით (ამასთან ორი ნაციონალური ქვესექციის უთანხმოებისას საკითხს საბოლოოდ წყვეტს საერთაშორისო ბიურო), სიონისტ-სოციალისტები ნორმალური გზით ყრილობაზე ვერ მოხვდებოდნენ. მათ იჩივლეს ბიუროში, რომელმაც მაშინვე მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება: საათათბირო ხმით დაეშვათ ყრილობაზე სიონისტ-სოციალისტების წარმომადგენელი. ახლა საჭირო გახდა შექმნილ დომხალში გარკვევა: არიან თუ არა სიონისტ-სოციალისტები ინტერნაციონალის წევრები? ვ. ადლერმა, ისევე როგორც შტუტგარტში, გადაჭრით გაილაშქრა სიონისტ-სოციალისტების წინააღმდეგ და უარი თქვა საქმის გადადებაზე, როგორც ამას ითხოვდნენ სიონისტ-სოციალისტები, რომლებმაც გამოგზავნეს დეპეშა, რომ მათ არ შეუძლიათ გამოცხადდნენ. გამოუცხადებლობა, — თქვა ვ. ადლერმა, — ზოგჯერ დაცვის საუკეთესო საშუალებაა. მე ავიღე სიტყვა, რათა ერთხელ კიდევ მომეგონებინა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება და აღმენიშნა,

რომ სიონისტ-სოციალისტების დაშვება ორივე რუსული ქვესექციის ნების წინააღმდეგ ინტერნაციონალის წესდების შეუწყნარებელი დარღვევა იქნებოდა-მეთქი. რუბანოვიჩმა და «ემსპ»-ის წარმომადგენელმა ჟიტლოვსკიმ (ემსპ=ებრაელ მუშათა სოციალისტური პარტია[86], მიღებული შტუტგარტში ესერების მიერ თავის ქვესექციაში) ცხარე სიტყვები წარმოთქვეს სიონისტ-სოციალისტების დაუშვებლობის წინააღმდეგ, მ ა გ რ ა მ რუბანოვიჩმა ვ ე რ შ ე ს ძ ლ ო დაემოწმებინა ამ საკითხზე სოც.-რევოლუციონერთა პ ა რ ტ ი ი ს სხვა გადაწყვეტილება, გარდა თ ა ვ ი ს შ ე კ ა ვ ე ბ ი ს ა, ხოლო ჟიტლოვსკი, როცა მან დაინახა, რომ სიონისტ-სოციალისტებს აუცილებლად გამორიცხავდნენ, აშკარად ი ც ა ვ დ ა თ ა ვ ი ს-თ ა ვ ს, ამასთან სასაცილო სიფიცხით ამტკიცებდა, რომ, თუ სიონისტ-სოციალისტები ტერიტორიალისტები არიან, ჩვენც, «ემპს», ტერიტორიალისტები ვართო. ცხადია, აქედან გამომდინარეობდა არა ის, რომ საჭიროა სიონისტ-სოციალისტების მიღება, არამედ მხოლოდ ის, რომ ესერების გარდა, საეჭვოა, ინტერნაციონალში სხვა ვინმე დათანხმებულიყო «ემპს»-ის მიღებაზე. მე ხელმეორედ ავიღე სიტყვა და კატეგორიულად განვაცხადე პროტესტი რუბანოვიჩის ხერხის წინააღმდეგ: თავს მოეხვია სიონისტები ს ხ ვ ა ქვესექციისათვის და ამავე დროს არ მოეცა თავისი ქვესექციის გადაწყვეტილება სიონისტების სასარგებლოდ. შედეგად ბიურომ ერთხმად (ორმა თავი შეიკავა: რუბანოვიჩმა და ვალიანმა) მიიღო ადლერის რეზოლუცია, რომელიც ამბობს:

«ბიურო აღნიშნავს, რომ სიონისტები დაუშვეს (სათათბირო ხმით) მხოლოდ და მხოლოდ შტუტგარტის კონგრესის სხდომებზე, რომ სიონისტები ამჟამად საერთაშორისო ბიუროში შეყვანილი არ არიან, და გადადის მორიგ საქმეებზე».

დღის წესრიგის მერვე და უკანასკნელი პუნქტი იყო საერთაშორისო ბიუროში ფრანგი სოციალისტების დელეგაციის განსაკუთრებული შემადგენლობის დამტკიცება, რაც თითქმის უკამათოდ მოხდა. საფრანგეთის ერთ დელეგატად დაი-

ნიშნა გედი, საფრანგეთის მეორე ხმა კი ბიუროში გადაეცა ორ დელეგატს, ვალიანსა და ჟორესს ერთად.

ბიუროს სხდომა დამთავრდა იმით, რომ ერთხმად იქნა მიღებული თურქეთის რევოლუციისადმი თანაგრძნობის რეზოლუცია, წარმოდგენილი ბელგიის დელეგატის დე-ბრუკერის მიერ:

«საერთაშორისო სოციალისტური ბიურო სიხარულით მიესალმება იმ საზიზღარი რეჟიმის დაცემას, რომელსაც თურქეთში აბდულ-ჰამიდი ასე დიდ ხანს იცავდა სახელმწიფოთა დახმარებით, — მიესალმება თურქეთის იმპერიის ხალხთათვის შექმნილ შესაძლებლობას — თვითონ განაგონ თავიანთი ბედი, და პოლიტიკური თავისუფლების რეჟიმის შემოღებას, რომელიც საშუალებას მისცემს ახლადწარმოშობილ პროლეტარიატს აწარმოოს თავისი კლასობრივი ბრძოლა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატთან მჭიდროდ შეკავშირებით».

---

12 ოქტომბერს, ორშაბათს, შესდგა საპარლამენტთაშორისო კონფერენციის სხდომა. დღის წესრიგში იდგა სამი პუნქტი: 1) პარლამენტების უკანასკნელი სესია; 2) კოლონიური რეფორმები (ვან-კოლის მოხსენება) და 3) სოციალისტების სამშვიდობო მუშაობა საპარლამენტთაშორისო კავშირის შიგნით (ბელგიელი დეპუტატის ლაფონტენის მოხსენება), — შემდეგ ოთხი საკითხი: ა) მშენებელ მუშათა ხელფასის პირობები (მეწარმეთა გაკოტრების შემთხვევაში); ბ) ხმისმიცემა წერილების საშუალებით; გ) საპარლამენტო ჯგუფების წევრთა და მათი მდივნების ახალი სიები და დ) დოკუმენტების გაგზავნა.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო, პერნერსტორფერის წინადადებით, დასჯერდნენ შტუტგარტის კონგრესის გადაწყვეტილების დადასტურებას: საპარლამენტო ფრაქციების მდივნებს წინადადება ეძლევათ მიაწოდონ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს ფრაქციათა წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი. ასეთივე შეხსენებით დაკმაყოფილდნენ აზრთა მოკლე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ორი უკანასკნელი «საკითხის» გამო. პირველი ორი «საკითხის» გამო მოკლედ

აღინიშნა მასალები და მოსაზრებანი, რომლებიც ამის შესახებ აქვს ზოგიერთ სოციალისტ დეპუტატს. ლაფონტენის მოხსენება, მომხსენებლის წინადადებით, გადაიდო. ავსტრიელებმა და გერმანელებმა ამის გამო აღნიშნეს, რომ ისინი წინააღმდეგი არიან სოციალისტების მონაწილეობისა ბურჟუაზიულ პარლამენტურ სამშვიდობო კონფერენციებში. შვეიცის დელეგატმა ბრანტინგმა დაიმოწმა განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ვითომ გვიხსნიან შვედი სოც.-დემოკრატების მონაწილეობას ასეთ კონფერენციებში. მისივე წინადადებით, შემდეგი საპარლამენტთაშორისო კონფერენციის დღის წესრიგში შეტანილია მუშათა სახელმწიფო დაზღვევის საკითხი. ეს კონფერენცია შესდგება ბიუროს შემდეგ სხდომასთან ერთად.

დღის წესრიგის ერთადერთი პუნქტი, რომლის გამო წაკითხულ იქნა მოკლე მოხსენება და გაიმართა საკმაოდ საინტერესო კამათი, აღმოჩნდა კოლონიური რეფორმების საკითხი. ჰოლანდიის დელეგატი ვან-კოლი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი ოპორტუნისტული რეზოლუციით კოლონიურ საკითხზე შტუტგარტში, თავის მოხსენებაში ცდილობდა რამდენადმე სხვა მხრიდან გაეპარებინა თავისი საყვარელი უბადრუკი იდეა სოციალ-დემოკრატიის «დადებითი» კოლონიური პროგრამისა. ვან-კოლმა სავსებით განზე დასტოვა სოციალ-დემოკრატების ბრძოლა კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, აგიტაცია მასებში კოლონიების ძარცვის წინააღმდეგ, გამკლავებისა და წინააღმდეგობის გაწევის სულისკვეთების გაღვიძება კოლონიების ჩაგრულ მასებში და მთელი ყურადღება მიაპყრო არსებული წესწყობილების პირობებში კოლონიური ყოფაცხოვრების შესაძლო «რეფორმების» ჩამოთვლას. როგორც კეთილგანმზრახველმა მოხელემ სულ სხვადასხვა საკითხი ჩამოთვალა, დაწყებული მიწის საკუთრებით და გათავებული სკოლებით, მრეწველობის წახალისებით, საპატიმროებით და ა. შ., თანაც ხაზს უსვამდა იმას, რომ საჭიროა უფრო პრაქტიკულნი ვიყოთ, ანგარიში გავუწიოთ, მაგალი-

თად, იმას, რომ ყოველთვის როდი შეიძლება გამოყენებულ იქნას საყოველთაო საარჩევნო უფლება ველურების მიმართ, რომ არ შეიძლება ზოგჯერ არ დავთანხმდეთ კოლონიებში საპატიმროების ნაცვლად სავალდებულო სამუშაოთა შემოღებასაო და სხვა და სხვა. მთელი მოხსენება გაჟღენთილი იყო პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით კი არა, არამედ უაღრესად წვრილმანი ბურჟუაზიული, უფრო უარესიც — მოხელური რეფორმატორობის სულისკვეთებით. დასასრულ, წამოყენებული იყო წინადადება აერჩიათ კომისია კოლონიების მფლობელი ხუთი უმთავრესი ქვეყნის წარმომადგენლებისაგან სოციალ-დემოკრატიის კოლონიური პროგრამის შესამუშავებლად.

მოლკენბურმა გერმანელთაგან და ზოგიერთმა ბელგიელმა სცადეს ვან-კოლის ბილიკით წასულიყვნენ, ოღონდ ედავებოდნენ მას კერძო საკითხების გამო, იმის გამო, საჭიროა თუ არა ერთიანი საერთო პროგრამა, ხომ არ იქნება ეს გაშაბლონებაო და ა. შ.. ვან-კოლისათვის საკითხის ასე დასმა მხოლოდ ხელსაყრელი იყო, რადგან მას სწორედ ის უნდოდა, რომ ყველაფერი «პრაქტიკამდე» დაეყვანა და დაემტკიცებინა, რომ «პრაქტიკულად» უთანხმოებანი ნაკლებია, ვიდრე ეს შტუტგარტში ჩანდაო. მაგრამ კაუცკიმ და ლედებურმა პრინციპულად დააყენეს საკითხი და გაილაშქრეს ვან-კოლის მთელი პოზიციის ძირითადი სიყალბის წინააღმდეგ. ვან-კოლს მიაჩნია, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლების გამოყენება შეუძლებელია თუნდაც ცალკეულ შემთხვევებში, — ამბობდა კაუცკი, — მაშასადამე, ის ასე თუ ისე ურიგდება დესპოტიზმს კოლონიებში, რადგან არავითარ სხვა საარჩევნო სისტემას იგი არ იძლევა და ვერც მოგვცემს. ვან-კოლს შესაძლებლად მიაჩნია სავალდებულო სამუშაოები, — ამბობდა ლედებური, — მაშასადამე, იგი კარს უღებს ბურჟუაზიულ პოლიტიკას, რომელიც ათასი სხვადასხვა საბაბით სარგებლობს კოლონიებში მონობის შესანარჩუნებლადო. ვან-კოლი მეტისმეტად ჯიუტად და მეტისმეტად ცუდად იცავდა თავს,

ამტკიცებდა, მაგალითად, რომ ნატურალური ბეგარა ზოგჯერ აუცილებელია, რომ «მან თვითონ ნახა ეს იავაზეო», რომ პაპუასებმა არ იციან, თუ რას ნიშნავს კენჭისყრა, რომ არ-ჩევნებში იქ ზოგჯერ საქმეს წყვეტს აშკარა ცრუმორწმუნეობა ან პირდაპირ რომით დათრობაო და ა. შ.. კაუცკიმ და ლედებურმა სასაცილოდ აიღეს ასეთი საბუთები და იცავდნენ იმ აზრს, რომ უეჭველად შესაძლებელია გამოყენება ჩვენი საერთო დემოკრატიული პროგრამისა კოლონიებშიც, რომ საჭიროა პირველ რიგში წამოვწიოთ ბრძოლა კაპიტალიზმთან თვით კოლონიებშიცო. განა ჩვენი «განათლებული» კათოლიკების ცრუმორწმუნეობა სჯობია ველურთა ცრუმორწმუნეობას? — კითხულობდა ლედებური. თუ ყოველთვის არ შეიძლება საპარლამენტო და წარმომადგენლობითი დაწესებულებების შემოღება, — ამბობდა კაუცკი, — სამაგიეროდ ყოველთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას დემოკრატიზმი, ყოველთვის სავალდებულოა ბრძოლა დემოკრატიზმისაგან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგო. რევოლუციური და ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატიის ხაზი სრული სიცხადით გამოვლინდა ამ კამათის შედეგად, და ვან-კოლმა, რაკი დაინახა, რომ მისი წინადადება უეჭველად გაცამტვერდებოდა, თვითონ წაიღო იგი უკან.

«პროლეტარი» № 37,
1908 წ. 16 (29) ოქტომბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია ხელნაწერთან

პ. მასლოვის ისტერიკა

«გოლოს სოციალ-დემოკრატას» მე-8 — 9 ნომერში პ. მასლოვმა მოათავსა «წერილი რედაქციის მიმართ», რომელსაც არ შეიძლება სხვა რამე ეწოდოს, თუ არა ისტერიკული წერილი. მართლაც, განა ეს ისტერიკა არ არის, როდესაც ავტორი არათუ მაწბილებს იმით, რომ ჩემს სტილს ადარებს მღვდელმონაზონ ილიოდორის სტილს, არამედ ქექავს რაღაც საუბარსაც, რომელიც 14 წლის წინათ მომხდარა? ეს მკითხველს ხუმრობად მოეჩვენება, მაგრამ ეს ფაქტია. «როდესაც «კაპიტალის» III ტომის გამოსვლამდე», — წერს პ. მასლოვი, — «ლენინი გაეცნო ჩემს ხელნაწერს, რომელშიც მოცემული იყო მოგების განაწილების საკითხის ისეთივე გადაწყვეტა, როგორიც მოცემულია III ტომში, ლენინმა განაცხადა, რომ მას სწორად მიაჩნია ამ საკითხის მეტისმეტად უაზრო გადაწყვეტა პროფ. სკვორცოვის მიერ»[87]. ერთი დაფიქრდით: III ტომის გამოსვლამდე, ე. ი. 1894 წლამდე! ან უნდა გქონდეს ბავშვური გულუბრყვილობა, რომელიც უცხოა ჩემი ფრიად პატივცემული ოპონენტისათვის, ან ისტერიკით უნდა იყო შეპყრობილი, რათა დაიჩემო, რომ ზუსტად იგონებ თითქოს თოთხმეტი წლის წინათ გამართულ რაღაც საუბარს და შენს დაუბეჭდავ ხელნაწერებს. ხომ არ აჯობებს დაბეჭდოთ ეს ხელნაწერი, ამხ. მასლოვ? სახეირო იქნება: დაამტკიცოთ, რომ მასლოვმა, მხოლოდ მასლოვმა III ტომის გამოსვლამდე გადაწყვიტა ენგელსის მიერ მთელი მსოფლიოს წინაშე წამო-

ყენებული ამოცანა! მართალია, ცოტათი თითქოს დაგვიანებულია... მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. ხომ არ შეიძლება მართლაც ვიფიქროთ, რომ მასლოვს პირდაპირ მიზნად დაუსახავს შეაქოს თავისთავი საკუთარივე მოგონების დამოწმებით.

ისე გამოდის, რომ იმ გაზეთის რედაქცია, სადაც მასლოვი წერს, ჯერ კიდევ არ აქვს მასლოვის შესწორებას მარქსის ნაშრომებში, და მასლოვს გადაუწყვეტია თვითონ შეაქოს თავისთავი იმის გამო, რაც მას გაუკეთებია (თავისთვის) თოთხმეტი წლის წინათ... ისე გამოდის, რომ მე (თუ ვიწამეო ამხ. მასლოვის მეხსიერების გასაოცარი ძალა) შეცდომები ჩამიდენია 14 წლის წინათ, «კაპიტალის» III ტომის გამოსვლამდე, და არ ვბეჭდავდი ამ შეცდომებს; მასლოვი კი შეცდომებს სჩადიოდა 7 წელს და 14 წელს «კაპიტალის» III ტომის გამოსვლის შემდეგ და ბეჭდავს ამ შეცდომებს. თუმცაღა, შესაძლებელია, რომ მასლოვის ისტერიკა არცთუ მთლად წინასწარგანუზრახველია. სწორედ 5 წლის წინათ მარტოვმა მოუწყო ისტერიკა პლეხანოვს და ამით აიძულა იგი ბოლშევიკებისგან მენშევიკებისაკენ გადაბარგულიყო. ხომ არ იმედოვნებს პ. მასლოვი, რომ პლეხანოვი, როცა წაიკითხავს მის გოდებას პლეხანოვისა და კომპანიის მიერ რედაქტირებულ გაზეთში, გადაბარგდება მარქსის რენტის თეორიის მომხრეებისგან მასლოვის რენტის თეორიის მომხრეებისაკენ? ეს მეტად საინტერესო იქნებოდა. ხოლო ვიდრე ეს არ მომხდარა, ვნახოთ, თუ როგორია მასლოვის ბრალდება, თითქოს ჩემი სტატია «სულ ერთიანად შეიცავდეს დამახინჯებასა და აშკარა ტყუილს».

მართლაც «სულ ერთიანად», ამხ. მასლოვ?

მაშ, განვიხილოთ ყველა თქვენი საბუთი.

«ლენინი წერსო: «არ არის მართალი, თითქოს მარქსის მიხედვით აბსოლუტური რენტა ჩნდება სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი აგებულების მეოხებით. აბსოლუტური

რენტა ჩნდება მიწის კერძო საკუთრების მეოხებით. ეს კერძო საკუთრება ქმნის განსაკუთრებულ მონოპოლიას *».

აქ მასლოვი წყვეტს ჩემს წინადადებას, რომელიც არ თავდება სიტყვით «მონოპოლიას» და ფრაზის ბოლოს იმოწმებს IV ტომის («ზედმეტი ღირებულების თეორიების») გარკვეულ გვერდს. ეს დამახინჯება არ არის მასლოვის მხრივ, ოჰ, არა! ეს მხოლოდ სხვისი გადმოცემის «გასწორებაა»...

«ამას წერს ლენინი», — განაგრძობს პ. მასლოვი. «ხოლო აი რას წერს მარქსი: «სამიწათმოქმედო კაპიტალის საშუალო აგებულება ისეთივე რომ იყოს, როგორიცაა საშუალო საზოგადოებრივი კაპიტალის აგებულება, ან იგი რომ უკანასკნელზე უფრო მაღალი იყოს, მაშინ აბსოლუტური რენტა სწორედ მისი გამოკვლეული მნიშვნელობით გაქრებოდა, ე. ი. ის რენტა, რომელიც განსხვავდება დიფერენციული რენტისაგანაც და იმ რენტისაგანაც, რომელიც ნამდვილ მონოპოლიურ ფასს ემყარება» («კაპიტალი», III ტ., გვ. 631, რუს. თარგ. [88]). დაე, მკითხველმა განსაჯოს, თუ ვინ უფრო სწორად გადმოსცემს მარქსსაო» (მოსდევს შენიშვნა იმ შეცდომის შესახებ მოგების კანონის გამო, რომელიც მე ჩამიდენია 14 წლის წინათ, როგორც ეს მტკიცედ ახსოვს პ. მასლოვს, მასთან კერძო საუბარში).

მეც მკითხველს ვანდობ განსაჯოს, თუ ვინ მიმართავს აქ «დამახინჯებას და აშკარა ტყუილს». ფრიად პატივცემული მასლოვი წყვეტს ჩემს ფრაზას მარქსის დამოწმების წინ და მაჩეჩებს სხვა ადგილს! რა საბუთია ეს? ხომ არ ამხილა მასლოვმა ისევ და ისევ წინააღმდეგურობაში მარქსის «შავად ნაწერი მონახაზები» (მოვაგონებ მკითხველს, რომ მასლოვს 1906 წელს, ე. ი. «ზედმეტი ღირებულების თეორიების» გამოსვლის შემდეგაც კი, ჰქონდა გამბედაობა მის მიერ აღმოჩენილი შეცდომები მარქსისა იმით აეხსნა, რომ

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 372 — 373. რედ.

III ტომი «შავად ნაწერი მონახაზებიაო»)? ხომ არ ამტკიცებს ეს, რომ მარქსმა თავი და ბოლო ვერ მოაბა აბსოლუტური რენტის გამოყვანას ხ ა ნ მიწის კერძო საკუთრებიდან, ხ ა ნ სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი აგებულებიდან?

არა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მასლოვი ისევ უმოწყალოდ ურევს. მარქს უპოვნით ათობით ფრაზას, სადაც აბსოლუტური რენტა გამოყვანილია მიწის კერძო საკუთრებიდან, და ათობით ფრაზას, სადაც იგი გამოყვანილია სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი აგებულებიდან. და ეს იმ უბრალო მიზეზით აიხსნება, რომ ო რ ი ვ ე ა მ პ ი რ ო ბ ა ს თავისი გადმოცემის სათანადო ადგილებში აყენებს მარქსი — სავსებით ისევე, როგორც ო რ ი ვ ე ეს პირობა მარქსის შეხედულებათა გადმოცემისას მ ე ც წ ა მ ო ვ ა ყ ე ნ: ჩემი სტატიის სწორედ იმ აბზაცში, საიდანაც აღებულია მასლოვის ციტატი, მე სამიწათმოქმედო კაპიტალის დ ა ბ ა ლ ა გ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე დ ა ც ვლაპარაკობ! (იხ. «პროლეტარი» № 33, გვ. 3, სვეტი 2 — 3 *). მასლოვს ჩემს წინააღმდეგ ციტატი მოჰყავს III ტომის 45-ე თავიდან, რომელიც აბსოლუტურ რენტას ეხება. მასლოვი ციტატს იღებს ორიგინალის 298 გვერდიდან. 287-ე გვერდზე კი, ე. ი. უ ფ რ ო ა დ რ ე, მარქსი ამბობს, რომ დიფერენციულ რენტას არა «ჰქმნის» მიწის საკუთრება (დიფერენციული რენტა გარდუვალია კაპიტალიზმის დროს მიწის საკუთრების გ ა რ ე შ ე ც), აბსოლუტურ რენტას კი ქმნის მიწის საკუთრება. «მიწის საკუთრებამ, — წერს მარქსი ხაზგასმით, — თვითონ შექმნა რენტა» (III, 2, 287).

კითხვა ისმება, ეწინააღმდეგება თუ არა 287 გვერდის ციტატი 298 გვერდის ციტატს? სრულიადაც არა. იმის გამორკვევის შემდეგ, რომ მიწის კერძო საკუთრება ქ მ ნ ი ს რენტას (სახელდობრ აბსოლუტურ რენტას), მარქსი გადადის იმის გამორკვევაზე, რომ ეს რენტა იქნება ან პირდაპირ მონოპოლია,

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 372 — 373. რ ე დ.

მხოლოდ მონოპოლია, წმინდა მონოპოლია, ან შ ე დ ე გ ი იმისა, რომ მონოპოლია ხელს უშლის აგებულებით დაბალი (მიწათმოქმედება) და უფრო მაღალი (მრეწველობა) კაპიტალების მ ო გ ე ბ ი ს შ ე თ ა ნ ა ბ რ ე ბ ა ს.

მასლოვმა, მაშასადამე, გაიმეორა გაზეთში, რომელსაც რედაქტორობს პლეხანოვი და კომპანია, თავისი აშკარა დამახინჯება მარქსიზმისა. მასლოვი, მაშასადამე, აქაც ამტკიცებს, — ოღონდ ამას პირდაპირ არ ამბობს, — რომ აბსოლუტური რენტა არ შეიძლება იყოს, რომ მარქსის თეორია შეცდომაა, ხოლო თეორია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისა, რომელიც უარყოფს აბსოლუტურ რენტას, ჭეშმარიტებაა.

რატომღა არ უნდა ითქვას პირდაპირ ის, რაც ნათქვამია «აგრარულ საკითხში» და მოყვანილია ჩემს ციტატში. განა ეს «დამახინჯება და აშკარა ტყუილი» არ არის? რაღა არის ეს! «აგრარულ საკითხში», ნათქვამია, რომ მარქსი მართალი არ არისო, რომ აბსოლუტური რენტა არ შეიძლება იყოს, ხოლო გაზეთში, რომელსაც რედაქტორობს პლეხანოვი და კომპანია, მ ი ჩ ქ მ ა ლ უ ლ ი ა ე ს და ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, თუ ვინ უ ფ რ ო ს წ ო რ ა დ გადმოსცემს მარქსს!!! გამოდის, რომ ჩვენ და მასლოვი ერთმანეთთან ვდავობდით მხოლოდ იმის გამო, თუ «ვინ უფრო სწორად გადმოსცემს მარქსს», და მე მართალი არ მითქვამს, რომ მასლოვმა «გაასწორა» მარქსის «შავად ნაწერი მონახაზები», როცა აბსოლუტური რენტა ამოაგდო!? გრცხვენოდეთ, ამხ. მასლოვ!

«შემდეგ. «პეტრე მასლოვს, — წერს ლენინიო» — ვერ გაუგია მარქსის დიფერენციული რენტაც... როდესაც მოიჯარადრის მიერ თავის ნაკვეთზე კაპიტალის ახალი დანახარჯი აძლევს მას ახალ მოგებასაც, და ა ხ ა ლ რ ე ნ ტ ა ს ა ც (ხაზგასმა ლენინისაა), ამ რენტას ღებულობს არამიწათმფლობელი, არამედ მოიჯარადრე» *. ამის გამო ლენინი, ცხადია, სათანადო

* იხ. თხზ., გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 375. რ ე დ.

დარიგებას აძლევს «უმეცარ» მასლოვს. ვიღებთ «აგრარული საკითხის» I ტომს და 112-ე გვერდზე ვპოულობთ: «თუ მეურნეობის ინტენსიფიკაცია, 500 მანეთის ახლად დახარჯვის გამო, იმდენსავე პროდუქტს იძლევა, მაშინ მოიჯარადრე უკვე მიიღებს არა 25%, არამედ 100% მოგებას, რადგან კაპიტალის პირველ დახარჯვაზე ის იხდის 333 მან. რენტას... თუ პირველი კაპიტალების დახარჯვისას ის საშუალო მოგებას სჯერდებოდა..., მისთვის უფრო სახეიროა შეამციროს იჯარის ფართობი და დახარჯოს ახალი კაპიტალები იმავე მიწაზე, რადგან ეს კაპიტალები მოგვცემენ ნაჭარბს მოგების მიმართ, რენტას მისცემენ მოიჯარადრესაც». მაგრამ ლენინს ესაჭიროებოდა ტყუილის თქმა, რათა მე გაველანძღე».

ვნახოთ, ვინ თქვა ტყუილი. ამაში რომ გავერკვეთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ მრავალწერტილებს ჩემს მიერ ამოწერილ ციტატში, რომელიც მასლოვს მოჰყავს. ვინაიდან მე მთლიანად ამოვწერე ყველაფერი, რაც კი მასლოვს ამის გამო აქვს ნათქვამი. მრავალწერტილი შემოკლებას ნიშნავს. და აი მასლოვმა თავისი პირველი ტომის 112-ე გვერდიდან შეამოკლა სწორედ ის, რაც მას ნათქვამი აქვს იქ მარქსის წინააღმდეგ და რაც 112-ე გვერდზე ხაზგასმით არის დაბეჭდილი! ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. «პროლეტარში» მოთავსებულ ჩემს სტატიაში, როგორც მასლოვის მე-2 საბუთი მარქსის წინააღმდეგ, I ტომის 112 გვერდიდან მოყვანილია შემდეგი ფრაზა: «რენტა «უკანასკნელად» დანახარჯი კაპიტალიდან, როდბერტუსის რენტა და მარქსის აბსოლუტური რენტა ქრება, იმიტომ რომ მოიჯარადრეს ყოველთვის შეუძლია «უკანასკნელი» კაპიტალი აქციოს წინარეუკანასკნელად» თუ იგი იძლევა რაიმეს, გარდა ჩვეულებრივი მოგებისა» (ხაზგასმა მასლოვისაა) *.

* იხ. თხზ., გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 374. რედ.

ეს არის მასლოვის საბუთი მარქსის წინააღმდეგ. მე გავილაშქრე ამ საბუთის წინააღმდეგ და ისევ ვამტკიცებ, რომ ეს საბუთი სულ ერთიანად სიყალბე და დომხალია. მასლოვი კი იმით მიპასუხებს, რომ იმოწმებს სწორედ ამ 112-ე გვერდს და თან გამოსტოვებს თავის გალაშქრებას მარქსის წინააღმდეგ! ამ გალაშქრების ნაცვლად დგას მრავალწერტილი: მრავალწერტილამდე მოყვანილია გვერდის დასაწყისი, მრავალწერტილის შემდეგ — ბოლო, ხოლო მარქსის წინააღმდეგ გალაშქრება გაქრა. განა ეს დამახინჯება და აშკარა ტყუილი არ არის?

მე არ ვამტკიცებდი და არ ვამტკიცებ, რომ «აგრარული საკითხის» მთელ 400 გვერდზე ვერ იპოვნი სწორ ადგილებს. მე ვამტკიცებდი მხოლოდ, რომ მასლოვის საბუთები მარქსის წინააღმდეგ უმაგალითო ჩმახვაა და გაუგონარი დომხალია. თუ მასლოვი მის მიერ შეპირებულ მე-4 გამოცემაში ამოაგდებს ამ საბუთებს, თუ, მაგალითად, 112-ე გვერდზე ის დასტოვებს იმას, რაც მას მოყვანილი აქვს «გოლოს სოციალ-დემოკრატაში», მე ვიტყვი და ყველა იტყვის: მე-4 გამოცემიდან დაწყებული, მასლოვმა შეწყვიტა მარქსის გასწორება. ხოლო ვიდრე ეს არ გაკეთებულა, ყველა, ვინც კი წაიკითხავს I ტომს, დაინახავს 112-ე გვერდზე მასლოვის საბუთს მარქსის წინააღმდეგ, საბუთს, რომელიც გამოტოვებულია «გოლოსში». და ყველა დაინახავს, რომ მე მართალი ვარ, როცა ვაკრიტიკებ ამ საბუთს, ე. ი. რომ ეს საბუთი აბსოლუტური რენტის წინააღმდეგ უაზრობაა, რადგან მოიჯარადრე საიჯარო ხელშეკრულების დროს იღებს ახალ რენტას ახალი კაპიტალის დანახარჯიდან მთლიანად, ე. ი. როგორც აბსოლუტურ, ისე დიფერენციულ რენტას.

მასლოვის შემდეგ «მაგალითზე» მე არ ვჩერდები, ვინაიდან ეს მაგალითი იმავე საბუთს ეხება, რომელიც მასლოვის მიერ გამოტოვებულია «გოლოსში». გასაგებია, რომ ჩემი კრიტიკა საბუთისა ზედმეტი ხდება, თუ მასლოვს უკან მიაქვს საბუთი. ხოლო თუ იგი ამას არ შვრება, არამედ

მხოლოდ ამოკლებს თავის ციტატებს, მაშინ მე ვეკითხები მკითხველს: ვინ მიმართავს «სულ ერთიანად დამახინჯებას და აშკარა ტყუილს»?

ბოლოს, მასლოვის უკანასკნელი ციტატი ჩემი სტადიიდან შემდეგია:

««რა არის ინტენსიფიკაცია?» კითხულობს ლენინი და უპასუხებს: «შრომისა და კაპიტალის შემდგომი დანახარჯი. სამკალი მანქანა, დიადი მასლოვის აღმოჩენით, ა რ (ხაზგასმა ლენინისაა) ყოფილა კაპიტალის დანახარჯი. მწკრივად სათესი მანქანა ა რ ყოფილა კაპიტალის დანახარჯი» *. აგრარული საკითხის უაღრესად ელემენტარულ ცნებათა უცოდინარობის მეოხებით ლენინმა მოგვცა ინტენსიფიკაციის არასწორი განსაზღვრა და არათუ დაწერა აშკარა შეუსაბამობა, არამედ აშკარა ტყუილსაც ამტკიცებს. აგრარულ საკითხში» (გვ. 62) წერია: «სალეწი მანქანა ამცირებს შრომის ხარჯვას მიწის ფართობის ერთეულზე როგორც ექსტენსიურ, ისე ინტენსიურ მეურნეობაში». (ა ს ე თ ი დახარჯვა, და არა საერთოდ დახარჯვა, მიწის ფართობის დამოუკიდებლად, განსაზღვრავს კულტურის ინტენსივობას. პ. მ.). სამკალ მანქანას ასეთივე მნიშვნელობა აქვს».

შეისმინეთ, დიდად პატივცემულო, ვეტყვი ამაზე მასლოვს: ზომა ხომ უნდა იცოდეთ!.. ნუთუ დავა იმაზე წარმოებდა, განისაზღვრება ინტენსივობა კაპიტალის დახარჯვით ფართობის ერთეულზე თუ ფართობის დამოუკიდებლად? ეს ხომ სწორედ დამახინჯება და აშკარა ტყუილია! დავა ამის გამო როდი წარმოებდა. ჩემი სტატიის მ ე ო რ ე ნაწილში, საიდანაც ახლა მასლოვს ციტატი მოჰყავს, ვდავობდი ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა «აგრარული საკითხის» წინააღმდეგ, არამედ მ ა ს ლ ო ვ ი ს მ ი ე რ 1 9 0 7 წ ლ ი ს «ო ბ რ ა ზ ო ვ ა ნ ი ე ს» მ ე-2 ნ ო მ ე რ შ ი მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი ს ტ ა ტ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

---

* იხ. თხზ., გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 383. რ ე დ.

კეთილინებეთ და ედავეთ სუბიექტს, რომელიც თავისი თხზულებებიდან ხან ამოაგდებს სწორედ იმ საბუთებს მარქსის წინააღმდეგ, რომლებსაც კრიტიკოსი ეკამათება, ხან კი ამოაგდებს მთელ თავის სტატიებს და აჩეჩემს მკითხველს არაიმას, რის შესახებაც ლაპარაკი იყო!

ჩემი სტატიის მეორე ნაწილის სათაურია: «საჭირო თუ არა ნაროდნიკობის გაბათილებისათვის მარქსის გაბათილება?». ამ ნაწილში გაკრიტიკებულია მასლოვის მხოლოდ ის სტატია, რომელიც მოთავსებულია «ობრაზოვანიეში», 1907 წ., № 2.

მასლოვი «გოლოსში» დუმილით უვლის გვერდს ამ თავის სტატიას და იმოწმებს თავის «აგრარულ საკითხს»! მაგრამ ეს ხომ კეკემალულობას სასაცილო თამაშია! მე არასოდეს არ მითქვამს, თითქოს «აგრარულ საკითხში» მასლოვი იქამდე მისულიყოს, რომ განეცხადებინოს, ნაროდნიკობის გასაბათილებლად საჭიროა მარქსის გაბათილებაო.

«ობრაზოვანიეში» კი მასლოვს ეს ნათქვამი აქვს. და მე ამის წინააღმდეგ ვილაშქრებდი, და სრულიადაც არა იმის წინააღმდეგ, თუ კაპიტალის რა ხარჯვით განისაზღვრება ინტენსიფიკაცია. იცავს თუ არა მასლოვი, ჰო თუ არა, თავის მტკიცებას: «რომ არ ყოფილიყო მიწის იმავე ფართობზე შრომის თანამიმდევარი ხარჯვის ნაყოფიერების დაცემის ფაქტი, იქნებ კიდევ შესაძლებელი გამხდარიყო იმ იდილიის განხორციელება, რომელსაც ესერები გვიხატავენ»?

თქვენ იმალებით, ფრიად პატივცემულო? მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ თავი დამარცხებულად აღიარო.

იცავთ თუ არა თქვენ იმ მტკიცებას, რომ თქვენ «პირველს მოგიხდათ განსაკუთრებით მკვეთრად აღგენიშნათ მიწის კულტურისა და ტექნიკური პროგრესის განსხვავების მნიშვნელობა მეურნეობის განვითარებისათვის და კერძოდ მსხვილი და წვრილი წარმოების ბრძოლისათვის»? ასე გაქვთ ნათქვამი «ობრაზოვანიეში». ასე მაქვს მე ციტირებული «პროლეტარში». ამ და მხოლოდ ამ საკითხს ეხება თქვენი

მსჯელობა სამკალ მანქანაზე, მსჯელობა «ობრაზოვანიეში», და არა «აგრარულ საკითხში». თუ მასლოვი არ იცავს თავის ნათქვამს «ობრაზოვანიეში», იგი ამით სთმობს თავის პოზიციას!

მაშ, საკითხის არსის გამო მასლოვი მხოლოდ იმას სჩადის, რომ თავს იძვრენს «გოლოსში». ის იმეორებს დომხალს, თითქოს მარქსს აბსოლუტური რენტა არ გამოჰყავდა მიწის კერძო საკუთრებიდან, მაგრამ მარქსის შესწორებებს, რომლებიც მან წამოაყენა, პირდაპირ არ იცავს; თავის საბუთებს მარქსის წინააღმდეგ ის აგდებს თავისი ციტატებიდან; «ობრაზოვანიეში» ნათქვამს ის სავსებით უვლის გვერდს. და ჩვენ ვიმეორებთ: მასლოვის მიერ «აგრარულ საკითხში» მარქსის აბსოლუტური რენტის მოსპობა და მასლოვის მსჯელობა «ობრაზოვანიეში» რჩება დომხალის, თეორიაში ბურჟუაზიული თვალსაზრისის შეტანის უბადლო ნიმუშად.

მასლოვის წიგნის გერმანული გამოცემის გამო მე სასაცილოდ ავიგდე ის, რომ იქ მარქსის ყველა შესწორება დამალულია. მასლოვი თავს იცავს: გამომცემელს მთლად არ გამოუცია ჩემი წიგნის პირველი ნაწილიო! ამრიგად, რაში გამოიხატება მასლოვის ეს შესწორება? მე ვამბობდი: მასლოვმა ამოაგდო-მეთქი. მასლოვი ამბობს: გამომცემელმა ამოაგდოო, — გამომცემელი კი არის გერმანელი სოციალ-დემოკრატი დიტცი.

თუ დიტცმა ამოაგდო მასლოვის «თეორია», მისი «შესწორებანი» მარქსისა მასლოვის ნ ე ბ ა რ თ ვ ი თ, ჩემი დასკვნა სრულიადაც არ იცვლება. თუ დიტცმა ეს მოიმოქმედა მასლოვის დ ა უ თ ა ნ ხ მ ე ბ ლ ა დ, ჩემი დასკვნა მხოლოდ ფორმით იცვლება: დიტცი, რომელმაც მასლოვის წიგნიდან ამოაგდო სისულელე, ჭკუიანად მოიქცა.

განა ეს გასწორება სწადდა ფრიად პატივცემულ მასლოვს?

მასლოვი ამბობს, თქვენ «იწყებთ ერესის ძებნას მოწინააღმდეგეებში», რადგან «გსურთ დაფაროთ» თქვენი მეგობ-

რების ერესიო. ეს მართალი არ არის. იმის წინააღმდეგ, რაც ერესად მიმაჩნია ჩემს მეგობრებში, მე ისევე გადაჭრით გამოვდივარ, როგორც თქვენს წინააღმდეგ. ამას ცხადყოფს ჩემი შენიშვნა ახლახან გამოსულ კრებულში «მარქსის ხსოვნას» *. ხოლო მასლოვის ერესების «ძებნა დაიწყე» 1901 წელს «ზარიაში» **, ე. ი. ბოლშევიკებად და მენშევიკებად გათიშვამდე ორი წლით ადრე, მასლოვის პირველ მუნიციპალიზატორულ პროგრამამდე ორი წლით ადრე. 1901 წელს მასლოვი პარტიაში ჩემი «მოწინააღმდეგე» იყო მხოლოდ იმ საკითხში, რომ მას მარქსის თეორიაში შესწორებანი შეჰქონდა.

P. S. *** ეს შენიშვნა უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც მივიღე «გოლოს სოციალ-დემოკრატას» ადმინისტრაციის განსაკუთრებული ფურცელი. ამ ფურცელში ნათქვამია:

«სტამბის შეცდომის გამო «გოლოს სოციალ-დემოკრატას» მე-8—9 ნომერში გამოტოვებულია რედაქციის შენიშვნა ამხ. მასლოვის წერილისადმი. ეს შეცდომა დაუყოვნებლივ გამოსწორდება, შენიშვნა გადაცემულია ხელისმომწერთა და მყიდველთა განკარგულებაში».

ეს გასწორება ჩვენ ჯერ არ მოგვსვლია. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაუწყო მკითხველებს სტამბის შეცდომის ამბავი. მაგრამ ხომ არ არის კიდევ სტამბის შეცდომა ჩემს მიერ გადმობეჭდილ განსაკუთრებულ ფურცელში? ხომ არ უნდა იკითხებოდეს ამ ხ. მასლოვის ნაცვლად ბ-ნი მასლოვი? პლეხანოვმა ხომ პრესის საშუალებით გამოაცხადა, რომ ადამიანები, რომლებიც მარქსს გადაუხვევენ ხოლმე, მისთვის ამხანაგები კი არა, ბატონები არიან! ან, იქნებ, მენშევიკებს, რომლებიც მარქსიზმისაგან გადახვევას ქადაგებენ, ეს არ ეხებათ?

«პროლეტარი» № 37,
1908 წ. 16 (29) ოქტომბერი
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია ხელნაწერთან

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 25. რედ.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 5, გვ. 150—151. რედ

*** — Postscriptum — მინაწერი. რედ.

რამდენიმე შენიშვნა პ. მასლოვის «პასუხის» გამო[89]

ჩემი მოწინააღმდეგე მისაყვედურებს ისეთი პოლემიკური ზერხების გამოყენებას, რომლებიც ამახინჯებენ დავის დედაარსს. რათა გამოირკვეს, მართალია თუ არა ეს, კვალდაკვალ განვიხილავ პ. მასლოვის «პასუხს».

მასლოვის პირველი მაგალითი. ლენინი ამბობსო, რევოლუციური აღმავლობა შეუძლებელია ისე, თუ რადიკალურად არ მოისპო ბატონყმობის ყველა ნაშთიო, «თითქოს სოციალ-დემოკრატია, რომელმაც მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამა მიიღო, აპირებდეს ბატონყმობის ნაშთების შენარჩუნებას, მემამულეთა ხელში მიწის დატოვებას».

ყოველი მკითხველი შეამჩნევს, რომ მასლოვი გვერდს უვლის საკითხის არსს, რადგან მე ყოველთვის მივუთითებდი სწორედ იმაზე, რომ ბატონყმობის ნაშთს წარმოადგენს არა მარტო მემამულური საკუთრება, არამედ ახლანდელი სანადელო საკუთრებაც. დავა სწორედ ამის გამო წარმოიბდა. მასლოვი მ თ ე ლ თავის პასუხში გვერდს უვლის ამ საკითხს და კრინტსაც არა სძრავს იმაზე, არის თუ არა მიწის სანადელო საკუთრებაში რაღაც შუასაუკუნებრივი, ხელსაყრელია თუ არა კაპიტალიზმისათვის შუასაუკუნებრიობის ეს წმენდა, და ამით იგი მკითხველის ყურადღებას სხვა მხრივ წარმართავს. მოწინააღმდეგის პრინციპულ არგუმენტს რომ არ უპასუხო და მას მხოლოდ «პათოსი» მიაწერო — ეს კამათს კი არა, ლანძღვას ნიშნავს.

მეორე მაგალითი. ჩემს მითითებას, რომ აგრარულ და პოლიტიკურ გადატრიალებას შორის განუწყვეტელი კავშირი არსებობს, მასლოვი მკითხველისადმი არასაკმაო პატივისცემას უწოდებს. მუნიციპალიზაციაც არ წყვეტს ამ კავშირსაო. განა ეს პასუხია? განა მასლოვი აქ არ ჩქმალავს 1) ჩემს ზუსტ მითითებას მენშევიკ ნოვოსელსკიზე, რომელმაც მუნიციპალიზაცია გარკვევით დაუკავშირა არასრულ პოლიტიკურ გადატრიალებას, 2) ჩემს არგუმენტს, რომ მუნიციპალიზაცია არ ეხება არც შუასაუკუნებრივ თემს, არც შუასაუკუნებრივ მიწათმფლობელობას, ე. ი. გადაჭრით და უთუოდ არასრულს ხდის სწორედ აგრარულ გადატრიალებას, და მხოლოდ აგრარულს.

მასლოვის მესამე არგუმენტი: «გლეხთა სიძულვილს მემამულეებისა და მოხელეებისადმი ლენინი არგუმენტად აქცევს თავისი პროგრამის სასარგებლოდ და მიღებული პროგრამის წინააღმდეგ». ეს მართალი არ არის. ყოველი მკითხველი შეამჩნევს, რომ მასლოვმა ნაცვლად «შუასაუკუნებრიობისადმი სიძულვილისა» (რამდენიმე სტრიქონით ზემოთ თვითონ მასლოვი აღიარებს, რომ მე ამაზე ვლაპარაკობდი) შემოგვაჩეჩა «სიძულვილი მემამულეებისადმი», ეს სიყალბე მას იმისთვის სჭირდება, რომ დუმილით გვერდი აუაროს ჩემს არგუმენტს სანადელო საკუთრების შუასაუკუნებრივი ხასიათის შესახებ.

მართალი არ არის, რომ მე ჩემს პროგრამას ბოლშევიკურს ვუწოდებდი. მართალი არ არის ისიც, თითქოს ნაციონალიზაციის საკითხს კენჭი უყარეს სტოკჰოლმში. ფაქტები არ უნდა დაამახინჯოთ, ამხ. მასლოვ!

«რენტის არავითარი თეორია არ იძლევა ნაციონალიზაციის თუ მუნიციპალიზაციის პროგრამის სულ მცირედ უპირატესობას, რადგან, რაც უნდა იყოს, კონფისკებული მიწების შემოსავალს იღებს სახელმწიფო ან თვითმმართველობა».

აქ ჩვენ უკვე გვაქვს არგუმენტი არსებითად. და საუცხოო არგუმენტიც, რადგან იგი ყოველივეზე უკეთ გვიჩვენებს, თუ

რა საოცრად ამახინჯებს მასლოვი მარქსიზმს. მხოლოდ მაშინ, თუ უარყოფ მარქსის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რ ე ნ ტ ა ს, რომელსაც მასლოვი «აბათილებს», შეიძლება დაიყვანო საკითხი მხოლოდ და მხოლოდ «შემოსავლამდე» და დაივიწყო პურის ფასის შემცირება და კაპიტალისათვის მიწათმოქმედებაში შეჭრის უზრუნველყოფა! მასლოვმა თავისი არგუმენტით დაადასტურა, რომ მისთვის უცხო და გაუგებარია საკითხის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი არსი. საქმე შემოსავალს კი არ ეხება, დიდად პატივცემულო, არამედ მიწათმოქმედებაში პროდუქციის თანაფარდობას, რომელიც იცვლება გადიდების მხრივ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რენტის მოსპობისას. მარქსის თეორიაში აბსოლუტური რენტის უარყოფით მასლოვმა ყოველგვარი შესაძლებლობა მოისპო გაიგოს ნაციონალიზაციის ეკონომიური მნიშვნელობა. რატომ შეეძლოთ და უნდა მოეთხოვათ იგი მილიონობით წვრილ მესაკუთრეებს რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, — ეს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი პრობლემა მასლოვისათვის არ არსებობს. სწორედ ეს არის მისი უბედურება.

ჩემი, 1905 — 1908 წლების, სტატიები რომ ჩამონაჭრების პროგრამის წინააღმდეგ არის მიმართული, ეს მართალია. მაგრამ ამის გამო «ხტომა და თამაში», როგორც მასლოვი იქცევა, ნიშნავს სადავო საკითხების გამორკვევას კი არა, არამედ მკითხველისათვის თვალის ახვევას. მასლოვს ხომ არ შეუნარჩუნებია მთელი თავისი 1903 წლის პროგრამა! რისთვისღა უმალავს ამას მკითხველებს და აყენებს წარსულის მხოლოდ ერთ მხარეს? რისთვის მოჰყავს მას სიტყვები, რომლებსაც მე ახლაც არ უარვყოფ, რომ მიწის ნაციონალიზაცია მავნებელია «პოლიციურ სახელმწიფოში»? კამათია ეს თუ ლანძღვა-გინება?

პოლონელი მკითხველებისათვის, რომლებიც დაწვრილებით არ იცნობენ დისკუსიას აგრარულ საკითხზე რუს სოციალ-დემოკრატებს შორის, განვმარტავ, რომ 1903 წელს, რსდმპ II ყრილობის წინ, მასლოვმა არ წარმოგვიდგინა პრესაში ის

პროგრამა, რომელსაც იგი 1906 წელს გვირჩევდა. ძველი დავის ქექვა შეუწყნარებლად მიმაჩნდა, და მე ჩემს წინანდელ სტატიაში მას არ შევხებივარ. მაგრამ ახლა თვითონ მასლოვმა აღძრა ძველი დავა. მას აზრად მოუვიდა, რომ მახვილგონიერება გამოეჩინა, გაებათილებინა ჩემ მიერ მიტოვებული 1903 წლის პროგრამა, — ან, იქნებ, ხელმძღვანელობდა ისეთი აზრითაც, რომ ძველის შესახებ დავის ატეხით ჩამოეშორებინა ყურადღება თავისი ახალი თვალსაზრისის სუსტი პუნქტებისგან? ფაქტი ფაქტად რჩება: წინანდელი დავა რომ აღძრა, მასლოვმა მიჩქმალა პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინაშე ის, რომ თვითონ შესცვალა თავისი 1903 წლის პროგრამა. მოწინააღმდეგეს რომ უსაყვედურებს წინანდელი პროგრამის აშკარა და დიდი ხანია უკვე დასრულებულ შეცვლას, იგი მალავს, რომ თვითონ მან შეცვალა თავისი პროგრამა. იგი მალავს იმასაც, რომ 1903 წელს პეტრე მასლოვი არათუ არ იცავდა იმ აზრს, რომ საჭიროა სანადელო მიწები აუცილებლად მათ მესაკუთრეთა ხელში დარჩესო, არამედ, პირიქით, — თავის პროგრამაში პირდაპირ შეჰქონდა, შესაძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე ს ა ნ ა დ ე ლ ო მ ი წ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა.

მართლაც, ხომ ჩინებულია? ვისთვის არის ძველის მოგონება არასასიამოვნო? იმისთვის? ვინც აშკარად აღიარა წინანდელი შეხედულების შეცდომათა წყარო, თუ იმისთვის, ვინც თავის შეხედულებათა შეცვლას მალავს? რატომ თვლიდა 1903 წელს პ. მასლოვი შესაძლებლად აგრეთვე სანადელო მიწების განსაზოგადოებას, ხოლო 1906 — 1908 წლებში სჭექს და გრგვინავს ასეთ შეხედულებათა დაშვების წინააღმდეგ?

დაე, თვითონ მკითხველმა განსაჯოს ამგვარი «პოლემიკური» ხერხები ან, უკეთ რომ ითქვას, კვალის ამგვარი დაფარვა. მასლოვს შეუთვისებია ტურგენევის ძველი გაიძვერას რეცეპტი: გაკიცხე, რაც შეიძლება ხმამაღლა, ის, რაც გინდა შენს საქციელში დამალოო! სხვებმა შეიცვალეს შეხედულებანი და თვითონვე აღნიშნეს ეს. იყვირეთ უფრო ხმამაღლა ამ შეცვლის

წინააღმდეგ, რათა შეხედულებათა საკუთარი შეცვლა დამალოთ! თუ არგუმენტები არა გაქვთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ შულერობას.

ევროპის რუსეთში მიწის საკუთრების განაწილების ჩემი ცხრილი მასლოვს არ მოსწონს. მასლოვი ბრაზობს იმის გამო, რომ მე «ყალმუხურ» საკუთრებას ვადარებ სამხრეთ-დასავლეთი რუსეთის «ინტენსიურ მეურნეობას». მკითხველმა, რომელიც იცნობს აგრარული საკითხის ლიტერატურას, რა თქმა უნდა, იცის, რომ თვითონ მასლოვიც და სხვა ავტორებიც ერთმანეთს ადარებენ — თუნდაც ცალკეულ რაიონებში — სადღაც მიყრუებულ ადგილას 4 დესეტინა მიწის მქონე გაჩანაგებულ უცხენო გლეხს და მდიდარ ფერმერს, რომელიც ინტენსიურ მებოსტნეობას მისდევს იმდენივე მიწაზე დიდი ქალაქის ახლოს. უადგილოდ, სრულიად უადგილოდ, მოუსურვებია ამხ. მასლოვს დაიტრაბახოს «დეტალური ანალიზი»! ეს სწორედ ტრაბახია და არა მეცნიერული საბუთი, რადგან შეუძლებელია სხვანაირად გამოარკვიო ბრძოლის შედეგები, ვიდრე მე ეს მოვიმოქმედე, და თვითონ მასლოვსაც ესმის «დეტალური ანალიზების» შეუძლებლობა «პშეგლონდში».

ჩემს არგუმენტს, რომ ტრუდოვიკების ჯგუფმა, რომელმაც ნაციონალიზაციას მხარი დაუჭირა, ამით დაუმტკიცა მენშევიკებს, რომ მე მართალი ვარ, მასლოვი არა მარტო არჩევს, არამედ ცდილობს არაპირდაპირ შეასუსტოს იგი იმით, რომ 1) ნაციონალიზაცია «შეკვეცილი» იყო, და 2) იმით, რომ ავტონომისტებს I სათათბიროში ბევრი შეუერთდა «სწორედ იმიტომ, რომ მათს ამომრჩევლებს მიწის ნაციონალიზაცია არ უნდოდათ».

განა ეს საკითხის გვერდის აქცევა არ არის? რა საერთო აქვს ამ «შეკვეცასთან» ნაციონალიზაციას? და რა საერთო აქვთ ავტონომისტებს იმასთან, რომ მასლოვი 1905 წელს, ხოლო ყველა მენშევიკი სტოკჰოლმში კატეგორიულად ამბობდნენ რუს გლეხებზე, რომ ისინი საერთოდ არ დათანხმდე-

ბიან ნაციონალიზაციას, მას ვანდეით უპასუხებენო? მასლოვი დუმილით გვერდს უვლის მისთვის არასასიამოვნო ფაქტს, რომ ტრუდოვიკების ჯგუფის მიერ სტოკჰოლმის ყრილობის შემდეგ ნაციონალიზაციის პროგრამის მიღებამ გაა ბათილა მენშევიკების არგუმენტები. ძნელი არ არის, მაგრამ დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს ისეთი «პასუხი», რომელშიც სისტემატურად გვერდს უვლიან საქმის არსს. ფაქტია, რომ როგორც I, ისე II სათათბირო მუშათა დეპუტატებს ხშირად სულელურ მდგომარეობაში აყენებდა, ვინაიდან სოციალ-დემოკრატები უფრო «კვეცავდნენ» ნაციონალიზაციას, ვიდრე მას თვითონ გლეხები კვეცავდნენ. სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ ფილისტერული მშიშარა ინტელიგენტების მდგომარეობაში, რომლებიც ურჩევენ გლეხს, რომ ის უფრო ფრთხილად მოეპყრას ძველ, შეჯასაუკუნებრივ, სანადელო საკუთრებას, უფრო ძლიერად განამტკიცოს იგი, უფრო ნელა შეუგუოს მიწის ახალი, თავისუფალი საკუთრება კაპიტალიზმს! საქმე ის კი არ არის, ამხანაგო მასლოვ, რომ ტრუდოვიკებმა შეკვეცეს ნაციონალიზაცია, არამედ ის, რომ სოციალ-დემოკრატები, მარქსისტები, კიდევ უფრო კვეცავდნენ მას, იმიტომ რომ მუნიციპალიზაცია არის დამახინჯებამდე შეკვეცილი ნაციონალიზაცია. უბედურება ის არ არის, რომ ავტონომისტები ზოგჯერ უარყოფდნენ * ნაციონალიზაციას; უბედურება ის არის, რომ რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ შესძლეს გაეგოთ რუს გლეხთა ბრძოლის ხასიათი. მასლოვის დემაგოგია იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ის აღნიშნავს ფაქტს — ზოგიერთი ავტონომისტი ნაციონალიზაციას არ ეთანხმებაო, არამედ იმაში, რომ ის სდუმს იმაზე, რომ ბევრი ავტონომისტი არ ეთანხმება მუნიციპალიზაციას და აგულიანებს მათ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ მეშჩანურ-სეპარატისტული არგუმენტებით!

---

* სრულიადაც ყველა არა, სრულიადაც არა! მასლოვი უნდა ჩაფიქრებოდა ისეთ ფაქტს, როგორიცაა ნაციონალიზაციის დაცვა უკრაინელი ავტონომისტის ჩიჟევსკის მიერ.

ავტონომისტები ნაციონალიზაციის წინააღმდეგნი არიანო. დაე, მკითხველი ჩაუფიქრდეს, თუ ვის სასარგებლოდ მეტყველებს ასეთი არგუმენტი. მე კი, ჩემი მხრით, მოგაგონებთ, რომ ჯერ კიდევ 1903 წელს, როცა მასლოვის მ ა შ ი ნ დ ე ლ ი პროგრამის წინააღმდეგ ვილაშქრებდი, მუნიციპალიზაციას შეკვეცილ ნაციონალიზაციას ვუწოდებდი. მოგაგონებთ, რომ 1906 წელს, როცა სტოკჰოლმის ყრილობის წინ მასლოვს ვეკამათებოდი, მე აღვნიშნავდი, რომ სწორი არ არის ნაციონალური ავტონომიის საკითხის არევა მიწების ნაციონალიზაციის საკითხში მეთქი *. ავტონომიას უზრუნველყოფენ თვითონ ჩვენი პროგრამის საფუძვლები. მაშასადამე, ესევე საფუძვლები უზრუნველყოფენ ნაციონალიზებული მიწების ავტონომიურ გამგებლობასაც! ეს ანბანი მასლოვს ვერ გაუგია! ნაციონალიზაცია ნიშნავს აბსოლუტური რენტის მოსპობას, მიწის საკუთრების გადაცემას სახელმწიფოსათვის, სხვებისთვის მიწის ყოველგვარი დათმობის აკრძალვას, ე. ი. მიწის მეურნეობის გამძღოლსა და მიწის მესაკუთრეს — სახელმწიფოს შორის ყველა და ყოველგვარი შუამავლის აცილებას. ამ აკრძალვის ფარგლებში ქვეყნებისა და ხალხების ავტონომია მიწის გამგებლობის, განსახლების პირობების, განაწილების წესების დადგენისა და მისთანათა მიმართ სავსებით დასაშვებია, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ნაციონალიზაციას და ეკუთვნის ჩვენი პოლიტიკური პროგრამის მოთხოვნათა რიცხვს. აქედან ცხადად გამომდინარეობს, რომ მხოლოდ წვრილ მეშჩანებს, როგორიც იყვნენ ყველა «ავტონომისტები», შეეძლოთ ავტონომიის დაკარგვის შიშზე მითითებით დაეფარათ თავიანთი სიმხდალე, დაეფარათ ის გარემოება, რომ არ სურდათ ბოლომდე აქტიურად ებრძოლნათ ერთიანი, ცენტრალიზებული აგრარული რევოლუციისათვის. სოციალ-დემოკრატიისათვის საკითხი სწორედ პირიქით დგება: პროლეტარიატისათვის საქმე ეხება რევოლუციის ბოლომდე მიყვანას როგორც პოლიტიკურ, ისე აგრარულ

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 10, გვ. 205 — 208. რ ე დ.

დარგში. ამისათვის — რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის — აუცილებელია მიწების ნაციონალიზაცია, რასაც მოითხოვენ ტრუდოვიკები, ე. ი. პოლიტიკურად შეგნებული რუსი გლეხები. ასეთი ნაბიჯის ეკონომიური კრიტერიუმი პირველ რიგში დგება მარქსისტისათვის; ეს ეკონომიური კრიტერიუმი ამბობს, რომ, მარქსის მოძღვრების თანახმად, მიწათმოქმედებაში საწარმოო ძალთა განვითარების მაქსიმუმს უზრუნველყოფს მიწის ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია. ამრიგად, გადამწყვეტი ბურჟუაზიულ-რევოლუციური ნაბიჯი აგრარულ დარგში განუყრელად დაკავშირებულია გადამწყვეტ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გადატრიალებასთან პოლიტიკურ დარგში, ე. ი. რესპუბლიკის დამყარებასთან, რომელიც მხოლოდ ერთადერთი უზრუნველყოფს ჭეშმარიტ ავტონომიას. ასეთია ავტონომიისა და აგრარული გადატრიალების ნამდვილი თანაფარდობა, რომელიც სრულიად ვერ გაუგია მასლოვს!

ჩემს მიერ მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიის» დამოწმებას მასლოვი «თავის დაძვრენას» უწოდებს, რადგან მარქსი არ ამბობს, «რომ გლეხებს თვითონ სურთ თავისთავის ექსპროპრიაციაო». რას ბრძანებთ, ამხანაგო მასლოვ! ნუთუ თქვენ მართლაც ვერ გაიგეთ მარქსის ნათელი სიტყვები? ამბობს თუ არა მარქსი, რომ კაპიტალიზმისათვის ხელსაყრელია მიწის შუასაუკუნებრივი საკუთრების სრული მოსპობა, ჰო თუ არა? წარმოადგენს თუ არა მიწების ნაციონალიზაცია, რასაც ტრუდოვიკები იცავენ და რასაც 1905—1907 წლებში მოითხოვდნენ რუსი გლეხები, შუასაუკუნებრივი საკუთრების მოსპობას, ჰო თუ არა? ლაპარაკი ხომ სწორედ ამაზე იყო, ჩემო საყვარელო ოპონენტო, ხოლო მიწის ბურჟუაზიულ-გლეხური ნაციონალიზაციის სახელწოდების სასაცილოდ შეცვლა და მისთვის გლეხთა «ექსპროპრიაციის» დარქმევა სრულიადაც არ აბათილებს ჩემ მიერ საკითხის დაყენების სისწორეს... «ასევე მრეწველობაშიც, — განაგრძობს მასლოვი, — კაპიტალიზმი აჩანაგებს წვრილ საკუთრებას, მაგრამ განა აქე-

ღან გამომდინარეობს, რომ სოციალ-დემოკრატებმა უნდა იკისრონ შინამრეწველთა ექსპროპრიაციის ამოცანა?...»

ეს კი ნამდვილი მარგალიტია! გლეხთა ბრძოლა მიწის საკუთრების შუასაუკუნებრივ ზღუდეებთან, ბრძოლა მიწის ნაციონალიზაციისათვის, რომელიც, როგორც მარქსმა დაამტკიცა, ყველაზე მეტად უწყობს ხელს კაპიტალიზმის განვითარებას, და ყოველივე ამის გამოცხადება გლეხთა «ექსპროპრიაციად», გატოლება კაპიტალის მიერ შინამრეწველის ექსპროპრიაციასთან — ღმერთს ნუ სცოდავთ, ამხანაგო მასლოვ! აბა ჩაფიქრდით, ღვთის გულისათვის, რატომ ვ უ ჭ ე რ თ მ ხ ა რ ს ჩვენ გლეხს მემამულის წინააღმდეგ, ხოლო შინამრეწველებისათვის მხარის დაჭერა ფაბრიკის წინააღმდეგ — ანტისემიტების საქმედ მიგვაჩნია.

მასლოვს არ ესმის, რომ შინამრეწველისათვის, ე. ი. მრეწველობაში წვრილი საკუთრებისათვის, მხარის დაჭერა არასოდეს არ შეიძლება იყოს სოციალ-დემოკრატების საქმე, როგორც უეჭველად და ყოველ გარემოებაში რეაქციული საქმიანობა. ხოლო მხარის დაჭერა წვრილი საკუთრებისათვის მიწათმოქმედებაში შ ე ი ძ ლ ე ბ ა იყოს მარქსისტების მოვალეობა და უ ნ დ ა იყოს ყოველთვის, როცა წვრილი ბურჟუაზიული მეურნეობა წარმოადგენს ეკონომიურად პ რ ო გ რ ე ს უ ლ მოვლენას მსხვილ ფეოდალურ მეურნეობასთან შედარებით. მარქსი არასოდეს არ უჭერდა მხარს წვრილ მრეწველობას მსხვილი მრეწველობის წინააღმდეგ, მაგრამ მარქსი მხარს უჭერდა 40-იან წლებში ამერიკის მიმართ, 1848 წელს გერმანიის მიმართ წვრილ სოფლის მეურნეობას, გლეხებს ფეოდალური ლატიფუნდიების წინააღმდეგ. 1848 წელს მარქსი წინადადებას იძლეოდა, დაექუცმაცებინათ გერმანული ფეოდალური მამულები. მარქსი მხარს უჭერდა წვრილ მეურნეთა მოძრაობას ამერიკის მსხვილი მონათმფლობელური მამულების წინააღმდეგ მიწის თავისუფლებისათვის, მიწის კერძო საკუთრების მოსპობისათვის ამერიკაში [90].

სწორი იყო თუ არა მარქსის აგრარული პოლიტიკის მიმართულება? სწორი იყო, პატივცემულო ამხანაგო მასლოვ,

რომელმაც «გადასინჯეთ» აბსოლუტური რენტის თეორია ბურჟუაზიული ეკონომიის თვალსაზრისით, მაგრამ ვერ მოასწარით «გადაგესინჯათ» მარქსის დანარჩენი მოძღვრება. ბურჟუაზიული რევოლუცია აგრარულ დარგში მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს თანამიმდევარი და მართლაც ძლევამოსილი, როცა იგი ძალდატანებით და რადიკალურად სპობს მთელ ფეოდალურ საკუთრებას, როცა იგი აღგვის მიწის მთელ წინანდელ საკუთრებას და მის ნაცვლად ქმნის ნიადაგს მიწის ახალი თავისუფალი ბურჟუაზიული საკუთრებისათვის, რომელიც შეგუებულია კაპიტალთან, და არა მემამულესთან. მიწის ნაციონალიზაცია სავსებით შეესაბამება ასეთი გადატრიალების მიმართულებას. ეს ცოტაა, მიწის ნაციონალიზაცია არის ერთადერთი ღონისძიება, რომლის მეოხებითაც ეს გადატრიალება ხდება ყველაზე მეტი თანამიმდევრობით, როგორიც კი საერთოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. არ არსებობს სხვა საშუალება, რომელიც ასევე გადაჭრით და გლეხებისათვის ყველაზე უმტკივნეულოდ გაათავისუფლებს მათ სანადელო საკუთრების «გეტოსაგან». არ არსებობს სხვა საშუალება, რომელიც არა პოლიციური, არა ბიუროკრატიული და არა მევახშური გზით მოსპობს ძველ დამპალ თემს.

საქმეს ობიექტურად რომ შევხედოთ, რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში საკითხი ასე და მხოლოდ ასეა დასმული: შეუგუებს თუ არა სტოლიპინი (ე. ი. მემამულეები და თვითმპყრობელობა) მიწის ძველ საკუთრებას კაპიტალიზმს, თუ ამას იზამენ თვითონ გლეხთა მასები, მემამულეებისა და მეფის ძალაუფლებას რომ დაამხობენ. პირველ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ შეგუება რეფორმების გზით, ე. ი. სანახევრო, უსასრულოდ გრძელი შეგუება, რომელიც ნიშნავს საწარმოო ძალთა გაცილებით უფრო ნელ ზრდას, დემოკრატიზმის სულ მცირედ განვითარებას, შეგუება, რომელიც რუსეთს ხვედრად განუმზადებს იუნკრის ხანგრძლივად ბატონობას. მეორე შემთხვევაში შესაძლებელია, მხოლოდ რევოლუციური შეგუება, ე. ი. ისეთი შეგუება, რომელიც ძალდატანებით აღ-

გვის მემამულეთა მამულებს და უზრუნველყოფს საწარმოო ძალთა უაღრესად სწრაფ განვითარებას. შესაძლებელია თუ არა მემამულური საკუთრების ეს რევოლუციური მოსპობა გლეხთა ძველი სანადელო საკუთრების შენარჩუნებისას? არა, ეს შეუძლებელია, და გლეხთა დეპუტატებმა ორივე სათათბიროში დაამტკიცეს, რომ ეს შეუძლებელია. ეს მათ იმით დაამტკიცეს, რომ შექმნეს მთელი რუსეთის გლეხობის პოლიტიკური ტიპი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს: ტ ი პ ი ტ რ უ დ ო ვ ი კ ი ს ა, რომელიც მოითხოვს მიწების ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს.

ნაციონალიზაციის ესერულ ხასიათზე რომ გაჰყვირის, მასლოვი იმეორებს მენშევიკების ძველ ხერხს: კადეტებს ელაქუცებიან და ამავე დროს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს ბრალად სდებენ ესერებთან დაახლოებას. ეკეკლუცებიან ლიბერალ-მონარქისტ მემამულეებსა და ვაჭრებს და აღშფოთებული არიან იმით, რომ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს ბურჟუაზიულ რევოლუციაში სურთ რევოლუციურ ბურჟუა-გლეხებთან ერთად იარონ. მაგრამ ეს ცოტაა. მასლოვი, ნაციონალიზაციის ესერული ხასიათის წინააღმდეგ რომ გრგვინავს, ამყლავნებს, რომ მას სრულიად არ ესმის რუსი გლეხობის ნაროდნიკულ შეხედულებათა და ოცნებათა მარქსისტული ანალიზი. მასლოვს არ ესმის, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატები უკვე დიდი ხანია აღნიშნავდნენ მიწების ახალი გაყოფის («ჩორნი პერედელ») და მისთანათა შესახებ სოციალისტური, ან უფრო **quasi** *-სოციალისტური თეორიებისა თუ ოცნებათა რეაქციულობას და ამ იდეალის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ პ რ ო გ რ ე ს უ ლ ო ბ ა ს თანამედროვე ნახევრადბატონყმურ რუსეთში. მასლოვს უნარი არ შესწევს სოციალიზმის შესახებ ესერების მეშჩანური ფ რ ა ზ ი ს იქით აღმოაჩინოს ბურჟუაზიული სინამდვილე, სახელდობრ: რევოლუციური ბრძოლა მთელ ძველ შუასაუკუნებრივ ძველმანთან. როცა სოც.-რევოლუციონერი ლაპარაკობს მიწათსარგებლობის გათანაბრებაზე, მიწე-

* — ვითომდა. რ ე დ.

ბის სოციალიზაციაზე და სხვ., სოც.-რევოლუციონერი ეკონომიური თვალსაზრისით სისულელეს ამბობს, სოც.-რევოლუციონერი ამყლავნებს უმეცრებას ეკონომიური მეცნიერებისა და კაპიტალიზმის განვითარების თეორიის დარგში. მაგრამ ამ ფრაზების იქით, ამ ოცნებათა იქით იმალება უაღრესად ცოცხალი, რეალური შინაარსი, — ოღონდ სრულიადაც არა სოციალისტური, არამედ წმინდა ბურჟუაზიული, სახელდობრ: ნიადაგის გაწმენდა კაპიტალიზმისათვის, მიწის ყოველგვარი შუასაუკუნებრივი და წოდებრივი ზღუდეების მოსპობა, თავისუფალი სარბიელის შექმნა კაპიტალიზმისათვის. აი რის გაგება არასგზით არ შეუძლია ჩვენს საცოდავ მასლოვს — და ეს უშუალოდ დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მასლოვს არ შეუძლია გაიგოს მარქსის მოძღვრება აბსოლუტური რენტის შესახებ, რომელიც, დიფერენციული რენტისაგან განსხვავებით, შეიძლება მოსპობილ იქნას კაპიტალისტურ საზოგადოებაში და რომლის მოსპობა წინ სწევს ამ საზოგადოების განვითარებას.

მასლოვი ვერ ახერხებს ესერებთან ბრძოლას და ავულგარებს მარქსიზმს, იმასღა ჯერდება, რომ თავის ნაკვეთზე მიჯაჭული გლეხის «უკანა მხარეს» უმზიროს, და სავსებით მოკლებულია უნარს გაიგოს იმ გლეხის დემოკრატიზმი და რევოლუციური ბურჟუაზიულობა, რომელსაც სურს აოგავოს როგორც მემამულური, ისე სანადელო საკუთრება მიწისა.

მასლოვი ვერ ახერხებს ესერებთან ბრძოლას და მათ, მეშჩანურ სოციალისტებს, ხელთ უგდებს მიწის კერძო საკუთრების კრიტიკას. კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით ეს კრიტიკა მარქსმა მოგვცა და მას მარქსისტები უნდა იძლეოდნენ. აბსოლუტური რენტის უარყოფით მასლოვმა ეს გზა გადაიჭრა. იგი იარაღს ჰყრის ესერების წინაშე და თეორიაში სცნობს, რომ მართალნი არიან ესერებიო, მაშინ როდესაც მართალია მარქსი! — იარაღს ჰყრის ესერების წინაშე, რომლებიც კერძო მიწათმფლობელობას აკრიტიკებენ მეშჩანურად, არა კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ მისი განვითარების შეფერხების თვალსაზრი-

ხით. მასლოვს ვერ გაუგია, რომ ესერების შეცდომა აგრარულ პროგრამაში იწყება ნაციონალიზაციის შემდეგ, ე. ი. მაშინ, როდესაც ისინი გადადიან «სოციალიზაციასა» და «გამთანაბრებლობაზე» და იქამდე მიდიან, რომ წვრილ გლეხობაში კლასობრივ ბრძოლას უარყოფენ. ესერებს არ ესმით ნაციონალიზაციის ბურჟუაზიული ხასიათი — აი რაში მდგომარეობს მათი მთავარი ცოდვა. და დაე მითხრას ყოველმა მარქსისტმა, რომელსაც «კაპიტალი» შეუსწავლია, შეიძლება თუ არა გაიგო ნაციონალიზაციის ბურჟუაზიულობა, თუ აბსოლუტურ რენტას უარყოფ?

შემდეგ მასლოვი ამბობს, თითქოს მე შუასაუკუნებრივ საკუთრებად ვაქცევ მთელ წვრილ გლეხურ საკუთრებას მთელ ევროპაში. სრულიად არ არის სწორი. ევროპაში არ არის მიწის «სანადელო» საკუთრება და წოდებრივი ზღუდეები, არამედ უკვე არსებობს მიწის თავისუფალი, კაპიტალისტური, და არა ფეოდალური საკუთრება. ევროპაში არ არის გლეხთა მოძრაობა მემამულეთა წინააღმდეგ, მოძრაობა, რომელსაც მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები. ეს დავიწყებია პ. მასლოვს!

გადავიდეთ პოლიტიკურ არგუმენტებზე. ჩემს არგუმენტს რომ მუნიციპალიზაციას მენშევიკები უკავშირებენ მონარქიასთან კომპრომისის იდეას, მასლოვი «ინსინუაციასა» და «შეგნებულ სიცრუეს» უწოდებს, — მაგრამ რას ამბობს ციტატი, რომელიც მენშევიკ ნოვოსელსკის გამოსვლიდან სიტყვა-სიტყვით მოვიყვანე, ამხანაგო მასლოვ? ვინ ცრუობს აქ? იმაში ხომ არ არის საქმე, რომ თქვენ გსურთ საშინელი სიტყვებით წარხოცოთ ნოვოსელსკის აღიარება, რომელიც თქვენთვის არასასიამოვნოა?

მიწის გადაცემა მუნიციპალიტეტებისათვის აძლიერებს მათ შანსებს რესტავრაციასთან ბრძოლაშიო,—ამტკიცებს მასლოვი. მე კი ნებას მივცემ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ მხოლოდ ცენტრალური რესპუბლიკური ხელისუფლების გაძლიერება შეუძლია სერიოზულად გააძნელოს რეაქციის საქმე, მაშინ როდესაც ცალკეულ ოლქებს შორის ძალებისა და საშუალებათა დაქსაქსვა უადვილებს მას საქმეს. ჩვენ უნდა ვეცადოთ

ერთ არმიად შევაერთოთ სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილის რევოლუციური კლასები და უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატი და არ უნდა ვფიქრობდეთ უიმედო, ეკონომიკურად შეუძლებელ და უაზრო ფედერალისტურ ცდაზე, რომ კონფისკებული მიწების შემოსავალი სარგებლობაში გადაეცეს ცალკეულ ოლქებს. «არჩევანი მოახდინეთ, ამხანაგო პოლონელებო, — ამბობს მასლოვი, — პოლონეთის სეიმმა უნდა მიიღოს კონფისკებული მიწების შემოსავალი, თუ ეს შემოსავალი მოსკალებს გადაეცეს პიტერშიო?»

საუცხოო არგუმენტია! და ამ არგუმენტში არ არის დემაგოგიის ნატამალიც კი! და არ არის აგრარული საკითხის არევა პოლონეთის ავტონომიის საკითხში!

მე კი ვიტყვი: პოლონეთის თავისუფლება შეუძლებელია, თუ არ იქნება რუსეთის თავისუფლება. ეს თავისუფლება კი არ იქნება, თუ პოლონელი და რუსი მუშები არ შეასრულებენ იმ ამოცანას, რომ მხარი დაუჭირონ რუს გლეხებს მათს ბრძოლაში მიწების ნაციონალიზაციისათვის და ამ ბრძოლის სრულ გამარჯვებამდე მიყვანაში როგორც პოლიტიკურ, ისე აგრარულ ურთიერთობათა დარგში. მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია უნდა შეფასდეს რუსეთის ცენტრის ეკონომიური განვითარებისა და მთელი სახელმწიფოს პოლიტიკური ბედის თვალსაზრისით, და არა ამა თუ იმ ავტონომიური ნაციონალური ტერიტორიის ცალკეულ თავისებურებათა თვალსაზრისით. თუ პროლეტარიატმა და რევოლუციურმა გლეხობამ რუსეთში არ გაიმარჯვეს, ისე სასაცილოა ლაპარაკი პოლონეთის ნამდვილ ავტონომიაზე, მუნიციპალიტეტების უფლებებზე და სხვ. ეს ფუჭი ფრაზებია. რუსეთის გლეხობამ კი სწორედ იმდენად, რამდენადაც იგი რევოლუციურია, რამდენადაც იგი არ უშვებს კომპრომისებს ბურჟუაზიასთან და ოქტიაბრისტებთან, არამედ იბრძვის მუშებთან და დემოკრატიასთან ერთად, უკვე უდავოდ დაამტკიცა თავისი სიმპათია მიწების ნაციონალიზაციისადმი. თუ გლეხობა აღარ იქნება რევოლუციური, ე. ი, უარს იტყვის ამ სიმპათიაზე, ზურგს შეაქცევს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, — მაშინ გლეხებს მოეწონებათ

მასლოვის ზრუნვა მიწის ძველი საკუთრების შენარჩუნებისათვის, — მაგრამ მაშინ მასლოვის მუნიციპალიზაცია უკვე ყოვლად სასაცილო იქნება. ხოლო ვიდრე წარმოებს გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლა, ვიდრე აზრი აქვს მარქსისტების «აგრარულ პროგრამას» ბურჟუაზიულ რევოლუციაში, მანამდე ჩვენი მოვალეობაა მხარი დავუჭიროთ გლეხობის რევოლუციურ მოთხოვნებს, მათ შორის მიწების ნაციონალიზაციასაც. მასლოვი რუსი გლეხების ამ მოთხოვნას ვერ ამოშლის რუსეთის რევოლუციის ისტორიიდან — და დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი მოძრაობის აღმავლობა, მიწისათვის გლეხთა ბრძოლის აღმავლობა, როცა იგი კვლავ დაიწყება, აშკარად გამოამჟღავნებს «მუნიციპალიზაციის» მთელ რეაქციულობას.

დაიბეჭდა 1908 წ. ოქტომბერ — ნოემბერს ჟურნალში «Przeglad Socjaldemokratyczny», № 8 — 9

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით თარგმანი პოლონურიდან

მიმდინარე მომენტის შეფასებისათვის

რსდმპ სრულიად რუსეთის მომავალი კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია საკითხი: «თანამედროვე მდგომარეობა და პარტიის ამოცანები». ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა უკვე დაიწყეს — მოსკოვი და პეტერბურგი ამ მხრივ დანარჩენ ცენტრებზე წინ არიან — სისტემატური განხილვა ამ საკითხისა, რომელსაც უეჭველად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მიყუჩების, რეაქციის თარეშის, დემოკრატიის ბანაკში ღალატისა და სასოწარკვეთილების, სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების კრიზისისა და ნაწილობრივი რღვევის დღევანდელი პერიოდი განსაკუთრებით მწვავედ აყენებს აუცილებლობას — გავითვალისწინოთ ეწინარეს ყოვლისა ჩვენი რევოლუციის პირველი კამპანიის ძირითადი გაკვეთილები. ჩვენ ვლაპარაკობთ არა ტაქტიკურ გაკვეთილებზე ამ სიტყვის ვიწრო აზრით, არამედ ჯერ რევოლუციის ზოგად გაკვეთილებზე, და ამის შესაბამისად ჩვენი პირველი საკითხი ასეთი იქნება: როგორია ის ობიექტური ცვლილებანი, რომლებიც მოხდა რუსეთის ძალთა კლასობრივ დაჯგუფებასა და პოლიტიკურ თანაფარდობაში 1904 წლიდან 1908 წლამდე? ძირითადი ცვლილებანი, ჩვენი აზრით, შემდეგი ხუთი ცვლილებაა: 1) თვითმპყრობელობის აგრარული პოლიტიკა გლეხთა საკითხში პრინციპულად ძლიერ შეიცვალა; ძველი თემის მხარის დაჭერა და განმტკიცება შეიცვალა მისი დაჩქარებული პოლიციური ნგრევისა და გაძარცვის პოლიტიკით. 2) შავრაზმელი თავადაზნაურობისა და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლობამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ: თავადაზნაურთა და ვაჭართა წინანდელი ადგილობრივი არჩევითი კო-

ძიტეტების ნაცვლად, მათი სრულიად რუსეთის წარმომადგენლობის დაქსაქსული და შემთხვევითი ცდების ნაცვლად არის ერთიანი წარმომადგენლობითი ორგანო — სახელმწიფო საათბირო, რომელშიც აღნიშნული კლასებისათვის უზრუნველყოფილია სრული უპირატესობა. ლიბერალური პროფესიების წარმომადგენლობა — რომ აღარაფერი ვთქვათ გლეხობასა და პროლეტარიატზე — დაყვანილია დანამატისა და დანართის როლამდე ამ ვითომდა «კონსტიტუციურ» დაწესებულებაში, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს თვითმპყრობელობა. 3) ამ ხნის მანძილზე კლასები რუსეთში აშკარა პოლიტიკური ბრძოლის დროს პირველად გაიმიჯნენ ერთმანეთისაგან და გამოირკვნენ: პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ახლა აშკარად და ფარულად არსებობენ (უფრო სწორად: სანახევროდ ფარულად, რადგან სავსებით «ფარული» პარტიები რევოლუციის შემდეგ არ არის რუსეთში), არნახული სიზუსტით გამოხატავენ კლასების ინტერესებსა და თვალსაზრისს; კლასები სამი წლის განმავლობაში ერთ ასად უფრო მომწიფდნენ, ვიდრე წინანდელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. შავრაზმელმა თავადაზნაურობამ, ნაციონალ-«ლიბერალურმა» ბურჟუაზიამ, წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ (ტრუდოვიკებმა და მათმა მემარცხენე პატარა ფრთამ — ესერების ფრთამ) და პროლეტარულმა სოციალ-დემოკრატიამ ამ ხნის განმავლობაში ყველამ დაასრულა თავისი განვითარების «ჩანასახი» პერიოდი და მრავალი და მრავალი წლით წინასწარ განსაზღვრა — არა სიტყვებით, არამედ ფაქტებითა და მასების მოქმედებით — თავისი ბუნება. 4) ის, რაც რევოლუციამდე იწოდებოდა ლიბერალურ და ლიბერალურ-ნაროდნიკულ «საზოგადოებად» ან საერთოდ «ერის» «განათლებულ» ნაწილად და წარმომადგენლად, ფართო მასა შეძლებული, თავადაზნაურული, ინტელიგენტური «ოპოზიციისა», რომელიც რაღაც მთლიანი, ერთფეროვანი ჩანდა და ავსებდა ერობებს, უნივერსიტეტებს, მთელ «რიგიან» პრესას და ა. შ., — ყოველივე ეს გამოვლინდა რევოლუციაში, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგები და მომხრეები, ყოველივე ამან დაიკავა ახლა

ყველასათვის აშკარა კონტრრევოლუციური პოზიცია სოციალისტური პროლეტარიატისა და დემოკრატიული გლეხობის მასობრივი ბრძოლის მიმართ. კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზია იშვა და იზრდება. ეს ფაქტი არ კარგავს ფაქტის ძალას იმის გამო, რომ მას უარყოფს «პროგრესული» ლეგალური პრესა, ან იმის გამო, რომ მას ჩქმალავენ ჩვენი ოპორტუნისტები, მენშევიკები, რომ იგი არ ესმით მათ. 5) მილიონობით მოსახლეობამ შეიძინა პრაქტიკული გამოცდილება ნამდვილად მასობრივი და უშუალოდ-რევოლუციური ბრძოლის სულ სხვადასხვანაირ ფორმებში, ისეთ ფორმებშიც კი, როგორიცაა «საყოველთაო გაფიცვა», მემამულეთა განდევნა, მათი კარმიდამოების გადაწვა, აშკარა შეიარაღებული აჯანყება. ის, ვინც რევოლუციამდე უკვე იყო რევოლუციონერი ან შეგნებული მუშა, ერთბაშად ვერ წარმოიდგენს მთელი თავისი დიდი მნიშვნელობით ამ ფაქტს, რომელმაც მეტად ძირეული ცვლილება შეიტანა მთელ რიგ წინანდელ წარმოდგენებში პოლიტიკური კრიზისის განვითარების მსვლელობაზე, ამ განვითარების ტემპზე, იმ ისტორიის დიალექტიკაზე, რომელსაც პრაქტიკულად ქმნიან მასები. ამ გამოცდილების გათვალისწინება მასების მიერ უხილავი, მძიმე და ნელი პროცესია, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული ბევრი მოვლენა, რომელიც აცთუნებს ბალღებს — არა მარტო პოლიტიკაში ჩვილი ასაკის ბალღებს, არამედ ზოგჯერ აგრეთვე მეტად «დიდი» ასაკის ბალღებს. პროლეტარული მასების ხელმძღვანელი როლი მთელ რევოლუციაში და ბრძოლის ყველა სარბიელზე, დაწყებული დემონსტრაციებით, განგრძობილი აჯანყებით და გათავებული (ქრონოლოგიურად) «პარლამენტური» მოღვაწეობით, თვალნათლივ გამოვლინდა ყველას წინაშე ამ, მთლიანად აღებული, პერიოდის განმავლობაში.

ასეთია ობიექტური ცვლილებანი, რომლებმაც უფსკრული გათხარეს ოქტომბრამდელ და თანამედროვე რუსეთს შორის. ასეთია ჩვენი ისტორიის თავისი შინაარსით უმდიდრესი სამ-

წლის პერიოდის შ ე დ ე გ ე ბ ი, — ცხადია, ასე ვთქვათ, შეჯამებული შედეგები, რამდენადაც შეიძლება ორიოდე სიტყვით დავსახოთ უმთავრესი და ყველაზე არსებითი. დავაკვირდეთ ახლა იმ დასკვნებს ტაქტიკის დარგში, რომლებსაც უსათუოდ გვიკარნახებენ ეს შედეგები.

თვითმპყრობელობის აგრარული პოლიტიკის ცვლილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი «გლეხური» ქვეყნისათვის, როგორიც რუსეთია. ეს ცვლილება შემთხვევითი არ არის, სამინისტროების კურსის მერყეობა როდია, ბიუროკრატიის გამოგონილი როდია. არა, ეს არის უღრმესი «ძვრა» ა გ რ ა რ უ ლ ი ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ, ლიბერალური (სიტყვის ეკონომიური აზრით, ე. ი. = ბურჟუაზიული) პოლიტიკისაკენ გლეხთა საადგილმამულო ურთიერთობის დარგში. ბონაპარტიზმი არის გაძრომ-გამოძრომა მონარქიისა, რომელსაც დაუკარგავს თავისი ძველი, პატრიარქალური ანუ ფეოდალური, უბრალო და მთლიანი, დასაყრდენი, — მონარქიისა, რომელიც იძულებულია იჯამბაზოს, რომ არ დაეცეს, — ილაქუცოს, რომ მართოს, — მოისყიდოს, რომ თავი მოაწონოს, — დაუძმობილდეს საზოგადოების ნაძირალებს, აშკარა ქურდებსა და ყალთაბანდებს, რომ მარტო ხიშტის საშუალებით არ იარსებოს. ბონაპარტიზმი არის მონარქიის ობიექტურად გარდუვალი, მარქსისა და ენგელსის მიერ ევროპის უახლესი ისტორიის მთელი რიგი ფაქტებით შემოწმებული, ევოლუცია ყოველ ბურჟუაზიულ ქვეყანაში. და აგრარული ბონაპარტიზმი სტოლიპინისა, რომელსაც სავსებით შეგნებულად და ურყევი სიმტკიცით მხარს უჭერენ ამ პუნქტში შავრაზმელი მემამულეებიც და ოქტიაბრისტული ბურჟუაზიაც, — ვერც კი გაჩნდებოდა, მით უმეტეს — ვერ გაძლებდა აი უკვე ორი წელიწადია, რომ თვით თემი რუსეთში კაპიტალისტურად არ ვითარდებოდეს, რომ თემის შიგნით მუდამ არ იქმნებოდეს ელემენტები, რომლებთანაც თვითმპყრობელობას შეუძლია ლაქუცი, რომლებსაც შეუძლია უთხრას: «გამდიდრდით!», «ძარცვეთ თემი, ოღონდ მხარი დამიჭირეთო!». ამიტომ უეჭველი შეცდომა იქნებოდა სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის ყოველგვარი

შეფასება, რომელიც არ გაითვალისწინებდა, ერთი მხრივ, მის ბონაპარტისტულ ხერხებს, მეორე მხრივ, მის ბურჟუაზიულ (=ლიბერალურ) არსს.

მაგალითად, სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა რომ ბონაპარტიზმია, ამის ბუნდოვან შეგნებას იჩენენ ჩვენებური ლიბერალები, როცა თავს ესხმიან მის პოლიციურ ხასიათს, იდიოტურ ჩინოვნიკურ ჩარევას გლეხთა ცხოვრებაში და ა. შ. და სხვ. მაგრამ როდესაც კადეტები გოდებენ ჩვენი სოფლის ყოფაცხოვრების «ძველისძველ» საფუძველთა ძალდატანებითი მსხვრევის გამო, ისინი რ ე ა ქ ც ი უ ლ ი მოწუწუნენი ხდებიან. თუ ძველი რუსული სოფლის საფუძვლები ძალდატანებით, რევოლუციურად არ იქნა დამსხვრეული, ისე შეუძლებელია რუსეთის განვითარება. ბრძოლა წარმოებს, — თუმცა ეს შეგნებული არა აქვს მის ძალიან ბევრ მონაწილეს, — მ ხ ო ლ ო დ იმის გამო, იქნება ეს მემამულური მონარქიის ძალადობა გლეხების მიმართ თუ გლეხური რესპუბლიკის ძალადობა მემამულეთა მიმართ. ორივე შემთხვევაში გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა ბურჟუაზიული, და არა რომელიმე სხვა, აგრარული რევოლუცია რუსეთში, მაგრამ პირველ შემთხვევაში ნელი და წამებით აღსავსე, მეორე შემთხვევაში კი — სწრაფი, ფართო და თავისუფალი. მუშათა პარტიის ბრძოლა ამ მეორე გზისათვის გამოხატულია და აღიარებულია ჩვენს აგრარულ პროგრამაში, — არა მის იმ ნაწილში, სადაც წამოყენებული უაზრო «მუნიციპალიზაცია», არამედ იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია მ თ ე ლ ი მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი მიწების კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა ზ ე. სამი წლის გამოცდილების შემდეგ მხოლოდ მენშევიკებს შორის თუ შეიძლება კიდევ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ ამ კონფისკაციისათვის ბრძოლის კავშირს რესპუბლიკისათვის ბრძოლასთან. სტოლიპინის აგრარულ პოლიტიკას, მას რომ ძალიან და ძალიან დიდ ხანს გაეძლო, მას რომ საბოლოოდ გარდაექმნა წმინდა ბურჟუაზიულ ყაიდაზე სოფლის მთელი საადგილმამულო ურთიერთობა, შეეძლო ვეიძულებინეთ უარი გვეთქვა ყოველგვარ აგრარულ პროგრამაზე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში (დღევანდლამდე მენ-

შევიკებიც კი და მენშევიკებს შორის ჩერევანინებიც კი არ მისულან ჩვენი აგრარული პროგრამის უარყოფამდე). მაგრამ ახლა სტოლიპინის პოლიტიკა ვერასგზით ვერ გვაიძულებს შევცვალოთ ჩვენი ტაქტიკა. რაკი პროგრამაში არის «მთელი მემამულური მიწების კონფისკაცია», მხოლოდ ბალღებს შეუძლიათ არ შეამჩნიონ აქედან გამომდინარე რევოლუციური (სიტყვის უშუალო და ვიწრო მნიშვნელობით) ტაქტიკა. და სწორი არ იქნებოდა საკითხი ასე დაგვესვა: თუ სტოლიპინის პოლიტიკა «კრახს» განიცდის, მაშასადამე, მოახლოებულია აღმავლობა, და პირიქით. ბონაპარტისტული ხერხების კრახი ჯერ კიდევ არ არის თემის კულაკური გაჩანაგების პოლიტიკის კრახი. და, პირიქით, სტოლიპინის «წარმატება» სოფლად ახლა და უახლოეს წლებში ა რ ს ე ბ ი თ ა დ უფრო გააღვივებს ბრძოლას გლეხობის შიგნით, ვიდრე ჩააქრობს მას, რადგან თუ არა გრძელი და ძალიან გრძელი გზით, ისე არ შეიძლება მიღწეულ იქნეს «მიზანი», ე. ი. წ მ ი ნ დ ა ბურჟუაზიული გლეხური მეურნეობის საბოლოო და სრული განმტკიცება. სტოლიპინის «წარმატებას» უახლოეს წლებში შეეძლო გამოეწვია უკეთეს შემთხვევაში შეგნებულად კონტრრევოლუციური გლეხების, ოქტიაბრისტი გლეხების ფენის გამოყოფა, მაგრამ შეძლებული უმცირესობის სწორედ ასეთი გადაქცევა პოლიტიკურად შეგნებულ გაერთიანებულ ძალად აუცილებლივ იქნებოდა გიგანტური ბიძგი დემოკრატიული მასის პოლიტიკური შეგნების განვითარებისა და ასეთი უმცირესობის წინააღმდეგ მისი გაერთიანებისათვის. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, იმაზე უკეთესს ვერც კი ვისურვებდით, ვიდრე არის «სოფლის წურბელებისა» და «საზოგადოების» სტიქიური, დაქსაქსული, ბრმა ბრძოლის გადაქცევა ოქტიაბრისტებისა და ტრუდოვიკების შეგნებულ და აშკარა ბრძოლად.

გადავიდეთ სათათბიროს საკითხზე. უეჭველია, ეს შავრაზმულ-«კონსტიტუციური» დაწესებულება სწორედ ასევე წარმოადგენს აბსოლუტური მონარქიის განვითარებას ბონაპარტიზმის გზით. ბონაპარტიზმის ყველა ის ნიშანი, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, სავსებით თვალნათლივ ეტყობა ახლანდელ

საარჩევნო კანონსაც, შავრაზმელთა და პლუს ოქტიაბრისტთა ყალბად შექმნილ უმრავლესობასაც, ევროპის წაბაძვის თამაშსაც, სესხის ძებნასაც, რომლის ხარჯვას ვითომ კონტროლს უწევენ «ხალხის წარმომადგენლები», თვითმპყრობელობის მიერ თავის საქმიან პოლიტიკაში სათათბიროს მთელი კამათისა და ყველა გადაწყვეტილების სრულ უგულებელყოფასაც. წინააღმდეგურობა ფაქტიურად სავსებით გაბატონებულ შავრაზმულ თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიული «კონსტიტუციის» მოჩვენებითს გარეგნობას შორის სულ უფრო ცხადად აშკარავდება და ახალი რევოლუციური კრიზისის ელემენტებს შეიცავს. უნდოდათ თვითმპყრობელობა დაეფარათ, მოერთოთ, მოეკაზმათ სათათბიროს საშუალებით; ნამდვილად კი შავრაზმულ-ოქტიაბრისტული სათათბირო დღითი დღე, რაც არსებობს, სულ უფრო და უფრო ააშკარავებს, ამხელს, აშიშვლებს ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების ჭეშმარიტ ხასიათს, მის ნამდვილ კლასობრივ დასაყრდენებს და მის ბონაპარტიზმს. არ შეიძლება ამის გამო არ გავიხსენოთ ენგელსის გასაოცრად ღრმა მითითება (1883 წლის 27 აგვისტოს ბერნშტეინთან გაგზავნილ წერილში [91]) აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციური მონარქიისაკენ გ ა დ ა ს ვ ლ ი ს მნიშვნელობაზე. მაშინ როდესაც ლიბერალები საერთოდ და რუსი კადეტები განსაკუთრებით ასეთ გადასვლაში ხედავენ ნაქები «მშვიდობიანი» პროგრესის გამოვლინებას და მის გარანტიას, ენგელსმა მიგვითითა კონსტიტუციური მონარქიის, როგორც სახელმწიფოს ისეთი ფორმის ისტორიულ როლზე, რომელიც აადვილებს ფეოდალებისა და ბურჟუაზიის გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ბრძოლას. «სწორედ ისევე, — წერდა ენგელსი, — როგორც ფეოდალიზმის ბრძოლა ბურჟუაზიასთან არ შეიძლებოდა გადამწყვეტ დასასრულამდე ყოფილიყო მიყვანილი ძველ აბსოლუტურ მონარქიაში, არამედ ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ კონსტიტუციურ მონარქიაში (ინგლისი, 1789 — 1792 და 1815 — 1830 წლების საფრანგეთი), ასევე ბურჟუაზიის ბრძოლა პროლეტარიატთან შეიძლება გადამწყვეტ დასასრულამდე მიყვანილ იქნეს მხოლოდ რესპუბლი-

კაში». ენგელსი აქ კონსტიტუციურ მონარქიას უწოდებს, სხვათა შორის, 1816 წლის საფრანგეთსაც, როდესაც ცნობილი **Chambre introuvable**, შავრაზმული, კონტრრევოლუციური პალატა, ალბათ, ჩვენს მესამე სათათბიროზე არა ნაკლებ, მძვინვარებდა და შმაგობდა რევოლუციის წინააღმდეგ თეთრი ტერორის მხარის დაჭერაში. რას ნიშნავს ეს? სცნობს თუ არა ენგელსი ნამდვილ კონსტიტუციურ დაწესებულებებად მემამულეთა და კაპიტალისტთა წარმომადგენლების რეაქციულ კრებებს, რომლებიც მხარს უჭერენ აბსოლუტიზმს რევოლუციასთან ბრძოლაში? არა. ეს ნიშნავს, რომ არის ხოლმე ისტორიული პირობები, როდესაც დაწესებულებანი, კონსტიტუციას რომ აყალბებენ, აღვივებენ ბრძოლას ნამდვილი კონსტიტუციისათვის და ეტაპს წარმოადგენენ ახალი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კრიზისების განვითარებაში. ჩვენი რევოლუციის პირველ კამპანიაში მოსახლეობის უმრავლესობას ჯერ კიდევ სწამდა, რომ შესაძლებელია ნამდვილი კონსტიტუციის შერიგება თვითმპყრობელობასთან; კადეტები მთელ თავის პოლიტიკას იმაზე აგებდნენ, რომ სისტემატურად განამტკიცებდნენ ხალხში ამ რწმენას; ტრუდოვიკები ნახევრად მაინც კადეტებს მიჰყვებოდნენ ამ პუნქტში. ახლა თვითმპყრობელობა თავისი მესამე სათათბიროთი გამოცდილებით უჩვენებს ხალხს, თუ რანაირ «კონსტიტუციას» შეიძლება იგი «შეურიგდეს»; ამით აახლოებს იგი უფრო ფართო და უფრო გადამწყვეტ ბრძოლას თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

აქედან, სხვათა შორის, გამომდინარეობს, რომ ჩვენი ძველი ლოზუნგის — «ძირს თვითმპყრობელობა» შეცვლა ლოზუნგით — «ძირს მესამე სათათბირო» — სრულიად არასწორი იქნებოდა. რა პირობებში შეიძლებოდა მოეპოვებინა მნიშვნელობა იმგვარ ლოზუნგს, როგორიცაა «ძირს სათათბირო»? ვთქვათ, ჩვენს წინაშეა ლიბერალური, რეფორმატორული, შემთანხმებელი სათათბირო იმ უაღრესად მწვავე რევოლუციური კრიზისის ეპოქაში, რომელიც უკვე მომწიფდა პირდაპირ სამოქალაქო ომად. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ მომენტში ლოზუნგად შეიძლებოდა გამხდარიყო «ძირს სათათ-

ბირო», ე. ი. ძირს მშვიდობიანი მოლაპარაკება მეფესთან, ძირს მაცთური «სამშვიდობო» დაწესებულება, მოვუწოდებთ უშუალო იერიშისაკენ. ვთქვათ, პირიქით, რომ ჩვენს წინაშეა არქირეაქციული სათათბირო, არჩეული დრომოჭმული საარჩევნო უფლების საფუძველზე, ამასთან ქვეყანაში არ არის მწვავე რევოლუციური კრიზისი; ლოზუნგი «ძირს სათათბირო» მაშინ შეიძლებოდა გამხდარიყო საარჩევნო რეფორმისათვის ბრძოლის ლოზუნგად. არც ერთი, არც მეორე შემთხვევის მსგავს რამეს ვერ ვხედავთ ჩვენში. III სათათბირო შემთანხმებელი კი არა, პირდაპირ კონტრრევოლუციურია; იგი კი არ ფარავს თვითმპყრობელობას, არამედ ამხელს მას; იგი არავითარ დამოუკიდებელ როლს არ ასრულებს რაიმე მხრივ: არავინ და არსად არ მოელის მისგან პროგრესულ რეფორმებს; არავინ არ ფიქრობს, რომ ცარიზმის ნამდვილი ძალაუფლების წყაროს ზუბრების ეს კრება წარმოადგენს. ყველა თანახმაა, რომ ცარიზმი კი არ ეყრდნობა მას, არამედ სარგებლობს მით, — რომ ცარიზმს შეუძლია მთელი თავისი ახლანდელი პოლიტიკა აწარმოოს ასეთი სათათბიროს მოწვევის გადადების შემთხვევაშიც (თურქეთის მიერ 1878 წელს პარლამენტის მოწვევის «გადადების» მსგავსად [92]) და მისი «საერთო კრებით» ან მსგავსი რამით შეცვლის შემთხვევაშიც და ა. შ.. ლოზუნგი «ძირს სათათბირო» იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მთავარი ბრძოლა წარიმართებოდა სწორედ არა დამოუკიდებელი, არა გადამწყვეტი დაწესებულების, ისეთი დაწესებულების წინააღმდეგ, რომელიც უმთავრეს როლს არ ასრულებს. ასეთი ლოზუნგი სწორი არ არის. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ძველი ლოზუნგი «ძირს თვითმპყრობელობა» და «გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას», რადგან სწორედ თვითმპყრობელობა ისევ რჩება ნამდვილ ხელისუფლებად, რეაქციის ნამდვილ დასაყრდენად და ბურჯად. თვითმპყრობელობის დაცემა გარდუვალად ნიშნავს III სათათბიროს, როგორც ცარიზმის ერთ-ერთი დაწესებულების, მოსპობას (და ამასთან რევოლუციურ მოსპობას); III სათათბიროს დაცემა, თავისთავად აღებული, იქნებოდა ან ახალი ავანტიურა იმავე თვითმპყრობელო-

ბისა, ან ცდა რეფორმისა, მაცთუნებელი და მხოლოდ მოჩვენებითი რეფორმისა, რომელსაც იგივე თვითმპყრობელობა მიმართავს *.

განვაგრძოთ. ჩვენ დავინახეთ, რომ პოლიტიკური პარტიების კლასობრივი ბუნება პირველი რევოლუციური კამპანიის სამი წლის განმავლობაში შესანიშნავი ძლიერებითა და სიცხადით გამოირკვა. აქედან გამომდინარეობს, რომ მთელ მსჯელობაში პოლიტიკურ ძალთა ახლანდელ თანაფართობაზე, ამ თანაფარდობის შეცვლის მიმართულებაზე და ა. შ. ანგარიში უნდა გავუწიოთ ისტორიული გამოცდილების ამ კონკრეტულ მონაცემებს, და არა აბსტრაქტულ «ზოგად მსჯელობას». ევროპულ სახელმწიფოთა მთელი ისტორია მოწმობს, რომ სწორედ უშუალო რევოლუციური ბრძოლის პერიოდებში იქმნება კლასობრივ დაჯგუფებათა და დიდ პოლიტიკურ პარტიებად დაყოფის ისეთი ღრმა და მტკიცე საფუძვლები, რომლებიც შემდეგ სძლებენ სიწყნარის მეტად ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაშიც კი. ცალკეულ პარტიებს შეუძლიათ იატაკქვეშეთში მიიმალონ, თავი არ იჩინონ, პოლიტიკური ავანსცენიდან გაქრენ, მაგრამ სულ ოდნავი გამოცოცხლებისას ძირითადი პოლიტიკური ძალები გარდუვალად კვლავ იჩენენ თავს, იქნებ, შეცვლილი ფორმით, მაგრამ აუცილებლად საქმიანობის იმავე ხასიათითა და მიმართულებით, ვიდრე არ გადაწყვეტილა ობიექტური ამოცანები რევოლუციისა, რომელსაც ესა თუ ის დამარცხება განუცდია. ამიტომ, მაგალითად, უდიდესი სიბეცე იქნებოდა გვეფიქრა, რომ რადგან ტრუდოვიკული ორგანიზაციები ადგილებზე არ არიან, ხოლო III სათათბიროს შრომის ჯგუფს განსაკუთრებული დაბნეულობა და უმწეობა ახასიათებს, ამიტომ დემოკრატიული გლეხობის მასები უკვე სავსებით გაიფანტნენ და არსებითს როლს არ ასრულებენ ახალი რევოლუციური კრიზისის გაძლიერების

* შემდეგ №-ში ჩვენ განვიხილავთ «სათათბიროს» ტაქტიკის საკითხის სხვა მხარეს და გავარჩევთ ამხანაგ ოტზოვისტის «წერილს», რომელიც მოთავსებულია «რაბოჩეე ზნამიას» მე-5 ნომერში. (იხ. ეს ტომი, გვ. 345 — 367. რედ.

პროცესში. ასეთი შეხედულება მხოლოდ მენშევიკებს შეეფერება, რომლებიც სულ უფრო და უფრო ეშვებიან უაღრესად დაბალი «პარლამენტური კრეტინიზმისაკენ» (აიღეთ თუნდაც მათი ჭეშმარიტად სამარცხვინო, რენეგატული გამოსვლები არალეგალური პარტიული ორგანიზაციის წინააღმდეგ). მარქსისტებმა უნდა იცოდნენ, რომ არათუ ჩვენს შავრაზმულ სათათბიროში, არამედ ყველაზე იდეალურ ბურჟუაზიულ პარლამენტშიც კი წარმომადგენლობის პირობები ყოველთვის შექმნიან ხელოვნურ შეუსაბამობას სხვადასხვა კლასის ნამდვილ ძალასა და წარმომადგენლობითს დაწესებულებაში ამ ძალის ასახულებას შორის. მაგალითად, ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია ყოველთვის და ყველგან ასჯერ უფრო ძლიერი ჩანს პარლამენტებში, ვიდრე იგი არის სინამდვილეში (ჩვენს რევოლუციაშიც ოპორტუნისტი სოც.-დემოკრატები კადეტებს იმად ღებულობდნენ, რადაც ისინი ჩანან), და, პირიქით, წვრილი ბურჟუაზიის ძალიან ფართო დემოკრატიული ფენები (ქალაქისა — 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში, სოფლისა — ჩვენში) ხშირად გვევლინებიან როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი მასების აშკარა ბრძოლაში, თუმცა სრულიად უმნიშვნელონი არიან პარლამენტებში მათი წარმომადგენლობის თვალსაზრისით.

ჩვენი გლეხობა რევოლუციაში განუზომლად ნაკლებ შეგნებული ჩაება, ვიდრე ლიბერალური ბურჟუა, ერთი მხრივ, და სოციალისტური პროლეტარიატი, მეორე მხრივ. ამიტომ მან ყველაზე მეტად გამოიტანა რევოლუციიდან მძიმე, მაგრამ სასარგებლო გაცრუება იმედისა, ყველაზე მეტად მწარე, მაგრამ მაცოცხლებელი გაკვეთილები. სავსებით ბუნებრივია, რომ იგი ამ გაკვეთილებს განსაკუთრებით მძიმედ და განსაკუთრებით ნელა ითვისებს. სავსებით ბუნებრივია, რომ ამასთან მოთმინებას დაჰკარგავს ბევრი «რადიკალი» ინტელიგენტი და ხელს ჩაიქნევს ყველაფერზე, აგრეთვე მოთმინებას დაჰკარგავს სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთი ფილისტერი, რომელთაც ათვალისწუნებით ელმიჭებათ სახე რაღაც გლეხური დემოკრა-

ტიის ხსენებაზე, მაგრამ სამაგიეროდ ნერწყვი მოსდით «განათლებულ» ლიბერალთა დანახვაზე. მაგრამ შეგნებული პროლეტარიატი თავის მეხსიერებაში ისე ადვილად ვერ წაშლის იმას, რაც მან დაინახა და რის მონაწილეც იყო 1905 წლის შემოდგომაზე და ზამთარში. და ჩვენ, როცა ვითვალისწინებთ ძალთა თანაფარდობას ჩვენს რევოლუციაში, უნდა ვიცოდეთ, რომ ნამდვილად ფართო საზოგადოებრივი აღმავლობის, ნამდვილად მოახლოებული რევოლუციური კრიზისის აუცილებელი ნიშანი ახლანდელ რუსეთში უეჭველად იქნება გლეხობის მოძრაობა.

ლიბერალური ბურჟუაზია ჩვენში კონტრრევოლუციურ გზას დაადგა. ამის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ გულად ჩერევანინებს და «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქტორებს, რომლებიც ლაჩრულად ემიჯნებიან თავიანთ თანამოაზრესა და თანამებრძოლს. მაგრამ თუ ვინმე ბურჟუაზიული ლიბერალების ამ კონტრრევოლუციურობიდან იმ დასკვნას გააკეთებს, რომ მათს ოპოზიციასა და უკმაყოფილებას, მათს კონფლიქტებს შავრაზმელ მემამულეებთან ან საერთოდ ბურჟუაზიის სხვადასხვა ფრაქციის ერთმანეთთან მეტოქეობასა და ბრძოლას არავითარი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს ახალი აღმავლობის ზრდის პროცესში, ეს დიდი შეცდომა და ნამდვილი უკუღმა პირის მენშევიზმი იქნებოდა. რუსეთის რევოლუციის გამოცდილება, ისევე როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება, უდავოდ მოწმობს, რომ როცა არსებობს ღრმა პოლიტიკური კრიზისის ობიექტური პირობები, სულ მცირე კონფლიქტებს, რევოლუციის ნამდვილ კერას თითქოს ყველაზე მეტად დაშორებულ კონფლიქტებს შეიძლება უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეთ, როგორც საბაბს, როგორც ფიალის პირამდე ამავსებელ წვეთს, როგორც განწყობილების გარდატეხის დასაწყისს და ა. შ.. მოგაგონებთ, რომ 1904 წლის საერობო კამპანია და ლიბერალების პეტიციები წინამორბედი იყო ისეთი თავისებური და წმინდა პროლეტარული «პეტიციისა», როგორიც არის 9 იანვარი. იმის წინააღმდეგ კი არ დავობდნენ ბოლშევიკები საერობო კამპანიის

გამო, რომ საჭიროა მისი გამოყენება პროლეტარული დემონ-
სტრაციებისათვის, არამედ იმის წინააღმდეგ, რომ უნდოდათ
(ჩვენს მენშევიკებს) შეეზღუდათ ეს დემონსტრაციები საერო-
ბო კრებათა დარბაზებით, იმის წინააღმდეგ, რომ დემონსტრა-
ციებს ერობელთა წინაშე უმაღლესი სახის დემონსტრაციებად
აცხადებდნენ, იმის წინააღმდეგ, რომ დემონსტრაციების
გეგმებს იმ მისწრაფებით ადგენდნენ, ლიბერალები არ დავა-
ფრთხოთო. მეორე მაგალითი: სტუდენტთა მოძრაობა. ქვეყა-
ნაში, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის
ეპოქას განიცდის, ფიცხი მასალის სწრაფად დაგროვების პირო-
ბებში, ეს მოძრაობა ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს გაცილე-
ბით უფრო დიდი მოვლენების დასაწყისი, ვიდრე არის წვრილ-
მანი და კერძო კონფლიქტი სახელმწიფო მმართველობის ერთ
დარგში საქმეთა გაძღოლის გამო. რა თქმა უნდა, სოციალ-
დემოკრატია, რომელიც პროლეტარიატის დამოუკიდებელ
კლასობრივ პოლიტიკას ატარებს, არასოდეს არ შეეგუება
არც სტუდენტთა ბრძოლას, არც ახალ საერობო ყრილობებს,
არც საკითხის დასმას ბურჟუაზიის ფრაქციების მიერ, რომლე-
ბიც ერთმანეთს ეკინკლავებიან, არასოდეს არ მიაკუთვნებს
ამ ოჯახურ ჩხუბს თვითკმარ მნიშვნელობას, და სხვ.. მაგრამ
სწორედ სოციალ-დემოკრატების პარტია არის მთელ განმათა-
ვისუფლებელ ბრძოლაში ხელმძღვანელი კლასის პარტია, იგი
უეჭველად ვალდებულია გამოიყენოს ყველა და ყოველგვარი
კონფლიქტი, გააღვიოს ისინი, გააფართოოს მათი მნიშვნელობა,
დაუკავშიროს მათ თავისი აგიტაცია რევოლუციური ლოზუნ-
გებისათვის, ფართო მასებს მოსდოს ამ კონფლიქტების ამბავი,
წაახალისოს ისინი დამოუკიდებელი და აშკარა გამოსვლები-
სათვის, თავისი საკუთარი მოთხოვნების წამოყენებისათვის და
ა. შ.. საფრანგეთში 1793 წლის შემდეგ წარმოიშვა და განუ-
ხრელად იზრდებოდა კონტრრევოლუციური ლიბერალური
ბურჟუაზია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სხვადასხვა ფრაქ-
ციის კონფლიქტები და ბრძოლა ამის შემდეგ ასი წლის განმავ-
ლობაში ამა თუ იმ ფორმით ისევ წარმოადგენდა ახალი რევო-
ლუციების საბაბს, რომლებშიც პროლეტარიატი მუდამ ასრუ-

ლებდა მთავარი მამოძრავებელი ძალის როლს და რომლებიც მან რესპუბლიკის მოპოვებამდე მ ი ი ყ ვ ა ნ ა.

განვიხილოთ ახლა ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამ ხელმძღვანელი და მოწინავე კლასის, პროლეტარიატის შეტევითი ბრძოლის პირობების საკითხი. მოსკოველმა ამხანაგებმა ამ საკითხის განხილვისას სავსებით სწორად გაუსვეს ხაზი სამრეწველო კრიზისის ძირითად მნიშვნელობას. მათ შეაგროვეს უაღრესად საინტერესო მასალა ამ კრიზისის შესახებ, გაითვალისწინეს მნიშვნელობა მოსკოვის ბრძოლისა ლოძთან, შეიტანეს მთელი რიგი შესწორებანი ზოგიერთ დღევანდლამდე გაბატონებულ წარმოდგენაში. დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ამ მასალას ხავსი არ მოეკიდოს მოსკოვის კომიტეტის ან მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის კომისიებში, არამედ დამუშავდეს და გამოტანილ იქნეს პრესაში, რათა იგი მთელმა პარტიამ განიხილოს. ჩვენ, ჩვენი მხრით, დავჯერდებით რამდენიმე შენიშვნას საკითხის დ ა ყ ე ნ ე ბ ი ს შესახებ. სადავოა, სხვათა შორის, მიმართულება, რომლითაც მოქმედებს კრიზისი (საერთო აღიარებით, ჩვენს მრეწველობაში ძალიან ხანმოკლე და მცირე გაცხოველების შემდეგ ისევ სუფევს მძიმე დეპრესია, რომელიც კრიზისს ესაზღვრება). ზოგნი ამბობენ: წინანდებურად შეუძლებელია მუშების ეკონომიური შეტევითი ბრძოლა, მაშასადამე, შეუძლებელია ახლო ხანში რევოლუციური აღმავლობაო. სხვები ამბობენ: ეკონომიური ბრძოლის შეუძლებლობა პოლიტიკური ბრძოლისაკენ გვიბიძგებს, და ამიტომ გარდუვალია ახლო ხანში რევოლუციური აღმავლობაო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე ასეთ მსჯელობას საფუძვლად უდევს ერთი უსწორობა, რომელიც რთული საკითხის გამარტივებაში მდგომარეობს. უეჭველია, სამრეწველო კრიზისის დაწვრილებითს შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ უეჭველია აგრეთვე, რომ ვერავითარი მონაცემები კრიზისის შესახებ, იდეალურად ზუსტნიც კი, არსებითად ვერ გადაწყვეტენ საკითხს მოახლოებული რევოლუციური აღმავლობის სასარგებლოდ თუ წინააღმდეგ, რადგან ეს აღმავლობა

დამოკიდებულია კიდევ ათას ფაქტორზე, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. თუ არ არის ქვეყნის აგრარული კრიზისისა და მრეწველობის დეპრესიის საერთო ნიადაგი, ისე შეუძლებელია ლრმა პოლიტიკური კრიზისები, ეს უდავოა. მაგრამ, რაკი საერთო ნიადაგი არის, აქედან კიდევ არ შეიძლება დასკვნის გამოყვანა, შეაფერხებს დეპრესია ერთ ხანს მუშების მასობრივ ბრძოლას საერთოდ თუ მოვლენათა გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ტ ა დ ი ა ზ ე ი გ ი ვ ე დეპრესია პოლიტიკური ბრძოლისათვის დასძრავს ახალ მასებსა და ახალ ძალებს. ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება მხოლოდ ერთი გზა იყოს: ყურადღებით ვადევნოთ თვალი ქვეყნის მთელი პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემას და განსაკუთრებით ფართო პროლეტარული მასების მოძრაობისა და სულისკვეთების მდგომარეობას. ამ ბოლო დროს, მაგალითად, პარტიული მუშაკების მთელი რიგი ცნობები რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან, სამრეწველო და სამიწათმოქმედო ადგილებიდან, მოწმობს განწყობილების უეჭველ გამოცოცხლებას, ახალი ძალების მოსვლას, აგიტაციისადმი ინტერესის გაძლიერებას და ა. შ.. თუ ამასთან გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, სტუდენტთა მასობრივი მღელვარების დაწყებას, მეორე მხრივ, საერობო ყრილობათა გაცოცხლების ცდებს. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთგვარი მობრუნება, რაღაც ისეთი, რაც არღვევს უკანასკნელი წელიწადნახევრის სრულ უძრაობას. თუ რამდენად ძლიერია ეს მობრუნება, არის თუ არა იგი აშკარა ბრძოლის ახალი ეპოქის შესავალი და ა. შ., — ამას ფაქტები გვიჩვენებენ. ყველაფერი, რის გაკეთებაც ჩვენ ახლა შეგვიძლია, ყველაფერი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყოველ შემთხვევაში, ეს ის არის, რომ დავაბოთ ძალლონე არალეგალური პარტიული ორგანიზაციის განსამტკიცებლად და პროლეტარიატის მასებში აგიტაციის გასაათკეცებლად. მხოლოდ აგიტაციას ძალუძს გვიჩვენოს ფართო მასშტაბით მასების ნამდვილი განწყობილება, მხოლოდ აგიტაცია ქმნის მჭიდრო ურთიერთქმედებას პარტიასა და მთელ მუშათა კლასს შორის; მხოლოდ ის, რომ პოლიტიკური აგიტაციის მიზნით გამოვიყენოთ ყოველი გაფიცვაც, მუშათა

ცხოვრების ყოველი დიდი მოვლენაცა თუ საკითხიც, ყველა კონფლიქტიც მმართველი კლასების შიგნით ან ამ კლასების ამა თუ იმ ფრაქციის კონფლიქტი თვითმპყრობელობასთან, სოციალ-დემოკრატების ყოველი გამოსვლაც სათათბიროში, მთავრობის კონტრრევოლუციური პოლიტიკის ყოველი ახალი გამოვლინებაც და ა. შ., — მხოლოდ ასეთი მუშაობა შეამჭიდროებს კვლავ რევოლუციური პროლეტარიატის რიგებს, მოგვცემს უტყუარ მასალას საიმისოდ, რომ ვიმსჯელოთ ახალი და უფრო გადამწყვეტი ბრძოლების პირობების მომწიფების სისწრაფეზე.

დავასკვნათ. რევოლუციის შედეგებისა და ახლანდელი მომენტის პირობების მიმოხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ რევოლუციის ობიექტური ამოცანები გადაწყვეტილი არ არის. ბონაპარტიზმისაკენ გადახრა თვითმპყრობელობის როგორც აგრარული პოლიტიკისა, ისე მისი საერთო პოლიტიკისა სათათბიროშიც და სათათბიროს დახმარებითაც, მხოლოდ ამწვავებს და აფართოებს წინააღმდეგობას, ერთი მხრივ, შავრაზმულ თვითმპყრობელობასა და «ველური მემამულის» ბატონობასა და, მეორე მხრივ, მთელი ქვეყნის ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარების საჭიროებას შორის. პოლიციურ-კულაკური ლაშქრობა სოფლის მასის წინააღმდეგ ამწვავებს ბრძოლას ამ მასის შიგნით და პოლიტიკურად შეგნებულს ხდის ამ ბრძოლას, ასე ვთქვათ, ახლოებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლას ყოველი სოფლის ყოველდღიურ და საარსებო საკითხებთან. აგრარულ საკითხში რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნათა დაცვა (მთელი მემამულური მიწების კონფისკაცია) განსაკუთრებით აუცილებელია ასეთ მომენტში სოციალ-დემოკრატიის მხრივ. შავრაზმული ოქტიაბრისტული სათათბირო, — რომელიც თვალნათლივ და გამოცდილებით გვიჩვენებს, თუ რა «კონსტიტუციას» შეიძლება «შეურიგდეს» თვითმპყრობელობა, და რომელიც ვერც ერთს საკითხს ვერ წყვეტს ქვეყნის ეკონომიური განვითარების საჭიროებათა უზრუნველყოფის მეტად ვიწრო ფარგლებშიც კი, — «კონსტიტუციისათვის» ბრძოლას აქცევს რევოლუციურ ბრძოლად

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ; ბურჟუაზიის ცალკეულ ფრაქციათა კერძო კონფლიქტები ერთმანეთს შორის და მთავრობასთან მოცემულ პირობებში სწორედ ასეთი ბრძოლის მოახლოებას იწვევენ. სოფლის გაღატაკება, დეპრესია მრეწველობაში, მოცემული პოლიტიკური მდგომარეობის გამოუვალობისა და ნაქები «მშვიდობიანი კონსტიტუციური» გზის უიმედობის საერთო შეგნება წარმოშობენ რევოლუციური კრიზისის ახალ და ახალ ელემენტებს. ჩვენი ამოცანა ახლა ის კი არ არის, რომ ხელოვნურად შევთხზათ რაღაც ახალი ლოზუნგები (როგორიცაა ლოზუნგი: «ძირს სათათბირო»! ნაცვლად ლოზუნგისა: «ძირს თვითმპყრობელობა»!), არამედ ის არის, რომ განკამტკიცოთ არალეგალური პარტიული ორგანიზაცია (წინააღმდეგ მენშევიკების რეაქციული ღმუილისა, რომლებიც ასამარებენ მას) და განვავითაროთ ფართო რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია, რომელიც შეაკავშირებს პარტიას პროლეტარიატის მასებთან და დარაზმავს ამ მასებს.

«პროლეტარი» № 38,
1908 წ. 1 (14) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რაზეზე იცავენ რევიზიონიზმს პლეხანოვი და კომპანია

«ბოლოს სოციალ-დემოკრატას» № 8 — 9-ის «დამატების» სახით ცალკე ფურცლად გამოვიდა «ბოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციის, ე. ი. პლეხანოვისა და კომპანიის შენიშვნა ამხ. მასლოვის წერილის გამო, რომელიც ჩვენ გავარჩიეთ «პროლეტარის» № 37-ში *.

ეს «შენიშვნა», ზომით «პროლეტარის» ნახევარსვეტამდე, ღირსია რუსი სოციალ-დემოკრატების ყურადღებისა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ როგორ მივიდნენ პლეხანოვი და კომპანია წვრილმანი ფრაქციული ინტერესების გამო თეორიული რევიზიონიზმის დაცვამდე ყოვლად შეუფერებელი სოფიზმების საშუალებით. აი ფაქტები.

«ჩვენ უაღრესად გადაჭრითი და სრულიად შეურიგებელი მოწინააღმდეგენი ვართ მარქსიზმის იმ გადასინჯვისა (რევიზიისა), რომელიც ხდება დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის იდეოლოგთა რეაქციული გავლენით და ისწრაფის საფუძველი გამოაცალოს მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და ეკონომიურ მოძღვრებას». ასეა ნათქვამი შენიშვნის პირველ ფრაზაში. «უაღრესად გადაჭრითი და სრულიად შეურიგებელი მოწინააღმდეგენი» — ხომ მართალია, ძნელია უფრო მკვეთრად ითქვას? ძნელია გამონახო პლეხანოვის და კომპანიის დაპირებათა უფრო ენაწყლიანი ფორმულირება.

მაგრამ... საქმეც ის არის, რომ მასლოვის მიმართ (პლეხანოვი და კომპანია კი შენიშვნას წერენ სწორედ მასლო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 296 — 306. რედ.

ვის სტატიისათვის, სწორედ მასლოვის რევიზიონიზმის საკითხზე) რევიზიონიზმის ჩვენს «შეურიგებელ» მტრებს შესანიშნავი «მაგრამ» გაუჩნდათ.

«მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ მარქსიზმის სექტანტები, — აცხადებენ პლეხანოვი და კომპანია, — და ჩვენ კარგად გვესმის, რომ შეიძლება ამა თუ იმ საკითხში არ ეთანხმებოდე მარქსსა და ენგელსს ისე, რომ არათუ არ ულალატო მათ თვალსაზრისს და არ უარყო მათი მეთოდი, არამედ სავსებით ერთგული დარჩე ერთისაც და მეორისაც». ამას მოსდევს მაგალითი: კუნოვი, სოც.-დემოკრატი, «მატრიარქატის წარმოშობის» საკითხში, «ნაწილობრივ არ ეთანხმება ენგელსს»; მაგრამ «მხოლოდ ავადმყოფ კაცს მოუვა აზრად ამის გამო გამოაცხადოს იგი რევიზიონისტად».

«ნათქვამით განისაზღვრება ჩვენი დამოკიდებულებაც ამხ. მასლოვის შეხედულებისადმი მარქსის მოძღვრებაზე რენტის შესახებ. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ შეხედულებას («ბოლოს სოც.-დემოკრატას» შენიშვნა: «ამხ. მარტინოვმა «ბოლოსის» 1-ლ ნომერში სპეციალურად აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმება ამხ. მასლოვის შესწორებას აბსოლუტური რენტის მოძღვრებაში), მაგრამ ჩვენ მასში რევიზიონიზმს ვერ ვხედავთ»...

მკითხველის წინაშე ახლა თვალწინაა პლეხანოვისა და კომპანიის მსჯელობის მსვლელობა. ჩვენ «სრულიად შეურიგებელი მოწინააღმდეგენი ვართ რევიზიონიზმისა», მ ა გ რ ა მ — «ჩვენ მასში (მასლოვის შეხედულებაში აბსოლუტური რენტის თეორიაზე) რევიზიონიზმს ვერ ვხედავთ». რევიზიონიზმი ძირს უთხრის მარქსის მოძღვრებას, მასლოვი კი არ ეთანხმება მარქსს კერძო საკითხში, — ასეთია პლეხანოვისა და კომპანიის მიერ მოცემული დაცვა, რომელიც საბოლოოდ განმარტებულია ჰ. კუნოვის მაგალითით.

ჩვენ ვეკითხებით მკითხველს, რომელიც რამდენადმე მაინც აზროვნობს და რამდენადმე მაინც მიუდგომელია: ნუთუ ეს სოფიზმი არ არის? მარქსის აბსოლუტური რენტის თეორია «კერძო საკითხად» ცხადდება! რენტის თეორიის გარშემო შექმნილ უთანხმოებასთან დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ ი ა ის ფაქტი, რომ კუნოვი «ნაწილობრივ არ ეთანხმება» ენგელსს მატრიარ-

ქატის წარმოშობის საკითხში!! პლეხანოვსა და კომპანიას, ალბათ, ბავშვებად მიაჩნიათ თავისი მენშევიკები, რომლებსაც ისინი ასეთი ახსნა-განმარტებით უმასპინძლდებიან. მხოლოდ მაშინ, თუ სრულიად არა სცემ პატივს შენს თავსა და შენს საზოგადოებას, შეიძლება გამოიყენო კლოუნის ასეთი ხერხები უმნიშვნელოვანეს პრინციპულ საკითხებში. ხომ თვითონ პლეხანოვი (და კომპანია) იწყებს თავის ახსნა-განმარტებას საზეიმო ფრაზით, რომელშიც რევიზიონიზმი წოდებულია მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ძ ი რ ი ს გამოთხრად. და მერე! უარყოფენ თუ არა ა მ დებულებას პლეხანოვი და კომპანია მასლოვის მიმართ? ჰო თუ არა? ან იქნებ პლეხანოვი და კომპანია თავის შენიშვნას წერენ იმისათვის, რომ დ ა მ ა ლ ო ნ თავისი აზრები!

მასლოვმა მთელ რიგ სტატიებში და თავისი «აგრარული საკითხის» მთელ რიგ გამოცემებში განაცხადა: 1) მარქსის აბსოლუტური რენტის თეორია სწორი არ არის; 2) ასეთი თეორიის გაჩენა შეიძლება იმით აიხსნას, რომ III ტომს «შავად ნაწერის» ხასიათი აქვს; 3) «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერება» ფ ა ქ ტ ი ა; 4) აბსოლუტური რენტის თეორია სწორი რომ იყოს და «კლებადი ნაყოფიერების კანონი» რომ არ იყოს სწორი, მაშინ შეიძლებოდა მართალნი ყოფილიყვნენ რუსეთის ნაროდნიკები და მთელი მსოფლიოს რევიზიონისტებიო.

სწორედ ეს ოთხი პუნქტი იყო აღნიშნული მასლოვის წინააღმდეგ «პროლეტარის» იმ სტატიაში, რომლითაც დაიწყო პოლემიკა ამ საკითხზე. აბა შეხედეთ, როგორ მოიქცნენ პლეხანოვი და კომპანია: ჯერ-ერთი, ისინი მცირეს დასჯერდნენ - რენტის საკითხს, ესე იგი სავსებით გაჩუმდნენ დანარჩენ საკითხებზე. განა ეს რევიზიონიზმის დაცვა არ არის? ხომ არ მოუვათ აზრად პლეხანოვსა და კომპანიას უარყონ, რომ გადასინჯვა მარქსის მოძღვრებისა კლებადი ნაყოფიერების როგორც კანონის, ისე «ფაქტის» უაზრობის შესახებ «ხდება დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის იდეოლოგთა რეაქციული გავლენით»? მეორეც, მოძღვრება აბსოლუტური რენტის შესახებ

გათანაბრებულია კერძო საკითხთან — უთანხმოებასთან («ნაწილობრივ») მატერიარქატის წარმოშობის შესახებ!

ეს ჯამბაზობაა, ბატონებო! და ამ ჯამბაზობით თქვენ ფარავთ თქვენს მიერ რევიზიონიზმის საჯარო დაცვას, ვინაიდან თქვენ ვერ ბედავთ პირდაპირ თქვათ, რომ აბსოლუტური რენტის ცნობა და კლებადი ნაყოფიერების კანონის (თუ «ფაქტის») უარყოფა არ არის «საფუძველი» მარქსის ეკონომიური მოძღვრებისა აგრარული საკითხის დარგში. თქვენ იცავთ «თქვენს კაცუნას», როცა მარქსს მასლოვისებურად ასხვაფერებთ, როცა მასლოვისათვის «კერძო უთანხმოებად» აცხადებთ სწორედ მარქსის მოძღვრების საფუძველს. ამით თქვენ ადასტურებთ იმას, რაც «პროლეტარის» № 33-ში ითქვა * მენშევიკურ თეორეტიკოსფამუსოვებზე, რომლებიც თავის ჯალაბობას აჯილდოებენ იმით, რომ თანხმდებიან მარქსის ეკონომიური თეორია მიაკუთვნონ «კერძო» რამეს, გაუთანაბრონ მატერიარქატის წარმოშობის საკითხს.

პლეხანოვი და კომპანია «შეურიგებელი მტრები არიან რევიზიონიზმისა», — მაგრამ თუ თქვენ მენშევიკი ხართ, ნუ შეგეშინდებათ ამ საშინელი სიტყვებისა! მიდით ««გოლოსის» რედაქციაში» და იცოდეთ, რომ მენშევიკებისათვის შეურიგებლობა ადვილად შესარიგებელი რამ არის, იმდენად შესარიგებელია, რომ რედაქცია დათანხმდება «თეორიის ძირის გამოთხრა» შეადაროს «უთანხმოებას მატერიარქატის წარმოშობის შესახებ». ინდულგენცია იაფად იყიდება, საჯარო გაყიდვა გამოცხადებულია, მობრძანდით, ფრიად პატივცემულო საზოგადოებავ!

მაგრამ განვაგრძოთ. ჩვენ არ ვიზიარებთ მასლოვის შეხედულებას რენტაზეო, — აცხადებენ პლეხანოვი და კომპანია. მარტინოვმა ეს უკვე აღნიშნაო, — წერენ ისინი. «იმ პირს», რომელსაც «პროლეტარის» რედაქციამ მასლოვის «მფარველიანგელოზი უწოდა» (ე. ი. პლეხანოვს) «არა ერთხელ (ყური

* იხ. ეს ტომი, გვ. 219 — 220. რედ.

დაუგდეთ!) ჰქონია პრესაში დავა (ხაზგასმა «გოლოსს» ეკუთვნის) ამხ. მასლოვთან იმ საგნებზე, რომლებსაც მჭიდრო დამოკიდებულება აქვთ ჩვენს აგრარულ პროგრამასთან».

ასე, სიტყვასიტყვით ასეა დაბეჭდილი პლეხანოვისა და კომპანიის «შენიშვნაში».

ისწავლეთ გაბათილებათა წერა თქვენი რედაქციისგან, ამხანაგო მენშევიკებო. თქვენ თავისებურ კლასიკურ ნიმუშს გაძლევენ. საქმე ეხება რევიზიონიზმს, დავა გაჩაღებულია იმის გამო, თეორიულმა შეურიგებლობამ თუ მხოლოდ წვრილმანმა ფრაქციულმა ღვარძლმა აიძულა პლეხანოვი ბატონები ეწოდებინა მთელი რიგი თავისი ოპონენტებისათვის პარტიის ორგანოში, ხოლო «გაბათილებაში» ნათქვამია: პლეხანოვს «არ» ერთხელ ჰქონია დავა პრესაში» მასლოვთან არარენტაზე და არა მასლოვის გადახვევებზე მარქსის თეორიიდან.

შეიძლება თუ არა გამოიძებნოს პარლამენტური გამოთქმა ასეთი ხერხების დასახასიათებლად? პლეხანოვს, რომელსაც უყვარს თეორიული დავა და შეუძლია ხანდახან გადააქციოს ეს დავა კამპანიად, არასოდეს, არასოდეს არ ჰქონია დავა მასლოვთან იმის შესახებ, რაც მის რევიზიონიზმს შეადგენს, ე. ი. აბსოლუტური რენტის უარყოფის, ამ «თეორიის შავ მონახაზად» აღიარების, კლებადი ნაყოფიერების «ფაქტის» დაცვის შესახებ, იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა მართალნი აღმოჩენილიყვნენ ნაროდნიკები და რევიზიონისტები, მასლოვს რომ მარქსი არ გაებათილებინა. ამაზე პლეხანოვს ერთხელაც არ ჰქონია დავა, არამედ იგი დავობდა სულ სხვა რამეზე, დავობდა სახელდობრ კერძო მომენტებზე, რომლებიც ახლა მენშევიზმის ტარტიუფების მიერ დამალული, ოსტატურად დახლართული, მკითხველისათვის განზრახ თავგზისამბნევი, დიპლომატიურად ბუნდოვანი გამოთქმით: «საგნები, რომლებსაც მჭიდრო დამოკიდებულება აქვთ ჩვენს აგრარულ პროგრამასთან»!!

მართლაც რომ ჩინებული რამაა, არა? როგორ არ უნდა მივულოცოთ პლეხანოვსა და კომპანიას რევიზიონიზმის დაცვის

ასეთი დასაწყისი. როგორ არ გავიხსენოთ აქ კლემანსოს მსგავსი პოლიტიკანები. კლემანსო «შეურიგებელი» მტერია რეაქციისა, მას «არა ერთხელ ჰქონია დავა» რეაქციასთან, მაგრამ ახლა რეაქცია მოქმედებს, კლემანსო კი მხოლოდ შენიშვნას აკეთებს და... მლიქვნელობს. პლეხანოვი «შეურიგებელი» მტერია რევიზიონიზმისა. პლეხანოვს «არა ერთხელ ჰქონია დავა» მასლოვთან (რაზედაც გნებავთ, გ ა რ დ ა მასლოვის რევიზიონიზმისა). და ახლა მასლოვი წერს მარქსის წინააღმდეგ, მასლოვი იმეორებს თავის საბუთებს მარქსის თეორიის წინააღმდეგ «გოლოსის» ფურცლებზე, პლეხანოვი და კომპანია კი მხოლოდ შ ე ნ ი შ ვ ნ ა ს ა კ ე თ ე ბ ე ნ!

მაშ იყიდეთ ინდულგენცია, ბატონო ლიტერატორებო, ჩაეწერეთ მენშევიკებად. თქვენ ხვალ საშუალებას მოგცემენ აბათილოთ მარქსის ღირებულების თეორიაც «გოლოსის» ფურცლებზე, — იმ შენიშვნის გაკეთებით, რომ რედაქცია «არ ეთანხმება»...

«ხომ არ შეეცდება «პროლეტარი», — გვეკითხებიან ჩვენ იმავე შენიშვნაში პლეხანოვი და კომპანია, — «დაასაბუთოს თავისი აზრი» იმაზე, თუ რა კავშირი აქვს მასლოვის მსჯელობას აბსოლუტურ რენტაზე იმ პროგრამასთან, რომელიც უარყოფს ნაციონალიზაციას?» სიამოვნებით, ფრიად ძვირფასო «შეურიგებელნო». აი ჯერ-ჯერობით პირველი მოკლე დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა:

«შეიძლება თუ არა, როცა არ გესმის მარქსის აბსოლუტური რენტის თეორია, გაიგო მნიშვნელობა მიწის კერძო საკუთრებისა, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების დაბრკოლებისა?»

მოეთათბირეთ მასლოვს, ჰოი, «შეურიგებელო» პლეხანოვო და კომპანიავ, და გვიპასუხეთ ა მ კითხვაზე, რომელიც თქვენ სასურველ დასაბუთებას გაძლევთ!

«პროლეტარი» № 39,
1908 წ. 13 (26) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ორი წერილის გამო

«პროლეტარის» ამ ნომერში ჩვენ ვბეჭდავთ, ჯერ-ერთი, მუშა-ოტზოვისტის [93] წერილს, რომელიც მოთავსებულია «რაბოჩეე ზნამიას» მე-5 ნომერში შენიშვნით, რომ რედაქცია ასეთ შეხედულებებს არ იზიარებს და წერილს თვლის სადისკუსიო სტატიად; მეორე, პეტერბურგელი მუშის, მიხეილ ტომსკის წერილს, რომელიც ეს-ეს არის მიიღო ჩვენმა გაზეთმა. ორივე ეს წერილი მთლიანად მოგვყავს. კარგად ვიცით, რომ შეიძლება აღმოჩნდნენ ღვარძლიანი კრიტიკოსები, რომლებიც მზად არიან ამოგლიჯონ ცალკეული ადგილები ან ფრაზები ერთი თუ მეორე წერილიდან და უკულმართად განმარტონ ისინი, გააკეთონ მათგან ისეთი დასკვნები, რაც სრულიადაც არ შეესაბამება ორივე ავტორის განზრახვებს; მათ ეს წერილები დაწერილი აქვთ ნაუცბათევად, უაღრესად არახელსაყრელ კონსპირაციულ პირობებში. მაგრამ ასეთი კრიტიკოსები ყურადღების ღირსნი არ არიან. ხოლო ვისაც ხერიოზულად აინტერესებს მუშათა მოძრაობის ვითარება და სოციალ-დემოკრატიის მდგომარეობა ამჟამად რუსეთში, ის, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ორივე წერილი ფრიად დამახასიათებელია ჩვენს შეგნებულ მუშებს შორის არსებული ორი მიმდინარეობის ნათელსაყოფად. ეს ორი მიმდინარეობა ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს პეტერბურგისა და მოსკოვის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. და რადგანაც მესამე მიმდინარეობა, მენშევიზმის მიმდინარეობა, რომელიც პირდაპირ და აშკარად თუ ფარულად და ღმეჭით მარხავს პარტიას, თითქმის სრულიად არ არის წარმოდგენილი ადგილობრივი ორგანი-

ზაციების შიგნით, ჩვენ შეგვიძლია ვოქვათ, რომ ორი აღნიშნული ტენდენციის შეჯახება არის ჩვენი პარტიის ს ა დ ღ ე ი ს ო ჭ ი რ ვ ა რ ა მ ი. აი რატომაა საჭირო, რომ უაღრესად დაწვრილებით შევჩერდეთ ამ «ორ წერილზე».

ორივე ავტორი აღიარებს, რომ ჩვენი პარტია განიცდის არა მარტო ორგანიზაციულს, არამედ იდეურ-პოლიტიკურ კრიზისსაც. ეს ფაქტია, რომლის დაფარვა უაზრობა იქნებოდა. ნათლად უნდა შევიგნოთ მისი მიზეზები და მასთან ბრძოლის საშუალებანი.

დავიწყოთ პეტერბურგელით. მთელი მისი წერილიდან ნათლად ჩანს, რომ კრიზისის მიზეზები, მისი აზრით, ორნაირია. ერთი მხრით, თვით მუშებიდან გამოსულ სოციალ-დემოკრატ ხელმძღვანელთა ნაკლებობამ გამოიწვია ის, რომ ინტელიგენციის თითქმის მთლიანად გაქცევა პარტიიდან ნიშნავდა ბევრ ადგილას ორგანიზაციის დაშლას, უუნარობას — შეგვეკრიბა და დაგვერაზმა რიგები, რომლებიც მძიმე რეპრესიების, მასების აპათიისა და დაღლილობის გამო შეთხელდნენ. მეორე მხრით, პროპაგანდა და აგიტაცია ჩვენში, ავტორის აზრით, წარმოებდა «მიმდინარე მომენტის» დიდი გაზვიადებით, ე. ი. მთლიანად მიმართული იყო საჭირბოროტო რევოლუციური ტაქტიკის საკითხებისაკენ, და არა სოციალიზმის ქადაგებისაკენ, არა პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული შეგნების გაღრმავებისაკენ. «მუშები ხდებოდნენ რევოლუციონერები, დემოკრატები, მაგრამ არა სოციალისტები» და, საერთო-დემოკრატიული, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის ტალღის დაცემისას, მათ ძალიან დიდი რაოდენობით დასტოვეს სოც.-დემოკრატიული პარტიის რიგები. ასეთ შეხედულებას პეტერბურგელი უკავშირებს ლოზუნგების «უნიადაგო» «გამოგონების» მკვეთრ კრიტიკას და უფრო სერიოზული პროპაგანდისტული მუშაობის მოთხოვნას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორი, როცა ერთი უკიდურესობის წინააღმდეგ კამათობს, ზოგჯერ მეორე უკიდურესობაში ვარდება, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ის უეჭველად დგას

სავსებით სწორ თვალსაზრისზე. არ შეიძლება ითქვას, რომ «შეცდომა» იყო მიმდინარე მომენტის საკითხების «გადაქცევა მთელ კამპანიებად». ეს გაზვიადებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი პირობების თვალსაზრისით დაივიწყო გ უ შ ი ნ დ ე ლ ი პირობები, და ავტორი, არსებითად, თვითონ ასწორებს თავის ნათქვამს, როდესაც აღიარებს, რომ «პროლეტარიატის უშუალო გამოსვლათა მომენტი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული საკითხია». ავიღოთ ორი ასეთი გამოსვლა, შეძლებისამებრ უფრო სხვადასხვაგვარი და ერთმანეთისაგან რაც შეიძლება მეტი დროით დაშორებული: ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი 1905 წლის შემოდგომაზე და II სათათბიროს არჩევნები 1907 წლის დამდეგს. შეეძლო თუ არა რამდენადმე მაინც ცოცხალსა და სიცოცხლისუნარიან პროლეტარულ პარტიას ასეთ დროს მთავარი ყურადღება და მთავარი აგიტაცია მთლიანად ა რ წარემართა დღის ლოზუნგებისაკენ? შეეძლო თუ არა სოც.-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც ორივე ამ მომენტში მიუძღოდა პროლეტარიატის მასებს, მთლიანად ა რ წარემართა შინაგანი ბრძოლა ლოზუნგებისაკენ, რომლებიც განსაზღვრავენ მასების დაუყოვნებლივ მოქმედებას? წავსულიყავით ბულიგინის სათათბიროში თუ ჩაგვეშალა იგი? მოგვეწყო II სათათბიროს არჩევნები კადეტებთან ბლოკის საფუძველზე თუ კადეტების წინააღმდეგ? საკმარისია ნათლად დავსვათ საკითხი და გავიხსენოთ ამ ახლო წარსულის პირობები, რომ პასუხი საეჭვო არ იყოს. გააფთრებულ ბრძოლას «მა თუ იმ ლოზუნგისათვის მაშინ პარტიის «შეცდომა» კი არ იწვევდა, არა, მას იწვევდა ობიექტური აუცილებლობა — მიღებული ყოფილიყო სწრაფი და ერთიანი გადაწყვეტილება ისეთ პირობებში, როცა არ იყო წინასწარ შეთანხმებული პარტია, როცა არსებობდა ორი ტაქტიკა, ორი იდეური მიმდინარეობა პარტიაში, წვრილბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული და პროლეტარულ-რევოლუციური.

არ შეიძლება აგრეთვე საქმე ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს სოციალიზმის პროპაგანდისათვის, მასებში მარქსიზმის ცოდნის გავრცელებისათვის მაშინ არასაკმაო მუშაობა მიმდინარე-

ობდა. ეს მართალი არ იქნებოდა. სწორედ ამ პერიოდში, 1905 წლიდან 1907 წლამდე, რუსეთში გავრცელებულია ისე ბევრი სერიოზული, თეორიული სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა, — უმთავრესად ნათარგმნი, — რომ იგი კიდევ გამოიღებს ნაყოფს. ნუ ვიქნებით ურწმენონი, ნუ მოვახვევთ თავს მასებს ჩვენს პირად მოუთმენლობას. ასე ბევრი თეორიული ლიტერატურა, ესოდენ მოკლე ხანს გადასროლილი ხელუხლებელ მასებში, რომლებსაც სოციალისტური წიგნაკი თითქმის არ უნახავთ, არ შეიძლება ერთბაშად იქნას ათვისებული. სოციალ-დემოკრატიული წიგნაკი არ დაკარგულა. იგი დათესილია. იგი ხარობს. და იგი ნაყოფს გამოიღებს — იქნებ, არა ხვალ, არა ზეგ, არამედ ცოტა უფრო გვიან, — ჩვენ არ ძალგვიძს შევცვალოთ ახალი კრიზისის ზრდის ობიექტური პირობები, — მაგრამ იგი ნაყოფს გამოიღებს.

მიუხედავად ამისა, ავტორის ძირითადი აზრი ღრმა სიმართლეს შეიცავს. ეს სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გარდუვალია პროლეტარულ-სოციალისტური და წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული (და ოპორტუნისტულ-დემოკრატიული და რევოლუციურ-დემოკრატიული) ელემენტებისა და ტენდენციების ერთგვარი გადახლართვა «გლეხურ» ქვეყანაში, რომელიც კაპიტალისტურად ვითარდება, ბურჟუაზიული რევოლუციის პირველი კამპანია ვერ მოხდებოდა ისე, რომ თავი არ ეჩინა გარკვეული პროლეტარული ფენების და გარკვეული წვრილბურჟუაზიული ფენების ობიექტურ შეერთებას. და ჩვენ ახლა განვიცდით პროცესს, როცა ხდება აუცილებელი გადაჯგუფება, გამიჯვნა, ნამდვილი პროლეტარულ-სოციალისტური ელემენტების ახალი გამოყოფა, მათი გაწმენდა იმათგან, ვინც «მოძრაობას მიეტმასნა» (Mitläufer, როგორც გერმანულად იტყვიან) მხოლოდ «მკაფიო» ლოზუნგის გულისათვის, ერთი მხრივ, ან «სრულძალაუფლებიანი სათათბიროს» გამო კადეტებთან ერთად ბრძოლის გულისათვის, მეორე მხრივ.

მეტნაკლებად ეს გადაჯგუფება ხდება სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციაში. ეს ხომ ფაქტია, რომ შეთხელდა როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების რიგები! ამის აღიარება არ უნდა გვაშინებდეს. რა თქმა უნდა, სრულიად უეჭველია, რომ ისეთი რღვევა და ისეთი დემორალიზაცია, როგორსაც ვხედავთ პარტიის მემარჯვენე ფრთის რიგებში, მისმა მემარცხენე ფრთამ თავიდან აიცილა. და ეს შემთხვევითი როდია: პრინციპულ მერყეობას არ შეეძლო ხელი არ შეეწყო რღვევისათვის. მოვლენები საბოლოოდ გვიჩვენებენ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი, სად და როგორ დარჩა მეტი ორგანიზაციული დარაზმულობა, პროლეტარული ერთგულება, მარქსისტული სიმტკიცე. ასეთ დავას წყვეტს არა სიტყვები, არა დაპირებანი, არა ფიცი, არამედ ცხოვრება. დაბნეულობისა და ქანაობის ფაქტი თვალწინაა, და ეს ფაქტი ახსნას მოითხოვს. და ახსნა არ შეიძლება სხვანაირი იყოს, თუ არა ა ხ ა ლ ი გ ა დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი ს აუცილებლობა.

ნათელვყოთ ჩვენი აზრი პატარა მაგალითებით: «საპატიმროს მოსახლეობის» (როგორც ვექილები ამბობენ) შემადგენლობით, ე. ი. იმ ხალხის შემადგენლობით, რომელიც იმყოფება საპატიმროში, გადასახლებაში, კატორღასა და ემიგრაციაში პოლიტიკური საქმეების გამო. ეს შემადგენლობა ხომ სწორად ასახავს გუშინდელი დღის სინამდვილეს. და განა შეიძლება ეჭვი იყოს, რომ «პოლიტიკოსთა» შემადგენლობა, რომელნიც მოსახლეობენ ესოდენ და არა ესოდენ შორეულ ადგილებში, ახლა განირჩევა პოლიტიკური შეხედულებისა და სულისკვეთების უდიდესი სიჭრელით, დაუნაწევრებლობითა და ერთმანეთში არევით? რევოლუციამ პოლიტიკური ცხოვრებისათვის ფეხზე დააყენა ხალხის ისეთი ღრმა ფენები, მან ძალიან ხშირად ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივა იმდენი შემთხვევითი ადამიანი, იმდენი «ერთი საათის რაინდი», იმდენი ახალბედა, რომ სრულიად გარდუვალია, თუ ბევრსა და ბევრს იმათგანს არავითარი მთლიანი მსოფლმხედველობა არ გააჩნია. მისი გამომუშავება არ შეიძლება რამდენიმე თვის

გატაცების დროს, — ხოლო ჩვენი რევოლუციის პირველი პერიოდის რევოლუციურ მოლვაწეთა უმრავლესობის საშუალო «სიცოცხლის ხანგრძლიობა», ალბათ, რამდენიმე თვეს არ აღემატება. ამიტომ ახალი გადაჯგუფება რევოლუციით ამოძრავებულ ახალ ფენებსა, ახალ ჯგუფებს, ახალ რევოლუციონერებს შორის საესებით გარდუვალია. და ეს გადაჯგუფება მიმდინარეობს. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამარხვა, რასაც ეწოდნენ მთელი რიგი მენშევიკები, არსებითად იმას ნიშნავს, რომ ეს პატივცემული ვაუბატონები თ ა ვ ი ს თ ა ვ ს მ ა რ ხ ა ვ ე ნ, როგორც სოციალ-დემოკრატებს. ეს გადაჯგუფება ჩვენ არავითარ შემოხვევაში არ უნდა გვაშინებდეს. ჩვენ უნდა მივესალმოთ მას, ჩვენ უნდა ხელი შეგვეწყოთ მას. დაე იწუწუნონ უნიათო ადამიანებმა, რომლებიც აქა-იქ მორთავენ ყვირილს: ისევ ბრძოლა! ისევ შინაგანი შეხლა-შემოხლა! ისევ პოლემიკა! ჩვენ ვუპასუხებთ: თუ არა ახალ-ახალი ბრძოლა, ისე არასოდეს და არსად არ შექმნილა ნამდვილად პროლეტარული, რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ჩვენში კი, რუსეთში, იგი იქმნება ახლანდელ მძიმე მომენტშიც კი, და ი გ ი შ ე ი ქ მ ნ ე ბ ა. ამის თავდებია რუსეთის მთელი კაპიტალისტური განვითარებაც, საერთაშორისო სოციალიზმის გავლენაც ჩვენზე და 1905 — 1907 წლების პირველი კამპანიის რევოლუციური ტენდენციაც.

ამ ახალი გადაჯგუფების ინტერესებისათვის აუცილებელია გაძლიერებული თეორიული მუშაობა. «მიმდინარე მომენტი» რუსეთში სწორედ ისეთია, რომ მარქსიზმის თეორიულ მუშაობას, ამ მუშაობის გაღრმავებასა და გაფართოებას გვიკარნახებს არა ამა თუ იმ პირის განწყობილება, არა ცალკეული ჯგუფების გატაცება და არც მარტო გარეშე პოლიციური პირობები, რომლებმაც ბევრნი ჩამოაშორეს «პრაქტიკას», არამედ ამას გვიკარნახებს ჩვენი ქვეყნის მთელი ობიექტური მდგომარეობა. როდესაც მასები ითვისებენ უშუალო რევოლუციური ბრძოლის ახალსა და უმაგალითოდ მდიდარ

გამოცდილებას, მაშინ თეორიული ბრძოლა რევოლუციური მსოფლმხედველობისათვის, ე. ი. რევოლუციური მარქსიზმისათვის, დღის ლოზუნგი ხდება. ამიტომ პეტერბურგელი ათასჯერ მართალია, როდესაც ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია სოციალისტური პროპაგანდის გაღრმავება, აუცილებელია ახალი საკითხების დამუშავება, აუცილებელია ყოველსაფრად წახალისება და გავრცელება წრეებისა, რომლებიც თვით მუშებიდან გამოწვეულ ნამდვილ სოციალ-დემოკრატებს, მასის სოციალ-დემოკრატიულ ხელმძღვანელებს. აქ როლი პარტიული უჯრედებისა, — რომელთა მარტო ხსენებაზედაც კი ეპილეფსია კრუნჩხავს ლასსა და კომპანიას, — განსაკუთრებით დიდია, და ინტელიგენტი ოპორტუნისტებისათვის სძულველი «პროფესიონალი რევოლუციონერები» მოწოდებულნი არიან ახალი მადლიანი როლი შეასრულონ.

მაგრამ მიხეილ ტომსკი აქაც, როცა სავსებით სწორ აზრს იცავს, ნაწილობრივ ვარდება მეორე უკიდურესობაში. ასე, მაგალითად, ის მართალი არ არის, როდესაც «სერიოზულ საკითხთა» სიიდან გამორიცხავს რევოლუციის სამი წლის გამოცდილების გათვალისწინებას, მასების უშუალო ბრძოლის პრაქტიკული გაკვეთილების გათვალისწინებას, რევოლუციურ-პოლიტიკური აგიტაციის შედეგების შეჯამებას და სხვა. აქ, უფრო საფიქრებელია, საქმე გვაქვს ავტორის მიერ აზრის გადმოცემის უბრალო ხარვეზთანაც კი, ან კერძო შეცდომებთან, რაც ნაუცბათევი მუშაობის პირობებიდან გამომდინარეობს. ეს გათვალისწინება, შედეგების ეს შეჯამება მუშების რაც შეიძლება უფრო ფართო წრეების წინაშე — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკითხი «ადგილობრივი სასამართლოებისა», «ადგილობრივი თვითმმართველობისა» და ამგვარი «რეფორმებისა» სტოლიპინის რუსეთში, რომლებზედაც ლაყბობა ულვართ მოხელეებსა და ლიბერალებს. ასეთი «რეფორმები» შავრაზმული სათათბიროს და

შავრაზმული თვითმპყრობელობის დროს აუცილებლად მხოლოდ კომედია შეიძლება იყოს.

სამაგიეროდ სავსებით მართალია მიხეილ ტომსკი, როდესაც ის გადაჭრით ილაშქრებს საერთოდ «ლოზუნგების გამოგონების» წინააღმდეგ და კერძოდ ისეთი ლოზუნგების წინააღმდეგ, როგორიცაა «ძირს სათათბირო» ან «ძირს ფრაქცია». ის ათასჯერ მართალია, როდესაც ამ «დაბნეულობას» უპირისპირებს ორგანიზაციის, პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში მტკიცე სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას იმისათვის, რომ განვამტკიცოთ სოციალ-დემოკრატების პარტია, განვამტკიცოთ ოპორტუნისტებისათვის საძულველი მისი ტრადიციები, დავიცვათ თანამომდევნობა მუშაობაში, გავაფართოოთ და განვამტკიცოთ ა მ პარტიის, წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი პარტიის (აღშფოთდით, ოპორტუნისტთა «გოლოსის» რედაქტორებო!) გავლენა პროლეტარულ მასებზე.

აქ ჩვენ მივადექით მოსკოველის წერილს და ამ წერილის ცენტრალური პუნქტის, ე. ი. ყბადაღებული «ოტზოვიზმის» კრიტიკას. ჩვენ უკვე არა ერთხელ გამოვსულვართ «პროლეტარში» ოტზოვიზმის წინააღმდეგ, დაწყებული იმ დროიდან, როდესაც ბოლშევიკების უმცირესობამ მოსკოვის კონფერენციაზე შეიტანა თავისი ცნობილი რეზოლუცია ამ საკითხის გამო (იხ. «პროლეტარი», № 31). ახლა ჩვენ თვალწინ გვაქვს, აგრეთვე მოსკოველი ბოლშევიკების უმცირესი ნაწილის სახელით, ოტზოვიზმის სისტემატური დასაბუთების პირველი ცდა. მაშ დავაკვირდეთ ამ დასაბუთებას.

ამხანაგი ოტზოვისტი გამოდის სწორი დებულებიდან, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ობიექტური ამოცანები გადაწყვეტილი არ არის, რომ «რევოლუცია არ არის ლიკვიდირებული». მაგრამ ამ სწორი დებულებიდან მას არასწორი დასკვნები გამოჰყავს. «რას უნდა შეეგუოს ჩვენი პარტია, — კითხულობს ის, — უძრაობის წლებს, თუ ახალ საზოგადოებრივ აღმავლობას?» აქ უკვე იწყება შეცდომა. იქიდან, რომ რევოლუცია ლიკვიდირებული

არ არის, გამომდინარეობს ახალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აღმავლობის გარდუვალობა, და მეტი არაფერი. აქედან არ გამომდინარეობს არც ის, რომ ეს აღმავლობა მ თ ლ ი ა ნ ა დ გაიმეორებს ბურჟუაზიული დემოკრატიის ელემენტების ძველ დაჯგუფებას (გადაჯგუფებას შეიძლება დასჭირდეს უფრო მეტი დრო, ვიდრე ჩვენთვისა და ჩვენი ოპონენტისათვის იქნებოდა სასიამოვნო), — არც ის, რომ შეუძლებელია «საზოგადოებრივი აღმავლობა» (უნდა თქმულიყო: რევოლუციური აღმავლობა), ვთქვათ, ე რ თ ი წ ლ ი ს უძრაობის შემდეგ. ჩვენ გამოვიარეთ სულ ცოტა ერთი წლის უძრაობა, ჩვენ განვიცდით უძრაობას ახლაც. ამხანაგი ოტზოვისტი თვითონ აღიარებს, რომ «ძნელი და შეუძლებელიც კია ვთქვათ, თუ როგორი ი ქ ნ ე ბ ა ის გარეშე საბაბი, რომელიც ა ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ს... მასებს». ეს ცოტაა. როდესაც ავტორი მოუწოდებს პარტიას «შეუგუოს ჩვენი ტაქტიკა და ორგანიზაცია სწორედ მას (რევოლუციას, ე. ი. რევოლუციურ აღმავლობას), და არა ახლანდელ დამპალ პოლიტიკურ წუთს», ის თვითონ იძლევა წინადადებას — გარდავქმნათ ორგანიზაცია დამპალი მომენტის, აღვირახსნილი პოლიციური რეპრესიების შესაბამისად, იმის შესაბამისად, რომ შეუძლებელია კომიტეტების პირდაპირი და უშუალო ურთიერთობა მუშათა მასებთან. უეჭველია, აღმავლობის პირობებში ავტორი არ წამოაყენებდა ასეთ ორგანიზაციულ გეგმას, არ წამოსწევდა მას პირველ რიგში. მაშასადამე, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ის თვითონ უარყოფს საკითხის იმგვარად დასმას, როგორც იგი მას სვამს, თავისი პ რ ა ქ ტ ი კ ი თ შეაქვს შესწორება თავის თ ე ო რ ი ა შ ი. ეს იმიტომ დაემართა, რომ მან თეორიული წანამძღვარი არასწორად გადმოგვცა. ახალი აღმავლობის გარდუვალობიდან გამომდინარეობს აუცილებლობა, რომ შევინარჩუნოთ მასებში მთელი ჩვენი მუშაობის ძველი პროგრამაც და ძველი რევოლუციური ლოზუნგებიც, აუცილებლობა, რომ სისტემატურად ვამზადოთ პარტია და მასები ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. მაგრამ აქედან ის

არ გამომდინარეობს, დაიწყო უკვე აღმავლობა თუ არა, მის დაწყებას უნდა «შევეგუოთ» თუ გაშლას. 1897 წელსაც, 1901 წელსაც და 1905 წლის დამდეგსაც აბსოლუტურად სწორი იყო დებულება, რომ გარდუვალია ახალი რევოლუციური აღმავლობა (60-იანი წლების დასაწყისისა და 70-იანი წლების დასასრულის სუსტი აღმავლობის შემდეგ), მაგრამ სამივე ამ მომენტში რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს შეეძლოთ შეეფარდებინათ თავისი ტაქტიკა კრიზისის ზრდის სხვადასხვა პირობასთან. 1897 წელს ჩვენ უარვყოფდით საყოველთაო გაფიცვის «გეგმას», როგორც ლიტონ ფრაზას, და ჩვენ მართალნი ვიყავით. 1901 წელს ჩვენ დღის წესრიგში არ ვაყენებდით აჯანყების ლოზუნგს. 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ ეს ლოზუნგიც და მასობრივი გაფიცვაც მართებულად დააყენა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ დღის წესრიგში. ჩვენ ამით სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, რომ ახალი აღმავლობა აუცილებლად (ან თუნდაც «ალბათ») ასევე ნელი იქნება. პირიქით, ყველა მონაცემი და ევროპის რევოლუციების მთელი გამოცდილება გვაიძულებს მოველოდეთ შეუდარებლად უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე 1897 — 1905 წლებში იყო. მაგრამ ის ფაქტი, რომ აღმავლობის სხვადასხვა მ ო მ ე ნ ტ შ ი რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს აყენებდნენ პირველ რიგში დღის სხვადასხვა ლოზუნგს, ფაქტად რჩება. ამხ. ოტზოვისტის შეცდომა ის არის, რომ ივიწყებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამ გამოცდილებას.

შემდეგ, ამხ. ოტზოვისტი ეხება ჩვენს სათათბიროს ფრაქციას და იწყებს დებულებით: «პარტიის ბუნებრივი დაგვირგვინება, მისი, ასე ვთქვათ, დიპლომატიური წარმომადგენელი არის სათათბიროს ფრაქცია». ეს მართალი არ არის. ავტორი აზვიადებს ფრაქციის მნიშვნელობასა და როლს. ავტორი მენშევიკურად უზომოდ ბერავს ამ როლს, — ეტყობა, ტყუილად კი არ ამბობენ, უკიდურესობანი ერთდებიანო! მენშევიკები იმ შეხედულებიდან, რომ ფრაქცია პარტიის «დაგვირ-

გვინება» არისო, ასკვნიან, აუცილებელია პარტია შეეგუოს ფრაქციასაო. ოტზოვისტები იმ შეხედულებიდან, რომ ფრაქცია არის პარტიის «დაგვირგვინება», ასკვნიან, პარტიისათვის დამღუპველია ასეთი ცუდი «დაგვირგვინებაო». არც მენშევიკების წანამძღვარია სწორი და არც ოტზოვისტებისა. არასოდეს და არავითარ პირობებში, ყველაზე «იდეალური» ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც კი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატია არ დათანხმდება და არ სცნობს თავის პარლამენტურ ფრაქციას არც პარტიის «ბუნებრივ დაგვირგვინებად», არც მ ი ს «დიპლომატიურ წარმომადგენლად». ეს შეხედულება სრულიად შემცდარია. ჩვენ დიპლომატიისათვის კი არ ვგზავნით დეპუტატებს ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-შავრაზმულ საწარმომადგენლო დაწესებულებებში, არამედ განსაკუთრებული სახის დამხმარე პარტიული მოღვაწეობისათვის, განსაკუთრებული ტრიბუნიდან აგიტაციისა და პროპაგანდისათვის. «იდეალური» დემოკრატიული საარჩევნო უფლების დროსაც კი მუშათა პარტიის პარლამენტურ ფრაქციას ყოველთვის დაეტყობა არჩევნების საერთო ბურჟუაზიული ვითარების გავლენის ერთგვარი კვალი, მაგალითად, იგი ყოველთვის იქნება უფრო «ინტელიგენტური», ვიდრე პარტია მთლიანად, და ამიტომ პარტიის «დაგვირგვინებად» ფრაქციას ჩვენ არასოდეს არ ვცნობთ. ფრაქცია გენერალური შტაბი კი არ არის (თუ დასაშვებია ავტორის «დიპლომატიურ» შედარებასთან ერთად ვიხმაროთ «სამხედრო» შედარება), არამედ უფრო მებუკეთა რაზმია ერთ შემთხვევაში და მზვერავთა რაზმი — მეორე შემთხვევაში, ან ერთგვარი დამხმარე «სახეობის ჯარის» ერთ-ერთი ორგანიზაცია.

ამხ. ოტზოვისტმა ფრაქცია დ ა მ ხ მ ა რ ე პ ა რ ტ ი უ ლ ი ორ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი დ ა ნ გადააქცია პარტიის «დაგვირგვინებად» იმისათვის, რომ ფრაქციის მნიშვნელობის გ ა ზ ვ ი ა დ ვ ბ ი თ სრულიად არასწორი ხასიათი მისცეს იმ ჩვენი რაზ-

მის მოღვაწეობას, რომელიც წარგზავნილია ბურჟუაზიულ-შავრაზმულ სათათბიროში.

მაგრამ შესაძლოა, რომ ავტორი არ ჩააცივდება ამ «დაგვირგვინებას». თავისი სტატიის სხვა ადგილას ის თვითონ სწორად ამბობს: «ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომელიც აიძულებდა პარტიას მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, იყო იმის იმედი, რომ სათათბიროს ტრიბუნა საპროპაგანდო-საგიტაციო როლს შეასრულებდა». ეს მართალია, და ავტორის გალაშქრება ამ სწორი დებულების წინააღმდეგ განსაკუთრებით ნათლად ცხადყოფს, რომ ის მართალი არ არის: «მაგრამ ხინამდვილემ დაგვანახა, — წერს ის, — რომ აგიტაცია III სათათბიროში ნულით გამოიხატება, ჯერ-ერთი, თვით ჯგუფის შემადგენლობის მეოხებით, მეორეც, მასების სრული გულგრილობის მეოხებით, ყოველივე იმისადმი, რაც თავრიდის სასახლის კედლებში ხდება».

დავიწყოთ ბოლოდან ამ, შეცდომებით არაჩვეულებრივ მდიდარი, დებულების გარჩევა. აგიტაცია არარად იქცევა მასების სრული გულგრილობის მ ე ო ხ ე ბ ი თ ყოველივე იმისადმი, რაც სათათბიროში ხდება. რა არის ეს? როგორ? ისე გამოდის, რომ უნდა «გამოვიწვიოთ», ამ საკვირველი ლოგიკის მიხედვით, არა ფრაქცია, არამედ «მასები» მათი «გულგრილობისათვის»! ვინაიდან სათათბიროში ყოველ ჩვენგანისათვის აშკარად ტარდება თვითმპყრობელობის პოლიტიკა, შავრაზმელი მემამულისა და მსხვილი კაპიტალისტ-ოქტიაბრისტის მიერ ცარიზმისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკა, ლიბერალური ენალაქლაქა-კადეტის მიერ ცარიზმის წინაშე მლიქვნელობის პოლიტიკა. გულგრილი რომ იყო «ყოველივე იმისადმი, რაც თავრიდის სასახლის კედლებში ხდება», იმას ნიშნავს, რომ გულგრილი იყო თვითმპყრობელობისადმი, თვითმპყრობელობის მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი! ავტორს ისევ გამოუვიდა უკუღმა პირის მენშევიზმის მაგგვარი მსჯელობა. «თუ მასები გულგრილნი არიან, მაშინ სოციალ-დემოკრატებიც გულგრილნი უნდა იყვ-

ნენ». მაგრამ ჩვენ ვართ პარტია, რომელიც მასების განწყობილების ყოველგვარ ცვლილებას ან განწყობილების დაცემას კი არ მიჰყვება, არამედ მასებს მიუძღვის სოციალიზმისაკენ. ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტია დროდადრო განიცდიდა მასების აპათიას ან მათს გატაცებას რაიმე შეცდომით, რაიმე მოდით (შოვინიზმით, ანტისემიტიზმით, ანარქიზმით, ბულანჟიზმით[94] და სხვ.), მაგრამ მტკიცე რევოლუციური სოციალ-დემოკრატები არასოდეს არ აჰყვებიან მასების განწყობილების ყოველგვარ ცვლილებას. შეიძლება და კიდეც უნდა გავაკრიტიკოთ სოციალ-დემოკრატების ცუდი პოლიტიკა III სათათბიროში, როდესაც ისინი იქ ცუდ პოლიტიკას ატარებენ, მაგრამ იმის თქმა, რომ აგიტაცია არარად იქცევა მასების სრული გულგრილობის მეოხებითაო, იმას ნიშნავს, რომ არა-სოციალ-დემოკრატიულად მსჯელობდე.

ან იქნებ «მასების სრული გულგრილობა» არ ნიშნავს საერთოდ ცარიზმის პოლიტიკისადმი გულგრილობას? ესე იგი მასები, რომლებიც გულგრილნი არიან ყოველივე იმისადმი, რაც სათათბიროს კედლებში ხდება, არარიან გულგრილნი, ვთქვათ, ქუჩის დემონსტრაციების, ახალი გაფიცვების, აჯანყების, საერთოდ რევოლუციური პარტიებისა და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის საშინაო ცხოვრების საკითხის განხილვისადმი? ავტორის უბედურება ის არის, რომ იგი, ეტყობა, სწორედ ასე ფიქრობს, მაგრამ იძულებულია პირდაპირ არა თქვას ესოდენ აშკარა უაზრობა! მას რომ მართლაც შეეძლოს თქვას და დაამტკიცოს, რომ მასებში ამჟამად არ არის სულ მცირედი გულგრილობა პოლიტიკისადმი საერთოდ, არამედ გაცილებით უფრო ცხოველი ინტერესი აქვს პოლიტიკის უფრო აქტიური ფორმებისადმი, — მაშინ, ცხადია, საკითხი სხვანაირად იდგებოდა. ჩვენ რომ ყველა სოციალ-დემოკრატიული და ყველა სხვა მუშური ორგანიზაციის დროებითი მიყუჩების, დაცემისა და რღვევის ერთი წლის ნაცვლად განგვეცადა ბრძოლის

სწორედ უშუალო რევოლუციური ფორმებისადმი მასების აშკარა ინტერესის ერთი წელი, მაშინ ჩვენ პირველნი აღვიარებდით, რომ შევცდით. ვინაიდან მხოლოდ მენშევიზმის «პარლამენტურ კრეტინებს» შეუძლიათ რევოლუციური მომენტის პირობების დამოუკიდებლად საერთოდ და ყოველთვის საჭიროდ მიიჩნიონ ყოველგვარ საწარმომადგენლო დაწესებულებაში მონაწილეობის მიღება და ფარისევლურად თვალის დახუჭვა, რათა არ დაინახონ მარქსის, ლასალის, ლიბკნეხტის იმ მოღვაწეობის გამოცდილება, რასაც ისინი რევოლუციურ პერიოდებში ეწეოდნენ. მარქსისტები ვალდებულნი არიან III სათათბიროში მონაწილეობის თუ მისი ბოიკოტის საკითხი, ისევე როგორც ყოველი პოლიტიკური საკითხი, დასვან არა აბსტრაქტულად, არამედ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ, ამასთან მათ უნდა გაითვალისწინონ მ თ ე ლ ი რევოლუციური ვითარება მთლიანად, და არა მხოლოდ უბადრუკი და ფუჭი მოსაზრება: «თუ არის წარმომადგენლობა, უნდა ვიწარმომადგენლოთო». მასების ცოცხალი ინტერესი პოლიტიკისადმი ნიშნავს მზარდი კრიზისის ობიექტურ პირობათა არსებობას, ე. ი. ნიშნავს, რომ ერთგვარი აღმავლობა უკვე გვაქვს და, ასეთი აღმავლობის გარკვეული სიძლიერის დროს, მასების განწყობილება აუცილებლად გამოიხატება მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ.

ამ უკანასკნელი საკითხის გამო ამხ. ოტზოვისტი თვითონ აღიარებს შემდეგს: «მისი (ფრაქციის) მოღვაწეობის ყოველი ცვლილება მჭიდროდ არის დაკავშირებული რეჟიმის შეცვლასთან, რეჟიმზე ზემოქმედება კი ჩვენ ამჟამად არ ძალგვიძსო»... რატომ ფიქრობს ამხ. ოტზოვისტი, რომ ჩვენ არ ძალგვიძს არათუ შევცვალოთ ახლა რეჟიმი, არამედ ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ც კი ვერ მოვახდინოთ მასზე? აშკარაა, იმიტომ, რომ, როგორც სოციალ-დემოკრატს, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის მასების მოქმედება, ასეთი მოქმედება კი ა ხ ლ ა შეუძლებლად მიაჩნია და მის შესახებ ლაპარაკს უქმად თვლის. მაგრამ შეხედეთ, თუ

ამასთანავე როგორ ცდილობს ის «სხვას აჰკიდოს ზურგზე თავისი ცოდვა», ე. ი. როგორ იყენებს ის ჩვენს წინააღმდეგ საბუთს, რომელიც ოტზოვიზმის წინააღმდეგ მეტყველებს.

«გ ა ა რ ღ ვ ი ე თ, — წერს ამხ. ოტზოვისტი, — პოლიციური ზღუდეები, რომლებიც დეპუტატებს აშორებენ მასებისაგან, აიძულეთ ფრაქცია გამოვიდეს უფრო მკვეთრად და მკაფიოდ, ერთი სიტყვით, ორგანულად შეადუღეთ მისი მუშაობა პროლეტარიატის ცხოვრებასთან, — მაშინ მუშებმა შეიძლება სცნონ მისი დადებითი მხარეები; მაგრამ რადგან მისი მოღვაწეობის ყოველი შეცვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული რეჟიმის შეცვლასთან, რომელზედაც ზემოქმედება ჩვენ ამჟამად არ ძალგვიძს, ამიტომ თავი უნდა დავანებოთ ფრაქციული მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების ყოველგვარ ოცნებას»!..

თუ ფრაქციული მუშაობის გაფართოება და გაღრმავება შეპირობებულია «პოლიციური ზღუდეების გარღვევით», მაშინ რატომ ამბობს დასკვნა: «თავი დაანებეთ ფრაქციის გაუმჯობესებაზე ოცნებას», და არა თავი დაანებეთ პოლიციური ზღუდეების გარღვევაზე ოცნებასაო?? ავტორი აშკარა ულოგიკობას იჩენს, და მისი მსჯელობა ასე უნდა შესწორდეს: საჭიროა დაუღალავი მუშაობა მთელი პარტიული მოღვაწეობისა და მასასთან პარტიის მთელი კავშირურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, რის შედეგიც გარდუვალად იქნება საერთოდ პოლიციური ზღუდეების გარღვევაც და კერძოდ გაძლიერება პარტიული ურთიერთობისა ფრაქციასთან, პარტიული ზემოქმედებისა ფრაქციაზე. ავტორი თითქოს ჩვენგან, ანტიოტზოვისტებისაგან მოითხოვს, რათა ჩ ვ ე ნ «გავარღვიოთ პოლიციური ზღუდეები», და მაშინ ის, იქნებ, დათანხმდეს ოტზოვიზმის უკუგდებაზე. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ის ამრიგად ყირამალა აყენებს პოლიტიკურ მოვლენათა ნამდვილ კავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას? იქნებ, — ვიტყვით ჩვენ, — თქვენ მართალი ყოფილიყავით, ამხანაგო ოტზოვისტო, მასას რომ შეეძლოს «ახლა» არათუ «ზემოქმე-

დება მოახდინოს რეჟიმზე» (ყოველი მარჯვე პოლიტიკური დემონსტრაცია ზემოქმედებას ახდენს რეჟიმზე), არამედ გაარღვიოს კიდეც ზღუდეები, — ე. ი. მასას რომ შეეძლოს ახლა გაარღვიოს III სათათბიროს «ზღუდეები», მაშინ, იქნებ, უსარგებლოც ყოფილიყო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას გაეგზავნა თავისი რაზმი ამ სათათბიროში. იქნებ. მაგრამ თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ეს არ არის; თქვენ თვითონ თანახმა ხართ, რომ მოცემულ გარემოებებში საჭიროა კიდევ სერიოზული და შეუპოვარი მოსამზადებელი მუშაობა, რათა ეს შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს.

«ფრაქციის შემადგენლობა», — ამბობთ თქვენ. უკან გამოწვევას რომ მოითხოვდნენ ფრაქციის შემადგენლობის შესაცვლელად, ეს მოსაზრება განხილვის ღირსი იქნებოდა იმ თვალსაზრისით, გაუმჯობესდება თუ არა შემადგენლობა ახალ არჩევნებში ახლანდელი ფრაქციის გადადგომის შემდეგ. მაგრამ ავტორს არაფერი ამგვარი არა აქვს მხედველობაში. მას სურს არა მარტო უკან გაიწვიოს სათათბიროს ფრაქცია, არამედ საერთოდ მოსპოს სოციალ-დემოკრატიის ყოველგვარი წარმომადგენლობა III სათათბიროში, რომელში მონაწილეობას შეცდომად აცხადებს. ამ თვალსაზრისითაც ოტზოვიზმის დასაბუთება «ფრაქციის შემადგენლობით» სოციალ-დემოკრატიისათვის სრულიად შეუწყნარებელი სულმოკლეობა და ურწმენობაა. ჩვენმა პარტიამ მიაღწია იმას, რომ მუშა ამრჩევებიდან ჩვენ ვაიძულეთ შავრაზმელები აერჩიათ ჩვენი პარტიული კანდიდატები, სოციალ-დემოკრატები. და მერე, განა უიმედო საქმედ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ პარტიულმა მუშებმა შესძლონ სათათბიროს ტრიბუნიდან მარტივად და ნათლად გააშუქონ თავისი სოციალიზმი? განა უკან უნდა დავიხიოთ ბურჟუაზიული «მცოდნე პირების»[95] წინააღმდეგ რამდენიმე თვის ბრძოლის შემდეგ (იხილეთ დღევანდელ ნომერში დაბეჭდილ წერილში ფრაქციის შესახებ იმ ვნების საუცხოო აღწერა, რაც მათ მოაქვთ)? განა ჩვენი პარტია ისეთ პარტიად უნდა აღვიაროთ, რომელ-

საც დროებითი სიწყნარისა და უძრაობის პერიოდში უნარი არ შესწევს წამოაყენოს მუშა სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც შეეძლებათ საჯაროდ განმარტონ თავიანთი სოციალიზმი? ეს პოლიტიკა კი არა, ნერვიულობაა. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად თვითონ სათათბიროს ჩვენი ფრაქციაა ამაში დამნაშავე, ვინაიდან მას სწორედ თავისი სერიოზული შეცდომებით და მხოლოდ ამ შეცდომებით მიჰყავს ოტზოვიზმამდე ის უკმაყოფილება, რომელსაც ეს შეცდომები იწვევენ. მაგრამ კანონიერ უკმაყოფილებას ჩვენ საშუალებას არ მივცემთ ჩაგვითრიოს არასწორ პოლიტიკაში. არა. ჩვენ შეუპოვრად და დაჟინებით უნდა ვიმუშაოთ და კიდევაც ვიმუშავებთ პარტიის დაახლოებისათვის ფრაქციასთან, ფრაქციის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებაში მოიპოვება პარტიასთან ფრაქციის გაცილებით უფრო ხანგრძლივი და უფრო მწვავე ბრძოლის მაგალითები, ვიდრე ეს ჩვენშია III სათათბიროს დროს. გაიხსენეთ გერმანელები. განსაკუთრებული კანონის დროს იმათთან საქმე იქამდე მივიდა, რომ ფრაქციამ გადადგა მთელი რიგი მეტად აშკარა ანტიპარტიული, ოპორტუნისტული ნაბიჯები (ხმის მიცემა სუბსიდიისათვის ნაოსნობის სასარგებლოდ და ა. შ.). პარტიას ჰქონდა თავისი ყოველკვირეული ცენტრალური ორგანო საზღვარგარეთ და რეგულარულად შეჰქონდა იგი გერმანიაში. მაშინდელი გერმანელი სოციალ-დემოკრატების ორგანიზაცია, მიუხედავად გააფთრებული პოლიციური დევნისა, მიუხედავად ნაკლებ რევოლუციური მომენტისა, ობიექტური მიზეზების გამო, ვიდრე თანამედროვე რუსეთშია, გაცილებით უფრო ფართო და უფრო მტკიცე იყო, ვიდრე არის ჩვენი პარტიის ახლანდელი ორგანიზაცია. და გერმანელი სოციალ-დემოკრატების პარტიამ ხანგრძლივი ომი გააჩაღა თავისი ფრაქციის წინააღმდეგ და გამარჯვებამდე მიიყვანა ეს ომი. «ახალგაზრდათა» სულელურ მომხრეებს, რომლებიც ფრაქციის გაუმჯობესებისათვის მუშაობის ნაცვლად ღრიანცელს ტეხდნენ,

როგორც ცნობილია, საქმე ძალიან ცუდად წაუვიდათ. პარტიის გამარჯვება კი ფრაქციის დამორჩილებით გამოიხატა.

ჩვენში პარტიის ბრძოლა ფრაქციასთან ამ უკანასკნელის შეცდომათა გამოსწორებისათვის ეს-ეს არის იწყება. ჩვენში ჯერ კიდევ არ ყოფილა არც ერთი ისეთი პარტიული კონფერენცია, რომელსაც მტკიცედ და ნათლად განეცხადებინოს ფრაქციისათვის, რომ მან საჭიროა გამოასწოროს თავისი ტაქტიკა ამა და ამ გარკვევით აღნიშნული მიმართულებით. ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია ცენტრალური ორგანო, რომელიც რეგულარულად გამოდიოდეს და მთელი პარტიის სახელით თვალყურს ადევნებდეს ფრაქციის ყოველ ნაბიჯს და წარმართავდეს ფრაქციას. ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ცოტა რამ გააკეთეს იმავე მუშაობის მხრივ — სათათბიროში სოციალ-დემოკრატების თვითეული გამოსვლის გამო მასებში აგიტაციის გაწევის მხრივ და ამა თუ იმ გამოსვლის ყოველგვარი შეცდომის განმარტების მხრივ. და ჩვენ მოგვიწოდებენ ხელი ჩავიქნიოთ, ბრძოლა უიმედო საქმედ მივიჩნიოთ, ხელი ავიღოთ სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებაზე 1908 წლის მსგავს მომენტებში. ერთხელ კიდევ: ეს პოლიტიკა კი არა, ნერვიულობაა.

მკაფიო გამოსვლები არ არისო, — ამბობთ თქვენ. ამ «მკაფიო გამოსვლების» გამო ორი რამ უნდა განვასხვაოთ: ჯერ-ერთი, ის, რომ პარტია ცუდად იცნობს საქმეს, მეორეც, ფრიად სერიოზული პრინციპული შეცდომა თვით მკაფიო გამოსვლების საკითხის დასმაში საერთოდ.

პირველი საკითხის გამო უნდა ითქვას, რომ დღევანდლამდე ყველა, ვისაც სურდა საქმიანად გაეკრიტიკებინა ფრაქცია, აღნიშნავდა მთელ რიგ უსათუოდ სერიოზულ შეცდომებს (დეკლარაცია; შვარცისათვის მილიონების მიცემის სასარგებლოდ ხმისმიცემა; თათბირი სახალხო დემოკრატებთან; პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს რელიგიის კერძო საქმედ ცნობა; სიჩუმე 1908 წლის 15 ოქტომბრის შეკითხვის გამო; კადეტებისათვის მკაფიო კრიტიკის გაუწევლობა, და ა. შ.). ამ შეცდომების მიჩქმალვა,

როგორც იქცევიან მენშევიკები, რომლებსაც ყველაფერი საუკეთესოდ მიაჩნიათ, გარდა ჩილიკინის გამოსვლისა, უდიდესი უგვანობაა. ეს შეცდომები კი არ უნდა მივჩქმალოთ, არამედ ცხადვყოთ საჯაროდ, ჩვენს ადგილობრივსა და არაადგილობრივ ორგანოებში, ყოველ კრებაზე, სააგიტაციო ფურცლებში, რომლებსაც ვავრცელებთ მასაში ყოველი გამოსვლის გამო. ფრაქციის საქმიანი კრიტიკისათვის და ასეთ კრიტიკასთან პროლეტარული მასების გასაცნობად ჩვენ ჯერ კიდევ - წარმოუდგენლად ცოტა გვაქვს გაკეთებული. ჩვენ ყველამ და ყველგან უნდა მოვკიდოთ ხელი მუშაობას ამ მიმართულებით. და, როცა ხელს მოვკიდებთ ამ მუშაობას, დავინახავთ, რომ არის ფრაქციის მთელი რიგი ისეთი გამოსვლები და მეტადრე მორიგ საქმეებზე გადასვლის ისეთი ფორმულები, შედგენილნი ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მითითებით და ამ წარმომადგენლებთან შეთანხმებით, რომლებიც ს წ ო რ ა დ გადმოგვცემენ რსდმპ პროგრამას. ეს გამოსვლები და ფორმულები დაბეჭდილია სათათბიროს ოქმებში, დაბეჭდილია «როსსიის»[96] დამატებაში და ჯერ კიდევ მეასედადაც არ გამოგვიყენებია მასობრივ აგიტაციაში. ცხადია, უნდა ვაკრიტიკოთ ფრაქცია, უპატიოსნობაა მისი შეცდომების მიჩქმალვა. მაგრამ ჩვენ ყველამ უნდა განვამტკიცოთ აგრეთვე ორგანიზაციები ადგილებზე და განვავითაროთ აგიტაცია ფრაქციის თვითეული გამოსვლის გამოსაყენებლად. მხოლოდ ორივე ამ მუშაობის შეერთება არის მართლაც ისეთი მოღვაწეობა, რომელიც შეეფერება მტკიცე რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებს, მხოლოდ ეს შეერთება დაგვეხმარება დავძლიოთ «დამპალი წუთი» და დავაჩქაროთ ახალი აღმავლობის დაწყება.

შემდეგ. ავტორი, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავს, «მკაფიო გამოსვლები არ ყოფილაო», ამბობს, რომ «შეიქმნა შთაბეჭდილება (ვის შეექმნა? მარქსიზმის ანბანის არმცოდნე რამდენიმე **Mitläufer**»-ს?), თითქოს სოციალ-დემოკრატია შეურიგდა შექმნილ ვითარებას და მშვიდობიან კულტურულ

მუშაობაზე ფიქრობს; ფრაქციის არსებობა თითქოს გახდა იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ რევოლუცია დამარხულია, თუ სიტყვით არა... საქმით მაინც. შეიძლება ეს აზრი სწორი არ იყოს, მაგრამ მისი გაბათილება ჩვენ შეგვიძლია არა მოსაზრებებით, არამედ ფაქტებითო». და ერთადერთი «ფაქტი», რომელსაც ავტორი ამასთან გვთავაზობს, როგორც მასების თვალში სათათბიროსადმი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულების «ხაზგასმის» მთელი ტაქტიკის «გარდაქმნას», არის ფრაქციის უკან გაწვევა! გამოდის, რომ ფრაქციის უკან გაწვევა განიხილება, როგორც «ფაქტი», რომელიც აბათილებს «რევოლუციის დამარხვას», როგორც «მკაფიო გამოსვლა», რომელიც ხ ა ზ ს უ ს ვ ა მ ს ახალ ტაქტიკას.

ჩვენ ამაზე ვიტყვით, რომ ავტორს არასწორად ესმის «მკაფიო გამოსვლებისა» და «მკაფიო» ლოზუნგების საერთო მნიშვნელობა. როდესაც ჩვენ, ბოლშევიკები, 1905 წელს ვატარებდით ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტს, ეს ლოზუნგი სწორი იყო არა იმიტომ, რომ იგი «მკაფიო» იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი უ ტ ყ უ ა რ ა დ გამოხატავდა ო ბ ი ე ქ ტ უ რ მდგომარეობას: ადგილი ჰქონდა მზარდ აღმავლობას, რომლის აცილებას ცდილობდა ცარიზმი საკანონმრჩევლო სათათბიროს დაპირებით. როდესაც ჩვენ 1906 წლის ზაფხულში ვატარებდით ლოზუნგს: «მემარცხენეთა აღმასრულებელი კომიტეტი აჯანყების მხარის დასაჭერად, და არა კადეტური სამინისტროს მოთხოვნის მხარისდაჭერა» ეს ლოზუნგი სწორი იყო არა იმიტომ, რომ იგი «მკაფიო» იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი უ ტ ყ უ ა რ ა დ გამოხატავდა ო ბ ი ე ქ ტ უ რ მდგომარეობას; მოვლენებმა დაამტკიცეს, რომ კადეტები აფერხებდნენ ბრძოლას, რომ მათი ფარული მოლაპარაკება ტრეპოვთან 1906 წლის ივნისში გამოხატავდა მთავრობის თამაშს, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ი შეტაკება მოხდა და უნდა მომხდარიყო სხვა ნიადაგზე, სათათბიროს გარეკვის შემდეგ, სახელდობრ: შეიარაღებული ბრძოლის ნიადაგზე (სვეაბორგი და კრონშტადტი, როგორც ჯარისკაცებისა და გლეხობის

ამბოხებათა დაგვირგვინება). როდესაც ჩვენ 1907 წელს ვატარებდით ლოზუნგს: არა კადეტებთან ბლოკში, არამედ კადეტების წინააღმდეგ, ეს ლოზუნგი სწორი იყო არა იმიტომ, რომ იგი «მკაფიო» იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი უტყუარად გამოხატავდა მომენტის ობიექტურ პირობებს. ს.-პეტერბურგში ჩატარებულმა არჩევნებმაც და მეორე სათათბიროში კენჭისყრათა (და კამათის) მთელმა ერთობლიობამაც დაამტკიცეს, რომ «შავრაზმული საფრთხე» ფიქცია იყო და რომ ნამდვილად ბრძოლა წარმოებდა კადეტებისა და რეაქციის წინააღმდეგ ერთად, და არა კადეტებთან ერთად რეაქციის წინააღმდეგ.

უეჭველია, ზოგიერთნი რევოლუციის დროს მოგვემხრნენ არა იმიტომ, რომ მათ ესმოდათ სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგებისა და ტაქტიკის სისწორის მარქსისტული კრიტერიუმი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი «მკაფიონი» იყვნენ. ახლა, ტალღის უკუქცევის დროს, ჩვენთან რომ მხოლოდ ნამდვილი მარქსისტები რჩებიან და დარჩებიან, ეს ჩვენ კი არ გვაშინებს, არამედ გვახარებს. და ჩვენ მოვუწოდებთ ამხანაგ-ოტზოვისტს ყურადღებით ჩაუფიქრდეს თავის მსჯელობას: რევოლუციის დამარხვის გაბათილება საჭიროა არა სიტყვებით, არამედ ფაქტებით — ამიტომ უკან გავიწვიოთ ფრაქციაო! ეს სრულიად მცდარი მსჯელობაა. ფრაქციის უკან გაწვევა, როგორც ხაზგასმა იმისა, რომ რევოლუცია არ არის დამარხული, იმ «რევოლუციონერების» დამარხვაა, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი პოლიტიკის გატარება. ვინაიდან ამგვარი «რევოლუციურობა» არის გამოხატულება დაბნეულობისა და უძლურებისა იმ მძიმე, ძნელ, ნელ მუშაობაში, რომელსაც «ახლა» გვიკარნახებენ ობიექტური პირობები და რომელზედაც ხელის ჩაქნევა ან უარის თქმა არ შეიძლება.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ამხანაგი ოტზოვისტი თვითონ გვთავაზობს თავისი წერილის ბოლოში ხუთ პუნქტად უახლოესი მუშაობის ისეთ გეგმას, რომელიც სწორად გამო-

ხატავს დღის ამოცანებს და ა ბ ა თ ი ლ ე ბ ს მის არასწორ ტაქტიკას. ერთხელ კიდევ: ამხ. ოტზოვისტის პ რ ა ქ ტ ი კ ა მის თეორიაზე უკეთესია. ის უეჭველად მართალია, რომ საჭიროა მტკიცე არალეგალური ორგანიზაცია. ის, ალბათ, დაჟინებით არ მოითხოვს ცენტრალური კომიტეტის მიერ კომიტეტელთა «დანიშვნას», რაც უაღრესად არაპრაქტიკულია. ნუ დავივიწყებთ, რომ ინტელიგენტთა წრიდან გამოსული პროფესიონალი რევოლუციონერის შესაცვლელად ან, უფრო სწორად, მის დასახმარებლად მოდის პროფესიონალი რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი მუშა (ძალიან ბრაზობენ მენშევიკები ამის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ფაქტია); მაშასადამე, ახალი არალეგალური ორგანიზაცია არც თუ სავსებით იქნება ძველი ორგანიზაციის მსგავსი და არც თუ ს ა ვ ს ე ბ ი თ უნდა ემსგავსებოდეს მას. ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე, რომ გამოთქმა — «პარტიული უჯრედების მოწყვეტა ერთმანეთისაგან» პირველი პუნქტის უკანასკნელ ფრაზაში შემთხვევითი უხერხული თქმაა, რომელსაც არ უნდა ჩავაცივდეთ. მართლაც, სოციალ-დემოკრატიული არალეგალური ორგანიზაცია კი არ მოსწყვეტს ერთმანეთს, არამედ დ ა ა ა ხ ლ ო ე ბ ს ახლა დაქსაქსულ უჯრედებს. ამხანაგი ოტზოვისტი სავსებით მართალია, როდესაც ხაზს უსვამს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც აქვს სოციალისტურ პროპაგანდას და აგიტაციის «ანკეტურ სისტემას». «მასის ცოცხალი კავშირი პარტიასთან», «მასების ჩაბმა სააგიტაციო ლოზუნგების განხილვაში», — ეს მართლაც დ ღ ი უ რ ი ჭ ი რ ვ ა რ ა მ ი ა. ა ს ე თ ი დღიური ჭირვარამის ცნობა ყოველ მსჯელობაზე უკეთ გვიჩვენებს და ყოველგვარი «გამოგონილი» ლოზუნგების (მ. ტომსკის მოსწრებული თქმით) მიუხედავად ცხადყოფს, რომ მოვლენათა მსვლელობა ჩვენ ყველას, ანტიოტზოვისტებსაც და ოტზოვისტებსაც, გვიყენებს ე რ თ საარსებო პრაქტიკულ ამოცანას, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთ «ლოზუნგს»: იდეურად განვამტკიცოთ სოციალიზმი, ორგანიზაციულად განვამტკიცოთ არალეგა-

ლური მუშათა პარტია, რომელსაც ეყოლება თვით მუშებიდან გამოსული ხელმძღვანელები, განვავითაროთ ყოველმხრივი სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია მასებში. ეს მუშაობა, როდესაც ჩვენ უფრო და უფრო შეთანხმებულად მოვკიდებთ მას ხელს, შეგვაკავშირებს ყველას; იგი სათათბიროს ჩვენს ფრაქციას უფრო განამტკიცებს, დისციპლინიანს გახდის, გამოასწორებს, ვიდრე ათობით ფუჭი ულტიმატუმი; იგი მოგვცემს ცოცხალ საქმეს; აღადგენს მხნე რევოლუციური ვითარების ატმოსფეროს; გვასწავლის ზუსტად გავზომოთ აღმავლობის ზრდა და განვსაზღვროთ მისი ნიშნები; გააცამტვერებს ოტზოვიზმის ყველა მკვდარ, შეთხზულ, «გამოგონილ» ლოზუნგს!

«პროლეტარი» № 39,
1908 წ. 13 (26) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

აგრარული კამათი III სათათბიროში

თითქმის ერთი თვის აგრარულმა კამათმა III სათათბიროში უაღრესად მდიდარი მასალა მოგვცა აგრარული საკითხის თანამედროვე მდგომარეობის, რევოლუციის შედეგებისა და პროლეტარიატის ამოცანების შესასწავლად. შევეცადოთ და გამოვიყვანოთ ძირითადი დასკვნები ამ მასალიდან. ორატორთა ოთხი ჯგუფი გამოიყოფა თავისთავად: მემარჯვენეები, კადეტები, გლეხები და სოციალ-დემოკრატები. ვიწრო აზრით გაგებული «მემარჯვენეებისა» და ოქტიაბრისტების განსხვავება საგსებით ისპობა. გლეხები უეჭველად გამოდიან, როგორც ერთი პოლიტიკური მიმართულება აგრარულ საკითხში, ამასთან მემარჯვენე გლეხებისა და ტრუდოვიკების განსხვავება წარმოადგენს მხოლოდ ერთიანი მიმართულების შიგნით არსებულ ელფერთა განსხვავებას. ანალიზი გავუკეთოთ იმ პოზიციას, რომელიც თვითეულმა ამ ჯგუფმა დაიკავა. (ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები გვიჩვენებს «როსსიის» დამატებაში გამოქვეყნებული სტენოგრაფიული ანგარიშების გვერდებს).

როგორც მოსალოდნელი იყო შავრაზმელი «პარლამენტარებისაგან», მემარჯვენეები და ოქტიაბრისტები შეეცადნენ გაებუნდოვანებინათ თავისი აგრარული პოლიტიკის არსი იურიდიული კაზუისტიკით და საარქივო ნაგავით; ისინი ლაქლაქებდნენ იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ 1906 წლის 9/XI კანონსა და გლეხთა შესახებ ზოგადი დებულების მე-12 მუხლს (რომელიც გლეხებს გამოყიდვის შემდეგ უფლებას

აძლევს მოითხოვონ ნაკვეთის გამოყოფა კერძო საკუთრებად), შემდეგ გამოყიდვის დებულების 165-ე მუხლსა და სხვა. შიდლოვსკი მოწადინებული იყო «ლიბერალად» გაესაღებინა თავი და ამტკიცებდა, რომ გრაფ დ. ტოლსტოის კანონმდებლობა ნადელების განუსხვისებლობისა და სხვათა შესახებ 1861 წლის «აზრს» ეწინააღმდეგებაო, ხოლო 1906 წლის 9/XI კანონი ამ აზრს შეესაბამებაო. ყოველივე ეს სულ ერთიანად მანჭვა-გრეხაა, რომლის მიზანია თვალი აუხვიოს გლეხს, დააბნელოს საქმის არსი. კადეტები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მაგრად წამოეგნენ შავრაზმელთა ანკესს, ჩვენთვის კი, სოციალისტებისათვის, საკმარისია ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ, თუ კანცელარული მტვრის რა სქელი ფენი უნდა მოვაცალოთ ბბ. შიდლოვსკების, ლიკოშინებისა და მეფის შავრაზმული ხროვის სხვა ლაქიების სიტყვებს, რათა დავინახოთ მათი აგრარული პოლიტიკის ნამდვილი შინაარსი. ბ-მა ლვოვმა 1-ლმა, რომელიც, მგონი, მშვიდობიანი განახლების მომხრეს უწოდებს თავის თავს, ნამდვილად კი ჭეშმარიტი შავრაზმელია ბ-ნ სტრუვეს ოინების მსგავსი ფანდებით, ეს შინაარსი სხვებზე უფრო ნათლად გამოთქვა: «გლეხთა წრეში, — ამბობდა მემამულეთა ეს მსახური, — ორი საწყისი შეიქმნა: უუფლებო პიროვნება და თვითნებური ბრბო (ტაში მარჯვნივ და ცენტრში)... მასების მდგომარეობა ასეთი სახით საფრთხეს წარმოადგენს უფლებრივი» (წაიკითხეთ: მემამულური) «სახელმწიფოსათვის (ტაში მარჯვნივ და ცენტრში)»... «მიწა უნდა ეკუთვნოდეს ყველა მშრომელს, მიწა იგივეა, რაც ჰაერი და წყალი; ჩვენ აქ მოვედით მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად». ეს იყო გაბატონებული ხმა. და ეს ხმა, რომელიც ამოგლეჯილია იმ ცრურწმენათაგან და ყალბ შეხედულებათაგან, რაც გლეხთა მასაში ბუდობს, ეს ხმა ჩვენ გვიჩვენებდა ცრუმორწმუნეობით აღსავსე წარმოდგენას ხელისუფლებაზე, რომელსაც შეუძლია წაართვას ზოგიერთებს და მისცეს სხვებს... «გავიხსენოთ, თუ რას ამბობდნენ აქ, — განაგრძობს ბ-ნი ლვოვი, იხსენებს რა წინანდელ სათათბი-

როებს, — მე მიმძიმს ამის გახსენება, მაგრამ ვიტყვი, არ შემიძლია არა ვთქვა, თუ რას ამბობდნენ აგრარულ კომისიაში. დიახ, როდესაც ის საკითხიც კი, რომ ხელუხლებელი დაეტოვებინათ თუნდაც ბოსტნები, თუნდაც ბაღები, უძლიერეს შეკამათებას იწვევდა, უძლიერეს წინააღმდეგობას აწყდებოდა და ხმების მხოლოდ სულ მცირე უმეტესობით გადიოდა; როდესაც აღიძრებოდა საკითხი, რათა ყოველი გარიგება მიწის ირგვლივ შეწყვეტილიყო, არა მარტო დაგირავება სათავადაზნაურო ბანკში, არა მარტო მიყიდვა საგლეხო ბანკისათვის, არამედ ყიდვა-გაყიდვაც, ბოძებაც, მემკვიდრეობაც, მაშინ, ცხადია, შიში გიპყრობდა, შიში, ბატონებო, არა მემამულეთა ინტერესების გამო, არამედ შიში სახელმწიფოს მდგომარეობისა და ბედის გამო (ტაში ცენტრში და მარჯვნივ. შეძახილი: «ბრავო»). ასეთ საძირკველზე კაპიტალისტური, თანამედროვე საზოგადოების აშენება შეუძლებელია» (293).

მემამულეთა სახელმწიფოს «შიში» იპყრობს თავისი არსებობის გამო, «შიში» იპყრობს გლეხთა მასების «ხმისა» (და მოძრაობის) წინაშე. სხვაგვარი კაპიტალიზმი, თუ არა მემამულური, ე. ი. ბატონყმური მიწათმფლობელობის შენარჩუნებაზე დაყრდნობილი, ამ ვაჟბატონებს არც კი შეუძლიათ წარმოიდგინონ! კაპიტალიზმი რომ ყველაზე უფრო ფართოდ, უფრო თავისუფლად და უფრო სწრაფად ვითარდება მიწის ყოველგვარი კერძო საკუთრების სრული მოსპობის დროს, ეს «განათლებულ» ბ-ნ ლვოვებს არც კი გაუგონიათ!

მასებში აგიტაციის გასაწევად შიდლოვსკის, ბობრინსკის, ლვოვის, გოლიცინის, კაპუსტინისა და კომპანიის სიტყვების ამონაწერთა გაცნობა აშკარად აუცილებელია: დღევანდლამდე ჩვენ ვხედავდით თვითმპყრობელობას, რომელიც თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებლობდა, ხანდახან აქვეყნებდა უგრიუმ-ბურჩეევისებურ[97] განცხადებებს. ახლა ჩვენ ვხედავთ მემამულური მონარქიისა და შავრაზმული «კონსტიტუციის» აშკარა დაცვას გაბატონებული კლასების ორგანიზებული წარმომადგენლობის მიერ, და ხალხის იმ ფენების

გამოსაღვიძებლად, რომლებიც პოლიტიკურად შეუგნებელნი ან გულგრილნი არიან, ეს დაცვა მეტად ძვირფას მასალას იძლევა. მოკლედ აღვნიშნოთ ორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოება. ჯერ-ერთი, მემარჯვენენი, როდესაც თავის პოლიტიკურ პროგრამას გადმოგვცემენ, ყოველთვის აყენებენ აუდიტორიის წინაშე ცოცხალ მტერს, რომელსაც ისინი ებრძვიან. ეს მტერი არის რევოლუცია. «შიში» რევოლუციის წინაშე, რაც ასე ნათლად გამოხატულია ბრიყვი ლვოვის მიერ, არა ნაკლებ ნათლად ეტყობა ყ ვ ე ლ ა ს, ვინც კი ყოველ ნაბიჯზე სიძულვილით, ღვარძლით, კბილთა ღრჭენით იგონებს ახლო წარსულს. ყ ვ ე ლ ა საკითხის ეს პირდაპირი დაყენება კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ნიადაგზე, ყ ვ ე ლ ა მოსაზრების ეს დამორჩილება ერთი მთავარი და ძირითადი მოსაზრებისადმი, რევოლუციასთან ბრძოლისადმი, ღრმა სიმართლეს შეიცავს და მემარჯვენეთა სიტყვებს შეუდარებლად უფრო ძვირფას მასალად ხდის (როგორც თანამედროვე მდგომარეობის მეცნიერული ანალიზისათვის, ისე აგიტაციისათვის), ვიდრე ორჭოფი და ლაჩარი ლიბერალების სიტყვებია. მემარჯვენეთა თავშეუკავებელი, გაცოფებული თავდასხმა რევოლუციაზე, 1905 წლის დამლევზე, აჯანყებებზე, ორივე პირველ სათათბიროზე, უფრო უკეთესად გვიჩვენებს, ვიდრე ყოველი გრძელი მსჯელობა, რომ თვითმპყრობელობის დამცველნი თვალწინ ხედავენ ც ო ც ხ ა ლ მტერს, რომ რევოლუციასთან ბრძოლა მათ დამთავრებულად არ მიაჩნიათ, რომ რევოლუციის აღორძინება მათ წინაშე ყოველ წუთს დგას, როგორც უაღრესად რეალური და უშუალო საფრთხე. მკვდარ მტერს ასე არ ებრძვიან. მკვდარი ასე არა სძულთ. მოსულელო ბ-მა ბალაკლეევმა გულუბრყვილოდ გამოხატა მემარჯვენეთა ყველა სიტყვის ეს საერთო სულისკვეთება. მან თქვა, 9 ნოემბრის ბრძანებულება, ცხადია, არ შეიძლება უკუგდებულ იქნას, ვინაიდან იგი უზენაეს ნებას გამოხატავსო, და ამასთან ერთად განაცხადა: «ბატონებო, სახელმწიფო სათათბიროს წევრებო! ჩვენ ვცხოვრობთ რევოლუციის დროს, რომელიც, ჩემი ღრმა

რწმენით, ჯერ კიდევ სრულიადაც არ დამთავრებულა» (364). ბ-ნ ბალაკლეევს ეშინია 9/XI კანონის «რევოლუციური წარმოშობისა», ეშინია, ვაი თუ ამ კანონმა ახალი ბრძოლა გააღვივოსო. «ჩვენ მძიმე კრიზისს განვიცდით, — ამბობდა ის, — და რით გათავდება იგი, არ ვიცით. ფანტაზია უაღრესად შავბნელ სურათებს გვიხატავს, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ხელი არ შევუწყოთ ხალხის შფოთსა და განხეთქილებასაო».

მეორე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოება ეხება მემარჯვენეთა ეკონომიურ და სპეციალურად აგრარულ პროგრამას. ეს არის მათ მიერ გლეხთათვის მიწის კერძო საკუთრების დაცვა, რაც მკაფიოდ მოჩანს ყველა მათს სიტყვაში, თვით ობერ-ხუცეს მიტროფანუშკას (მიტროფანე ეპისკოპოსის) სიტყვაში. მან ილაპარაკა მაშინვე მომხსენებლის შემდეგ; ის, ეტყობა, მოწადინებული იყო დაეფრთხო დემოკრატიული, მაგრამ დაბეჩავებული სოფლელი «ხუცები», სასაცილო მონდომებით ცდილობდა დაეძლია მისთვის ჩვეულებად ქცეული ღვთისგლახაობა და სემინარიული ენა («თემი არის დასაბამითი მოვლენა») და «წარმოთქვამდა» ასეთ ფრაზებს: «ცხოვრება ვითარდება პიროვნების სულ უფრო და უფრო მეტი ინდივიდუალობის მიმართულებით»; «სასარგებლოდ უნდა აღვიაროთ ჩვენი გლეხების ახალი ყოფაცხოვრების მოწყობა დასავლეთ ევროპის ფერმერთა მაგალითისამებრ» (69).

კითხვა იბადება, რატომ იცავენ ასე ენერგიულად მემამულეთა კლასი და კაპიტალისტთა კლასი როგორც I, ისე II სათათბიროში მიწის გ ლ ე ხ თ ა კერძო საკუთრებას? მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთია «მთავრობის უკანასკნელი განკარგულება»? რა თქმა უნდა, არა! ეს განკარგულება ნაკარნახევი და ჩაგონებულია გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს მიერ [98]. მემამულეები და კაპიტალისტები ჩინებულად იცნობენ იმ მტერს, რომელთანაც მათ უხდებათ ბრძოლა, ჩინებულად გრძნობენ, რომ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ მემამულეთა ინტერესების გამარჯვება დ ა უ კ ა ვ შ ი რ ა საერთოდ მიწის

კერძო საკუთრების გამარჯვებას, გლეხთა ინტერესების გამარჯვება — საერთოდ მიწის, როგორც მემამულეთა, ისე გლეხთა მიწის, კერძო საკუთრების მოსპობას. სანადელო მიწების კერძო საკუთრების შეთავსება ჩამორთმეული მემამულური მიწების საზოგადოებრივ საკუთრებასთან კადეტებისა და მენშევიკების უხეირო გამოგონებაა. ნამდვილად ბრძოლა წარმოებს იმის გამო, მემამულეები იქნებიან ახალი რუსეთის მშენებელნი (ეს სხვანაირად შეუძლებელია, თუ არა ყოველგვარი მიწის კერძო საკუთრების საფუძველზე), თუ გლეხთა მასები (ეს შეუძლებელია ნახევრადბატონყმურ ქვეყანაში, შეუძლებელია ისე, თუ არ მოისპო როგორც მემამულური, ისე სანადელო მიწების კერძო საკუთრება).

გადავდივართ კადეტებზე. მათი სიტყვები როგორც მემარჯვენეთა, ისე მემარცხენეთა სიტყვებისაგან განირჩევა მისწრაფებით — შეარიგონ შეურიგებელი, დასხდნენ ორ სკამს შუა. ბ-ნ მილიუკოვის სიტყვის მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც იგი გამოვიდა, როგორც ისტორიკოსი, და არა როგორც კადეტი, გვაქვს საუცხოოდ შერჩეული მონაცემები გაერთიანებულ თავადაზნაურთა საბჭოს ისტორიიდან, — მონაცემები, რომელთა შეჯამება პატივსა სდებს ყოველ დემოკრატს. საერთოდ და მთლიანად კი შინგარევი, ბერეზოვსკი, მილიუკოვი, ბობიანსკი და როდიჩევი წამოეგნენ შავრაზმელ ბ-ნ შიდლოვსკის ანკესზე და წრეგადასული გულმოდგინებით ანაგვიანებდნენ მსმენელთა ტვინს იურიდიული კაზუისტიკით, ფრაზიორობდნენ «სამართლიანობაზე» რომაული სამართლის მიხედვით («მეტი განდიდებისათვის» როდიჩევმა ლათინური სიტყვაც კი ჩაურთო: **aequitas**! ზოგი რამ გვისწავლია «ჩვენ» უნივერსიტეტშიო!), თავს იმცირებდნენ საზიზღარი მლიქვნელობით (ბ-ნი შინგარევი ფიცულობდა თავის «პატივისცემას» სტოლიპინის ლაქიის ლიკოშინისადმი და ამტკიცებდა, რომ იძულებითი განსხვისება ხდება ხოლმე ისეთ ქვეყნებში, სადაც «კერძო საკუთრების ინსტიტუტს ძალიან წმინდად იცავენ»). კადეტთა ყველა სიტყვაში წითელ

ძაფად გავლებულია დავა 9 ნოემბრის კანონის წინააღმდეგ «სიფრთხილის» თვალსაზრისით. ჩვენ, ბოლშევიკებს, ბრალად გვდებდნენ, რომ სახელს ვუტეხთ კადეტებს, როდესაც მათ ლიბერალურ მემამულეებს ვუწოდებთ. ისინი სინამდვილეში უარესნი არიან. ისინი ლიბერალური ჩინოვნიკები არიან. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მასების დემოკრატიული შეგნების იმაზე მეტად გარყვნა, ვიდრე არის ეგრეთწოდებული «დემოკრატების» პარტიის ეს გამოსვლა სახელმწიფო სათათბიროში ბრძოლის დამაჩლუნგებელი სიტყვებით, ჩინოვნიკური «სიფრთხილის» ქადაგებით, მებატონეთა მიერ გლეხების იმ გაძარცვისა და დამონების საზიზღარი შექებით, რომელსაც 1861 წლის «დიადი რეფორმა» ეწოდება!

სტოლიპინზე თავდასხმა მისი «გაუფრთხილებელი» აგრარული პოლიტიკისათვის ნიშნავს პროსტიტუირებას, თავისი თავის შეთავაზებას სწორედ ამ პოლიტიკის ისეთ ამსრულებელთა თანამდებობაზე, რომელნიც შესძლებდნენ «ფრთხილად» შეესრულებინათ იგივე საქმე, ე. ი. გაეტარებინათ იგივე მემამულური არსი «კონსტიტუციური დემოკრატიზმის» ყალბი დროშით, გაეტარებინათ არა მარტო ძალადობის გზით, არამედ გლეხთა მოტყუების გზითაც. აი კადეტების ერთ-ერთი განცხადება იმ მრავალ განცხადებათაგან, რომლებიც თვალწინ გადაგვიშლიან მათი სიტყვების სწორედ ახლა აღნიშნულ აზრს. ბ-მა ბერეზოვსკიმ, რომლის სიტყვა განსაკუთრებით მოიწონა და რომელსაც «საუცხოო» უწოდა კადეტთა პარტიის ლიდერმა, ბ-მა მილიუკოვმა, თქვა შემდეგი:

«ჩემი ღრმა რწმენით, ეს პროექტი» (კადეტების საადგილმამულო პროექტი) «გაცილებით უფრო ხელსაყრელია მიწიხ მფლობელობისთვისაც» (არა მარტო გლეხებისათვის) «და ამას მე ვამბობ, ბატონებო, რადგან ვიცნობ მიწათმოქმედებას, თვითონ მივდევ მას მთელ ჩემს სიცოცხლეში და ვფლობ მიწას. კულტურული სამიწათმოქმედო მეურნეობისათვის საბალხო თავისუფლების პარტიის პროექტი, უეჭველია, უფრო ხასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ახლანდელი წესები. კი არ

უნდა ამოვგლიჯოთ იძულებითი განსხვისების შიშველი ფაქ-ტი, კი არ უნდა აღვშფოთდეთ მით და კი არ უნდა ვილაპა-რაკოთ, ეს ძალადობა არისო, არამედ უნდა შევხედოთ და შევაფასოთ, თუ რა გამოდის იქიდან, რასაც ჩვენი პროექტი გთავაზობთ, და როგორ ტარდება ეს იძულებითი განსხვისება» (ოქრო სიტყვებია! ბ-ნო ბერეზოვსკი, ბოლშევიკი ხომ არ გამ-ხდარხართ?). «აიღეთ I სახელმწიფო სათათბიროს 42 წევრის პროექტი — იგი შეიცავდა მხოლოდ» (სწორედ!) «იმის აღია-რებას, რომ საჭიროა პირველ რიგში განსხვისებულ იქნას ის მიწები, რომელთა ექსპლოატაციასაც თვითონ მფლობელნი არ ეწევიან. შემდეგ, სახალხო თავისუფლების პარტია მხარს უჭერდა ადგილებზე კომისიების შექმნას, რომლებსაც გან-საზღვრულ დროს უნდა გამოერკვიათ, თუ რა მიწებია გან-სასხვისებელი, რა მიწები არ არის განსასხვისებელი და რამ-დენი მიწაა საჭირო გლეხების დასაკმაყოფილებლად. ეს კომი-სიები ისე უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომ მათ წევრთა ნახევარი გლეხები იქნებოდნენ და ნახევარი — არა გლეხები» (ბოლომდე თქვით, ბ-ნო ბერეზოვსკი! ნუ გრცხვენიათ! სი-მართლის დამალვა ხომ არ შეიძლება: მემამულური მთავ-რობის მიერ კომისიების თავმჯდომარედ «ნეიტრალური» პი-რის სავალდებულო დანიშვნის მეოხებით მემამულეებს კომი-სიებში ყოველთვის ეყოლებოდათ უზრუნველყოფილი უმ-რავლესობა გლეხებთან შედარებით: იხ. კუტლერის პროექტი კადეტების «აგრარული საკითხის» II ტომში). «ამის გამო, ამ საერთო კონკრეტული მუშაობით ადგილებზე, რა თქმა უნდა, გამოირკვევოდა განსასხვისებლად შესაძლებელი მიწის რაოდენობაც და გლეხებისათვის საჭირო მიწის რაოდენო-ბაც, და, ბოლოს, თვითონ გლეხები დარწმუნდებოდ-ნენ, თუ რამდენად არის შესაძლებელი მათი სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მერე ყოველივე ეს გაივლიდა სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს» (სწო-რედ!) «და მათი გადამუშავების შემდეგ» (ე. ი. ახალი მემა-

მულურ-ჩინოვნიკური უმრავლესობის მიერ «რეფორმის» განმეორებით შეკვეცის შემდეგ!) «მივიდოდა უზენაეს სანქციამდე» (გაიხსენეთ ნადელის ოდენობის თანამიმდევრად შევცირება ამგვარივე უმაღლესი ინსტანციების მიერ 1861 წელს). «ამ გეგმაზომიერი მუშაობის შედეგი, უეჭველია, იქნებოდა მოსახლეობის ნამდვილ საჭიროებათა ჭეშმარიტი დაკმაყოფილება და ამასთან დაკავშირებული დამშვიდება და კულტურულ მეურნეობათა შენარჩუნება, რომელთა დანგრევა სახალხო თავისუფლების პარტიას არასოდეს არ სურდა, თუ უკიდურესი აუცილებლობა არ იქნებოდა» (143).

ბ-მა ბერეზოვსკიმ 1908 წლის ოქტომბერში აღიარა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, რასაც ბოლშევიკები ამბობდნენ 1906 წლის ზაფხულს კადეტების საადგილმამულო პროექტის შესახებ! I სათათბიროში კადეტები საჯაროდ წინ აყენებდნენ თავისი რეფორმის დემოკრატიულ გარეგნობას, ხოლო ტრეპოვთან და მის დამქაშებთან გამართულ ფარულ თათბირებზე ამტკიცებდნენ მის მემამულურ ხასიათს. III სათათბიროში კადეტები საჯაროდ წინ აყენებენ თავისი რეფორმის მემამულურ ხასიათს, ხოლო პოლიციისაგან ფარულ საუბრებში იმ თითოოროლა ჩერჩეტებთან, რომლებსაც კიდევ შეუძლიათ ბებიას ზღაპრების მოსმენა, ამტკიცებდნენ მის დემოკრატიზმს. ორპიროვანი იანუსი ქარის ქროლაზე აბრუნებს თავის «სახეს» ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე. «დემოკრატები» ისე დაბლა ეცემიან, რომ შავრაზმელი ზუბრების წინაშე ცდილობენ დაამტკიცონ თავისი მოქმედებისა და პროგრამების უწყინარობა რევოლუციის დროს!

შეადარეთ ამას გლეხთა სიტყვები. აი ტიპიური მემარჯვენე გლეხი სტორჩაკი. ის თავის სიტყვას იმით იწყებს, რომ მთლიანად მოჰყავს ნიკოლოზ II ნათქვამი «საკუთრების წმიდათაწმიდა უფლებებზე», მათი «დარღვევის» შეუწყნარებლობაზე და ა. შ.. ის განაგრძობს: «ღმერთმა აცოცხლოს ხელმწიფე. მან კარგად თქვა მთელი ხალხისათვის»... (295). ის ამთავრებს: «ხოლო თუ ხელმწიფემ თქვა, სიმართლე და

წესრიგი იყოსო, მაშინ, რასაკვირველია, თუ მე მაქვს 3 დესეტინა მიწა, მეზობლად კი აქვთ 30 000 დესეტინა, ეს არ არის წესრიგი და სიმართლე» (296)!! შეადარეთ ეს მონარქისტი მონარქისტ ბერეზოვსკის. პირველი — გონებაბნელი გლეხია. მეორე — თითქმის განათლებული ევროპელია. პირველი წმიდანივით გულუბრყვილოა, პოლიტიკურად კი წარმოუდგენლად განუვითარებელია. მონარქიის კავშირი «წესრიგთან», ე. ი. უწესრიგობასა და უსამართლობასთან, რომლებიც იცავენ 30 000 დესეტინის მფლობელებს, მისთვის ცხადი არ არის. მეორე იცნობს პოლიტიკას, იცნობს ვიტესთან, ტრეპოვთან, სტოლიპინთან და კომპანიასთან დამაკავშირებელ ყველა ხვრელს, სწავლობდა ევროპული კონსტიტუციების ყოველ დახვეწილ წვრილმანს. პირველი არის ერთი იმ მილიონთაგანი, რომელსაც მთელ სიცოცხლეში 3 დესეტინაზე ჯახირობენ და რომლებსაც ეკონომიური სინამდვილე ა ი ძ უ ლ ე ბ ს მასობრივ რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდნენ 30 000-დესეტინიანთა წინააღმდეგ. მეორე არის ერთ-ერთი შემამულე ათეული ათასი, სულ ბევრი — ასეული ათასი მემამულიდან, რომელსაც სურს თავი მოუქონოს გლეხს და ამ გზით «მშვიდობიანად» შეინარჩუნოს თავისი «კულტურული მეურნეობა». განა ცხადი არ არის, რომ პირველს შ ე უ ძ ლ ი ა მოახდინოს ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში, მ ო ს პ ო ს მემამულური მიწათმფლობელობა, შექმნას გლეხთა რესპუბ. ლიკა (თუნდაც ძალიან აშინებდეს ახლა მას ეს სიტყვა)? განა ცხადი არ არის, რომ მეორეს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ა რ შეაფერხოს მასების ბრძოლა, ურიმლისოდაც რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია?

დაე ჩაუფიქრდნენ ამას ადამიანები, რომლებსაც დღევანდლამდე ვერასგზით ვერ გაუგიათ, თუ რას ნიშნავს ეს — «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა»!

სტორჩაკის აგრარული პროგრამა III სათათბიროს 42 გლეხი დეპუტატის სწორედ ის საადგილმამულო კანონპრო-

ექტია, რომლის შესახებაც ჩვენ ვწერდით «პროლეტარის» 22-ე ნომერში*. ეს პროექტი, გარეგნულად ძალიან უწყინარი, კადეტურ პროექტზე უფრო მემარცხენეა, როგორც ამას თვითონ კადეტებიც აღიარებენ. რაკი ეს პროექტი მოითხოვს, რომ საყოველთაო კენჭისყრით არჩეულმა ადგილობრივმა კომისიებმა განიხილონ რეფორმა, რომლითაც გლეხებს მიწა უნდა მიეცეთ, ამიტომ სინამდვილეში იგი რევოლუციური პროექტია, რადგან ნამდვილი დემოკრატიული არჩევითი დაწესებულებების მიერ საადგილ-მამულო რეფორმის ადგილობრივ განხილვა აბსოლუტურად შეუთავსებელია მეფის ძალაუფლებისა და მემამულეთა მიწათმფლობელობის შენარჩუნებასთან თანამედროვე რუსეთში. ის გარემოება, რომ შავრაზმულ სათათბიროში, რომელიც არჩეულია გაერთიანებული თავადაზნაურობის მითითებით მემამულეთა სასარგებლოდ სპეციალურად გაყალბებული საარჩევნო კანონის საფუძველზე, უაღრესად გააფთრებული რეაქციისა და აღვირახსნილი თეთრი ტერორის ბატონობის დროს, — რომ ასეთ სათათბიროში 42 გლეხმა ხელი მოაწერა ამგვარ პროექტს, ეს ყოველგვარ მსჯელობაზე უკეთ ამტკიცებს გლეხთა მასის რევოლუციურობას თანამედროვე რუსეთში. დაე ოპორტუნისტებმა ამტკიცონ, რომ აუცილებელია კავშირი კადეტებთან, რომ აუცილებელია პროლეტარიატის დაახლოება ბურჟუაზიასთან ბურჟუაზიულ რევოლუციაშიო, — შეგნებული მუშები, როცა III სათათბიროში გამართულ კამათს გაეცნობიან, მხოლოდ განიმტკიცებენ თავის რწმენას, რომ შეუძლებელია ბურჟუაზიული ძლევამოსილი რევოლუცია რუსეთში, თუ არ იქნება მუშათა და გლეხთა მასების საერთო შეტევა, მიუხედავად ბურჟუაზიის მერყეობისა და ღალატისა.

თუ სტორჩაკი, აგრეთვე მთავარსა და ძირითად საკითხებში ამავე პოზიციაზე მდგომი დეპუტატები — მღვდელი ტი-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 577. რედ.

ტოვი, ანდრეიჩუკი, პოპოვი მე-4 და ნიკიტიუკი შეუგნებლად, სტიქიურად გამოხატავენ გლეხთა მასის რევოლუციურობას ისე, რომ მათ თვითონ ეშინიათ არათუ ბოლომდე თქვან, არამედ ბოლომდე მოისაზრონ ის, რაც მათი სიტყვებიდან და წინადადებებიდან გამომდინარეობს, სამაგიეროდ ტრუდოვიკები III სათათბიროში პირდაპირ და აშკარად გამოხატავენ გლეხთა მასობრივი ბრძოლის სულისკვეთებას. ამასთან ყველაზე საგულისხმოა სიტყვები გლეხი-ტრუდოვიკებისა, რომლებიც უშუალოდ გადმოგვცემენ თავის შეხედულებებს, გასაოცრად ზუსტად და ცოცხლად ნათელყოფენ მასების განწყობილებასა და მისწრაფებას; და თუმცა პროგრამებში იბნევიან (ზოგიერთნი აცხადებენ, რომ თანაუგრძნობენ 42 გლეხის პროექტს, ზოგნი — კადეტებს), მაგრამ მით უფრო ძლიერად გამოხატავენ იმას, რაც ყოველგვარ პროგრამაზე უფრო ღრმად არის ჩამარხული.

აი კროპოტოვი, დეპუტატი ვიატსკის გუბერნიიდან. «ჩემი ამომრჩეველნი მეუბნებოდნენ, 9 ნოემბრის კანონი მემამულური კანონიაო... ჩემი ამომრჩეველნი ასეთ კითხვებს იძლეოდნენ: რატომ ხდება ეს ძალდატანებით?.. რატომ არის, რომ ჩვენი მიწები გადაცემულია ერობის უფროსთა განკარგულებაში?.. მავალებდნენ ამომრჩეველნი: თქვი სახელმწიფო სათათბიროში, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება... და იწყებენ თუ არა მის (9/XI კანონის) გატარებას ჩვენს მხარეში, მაშინვე ახალი მემამულეების, როგორც ჩვენი გლეხები ამბობენ, სახლები იწვის, (71)... «მთელი საქმე ის არის, რომ მემამულეებს აუნაზღაურონ... რატომ მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესი, რომ ღარიბს წაართვან უკანასკნელი ნაკვეთი და მისცენ იმათ, ვინც, როგორც ვთქვი, მთავრობის მიერ დაწერილი კანონით შესძლეს შემთხვევით შეენარჩუნებინათ მიწა? ხომ არ მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესი იძულებული გავხადოთ, რომ დამუშავებულ იქნას უქმად მდებარე მიწები: მემამულური, სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო?.. გლეხს 11 მან. 50 კაპ. ახდევინებენ დესეტინაზე, და

თუ, ბატონებო, სამართლიანობას გამოვიჩენთ და ამ გადასახადით დავბეგრავთ თანაბრად ყველას, მიწა მართლაც აღმოჩნდება გლეხთა ხელში და საჭირო არ იქნება იძულებითი განსხვისება. სამართლიანობა მოითხოვს, რომ დავბეგროთ მიწა ერთადერთი გადასახადით, და მაშინ იგი მშრომელი მასების ხელში აღმოჩნდება, და მაშინ არ იქნება სახარბიელო: ვისაც არ სურს იმუშაოს, ის არც გადაიხდის» (73)...

კიდევ რამდენია ბრძოლაში გამოუცდელი ძალა, რაოდენ დიდია ბრძოლისაკენ მისწრაფება ამ გულუბრყვილო სიტყვაში! «იძულებითი განსხვისების» ასაცილებლად კროპოტოვი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ აყენებს ისეთ ლონისძიებას, რომელიც უდრის მემამულეთა მიწების კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა ს და მ თ ე ლ ი მიწის ნაციონალიზაციას! ჯორჯის[99] მოძღვრების ამ მომხრის «ერთადერთი გადასახადი» რომ მთელი მიწის ნაციონალიზაციას უდრის, ეს კროპოტოვს არ ესმის, მაგრამ ის რომ მ ი ლ ი ო ნ ე ბ ი ს ნამდვილ მისწრაფებას გადმოგვცემს, — ამაში ოდნავი ეჭვის შეტანაც არ შეიძლება.

აი დეპუტატი როეკოვი, რომელიც იწყებს განცხადებით: «მიმძიმს მე, სოფლელ გლეხს, ბატონებო, ამ ტრიბუნიდან ლაპარაკი» (77)... «გლეხობა სახელმწიფო საათათბიროსაგან მოელოდა არა 9/XI კანონს, არა იმ კანონს, რომელიც ჩვენს შორის ჰყოფს მიწას, რომელიც ჩვენ არა გვაქვს, არამედ კანონს, რომლის საფუძველზე ჯერ გადიდდებოდა სახნავ-სათესი ფართობი და მხოლოდ შემდეგ დაიწყებდნენ გაყოფას. ასეთი კანონის ძირითადი დებულებანი მოცემულია 20 თებერვალს 47 გლეხის ხელმოწერით, მაგრამ დღევანდლამდე მათთვის არავითარი მსვლელობა არ მიუცია... მიწის ბატონ-პატრონები არიან ერობის უფროსები... ხოლო ამ მიწის ნამდვილი პატრონები გაძლიერებული დაცვით არიან შებოჭილნი... მიწის ექსპლოატაციის მიზნით, მიწის ყიდვის გარკვეული კანონი ჩვენს სახელმწიფოში არ არის... არ არის კანონი, რომელიც იტყოდა: შენ მიწა არ იყიდო საექსპლოატაციოდაო... და აი 1907 წლის 16 სექტემბერს სტავროპო-

ლის მიწათმომწყობმა კომისიამ დაადგინა, რომ მიწის ყიდვა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც მუშა პირუტყვი და ინვენტარი მოეპოვება. და აი, ბატონებო, აქ, ამ შენობაში, თითქმის ნახევარს მემამულენი შეადგენენ; მათ ხელში ჩაჭერილი ჰყავთ ეს ადამიანები, რომლებსაც მიწათმომწყობი კომისია უარს ეუბნება მიწის ყიდვის უფლებაზე. ბატონებო, ჩვენ ვიცით, რომ ეს ადამიანები მსახურობენ 60—70 მანეთად წელიწადში... ამ საცოდავი მუშაკის ხვედრია მუდამ მემამულის მუშად ყოფნა, იგი მუდამ ჭაპან-წყვეტაში უნდა იყოს სხვებისათვის, ხოლო ბატონ-პატრონი მის ზურგს უკან კულტურულ კაცად მიიჩნევს თავს».

ტომილოვი: «ერთადერთი გამოსავალი... ჩემის აზრით, ასეთია: საჭიროა ახლავე რუსეთის ყველა თემში, ყოფილი რევიზიების მსგავსად, მოხდეს მიწების გადაყოფა; ამ რევიზიებმა უნდა გამოარკვიონ მამრობითი მოსახლეობის პირთა რაოდენობა 1905 წლის 3 ნოემბრის მდგომარეობის მიხედვით.

ჩვენი გლეხის სანუკვარი ოცნებაა მიწისა და თავისუფლების მოპოვება, მაგრამ ჩვენ გაგონილი გვაქვს, რომ ვიდრე ახლანდელი მთავრობა არის ხელისუფლების სათავეში, მანამდე მიწის საკუთრება ხელუხლებელია. (ხმები ცენტრში: «კერძო»). კერძო, თავადაზნაურული. (ხმები ცენტრში: «და თქვენიც»). თუ ეს ჩვენ შეგვეხება, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ ნადელები»; (აი ის გლეხური ვ ა ნ დ ე ა, რომლითაც გვაშინებდა სტოკჰოლმში ბრძენთაბრძენი პლეხანოვი და კომპანია, თუ მთელი მიწის ნაციონალიზაცია მოხდებაო!), «ვთქვათ, ერთი სოფლის გლეხები თანახმანი არიან გასცენ თავისი ნადელები ერთეული ერთეულზე, გათანასწორდნენ. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება იმაში მდგომარეობს, რომ ვიდრე ძალაუფლება გლეხობისა და საერთოდ ხალხის ხელში არ გადავა, გლეხები ვერც მიწას იხილავენ და ვერც პოლიტიკურ თავისუფლებებს. გმადლობთ გულახდილობისათვის, თუმცა ჩვენ ეს უკვე ვიცოდით» (149)...

და აი, 1905 წელს, როდესაც შეგნებული ელემენტების ხელმძღვანელობით გლეხები გაერთიანდნენ (ხმაურობა და სიცილი მარჯვნივ) და თქვეს მრისხანე სიტყვა... მაშინ თავადაზნაურებმა იწყეს ლაპარაკი: «თქვენ ხომ გაქვთ, თქვენ ნადელები გაქვთ მოცემული. და ეს ძვალი გაიყავითო»...

პეტროვი მე-3: «გაიხსენეთ, ბატონებო, ალექსი მიხეილის-ძის მეფობის დრო და გლეხი ხალხის ის აღშფოთება, რომელიც გამოიხატა მოძრაობაში რაზინის წინამძღოლობით (ხმები მარჯვნივ: «ოჰ!»)... თავისი მოთხოვნები ხალხმა განსაკუთრებით ძლიერ გამოხატა 1905 წელს. მაშინაც ხომ სწორედ ასევე გაჭირვებამ აიძულა ხალხი ქუჩაში გამოსულიყო და ეთქვა თავისი მძლავრი სიტყვა იმის შესახებ, რაც მას ესაჭიროებოდა» (187)... «მთელი მიწა უნდა გადავიდეს მთელი ხალხის თანაბარ სარგებლობაში... მე, რა თქმა უნდა, მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგი ვარ» (პლეხანოვის მიერ ნაწინასწარმეტყველევი ვანდეა აშკარად ფართოვდება!) «და ვამბობ, რომ მშრომელი ხალხი მხოლოდ მაშინ ჰპოვებს შვებას, როდესაც მთელი მიწა გადავა მის ხელში (204)... მე სავსებით დარწმუნებული ვარ, თქვენ კვლავ დაინახავთ აღელვებული ცხოვრების ზღვის სიღრმეებს. და მაშინ ახდება სახარების სიტყვები: ვინც მახვილი აღმართა, მახვილითვე განიგმიროს (სიცილი მარჯვნივ). შრომის ჯგუფის ფრაქციას თავისი იდეალები არ შეუცვლია, ისევე როგორც არ შეუცვლია თავისი მისწრაფებანი... ჩვენ... ვამბობთ... მთელი მიწა იმათ, ვინც მასზე შრომობს, და მთელი ძალაუფლება შეეძინოს მშრომელ მოსახლეობასს!» (206).

მერზლიაკოვი: «მიწა უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც მას ამუშავებს... ოღონდ ამიერიდან არ იყოს რუსეთში მიწის სავაჭრო დუქანი, არამედ მიწა ეკუთვნოდეს იმას, ვინც პირადი შრომით ამუშავებს მას» (207) და ა. შ.

ადგილის ნაკლებობა გვაიძულებს შევწყვიტოთ ციტატების მოყვანა. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ორატორების სახელებს, რომლებიც ნაკლებ ნათლად და ნაკლები ძალით

გამოთქვამდნენ ამავე აზრებს; ესენი იყვნენ: კონდრატიევი, მღვდელი პოპოვი მე-2, ბულატი, ვოლკოვი მე-2, ძიუბინსკი, ლიახნიცკი (ორი უკანასკნელი — ოფიციალური განცხადებით შრომის ჯგუფის სახელით).

კითხვა იბადება, რა დასკვნები გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატების აგრარული პროგრამის მიმართ გლეხი დეპუტატების ამ პოზიციიდან? გლეხები რომ ბატონყმური ლატიფუნდიებისა და ბატონყმობის მთელი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის უტოპიებით მოსავენ, ამაში ყველა თანახმაა. ეს გამოხატულია ჩვენი აგრარული პროგრამის იმ უკანასკნელ ნაწილში, რომელიც ბოლშევიკებმა წარმოადგინეს და მენშევიკებმა მიიღეს სტოკჰოლმში («სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები»).

მაგრამ საკითხი ამით არ ამოიწურება. გაყოფაც, მუნიციპალიზაციაც და ნაციონალიზაციაც არის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნა, მაგრამ რა სისტემას უნდა დაუჭირონ მხარი სოციალ-დემოკრატებმა? მუნიციპალიზაციას, — უპასუხებენ მენშევიკები პლეხანოვის მეთაურობით, რომლებმაც გაატარეს ეს პროგრამა სტოკჰოლმში. გლეხთა მიწების ნაციონალიზაცია ვანდეას გამოიწვევდაო, — პირდაპირ განაცხადეს მენშევიკებმა სტოკჰოლმში.

მას შემდეგ სამს სათათბიროში თავისი აზრი გამოთქვეს გლეხებმა — რუსეთის სულ სხვადასხვა ადგილის დეპუტატებმა. გლეხი დეპუტატების არც ერთი ჯგუფი არ მოუხიბლავს «მუნიციპალიზაციას», რომელიც გამოგონილია სწორედ იმისათვის, რომ «ხელი არ ახლონ» გლეხთა მიწებს. ყ ვ ე ლ ა ტრუდოვიკმა გლეხმა სამივე სათათბიროში მხარი დაუჭირა მთელი მიწის ნაციონალიზაციას; ამ მოთხოვნას ისინი გამოთქვამდნენ ხან ტრუდოვიკების პროგრამის პირდაპირი განმეორებით, ხან «ერთადერთი გადასახადის» თავისებური გადაკეთებით, ხან ურიცხვი განცხადებით: «მიწა იმას, ვინც მას ამუშავებს», «ჩვენ თანახმანი ვართ გავცეთ ნადელები» და ა. შ.

ცხოვრებამ დასცინა «მუნიციპალიზაციას», ყვირილს «ვანდეის» შესახებ.

როგორია ყველა შეგნებული გლეხის მიერ ნაციონალიზაციის დაცვის ეკონომიური საფუძველი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავიხსენოთ ერთი სტატისტიკური შედარება, რომელიც მოიყვანა სათათბიროში ამხ. ბელოუსოვმა [100]:

«76 მილიონი დესეტინა ეკუთვნის 30 000 მემამულეს (ევროპულ რუსეთში), ხოლო 73 მილიონი დესეტინა ეკუთვნის 10 მილიონ გლეხურ კომლს, რომელთაც აქვთ 1-დან 15 დესეტინამდე ნადელი თვითეულს... დასკვნა ერთია: კომლთა საერთო რიცხვის ოთხ მეხუთედს შეეძლო გაეორკეცებინა თავისი ადგილმამულის ოდენობა» (209). დაე სადავოდ მიიჩნიონ რომელიმე ეს ციფრი (ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ციფრები უდავოა), მაგრამ მათი ვერავითარი შეცვლა ვერ შესცვლის საქმის არსს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს. გლეხებს, როდესაც ისინი ისწრაფვიან გაიორკეცონ თავისი მიწათმფლობელობა, არ შეუძლიათ არ ისწრაფოდნენ, რომ სავსებით შეერთდეს და ერთმანეთს შეერიოს სანადელო და არასანადელო მიწები. სანადელო მიწების დატოვება კერძო საკუთრებად, კომლებისა და თემების ახლანდელ საკუთრებად, და ექსპროპრიირებული არასანადელო მიწების საზოგადოებრივი («მუნიციპალური») საკუთრება სამეურნეო აბსურდია. ეს არის ყოვლად უაზრო აგრარული ბიმეტალიზმი, რომელიც გამოდგება მხოლოდ იმისთვის, რომ შეავსოს ადგილი ინტელიგენტების მიერ გამოგონილ პროგრამებში. მეურნეობა მოითხოვს ყველა მიწის შეერთებასა და შერევას. მეურნეობა ახლა უკვე აერთებს სანადელო მიწის ნაკვეთებს მემამულური მიწის ნაკვეთებთან (იჯარა), და ბატონყმობის დანგრევა შეუძლებელია ისე, თუ არ მოისპობა მიწათმფლობელობის ის განსხვავება, ის საზღვრები და მიჯნები, რომლებსაც ხელოვნურად განამტკიცებს «მუნიციპალიზაცია». მეურნეობა მოითხოვს ახალ მიწათმფლობელობას, თავისუფალ მიწათმფლობელობას შეგუებულს კაპიტა-

ლიზმთან, და არა ძველ «ნადელებთან», რომლებიც განაწილებული და გამიჯნულია ბურმისტრებისა და ხაზინის აგენტების მიერ. ეკონომიური განვითარების სწორედ ამ მოთხოვნას გამოხატავენ (ამ განვითარების კაპიტალისტური ხასიათის შეუგნებლად) გლეხები, როცა მხარს უჭერენ ნაციონალიზაციას. სანადელო და არასანადელო მიწათმფლობელობის ძველი განსხვავება ეწინააღმდეგება კაპიტალიზმის მოთხოვნებს და იგი გარდუვალად იქნება დამსხვრეული, რაც უნდა ეცადონ მენშევიკ-მუნიციპალიზატორები მის განმტკიცებას. ამ მიჯნის დამსხვრევა კი, ყველა თანრიგის მიწების შეერთება, შერევა, შერწყმა ფერმერთა ახალი მეურნეობისათვის (გლეხები შეცდომით ფიქრობენ, რომ მიწას ყოველი მოქალაქე დაამუშავებს: მას დაამუშავებს ყოველი მეურნე, ე. ი. ის, ვისაც საამისო სახსრები აქვს!) მოითხოვს მიწის არა მარტო მემამულური, არამედ აგრეთვე მთელი კერძო საკუთრების მოსპობას.

სტოლიპინს სურს მოსპოს მიწათმფლობელობის ყველა წინანდელი სახის ყველა წინანდელი ზღვარი. ეს მისწრაფება ეკონომიურად სწორია. კაპიტალიზმი ამას გარდუვალად განახორციელებს. საკითხი მხოლოდ ის არის, მოხდება ეს მილიონობით გლეხური კომლის ხარჯზე (გაძარცვა 9 ნოემბრის კანონით), თუ 30 000 უდიდესი მემამულის ხარჯზე. უკანასკნელი გზა შეუძლებელია, თუ არ გატარდა მიწის ნაციონალიზაცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. აი რატომ არის, რომ სამივე სათათბიროში ყველა შეგნებულმა გლეხმა მხარი დაუჭირა ნაციონალიზაციას.

ჩვენ დაგვრჩენია განვიხილოთ სოციალ-დემოკრატების სიტყვები III სათათბიროში. ჩვენი ფრაქციის მხოლოდ ორმა ორატორმა (გეგეჭკორმა და ბელოუსოვმა) მოასწრო ლაპარაკი ორატორების დროის შეზღუდვამდე. დანარჩენებმა უარი თქვეს და პროტესტი განაცხადეს იმ «ძალადობის» წინააღმდეგ, რაც ამ შეზღუდვით გამოიხატა. ორივე ხსენებულმა ამხანაგმა მართებულად შეასრულა თავისი საქმე. მათ აღნიშ-

ნეს მთავრობის პოლიტიკის «თავადაზნაურულ-ბიუროკრატიული ხასიათი», ის, რომ «1861 წლის დებულება მთლად ბატონყმური იყო», რომ «მთავრობისადმი სიძულვილმა» ღრმად მოიცვა გლეხობა, რომელიც მოითხოვს «მიწასა და თავისუფლებას» და რომელმაც დაამტკიცა 1905 წელს თავისი «სოლიდარობა» და «რევოლუციური გამოსვლის» უნარი. ჩვენი, სოციალ-დემოკრატების, ბრძოლა «ლატიფუნდიების კონფისკაციისა და ხალხის ხელში მათი გადაცემისათვის» ჩვენი პარტიის ორატორებმა სწორად განმარტეს არა «გამთანაბრებლობის», «სოციალიზაციისა» და მისთანათა მეშჩანური უტოპიების აზრით, არამედ როგორც კაბალურ-ბატონყმური ჩაგვრისაგან ქვეყნის განთავისუფლების ღონისძიება. გეგეჭკორისა და ბელოუსოვის მიერ საკითხის დაყენები რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიული იყო. «ძალა ჰქმნის უფლებას, — დაამთავრა ამხ. ბელოუსოვმა, — და, უფლება რომ მოვიპოვოთ, უნდა დავაგროვოთ და დავრაზმოთ ძალები». III სათათბიროს სოციალ-დემოკრატი ორატორების ორივე სიტყვა ყოველდღიური მასალა უნდა გახდეს პარტიის ყოველი წევრისათვის, რომელიც საპროპაგანდო და სააგიტაციო მუშაობას ეწევა. ოღონდ გადასვლის ფორმულაში, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წარადგინა, გამოტოვებულია მიწების უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნა. ეს ჩვენი პროგრამის დიდმნიშვნელოვანი დარღვევა იქნებოდა, განზრახ რომ იყოს ჩადენილი. მაგრამ ამხ. გეგეჭკორმა, რომელმაც ფორმულა წაიკითხა, თავის სიტყვაში ორჯერ მოიხსენია «უსასყიდლოდ განსხვისების» აუცილებლობა, ასე რომ არა გვგონია მისი გამოტოვება განზრახული ყოფილიყო.

«პროლეტარი» № 40,
1908 წ. 1 (14) დეკემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ.

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

რსდმპ მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენცია [101]

1908 წ. 21 – 27 დეკემბერი (1909 წ. – 9 იანვარი)

I

პროექტი რეზოლუციისა თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ

თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

a) ძველი ბატონყმური თვითმპყრობელობა ვითარდება და ბურჟუაზიულ მონარქიად იქცევა, რომელიც ცრუკონსტიტუციური ფორმებით ფარავს აბსოლუტიზმს. 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალებითა და III სათათბიროს შექმნით აშკარად დადასტურებული და აღიარებულია ცარიზმის კავშირი შავრაზმელ მემამულეებთან და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ზედაფენებთან. თვითმპყრობელობა აუცილებლობით და საბოლოოდ დაადგა რუსეთის კაპიტალისტური განვითარების გზას, იგი ისწრაფვის დაიცვას სწორედ ისეთი გზა, რომელიც მებატონე-მიწათმფლობელებს შეუნარჩუნებდა მათს ძალაუფლებასა და შემოსავალს, და მანევრებს ეწევა ამ კლასსა და კაპიტალის წარმომადგენლებს შორის. მათს წვრილმან უთანხმოებებს იყენებენ აბსოლუტიზმის გასამაგრებლად; აბსოლუტიზმი ამ კლასებთან ერთად გააფთრებულ კონტრრევოლუციურ ბრძოლას ეწევა სოციალისტურ პროლეტარიატთან და დემოკრატიულ გლეხობასთან, რომლებმაც ცხადყვეს თავისი ძალა ახლახან მომხდარ მასობრივ ბრძოლაში.

b) ასეთივე ბურჟუაზიულ-ბონაპარტისტული ხასიათით განირჩევა თანამედროვე ცარიზმის აგრარული პოლიტიკა. ცარიზმმა ყოველგვარი რწმენა დაკარგა გლეხთა მასის გულუბრყვილო ერთგულებისა მონარქიისადმი. იგი ეძებს კავშირს მდიდარ გლეხებთან და გასაძარცვად უგდებს ხელში სოფელს. თვითმპყრობელობა წელებზე ფეხს იდგამს, რომ რაც შეიძლება მალე დაამსხვრიოს მთელი სათემო-სანადელო მიწათმფლობელობა და განამტკიცოს მხოლოდ და მხოლოდ კერძო საადგილმამულო საკუთრება. ასეთი პოლიტიკა ასკეცად ამწვავებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას სოფლად და აჩქარებს სოფლის დაყოფას რეაქციონერთა სრულიად უმნიშვნელო უმცირესობად და რევოლუციურ პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ მასად.

c) კადეტთა პარტიის მეთაურობით ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც კონტრრევოლუციურ გზას დაადგა უკვე მაშინ, როცა რევოლუციაში მასების პირველი დიდი გამოსვლები მოხდა, კვლავ მიდის ამ გზით, კიდევ უფრო უახლოვდება ოქტიაბრისტებს და თავისი ცარისტულ-ნაციონალისტური აგიტაციით, — რაც გამოხატავს ბურჟუაზიის, როგორც კლასის, თვითშეგნების ზრდას, — ფაქტიურად ემსახურება აბსოლუტიზმსა და მებატონე-მემამულეებს.

d) გლეხთა მასები, როგორც გვიჩვენებს მათი შევიწროებული და დამახინჯებული წარმომადგენლობაც კი III სათათბიროში, — თუმცა სოფლის დემოკრატიულ ელემენტებს ყოველნაირად სდევნიან, კვლავ რჩებიან, მთელი თავისი მერყეობის მიუხედავად, რევოლუციურ-დემოკრატიული აგრარული გადატრიალების მხარეზე, რომელიც სავსებით მოსპობდა მემამულურ მიწათმფლობელობას და ამით უზრუნველყოფდა საწარმოო ძალთა ყველაზე სწრაფ, ფართო და თავისუფალ განვითარებას კაპიტალისტურ რუსეთში. 9 ნოემბრის კანონი მხოლოდ აჩქარებს გლეხთა მასების დაყოფას შეურიგებლად მტრულ და შეგნებულ პოლიტიკურ ძალებად.

e) პროლეტარიატი ყველაზე მეტად განიცდიდა და განიცდის თავდასხმას როგორც თვითმპყრობელობის მხრივ, ისე კაპიტალის მხრივ, რომელიც სწრაფად ერთიანდება და შემოტევას აწარმოებს. მიუხედავად ამისა, პროლეტარიატი, სხვა კლასებთან შედარებით, ინარჩუნებს ყველაზე მეტ დარაზმულობას და ყველაზე მეტ ერთგულებას თავისი კლასობრივი პარტიისადმი, რომელთანაც შეადუღა იგი რევოლუციამ. პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის, აღრმავებს თავის სოციალისტურ კლასობრივ შეგნებას და რჩება ერთადერთ კლასად, რომელსაც უნარი შესწევს თანამიმდევრად უხელმძღვანელოს ახალ რევოლუციურ ბრძოლას.

f) საერთოდ და მთლიანად უეჭველია, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ობიექტური ამოცანები რუსეთში გადაუწყვეტელი რჩება. ეკონომიური კრიზისი, რომელიც კვლავ გრძელდება, უმუშევრობა და შიმშილობა ცხადყოფენ, რომ თვითმპყრობელობის უახლეს პოლიტიკას არ შეუძლია უზრუნველყოს რუსეთის კაპიტალისტური განვითარების პირობები. ეს პოლიტიკა გარდუვალად იწვევს დემოკრატიული მასების კონფლიქტის გაღრმავებას მბრძანებელ კლასებთან, უკმაყოფილების ზრდას მოსახლეობის ახალ ფენებში, სხვადასხვა კლასის პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებასა და გაღრმავებას. ახალი რევოლუციური კრიზისი ასეთი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის დროს გარდუვალად მწიფდება.

g) საერთო გამწვავება მსოფლიო ბაზარზე, რაც უმთავრესად აიხსნება დასავლეთ ევროპის სამრეწველო მდგომარეობის შეცვლით კრიზისის მიმართულებით, რამაც 1908 წელს დეპრესიის ფორმა მიიღო, და რევოლუციური მოძრაობით აღმოსავლეთში, რაც მოასწავებს ნაციონალურ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შექმნას, — აძლიერებს კონკურენციას, ახშირებს საერთაშორისო შეტაკებებს, რითაც ამწვავებს კლასობრივ წინააღმდეგობას ბურჟუაზიასა და პროლე-

ტარიატს შორის და უფრო და უფრო რევოლუციურს ხდის მთელ საერთაშორისო ვითარებას.

საქმის ასეთი მდგომარეობის გამო რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენცია სცნობს, რომ პარტიის ძირითადი ამოცანები ამჟამად შემდეგია:

1) განუმარტოს ხალხის ფართო მასებს თვითმპყრობელობის უახლესი პოლიტიკის აზრი და მნიშვნელობა და სოციალისტური პროლეტარიატის როლი, პროლეტარიატისა, რომელიც, ეწევა რა დამოუკიდებელ კლასობრივ პოლიტიკას, უნდა ხელმძღვანელობდეს დემოკრატიულ გლეხობას თანამედროვე პოლიტიკაში და მომავალ რევოლუციურ ბრძოლაში.

2) ყოველმხრივ შეისწავლოს 1905 — 1907 წლების მასობრივი ბრძოლის გამოცდილება და ფართო პოპულარიზაცია გაუწიოს ამ გამოცდილებას, რომელმაც მოგვცა რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის უბადლო გაკვეთილები.

3) განამტკიცოს რსდმპ, როგორც ჩამოყალიბდა იგი რევოლუციურ ეპოქაში; დაიცვას როგორც თვითმპყრობელობისა და რეაქციული კლასების, ისე ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ თავისი შეურიგებელი ბრძოლის ტრადიციები; ებრძოლოს რევოლუციური მარქსიზმისაგან გადახვევებს, რსდმპ ლოზუნგების შეკვეცას და რსდმპ არალეგალური ორგანიზაციის ლიკვიდაციის ცდებს, რაც თავს იჩენს ზოგიერთ პარტიულ ელემენტში, რომლებიც რღვევის გავლენას აჰყვნენ.

ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია პარტიის დაყენება სწორი განვითარების გზაზე, თუ ხელს შევუწყობთ პარტიული ფუნქციების თვით მუშა სოციალ-დემოკრატების ხელში გადასვლის უკვე ნათლად დასახულ პროცესს, თუ შევქმნით და განვამტკიცებთ არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციებს.

4) ყოველნაირად შეუწყოს ხელი მუშათა კლასის ეკონომიურ ბრძოლას, ლონდონისა და შტუტგარტის კონგრესების რეზოლუციათა თანახმად.

5) გამოიყენოს სათათბირო და სათათბიროს ტრიბუნა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციისათვის.

6) დღის წესრიგში დგება უწინარეს ყოვლისა ხანგრძლივი მუშაობა პროლეტარიატის შეგნებული მასების აღზრდის, ორგანიზაციისა და დარაზმვისათვის. შემდეგ, ამ ამოცანისადმი დაქვემდებარებით, საჭიროა ორგანიზაციული მუშაობის გავრცელება გლეხობასა და არმიაზე, მეტადრე ლიტერატურული პროპაგანდისა და აგიტაციის ფორმით, ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გლეხობისა და არმიის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტების სოციალისტურ აღზრდას.

დაწერილია 1908 წ. დეკემბრის დამლევს —
1909 წ. იანვრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ი. ლენინის თხზულებათა მე-2 — 3
გამოცემაში, ტომი XIV

იბეჭდება ჰეგტოგრაფირებული
პირის მიხედვით

2

დირექტივები საორგანიზაციო საკითხის კომისიისათვის

იღებს რა მხედველობაში, რომ წარმოდგენილმა რეზოლუციების პროექტებმა და კამათმა საორგანიზაციო საკითხზე ნათლად გამოამჟღავნეს ორი ძირითადი მიმდინარეობა რსდმ პარტიაში საერთოდ თანამედროვე საორგანიზაციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების საკითხის გამო, —

კონფერენცია ავალებს კომისიას საფუძვლად დაუდოს თავის მუშაობას იმ მიმართულების პრინციპები, რომელიც სცნობს, რომ მასებში მუშაობისათვის, რაც წინანდებურად რჩება სოციალ-დემოკრატიის ძირითად ამოცანად, სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას არალეგალური პარტიული ორგანიზაციის შექმნასა და განმტკიცებაზე, და რომ მხოლოდ ამ ორგანიზაციის განუხრელი ზემოქმედებით შეიძლება სწორად იქნას დაყენებული მთელი მუშაობა მასებში, მთელი ზემოქმედება სათათბიროს ფრაქციაზე, პარტიის მთელი მოღვაწეობა სათათბიროს ფრაქციის ირგვლივ, მთელი გამოყენება ლეგალური და ნახევრადლეგალური ორგანიზაციებისა ისე, რომ ოდნავადაც არ შეიკვეცოს სოციალ-დემოკრატიის კლასობრივი ამოცანები.

დაწერილია 1908 წ. 24 დეკემბერს
(1909 წ. 6 იანვარს)

დაიბეჭდა 1909 წელს
«რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის უწყებაში მორიგი საერთო-პარტიული კონფერენციის შესახებ»
პარიზი

იბეჭდება «უწყების» ტექსტის მიხედვით

3

პრაქტიკული მითითებანი სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ ბიუჯეტისათვის ხმის მიცემის საკითხზე

პირველი ვარიანტი

მთლიანად აღებული ბიუჯეტისათვის ხმის მიცემა პრინციპულად დაუშვებლად არის მიჩნეული. კონფერენცია საჭიროდ სცნობს, რათა ბიუჯეტის ცალკეული მუხლებისათვის ხმის მიცემის საკითხებზე ფრაქციამ საფუძვლად მიიღოს ჩვენი პროგრამის პრინციპი: სოციალ-დემოკრატები გადაჭრით უარყოფენ რეფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელი კლასების მიმართ პოლიციურ-ჩინოვნიკური მეურვეობასთან. ამიტომ, საერთო წესად უნდა იყოს მიჩნეული ხმის მიცემა ბიუჯეტის ცალკეული მუხლების წინააღმდეგ, ვინაიდან მათი შესრულება თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია შავრაზმელთა არა მარტო მეურვეობასთან, არამედ პირდაპირ ზემოქმედებასთანაც. თუ ვინიცობაა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ამ პირობების მიუხედავად, საჭიროა ხმის მიცემისაგან თავის შეკავება და ამავე დროს აუცილებელია დეკლარაცია სოციალისტური პოზიციის განმარტებით. დასასრულ, იმ საგანგებო შემთხვევებში, როდესაც ხმის მიცემა ამა თუ იმ საკითხის «სასარგებლოდ» ფრაქციას აუცილებლად მიაჩნია, მაშინ საჭიროა ეს არ მოხდეს ცენტრალურ კომიტეტთან და, შეძლებისამებრ, დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მოუთათბირებლად.

2

დირექტივები საორგანიზაციო საკითხის კომისიისათვის

იღებს რა მხედველობაში, რომ წარმოდგენილმა რეზოლუციების პროექტებმა და კამათმა საორგანიზაციო საკითხზე ნათლად გამოამჟღავნეს ორი ძირითადი მიმდინარეობა რსდმ პარტიაში საერთოდ თანამედროვე საორგანიზაციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების საკითხის გამო, —

კონფერენცია ავალებს კომისიას საფუძვლად დაუდოს თავის მუშაობას იმ მიმართულების პრინციპები, რომელიც სცნობს, რომ მასებში მუშაობისათვის, რაც წინანდებურად რჩება სოციალ-დემოკრატიის ძირითად ამოცანად, სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას არალეგალური პარტიული ორგანიზაციის შექმნასა და განმტკიცებაზე, და რომ მხოლოდ ამ ორგანიზაციის განუხრელი ზემოქმედებით შეიძლება სწორად იქნას დაყენებული მთელი მუშაობა მასებში, მთელი ზემოქმედება სათათბიროს ფრაქციაზე, პარტიის მთელი მოღვაწეობა სათათბიროს ფრაქციის ირგვლივ, მთელი გამოყენება ლეგალური და ნახევრადლეგალური ორგანიზაციებისა ისე, რომ ოდნავადაც არ შეიკვეცოს სოციალ-დემოკრატიის კლასობრივი ამოცანები.

დაწერილია 1908 წ. 24 დეკემბერს
(1909 წ. 6 იანვარს)

დაიბეჭდა 1909 წელს
«რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის უწყებაში მორიგი საერთო-პარტიული კონფერენციის შესახებ»
პარიზი

იბეჭდება «უწყების» ტექსტის მიხედვით

3

პრაქტიკული მითითებანი სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ ბიუჯეტისათვის ხმის მიცემის საკითხზე

პირველი ვარიანტი

მთლიანად აღებული ბიუჯეტისათვის ხმის მიცემა პრინციპულად დაუშვებლად არის მიჩნეული. კონფერენცია საჭიროდ სცნობს, რათა ბიუჯეტის ცალკეული მუხლებისათვის ხმის მიცემის საკითხებზე ფრაქციამ საფუძვლად მიიღოს ჩვენი პროგრამის პრინციპი: სოციალ-დემოკრატები გადაჭრით უარყოფენ რეფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელი კლასების მიმართ პოლიციურ-ჩინოვნიკურ მეურვეობასთან. ამიტომ, საერთო წესად უნდა იყოს მიჩნეული ხმის მიცემა ბიუჯეტის ცალკეული მუხლების წინააღმდეგ, ვინაიდან მათი შესრულება თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია შავრაზმელთა არა მარტო მეურვეობასთან, არამედ პირდაპირ ზემოქმედებასთანაც. თუ ვინიცობაა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ამ პირობების მიუხედავად, საჭიროა ხმის მიცემისაგან თავის შეკავება და ამავე დროს აუცილებელია დეკლარაცია სოციალისტური პოზიციის განმარტებით. დასასრულ, იმ საგანგებო შემთხვევებში, როდესაც ხმის მიცემა ამა თუ იმ საკითხის «სასარგებლოდ» ფრაქციას აუცილებლად მიაჩნია, მაშინ საჭიროა ეს არ მოხდეს ცენტრალურ კომიტეტთან და, შეძლებისამებრ, დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მოუთათბირებლად.

მეორე ვარიანტი

ბიუჯეტის საკითხის გამო კონფერენცია თვლის, რომ მთლიანად აღებული ბიუჯეტისათვის ხმის მიცემა პრინციპულად დაუშვებლად არის მიჩნეული.

ხმის მიცემა კლასობრივი სახელმწიფოს ბიუჯეტის ცალკეული მუხლების სასარგებლოდ, რომლებიც აკანონებენ მასების ჩაგვრის იარაღთა (ჯარი და სხვ.) ხარჯებს, აგრეთვე დაუშვებლად არის ცნობილი.

რეფორმებისათვის ან კულტურულ საჭიროებათა ხარჯების მუხლებისათვის ხმის მიცემის დროს საფუძვლად მიღებულ უნდა იქნას ჩვენი პროგრამის ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც სოციალ-დემოკრატები უარყოფენ მშრომელი კლასების მიმართ პოლიციურ-ჩინოვნიკურ მეურვეობასთან დაკავშირებულ რეფორმებს.

ამიტომ, საერთო წესად უნდა იყოს მიჩნეული ხმის მიცემა ეგრეთწოდებული რეფორმების წინააღმდეგ და ეგრეთწოდებულ კულტურულ საჭიროებათა ხარჯების მუხლების წინააღმდეგ, რომლებიც III სათათბიროში ტარდება.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება, საერთო პირობების მიუხედავად, მხოლოდ საეგებისოა, საჭიროა თავის შეკავება და განსაკუთრებული განცხადება თავის შეკავების მიზეზთა შესახებ.

დასასრულ, საგანგებო შემთხვევებში, როდესაც უეჭველია აშკარა სარგებლობა მუშებისათვის, ნებადართულია ხმის მიცემა ამა თუ იმ საკითხის «სასარგებლოდ», მაგრამ საჭიროა მოთათბირება ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

დაწერილია 1908 წ. 25 — 26 დეკემბერს
(1909 წ. 7 — 8 იანვარს)

დაიბეჭდა 1909 წელს ბროშურაში: «კავკასიის დელეგაციის ანგარიში საერთო-პარტიული კონფერენციის შესახებ». პარიზი

იბეჭდება: პირველი ვარიანტი — ბროშურის ტექსტის მიხედვით, მეორე — ხელნაწერის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია ბროშურის ტექსტთან

4

დამატება რეზოლუციისა «სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ»

...აღნიშნავს რა ამასთან ერთად, რომ ფრაქციის გადახვევებში ბრალი მიუძღვის არა მარტო ფრაქციას, ვინაიდან იგი შავრაზმული სათათბიროს განსაკუთრებით მძიმე პირობებში მუშაობს, არამედ რამდენადმე აგრეთვე პარტიის ყველა ორგანიზაციას და მის ცენტრალურ კომიტეტს, რომლებსაც სრულიადაც არ გაუკეთებიათ ყოველივე, რაც კი საჭირო და შესაძლებელია პარტიის მუშაობის სწორი დაყენებისათვის სათათბიროში...

დაწერილია 1908 წ. 25 — 26 დეკემბერს
(1909 წ. 7 — 8 იანვარს)

დაიბეჭდა 1909 წელს «რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის უწყებაში მორიგი საერთო-პარტიული კონფერენციის შესახებ». პარიზი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ნ

ბოლშევიკების განცხადება [102]

ფაქტიური განცხადება

დანის განცხადების გამო, რომელიც ეხება წრეობრივ შეთანხმებებს ბოლშევიკებში, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი შეთანხმებანი ხდება პარტიულ ადამიანებს შორის, რომლებიც პარტიის შიგნით მოქმედებენ, პარტიულ ორგანოებში გამოდიან, მაშინ როდესაც მენშევიკები თავის რეზოლუციაშიც და ყველა თავის საქმეშიც ახორციელებენ პარტიულ ადამიანთა შეთანხმებებს არაპარტიულ ადამიანებთან; ეს არაპარტიული ადამიანები ფარულად ხელს უშლიან პარტიას, ახდენენ მის ლიკვიდაციას და ატარებენ ისეთ ოპორტუნიზმს, რომელიც ევროპის არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არ ნახულა.

დაწერილია 1908 წ. 26 დეკემბერს
(1909 წ. 8 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის კრებულში XXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

როგორ აჯამებენ რევოლუციის შედეგებს სოციალისტ-რევოლუციონერები და როგორ გაუკეთა ჯამი რევოლუციამ სოციალისტ-რევოლუციონერებს

ჩვენ უკვე არა ერთხელ გვქონია შემთხვევა გასულ (1908) წელს გველაპარაკნა თანამედროვე მდგომარეობასა და მიმდინარეობებზე რუსეთის ბურჟუაზიულ დემოკრატიაში. ჩვენ აღვნიშნავდით ტრუდოვიკების მონაწილეობით «განთავისუფლების კავშირის» აღდგენის ცდას («პროლეტარი» № 32) *, ჩვენ ვახასიათებდით გლეხობისა და გლეხთა წარმომადგენლების დემოკრატიზმს აგრარულ და სხვა საკითხებში («პროლეტარი» №№ 21 და 40) **, ჩვენ ვაშუქებდით გაზეთ «რევოლუციონნაია მისლის» მიხედვით, თუ რა საოცრად მოუმწიფებელი აზროვნების პატრონია სოციალისტ-რევოლუციონერების ფრაქცია, რომელსაც განსაკუთრებით რევოლუციურად მოაქვს თავი («პროლეტარი» № 32). სურათის სისრულისათვის საჭიროა ახლა შევჩერდეთ სოც.-რევოლუციონერთა პარტიის ოფიციალურ ლიტერატურაზე. 1908 წლის განმავლობაში გამოვიდა «ზნამია ტრუდას» 4 ნომერი (ნომრები 9 — 13; ნომერი 10 — 11 ორმაგია) *** და სოც.-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო «უწყება» 1-ლი პარტიული

* იხ. ეს ტომი, გვ. 164 — 176. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13. გვ. 553 — 561. და ეს ტომი, გვ. 368 — 386. რ ე დ.

*** «პროლეტარის» რედაქციამ, სამწუხაროდ, ვერ იშოვნა № 12.

კონფერენციისა და პარტიის მე-4 საბჭოს შესახებ, რომლებიც შესდგა საზღვარგარეთ აგვისტოში. შევჩერდეთ ამ მასალაზე.

«პარტიას, — ამბობს სოც.-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი «უწყებაში», — უნდა შეეჯამებინა რუსეთის დიდი რევოლუციის იმ, ახლა დამთავრებული, პერიოდის შედეგები, რომლის განმავლობაშიც მთავარი, ხშირად თითქმის მარტოდმარტო მოქმედი პირი იყო ქალაქის პროლეტარიატი». ეს ძალიან კარგად არის ნათქვამი. ეს ესერებისათვის უჩვეულო სიმართლით არის ნათქვამი. მაგრამ წაიკითხეთ ხუთი სტრიქონის შემდეგ: «კონტრრევოლუციის გამარჯვებამ მხოლოდ თვალსაჩინოდ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენთვის თავიდანვე უეჭველი იყო, რომ წარმატებით დაგვირგვინებული რუსეთის რევოლუცია ან ქალაქის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ძალთა მძლავრი კავშირის წყალობით მოხდება, ან იგი სულ არ იქნება. ეს კავშირი ჯერჯერობით იდეაში არსებობდა და რუსეთის ცხოვრებით წამოყენებული სოციალურ-რევოლუციური პროგრამით სახიერდებოდა. ამ კავშირმა ის-ის იყო მხოლოდ იწყო ცხოვრებაში განხორციელება. მისი ახალი განხორციელება მომავლის საქმეა...»

აბა, დააკვირდით, დიდ ხანს იბოგინა ესერულმა სიმართლემ! ყველამ, ვისაც კი თუნდაც ცალი ყური მოუკრავს სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატების პროგრამებისათვის, იცის, რომ ამ პროგრამების ძირითადი განსხვავება შემდეგია: 1) სოციალ-დემოკრატები რუსეთის რევოლუციას ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ რევოლუციად აცხადებდნენ; სოციალისტ-რევოლუციონერები უარყოფდნენ ამას. 2) სოციალ-დემოკრატები ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატი და გლეხობა კაპიტალისტური (ან ნახევრადბატონყმური, ნახევრადკაპიტალისტური) საზოგადოების ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ლ ა ს ე ბ ი არიან; რომ გლეხობა არის წვრილ მ ე პ ა ტ რ ო ნ ე თ ა კლასი, რომელსაც შეუძლია «ერთად დაარტყას», მემამულეებსა და თვითმპყრობელობას და იდგეს პროლეტართან ერთად «ბარიკადის ერთ მხარეზე» ბურჟუაზიულ რევოლუციაში, შეუძლია ამ

რევოლუციაში იაროს პროლეტარიატთან «შეკავშირებულმა» ამა თუ იმ შემთხვევაში, მაგრამ დარჩეს კაპიტალისტური საზოგადოების სრულიად სხვა კლასად. სოციალისტ-რევოლუციონერები უარყოფდნენ ამას. მათი პროგრამის ძირითადი ი დ ე ა სრულიადაც არ არის ის, რომ საჭიროა პროლეტარიატისა და გლეხობის «ძალთა კავშირი», არამედ ის, რომ მათ შორის ა რ ა რ ი ს კ ლ ა ს ობ რ ი ვ ი უ ფ ს კ რ უ ლ ი, რომ მათ შორის არ უნდა ტარდებოდეს კლასობრივი ზღვარი, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეა გლეხობის წვრილბურჟუაზიულობისა, პროლეტარიატისაგან განსხვავებით, სავსებით ყალბიაო.

და ახლა სოციალ-დემოკრატებისა და სოც.-რევოლუციონერების პროგრამის ამ ორ ძირეულ განსხვავებას ჩქმალავენ ბატონი სოც.-რევოლუციონერები ფერუმარილიანი ფრაზებით! რევოლუციის შედეგებს ბატონი ესერები იმგვარად აჯამებენ, თითქოს არც რევოლუცია ყოფილიყოს და არც ესერული პროგრამა. იყო, დიდად პატივცემულნო, ესერული პროგრამა, რომლის მთელი განსხვავება სოციალ-დემოკრატიული პროგრამისაგან ძირითად, თეორიულ ნაწილში აგებულია გლეხობის წვრილბურჟუაზიულობის უარყოფაზე, გლეხობასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი მიჯნის უარყოფაზე. იყო, დიდად პატივცემულნო, რევოლუცია, რომლის ძირითადი გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხობამ თავისი აშკარა მასობრივი გამოსვლებით გვიჩვენა თავისი, პროლეტარიატისაგან განსხვავებული, კლასობრივი ბუნება, ცხადყო თავისი წვრილბურჟუაზიულობა.

თქვენ ისე გიჭირავთ თავი, რომ ეს ვერ შეამჩნიეთ? თქვენ ამას ხედავთ, მაგრამ ცდილობთ მოიშოროთ არასასიამოვნო სინამდვილე, რომელიც რევოლუციამ გამოააშკარავა. თქვენ ტრუდოვიკებთან მოქმედებდით არა «შეკავშირებულნი», არამედ მათთან განუყრელად შედუღებულნი და, ამასთან, ისეთ უმნიშვნელოვანეს მომენტებში, როდესაც დაწყებულმა რევოლუციამ თავის მწვერვალს მიაღწია, — 1905 წლის შემოდგომაზე და 1906 წლის ზაფხულში. პრესის ღია ორგანოები მაშინ

ესერულ-ტრუდოვიკული იყო. ტრუდოვიკებისა და სახალხო სოციალისტების გამოყოფის შემდეგაც კი თქვენ მათთან ერთად იყავით II სათათბიროს არჩევნებზე და თვით II სათათბიროშიც. არა შეკავშირებულნი, არამედ ბლოკით შეკრულნი, ე. ი. თითქმის შედუღებულნი. თქვენმა საკუთარმა პროგრამამ, ტრუდოვიკებისა და სახალხო სოციალისტების პროგრამისაგან განსხვავებით, დ ა მ ა რ ცხ ე ბ ა გ ა ნ ი ც ა დ ა გლეხობის წარმომადგენელთა ყველა აშკარა და ნამდვილ მასობრივ გამოსვლაში. როგორც I, ისე II სათათბიროში გლეხი დეპუტატების უდიდესმა უმრავლესობამ მიიღო ა რ ა ესერების, ა რ ა-მ ე დ ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ი ს აგრარული პროგრამა. სოც.-რევოლუციონერები თავის წმინდა ესერულ გამოცემებში, დაწყებული 1906 წლის დამლევიდან, თვითონ იძულებულნი იყვნენ ეცნოთ ტრუდოვიკების წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ-ლ ობ ა, როგორც პოლიტიკური მიმართულებისა, ეცნოთ, რომ ამ მიმართულების სარჩულს შეადგენს წვრილ მეპატრონეთა «მესაკუთრული ინსტიქტები» (იხ. ბ-ნ ვიხლიაევისა და სხვა ესერების სტატიები, მიმართულნი სახალხო სოციალისტების წინააღმდეგ).

კითხვა იბადება, ვისი მოტყუება სურთ ესერებს, როდესაც ისინი რევოლუციის «შედეგებს» აჯამებენ და ამასთან მ ა ლ ა-ვ ე ნ ძირითად და მთავარ შედეგს?

რატომ მოხდა, რომ გლეხობა რევოლუციის განმავლობაში ტრუდოვიკების ცალკეულ პოლიტიკურ პარტიად (თუ ჯგუფად) ჩამოყალიბდა? რატომ სწორედ ტრუდოვიკები გახდნენ, და არა ესერები, რევოლუციის განმავლობაში გლეხთა მასების პარტიად? თუ ბატონი ესერები ფიქრობენ, რომ ეს შემთხვევით მოხდა, მაშინ ზედმეტიცაა ლაპარაკი როგორც შედეგებზე, ისე რაიმე პროგრამაზე საერთოდ, რადგან მაშინ ქაოსს ეთმობა ადგილი ყოველგვარი შედეგებისა და ყოველგვარი პროგრამის ნაცვლად. თუ ეს შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ ძირითად ეკონომიურ ურთიერთობათა შედეგია, მაშინ რუსეთის სოციალ-დემოკრატების

პროგრამის მთავარი და ძირითადი პუნქტი დამტკიცებულია ისტორიის მიერ. რევოლუციამ ნამდვილად გაავლო ის კლასობრივი ზღვარი გლეხობასა და პროლეტარიატს შორის, რასაც ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ყოველთვის ვავლებდით თეორიაში. რევოლუციამ საბოლოოდ ცხადყო, რომ პარტია, რომელსაც სურს იყოს რუსეთის მასების პარტია, კლასის პარტია, უნდა იყოს ან სოციალ-დემოკრატიული ან ტრუდოვიკული, ვინაიდან თვითონ მასებმა თავისი აშკარა გამოსვლებით ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე მომენტებში სავსებით დასახეს სწორედ ეს ორი და მხოლოდ ეს ორი მიმართულება. შუათანა ჯგუფებმა, როგორც ცხადყვეს 1905 — 1907 წლების ამბებმა, ერთხელაც კი ვერ შესძლეს და ვერაფერში ვერ შესძლეს შესდუღებოდნენ მასებს. ამით დამტკიცებულია ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათიც. ვერც ერთი ისტორიკოსი, საერთოდ ვერც ერთი პასუხისმგებელი პოლიტიკოსი ვერ შესძლებს ახლა უარყოს რუსეთის პოლიტიკური ძალების ძირითადი დაყოფა სოციალისტურ პროლეტარიატად და წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ გლეხობად.

«ქალაქის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ძალთა კავშირი ...ჯერჯერობით იდეაში არსებობდა». ეს მთლად დაბნეული და ყალბი ფრაზაა. პროლეტარიატისა და გლეხობის ძალთა კავშირი არა «იდეაში არსებობდა» და არა «ის-ის იყო მხოლოდ იწყებდა ცხოვრებაში განხორციელებას», არამედ ახასიათებდა რუსეთის რევოლუციის მთელ პირველ პერიოდს, 1905 — 1907 წლების ყველა დიდ მოვლენას. ოქტომბრის გაფიცვა და დეკემბრის აჯანყება, ერთი მხრივ, გლეხთა აჯანყებანი ადგილებზე და ჯარისკაცთა და მატროსთა აჯანყებანი, მეორე მხრივ, სწორედ პროლეტარიატისა და გლეხობის «ძალთა კავშირს» წარმოადგენდნენ. ეს კავშირი იყო სტიქიური, გაუფორმებელი, ხშირად შეუცნობელი. ეს ძალები არ იყვნენ საკმაოდ ორგანიზებულნი, დაქსაქსულნი იყვნენ, მოკლებულნი იყვნენ ნამდვილ ცენტრალურ ხელმძღვანელობას და ა. შ., მაგრამ ფაქტი პროლეტარიატის და გლეხობის «ძალთა კავშირისა», როგორც იმ მთავარი ძალების კავშირისა, რომლებმაც შეანგრიეს

ძველი თვითმპყრობელობა, უდავოა. თუ ამ ფაქტს ვერ გაიგებ, ისე ვერაფერს გაიგებ რუსეთის რევოლუციის «შედეგებში». ესერების დასკვნის სიყალბე აქ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ამბობენ: მშრომელი გლეხობისა, იმის ნაცვლად, რომ თქვან: ტრუდოვიკული გლეხობისა. სწორედ ეს პატარა, ეს უმნიშვნელო განსხვავება, რომელიც სრულიად შეუმჩნეველი ჩანს, ნამდვილად ქმნის უფსკრულს ესერების რევოლუციამდელ ოცნებებსა და რევოლუციით საბოლოოდ დადასტურებულ სინამდვილეს შორის.

ესერები ყოველთვის ლაპარაკობდნენ მშრომელ გლეხობაზე. რევოლუციამ გამოარკვია თანამედროვე რუსი გლეხობის პოლიტიკური ფიზიონომია, როგორც ტრუდოვიკების მიმართულება. თითქოს, ესერები მართალნი გამოდგნენ, არა? მაგრამ ისტორიის ირონია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიამ შეინარჩუნა და გაამარადისა ესერული ტერმინი. მაგრამ ის, რაც სინამდვილეში შეესაბამება ამ ტერმინს, სწორედ ისეთი შინაარსით გაავსო, როგორსაც სოციალ-დემოკრატები წინასწარმეტყველებდნენ. რევოლუციის ისტორიამ ჩვენ და ესერებს მშრომელი გლეხობის წვრილბურჟუაზიულობის სადავო საკითხში წილი გაგვიყო: ესერებს ისტორიამ სიტყვა არგუნა, ჩვენ კი საქმის არსი. ესერების მიერ რევოლუციამდე შექებული მშრომელი გლეხები რევოლუციაში ისეთი ტრუდოვიკები აღმოჩნდნენ, რომლებსაც ესერები უნდა განდგომოდნენ! ჩვენ კი, სოციალ-დემოკრატებს, შეგვიძლია და კიდევაც გვმართებს ვამტკიცოთ ახლა გლეხობის წვრილბურჟუაზიულობა არა მარტო მარქსის «კაპიტალში» მოცემული ანალიზით [103], არა მარტო «ერფურტის პროგრამის» დამოწმებით [104], არა მარტო ნაროდნიკული ეკონომიური გამოკვლევებისა და საერობო სტატისტიკის მონაცემებით, არამედ აგრეთვე გლეხობის მოქმედებით რუსეთის რევოლუციაში საერთოდ და კერძოდ იმ ფაქტებით, რომლებიც ტრუდოვიკების შემადგენლობასა და საქმიანობას ეხება.

არა. ჩვენ საერთაშორისო არაფერი გვაქვს იმის გამო, თუ როგორ გაგვიყო წილი ისტორიამ ჩვენ და ესერებს.

«ოტზოვისტებს რომ მოეხერხებინათ — ამბობს «ზნამია ტრუდა», № 13, გვ. 3 — სოციალ-დემოკრატიის დაბრუნება მის უკიდურეს საბრძოლო პოზიციებზე, მაშინ ჩვენ დავკარგავდით პოლემიკისათვის მადლიანი მასალის ერთგვარ ნაწილს, მაგრამ შევიძენდით თანამშრომელს თანამიმდევარ საბრძოლო ტაქტიკაში». და ორიოდე სტრიქონის ზემოთ წერს: «თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმე მხოლოდ მოიგებდა, თუ კადეტებს შორისაც და სოციალ-დემოკრატებს შორისაც მემარცხენე მიმდინარეობა გაიმარჯვებდა».

ძალიან კარგი, ბატონო ესერებო! თქვენ გინდათ მოეალერსოთ ჩვენს «ოტზოვისტებსა» და «მემარცხენეებს». მაშ ნება გვიბოძეთ ჩვენც ალერსზე ალერსითვე გავცეთ პასუხი. ნება გვიბოძეთ ჩვენც გამოვიყენოთ «პოლემიკისათვის მადლიანი მასალა».

«დაე, მთელმა რიგმა პარტიებმა, თვით კადეტებმა, ტრუდოვიკებმა და სოციალ-დემოკრატებმა, მუყაოს ოპერეტულ სათათბიროში მონაწილეობით მხარი დაუჭირონ კონსტიტუციური წყობილების ფიქციას» («ზნამია ტრუდა», იქვე).

მაშ, III სათათბირო მუყაოს სათათბიროა. მარტო ეს ფრაზა საკმარისია, რათა ცხადვყოთ ბატონი ესერების სრული უმეცრება. მესამე სათათბირო, ესერული ცენტრალური ორგანოს ფრიად პატივცემულო ბატონო ხელმძღვანელებო, გაცილებით ნ ა კ ლ ე ბ ა დ არის მუყაოს დაწესებულება, ვიდრე I და II სათათბირო! ეს უბრალო რამ რომ ვერ გაგიგიათ, თქვენ მხოლოდ ერთხელ კიდევ ადასტურებთ იმას, რაც ჩვენ ვთქვით თქვენს შესახებ «პროლეტარის» ნომრის სტატიაში «შებრუნებული პარლამენტური კრეტინიზმი». თქვენ მთლიანად იმეორებთ იმ ვულგარული ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩვეულებრივს ცრურწმენას, რომელიც არწმუნებს თავისთავს და სხვებს, რომ ცუდი და რეაქციული სათათბიროები

მუყაოს დაწესებულებებია, ხოლო კარგი და პროგრესული სათათბიროები მუყაოსი, არ არიან.

ნამდვილად კი I და II სათათბირო მუყაოს მახვილი იყო ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ხელში, რომელსაც სურდა რევოლუციით დაეშინებინა თვითმპყრობელობა. III სათათბირო მუყაოს მახვილი კი არა, ნამდვილი მახვილია თვითმპყრობელობისა და კონტრრევოლუციის ხელში. I და II სათათბირო მუყაოს სათათბიროები იყვნენ, რადგან მათი გადაწყვეტილებანი არ შეესაბამებოდნენ მატერიალური ძალის ნამდვილ განაწილებას საზოგადოებრივი კლასების ბრძოლაში და ცარიელ სიტყვებად რჩებოდნენ. ორივე ამ სათათბიროს მნიშვნელობა ის არის, რომ კადეტი კონსტიტუციური პამპულების წინა რიგს იქით ნათლად ჩანდნენ იმ დემოკრატიული გლეხობისა და იმ სოციალისტური პროლეტარიატის ნამდვილი წარმომადგენლები, რომლებიც ნამდვილად ახდენდნენ რევოლუციას, ურტყამდნენ მტერს აშკარა მასობრივ ბრძოლაში, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შესძლეს მისი საბოლოოდ მოსპობა. მესამე სათათბირო არ არის მუყაოს სათათბირო, ვინაიდან მისი გადაწყვეტილებანი შეესაბამებიან მატერიალური ძალის ნამდვილ განაწილებას კონტრრევოლუციის დროებითი გამარჯვების დროს და ამიტომ სიტყვებად კი არ რჩებიან, არამედ ხორციელდებიან. ამ სათათბიროს მნიშვნელობა ის არის, რომ მან ხალხის პოლიტიკურად განუვითარებელ ყველა ელემენტს თვალსაჩინო გაკვეთილი მისცა, რომელიც ცხადყოფს საწარმომადგენლო დაწესებულებათა და სახელმწიფო ხელისუფლების ნამდვილი მფლობელობის თანაფარდობას. საწარმომადგენლო დაწესებულებათა, თუნდაც ყველაზე «პროგრესულ» დაწესებულებათა ხვედრია მუყაოს დაწესებულებებად დარჩნენ, ვიდრე კლასებს, რომლებიც მათში არიან წარმოდგენილნი, ნამდვილი სახელმწიფო ძალაუფლება არა აქვთ. საწარმომადგენლო დაწესებულებანი, თუნდაც ყველაზე რეაქციულნი, მუყაოსი არ იქნებიან, რაკი ნამდვილი სახელმწიფო ძალაუფლება იმ კლასების ხელშია, რომლებიც მათში წარმოდგენილნი არიან.

III სათათბიროს მუყაოს ოპერეტულ სათათბიროდ მიჩნევა ნიმუშია გონიერების იმ უკიდურესი ნაკლებობისა, ფუჭი რევოლუციური ფრაზის იმ ბატონობისა, რაც უკვე დიდი ხანია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სპეციფიკურ დამახასიათებელ ნიშნად და ძირითად თვისებად იქცა.

მაგრამ განვაგრძოთ. მართალია თუ არა, რომ III სათათბირო «კონსტიტუციური წყობილების ფიქცია» არის? არა, ეს მართალი არ არის. ხელმძღვანელ ორგანოში ასეთი რამის თქმა მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც არ იცის ანაბანა, რომელიც ლასალმა თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გვასწავლა. რა არის კონსტიტუციის არსი, დაბალი ტიპის პროპაგანდისტული წრის, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიად წოდებული წრის ფრიად პატივცემულნო წევრნო? ის ხომ არა, რომ კონსტიტუციის დროს «მეტი თავისუფლებაა» და «მშრომელ ხალხს» უფრო იოლად ეცხოვრება, ვიდრე უკონსტიტუციოდ? არა, ასე მხოლოდ ვულგარული დემოკრატები ფიქრობენ. კონსტიტუციის არსი ის არის, რომ სახელმწიფოს ძირითადი კანონები საერთოდ და კანონები, რომლებიც ეხება საწარმომადგენლო დაწესებულებათა არჩევის საარჩევნო უფლებას, მათს კომპეტენციას და სხვ., გამოხატავენ ძალთა ნამდვილ თანაფარდობას კლასობრივ ბრძოლაში. კონსტიტუცია ფიქციურია, როდესაც კანონი და სინამდვილე ერთმანეთს შორდებიან; არაფიქციურია, როდესაც ისინი ერთმანეთს ეწყობიან. III სათათბიროს ეპოქის რუსეთში კონსტიტუცია ნაკლებ ფიქციურია, ვიდრე I და II სათათბიროს ეპოქის რუსეთში. თუ თქვენ ეს დასკვნა გაშფოთებთ, ბატონო «სოციალისტ»-«რევოლუციონერებო», ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ არც კონსტიტუციის არსი გაგეგებათ, არც მის ფიქციურობასა და მის კლასობრივ ხასიათს შორის არსებული განსხვავება. კონსტიტუცია შეიძლება იყოს შავრაზმული, მემამულური, რეაქციული და ამავე დროს ნაკლებ ფიქციური, ვიდრე ზოგიერთი «ლიბერალური» კონსტიტუცია.

სოციალისტ-რევოლუციონერების უბედურება ის არის, რომ ისინი არც ისტორიულ მატერიალიზმს იცნობენ, არც

მარქსის დიალექტიკურ მეთოდს და მთლიანად რჩებიან ვულგარული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეების ტყვეობაში. კონსტიტუცია მათთვის არის არა ახალი სარბიელი, არა ახალი ფორმა კლასობრივი ბრძოლისა, არამედ აბსტრაქტული სიკეთე მსგავსად ლიბერალური პროფესორების «კანონიერებისა», «უფლებრივი წესრიგისა», «საერთო სიკეთისა» და ა. შ. და სხვა. ნამდვილად კი თვითმპყრობელობაც, კონსტიტუციური მონარქიაც, რესპუბლიკაც მხოლოდ სხვადასხვა ფორმაა კლასობრივი ბრძოლისა, ამასთან ისტორიის დიალექტიკა ისეთია, რომ, ერთი მხრივ, თვითეული ეს ფორმა გადის თავისი კლასობრივი შინაარსის განვითარების სხვადასხვა ეტაპს, მეორე მხრივ კი, ერთი ფორმიდან მეორისაკენ გადასვლა სრულიადაც არა სპობს (თავისთავად) წინანდელი ექსპლოატატორული კლასების სხვა სახით ბატონობას. მაგალითად, XVII საუკუნის რუსეთის თვითმპყრობელობა ბოიარინთა სათათბიროთი და ბოიარინთა არისტოკრატიით არა ჰგავს XVIII საუკუნის თვითმპყრობელობას მისი დამახასიათებელი ბიუროკრატიით, მსახურეული წოდებებით, «განათლებული აბსოლუტიზმის» ცალკეული პერიოდებით. ორივე მათგანისაგან მკვეთრად განირჩევა XIX საუკუნის თვითმპყრობელობა. იგი იძულებული გახდა «ზემოდან» გაეთავისუფლებინა გლეხები. მან გააჩანაგა გლეხები, გზა გაუხსნა კაპიტალიზმს, შექმნა ბურჟუაზიის ადგილობრივი საწარმომადგენლო დაწესებულებების საწყისი. XX საუკუნისათვის ნახევრადფეოდალური, ნახევრადპატრიარქალური თვითმპყრობელობის ამ უკანასკნელმა ფორმამაც მოჭამა თავისი დრო. ნაციონალური მასშტაბის საწარმომადგენლო დაწესებულებებზე გადასვლა აუცილებელი გახდა კაპიტალიზმის ზრდის, ბურჟუაზიის გაძლიერებისა და სხვ. გავლენით. 1905 წლის რევოლუციური ბრძოლა გამწვავდა განსაკუთრებით იმის გამო, თუ ვინ და როგორ შეადგენდა სრულიად რუსეთის პირველ საწარმომადგენლო დაწესებულებას. დეკემბრის დამარცხებამ ეს საკითხი ძველი მონარქიის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ხოლო ასეთ პირობებში სხვაგვარი კონსტიტუცია, გარდა შავ-

რაზმულ-ოქტიაბრისტული კონსტიტუციისა, არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ახალ სარბიელზე, ბონაპარტისტული მონარქიის დაწესებულებათა დროს, პოლიტიკური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ბრძოლა ისევ იწყება წინანდელი მტრის, შავრაზმული თვითმპყრობელობის მოცილების ცდით. შეუძლია თუ არა სოციალისტურ პარტიას უარი თქვას ამ ბრძოლაში ახალ საწარმომადგენლო დაწესებულებათა გამოყენებაზე? ესერებმა ვერც კი შესძლეს ამ საკითხის დასმა, ისინი თავს იძვრენენ ფრაზებით და მარტოოდენ ფრაზებით. ყური უგდეთ შემდეგ:

«ჩვენ ახლა არა გვაქვს ბრძოლის პარლამენტური გზები — არის მხოლოდ პარლამენტგარეშე გზები. ეს შეხედულება ყველგან უნდა დამკვიდრდეს, და საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა ყოველივე იმასთან, რაც კი ხელს უშლის ასეთ დამკვიდრებას. მთელი ყურადღება მივაქციოთ ბრძოლის პარლამენტგარეშე საშუალებებს!»

ესერების მსჯელობა აგებულია სოციოლოგიის ცნობილ სუბიექტურ მეთოდზე. დავამკვიდროთ შეხედულება — და საქმე გაჩარხულიაო. სუბიექტივისტები არ ზრუნავენ იმაზე, რომ ობიექტური მონაცემებით შემოწმდეს ბრძოლის ამა თუ იმ გზის არსებობის რწმენა. მაგრამ ჩავიხედოთ «უწყებაში» და ესერთა კონფერენციის რეზოლუციაში, სადაც ვკითხულობთ: ...«ახლანდელი მძიმე დროის ან, უფრო სწორად, უდროობის პირქუში სიჩუმე» (გვ. 4)... «რეაქციული საზოგადოებრივი ძალების დარაზმვა»... «მასობრივი ხალხური ენერგიის შებოჭვის ფაქტი»... «ინტელიგენციას, როგორც მოსახლეობის ყველაზე უფრო მგრძნობიარე ნაწილს, ემჩნევა ზედმეტი დაღლილობა, იდეური დაბნეულობა და რევოლუციური ბრძოლისაგან ძალების უკუქცევა» (გვ. 6) და ა. შ. და სხვა. «ამის გამო სოც.-რევოლუციონერთა პარტია... ბ) უარყოფით უნდა მოეკიდოს, ტაქტიკური მოსაზრებებით, იმ ნაწილობრივი მასობრივი გამოსვლების პროექტებს, რომლებშიც, ახლანდელი მომენტის პირობების გამო, შეიძლება ხდებოდეს ხალხის ენერგიის უნაყოფო ფლანგვა» (გვ. 7).

ვის «ჩვენ» «გვაქვს ბრძოლის მხოლოდ პარლამენტგარეშე გზები»? ცხადია, ტერორისტების პაწაწა ჯგუფს, რადგან «ჩვენი» მასობრივი ბრძოლა არც ერთ ამონაწერ ტირადაში ნახსენები არ არის. «მასობრივი ხალხური ენერგიის შებოჭვის ფაქტი» და «მთელი ყურადღება მივაქციოთ ბრძოლის პარლამენტგარეშე საშუალებებს», — ეს უბრალო დაპირისპირება ერთხელ და ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რაოდენი ისტორიული სიმართლე იყო იმაში, რომ ესერებს რევოლუციური ავანტიურისტები ვუწოდეთ! * განა ეს ავანტიურიზმი არ არის, როდესაც მახვილი სიტყვის გულისათვის ლაპარაკობენ იმაზე, რომ მთელი ყურადღება მიექცეს ბრძოლის ისეთ საშუალებებს, რომელთა გამოყენების უნარი, როგორც თვითონვე აღიარებენ, მასას ახლა არ შესწევს? განა ეს ინტელიგენტური სასოწარკვეთილების ძველისძველი ფსიქოლოგია არ არის?

«მთელი ყურადღება მივაქციოთ ბრძოლის პარლამენტგარეშე საშუალებებს»—ეს ლოზუნგი სწორი იყო რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთ უაღრესად შესანიშნავ პერიოდში, 1905 წლის შემოდგომაზე. როცა ახლა მას უკრიტიკოდ იმეორებენ, ესერები იქცევიან ხალხური ზღაპრის იმ გმირის მსგავსად, რომელიც გულმოდგინედ გაჰყვიროდა... სრულიად შეუფერებელ რასმე. თქვენ ვერ გაგიგიათ, საყვარელნო, თუ რატომ იყო სწორი 1905 წლის შემოდგომაზე ბოიკოტის ლოზუნგი, და ახლა მას უკრიტიკოდ, უაზროდ რომ იმეორებთ, როგორც გაზეპირებულ სიტყვას, თქვენ ამქღავნებთ არა რევოლუციონარიზმს, არამედ სავსებით ჩვეულებრივ სისულელეს.

1905 წლის შემოდგომაზე არც ერთი კაცი არ ლაპარაკობდა «მასობრივი ხალხური ენერგიის შებოჭვის ფაქტზე». პირიქით, ყველა პარტია აღიარებდა, რომ მასობრივი ენერგია მჩქეფარე იყო. ასეთ მომენტში ძველი ხელისუფლება საკანონმრჩევლო პარლამენტს გვთავაზობს, რითაც აშკარად სურს დაქსაქსოს და თუნდაც ერთი წუთით დააშოშმინოს ამხედრებული ძალები.

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 6, გვ. 225 — 253. რედ.

«მთელი ყურადღება მიეაქციოთ ბრძოლის პარლამენტგარეშე საშუალებებს» — მაშინ ეს ლოზუნგი ერთ მუჭა მჩხავანა ადამიანთა ფრაზა კი არ იყო, არამედ იმ ადამიანთა მოწოდება იყო, რომელნიც მართლაც მიუძღოდნენ მილიონობით მებრძოლ მუშებსა და გლეხებს. ამ ლოზუნგს რომ მხარი დაუჭირეს, მილიონებმა ცხადყვეს, რომ ლოზუნგი ობიექტურად სწორი იყო, გამოხატავდა არა მარტო ერთ მუჭა რევოლუციონერთა «შეხედულებას», არამედ ნამდვილ მდგომარეობას, მასების სულისკვეთებასა და ინიციატივას. ამ ლოზუნგის განმეორება «მასობრივი ხალხური ენერგიის შებოჭვის ფაქტის» აღიარებასთან ერთად მხოლოდ სასაცილო პოლიტიკოსებს შეუძლიათ.

და, რაკი ჩვენ სასაცილოს შევეხეთ, არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ შემდეგი მარგალიტი «ზნამია ტრუდადან»: «მარტო დავტოვოთ იგი (მთავრობა) სათათბიროში «შავრაზმელებთან» და მთავრობის უკანასკნელი განკარგულების პარტიასთან ერთად, და გვერწმუნეთ, რომ თუ ამ ობობებს როდისმე შეუძლიათ დაიწყონ ერთმანეთის ჭამა ეს სწორედ ასეთ მდგომარეობაში შეუძლიათ»... ეს «გვერწმუნეთ» ისე უბადლო და მშვენიერია, რომ პირდაპირ იარაღს აყრევინებს მოწინააღმდეგეს. «გვერწმუნეთ», მკითხველო, რომ მოწინავე სტატიებს «ზნამია ტრუდაში» წერს მართლაც მშვენიერი ესერი გიმნაზიელი ქალი, რომელსაც გულწრფელად წამს, რომ «ობობები» დაიწყებენ «ერთმანეთის ჭამას», როდესაც ოპოზიცია III სათათბიროდან წავა.

ლონდონის ყრილობის მიერ მიღებულმა რეზოლუციამ არაპროლეტარულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ მენშევიკების მეტად მკაცრი გამოლაშქრება გამოიწვია ამ რეზოლუციის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც კადეტებს ეხება. ცოტა ნაკლებ მკაცრი იყო მათი გალაშქრება იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ეხება ნაროდნიკულ ან შრომის პარტიებს. მენშევიკები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ

ჩვენ ხელს ვაფარებთ ესერებს ან ვჩქმალავთ ესერების ზოგიერთ, მარქსისტების მიერ დიდი ხნიდან გამორკვეულ, ცოდვას და სხვა. მენშევიკების მთელი ამ ჭაპანწყვეტის სათავე ორნაირია: ერთი მხრივ, ძირითადი პრინციპული უთანხმოება რუსეთის რევოლუციის შეფასებაში. მენშევიკებს დაჟინებით სურთ, რათა პროლეტარიატმა ეს რევოლუცია მოახდინოს კადეტებთან ერთად, და არა ტრუდოვიკულ გლეხობასთან ერთად კადეტების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, მენშევიკებს ვერ გაუგიათ, თუ როგორ შესცვალა მასებისა და კლასების აშკარა გამოსვლამ რევოლუციაში პარტიების წინანდელი მდგომარეობა და ხშირად წინანდელი ხასიათი. რევოლუციამდე ესერები მ ხ ო ლ ო დ მონაროდნიკე ინტელიგენტების ჯგუფს წარმოადგენდნენ. სწორი იქნებოდა თუ არა ასეთი დახასიათება რევოლუციის შემდეგ და 1906 წლის შემდეგაც კი? ცხადია, არ იქნებოდა სწორი. წინანდელი შეხედულების დაცვა ასეთი ფორმულირებით მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებმაც რევოლუციაში ვერაფერი ვერ ისწავლეს.

რევოლუციამ დ ა ა მ ტ კ ი ც ა, რომ მონაროდნიკე ინტელიგენტების ეს ჯგუფი არის უკიდურესი მემარცხენე ფ რ თ ა უაღრესად ფართო და უეჭველად მასობრივი ნაროდნიკული ან ტრუდოვიკული მიმდინარეობისა, რომელმაც გამოხატა გლეხობის ინტერესები და თვალსაზრისი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ეს ფაქტი დაამტკიცეს გლეხთა აჯანყებებმაც, გლეხთა კავშირმაც, შრომის ჯგუფმაც სამივე სათათბიროში, ესერებისა და ტრუდოვიკების თავისუფალმა პრესამაც. აი ეს ფაქტი ვერ გაიგეს მენშევიკებმა. ისინი ესერებს დ ო ქ ტ რ ი ნ ი ო რ უ ლ ა დ უყურებენ, ე. ი. როგორც დოქტრინის ადამიანები, რომლებიც ითვალისწინებენ სხვისი დოქტრინის შეცდომებს, მაგრამ ვერ ხედავენ, თუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელი რეალური მასების რა რეალურ ინტერესებს გამოხატავს ან ფარავს ეს დოქტრინა. ესერული დოქტრინა მავნებელია, მცდარი, რეაქციული, ავანტიურისტული, წვრილბურჟუა-

ზიული, — გაიძახიან მენშევიკები, — მორჩა და გათავდა, არც ერთი მეტი სიტყვა; ამაზე მეტი ყოველივე ეშმაკეულია.

აი აქ იწყება თ ქ ვ ე ნ ი შეცდომა, — ვეუბნებით მენშევიკებს. მართალია, ესერული დოქტრინა მავნებელი, მცდარი, რეაქციული, ავანტიურისტული, წვრილბურჟუაზიულია. მ ა გ რ ა მ ასეთი თვისებები ხელს არ უშლიან ამ **quasi** *-სოციალისტურ დოქტრინას, რომ იგი იყოს რუსეთის ნამდვილად რევოლუციური, და არა შემთანხმებელი, ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის იდეური სამოსი. ვინაიდან ესერების დოქტრინა მხოლოდ ნაკადულია ტრუდოვიკულ, ე. ი. გლეხურ-დემოკრატიულ ნიაღვარში. როგორც კი იწყება მასებისა და კლასების აშკარა ბრძოლა, მაშინვე მოვლენები გვაიძულებენ ყველას, ბოლშევიკებსაც და მენშევიკებსაც, აღვიაროთ ეს და შევიწყნაროთ ესერების მონაწილეობა მუშათა დეპუტატების საბჭოებში, დავუახლოვდეთ გლეხთა, ჯარისკაცთა, ფოსტა-ტელეგრაფის, რკინიგზისა და სხვათა დეპუტატების საბჭოებს, მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში მათთან შეკავშირებით ლიბერალების წინააღმდეგ, მათთან ერთად მივცეთ ხმა სათათბიროებში ლიბერალების წინააღმდეგ და სხვა. რევოლუციამ კი არ უარყო ჩვენი შეფასება ესერებისა, არამედ დაადასტურა იგი. მაგრამ მან ეს შეფასება დაადასტურა ისე, რომ საკითხი წინანდელ მდგომარეობაში და წინანდელი სახით კი არ დასტოვა, არამედ შეუდარებლათ უფრო მაღალ ნიადაგზე გადაიტანა: წინათ საქმე ეხებოდა მხოლოდ დოქტრინებისა და იდეოლოგიების შედარებას, პატარა ჯგუფების პოლიტიკას; ახლა საქმე ეხება კლასებისა და მასების ისტორიული მოქმედების შედარებას, რომლებიც ამ იდეოლოგიას თუ მის მონათესავე იდეოლოგიას მიჰყვებიან. წინათ მხოლოდ კითხულობდნენ: მართალია თუ არა ის, რასაც ესერები ამბობენ, სწორია თუ არა ამ იდეური ორგანიზაციის ტაქტიკა? ახლა კითხვა წამოიჭრა: როგორია ნამდვილად ხალხის იმ ფენების მოქმედება, რომლებსაც ჰგონიათ,

* — ცრუ. რ ე დ.

რომ ესერებს ესოლიდარებიან ან მათს ძირითად იდეებს («შრომითი საწყისი» და სხვ.) ენათესავებიან? მენშევიკების შეცდომა ის არის, რომ მათ არ ესმით ეს ცვლილება, რომელიც რევოლუციამ გამოიწვია.

ეს ცვლილება კი, გარდა მისი ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა, უაღრესად საგულისხმოა კიდევ იმიტომ, რომ მან თვალსაჩინოდ გვიჩვენა კლასებისა და პარტიების თანაფარდობა. ჩვენი რევოლუციის გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ის პარტიები არიან ძლიერნი და გადარჩებიან ხოლმე მოვლენათა ყველა და ყოველგვარი შებრუნების დროს, რომლებიც გარკვეულ კლასებს ეყრდნობიან. აშკარა პოლიტიკური ბრძოლა იძულებულს ხდის პარტიებს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ მასებს, ვინაიდან უამკავშიროდ პარტია არაფერია. ესერები ფორმალურად დამოუკიდებელნი არიან ტრუდოვიკებისაგან. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კი ისინი რევოლუციაში ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი იყვნენ ერთად ევლოთ, რადგან უამისოდ პოლიტიკური სცენიდან სავსებით გაქრობა ემუქრებოდათ. და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ შემდგომი რევოლუციური აღმავლობისას ესერები კვლავ იძულებული იქნებიან (რაც უნდა იყვირონ მათ ახლა თავის სრულ დამოუკიდებლობაზე) იარონ ტრუდოვიკებთან ან მასების ისეთ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც ტრუდოვიკებისას ემსგავსებიან. საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კლასების ბრძოლის ობიექტური პირობები კეთილ სურვილებზე და დაწერილ პროგრამებზე უფრო ძლიერია. ამ თვალსაზრისით — ერთადერთი სწორი თვალსაზრისით — ტრუდოვიკებისა და ესერების ახლანდელი დაშორება არის მხოლოდ რღვევა წვრილბურჟუაზიული მოძრაობისა, არის მხოლოდ მერყეობა წვრილი ბურჟუებისა, რომლებსაც უნარი არ შესწევთ ძნელ გარემოებაში შეინარჩუნონ თავისი დარაზმულობა და რომლებიც «ცალ-ცალკე დაყიალობენ». ერთი მხრივ, ჩვენს წინაშე არიან ტრუდოვიკები, არაორგანიზებულნი, არამტკიცენი, მერყევნი, III სათათბიროში

ყოველგვარ მტკიცე პოლიტიკურ მიმართულებას მოკლებულნი, მაგრამ, უეჭველად, მასიდან გამოსულნი, მასასთან დაკავშირებულნი, მასის საჭიროებათა გამომხატველნი. მეორე მხრივ — ერთი მუჭა ესერი «ოტზოვისტები», რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ მასასთან და სასოწარკვეთილებით აქეთ-იქით აწყდებიან, კარგავენ მასობრივი ბრძოლის რწმენას (იხ. «რევოლუციონნაია მისლ»), მთელ ძალღონეს ანდომებენ ტერორს. ტრუდოვიკების უკიდურესი ოპორტუნიზმი (რევოლუციური გლეხობის მდგომარეობის თვალსაზრისით) და ესერების უკიდურესი, მხოლოდ სიტყვიერი და უაზრო რევოლუციონარიზმი, — ეს არის ერთი და იგივე წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობის ორი შეზღუდულობა, «ორი ფლუსი», რომელნიც გამოხატავენ ერთ «სენს»: წვრილი ბურჟუაზიის მერყეობას, სისტემატური, შეუპოვარი, მტკიცე და ერთსულოვანი მასობრივი ბრძოლის წარმოების უუნარობას.

რევოლუციური პარტიების ახლანდელ ტაქტიკას სათათბიროში და, კერძოდ, ოტზოვიზმის საკითხს ეს გარემოება ახალ შუქსა ჰფენს. «ჩვენ არა გვაქვს ბრძოლის პარლამენტური გზებიო», — გაჰყვირიან ტრაბახა ინტელიგენტები — ესერები. ვის «ჩვენ», ბატონებო? ინტელიგენციას უ მ ა ს ე ბ ო დ არასოდეს არა ჰქონია და არასოდეს არ ექნება ბრძოლის არც პარლამენტური, არც სერიოზული პარლამენტგარეშე საშუალებანი. და რა მასები მიდიოდნენ თქვენთან ერთად ან თქვენს ახლოს გუშინ, რევოლუციის დროს? ტრუდოვიკური გლეხობა. განა მართალია, რომ მ ა ს «არა აქვს ბრძოლის პარლამენტური საშუალებანი»? არ არის მართალი. დააკვირდით III სათათბიროში გამართულ აგრარულ კამათს და დაინახავთ, რომ ტრუდოვიკებმა, უეჭველია, აქ გამოხატეს მასების საჭიროებანი. მაშასადამე, ესერების მკვახე სიტყვა უგვანო ფრაზიორობაა და მეტი არაფერი. გლეხთა მასებმა 1908 წელს სათათბიროს ტრიბუნაზე გამოხატეს თ ა ვ ი ს ი საჭიროებანი, «პარლამენტგარეშე» კი ისინი არ

იბრძოდნენ. ეს ფაქტია, რომელსაც ესერულ-ოტზოვისტური ფრაზების ვერავითარი «მემარცხენე» წკმუილითა და წამოძახებით ვერ დააღწევ თავს.

რა არის ამ ფაქტის მიზეზი? ის ხომ არა, რომ შესუსტდა პარლამენტგარეშე გზების უპირატესობის «რწმენა»? ეს მხოლოდ ჩმახვაა. მიზეზი ის არის, რომ ობიექტურ პირობებს ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ გამოუწვევიათ მასების ფართო მღელვარება და მათი უშუალო გამოსვლა. რაკი ასეა, — ეს კი უეჭველად ასეა, — ყოველი სერიოზული პარტიის მოვალეობა იყო გამოეყენებინა მ ე შ ვ ე ო ბ ი თ ი გზებიც. რა გამოუვიდათ ესერებს იმის გამო, რომ მათ უნარი არ შესწევთ ასეთი გზები გამოიყენონ? მხოლოდ ის, რომ ტრუდოვიკებმა თავისი საქმე მეტისმეტად უხეიროდ გააკეთოს, ათასჯერ მეტი შეცდომა ჩაიდინეს, ვიდრე ჩაიდენდნენ მათზე პარტიის ზემოქმედების დროს, ტორტმანობდნენ და ძალიან ხშირად ეცემოდნენ. ესერებმა კი, რომლებიც მოსწყდნენ თავის კლასს, თავის მასებს, «მთელი ძალღონე მოანდომეს» ფრაზიორობას, ვინაიდან «ბრძოლის პარლამენტგარეშე საშუალებებისათვის» მათ 1908 წელს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ა რ ა ფ ე რ ი არ გაუკეთებიათ. ეს მოწყვეტილობა თავისი სოციალური ფესვისაგან მაშინვე იწვევს ესერებში იმას, რომ მწვავდება მათი თანდაყოლილი ცოდვა: უზომო, თავაშვებული ტრაბახი, კვეხნა, რომელიც უძლურებას ჰფარავს. «ჩვენს პარტიას შეუძლია მიულოცოს თავის თავსაო», — ვკითხულობთ «უწყების» 1-ლ გვერდზე... არჩევა საკონფერენციოდ «რეალურად არსებული» (აი რა ბიჭები ვართ!) «ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ»... «ყველა საკითხში მიღწეული იყო სულისკვეთების ერთიანობა»... «ეს იყო სწორედ ერთსულოვნების მიღწევა» (იქვე) და სხვ.

ეს მართალი არ არის, ბატონებო. სიტყვების ამ რახარუხით თქვენ მალავთ უთანხმოებას, რამაც სავსებით იჩინა თავი «რევოლუციონნაია მისლშიც» (1908 წ. გაზაფხული) და «ზნამია ტრუდას» მე-13 ნომერშიც (1908 წ. ნოემბერი).

ეს ხმაური სისუსტის ნიშანია. ტრუდოვიკების უპარტიო ოპორტუნიზმიც და ესერების «პარტიული» ტრაბახობაც, უნიადაგობა, ფრაზა — ერთი მედალის ორი მხარეა, ე რ თ ი ა ნ ი წვრილბურჟუაზიული ფენის რღვევის ორი უკიდურესობაა. ტყუილად კი არ იყო, რომ რევოლუციის დროს, როდესაც ბრძოლამ ყველა ელფერი გამოააშკარავა, ესერები სულ მუდამ მალავდნენ თავის ქანაობას სახალხო სოციალისტებსა და მაქსიმალისტებს შორის, მაგრამ ვერ შესძლეს მისი დამალვა.

ურემი თხრილშია გადავარდნილი. ცხენები გამოშვებულან. ფორეიტორი კუნძზე შემჯდარა, ქუდი გვერდზე მოუგდია და თავისთავს «ულოცავს» «ერთსულოვნებას». აი ესერთა პარტიის სურათი. აი შედეგები ესერული ოტზოვიზმისა, რომელსაც ერთი მუჭა ინტელიგენტები გაუწვევია ფუჭი ხმაურის ასატეხად, ნაცვლად იმისა, რომ აწარმოონ მძიმე, შეუპოვარი, მაგრამ ერთადერთი სერიოზული და მადლიანი მუშაობა მასების აღზრდისა და ორგანიზებისათვის.

«პროლეტარი» № 41,
1909 წ. 7 (20) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

გზაზე

რღვევის წელი, იდეურ-პოლიტიკური დაქსაქსულობის წელი, პარტიული უგზოობის წელი განვლილია. პარტიის ორგანიზაციები ყველანი შემცირდნენ წევრთა რიცხვის მხრივ, ზოგიერთნი — სწორედ ისეთნი, რომელნიც ყველაზე ნაკლებად შესდგებოდნენ პროლეტარებისაგან, — დაიშალნენ. პარტიის ნახევრად აშკარა დაწესებულებანი, რომლებიც რევოლუციამ შექმნა, მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ პარტიის შიგნით ზოგიერთი ელემენტებისათვის, რომელნიც რღვევის გავლენას დაემორჩილნენ, კითხვად იქცა, საჭიროა თუ არა შეინარჩუნონ წინანდელი სოც.-დემოკრატიული პარტია, საჭიროა თუ არა განაგრძონ მ ი ს ი საქმე, საჭიროა თუ არა ისევ იატაკქვეშეთში გადავიდნენ და როგორ უნდა ქნან ეს, — და ამ კითხვას უკიდურესი მემარჯვენენი იმ აზრით უპასუხებდნენ, რომ უცილობლად საჭიროა ლეგალიზაცია თუნდაც პარტიულ პროგრამაზე, ტაქტიკასა და ორგანიზაციაზე აშკარად ხელის აღების ფასადაც კი (ეგრეთწოდებული ლიკვიდატორული მიმდინარეობა). კრიზისი, უეჭველია, არა მარტო ორგანიზაციული იყო, არამედ იდეურ-პოლიტიკურიც.

ახლახან შემდგარ რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციას პარტია გზაზე გამოჰყავს, და ეს კონფერენცია, ეტყობა, წარმოადგენს მობრუნების პუნქტს რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარებაში კონტრრევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ

ПАРИЖЪ, Среда 28/10 Февраля 1909 г. № 2.

РОССІЙСКАЯ СОЦ. ДЕМОКРАТИЧ. РАБОЧАЯ ПАРТІЯ. ПРОЛЕТАРІИ ВСѢХЪ СТРАНЪ СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОРГАНЪ РОССІЙСКОЙ СОЦІАЛЬДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РАБОЧЕЙ ПАРТІИ

СОЦІАЛЬДЕМОКРАТЪ

LE SOCIAL-DÉMOCRATE

Organe Central du Parti Social-Démocrate Ouvrier en Russie

На дорогу.

[illegible]

[illegible]

[illegible]

გამოცემულ განსაკუთრებულ «უწყებაში» დაბეჭდილი კონფერენციის გადაწყვეტილებანი დამტკიცებულია ცენტრალური კომიტეტის მიერ და, მაშასადამე, წარმოადგენენ მთელი პარტიის გადაწყვეტილებებს შემდეგ ყრილობამდე. ამ გადაწყვეტილებებში მოცემულია სავსებით გარკვეული პასუხი კითხვაზე, თუ როგორია კრიზისის მიზეზები და მნიშვნელობა, აგრეთვე რა საშუალებებით დავაღწიოთ მას თავი. ჩვენი ორგანიზაციები, თუ იმუშავებენ კონფერენციის რეზოლუციების სულისკვეთებით, თუ ეცდებიან, რომ ყ ვ ე ლ ა პარტიულმა მუშაკმა ნათლად და სავსებით შეიგნოს პარტიის ახლანდელი ამოცანები, შესძლებენ განამტკიცონ და დარაზმონ თავისი ძალები შეწყობილი და ცოცხალი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის.

პარტიის კრიზისის ძირითადი მიზეზი ნაჩვენებია საორგანიზაციო საკითხებზე მიღებული რეზოლუციის მოტივებში. ეს ძირითადი მიზეზი მდგომარეობს მუშათა პარტიის წმენდაში მერყევი ინტელიგენტური და წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან, რომლებიც მუშათა მოძრაობას მიემხრნენ, უმთავრესად, იმის იმედით, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ახლო ხანში გაიმარჯვებდა და რომლებმაც ვერ გასძლეს რეაქციის პერიოდში. უმტკიცობამ თავი იჩინა პარტიის თეორიის დარგშიც («რევოლუციური მარქსიზმისაგან გადახვევა»: რეზოლუცია თანამედროვე მომენტის შესახებ), ტაქტიკის დარგშიც («ლოზუნგების შეკვეცა») და საორგანიზაციო პოლიტიკის დარგშიც. შეგნებული მუშები წინაღუდგნენ ამ უმტკიცობას, გადაჭრით გამოვიდნენ ლიკვიდატორების წინააღმდეგ, კისრულობდნენ პარტიული ორგანიზაციების საქმეთა გაძღოლას და მათს ხელმძღვანელობას. თუ ჩვენი პარტიის ამ ძირითადმა ბირთვმა ერთბაშად ვერ შესძლო დაქსაქსულობისა და კრიზისის ელემენტების დაძლევა, ეს არა მარტო იმიტომ, რომ დიდი და ძნელი იყო ამოცანა კონტრრევოლუციის გამარჯვების დროს, არამედ იმიტომაც, რომ ერთგვარმა გულგრილობამ პარტიისადმი თავი

იჩინა იმ მუშების წრეში, რომლებიც რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ რომლებსაც საკმაო სოციალისტური შეგნება არა ჰქონდათ. რუსეთის სწორედ შეგნებული მუშებისადმია უწინარეს ყოვლისა მიმართული კონფერენციის გადაწყვეტილებანი, როგორც სოციალ-დემოკრატიის ჩამოყალიბებული აზრი დაქსაქსულობასთან და მერყეობასთან ბრძოლის საშუალებებზე.

კლასების ახლანდელი ურთიერთობისა და ცარიზმის ახალი პოლიტიკის მარქსისტული ანალიზი; — მითითება ბრძოლის უახლოესი მიზნისა, რომელსაც წინანდებურად ისახავს ჩვენი პარტია; — შეფასება რევოლუციის გაკვეთილებისა რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის სისწორის საკითხში; — პარტიული კრიზისის მიზეზთა გამორკვევა და ამ კრიზისთან ბრძოლაში პარტიის პროლეტარული ელემენტის როლის აღნიშვნა; — არალეგალური და ლეგალური ორგანიზაციის თანაფარდობის საკითხის გადაწყვეტა; — სათათბიროს ტრიბუნის გამოყენების აუცილებლობის აღიარება და ზუსტ სახელმძღვანელო მითითებათა შემუშავება სათათბიროს ჩვენი ფრაქციისათვის მისი შეცდომების აშკარა კრიტიკასთან დაკავშირებით, — ასეთია მთავარი შინაარსი კონფერენციის გადაწყვეტილებებისა, რომლებიც იძლევიან სრულ პასუხს მუშათა კლასის პარტიის მიერ ახლანდელ მძიმე დროს მტკიცე გზის არჩევის საკითხზე. განვიხილოთ უფრო ყურადღებით ეს პასუხი.

კლასების ურთიერთობა მათს პოლიტიკურ დაჯგუფებაში ისეთივე რჩება, როგორიც დამახასიათებელია მასების პირდაპირი რევოლუციური ბრძოლის გამოვლილი პერიოდისათვის. გლეხობის დიდი უმრავლესობა არ შეიძლება არ ესწრაფოდეს ისეთ აგრარულ გადატრიალებას, რომელიც მოსპობდა ნახევრადბატონყმურ მიწათმფლობელობას და რომელიც განუხორციელებელია მეფის ძალაუფლების დაუმხობლად. რეაქციის გამარჯვებამ განსაკუთრებით ძლიერ დათრგუნა დემოკრატიული ელემენტები გლეხობისა, რო-

მელსაც არა აქვს მტკიცე ორგანიზაციის უნარი, მაგრამ მთელი ჩაგვრის მიუხედავად, შავრაზმული სათათბიროს მიუხედავად, ტრუდოვიკების უკიდურესი უმტკიცობის მიუხედავად, გლეხთა მასების რევოლუციურობა ნათლად ჩანს III სათათბიროში გამართული კამათიდანაც კი. პროლეტარიატის ძირითადი პოზიცია რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანების მიმართ უცვლელი რჩება: უხელმძღვანელოს დემოკრატიულ გლეხობას, ჩამოაშოროს იგი ლიბერალური ბურჟუების გავლენას, კადეტთა პარტიის გავლენას, პარტიისა, რომელიც, მიუხედავად წვრილმანი კერძო დავისა, განაგრძობს ოქტიაბრისტებთან დაახლოებას და, სულ ბოლო დროს, ცდილობს შექმნას ნაციონალ-ლიბერალიზმი, მხარი დაუჭიროს ცარიზმსა და რეაქციას შოვინისტური აგიტაციის გზით. ბრძოლა წინანდებურად მიმდინარეობს, — ამბობს რეზოლუცია, — მონარქიის სრული მოსპობისათვის და პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის.

თვითმპყრობელობა წინანდებურად დგას, როგორც პროლეტარიატისა და მთელი დემოკრატიის მთავარი მტერი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ იგი წინანდელი რჩება. სტოლიპინის «კონსტიტუცია» და სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა მოასწავებენ ძველი ნახევრადპატრიარქალური, ნახევრადბატონყმური ცარიზმის რღვევის ახალ ეტაპს, ახალ ნაბიჯს მისი ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. კავკასიის დელეგატები, რომლებსაც სურდათ ან სავსებით ამოეგდოთ მომენტის ასეთი დახასიათება, ან დაესვათ «პლუტოკრატიული» ნაცვლად «ბურჟუაზიულისა», არასწორ თვალსაზრისზე იდგნენ. თვითმპყრობელობა დიდი ხანია პლუტოკრატიული იყო, ბურჟუაზიული კი — თავისი აგრარული პოლიტიკითა და ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებთან პირდაპირი, საერთო-ნაციონალური მასშტაბით ორგანიზებული კავშირის გამო — იგი ხდება მხოლოდ რევოლუციის პირველი ეტაპის შემდეგ, მისი იერიშების გავლენით. თვითმპყრობე-

ლობა ძველთაგანვე ასაზრდოებდა ბურჟუაზიას, ბურჟუაზია ძველთაგანვე ფულით გზასაც იკაფავდა «ზედაფენებისაკენ», გავლენასაც იძენდა კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაზე, ადგილებსაც იკავებდა კეთილშობილი თავადაზნაურობის გვერდით, მაგრამ ახლანდელი მომენტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თვითმპყრობელობა იძულებული გახდა შეექმნა საწარმომადგენლო დაწესებულება ბურჟუაზიის განსაზღვრული ფენებისათვის, იძულებული გახდა ექანავნა მათსა და მებატონეებს შორის, მოეწყო სათათბიროში ამ ფენების კავშირი, იძულებული გახდა გამოსთხოვებოდა გლეხის პატრიარქალობის ყოველგვარ იმედს და ეძებნა დასაყრდენი სოფლის მასის წინააღმდეგ ბობოლებთან, რომლებიც აჩანაგებენ თემს.

თვითმპყრობელობა ვითომდა კონსტიტუციურ დაწესებულებათა ნიღაბს ეფარება, მაგრამ ამავე დროს სინამდვილეში ვიღებთ მისი კლასობრივი არსის ჯერ კიდევ არნახულ მხილებას იმის მეოხებით, რომ მეფეს კავშირი აქვს პურიშკევიჩებთან და გუჩკოვებთან, და მხოლოდ მათთან. თვითმპყრობელობა ცდილობს იკისროს ბურჟუაზიული რევოლუციის ობიექტურად აუცილებელი ამოცანების გადაწყვეტა — შექმნას სახალხო წარმომადგენლობა, რომელიც მართლაც უნდა განაგებდეს ბურჟუაზიული საზოგადოების საქმეებს, და გაწმინდოს შუასაუკუნებრივი, დახლართული და დახავსებული აგრარული ურთიერთობა სოფლად; მაგრამ სწორედ პრაქტიკული შედეგი თვითმპყრობელობის ახალი ნაბიჯებისა დღემდე ნულს უდრის, და ეს მხოლოდ კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ცხადყოფს, რომ საჭიროა სხვა ძალები და სხვა საშუალებანი ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად. პოლიტიკაში გამოუცდელი მილიონიანი მასების შეგნებაში თვითმპყრობელობა დღემდე უპირისპირდებოდა სახალხო წარმომადგენლობას საერთოდ; ახლა ბრძოლა კვეცავს თავის მიზანს, უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს თავის ამოცანას, როგორც სახელმწიფოში ძალაუფლებისათვის ბრძოლას, რომელიც

განსაზღვრავს თვით წარმომადგენლობის ხასიათსა და მნიშვნელობას. აი რატომ არის, რომ III სათათბირო მოასწავებს განსაკუთრებულ ეტაპს ძველი ცარიზმის რღვევაში, მისი ავანტიურულობის გაძლიერებაში, ძველი რევოლუციური ამოცანების გაღრმავებაში, ამ ამოცანებისათვის ბრძოლის სარბიელის (და ბრძოლის მონაწილეთა რიცხვის) გაფართოებაში.

ეს ეტაპი დაძლეულ უნდა იქნას; მომენტის ახალი პირობები ბრძოლის ახალ ფორმებს მოითხოვენ; სათათბიროს ტრიბუნის გამოყენება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს; პირველ რიგში დგება ხანგრძლივი მუშაობა პროლეტარიატის მასების აღზრდისა და ორგანიზაციისათვის; არალეგალური და ლეგალური ორგანიზაციის შეხამება პარტიას განსაკუთრებულ ამოცანებს უსახავს; პოპულარიზაცია და განმარტება რევოლუციის გამოცდილებისა, რევოლუციისა, რომელსაც სახელს უტეხენ ლიბერალები და ლიკვიდატორი-ინტელიგენტები, აუცილებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიზნებისათვის. მაგრამ ტაქტიკური ხაზი პარტიისა, რომელმაც უნდა შესძლოს ბრძოლის ხერხთა და საშუალებათა ახალი პირობების გათვალისწინება, უცვლელი რჩება. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის სისწორე, — ნათქვამია კონფერენციის ერთ-ერთ რეზოლუციაში — დადასტურებულია 1905 — 1907 წლების მასობრივი ბრძოლის გამოცდილებით. ამ პირველი კამპანიის შედეგად რევოლუციის დამარცხებამ გამოააშკარავა არა ამოცანების უსწორობა, არა უახლოესი ამოცანების «უტოპიურობა», არა საშუალებათა და ხერხთა მცდარობა, არამედ ძალთა არასაკმაო მომზადება, რევოლუციური კრიზისის არასაკმაო სიღრმე და სიფართოე, — ხოლო მისი გაღრმავებისა და გაფართოებისათვის სტოლიპინი და კომპანია ფრიად საქები გულმოდგინებით მუშაობენ! დაე, ლიბერალები და თავგზააბნეული ინტელიგენტები თავისუფლებისათვის გაჩაღებული პირველი ნამდვილი მასობრივი ბრძოლის შემდეგ სულით

დაეცნენ და ლაჩრულად იძახონ: ნუ ივლით იქით, სადაც ერთხელ დამარცხდით, ნუ დაადგებით კვლავ ამ საბედისწერო გზასაო. შეგნებული პროლეტარიატი მათ უპასუხებს: დიდი ომები ისტორიაში, რევოლუციების დიდი ამოცანები მხოლოდ იმით წყდებოდა, რომ მოწინავე კლასები არა ერთხელ და არა ორჯერ იმეორებდნენ თავის იერიშს და, დამარცხებათა გამოცდილებით გამობრძმედილნი, აღწევდნენ გამარჯვებას. დამარცხებული არმიები კარგად სწავლობენ. რუსეთის რევოლუციური კლასები დამარცხდნენ პირველ კამპანიაში, მაგრამ რევოლუციური მდგომარეობა რჩება. ახალი ფორმებითა და სხვა გზით — ზოგჯერ გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე ეს ჩვენა გვსურს — რევოლუციური კრიზისი ერთხელ კიდევ ახლოვდება, კვლავ მწიფდება. ჩვენ უნდა შევასრულოთ ხანგრძლივი მუშაობა ამ კრიზისისათვის უფრო ფართო მასების მომზადებისა, უფრო სერიოზული მომზადებისა, რომელიც გაითვალისწინებს უფრო მაღალსა და უფრო კონკრეტულ ამოცანებს, და, რაც უფრო წარმატებით შესრულდება ეს მუშაობა, მით უფრო უტყუარი იქნება გამარჯვება ახალ ბრძოლაში. რუსეთის პროლეტარიატს შეუძლია იამაყოს იმით, რომ 1905 წელს მისი ხელმძღვანელობით მონების ერი პირველად გადაიქცა ცარიზმზე თავდამსხმელ მილიონთა ლაშქრად, რევოლუციის არმიად. და იგივე პროლეტარიატი შესძლებს ახლა მტკიცედ, ურყევად, მოთმინებით შეასრულოს უფრო მძლავრი რევოლუციური ძალღონით აღჭურვილი ახალი კადრების მომზადებისა და აღზრდის მუშაობა.

სათათბიროს ტრიბუნის გამოყენება, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელ შემადგენელ ნაწილად შედის აღზრდისა და მომზადების ამ მუშაობაში. კონფერენციის რეზოლუცია სათათბიროს ფრაქციის შესახებ ჩვენს პარტიას მიუთითებს იმ გზას, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება — თუ ისტორიაში მაგალითების ძებნას დავიწყებთ — გერმანელი სოციალ-დემოკრატების გამოცდილებას განსაკუთრებული კანონის დროს. არალეგალურმა პარტიამ უნდა შესძლოს

სათათბიროს ლეგალური ფრაქციის გამოყენება, უნდა ისწავლოს მისი გამოყენება, უნდა აღზარდოს ამ ფრაქციისაგან თავისი ამოცანების სიმაღლეზე მდგომი პარტიული ორგანიზაცია. უაღრესად მცდარი ტაქტიკა, უაღრესად სამწუხარო გადახვევა იქნებოდა მტკიცე პროლეტარული მუშაობიდან, რომელსაც ახლანდელი მომენტის პირობები გვიკარნახებენ, რომ დაგვესვა ფრაქციის უკან გაწვევის საკითხი (კონფერენციაზე იყო ორი «ოტზოვისტი», რომლებსაც ეს საკითხი პირდაპირ არ დაუსვამთ) ან უარი გვეთქვა მისი შეცდომების პირდაპირსა და აშკარა კრიტიკაზე, ამ შეცდომების ჩამოთვლაზე რეზოლუციაში (კონფერენციაზე ამას ცდილობდა ზოგიერთი დელეგატი). რეზოლუცია სავსებით აღიარებს, რომ ფრაქციას ჰქონდა ისეთი შეცდომებიც, რომლებისთვისაც მარტო იგი როდია პასუხისმგებელი და რომლებიც სავსებით ჰგავს ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის გარდუვალ შეცდომებს. მაგრამ არის სხვა შეცდომები — გადახვევანი პარტიის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ხ ა ზ ი დ ა ნ. რაკი ამ გადახვევებს ადგილი ჰქონდა, რაკი ისინი დაუშვა ორგანიზაციამ, რომელიც აშკარად გამოდის მთელი პარტიის სახელით, — პარტია ვალდებული იყო ნათლად და ზუსტად ეთქვა, რომ ეს იყო გადახრები. დასავლეთ ევროპის სოციალისტური პარტიების ისტორიაში არა ერთხელ ყოფილა მაგალითები პარლამენტური ფრაქციების არანორმალური დამოკიდებულებისა პარტიასთან; დღევანდლამდე რომანულ ქვეყნებში ეს ურთიერთობა ძალიან ხშირად არის არანორმალური, ფრაქციები არასაკმაოდ პარტიულნი არიან. ჩვენ ერთბაშად და სხვანაირად უნდა დავაყენოთ სოციალ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის შექმნის საქმე რუსეთში, ერთბაშად უნდა შევუდგეთ ერთსულოვან მუშაობას ამ დარგში, — რათა ყოველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ნამდვილად გრძნობდეს, რომ პარტია დგას მის ზურგს უკან, გულისტკივილით განიცდის მის შეცდომებს, ზრუნავს მისი გზის გამოსწორებისათვის, რათა ყოველი პარტიული მუშაკი მონაწილეობდეს პარტიის საერთო მუშაობაში, სათათბიროს ხაზით, სწავლობდეს პარტიის ნაბი-

ჯების საქმიანი მარქსისტული კრიტიკით, გრძნობდეს, რომ ის ვალდებულია დაეხმაროს მას, ცდილობდეს, რომ ფრაქციის სპეციალური მუშაობა დაექვემდებაროს პარტიის მთელ საპროპაგანდო და სააგიტაციო მოღვაწეობას.

კონფერენცია იყო პარტიის უდიდესი ორგანიზაციების დელეგატთა პირველი ავტორიტეტული კრება, რომელმაც განიხილა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოქმედება მთელი სესიის განმავლობაში. და კონფერენციის გადაწყვეტილება ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ დააყენებს სათათბიროში თავის მუშაობას ჩვენი პარტია, თუ რა სასტიკ მოთხოვნებს უყენებს იგი ამ დარგში თავისთავსაც და ფრაქციასაც, თუ რა განუხრელი და მტკიცე მუშაობა აქვს მას განზრახული ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის აღსაზრდელად.

სათათბიროს ფრაქციასთან დამოკიდებულების საკითხს აქვს ტაქტიკური და ორგანიზაციული მხარე. ამ უკანასკნელის მხრივ რეზოლუცია სათათბიროს ფრაქციის შესახებ ისევ არის მხოლოდ გამოყენება კერძო შემთხვევის მიმართ ორგანიზაციული პოლიტიკის იმ ზოგადი პრინციპებისა, რომლებიც დაადგინა კონფერენციამ ორგანიზაციულ საკითხზე დირექტივების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში. ამ საკითხზე კონფერენციამ აღნიშნა ორი ძირითადი მიმდინარეობა რსდმ პარტიაში: ერთია მიმდინარეობა, რომელსაც სიმძიმის ცენტრი არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაზე გადააქვს, მეორეა მიმდინარეობა, — მეტად თუ ნაკლებად ლიკვიდატორობის მონათესავე, — რომელსაც სიმძიმის ცენტრი ლეგალურ და ნახევრადლეგალურ ორგანიზაციებზე გადააქვს. საქმე ის არის, რომ თანამედროვე მომენტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხასიათდება იმით, რომ პარტიას ჩამოშორდა პარტიულ მუშაკთა ერთგვარი რიცხვი, განსაკუთრებით ინტელიგენციიდან, მაგრამ ნაწილობრივ მუშებიდანაც. ლიკვიდატორული მიმდინარეობა კითხვას სვამს, უკეთესი, ყველაზე უფრო აქტიური ელემენტები სტოვებენ პარტიას და მოქმედების სარბიელად ირჩევენ ლეგალურ ორგანიზაციებს, თუ პარტიიდან მიდიან

«მერყევი ინტელიგენტური და წვრილბურჟუაზიული ელემენტები»? ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კონფერენციამ, რომელმაც გადაჭრით დაგმო და გაკიცხა ლიკვიდატორობა, ამ კითხვას უკანასკნელი აზრით უპასუხა. პარტიის ყველაზე უფრო პროლეტარული ელემენტები, ინტელიგენციის პრინციპულად ყველაზე უფრო მტკიცე და ყველაზე უფრო სოციალ-დემოკრატიული ელემენტები რსდმ პარტიის ერთგულნი დარჩნენ. პარტიიდან წასვლა არის მისი წმენდა, განთავისუფლება ყველაზე ნაკლებად მტკიცე, არასაიმედო მეგობრებისაგან, «თანამგზავრებისაგან» (Mitläufer-ებისაგან), რომლებიც ყოველთვის დროებით ემხრობოდნენ პროლეტარიატს, გამოდიოდნენ რა წვრილი ბურჟუაზიიდან ან «დეკლასირებულ», ე. ი. ისეთ ადამიანთა წრიდან, რომლებიც ამოგდებული იყვნენ ამა თუ იმ გარკვეული კლასის კალაპოტიდან.

პარტიულ-ორგანიზაციული პრინციპის ამ შეფასებიდან თავისთავად გამომდინარეობს ორგანიზაციული პოლიტიკის ხაზიც, რომელიც კონფერენციამ მიიღო. არალეგალური პარტიული ორგანიზაციის განმტკიცება, პარტიული უჯრედების შექმნა მუშაობის ყველა დარგში, უწინარეს ყოვლისა შექმნა «წმინდა პარტიული, თუნდაც მცირერიცხოვანი, მუშური კომიტეტებისა თვითეულ სამრეწველო საწარმოში», ხელმძღვანელი ფუნქციების თავმოყრა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისეთ ხელმძღვანელთა ხელში, რომელნიც თვით მუშათა წრიდან არიან გამოსულნი, — ასეთია სადღეისო ამოცანა. და, იგულისხმება, ამ უჯრედებისა და კომიტეტების ამოცანა უნდა იყოს ყველა ნახევრადლეგალური და, შეძლებისამებრ, ლეგალური ორგანიზაციის გამოყენება, «მასებთან მჭიდრო კავშირის» გაბმა, მუშაობის იმგვარად წარმართვა, რომ სოციალ-დემოკრატია ეხმაურებოდეს მასების ყველა მოთხოვნილებას. თვითეული უჯრედი და თვითეული პარტიული მუშური კომიტეტი უნდა გახდეს. «მასებში სააგიტაციო, საპროპაგანდო და პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობის დასაყრდენ პუნქტად», ე. ი. აუცილებლად უნდა მიდიოდეს იქით, საითაც მასა მიდის, და ცდილობდეს ყოველ ნაბიჯზე

წარმართოს მისი შეგნება სოციალიზმის მიმართულებით, დაუკავშიროს თვითეული კერძო საკითხი პროლეტარიატის ზოგად ამოცანებს, გადააქციოს ყოველი ორგანიზაციული წამოწყება კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი დარაზმვის საქმედ, მოიპოვოს თავისი ენერგიით, თავისი იდეური გავლენით (და, რა თქმა უნდა, არა თავისი წოდებითა და ხარისხით) ხელმძღვანელი როლი ყველა პროლეტარულ ლეგალურ ორგანიზაციაში. დაე, ეს უჯრედები და კომიტეტები ზოგჯერ მეტად მცირერიცხოვანნი იყვნენ, სამაგიეროდ მათ შორის იქნება პარტიული ტრადიციისა და პარტიული ორგანიზაციის კავშირი, გარკვეული კლასობრივი პროგრამა; და ორი — სამი პარტიული სოციალ-დემოკრატი, ამრიგად, შესძლებს კი არ გაითქვიფოს უფორმო ლეგალურ ორგანიზაციაში, არამედ გაატაროს ყოველგვარ პირობებსა, ყველა ვითარებასა და ყოველნაირ მდგომარეობაში თავისი პ ა რ ტ ი უ ლ ი ხაზი, ზეგავლენა მოახდინოს გარემო წრეზე მთელი პარტიის სულისკვეთებით და არა ჩააყლაპინოს თავი ამ წრეს.

შეიძლება დაშალონ ამა თუ იმ სახის მასობრივი ორგანიზაციები, შეიძლება დევნით საქმე გაუჭირონ ლეგალურ პროფესიულ კავშირებს, შეიძლება პოლიციური შარის მოდებით ჩაკლან მუშების ყოველგვარი აშკარა წამოწყება კონტრრევოლუციის რეჟიმის დროს, მაგრამ ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს მუშების მასობრივ თავმოყრას კაპიტალისტურ ქვეყანაში, ხოლო რუსეთი უკვე ასეთი ქვეყანა გახდა. ასე თუ ისე, ლეგალურად თუ ნახევრადლეგალურად, აშკარად თუ ფარულად მუშათა კლასი იპოვნის შემჭიდროების ამა თუ იმ პუნქტს, — ყველგან და ყოველთვის გაუძღვებიან მასებს შეგნებული პარტიული სოციალ-დემოკრატები, ყველგან და ყოველთვის შემჭიდროვდებიან ისინი მასებზე პარტიული სულისკვეთებით ზეგავლენის მოსახდენად. და სოციალ-დემოკრატია, რომელმაც აშკარა რევოლუციაში დაამტკიცა, რომ ის არის კლასის პარტია, რომელმაც შესძლო მილიონები გაეყოლებინა და ჩაება გაფიცვაშიც, 1905 წლის აჯანყებაშიც, 1906 — 1907 წლების არჩევნებშიც, ახლაც

შესძლებს დარჩეს კლასის პარტიად, მასების პარტიად, დარჩეს ავანგარდად, რომელიც უაღრესად მძიმე დროში არ მოწყდება მთელ არმიას, შესძლებს დაეხმაროს მას ამ მძიმე დროის დაძლევაში, კვლავ შეამჭიდროვოს მისი რიგები, მოამზადოს ახალ-ახალი მებრძოლები.

დაე იზეიმონ და იღმუონ შავრაზმელმა ზუბრებმა სათათბიროში და სათათბიროს გარეთ, დედაქალაქში და მიყრუებულ ადგილას, დაე იმძვინვაროს რეაქციამ, — ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამს ბრძენთა-ბრძენი ბ-ნი სტოლიპინი ისე, რომ დაცემას არ მიუახლოოს გაძრომ-გამომძრომი თვითმპყრობელობა, არ დახლართოს პოლიტიკურ შეუსაბამობათა და სისულელეთა ახალი კვანძი, არ შემატოს ახალი და ჯანღონით აღსავსე ძალები პროლეტარიატის რიგებს, გლეხთა მასის რევოლუციური ელემენტების რიგებს. პარტია, რომელიც შესძლებს განმტკიცდეს თავგამოდებული მუშაობისათვის მასებთან დაკავშირებით, მოწინავე კლასის პარტია, რომელიც შესძლებს დარაზმოს მისი ავანგარდი, პარტია, რომელიც თავის ძალებს ისე წარმართავს, რომ სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთებით ზეგავლენა მოახდინოს პროლეტარიატის ცხოვრების ყოველ გამოვლინებაზე, — ეს პარტია გაიმარჯვებს აუცილებლად.

«სოციალ-დემოკრატი» № 2,
1909 წ. 28 იანვარი (10 თებერვალი)

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სტატიის «მოკრიგი საკითხებისათვის» გამო

ეს საუცხოო სტატია ჩვენ გადმოვბეჭდეთ ცენტრალური სამრეწველო რაიონის ორგანოს — «რაბოჩეე ზნამიას» მე-7 ნომრიდან და წარმოადგენს იმავე გაზეთის მე-5 ნომერში მოთავსებული ოტზოვისტის სტატიის პასუხს. ოტზოვისტის სტატია მოთავსებული იყო სადისკუსიოდ, და მას დართული ჰქონდა «რაბოჩეე ზნამიას» რედაქციის შენიშვნა, რომ იგი ავტორს არ ეთანხმება. მე-7 ნომრის ეს სტატია რედაქციას უშენიშვნოდ დაუბეჭდავს და, მაშასადამე, თვით რედაქციის აზრს გამოხატავს.

ჩვენ «პროლეტარში» უკვე დიდი ხანია გადაჭრით გავილაშქრეთ ოტზოვიზმის წინააღმდეგ და გარკვევით აღვნიშნეთ, რომ, რამდენადაც ოტზოვიზმი უბრალო განწყობილებიდან იქცევა მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა დ, პოლიტიკის სისტემად, იმდენად იგი შორდება რევოლუციური მარქსიზმის გზას, იმდენად იგი პრინციპულად კავშირს წყვეტს ბოლშევიზმთან. მაგრამ ბოლშევიკების მოსკოვური ორგანოს ამ სტატიის შემდეგ უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ დღევანდლამდე ოტზოვიზმის საკითხს ჯერ კიდევ საკმაოდ მკვეთრად არ ვაყენებდით, ვაპატარავებდით იმ საფრთხეს, რომელიც ჩვენი ბოლშევიკური ფრაქციის პრინციპულ სიმტკიცეს ემუქრება ასეთი ოტზოვიზმის ბოლშევიზმთან შეერთების მოსურნეთაგან. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ზემოთ გადმობეჭდილი სტატიის ავტორმა ამხ. მოსკვიჩმა საკითხი ისევე მკვეთრად, ისევე გარკვეულად, ისევე პრინციპულად დააყენა, როგორც ჩვენ მას ვაყენებდით კერძო დისკუსიებში ოტზოვისტებთან: ჩვენი მოსკოვური ორგა-

ნო, რაკი ყოველდღე ხვდება ოტზოვიზმის ცოცხალ წარმომადგენლებს, რაკი ადგილობრივ ხედავს მათს პრაქტიკულ ოტზოვისტურ აგიტაციას, რომელიც დღითიდღე გვიქადის უფრო და უფრო დაშორდეს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გზას, იძულებული იყო ისე მკვეთრად და პრინციპულ-შეურიგებლად დაესვა საკითხი, როგორც იგი სრული საფუძვლით არის დასმული. ან რევოლუციური მარქსიზმი, ე. ი. რუსეთში — ბოლშევიზმი, ან ოტზოვიზმი, ე. ი. უარის თქმა ბოლშევიზმზე, ასე დასვა საკითხი მოსკოველმა ამხანაგმა. ამით ის სავსებით შეუერთდა საკითხის იმ დასმას, რომელსაც ჩვენ ვიძლეოდით ჩვენს წინასწარ კამათში ამხანაგ ოტზოვისტებთან საერთო-პარტიული კონფერენციის წინ.

ჩვენ ვიცით, რომ არიან მუშა ბოლშევიკები, რომლებიც თანაუგრძნობენ ახლა ოტზოვიზმს, მაგრამ მათთვის უმეტეს შემთხვევაში «ოტზოვიზმი» მხოლოდ სწრაფწარმავალი განწყობილებაა, რომელიც სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დიდი შეცდომებით საზრდოობს. და, რა თქმა უნდა, მათ როდი ეხება ყოველივე ის, რაც ნათქვამია ზემოთ სტატიის ავტორისა და ჩვენ მიერ. მაგრამ, რამდენადაც ოტზოვიზმს თეორიად აქცევენ, რამდენადაც მას პოლიტიკის მთელ სისტემად ხდიან, — ამას კი სჩადის პატარა ჯგუფი, რომელსაც თავი მიაჩნია «ჭეშმარიტი» რევოლუციურობის წარმომადგენლად, — ამდენად შეურიგებელი იდეურიობია საჭირო! გადმობეჭდილი სტატიის ავტორი სავსებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ ოტზოვისტის მსჯელობა «რაბოჩეე ზნამიას» მე-5 ნომერში (ეს სტატია ჩვენ გადმოვბეჭდეთ «პროლეტარის» 39-ე ნომერში) და საერთოდ ოტზოვიზმი, როგორც მიმართულება, უდრის პირუკუღმა მენშევიზმს, რომელიც ქადაგებს «მუშათა ყრილობას» და სხვ. და ის კიდევ უფრო მეტად არის მართალი, როდესაც ამბობს, რომ პრინციპული საფუძვლები, რომლებიც მოჰყავს ზოგიერთ ოტზოვისტს თავისი მიმართულების სასარგებლოდ — მათი საკუთარი პოლიტიკური შეგნების დამოუკიდებლად — ობიექტურად შეიცავენ ანარქისტ-სინდიკალის-

ტებთან ან პირდაპირ ანარქისტებთან მათი დაახლოების საფრთხეს.

მოსკოვში საკითხის დაყენებამ აშკარად გვიჩვენა, თუ რამდენად ბეცნი არიან პოლიტიკურად — მთელი თავისი კეთილი სურვილების მიუხედავად — ის ბოლშევიკები, რომლებსაც არ უნდათ იცნონ ოტზოვიზმი პრინციპულ საფრთხედ, რომლებიც აქ მხოლოდ «პრაქტიკულ უთანხმოებას» ხედავენ, ოტზოვიზმში «ჯანსაღ ბირთვს» ხედავენ, და არა მარცხნიდან მომდინარე იდეური ლიკვიდატორობის ჩანასახს.

მოსკოველი ამხანაგის სტატიამ მათ უნდა დაანახოს, რომ, როდესაც იდეურად ხელს აფარებენ ოტზოვისტებს ან მათ მიმართ თუნდაც იდეურ მეგობრულ ნეიტრალიტეტს იცავენ, ისინი ამით წყალს უშვებენ ოტზოვისტების წისქვილზე, ისინი ხდებიან მათი სამხედრო ტყვეები, ისინი ვნებენ ბოლშევიზმს.

ოტზოვიზმი არის არა ბოლშევიზმი, არამედ მისი უცუდესი პოლიტიკური კარიკატურა, რომლის გამოგონებაც კი შეეძლო ბოლშევიზმის უბოროტეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. აქ სრული სიცხადეა საჭირო. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ყველა ბოლშევიკმა, უკანასკნელ წრემდე, ნათლად შეიგნოს ოტზოვიზმის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, სავსებით გაერკვეს და დაუყენოს თავისთავს კითხვა: ხომ არ ტარდება «რევოლუციურობისა» და «მემარცხენეობის» დროშით აშკარა უარისთქმა ძველი ბოლშევიზმის სახელოვან ტრადიციებზე, როგორც იგი ჩამოყალიბდა რევოლუციის წინა ეპოქაში და რევოლუციის ქარცეცხლში.

ამ მიზნით დისკუსია დავიწყეთ «პროლეტარში» ამ საკითხებზე. ჩვენ ვათავსებდით ყველა გამოგზავნილ წერილს და გადმოვბეჭდავდით ხოლმე ყოველივეს, რასაც ამაზე წერდნენ ბოლშევიკები რუსეთში. დღევანდლამდე ჩვენ არცერთი სადისკუსიო სტატია არ უკუგვიგდია და ასევე მოვიქცევით შემდგომაც. სამწუხაროდ, ამხ. ოტზოვისტები და მათი თანამგრძნობი ამხანაგები დღევანდლამდე ცოტა მასალას

უგზავნიდნენ ჩვენს გაზეთს და საერთოდ გაურბოდნენ თავისი პრინციპული კრედოს აშკარად და სრულად გადმოცემას პრესის ფურცლებზე, ისინი «ერთმანეთს შორის» ლაპარაკს ამჯობინებდნენ. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ამხანაგს, როგორც ოტზოვისტებს, ისე ორთოდოქს ბოლშევიკებს, გააშუქონ თავისი შეხედულებანი «პროლეტარის» ფურცლებზე. თუ საჭირო იქნება, გამოგზავნილ მასალებს ჩვენ ცალკე ბროშურადაც გამოვცემთ. იდეური სიცხადე და სიმტკიცე — აი რა გვესაჭიროება, განსაკუთრებით ახლანდელ მძიმე მომენტში.

ბატონ ესერებს დავუთმოთ თავიანთი უთანხმოების მიფუჩეჩება და თავიანთი თავისათვის «ერთსულოვნების» მილოცვა იმ მომენტში, როდესაც მათ შესახებ სამართლიანად ამბობენ: მათ რაც გნებავთ, იმას სთხოვთ — დაწყებული სახალხო სოციალისტების ლიბერალიზმით და გათავებული ბომბიანი ლიბერალიზმითაო.

მენშევიკებს დავუთმოთ იდეურად შეთვისება ჩერევანინსა და კომპანიასთან. დაე მათ გამოიყენონ ორმაგი ბუხჰალტერიის სისტემა (გაემიჯნენ ჩერევანინს გერმანელთა წინაშე და ეამბორებიან რუსულ პრესაში), დაე შეეთვისოს ისინი რევოლუციური მარქსიზმის საფუძველთა იდეურ ლიკვიდატორებს, დაე მიაფუჩეჩონ მათ თავიანთი უთანხმოებანი და ამ მხრივ ისეთ ვირტუოზობამდეც კი მივიდნენ, როგორიცაა უთანხმოებათა დამალვა ქაღალდის ნაჭრის უბრალო დაწებებით (იხ. «გოლოს სოციალ-დემოკრატა», № 10 — 11), სადაც მენშევიკების უთანხმოება პლეხანოვთან «მოსპობილია» ქაღალდის უბრალო დაწებებით [105].

ჩვენს ფრაქციას არ უნდა აშინებდეს იდეური შინაგანი ბრძოლა, რაკი იგი აუცილებელია. ჩვენი ფრაქცია კიდევ უფრო განმტკიცდება ამ ბრძოლაში. მით უფრო ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ნ ი ვართ გამოვარკვიოთ ჩვენი უთანხმოებანი, რომ ფაქტიურად ჩვენი მიმდინარეობა სულ უფრო და უფრო ეტოლება მთელ ჩვენს პარტიას. ჩვენ ამხანაგ ბოლშევიკებს მოვუწოდებთ, ი დ ე უ რ ი სიცხადისაკენ და ყველა ფარული ჭორის

მოსპობისაკენ, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი. უამრავია იმის მსურველი, რომ იდეური ბრძოლა ფრიად სერიოზულ, ფრიად კარდინალურ საკითხებზე შესცვალონ წვრილმანი კინკლაობით, როგორც მოიქცნენ მენშევიკები მეორე ყრილობის შემდეგ. ბოლშევიკების წრეში ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მუშა-ბოლშევიკები ასეთ ცდებს გადაჭრით უნდა შეებრძოლონ და მოითხოვონ ერთი რამ: ი დ ე უ რ ი ს ი ც ხ ა დ ე, გ ა რ კ ვ ე უ ლ ი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა, პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ხ ა ზ ი. და სწორედ ასეთი სრული იდეური გარკვეულობის დროს შესძლებს ყველა ბოლშევიკი, რომ მათ ორგანიზაციული გამოსვლა ისევე ერთიანი, ისევე დარაზმული ჰქონდეთ, როგორც ჩვენს ფრაქციას დღევანდლამდე ყოველთვის ჰქონდა.

«პროლეტარი» № 42,
1909 წ. 12 (25) თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი ჩვენს რევოლუციაში

ზემოთ დაბეჭდილ სტატიაში ამხ. მარტოვი ეხება უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც ეხებიან პროლეტარიატისა და სოციალ-დემოკრატიის ბრძოლის მიზანს ჩვენს რევოლუციაში. სტატია ეხება ამ საკითხების ისტორიას ჩვენს პარტიაში, ეხება მათს დამოკიდებულებას მარქსიზმის საფუძვლებისადმი და ნაროდნიკობისადმი, ეხება ყველა ელფერის შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმულია ამის გამო, — ეხება საკითხის ყველა მხარეს, მაგრამ არც ერთი მხარე გამორკვეული არ არის. პასუხის არსებითად გაცემისათვის საჭიროა სისტემატურად გავაშუქოთ საკითხის ყველა მხარე.

I

დავიწყოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიერ ამ საკითხის განხილვის ისტორიით. საკითხი დასვეს 1905 წლის დამდეგს ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა. ბოლშევიკებმა იგი გადაწყვიტეს «ფორმულით»: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა (შდრ. «ვპერიოდი» [108] № 14, 1905 წლის 12 აპრილი) *. მენშევიკები გადაჭრით უარყოფდნენ ძლევამოსილი ბურჟუაზიული რევოლუციის კლასობრივი შინაარსის ასეთ განსაზღვრას. ლონდონის 1905 წლის მაისის მესამე ყრილობამ (ბოლშევიკებისამ) და იმავე დროს ჟენევაში გამართულმა მენშევიკების კონფერენ-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 8, გვ. 341 — 353. რ ე დ.

ციამ მოგვცეს პარტიის ორივე ნაწილის შეხედულებათა ოფიციალური გამოხატულება. ამასთან, მაშინდელი ეპოქის სულისკვეთების მიხედვით, რეზოლუციებში პარტიის ორივე ნაწილი აყენებდა არა თეორიულ, ზოგად საკითხს საერთოდ ბრძოლის მიზნისა და ძლევამოსილი რევოლუციის კლასობრივი შინაარსის შესახებ, არამედ უფრო ვიწრო საკითხს — დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხს. ბოლშევიკების რეზოლუცია ამბობს: ...«დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელება რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ ძლევამოსილი სახალხო აჯანყების შედეგად, რომლის ორგანო იქნება დროებითი რევოლუციური მთავრობა; ...ძალთა თანაფარდობისა და სხვა ფაქტორების მიხედვით, რომელთა ზუსტი წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია, დასაშვებია დროებითს რევოლუციურ მთავრობაში ჩვენი პარტიის რწმუნებულთა მონაწილეობა ყოველ კონტრრევოლუციურ ცდასთან ულმობელი ბრძოლისა და მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების დაცვის მიზნით». მენშევიკების რეზოლუცია: ...«სოციალ-დემოკრატია მიზნად არ უნდა ისახავდეს ხელში ჩაიგდოს ან გაიზიაროს ძალაუფლება დროებითს მთავრობაში, არამედ უნდა რჩებოდეს უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად».

აქედან ჩანს, რომ თავის ოფიციალურ რეზოლუციაში თვითონ ბოლშევიკებს წმინდა ბოლშევიკურ ყრილობაზე არ შეაქვთ არაფერი მსგავსი «ფორმულისა»: პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა, არამედ ლაპარაკობენ მხოლოდ იმაზე, რომ დასაშვებია დროებითს მთავრობაში მონაწილეობა და რომ პროლეტარიატი «მოწოდებულია» «შეასრულოს ხელმძღვანელი როლი» (რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ). «ფორმულა»: «პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა», გამოთქმული ბოლშევიკურ პრესაში III ყრილობამდე, განმეორებულია ბროშურაში «ორი ტაქტიკა» * ამ ყრილობის

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 9, გვ. 1 — 162. რედ.

შემდეგ, და არც ერთ კაცს აზრად არ მოსვლია ბრალი დაედო ბოლშევიკებისათვის: თქვენი კომენტარები თქვენს რეზოლუციებს არ შეესაბამებიანო. არც ერთ კაცს არ მოსვლია აზრად მოეთხოვა, რომ ერთმანეთს სიტყვასიტყვით დამთხვეოდა პოლიტიკურად მებრძოლი მასობრივი პარტიის რეზოლუციები და ძლევამოსილი რევოლუციის კლასობრივი შინაარსის მარქსისტული განსაზღვრის ფორმულები.

მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა ჩვენი ისტორიული ცნობიდან: 1905 წლის გაზაფხულზე პარტიის ორივე ნაწილი სადავო საკითხის სიმძიმის ცენტრს საზღვრავდა პროლეტარიატისა და რევოლუციური კლასების მიერ ძალაუფლების დაპყრობით საერთოდ, და სრულიად არ ეხებოდა საკითხს, თუ როგორი შეიძლება ან უნდა იყოს ამასთან ძალაუფლების ამ დამპყრობი კლასების ურთიერთობა. მენშევიკები, როგორც ვნახეთ, თანაბრად უარყოფენ ძალაუფლების დაპყრობის მიზანსაც და მისი გაზიარების მიზანსაც. ბოლშევიკები ლაპარაკობენ «პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლზე რევოლუციაში» (რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ), დროებითს მთავრობაში სოც.-დემოკრატების მონაწილეობის «დაშვებაზე», იმაზე, რომ «განუხრელად იქნას დაცული დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც ისწრაფის სრული სოციალისტური გადატრიალებისაკენ» (რეზოლუცია დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ), ლაპარაკობენ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის «მხარის დაჭერაზე», «გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსის გაწმენდაზე ყოველგვარი რეაქციული ნარევისაგან», იმაზე, რომ «განვავითაროთ გლეხთა რევოლუციური თვითშეგნება და ბოლომდე მივიყვანოთ მათი დემოკრატიული მოთხოვნები» (რეზოლუცია გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ). არავითარი სხვა «ფორმულა» პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობაზე 1905 წლის ბოლშევიკური ყრილობის რეზოლუციებში არ არის.

გადავიდეთ რეზოლუციების პროექტებზე, რომლებიც შეიმუშავა ორივე ფრაქციამ ერთი წლის შემდეგ, სტოკჰოლმის ყრილობის წინ. ამ პროექტებს ძალიან ხშირად ივიწყებენ ან უგულებელყოფენ პრესაში საერთოდ და ჩვენს პარტიაში კერძოდ, და ეს განსაკუთრებით სამწუხაროა, რადგან დიდია მათი მნიშვნელობა სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკური იდეების ისტორიაში. სწორედ რეზოლუციების ეს პროექტები გვიჩვენებენ, თუ რა გაკვეთილები გამოიტანა 1905 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის ბრძოლის გამოცდილებიდან პარტიის ორივე ნაწილმა.

ბოლშევიკები რეზოლუციის პროექტში პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ წერენ: ...«დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს იმ პირობით, თუ იგი, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, თან გაიყოლიებს გლეხობის მასას, პოლიტიკურ შეგნებულობას მისცემს მის ბრძოლას მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ» (განმეორებულია რეზოლუციის პროექტში ლონდონის ყრილობისათვის, იხ. «პროლეტარი» № 14, 1907 წ. 4 მარტი *).

ამრიგად, «ფორმულა», რომელიც აქ თვითონ ბოლშევიკებმა აირჩიეს თავისთვის, ამბობს: პროლეტარიატი, რ ო მ ე ლ ი ც გ ა ი ყ ო ლ ი ე ბ ს გლეხობას. არავითარი სხვა ფორმულა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის იდეის გამოსახატავად ბოლშევიკების რეზოლუციებში არ არის. ამ ფაქტს საკმაოდ ძლიერ უნდა გაესვას ხაზი, რადგან მის დავიწყებაზე ან მიჩქმალვაზეა დამყარებული. ამხ. მარტოვის ცდა — სრულიად არასწორად წარმოგვიდგინოს 1908 წლის დეკემბრის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის მნიშვნელობა.

მენშევიკები თავის რეზოლუციის პროექტში (გადმობეჭდილია «პარტიული უწყებებიდან» [107] ლენინის «მოხსენებაში»,

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 12, გვ. 154. რ ე დ.

გვ. 68 — 70) პროლეტარიატის ამოცანად თვლიან «იყოს ბურჟუაზიული რევოლუციის მამოძრავებელი» — დააკვირდით: არა «ბელადი», არა «ხელმძღვანელი», როგორც ნათქვამია ბოლშევიკურ რეზოლუციაში, არამედ მამოძრავებელი! — და მის ამოცანებს შორის აღნიშნავენ «მასობრივი მიწოლით მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიული დემოკრატიის იმ ოპოზიციურ ნაბიჯებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ჩვენს პროგრამულ მოთხოვნებს, შეუძლიათ ხელი შეუწყონ მათს მიღწევას და გახდნენ რევოლუციის შემდგომი წინსვლის გამოსავალ წერტილად».

მაშასადამე, უთანხმოება თვით ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციების მიერ განსაზღვრულია დაპირისპირებით: რევოლუციის «ბელადი» და «ხელმძღვანელი», «რომელიც გაიყოლიებს» გლეხობას, თუ «რევოლუციის მამოძრავებელი», რომელიც «მხარს დაუჭერს» ბურჟუაზიული დემოკრატიის ამა თუ იმ ნაბიჯს. დავძენთ, რომ სტოკჰოლმის ყრილობაზე გამარჯვებულმა მენშევიკებმა ეს რეზოლუცია თ ვ ი თ ო ნ მ ო ხ ს ნ ე ს, ბოლშევიკების პროტესტებისა და დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად. რატომ ქნეს ეს მენშევიკებმა, — ამ კითხვის პასუხი მკითხველს შეუძლია იპოვნოს, თუ ის გაეცნობა მენშევიკების რეზოლუციის იმავე პროექტის შემდეგ ადგილს: «მიზანშეწონილი შესრულება ამოცანისა — იყოს ბურჟუაზიული რევოლუციის მამოძრავებელი, პროლეტარიატისათვის შესაძლებელია მხოლოდ იმ გზით, რომ პროლეტარიატი, როცა თვითონ ირაზმება, თავისი ბრძოლით ქალაქის ბურჟუაზიისა და გლეხობის სულ ახალ-ახალ ფენებს აბამს რევოლუციურ ბრძოლაში, დემოკრატიულს ხდის მათს მოთხოვნებს, ხელს უწყობს მათს ორგანიზებას და ამით ქმნის რევოლუციის გამარჯვების პირობებს».

ეს არის აშკარა სანახევრო დათმობა ბოლშევიკებისადმი, რადგან პროლეტარიატი აქ წარმოდგენილია არა მარტო როგორც მამოძრავებელი, არამედ, ნაწილობრივ მაინც, როგორც ხელმძღვანელი, რადგან იგი «აბამს» და «ხელს უწყობს» გლეხობას და ქალაქის ბურჟუაზიის ახალ ფენებს.

შემდეგ. დროებითი მთავრობის საკითხზე მენშევიკური რეზოლუციის პროექტი ამბობს: «სოციალ-დემოკრატიამ, ქვეყნის საერთო-რევოლუციური აღმავლობის პირობებში, ყველგან ხელი უნდა შეუწყოს მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნას, წაახალისოს რევოლუციური დემოკრატიის სხვა ელემენტებიც ასეთივე ორგანოების შესაქმნელად, ხელი შეუწყოს ყველა ამ ორგანოს გაერთიანებას ხალხის რევოლუციური ბრძოლის საერთო უპარტიო ორგანიზაციებად და წამოაყენოს მათ წინაშე რევოლუციის ის საერთო-ნაციონალური ამოცანები, რომლებიც პროლეტარიატის თვალსაზრისით შეიძლება და უნდა იქნას გადაწყვეტილი რევოლუციის მიერ ახლახდელ მომენტში» (გვ. 91, იქვე).

მენშევიკური რეზოლუციის ეს დავიწყებული პროექტი ნათლად გვიჩვენებს, რომ 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის გამოცდილების გაელენით მენშევიკები სავსებით დაიბნენ და დაუთმეს პოზიცია ბოლშევიკებს. მართლაც, განა შეიძლება შეეთავსოს ციტირებული ადგილი იმავე პროექტის შემდეგ პუნქტებს: «სოციალ-დემოკრატია თავის ამოცანად არ უნდა ისახავდეს ძალაუფლებისა და დიქტატურის დაპყრობას თანამედროვე ბურჟუაზიულ რევოლუციაში» (გვ. 92)? ეს უკანასკნელი დებულება უაღრესად პრინციპულია და სავსებით იმეორებს («ძალაუფლების გაზიარებაზე» მითითების გამოკლებით) 1905 წლის რეზოლუციას. მაგრამ იგი შეურიგებელ წინააღმდეგობაშია 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის გამოცდილებასთან, რომელსაც თვითონ მენშევიკები განსაზღვრავენ პროლეტარიატისა და «რევოლუციური დემოკრატიის სხვა ელემენტების» ყველა ორგანოს გაერთიანებით «ხალხის რევოლუციური ბრძოლის საერთო უპარტიო ორგანიზაციებად»! ვინაიდან თუ მუშათა დეპუტატების საბჭოები «ერთიანდებიან» რევოლუციური დემოკრატიის ასეთსავე ორგანოებთან ხალხის რევოლუციური ბრძოლის უპარტიო ორგანიზაციებად, მაშინ, ცხადია, პროლეტარიატი ამოცანად ისახავს

«ძალაუფლების დაპყრობას და დიქტატურას», მ ო ნ ა წ ი-ლ ე ო ბ ს ასეთი დაპყრობის საქმეში. რეზოლუცია თვითონ ამბობს, რომ რევოლუციის «უმთავრესი ამოცანაა» «ხელიდან გამოგლიჯოს სახელმწიფო ძალაუფლება რეაქციულ მთავრობას». მენშევიკებს ეშინოდათ სიტყვისა, ისინი გაურბოდნენ «ძალაუფლების დაპყრობასა და დიქტატურას», სრულიად გადაჭრილ უარს ამბობდნენ ამ საშინელ რამეებზე და ი ძ უ-ლ ე ბ უ ლ ი ი ყ ვ ნ ე ნ ე ლ ი ა რ ე ბ ი ნ ა თ 1905 წლის შემდეგ, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოების «გაერთიანება» რევოლუციური დემოკრატიის სხვა «ასეთსავე» ორგანოებთან გარდუვალად გამომდინარეობს საქმის ვითარებიდან და რომ ასეთი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა იძლევა «ხალხის რევოლუციური ბრძოლის ს ა ე რ თ ო უპარტიო» (არ არის ზუსტი; უნდ» თქმულიყო: უპარტიო ან პარტიათაშორისო) «ორგანიზაციებს». სწორედ ეს ს ა ე რ თ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა არის დროებითი რევოლუციური მთავრობა! მენშევიკებს ეშინოდით ზუსტი და პირდაპირი სიტყვისა და მას ა ღ წ ე რ ი ლ ო-ბ ი თ ცვლიდნენ. საქმე ამით არ იცვლება. «ხალხის რევოლუციური ბრძოლის ორგანო», რომელიც «სახელმწიფო ძალაუფლებას ხელიდან გლეჯს» ძველ მთავრობას, — სწორედ ამას ეწოდება დროებითი რევოლუციური მთავრობა.

და თუ მენშევიკები იძულებული იყვნენ თავგზის აბნევითა და ბორძიკით გაეთვალისწინებინათ 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის გამოცდილება, სამაგიეროდ ბოლშევიკებმა პირდაპირ და ნათლად გააკეთეს თავისი დასკვნები. ბოლშევიკური პროექტი რეზოლუციისა დროებითი მთავრობის შესახებ ამბობს: ...«ამ აშკარა ბრძოლაში» (1905 წლის დასასრულს) «ადგილობრივი მოსახლეობის ელემენტები, რომლებსაც შესწევდათ უნარი გაბედულად გამოსულიყვნენ ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ (თითქმის მარტოოდენ პროლეტარიატი და წვრილი ბურჟუაზიის მოწინავე ელემენტები), მიყვანილ იქნენ აუცილებლობამდე — შეექმნათ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ფაქტიურად წარმოადგენდნენ ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახებს, — მუშათა დეპუ-

ტატების საბჭოები პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ვლადივოსტოკში, კრასნოიარსკში და სხვ., რკინიგზელთა კომიტეტები ციმბირში და სამხრეთში, გლეხთა კომიტეტები სარატოვის გუბერნიაში, საქალაქო რევოლუციური კომიტეტები ნოვოროსიისკში და სხვა ქალაქებში და, ბოლოს, არჩეული სასოფლო ორგანოები კავკასიაში და ბალტიისპირა მხარეში» (გვ. 92). ამ ორგანოების დაქსაქსულობამ და ჩანასახმა მდგომარეობამ განაპირობეს წარუმატებლობა, — ნათქვამია შემდეგ, — და დროებითი რევოლუციური მთავრობა მიჩნეულია როგორც «ძლევამოსილი აჯანყების ორგანო». «პროლეტარიატის წინაშე, — განაგრძობს რეზოლუცია, — რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ინტერესებისათვის, ახლა დაჟინებით დგება ამოცანა — ხელი შევუწყოთ, რევოლუციურ დემოკრატიასთან ერთად, აჯანყების გაერთიანებას და ამ აჯანყების გამაერთიანებელი ცენტრის შექმნას დროებითი რევოლუციური მთავრობის სახით». შემდეგ თითქმის სიტყვასიტყვით განმეორებულია 1905 წლის III ყრილობის რეზოლუცია.

სტოკჰოლმის ყრილობის წინ ორივე ფრაქციის მიერ შემუშავებული რეზოლუციების პროექტებიდან მოყვანილი ადგილები შესაძლებლობას გვაძლევენ კონკრეტულ ისტორიულ ნიადაგზე დავაყენოთ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის საკითხი. ყველამ, ვისაც კი სურს პირდაპირი და ნათელი პასუხი გასცეს ამ კითხვას, ანგარიში უნდა გაუწიოს 1905 წლის დამლევის გამოცდილებას. ამ გამოცდილების პირდაპირ განხილვისაგან თავის არიდება იმას ნიშნავს, რომ არათუ უგულებელყო რუსი მარქსისტისათვის უაღრესად საგულისხმო მასალა, — ეს ცოტაა: ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ გარდუვალი გაიხადო ფორმულების «ხრიკებიანი» განმარტება, პრინციპულ უთანხმოებათა არსის «მიჩქმალვა» და «წაგლესვა» (ამხ. მარტოვის მოსწრებული თქმით), გარდუვალი გაიხადო სწორედ ის უპრინციპო ქექვა «დიქტატურის» თეორიისა და პრაქტიკის სა-

კითხებში, რომელიც ყველაზე უკეთ გამოიხატება ფორმულით: მოძრაობა ყველაფერია, მიზანი კი — არაფერი.

1905 წლის დამლევის გამოცდილებამ უდავოდ ცხადყო, რომ «ქვეყნის საერთო-რევოლუციური აღმავლობა» ქმნის «ხალხის რევოლუციური ბრძოლის» განსაკუთრებულ «ორგანიზაციებს» (მენშევიკური ფორმულირებით; «ახალი რევოლუციური ძალაუფლების ჩანასახ ორგანოებს» — ბოლშევიკური ფორმულირებით). ასევე უდავოა ის, რომ ეს ორგანოები რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიაში შექმნეს ჯერ-ერთი, პროლეტარიატმა, მეორეც, «რევოლუციური დემოკრატიის სხვა ელემენტებმა», ამასთან საერთოდ რუსეთის და მეტადრე ველიკოროსიის მოსახლეობის შემადგენლობის უბრალო გაცნობაც კი გვიჩვენებს გლეხობის უდიდეს სიჭარბეს ამ სხვა ელემენტებს შორის. ბოლოს, არა ნაკლებ უდავოა აგრეთვე ისტორიული ტენდენცია ამ ადგილობრივი ორგანოების თუ ორგანიზაციების გაერთიანებისა. ხოლო ამ უდავო ფაქტებიდან გარდუვალია ის დასკვნა, რომ ძლევამოსილი რევოლუცია თანამედროვე რუსეთში ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა სხვა რამ ი ყ ო ს, თუ არა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა. ამ გარდუვალ დასკვნას სხვანაირად, თუ არა «ხრიკიანობისა» და უთანხმოებათა «წაგლესვის» გზით, ვერ გაექცევი! თუ არ ამოგლიჯე საკითხის ნაწყვეტები, თუ ხელოვნურად და თვითნებურად არ მოსწყვიტე ქალაქი სოფელს, ერთი ადგილი მეორეს, თუ არ შეცვალე კ ლ ა ს ე ბ ი ს დიქტატურის საკითხი ამა თუ იმ მ თ ა ვ რ ო ბ ი ს შემადგენლობის საკითხით, ერთი სიტყვით, თუ საკითხი მართლაც მ თ ლ ი ა ნ ა დ განიხილე, მაშინ ვერავინ შესძლებს 1905 წლის გამოცდილების კონკრეტული მაგალითებით ცხადყოს, თუ როგორ შეიძლებოდა ძლევამოსილი რევოლუცია პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა არ ყოფილიყო.

მაგრამ ჯერ მოვრჩეთ განსახილველი «ფორმულის» პარტიული ისტორიის საკითხს, ვიდრე განვაგრძობდეთ. ჩვენ

ვნახეთ, თუ როგორი იყო ორივე ფრაქციის 1905 და 1906 წლების შეხედულებათა ზუსტი გადმოცემა. 1907 წელს, ლონდონის ყრილობის წინ, მენშევიკებმა ჯერ წამოაყენეს ერთი პროექტი რეზოლუციისა ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ («ნაროდნაია დუმა»[108], 1907, № 12, 1907 წ. 24/III), შემდეგ თვით ყრილობაზე შეიტანეს მეორე პროექტი. პირველ პროექტში ლაპარაკია პროლეტარიატის მოქმედების «კომბინირებაზე» სხვა კლასების მოქმედებასთან, მეორეში — სხვა კლასების მოძრაობის «გამოყენებაზე» პროლეტარიატის «მიზნებისათვის» და პროლეტარიატის მიერ სხვა კლასების გარკვეული «ოპოზიციური და რევოლუციური ნაბიჯების» «მხარისდაჭერაზე», სოციალ-დემოკრატიის «შეთანხმებაზე» «ცალკეულ განსაზღვრულ შემთხვევებში» ლიბერალურ და დემოკრატიულ კლასებთან.

ბოლშევიკურ პროექტში, ისევე როგორც ლონდონის ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, ლაპარაკია იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატია აიძულებდეს მათ (ნაროდნიკულ თუ შრომის პარტიებს, «რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ახლოს გამოხატავენ გლეხური და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასების ინტერესებსა და თვალსაზრისს») დადგნენ სოციალ-დემოკრატების მხარეზე შავრაზმელებისა და კადეტების წინააღმდეგ» და «აქედან გამომდინარე ერთობლივ მოქმედებაზე», რაც უნდა «მხოლოდ საერთო შეტევის მიზნებს ემსახურებოდეს». ყრილობის რეზოლუციაში, ბოლშევიკების პროექტისაგან განსხვავებით, ერთი პოლონელის ინიციატივით, ჩართულია კიდევ სიტყვები: «რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის ბრძოლაში». აქაც გამოვიდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის იდეის ფრიად ნათელი დადასტურება, რადგან სწორედ ასეთი დიქტატურა არის «ერთობლივი მოქმედება» ამ კლასებისა, «რომლებმაც რევოლუცია ბოლომდე მ ი ი ყ ვ ა ნ ე ს ან მიჰყავთ»!

II

საკმარისია ზოგადად გადაავლოთ თვალი პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის საკითხზე არსებულ პარტიულ აზრთა ამ ისტორიას, რათა დაინახოთ, თუ რამდენად ალაპარაკდა თავის საზიანოდ ამხ. მარტოვი ხრიკიანობაზე და უმიზნო მოძრაობაზე. მართლაც, ამ ისტორიის პირველი დასკვნა ისაა, რომ თვითონ ბოლშევიკებს ერთხელაც კი არ ჩაურთავთ არც თავის რეზოლუციის პროექტებში, არც თავის რეზოლუციებში გამოთქმა თუ «ფორმულა»: პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა. და მიუხედავად ამისა დღევანდლამდე არცერთკაცს არ მოსვლია აზრად უარეყო, რომ 1905 — 1907 წლების ყველა ბოლშევიკური პროექტი და რეზოლუცია მთლიანად აგებულია პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის იდეაზე. ამის უარყოფა სასაცილოა. ამის უარყოფა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ხრიკიანობას მიმართო, სიტყვების ფუჭი გამოკიდებით მიჩქმალო საკითხის არსი. პროლეტარიატი, რომელიც «იერთებს» გლეხობის მასას, — ამბობს ლენინი «ორ ტაქტიკაში» («12 წლის ძანძილზე», გვ. 445)*; პროლეტარიატი, რომელიც «გაიყოლებს» გლეხობის მასას, — ამბობს ბოლშევიკების 1906 წლის რეზოლუციის პროექტი; პროლეტარიატისა და გლეხობის «ერთობლივი მოქმედება» «დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის ბრძოლაში», — ამბობს ლონდონის ყრილობის რეზოლუცია. ნუთუ ცხადი არ არის, რომ ყველა ამ ფორმულირების აზრი ერთი და იგივეა? რომ ეს აზრი გამოხატავს სწორედ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურას? რომ «ფორმულა»: პროლეტარიატი, რომელიც ეყრდნობა გლეხობას, მთლიანად რჩება პროლეტარიატისა და გლეხობის იმავე დიქტატურის ფარგლებში?

---

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 9, გვ. 110. რედ.

ამხ. მარტოვი წელებზე ფეხს იდგამს, რათა გააბათილოს ეს უკანასკნელი. იწყება დისკუსია «და»-ს გამო. არ არის «და», უარყვეს «და»-ს შემცველი ფორმულა, — გაიძახის ამხ. მარტოვი, — არ გაბედოთ ახლა ჩაურთოთ ეს «და» ცენტრალური ორგანოს ხელმოუწერელ სტატიებშიო! დაგაგვიანდათ, დაგაგვიანდათ, საყვარელო ამხ. მარტოვ: ასეთი პრეტენზიით თქვენ უნდა მიმართოთ მ თ ე ლ ი რევოლუციური ეპოქის ყ ვ ე ლ ა ბოლშევიკურ ორგანოს, ვინაიდან ყველა ეს ორგანო მაშინ ყოველთვის ლაპარაკობდა პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურაზე და ლაპარაკობდა რეზოლუციების საფუძველზე, რომლებიც ა მ «დ ა»-ს არ შეიცავენ. ამხ. მარტოვმა წააგო თავისი წამოწყებული პრინციპული კამპანია «და»-ს გამო, წააგო იგი არა მარტო იმიტომ, რომ ხანდაზმულობის ვადა გავიდა, არამედ იმიტომაც, რომ მის უდიდებულესობას ლოგიკას განუხრელად მივყევართ ბედუკულმართ «და»-მდე: დ ა «შემოერთებაც», დ ა «გაყოლიებაც», დ ა «ერთობლივი მოქმედებაც», დ ა «რომელიც ეყრდნობაც», დ ა «დახმარებითაც» (ეს უკანასკნელი გამოთქმა არის პოლონეთის სოც.-დემოკრატიის VI ყრილობის რეზოლუციაში [109].

მაგრამ ბოლშევიკები ხომ დავობდნენ «რომელიც ეყრდნობას» წინააღმდეგ, — განაგრძობს თავის პრინციპულ დისკუსიას ამხ. მარტოვი. დიახ, დავობდნენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ აქ უარყოფილი იყო პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა, არამედ იმიტომ, რომ რუსულად ეს «ფორმულა» არც ისე მარჯვეა. ეყრდნობა ჩვეულებრივ უფრო სუსტი უფრო ძლიერს. სიტყვასიტყვით განმეორება პოლონელთა ფორმულისა — «პროლეტარიატი გლეხობის დ ა ხ მ ა რ ე ბ ი თ» ბოლშევიკებისათვის სავსებით მისაღებია, თუმცა, შესაძლოა, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა გვეთქვა: «პროლეტარიატი, რომელიც გაიყოლიებს». შეიძლება ვიდავოთ ყველა ამ ფორმულის გამო, მაგრამ ა ს ე თ ი დავის «პრინციპულ დისკუსიად» გადაქცევა პირდაპირ კურიოზია.

იმის უარყოფა, როგორც ამას ცდილობს ამხ. მარტოვი, რომ «ეყრდნობა» შედის ერთობლივი მოქმედების ცნებაში, ხრიკიანობის ნიმუშს წარმოადგენს. იმის თქმა, რომ ძალაუფლების დაპყრობა «პროლეტარიატის მიერ, რომელიც გლეხობას ეყრდნობა», არის ძალაუფლების დაპყრობა «მარტო პროლეტარიატის მიერ», როგორც ამბობენ ამხ. მარტოვის მიერ ციტირებული ამხ. ამხ. დანი, აქსელროდი და სემიონოვი, იმას ნიშნავს, რომ გააცინო მკითხველი. თუ ჩვენ ვიტყვით: მარტოვმა და პოტრესოვმა, რომლებიც ეყრდნობიან ჩერევანინს, პროკოპოვიჩსა და კომპანიას, ლიკვიდაცია უყვეს რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეასაო, განა დაგვიჯერებს ვინმე, რომ მარტოვმა და პოტრესოვმა მარტო უყვეს ლიკვიდაცია ამ იდეას, ჩერევანინის, პროკოპოვიჩისა და კომპანიის გარეშე?

არა, ამხანაგებო, დისკუსია ცენტრალურ ორგანოში ხრიკიანობამდე არ უნდა იქნას დაყვანილი. არ შეიძლება ამგვარი საშუალებებით თავი დააძვრინოთ იმ ძირითადი და უეჭველი ფაქტის აღიარებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რსდმპ უმრავლესობა, მათ შორის პოლონელები და ბოლშევიკები, გადაჭრით უჭერენ მხარს: 1) რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის, ბელადის როლის აღიარებას, 2) იმის აღიარებას, რომ ბრძოლის მიზანია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობა სხვა რევოლუციური კლასების დახმარებით, 3) იმას, რომ პირველ და, შეიძლება თქვას, ერთადერთ ადგილზედაც კი ამ «თანაშემწეთა» შორის დგება გლეხობა. ვისაც სურს დისკუსია საკითხის არსის გამო, ის უნდა შეეცადოს უარყოს თუნდაც ერთ-ერთი დებულება ამ სამი დებულებიდან. ამხ. მარტოვს არსებითად არც ერთი მათგანი არ გაურჩევია. ამხ. მარტოვს დავიწყებია ეთქვა მკითხველისთვის, რომ სამივე ამ დებულებიდან თვითეული დებულების გამო მენშევიკები დგანან ისეთ თვალსაზრისზე, რომელსაც პარტია უარყოფს, რომ პარტიის მიერ უარყოფილ შეცდომათა რიცხვს ეკუთვნის სწო-

რედ მენშევიზმი და მხოლოდ მენშევიზმი! მენშევიკების პოლიტიკა რევოლუციაში იყო სწორედ უმიზნო მოძრაობა და ამიტომ ისეთი მოძრაობა, რომელიც დამოკიდებული იყო კადეტთა პარტიის ქანაობაზე, — მათი პოლიტიკა ასეთი იყო სწორედ იმიტომ, რომ მენშევიკებმა არ იცოდნენ, საჭიროა თუ არა პროლეტარიატისათვის, რომ იგი ესწრაფოდეს ბელადის როლს? საჭიროა თუ არა მისთვის, რომ ესწრაფოდეს ძალაუფლების დაპყრობას? საჭიროა თუ არა მისთვის, რომ ამასთანავე, მხედველობაში იქონიოს რომელიმე გარკვეული კლასის დახმარება? ამის უცოდინარობა აუცილებლად და გარდუვალად იწვევს იმას, რომ სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა იყოს მერყეევი, მკდარი, უპრინციპო, ლიბერალებისაგან დამოკიდებული.

კონფერენციას კი არ დაუსამარებია «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა» და კი არ გაუცია თამასუქი მისი განდევნისა პარტიული ცხოვრებიდან, არამედ, პირიქით, მან დაადასტურა იგი, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მისი უფრო სრული აღიარებისაკენ. ლონდონის ყრილობამ აღიარა: 1) როლი პროლეტარიატისა, როგორც «ბელადისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში» და 2) პროლეტარიატისა და გლეხობის «ერთობლივი მოქმედება», «რომელიც ემსახურება მხოლოდ საერთო შეტევის მიზნებს», მოქმედება, სხვათა შორის «რევოლუციის ბოლომდე მისაყვანადაც». ისღა იყო საჭირო, რომ მოცემულ რევოლუციაში ბრძოლის მიზნად გვეცნო პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობა. ეს მოიმოქმედა კონფერენციამ ფორმულით: «ძალაუფლების დაპყრობა პროლეტარიატის მიერ, რომელიც ეყრდნობა გლეხობას».

როცა ამას ვამბობთ, ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ და არ ვჩქმალავთ ბოლშევიკებისა და პოლონელების უთანხმოებას. პოლონელ სოციალ-დემოკრატებს სრული შესაძლებლობა აქვთ გამოთქვან ეს უთანხმოებანი თავის ცალკეულ გამოცემებშიც რუსულ ენაზე, ბოლშევიკური გაზეთების

ფურცლებზედაც და ცენტრალურ ორგანოშიც. და პოლონელი სოციალ-დემოკრატები უკვე იყენებენ ამ შესაძლებლობას. თუ ამხ. მარტოვი მიაღწევს იმ მიზანს, რომელსაც ის ისახავს, სახელდობრ, რომ პოლონელი სოციალ-დემოკრატები ჩაერიონ ჩვენს დავაში, მაშინ ყველა და თვითეული დაინახავს ჩვენს სოლიდარობას პოლონეთის სოციალ-დემოკრატიასთან მენშევიკების წინააღმდეგ ყოველ ძირითად საკითხში, დაინახავს, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით მხოლოდ კერძო საკითხებში.

III

რაც შეეხება ტროცკის, რომელიც ამხ. მარტოვმა აიძულა მონაწილეობა მიეღო თავის მოწყობილ მესამე პირთა დისკუსიაში, ყველას დისკუსიაში, გარდა დისკუტანტისა, ჩვენ აქ სრულიადაც არ შეგვიძლია მთლიანად განვიხილოთ ტროცკის შეხედულებანი. ამას ცალკეული დიდი სტატია დასჭირდებოდა. როდესაც ამხ. მარტოვი ეხება ტროცკის მცდარ შეხედულებებს და მოჰყავს ამ შეხედულებათა ნაწყვეტები, ამით ის მკითხველებში იწვევს მთელ რიგ გაუგებრობას, ვინაიდან ციტატების ნაწყვეტები კი არ განმარტავენ, არამედ აბნევენ საქმეს. ტროცკის ძირითადი შეცდომაა რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის უგულებელყოფა, ამ რევოლუციიდან სოციალისტური რევოლუციისაკენ გადასვლის საკითხში ნათელი აზრის უქონლობა. ამ ძირითადი შეცდომიდან გამომდინარეობს ის კერძო შეცდომები, რომლებსაც ამხ. მარტოვი ი მ ე ო რ ე ბ ს, როდესაც მას მოჰყავს ორიოდე ციტატი თანაგრძნობითა და მოწონებით. რათა საქმე არ დავტოვოთ ასეთი დაბნეული სახით, როგორც მას გადმოგვცემს ამხ. მარტოვი, იმას მაინც ცხადვყოფთ, თუ რაოდენ უსწორობა ტროცკის მსჯელობა, რომელმაც ამხ. მარტოვის მოწონება დაიმსახურა. პროლეტარიატისა და გლეხობის კოალიცია «გულისხმობს, რომ ან ერთი რომელიმე არსებული ბურჟუაზიული პარტია ეუფლება გლეხობას, ან გლეხობა ქმნის დამოუკიდებელ ძლიერ პარტიას». ეს, ცხადია, სწორი არ არის არც ზოგადი

თეორიული თვალსაზრისით, არც რუსეთის რევოლუციის გამოცდილების თვალსაზრისით. კლასების «კოალიცია» სრულიადაც არ გულისხმობს არც ამა თუ იმ ძლიერი პარტიის არსებობას, არც პარტიულობას საერთოდ. ეს არის კლასების საკითხის აღრევა პარტიების საკითხში. აღნიშნული კლასების «კოალიცია» სრულიადაც არ გულისხმობს არც იმას, რომ ერთ-ერთი არსებული ბურჟუაზიული პარტია დაეუფლოს გლეხობას, არც იმას, რომ გლეხობამ შექმნას ძლიერი დამოუკიდებელი პარტია! თეორიულად ეს ცხადია იქიდან, რომ, ჯერ-ერთი, გლეხობა განსაკუთრებით ძნელად ემორჩილება პარტიულ ორგანიზებას, მეორეც, გლეხთა პარტიების შექმნა განსაკუთრებით ძნელი და ხანგრძლივი პროცესია ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ასე რომ «ძლიერი დამოუკიდებელი» პარტია შეიძლება გაჩნდეს, მაგალითად, მხოლოდ რევოლუციის დამთავრების დროისათვის. რუსეთის რევოლუციის გამოცდილებიდანაც ცხადია, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის «კოალიცია» ათეულჯერ და ასეულჯერ ხორციელდებოდა უაღრესად სხვადასხვა ფორმით ისე, რომ გლეხთა «არავითარი ძლიერი დამოუკიდებელი პარტია» არ არსებობდა. ეს კოალიცია ხორციელდებოდა, როდესაც იყო «ერთობლივი მოქმედება», ვთქვათ, მუშათა დეპუტატების საბჭოსი და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი, ან რკინიგზელთა საგაფიცვო კომიტეტისა, ან გლეხთა დეპუტატების საბჭოსი და ა. შ.. ყველა ამგვარი ორგანიზაცია უმთავრესად უპარტიო იყო, და, მიუხედავად ამისა, კლასების «კოალიციას» უეჭველად ჰქონდა ადგილი ასეთი ორგანიზაციების ყოველ ერთობლივ მოქმედებაში. გლეხთა პარტია ამასთან ისახებოდა, წარმოიშობოდა, იქმნებოდა — 1905 წლის «გლეხთა კავშირის» ან 1906 წლის «შრომის ჯგუფის» სახით — და, ასეთი პარტიის ზრდის, განვითარების, თვითგამორკვევის კვალობაზე, კლასების კოალიცია იღებდა სხვადასხვა ფორმას, დაწყებული გაურკვეველი და გაუფორმებელი და გათავებული სავსებით გარკვეული და გაფორ-

მებული პოლიტიკური შეთანხმებით. მაგალითად, პირველი სათათბიროს გარეკვის შემდეგ გამოიცა შემდეგი სამი მოწოდება აჯანყებისაკენ: 1) «არმიისა და ფლოტისადმი», 2) «მთელი რუსეთის გლეხობისადმი», 3) «მთელი ხალხისადმი». პირველ მოწოდებას ხელი მოაწერეს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ და «შრომის ჯგუფის» კომიტეტმა. გამოვლინდა თუ არა ამ «ერთობლივ მოქმედებაში» ორი კლასის კოალიცია? რა თქმა უნდა, გამოვლინდა. ამის უარყოფა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ხრიკიანობას მიმართო ან გადააქციო «კლასების კოალიციის» ფართო მეცნიერული ცნება ვიწრო იურიდიულ, მე ვიტყოდი, თითქმის ნოტარულ ცნებად. შემდეგ, შეიძლება თუ არა უარვყოთ, რომ ამ ერთობლივ მოწოდებას აჯანყებისაკენ, რასაც ხელს აწერდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის სათათბიროელი დეპუტატები, თან სდევდა ორივე კლასის წარმომადგენელთა ერთობლივი მოქმედება ნაწილობრივს ადგილობრივ აჯანყებებში? შეიძლება თუ არა უარვყოთ, რომ ერთობლივი მოწოდება საერთო აჯანყებისაკენ და ერთობლივი მონაწილეობა ადგილობრივსა და ნაწილობრივს აჯანყებებში გვავალებს გავაკეთოთ დასკვნა დროებითი რევოლუციური მთავრობის ერთობლივად შექმნის შესახებ? ამის უარყოფა იქნებოდა ხრიკიანობა, «მთავრობის» ცნების განსაზღვრა მხოლოდ და მხოლოდ დამთავრებული, გაფორმებული მოვლენით, იმის დავიწყება, რომ დამთავრება და გაფორმება გამომდინარეობენ დაუმთავრებლიდან და გაუფორმებლიდან.

შემდეგ, მეორე მოწოდებას აჯანყებისაკენ ხელს აწერენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტი (მენშევიკური!), აგრეთვე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, რკინიგზელთა სრულიად რუსეთის კავშირი და მასწავლებელთა სრულიად რუსეთის კავშირი, გარდა შრომის ჯგუფის კომიტეტისა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა, ხოლო მესამე მოწოდება აჯანყებისაკენ ხელმოწერილია პოლონელი

სოციალისტების პარტიისა და ბუნდის მიერ პლუს ყველა წინანდელი ხელმომწერი, გარდა სამი კავშირისა.

აი პარტიებისა და უპარტიო ორგანიზაციების გაფორმებული პოლიტიკური კოალიცია! აი «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა», გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ უ ლ ი ცარიზმის მიმართ დამუქრების სახით, მთელი ხალხისადმი მოწოდების სახით, მაგრამ ჯერ კიდევ განუხორციელებელი! და ახლა არა გვგონია ბევრი აღმოჩნდეს ისეთი სოციალ-დემოკრატი, რომელიც დაეთანხმებოდა 1906 წლის № 6 მენშევიკურ «ს ო ც ი ა ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ს» [110], სადაც ამ მოწოდებათა გამო ნათქვამი იყო: «აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენმა პარტიამ სხვა რევოლუციურ პარტიებთან და ჯგუფებთან შეჰკრა არა პოლიტიკური ბლოკი, არამედ დასდო საბრძოლო შეთანხმება, რომელიც ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნია მიზანშეწონილად და საჭიროდ» (შეად. «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» № 1, 1906 წლის 21 აგვისტო, და № 8, 1906 წლის 23 ნოემბერი*). საბრძოლო შეთანხმება არ შეიძლება დაეუპირისპიროთ პოლიტიკურ ბლოკს, ვინაიდან იგი შედის ამ უკანასკნელ ცნებაში. პოლიტიკური ბლოკი სხვადასხვა ისტორიულ მომენტში ხორციელდება ხან «საბრძოლო შეთანხმებით» აჯანყების საქმეში, ხან პარლამენტური შეთანხმებით «შავრაზმელთა წინააღმდეგ და კადეტთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების» შესახებ და სხვა. პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის იდეამ თავისი პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა რევოლუციის მთელი მსვლელობის მანძილზე ათასნაირი ფორმით, დაწყებული გადასახადთა შეუტანლობისა და ანაბრების უკან წაღების შესახებ მანიფესტის ხელმოწერით (1905 წ. დეკემბერი) ან აჯანყებისაკენ მოწოდებათა ხელმოწერით (1906 წ. ივლისი) და გათავებული ხმის მიცემით II და III სათათბიროს 1907 და 1908 წლების არჩევნების დროს.

ასევე სწორი არ არის ტროცკის მეორე განცხადება, რომელიც ამხ. მარტოვს მოჰყავს. არ არის სწორი, რომ «მთელი სა-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 11, გვ. 163—183 და 361—376. რ ე დ.

კითხი ის არის, თუ ვინ მისცემს შინაარსს მთავრობის პოლიტიკას, ვინ შეაკავშირებს მასში ერთფეროვან უმრავლესობას» და ა. შ. ეს განსაკუთრებით არ არის სწორი, როდესაც იგი ამბ. მარტოვს მოჰყავს საბუთად პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის წინააღმდეგ. ტროცკი ამ მსჯელობაში თვითონ იწყნარებს «დემოკრატიული მოსახლეობის წარმომადგენელთა მონაწილეობას» «მუშათა მთავრობაში», ე. ი. იწყნარებს პროლეტარიატისა და გლეხობის წარმომადგენელთა მთავრობას. რა პირობებით უნდა იქნას დაშვებული პროლეტარიატის მონაწილეობა რევოლუციის მთავრობაში, — ეს ცალკე საკითხია, და ამ საკითხში, ძალიან შესაძლებელია, ბოლშევიკები არ დაეთანხმონ არა მარტო ტროცკის, არამედ პოლონელ სოციალ-დემოკრატებსაც. მაგრამ რევოლუციური კლასების დიქტატურის საკითხი არავითარ შემთხვევაში არ იფარგლება იმ საკითხით, თუ როგორია «უმრავლესობა» ამა თუ იმ რევოლუციურ მთავრობაში, როგორია ის პირობები, რომლებითაც ეაიშვება სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა ამა თუ იმ მთავრობაში.

დასასრულ, ყველაზე უფრო მცდარია ტროცკის მესამე აზრი, რომელიც ამბ. მარტოვს მოჰყავს და «მართებულად» მიაჩნია იგი: «დაე მან (გლეხობამ) ეს ქნას («შეუერთდეს მუშათა დემოკრატიის რეჟიმს») თუნდაც არა მეტი შეგნებით, რომლითაც იგი ჩვეულებრივ უერთდება ბურჟუაზიულ რეჟიმს». პროლეტარიატს არ შეიძლება ჰქონდეს არც გლეხობის შეუგნებლობისა და ცრურწმენათა ვარაუდი, როგორც ამის ვარაუდი აქვთ და ამას ემყარებიან ბურჟუაზიული რეჟიმის მესვეურები, არც ის შეუძლია ივარაუდოს, რომ რევოლუციურ პერიოდში დარჩება გლეხობის თუნდაც ჩვეულებრივი შეუგნებლობა და პასივობა. რუსეთის რევოლუციის ისტორიის ფაქტები გვიჩვენებენ, რომ აღმავლობის პირველივე ტალღა, 1905 წლის დამლევს, ერთბაშად უბიძგებს გლეხობას ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციისაკენ (სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი), რომელიც, უეჭველია, წარმოადგენდა განსაკუთრებული გლეხური პარტიის ჩანასახს. I და II სათათბიროში, კონტრრევო-

ლუციის მიერ მოწინავე გლეხთა პირველი ცვლის მოსპობის მიუხედავად, გლეხობა — ამჯერად პირველად საერთო-ნაციონალური მასშტაბით, სრულიად რუსეთის არჩევნებში — ერთბაშად უყრის საფუძველს «შრომის ჯგუფს», განსაკუთრებული გლეხური პარტიის უეჭველ ჩანასახს. ამ ჩანასახებსა და საწყისებში ბევრი რამ არის არამტკიცე, გაურკვეველი, მერყევი, ეს უეჭველია, მაგრამ თუ რევოლუციის დასაწყისმა შექმნა ასეთი პოლიტიკური დაჯგუფებანი, სრულიად უეჭველია, რომ რევოლუცია, ისეთ «ბოლომდე», ანუ, უფრო სწორად რომ ითქვას, განვითარების ისეთ მაღალ საფეხურამდე მიყვანილი, როგორიცაა რევოლუციური დიქტატურა, შექმნის უფრო ჩამოყალიბებულ და უფრო ძლიერ რევოლუციურ-გლეხურ პარტიას. სხვანაირად მსჯელობა იმის ფიქრი იქნებოდა, რომ მოწიფულ კაცს ზოგიერთი არსებითი ორგანო შეიძლება სიდიდით, ფორმით, განვითარების დონით ბავშვის ორგანოს მსგავსი დაურჩეს.

ყოველ შემთხვევაში, ამხ. მარტოვის დასკვნა, რომ კონფერენცია სწორედ ტროცკის დაეთანხმა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარშემოო, საოცრად არ შეესაბამება ფაქტებს; ეს არის ცდა, ჭეშმარიტად, «გამოსწოვონ» ს ი ტ ყ ვ ა ს ის, რაც კონფერენციაზე სულაც არ განუხილავთ, არ უხსენებიათ, მხედველობაში არ ჰქონიათ.

IV

ამხ. მარტოვი, როდესაც კაუცკის ეხება, ისევ და ისევ თავს უყრის რამდენიმე სიტყვაში იმდენ უსწორ-მასწორობას, რომ ამხ. მარტოვისათვის არსებითი პასუხის გასაცემად აუცილებელი ხდება თითქმის ყველაფერი თავიდანვე მოვუთხროთ მკითხველს.

სრულიად არ არის მართალი, რომ «პევრნი, მათ შორის ლენინიც კაუცკის სტატიის «პერსპექტივების» წინასიტყვაობაში *, გადაჭრით უარყოფდნენ ჩვენი რევოლუციის ბურჟუა-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 11, გვ. 491—499. რ ე დ.

ზიულ ხასიათს», და ასევე მართალი არ არის, რომ კაუცკი «რუსეთის რევოლუციას არა ბურჟუაზიულ რევოლუციად აცხადებდაო». საქმე სულ სხვანაირად იყო.

პლეხანოვმა კითხვებით მიმართა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ბევრ წარმომადგენელს, ამასთან 1-ლ კითხვაში ეკითხებოდა რუსეთის რევოლუციის «ს ა ე რ თ ო ხ ა ს ი ა თ ზ ე», მეორეში კი — «სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოქმედებაზე ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ, რომელიც თავისებურად იბრძვის პოლიტიკური თავისუფლებისათვის». კითხვების ასეთი ფორმულირება უკვე შეიცავდა ამხ. პლეხანოვის ორ შეცდომას მარქსიზმის წინააღმდეგ: პირველი შეცდომა — აღრევა რევოლუციის «საერთო ხასიათისა», რევოლუციის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ-ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს მხრივ, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების საკითხთან. მარქსისტებს არ შეუძლიათ აღრიონ ეს საკითხები, არ შეუძლიათ უ შ უ ა ლ ო დ ა ც კი გამოიყვანონ მეორე კითხვის პასუხი, პირველის პასუხიდან, თუ განსაკუთრებულ კონკრეტულ ანალიზს არ მოახდენენ. მეორე შეცდომა — ჩვენს რევოლუციაში გლეხობის როლის საკითხის აღრევა საერთოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის როლთან. მართლაც, «ბურჟუაზიული დემოკრატიის» მეცნიერული ცნება გლეხებსაცა და ლიბერალებსაც მიუდგება, მაგრამ პროლეტარიატის დამოკიდებულება «ბურჟუაზიული დემოკრატიის» ამ ორი ნაირსახეობისადმი აუცილებლად უნდა იყოს არსებითად სხვადასხვაგვარი.

კაუცკიმ მაშინვე შეამჩნია ამხ. პლეხანოვის შეცდომები და გ ა ა ს წ ო რ ა ი ს ი ნ ი თავისი პასუხით. რევოლუციის საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსის მხრივ კაუცკის არათუ ფიქრად არ მოსვლია უარეყო რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი, არამედ, პირიქით, მან ეადაჭრით სცნო ასეთი ხასიათი. აი კაუცკის განცხადებანი ამის შესახებ სწორედ იმ «პერსპექტივებიდან», რომლებსაც უალრესად არასწორად გადმოსცემს ამხ. მარტოვი.

«ახლანდელ რევოლუციას (რუსეთში) შეუძლია გამოიწვიოს სოფლად მხოლოდ წელმაგარი გლეხობის შექმნა მიწის კერძო საკუთრების საფუძველზე და ამით პროლეტარიატსა და სოფლის მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს შორის გათხაროს ისეთი უფსკრული, როგორიც უკვე არსებობს დასავლეთ ევროპაში. ამიტომ, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის ახლანდელ რევოლუციას მოჰყვეს წარმოების უკვე სოციალისტური წესის შემოღება, მან სოციალ-დემოკრატებს დროებით კიდეც რომ გადასცეს მმართველობის საჭე» (31-ე გვ. თარგმანისა ნ. ლენინის რედაქციით).

ლენინის წინასიტყვაობაში სწორედ ეს ადგილი იგულისხმება, როცა იგი ამბობს (გვ. 6, იქვე): «ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ კაუცკი მ თ ლ ი ა ნ ა დ იზიარებდეს ყ ვ ე ლ ა რუსი სოციალ-დემოკრატის ძირითად დებულებებს გლეხთა მოძრაობის ა რ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ხასიათის, წვრილი გლეხური წარმოებიდან სოციალიზმის წარმოშობის შეუძლებლობისა და სხვათა შესახებ» (ხაზგასმა წინასიტყვაობაში ნ. ლენინისაა).

ამხ. მარტოვის მტკიცება, რომ ლენინი გადაჭრით უარყოფდა ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათსაო, გადაჭრით ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. ლენინი სწორედ პირიქით ამბობს. კაუცკიმ ჩვენი რევოლუცია გადაჭრით აღიარა ბურჟუაზიულ რევოლუციად საერთო ხასიათის მიხედვით, რევოლუციის საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსის მხრივ.

პლეხანოვის «პირველ კითხვას», — წერდა იქვე კაუცკი, — «მგონია, არ შეიძლება უბრალოდ ვუპასუხოთ ამა თუ იმ აზრით. ბურჟუაზიული რევოლუციების დრომ, ე. ი. ისეთი რევოლუციების დრომ, რომელთა მამოძრავებელი ძალა იყო ბურჟუაზია, განვლო, განვლო რუსეთისათვისაც... ბურჟუაზია არ ეკუთვნის რუსეთის ახლანდელი რევოლუციური მოძრაობის მამოძრავებელ ძალებს, და ამდენად ამ მოძრაობას არ შეიძლება ბურჟუაზიული ეწოდოს» (გვ. 29). მკითხველი ხედავს, რომ კაუცკი ფრიად სრული სიცხადით განსაზღვრავს აქ, თუ რაზეა ლაპარაკი, — ფრიად სრული სიცხადით ლაპარაკობს ბურჟუა-

ზიულ რევოლუციაზე არა საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსის აზრით, არამედ, ისეთი რევოლუციის აზრით, «რომლის მამოძრავებელ ძალას ბურჟუაზია წარმოადგენს».

შემდეგ. პლეხანოვის მეორე შეცდომა კაუცკიმ გაასწორა იმით, რომ ნათლად და გარკვევით გამიჯნა «ლიბერალური» და გლეხური ბურჟუაზიული დემოკრატია. კაუცკიმ სცნო, რომ «სამრეწველო პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესთა ერთიანობაში მდგომარეობს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ძალა», რომ «უგლეხებოდ ჩვენ ახლა არ შეგვიძლია მოვიპოვოთ გამარჯვება რუსეთში» (გვ. 31). საინტერესოა აღინიშნოს, — «დ ა»-ს იმ არასაინტერესო საკითხის გამო, რომლითაც სავსეა ამხ. მარტოვის პრინციპული დისკუსია, — რომ კაუცკი ამავე სტატიაში, ე. ი. 1906 წელს, ერთგვერდზე ხმარობს გამოთქმასაც «დ.აეყრდნოს» («რომელ კლასს შეიძლება დაეყრდნოს რუსეთის პროლეტარიატი?») და გამოთქმასაც: «პროლეტარიატის კავშირი სხვა კლასებთან რევოლუციურ ბრძოლაში უნდა ემყარებოდეს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური ინტერესების ერთიანობას» (გვ. 30).

ხომ არა სდებს ბრალად ამხ. მარტოვი კ. კაუცკის, რომ ის 1906 წელს ითვალისწინებდა რსდმპ 1908 წლის დეკემბრის კონფერენციას და მიზნად ისახავდა «თავგზა აებნია მკითხველებისათვის», «მიეჩქმალა და წაეგლისა» ბოლშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების უთანხმოებანი, გაეწია «ხრიკიანობა» და სხვ.?

შევნიშნავთ, რომ კაუცკი, როდესაც იცავს რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის იდეას, არსებითად არავითარ «ახალ» იდეას არ აყენებს, არამედ სავსებით მიდის მარქსისა და ენგელსის გზით. მარქსი 1848 წელს «რეინის ახალ გაზეთში»[11] წერდა: «მსხვილმა ბურჟუაზიამ, — ლაპარაკია 1848 წლის 18 მარტის შემდეგდროინდელ გერმანელ ბურჟუაზიაზე, — თავიდანვე ანტირევოლუციურმა, თავდაცვითი და შეტევითი კავშირი დასდო რეაქციასთან ხალხის შიშით, ე. ი. მუშებისა და დემოკრატიუ-

ლი ბურჟუაზიის შიშით» (იხ. მესამე ტომი მარქსის თხზულებათა კრებულისა, რომელიც გამოსცა მერინგმა: რუსულად ჯერჯერობით მხოლოდ ორი ტომი გამოვიდა). «გერმანიის 1848 წლის რევოლუცია, — წერდა მარქსი 1848 წლის 29 ივლისს, — საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მხოლოდ პაროდია არის... საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიას ერთი წუთითაც არ მიუტოვებია თავისი მოკავშირეები, გლეხები... გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზია სრულიად ურცხვად ღალატობს გლეხებს...»

მარქსი აქ ბურჟუაზიული რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში აშკარად უპირისპირებს ერთმანეთს რეაქციასთან შეკავშირებულ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს პლუს დემოკრატიული ბურჟუაზია, ე. ი. პლუს, უმთავრესად, გლეხობა. და არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შეხედულება აიხსნებოდეს იმ დროის მარქსის სოციალისტური მსოფლმხედველობის დაუმთავრებლობით. 44 წლის შემდეგ, 1892 წელს, ენგელსი წერდა თავის სტატიაში «ისტორიული მატერიალიზმის შესახებ» («Neue zeit» *, XI, ტ. I; რუსულად — კრებულში «ისტორიული მატერიალიზმი»): ...«სამივე დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაში» (გერმანიის XVI საუკუნის რეფორმაცია და გლეხთა ომი, ინგლისის XVII საუკუნის რევოლუცია და საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლუცია) «მებრძოლ არმიას გლეხები წარმოადგენენ... მხოლოდ და მხოლოდ გლეხობის» (იომანრი — ინგლისის რევოლუციაში) «და ქალაქის პლებეური ელემენტის ჩარევით მივიდა ბრძოლა უკანასკნელ გადამწყვეტ ბოლომდე, და კარლოს I ეშაფოტზე მოხვდა» [112].

მაშასადამე, რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ XVI, XVII და XVIII საუკუნეებში მეორე ადგილზე მყოფი ქალაქის პლებეური ელემენტის ნაცვლად — XX საუკუნეში პირველ ადგილზე პროლეტარიატი გამოდის.

---

* — «ახალი დროება». რედ.

V

ვასკვნით. ამხ. მარტოვი შეეხო უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ღირსია ფრიად საფუძვლიანი დისკუსიისა პარტიის ცენტრალური ორგანოს ფურცლებზე. მაგრამ ამ საკითხს არ შეიძლება «შეეხო», საჭიროა იგი არსებითად განიხილო, ამასთან დაემყარო არა მარტო მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, არამედ რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუციის გამოცდილებასაც.

ის აზრი, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურა სოციალ-დემოკრატების ნაროდნიკული ტყვეობა არისო, მხოლოდ ღიმილს იწვევს. Quasi *-მარქსისტებს, რომლებიც ასე მსჯელობენ, ნაროდნიკული ტყვეობის ბრალი უნდა დაედოთ პირველ ყოვლისა კაუცკისა, მარქსისა და ენგელსისათვის. ყველა დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაში გადამწყვეტი გამარჯვება შეეძლო მოეპოვებინა მხოლოდ პროლეტარიატს (მეტ-ნაკლებად განვითარებულს) გლეხობასთან შეკავშირებით, და ასეთივეა ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების პირობა რუსეთშიც. 1905 — 1907 წლების გამოცდილება მოვლენათა ყ ო ვ ე ლ ი დიდი შებრუნებით იძლეოდა ამ ჭეშმარიტების პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ დადასტურებას, რადგან სინამდვილეში ყველა გადამწყვეტი გამოსვლა, «საბრძოლოც» და პარლამენტურიც, სწორედ პროლეტარიატისა და გლეხობის «ერთობლივი მოქმედება» იყო.

ჩვენი პარტია მტკიცედ დგას იმ თვალსაზრისზე, რომ პროლეტარიატის როლი არის რ ო ლ ი ბ ე ლ ა დ ი ს ა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, რომ ამ რევოლუციის ბოლომდე მისაყვანად აუცილებელია პროლეტარიატისა და გლეხობის ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, რომ რევოლუციური კლასების მიერ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს დ ა უ პ ყ რ ო ბ ლ ა დ გამარჯვება შეუძლებელია.

* — ცრუ. რედ.

ამ ჭეშმარიტებაზე ხელის აღება სოციალ-დემოკრატებს გარდუვალ ხვედრად არგუნებს ქანაობას, «უმიზნო მოძრაობას», შემთხვევიდან შემთხვევამდე უპრინციპო შეთანხმებათა ქადაგებას, ნამდვილად კი სწორედ ეს ნიშნავს კადეტურ ტყვეობას, ე. ი. მუშათა კლასის დამოკიდებულებას ლიბერალურ-მონარქისტული, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისაგან.

«სოციალ-დემოკრატი» №№ 3 და 4,
1909 წ. 9 (22) მარტი და 21 მარტი
(3 აპრილი)
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამგეობას [113]

სტატია «საორგანიზაციო საკითხი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», მოთავსებული «Vorwärts»-ის № 79-ში (I Beilage, d. 3. IV. 1909) *, გვაიძულებს გადაჭრილი პროტესტით მივმართოთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამგეობას. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, რომელმაც ზრუნვა დაგვავალა საზღვარგარეთის საქმეებზე, ვთხოვთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას ყურადღებით მოეკიდოს მეტისმეტად არანორმალურ შექმნილ მდგომარეობას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო დაჟინებით უგულებელყოფს ჩვენს ფორმალურ განცხადებას, რომ საზღვარგარეთ არსებობს ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული წარმომადგენლობა, და არ ბეჭდავს დიდი ხნის გაგზავნილ ცნობას ამ დაწესებულებისა და მისი მისამართის შესახებ. ამავე დროს «Vorwärts»-ი ბეჭდავს «ერთი ამხანაგისაგან» მიღებულ ცნობას და გადმოგვცემს ამ ცნობაში ოფიციალურ პარტიულ ამბავს, სახელდობრ რსდმპ კონფერენციას, ამასთან ამ გადმოცემაში ოფიციალური ტექსტი კონფერენციის რეზოლუციებისა (ორი რეზოლუციის) საორგანიზაციო საკითხზე მოყვანილი არ

* — «წინ» (I დამატება, 3. IV. 1909). რედ.

ა რ ი ს. ოფიციალურ პარტიულ რეზოლუციებს რომ არ იძ-ლევა «Vorwärts»-ში მოთავსებული წერილი სრულიად დამა-ხინჯებულად გადმოგვცემს დავასა და უთანხმოებას რუსეთის სოციალ-დემოკრატებში; ეს ცოტაა, წერილი შეიცავს მიჩქმა-ლულ ფრაქციულ პოლემიკას კონფერენციის გადაწყვეტი-ლებათა წინააღმდეგ. ასეთი სახის პოლემიკას განსაკუთრებით შეუძლია მოშხამოს ისედაც არანორმალური ურთიერთობა რსდმპ ფრაქციებს შორის. ასეთი სახის პოლემიკა განსა-კუთრებულ გაღიზიანებასა და გაბოროტებას იწვევს და ამავე დროს აძნელებს ჩვენს პარტიაში არსებული საქმის ნამდვილი ვითარებისა და უთანხმოების გარკვევას გერმანელი ამხანა-გების წინაშე.

ამიტომ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარე-თული ბიურო სთხოვს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას განიხილოს საკითხი რუსების უთანხმოე-ბათა გაშუქებისა «Vorwärts»-ში და რუსეთის საქმეების შესახებ სტატიების მოთავსებისა «Vorwärts»-ში, აგრეთვე რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური ცნობებისა და რსდმპ პარტიული რეზოლუციების ოფიციალური ტექს-ტების მოთავსებისა «Vorwärts»-ში.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო სთხოვს გამგეობას მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მოთავსდეს «Vorwärts»-ში ცნო-ბები რუსეთის სოციალ-დემოკრატების პარტიულ ცხოვრე-ბაზე ისე, რომ არ იქნას მოყვანილი ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური ცნობები და პარტიული რეზოლუციების ოფი-ციალური ტექსტები.

საქმის არსის გამო ცენტრალური კომიტეტის საზღვარ-გარეთულ ბიუროს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს ხსენებულ სტატიაში ჭეშმარიტების დამახინჯებათა უამრავი რაოდენო-ბიდან თუნდაც სამი შემდეგი მ თ ა ვ ა რ ი ტყუილი, ვინაიდან ყ ვ ე ლ ა უსწორობის ჩამოთვლა გვაიძულებდა მთელი ბრო-შურა დაგვეწერა.

1) ორგანიზაციულ საკითხზე კონფერენციის მიერ მიღებულ პირველ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ რსდმ პარტიაში არის ო რ ი მიმდინარეობა ორგანიზაციული პოლიტიკის ძირითად საკითხებზე. პარტია ამ რეზოლუციაში გმობს იმ მიმდინარეობას, რომელიც ხასიათდება როგორც «ლიკვიდატორული», ე. ი. ფაქტიურად მიმართული რსდმპ ახლანდელი პარტიის მოსპობისაკენ. ამ რეზოლუციას ხმა მისცა არათუ ყველა ბოლშევიკმა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ყველა წევრმა, არამედ ბუნდის ორმა დელეგატმაც ბუნდის დელეგატების მთელი რიცხვიდან — სამი კაციდან.

2) რეზოლუციაში თანამედროვე მომენტის შეფასების შესახებ, რომელიც ბოლშევიკებმა წამოაყენეს და პარტიამ მიიღო, თავიდანვე აღნიშნულია, რომ ძველი ბატონყმური თვითმპყრობელობა ირღვევა და კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. მენშევიკებმა, რომლებსაც თავისი რეზოლუციის პროექტი არ წარმოუდგენიათ, ამ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ამასთან მათ შეიტანეს ერთადერთი შესწორება: შეცვლილი ყოფილიყო სიტყვა ბურჟუაზიული სიტყვით — პლუტოკრატიული.

3) უკრაინის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები არ გამოსულან და ვერც გამოვიდოდნენ მენშევიკების სასარგებლოდ, რადგან კონფერენციაზე უკრაინის წარმომადგენლები არ ყოფილან. რაც შეეხება იმას, რომ მენშევიკებს ეთანხმებოდა პოლონეთის სოციალისტური პარტიაო, ეს უკანასკნელი არ მონაწილეობდა და ვერც მიიღებდა მონაწილეობას კონფერენციაში, რადგან ეს პარტია რსდმ პარტიაში არ შედის. მენშევიკების წინადადება, რომ რსდმპ შეერთებოდა ამ პარტიას, კონფერენციამ უარყო ისეთი ფორმით, რომ კონფერენცია ასეთი წინადადებიდან მორიგ საქმეებზე გადავიდა.

დაწერილია აბა უადრეს
1909 წ. 23 მარტისა (5 აპრილისა)
იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბოლშევიზმის კარიკატურა

«პროლეტარის» № 42-ში ჩვენ ზოგადად უკვე შევაფასეთ «ოტზოვიზმი» და «ულტიმატიზმი»*. პეტერბურგელი ოტზოვისტების ზემოთ დაბეჭდილი რეზოლუციის გამო, რომელიც მათს პლატფორმას წარმოადგენდა რსდმპ დეკემბრის კონფერენციის არჩევნების დროს (და რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ კონფერენციის შემდეგ მოუვიდა «პროლეტარის» რედაქციას), ჩვენ ბევრ რამეში უნდა გავიმეოროთ იქ ნათქვამი.

არასწორი, არამარქსისტული მჯელობითაა აღსავსე ეს რეზოლუცია, რომელიც თითქმის ყოველი პუნქტით ადასტურებს ავტორთა აზრის მოუმწიფებლობას ან მათ მიერ სოციალ-დემოკრატიის ანბანის დავიწყებას. პუნქტი 1-ლი: ...«რევოლუციის პირველი ეტაპი დამთავრებულია»... რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ დამთავრებულია საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ეტაპი? ალბათ, არა. ავტორებს მხედველობაში აქვთ მასების უშუალო რევოლუციური ბრძოლის ეტაპის დამთავრება. ასე უნდა ვიფიქროთ, რათა ოტზოვისტებს ყოვლად სულელური აზრი არ მივაწეროთ. ხოლო რაკი ასეა, მაშასადამე, ისინი აღიარებენ, რომ არ არსებობს მასების უშუალო-რევოლუციური ბრძოლის პირობები. თუმცა, ოტზოვისტები იძულებული არიან ეს აღიარონ, იძულებული არიან საქმის ვითარებით, მაგრამ მათ არ შესწევთ უნარი მოიაზრონ აქედან გამომდინარე დასკვნები, უნარი არ შესწევთ ერთმანეთს მოაბან თავი და ბოლო... «რუ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 432 — 436. რედ.

სეთი... ახალი რევოლუციური აღმავლობისაკენ მიდის»... მართალია! მხოლოდ-ღა მ ი დ ი ს ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ი ს ა კ ე ნ, ე. ი. აღმავლობა არ არის, — ასე გამოდის ლოგიკითა და გრამატიკით! მაგრამ, თურმე, ეს აღმავლობა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაწყებულა, «ხასიათდება ცხარე შეტაკებით» და ა. შ. გამოდის უაზრობა: აწმყოს დახასიათების უნარი ოტზოვისტებს არ შესწევთ. მომავალი, რომლისკენაც ჩვენ «მივდივართ», «ხასიათდება» — ამ აწმყოს გაუგებლობის დასაფარავად. მაგალითად, «ქალაქის გაღატაკებული წვრილი ბურჟუაზია» ღმერთმა უწყის საიდან ტყვრება; მასზე მითითება ანალიზის' ცდითაც კი არ არის დადასტურებული; რატომ «ხასიათდება» მომავალი აღმავლობა გაღატაკებული მეშჩანების ცხარე შეტაკებით, — არსაიდან არა ჩანს; რატომ სწორედ ახლა გახდა საჭირო დაემატებინათ ქალაქის გაღატაკებული წვრილი ბურჟუაზია — უცნობია; ლუმპენებს' ხომ ზ ო გ ჯ ე რ ახასიათებს ცხარე შეტაკება, ზ ო გ ჯ ე რ — გასაოცარი უმტკიცობა და ბრძოლის უუნარობა. ოტზოვისტების აზრი სრულიად ბუნდოვანია, და ჩვენ არ გვაკვირვებს, რომ რსდმპ კონფერენციაზე «ქალაქის გაღატაკებული წვრილი ბურჟუაზიის» ჩართვის წინადადებას ხმა მისცა ო რ ოტზოვისტთან ერთად მ ხ ო ლ ო დ ო რ მ ა ბ უ ნ დ ე ლ მ ა! ჩვენი შეხედულება, რომ ოტზოვიზმი პირუკეღმა ოპორტუნიზმია, ბრწყინვალედ დადასტურდა.

მაინც ვისთან იქნება ცხარე შეტაკება? «მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულე-მებატონეთა მმართველ ბლოკთან». და არა თვითმპყრობელობასთან? ოტზოვისტებს უნარი არ შესწევთ განასხვაონ აბსოლუტიზმი, რომელიც ორ აღნიშნულ კლასს შორის' წაჯექ-უკუჯექობს, ამ კლასების პირდაპირი ბატონობისაგან, და მათ გამოუდით აბსურდი, სადღაც ქრება ბრძოლა თვითმპყრობელობასთან.

...«სწარმოებს ძალთა ორგანიზაციის ფარული მუშაობა...» ფარული შეიძლება იყოს და არის ხოლმე გამოცდილების გათვალისწინების, ახალი გაკვეთილების შეთვისების, ძალთა დაგროვების მუშაობა, მაგრამ ძალთა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

ფარული არ შეიძლება იყოს არალეგალობის აბსოლუტური ბატონობის დროსაც კი. 1901—1903 წლებში ძალთა ორგანიზაცია მიმდინარეობდა არალეგალურად, მაგრამ არა ფარულად. ოტზოვისტები იმეორებენ გაზეპირებული სიტყვების ნაწყვეტებს და ამასთანავე ამახინჯებენ მათ.

პუნქტი მე-2: «ამ შეტაკების გადაწყვეტა რუსეთში ძლიერ განვითარებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა არსებობისას რევოლუციის ფორმას მიიღებს»... კლასობრივი წინააღმდეგობანი რუსეთში ნაკლებ ძლიერად არის განვითარებული, ვიდრე ევროპაში, რომლისთვისაც უცნობია თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ამოცანა. თავის შეხედულებათა გაღრმავების მოსურნე ოტზოვისტები ვერ ამჩნევენ, თუ როგორ უახლოვდებიან თავის ანტიპოდს — ოპორტუნისტებს.

...«რევოლუციისა, რომელიც შეიარაღებულ აჯანყებამდე მიგვიყვანს»...

ბრძოლის მ ი ზ ა ნ ზ ე ჩვენთვის ჯერ კიდევ არაფერი უთქვამთ გარკვევით, გარკვევით არაფერი უთქვამთ აგრეთვე თვითმპყრობელობის განვითარების თანამედროვე მომენტზე, მაგრამ ოტზოვისტები ჩქარობენ თქვან ბრძოლის ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ზ ე, რათა თავის თავი «რევოლუციონერებად» გამოაცხადონ. ეს ბალღობაა, ძვირფასო ამხანაგებო, ვინაიდან თქვენ ისევ გვიჩვენებთ, რომ გ ა გ ი ზ ე პ ი რ ე ბ ი ა თ კარგი სიტყვების ნაწყვეტები, მაგრამ მათი აზრი კ ი ვ ე რ გ ა გ ი გ ი ა თ. 1897, 1901 და 1905 წლებში რევოლუციური სოციალ-დემოკრატები სხვადასხვანაირად უყურებდნენ აჯანყების საკითხს: მხოლოდ 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ დასვეს იგი მათ დღის წესრიგში, თუმცა 1897 წელსაც და 1901 წელსაც რუსეთი, უეჭველია, «მიდიოდა რევოლუციური აღმავლობისაკენ», მიდიოდა «ცხარე შეტაკებისა» და «რევოლუციისაკენ». საკმარისი არ არის გაიზეპირო ლოზუნგი, უნდა შეგეძლოს ფიქრი იმაზე, თუ როდისაა მართებული მათი წამოყენება. ვიდრე «აღმავლობა» არ დაწყებულა, ვიდრე «რევოლუცია» ამ სიტყვის მეტად ვიწრო და უშუალო მნიშვნელობით არ გამხდარა

აწმყოდ (ოტზოვისტები კი მასზე ლაპარაკობენ როგორც მ ო-მ ა ვ ა ლ ზ ე: «მ ი ი ღ ებ ს რევოლუციის ფორმასაო»), — მანამდე ბრძოლის ე რ თ-ე რ თ ი საშუალების ლოზუნგის წამოყენება იმას ნიშნავს, რომ თავის თავი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების კარიკატურად წარმოგვიდგინო. კონფერენციის რეზოლუცია ლაპარაკობს მზარდ რევოლუციურ კრიზისზე და ბრძოლის მიზანზე (რევოლუციური კლასების მიერ ძალაუფლების დაპყრობა), და ა ხ ლ ა მ ე ტ ი ს თქმა არ შეიძლება და არც არის საჭირო.

როგორ მოხვდნენ აქ უცნობი «მუნიციპალური რეფორმები», ისიც «რადიკალური რეფორმების» სახით, — ალაჰმა უწყის. თუ რას ნიშნავს ეს, ეტყობა, თვითონ ოტზოვისტებსაც არ ესმით.

პუნქტი მე-3: «ამის გამო სოციალ-დემოკრატიამ, როგორც თანამიმდევარმა რევოლუციურმა პარტიამ, პირველ რიგში უნდა დააყენოს სათათბიროსგარეშე ბრძოლა»...

და არიან ადამიანები («ულტიმატისტები»), იმდენად ბეცნი, რომ ჩვენი უთანხმოება ოტზოვისტებთან მათ მიაჩნიათ მხოლოდ პრაქტიკულ უთანხმოებად, მხოლოდ საერთო ტაქტიკის გატარების საშუალებათა და ხერხთა სხვადასხვანაირ შეფასებად! 1907 წელს, ზაფხულში, უთანხმოება III სათათბიროს ბოიკოტის შესახებ შეიძლებოდა მხოლოდ პრაქტიკული ხასიათისა ყოფილიყო, ბოიკოტისტების შეცდომა შეიძლებოდა მხოლოდ შეცდომა ყოფილიყო ყველა ბოლშევიკისათვის საერთო ტაქტიკის გატარების საშუალებათა არჩევაში. 1909 წელს სასაცილოც კია ამაზე ლაპარაკი. ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების შეცდომა მარქსიზმისაგან პრინციპული განდგომა გახდა. მართლაცდა, დაფიქრდით: «ა მ ი ს გ ა მ ო», ე. ი. იმის გამო, რომ ჩვენ აღმავლობისაკენ «მივდივართ» და რომ შეტაკება «რევოლუციის ფორმას მიიღებს», «ამის გამო» პირველ რიგში — სათათბიროსგარეშე ბრძოლაო! ეს ხომ მხოლოდ სიტყვების გროვაა, რომელიც ჩქმალავს აზრების საოცარ ქაოსს, ამხანაგებო! თქვენ ხომ ჯერ

კრინტიც არ დაგიძრავთ სათათბიროს შესახებ თქვენს რეზოლუციაში, მაგრამ უკვე შეთითხნეთ დასკვნა: «ამის გამო» — «სათათბიროსგარეშე ბრძოლაო»! იმის გამო, რომ ჩვენ არ გვესმის სათათბიროს მნიშვნელობა და პარტიის ამოცანები აღმავლობის ზრდის დროს, — ვაცხადებთ სათათბიროსგარეშე ბრძოლასაო, — აი რა უაზრობამდე მიდის ოტზოვისტების მსჯელობა. ოტზოვისტებმა განიმეორეს ისეთი ეპოქის მათ მიერ ვერ გაგებულ ბოლშევიკურ მსჯელობათა ნაწყვეტები, როდესაც სათათბიროსგარეშე ბრძოლა არათუ ცხადდებოდა, არამედ მას აწარმოებდნენ მასები, — გაიმეორეს მაშინ, როდესაც თვითონვე მიაჩნიათ «რევოლუციის პირველი ეტაპი დამთავრებულად», ე. ი. უშუალო მასობრივი ბრძოლის პირობები დროებით არარსებულად.

მათ გაუზეპირებიათ სწორი დებულება იმის შესახებ, რომ სათათბიროში მუშაობა უნდა ემორჩილებოდეს სათათბიროს გარეთ მიმდინარე მუშათა მოძრაობის ინტერესებსა და მიმართულებას, და უალაგო ალაგას და წარმოუდგენლად დამახინჯებული ფორმით იმეორებენ ამ გაზეპირებულის ნაწყვეტებს.

ნაცვლად იმისა, რომ ხაზგასმით აღნიშნონ: საჭიროა, სათათბიროში მუშაობასთან ერთად, ახლაც მაქსიმუმი ძალღონე მოვანდომოთ აგრეთვე მტკიცე, ხანგრძლივ და გულმოდგინე სათათბიროსგარეშე მუშაობას მასებს შორის ორგანიზაციისა და აგიტაციის დარგშიო, — ოტზოვისტები სოციალისტ-რევოლუციონერებთან ერთად იწყებენ «რევოლუციურ» წკმუილს «სათათბიროსგარეშე მუშაობაზე», შეტევაზე და ა. შ.

«უშუალო აქტიური მოქმედება ამჟამად შეუძლებელიაო», — ამბობენ ოტზოვისტები რეზოლუციის ბოლოში (ბ. 1), — ხოლო დასაწყისში აცხადებენ სათათბიროსგარეშე ბრძოლას. განა ეს ბოლშევიზმის კარიკატურა არ არის?

...«და მუშაობა რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე მისაყვანად»... ჯერ ნაწყვეტი აზრი ბრძოლის საშუალებათა შესახებ, შემდეგ—მიზანზე!... «და ამ მიზნით პროლეტარიატისა

და გლეხობის ფართო მასების ორგანიზაცია»... ეს ლიტონი ფრაზაა, ამხანაგებო, ისეთ მომენტში, როდესაც საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა და «პირველ რიგში» ნახევრადდანგრეული პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებასა და აღდგენას.

პუნქტი მე-4 «ოტზოვიზმის» ერთ-ერთი თვალმარგალიტია: «პარტიას შეუძლია გამოიყენოს საორგანიზაციო და სააგიტაციო მოქმედების მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც არ აფუჩეჩებენ და არ ასუსტებენ რევოლუციურ ბრძოლას»...

ასეთია საკითხის «პრაქტიკული» დაყენება «პრაქტიკული» ულტიმატისტების აზრით! ოტზოვისტები ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ 1909 წელს გ ა მ ო ქ ე ქ ო ნ პრინციპული გამართლება, და ეს გამოქექვა მათ გარდუვალად ჭაობში აგდებს. «მოქმედების მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც არ აფუჩეჩებენ»... — ეს სიტყვები აშკარად უმიზნებენ სოციალ-დემოკრატების მუშაობას სათათბიროში და მათ მიერ ნახევრადლეგალური და ლეგალური ორგანიზაციების გამოყენებას. გამოდის, რომ არის ისეთი «ფორმები მოქმედებისა», რომლებიც აფუჩეჩებენ, და ისეთები, რომლებიც არ აფუჩეჩებენ. რათა ტვინის მუშაობისაგან ვიხსნათ ადამიანები, რომლებსაც ფიქრი არ შეუძლიათ, შევადგინოთ «მოქმედების ფორმების» განრიგება და ამოვშალოთ ის ფორმები, რომლებიც «აფუჩეჩებენ», აი ეს იქნება ჭეშმარიტად რევოლუციური ტაქტიკა!!

მაგალითად, ლეგალური ლიტერატურა, საყვარელო ამხანაგებო? აფუჩეჩებს თუ არ აფუჩეჩებს ეს «ორგანიზაციული და სააგიტაციო მოქმედების ფორმა»? რა თქმა უნდა, «აფუჩეჩებს» სტოლიპინის რეჟიმის დროს! მაშასადამე, იგი თავიდან უნდა მოვიშოროთ, — ასე გამოუდით ოტზოვისტებს, რომლებსაც უნარი არ შესწევთ მიგვითითონ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ ს უ ლ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი ფ ო რ მ ე ბ ი ს გამოყენების პ ი რ ო ბ ე ბ ი და რომლებიც ამიტომ უაზრობას ამბობენ. «პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გამოიყენოს და განამტკიცოს არსებული ორგანიზაციები და შექმნას ახალი არალეგალური,

ნახევრადლეგალური და, შეძლებისამებრ, ლეგალური ორგანიზაციები, რომლებიც მას დასაყრდენ პუნქტებად გამოადგებოდნენ,— ასე ამბობს კონფერენციის რეზოლუცია, რომელიც წამოაყენეს და გაატარეს ბოლშევიკებმა. ეს რეზოლუცია განსხვავდება ოტზოვიზმისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. «მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც არ აფუჩეჩებენ»,— ეს ფუჭი ფრაზაა, მარტოოდენ «წკმუილია» რევოლუციურობის ნაცვლად. არალეგალური პარტიული «მუშათა კომიტეტების» შექმნა როგორც «ნახევრადლეგალური, ისე, შეძლებისამებრ, ლეგალური ორგანიზაციების», გამოსაყენებლად,— ეს არის ტაქტიკა რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც ანგარიშს უწევენ იმას, თუ რა «ორგანიზაციული და სააგიტაციო მოქმედების ფორმებს» მოითხოვს თანამედროვე მომენტი და რომლებსაც უნარი შესწევთ გვიჩვენონ სულ სხვადასხვა «ფორმის» ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის წესები.

ძირს სოციალ-დემოკრატების ლეგალური ლიტერატურაო,— ეს ფუჭი ფრაზაა, რომლის შესრულება არ შეიძლება და რომელიც ამიტომ ხელსაყრელია მხოლოდ ოპორტუნისტებისათვის; ამ უკანასკნელთ ჩინებულად აქვთ შეგნებული, რომ მისი განხორციელება შეუძლებელია. გამიჯვნა პარტიული სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც მზად არიან პასუხი აგონ პარტიის წინაშე თავისი ლეგალური ნაწერებისათვის, და უპარტიო ლიტერატორ-მაროდიორებისა, ძნელი, მაგრამ განსახორციელებელი ამოცანაა, რომელიც მუშაობის ნამდვილ მიმართულებას აძლევს იმათთვის, ვისაც სურს პარტიასთან იმუშაოს. ძირს სათათბიროს ლეგალური ფრაქცია, ძირს ლეგალური ორგანიზაციებიო,— ეს ფუჭი ფრაზაა, ხელსაყრელი მხოლოდ ოპორტუნისტებისათვის, რომლებიც ძალიან მოხარულნი იქნებოდნენ თავი დაეღწიათ პარტიის კონტროლისაგან. დაუღალავად მუშაობა ამ კონტროლზე, ლეგალური ორგანიზაციების «გამოყენებაზე»,

სოციალ-დემოკრატების ყოველგვარი შეცდომისა და მცდარი ტაქტიკის გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ა ზ ე — ეს არის პარტიული საქმე, რომელსაც შევასრულებთ ჩვენ და ყველა ისინი, ვისაც სურს განახორციელოს კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

...მე-4 პუნქტის ბოლო: «გადაჭრით იბრძოლებს რა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის თვითმპყრობელობასთან ყოველგვარი გარიგების წინააღმდეგ».

უჰ! აუცილებლად უ ა ლ ა გ ო ა ლ ა გ ა ს უნდა გაიმეორონ ოტზოვისტებმა აზრთა ნაგლეჯები ბოლშევიკური ლიტერატურიდან. ხომ უნდა გაარჩიოთ, ამხანაგებო, სად რა უნდა ითქვას. I და II სათათბიროს დროს მთავრობა ჯერ კიდევ ეძებდა გზებს გ ა რ ი გ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ხოლო კადეტები ხალხს უქადაგებდნენ გარიგებას, როგორც «ბრძოლის» ლოზუნგს (ლოზუნგს, რომელიც თავგზას უბნევდა სოციალ-დემოკრატ მენშევიკებსაც კი). მ ა შ ი ნ გადამწყვეტი ბრძოლა გ ა რ ი გ ე ბ ა თ ა წინააღმდეგ მართლაც იყო დღის ლოზუნგი, მომენტის ამოცანა, მოტყუების გამოაშკარავება. ახლა გარიგება მოძებნილი და განხორციელებულია ცარიზმის მიერ იმ კლასებთან, რომლებსაც თვითონ ოტზოვისტებმა «ბლოკი» უწოდეს, ამასთან არავინ ტყუვდება III სათათბიროში განხორციელებული გარიგების გამო. ახლა აგიტაციის ცენტრად რომ გაიხადო «გადამწყვეტი ბრძოლა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ გ ა რ ი გ ე ბ ა თ ა წინააღმდეგ», ეს ნიშნავს თავისი თავის გამოსახვას ბოლშევიზმის კარიკატურად.

პუნქტი მე-5: «ჩვენი სახელმწიფო სათათბირო არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პარლამენტად, რომელიც მუშაობს პოლიტიკური თავისუფლების ფარგლებში და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთგვარი თავისუფლების პირობებში, არამედ წარმოადგენს მხოლოდ გარიგებას ცარიზმსა და მსხვილ ბურჟუაზიას შორის...» აქ ორი შეცდომაა. არ შეიძლება ითქვას: ა რ ა პარლამენტი, ა რ ა მ ე დ გარიგებაო, ვინაიდან მსოფლიოს მთელი რიგი პარლამენტები სხვა არა არის რა, თუ არა ბურჟუაზიის (რომელსაც განვითარების ამა თუ იმ დონისათვის მიუღწევია) გარიგება შუასაუკუნეობის სხვა-

დასხვა ნაშთებთან. ჩვენ უნდა გვებრძოლნა და კიდეც ვიბრძოდით იმის წინააღმდეგ, რომ რუსეთში პირველი პარლამენტი ყოფილიყო შავრაზმულ-ოქტიაბრისტული პარლამენტი, მაგრამ რაკი ეს, ჩვენი ღონისძიებების მიუხედავად, ფაქტი აღმოჩნდა, რაკი ისტორიამ გვაიძულა გაგვევლო ასეთი ეტაპი, არასასიამოვნო სინამდვილის უბრალოდ მოშორება თავიდან მარტოოდენ შეძახილით, მარტოოდენ დეკლამაციით, — ბალღობაა. მეორე შეცდომა: რეზოლუციის ავტორებს გამოუდით, რომ თუ არის «ერთგვარი თავისუფლება», მაშინ ეს «პარლამენტია», ხოლო თუ არ არის, მაშინ «ნაყალბევია». ეს არის ვულგარულ-დემოკრატიული შეხედულება, რომელიც კადეტს შეეფერება, და არა მარქსისტს. III სათათბიროს დროს გაცილებით ნაკლები თავისუფლებაა, ვიდრე II სათათბიროს დროს იყო, მაგრამ III სათათბირო ნ ა კ ლ ე ბ ა დ ფიქციური პარლამენტია, ვინაიდან იგი უ ფ რ ო სწ ო რ ა დ გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს ამჟამად გაბატონებული კლასებისა და სახელმწიფო ძალაუფლების ნამდვილ თანაფარდობას. ვიდრე ძალაუფლება მეფისა და მებატონე მემამულეთა ხელშია, — არავითარი სხვაგვარი პარლამენტი ბურჟუაზიულ რუსეთში არ შეიძლება იყოს. კადეტებს შეჰფერით ამ შეულამაზებელი სიმართლის მიფუჩეჩება, სოციალ-დემოკრატებს კი ეს არ შეჰფერით.

პუნქტი მე-6, გამონაკლისის სახით, სწორია. მაგრამ ეს სწორედ ისეთი გამონაკლისია, რომელიც საწინააღმდეგო წესს ადასტურებს, ვინაიდან... ვინაიდან ამ პუნქტში ოტზოვისტები გადმოგვცემენ არა თავის აზრებს, არამედ აზრებს ანტიოტზოვისტებისას, რომლებმაც გაატარეს კონფერენციის რეზოლუციები.

დასკვნები. პუნქტი (ა) ...«სათათბირო, წარმოადგენს რა... გარიგებას... და კონტრრევოლუციის იარაღს»... სწორია!... «მხოლოდ განამტკიცებს თვითმპყრობელობას»... ეს «მხოლოდ» არ არის სწორი. თვითმპყრობელობამ, ასეთი სათათბიროს შექმნა რომ მოასწრო, დროებით გადასდო თავისი დაღუპვის ვადა, მაგრამ ამით იგი კი არ მაგრდება, არამედ

ი რ ღ ვ ე ვ ა. სათათბირო ისეთი «საფარია», რომელიც ბევრ რამეს «ააშკარავებს», ვინაიდან ის პირველად გვიჩვენებს აშკარად ათასობით საკითხის მეოხებით ცარიზმის დამოკიდებულებას კონტრრევოლუციური ფენებისაგან, პირველად ცხადყოფს **en grand** * რომანოვისა და პურიშკევიჩის, ცარიზმისა და «რუსი ხალხის კავშირის», თვითმპყრობელობისა და დუბროვინ — ილიოდორ — პოლოვნევების იმანენტურ კავშირს.

სათათბირო რომ სანქციას აძლევს ცარიზმის დანაშაულობათ, ეს უეჭველია, მაგრამ ეს არის სანქცია გარკვეული კლასებისა, გარკვეული კლასობრივი ინტერესების გულისათვის, და სოციალ-დემოკრატიის საქმე სწორედ ის არის, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან ცხადყოს კლასობრივი ბრძოლის ეს საგულისხმო ჭეშმარიტებანი.

...«III სახელმწიფო სათათბიროს 8 თვის მოღვაწეობამ ცხადყო, რომ სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია მისი გამოყენება»...

აი ეს არის თავი და ბოლო ოტზოვიზმისა, რომლის შეცდომას მხოლოდ ჰფარავენ და საქმეს ჰრევენ ჩვენი «ულტიმატისტები» თავისი სასაცილო აბრუნდით: რაკი ძალღონე დავხარჯეთ ფრაქციის შექმნაზე, არ შეიძლება იგი ადვილად გამოვიწვიოთო!

საკითხი პირდაპირ დგას, და აბრუნდი აქ საქმეს ვერ უშველის: დაამტკიცა თუ არა 8 თვის მოღვაწეობამ სათათბიროს ტრიბუნის გამოყენების შესაძლებლობა თუ შეუძლებლობა? ოტზოვისტების პასუხი სწორი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად ძნელია პარტიული მუშაობა ფრაქციის მ ი მ ა რ თ, ამ მუშაობამ უსათუოდ დ ა ა მ ტ კ ი ც ა სათათბიროს ტრიბუნის გამოყენების შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა. სიძნელეთა და შეცდომათა გამო სულით დაცემა სულმოკლეობაა, მოთმინებითი, მტკიცე, შეუპოვარი პროლეტარული მუშაობის შეცვლაა ინტელიგენტური «წკმუილით». სხვა ევროპული სოციალისტური პარტიები გაცილებით მეტ სიძ-

* — დიდი მასშტაბით. რ ე დ.

ნელეებს შეხვედრიან პარლამენტური მოღვაწეობის დასაწყისში, ამასთან გაცილებით მეტი შეცდომები ჩაუდენიათ მათ, მაგრამ არ გაქცევიან ამოცანას, არამედ ახერხებდნენ სიძნელეთა გადალახვასა და შეცდომების გამოსწორებას.

(ბ) ...«ჩვენი ფრაქცია... დაჟინებით ატარებდა ოპორტუნისტულ ტაქტიკას, არ შეეძლო ყოფილიყო და არც შეიძლება იყოს რევოლუციური პროლეტარიატის მტკიცე და თანამიმდევარი წარმომადგენელი»...

ყველაზე დიადი ჭეშმარიტებანი შეიძლება გაათახსირო, ამხანაგო ოტზოვისტებო, ყველაზე დიადი ამოცანები შეიძლება ლიტონ ფრაზად გადააქციო, და თქვენ ამას სჩადიხართ. ოპორტუნიზმთან ბრძოლა თქვენ ლიტონ ფრაზად გადააქციეთ და ამით მხოლოდ ხელს უწყობთ ოპორტუნისტებს. ჩვენი ფრაქცია სჩადიოდა და სჩადის შეცდომებს, მაგრამ სწორედ მისი მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ მას «შეეძლო ყოფილიყო და შეუძლია იყოს» პროლეტარიატის მტკიცე და თანამიმდევარი წარმომადგენელი, — შეეძლო და შეუძლია, როდესაც ჩვენ, პარტია, მას წარვმართავთ, ვეხმარებით, ვაძლევთ მას ჩვენს საუკეთესო ძალებს ხელმძღვანელებად, ვადგენთ დირექტივებს, სიტყვების პროექტებს, ვუმარტავთ მას მეშჩანური ინტელიგენციის რჩევა-დარიგების მავნებლობასა და დამღუპველობას, იმ ინტელიგენციისა, რომლისთვისაც ყველგან და მთელ მსოფლიოში, და არა მარტო რუსეთში, უაღრესად ადვილი მისაწვდომია პარლამენტის ყოველგვარი შორიახლო დაწესებულება.

იქონიეთ, ამხანაგებო, მამაცობა აღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სრულებითაც საკმაოდ ვერ გავაკეთეთ ის, რაც საჭიროა ფრაქციის მუშაობის ამ ნამდვილი წარმართვისათვის, იმისათვის, რომ მას საქმით დავხმარებოდით. იქონიეთ მამაცობა აღიაროთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ათკეცად მეტი გავაკეთოთ ამ გზაზე, თუ მოვახერხებთ და განვამტკიცებთ ჩვენს ორგანიზაციებს, დავრაზმავთ ჩვენს პარტიას, უფრო მჭიდროდ დავუკავშირებთ მას მასებს, შევქმნიო პროლეტა-

რების ფართო მასებზე მუდმივად ზემოქმედ პარტიულ ორგანოებს. აი საითკენ არის მიმართული ჩვენი მეცადინეობა, აი საითკენ უნდა იყოს მიმართული მათი მეცადინეობა, ვისაც ბრძოლა სურს ოპორტუნიზმთან საქმით, და არა სიტყვით.

ოტზოვისტებმა ფრაქციის ოპორტუნიზმთან ბრძოლა ცარიელ ფრაზად გადააქციეს, ვინაიდან მათ გაიზეპირეს სიტყვები, ამავე დროს კი ვერ გაიგეს განსხვავება ოპორტუნიზმის ანარქისტულ და სოციალ-დემოკრატიულ კრიტიკას შორის. აიღეთ ანარქისტები: ისინი მუდამ ებღაუჭებიან ყოველი სოციალ-დემოკრატ პარლამენტარის ყოველ შეცდომას, ისინი მუდამ გაიძახიან, რომ ბებელმაც კი ამა და ამ დროს, წარმოთქვა სიტყვა თითქმის პატრიოტიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილი, ამა და ამ დროს დაიკავა არასწორი პოზიცია აგრარული პროგრამის საკითხშიო და სხვ. და ა. შ.. და ეს მართალია, რომ ბებელსაც კი მოსდიოდა ოპორტუნიზმის შეცდომები თავისი პარლამენტური კარიერის დროს. მაგრამ რა დასკვნა გამოდის აქედან? ანარქისტისათვის — ის დასკვნა, რომ მუშათა ყველა დეპუტატი უკან უნდა გამოვიწვიოთო. ანარქისტები აგინებენ სოც.-დემოკრატ პარლამენტარებს, რათა კავშირი გაწყვიტონ მათთან, აგინებენ და ამავე დროს უარს ამბობენ იმუშაონ პროლეტარული პარტიის, პროლეტარული პოლიტიკის, პროლეტარული პარლამენტარების გამომუშავებისათვის. და სინამდვილეში ანარქისტებს მათი ფრაზა აქცევს ოპორტუნიზმის უერთგულეს ხელშემწყობად, მის უკულმა პირად.

სოციალ-დემოკრატისათვის შეცდომებიდან სხვაგვარი დასკვნა გამომდინარეობს. ეს ის დასკვნა არის, რომ ბებელიც კი ვერ გახდებოდა ბებელად, რომ არ ყოფილიყო ხანგრძლივი პარტიული მუშაობა ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული წარმომადგენლობის შესაქმნელად. ნუ გვეტყვიან: «ჩვენ ფრაქციაში ბებელები არა გვყავსო». ბებელად კაცი ვერ დაიბადება, ბებელი უნდა გახდე. ბებელები მზამზარეულად კი არ ჩნდებიან, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან, არამედ მათ ქმნის პარტია და მუშათა კლასი. ვინც ამბობს: ჩვენ

ბებელები არა გვყავსო, — იმან არ იცის გერმანიის პარტიის ისტორია, იმან არ იცის, რომ იყო დრო, როდესაც განსაკუთრებული კანონის დროს ავგუსტ ბებელი ოპორტუნისტულ შეცდომებს სჩადიოდა, და პარტია ასწორებდა ამ შეცდომებს, პარტია წარმართავდა ბებელს *.

(გ) «სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შემდგომ მონაწილეობას სახელმწიფო სათათბიროში... შეუძლია მხოლოდ ზიანი მოუტანოს პროლეტარიატს... შელახოს სოციალ-დემოკრატიის ღირსება და გავლენა»... იმის განსამარტავად, თუ ამ უზომო გაზვიადებაში როგორ «იქცევა რაოდენობა თვისებად», თუ ამ უზომო გაზვიადებიდან როგორ ჩ ნ დ ე ბ ა (ამხანაგ ოტზოვისტების ნებისა და შეგნების დამოუკიდებლად) ანარქისტული ფრაზა, საკმარისია დავიმოწმოთ 1909 წლის კამათი ბიუჯეტის საკითხის გამო, ბელოუსოვის სიტყვა. თუ მივიჩნევთ, რომ ა ს ე თ გამოსვლებს «ზიანი მოაქვთ» და რომ ისინი არ ამტკიცებენ სათათბიროს ტრიბუნის გამოყენების შესაძლებლობასა და აუცილებლობას, მაშინ უთანხმოება სცილდება გამოსვლის შეფასების ფარგლებს, ის იქცევა პრინციპულ უთანხმოებად სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ძირითადი საკითხების შესახებ.

...(I) «დავიწყოთ ფართო აგიტაცია... ლოზუნგისათვის: «ძირს III სახელმწიფო სათათბირო»»...

ჩვენ უკვე ვთქვით «პროლეტარის» 39-ე ნომერში, რომ ეს ლოზუნგი, რომელმაც ერთ ხანს გაიტაცა ზოგიერთი ანტიოტზოვისტი მუშა, — ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს **. ეს არის ან კადეტური ლოზუნგი საარჩევნო რეფორმისა თვითმპყრობელობის დროს, ან გაზეპირებული სიტყვის გამეორება იმ ეპოქიდან, როდესაც ლიბერალური სათათბიროები კალთას აფარებდნენ კონტრრევოლუციურ ცარიზმს და ცდილობდნენ

* ჩვენ იმედი გვაქვს ცალკე სტატიაში შევჩერდეთ ამ საგულისხმო ისტორიაზე და ა მ ი ს ტ ო რ ი ი ს მიერ იმ გერმანულ მიმდინარეობათა დაგმობაზე, რომელნიც ჩვენს ოტზოვიზმს ენათესაებიან.

** იხ. ეს ტომი, გვ. 345—367.

ხელი შეეშალათ ხალხისათვის, რომ მას ნათლად არ დაენახა თავისი ნამდვილი მტერი.

(II) «უკან გავიწვიოთ... ფრაქცია, რაც ხაზს გაუსვამს როგორც... სათათბიროს ხასიათს, ისე სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ ტაქტიკას».

ეს სხვა ფრაზით გამეორებაა მოსკოველი ოტზოვისტების იმ დებულებისა, რომ ფრაქციის უკან გაწვევა ხაზს გაუსვამს, რომ რევოლუცია დამარხული არ არისო. ასეთი დასკვნა, — ვიმეორებთ «პროლეტარის» 39-ე ნომრის სიტყვებს, — «ხაზს უსვამს» მხოლოდ იმ სოციალ-დემოკრატების დ ა მ ა რ ხ ვ ა ს, რომლებსაც შეუძლიათ ამგვარად იმსჯელონ. ამით ისინი თავის თავს მ ა რ ხ ა ვ ე ნ, როგორც სოციალ-დემოკრატები, ისინი კარგავენ ნამდვილი პროლეტარულ-რევოლუციური მუშაობის ალღოს და ამიტომ ჭკუას ძალას ატანენ, რომ რევოლუციურ ფრაზას «ხაზი გაუსვან».

(III) «მთელი ჩვენი ძალები მოვანდომოთ... აშკარა... ბრძოლის ორგანიზაციასა და მომზადებას» (და ამიტომ ხელი ავიღოთ აშკარა ქადაგებაზე სათათბიროს ტრიბუნიდან!)... «და პროპაგანდას» და ა. შ.

სოციალ-დემოკრატიისათვის რომ შეუფერებელია სათათბიროს ტრიბუნიდან პ რ ო პ ა გ ა ნ დ ა ზ ე ხელის აღება, ეს ოტზოვისტებს დავიწყებიათ.

აქ ისინი გვიყენებენ საბუთს, რომელსაც იმეორებს ზოგიერთი ულტიმატისტი: «უანგარიშო საქმეა ვხარჯოთ ძალები უიმედო მუშაობაზე სათათბიროში, მოდი მ თ ე ლ ი ძ ა ლ ე ბ ი უფრო ნაყოფიერად მოვიხმაროთო». ეს ანგარიშის საბუთი კი არ არის, არამედ სოფიზმია, რომელიც გარდუვალად წარმოშობს — ისევ ავტორების ნებისა და შეგნების დამოუკიდებლად — ანარქისტულ დასკვნებს: ვინაიდან ანარქისტები ყ ვ ე ლ ა ქვეყანაში, სოციალ-დემოკრატ პარლამენტარების შეცდომებს რომ აღნიშნავენ, მოუხმობენ თავი გაანებონ «უანგარიშო ფუსფუსს ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან» და «მთელი ეს ძალები» მიმართონ ორგანიზაციის «პირდაპირი მოქმედებისაკენ». მაგრამ ეს იწვევს დეზორგანიზაციას და

ფართო და ყოველმხრივი მუშაობის შეცვლას მასებისაგან თავისი მოწყვეტილობის გამო უძლური «ლოზუნგების» წამოძახებით. მხოლოდ ეჩვენებათ ოტზოვისტებსა და ულტიმატისტებს, თითქოს აქ ახალი და მ ხ ო ლ ო დ III სათათბიროსთან შეფარდებული საბუთი იყოს. არ არის მართალი, ეს საერთო-ევროპული, ჩვეულებრივი ა რ ა სოციალ-დემოკრატიული საბუთია.

ამრიგად, ოტზოვიზმი და ულტიმატიზმი ბოლშევიზმის კარიკატურა არის. რამ წარმოშვა ეს კარიკატურა? რა თქმა უნდა, მთელი ბოლშევიზმის მცდარობამაო, — სხაპასხუპით აცხადებს მენშევიკი. ასეთი დასკვნა, უეჭველია, ძალიან «ხელსაყრელია» მენშევიკებისათვის. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ობიექტური ფაქტები მას კი არ ადასტურებენ, არამედ აბათილებენ. ეს ობიექტური ფაქტები გვეუბნებიან, რომ არა მარტო ბოლშევიზმის, არამედ ს ა ე რ თ ო დ მ თ ე ლ ი რუსული მარქსიზმის განვითარებაშიც იყო მარქსიზმის კარიკატურათა პერიოდი, და რომ რუსული მარქსიზმი განმტკიცდა და გაიზარდა ზრდის ამ სენთან, თავისი გავლენის სფეროს გაფართოების სენთან ბრძოლაში. რუსული მარქსიზმი იშვა გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ემიგრანტების ჯგუფის შრომებში («შრომის განთავისუფლების» ჯგუფი).

მაგრამ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობად და მუშათა მოძრაობის შემადგენელ ნაწილად მარქსიზმი რუსეთში იქცა მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან, როდესაც დაიძრა «ტალღა» მარქსისტული ლიტერატურისა რუსეთში და სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობისა. და მერე? ამ ტალღას თან მოჰყვა მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს კ ა რ ი კ ა ტ უ რ ა, ერთი მხრივ, სტრუვიზმისა, მეორე მხრივ, «რაბოჩეედელოელობისა» და «ეკონომიზმის» სახით. მარქსიზმი გაიზარდა და დავაჟკაცდა იმიტომ, რომ კი არ ჩქმალავდა უთანხმოებას, კი არ დიპლომატობდა (როგორც დიპლომატობენ მენშევიკები მასლოვის, ჩერევანინის, კუსკოვას, პროკოპოვიჩის, ვალენტინოვის, ერმანსკისა და კომპა-

ნიის მიმართ), არამედ ძლევამოსილ ლ ა შ ქ რ ო ბ ა ს ატარებდა და ჩაატარა კარიკატურის წინააღმდეგ, რომელიც წარმოშვეს რუსეთის ცხოვრების სავალალო პირობებმა და რუსეთში სოციალიზმის ისტორიულ განვითარებაში მომხდარმა გარდატეხამ. და ბოლშევიზმი გაიზრდება და განმტკიცდება ისე, რომ ხელს კი არ დააფარებს თავისი დამახინჯების დ ა ს ა წ ყ ი ს ს იმ კარიკატურის მეოხებით, რომელიც რუსეთის ცხოვრების სავალალო პირობებმა და კონტრრევოლუციური პერიოდის გარდატეხამ წარმოშვეს, არამედ აშკარად განუმარტავს მასებს, თუ რა ჭაობისაკენ მიჰყავთ ფრაქცია და პარტია ოტზოვისტებსა და ულტიმატისტებს.

გაზეთ «პროლეტარის» 44 №-ის დამატება,
1909 წ. 4 (17) აპრილი

იბეჭდება დამატების
ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზიის «გამემარცხენება» და პროლეტარიატის ამოცანები

ვაჭარ-მრეწველი ბურჟუაზიის «გამემარცხენების» საკითხი უკვე დიდი ხანია არ სცილდება ჩვენი ლეგალური პრესის ფურცლებს. აღნიშნულია და აღიარებული, რომ ოქტიაბრისტული პრესა დროდადრო რეგულარულად ბუზღუნებს «აგრარული» (წაიკითხე: ბატონყმურ-მემამულური) სათათბიროს წინააღმდეგ და ცარიზმის შესაბამისი პოლიტიკის წინააღმდეგ. აღნიშნულია და აღიარებული, რომ ვაჭართა და მრეწველთა მთელი რიგი ადგილობრივი პროფესიული ორგანიზაციებიც და საერთო-ნაციონალური ორგანიზაციებიც, — დაწყებული პროვინციული საბირჟო კომიტეტებით და გათავებული «ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობების საბჭოთი», — სწორედ უკანასკნელ წლებში და მეტადრე ამ ბოლო დროს გამოთქვამენ უკმაყოფილებას მემამულური პოლიტიკის გამო. აწერილია «მილიონების დაძმობილება მეცნიერებასთან» მოსკოვში, ესე იგი საზოგადოებისაგან დაფარული თათბირები უმსხვილესი მოსკოველი და პეტერბურგელი ბობოლებისა: კრესტოვნიკოვისა, გუჟონისა, ვოლსკისა და სხვებისა კადეტ პროფესორებთან და მწერლებთან: მანუილოვთან, სტრუვესთან, კიზევეტერთან და კომპანიასთან. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ლიბერალური პრესა, თვით მენშევიკების ორგანოებამდე,

სიამოვნებით ხელებს იფშვნეტს ყოველი ასეთი ცნობის გამო და ათას ჰანგზე დაფდაფსა სცემს ლიბერალიზმის აღორძინებისა და განახლების შესახებ.

ბურჟუაზიის ყბადაღებულმა «გამემარცხენებამ» თავისი გამოხატულება ჰპოვა მეფის მთავრობის «პოლიტიკური» ნაბიჯებისა და სათათბიროში მომხდარი გამოსვლების სახით. რუსეთის სოვდაგრობის საყვარელი პირი — და ამავე დროს ძველი ბიუროკრატიული ვირთაგვა — ბ-ნი ტიმირიაზევი დაინიშნა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრად. 13 მარტს ის გამოვიდა სათათბიროში დიდი «საპროგრამო» სიტყვით, — მინისტრების ამგვარ სიტყვებს მსოფლიოს ყველა შავრაზმულ-ბურჟუაზიულ და პირდაპირ ბურჟუაზიულ პარლამენტებში მხოლოდ და მხოლოდ «დიდი მნიშვნელობის მაჩვენებლად» ეწოდება საპროგრამო სიტყვები. სინამდვილეში მეფის მინისტრს არავითარი პროგრამა არ გადმოუცია, არამედ, როგორც მიღებულია, დაკმაყოფილდა სრულიად არაფრისმთქმელი თავაზიანი თავისქნევით კაპიტალისტების მისამართით, აგრეთვე მუქარით მუშათა კლასის მისამართით. ამასთან, რასაკვირველია, ეს მუქარა შეუერთა «თანაგრძნობის» ოფიციალურ-თვალთმაქცურ გამოთქმას. 19 მარტს მინისტრის ეს ლაქუცი კაპიტალის ბელადებთან განმეორდა მოსკოვში, სადაც ტიმირიაზევმა და კრესტოვნიკოვმა თავაზიანი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს მოსკოვის საბირჟო საზოგადოების სხდომაზე. «რუსეთი ავად არის, მაგრამ სათანადო მოვლისას მისი ავადმყოფობა საშიში არ არის და მალე გაივლისო», — თქვა კრესტოვნიკოვმა, როცა ის მიესალმა დიდად პატივცემულ ტიმირიაზევს. ტიმირიაზევმა კი მადლობა გადაუხადა დიდად პატივცემულ კრესტოვნიკოვს და მთავრობის სახელით გამოთქვა კეთილგანწყობილი სურვილი — «მოუარონ» ავადმყოფს «გარდამავალი დროის» ნაცადი სტოლიპინური საშუალებებით.

კითხვა იბადება, რა ობიექტური მიზეზები იწვევენ ბურჟუაზიის ამ «გამემარცხენებას» და როგორია მისი კლასობ-

რივი მნიშვნელობა? ჟურნალ «ვოზროჟდენიეში» [114] (№ 1 — 2) ამხ. მარტოვი ამ მწერლისათვის არც ისე ჩვეულებრივი პირდაპირობითა და სიცხადით უპასუხებს ამ კითხვებზე სტატიაში, რომლის სათაურია: «ბურჟუაზიის «გამემარცხენება»». «ცხოვრებამ გვიჩვენა, — წერს ის, — რომ თუ ეკონომიური განვითარება მომწიფდა სწორედ ბურჟუაზიული გარდაქმნისათვის, ხოლო ბურჟუაზიას არ შეუძლია მისი მამოძრავებელი ძალა იყოს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი გადატრიალება ვერ დამთავრდება მანამდე, სანამ უწყებული კლასის შემდგომი განვითარება არ გახდის მას მამოძრავებელ ძალად». და მეორე ადგილას: «ვისაც ეგონა, რომ ახლა მოქმედი კონსტიტუცია გამოხატავს თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის მეტნაკლებად ორგანულ გაერთიანებას, როგორც თანაბარი «კონტრრევოლუციური ფაქტორების» გაერთიანებას, იმათ ზემოაღნიშნულის მსგავს მოვლენებში» (ე. ი. ბურჟუაზიის «გამემარცხენებაში») «შეუძლიათ დაინახონ მხოლოდ კერძო ეპიზოდები, რომლებიც აუცილებლად არ არიან დაკავშირებულნი საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მიმართულებასთან... ამ იზოლირებულ მოვლენებს შეიძლება სიმპტომატური მნიშვნელობა ჰქონდეთ მხოლოდ იმათ თვალში, ვისთვისაც **a priori** * უეჭველი იყო, რომ საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობას რუსეთის ბურჟუაზია, როგორც კლასი, გარდუვალად მიჰყავს ის... თავისი თავის მკვეთრად დაპირისპირებისაკენ 3 ივნისის... რეჟიმთან».

შეადარეთ ამას № 12 «გოლოს სოციალ-დემოკრატას» განცხადება: ...«ჩვენ ვეთანხმებით კავკასიელთა წინადადებასაც (ე. ი. დანისა, აქსელროდისა და სემიონოვის წინადადებას რსდმპ უკანასკნელ კონფერენციაზე) — ვილაპარაკოთ რუსეთის მონარქიაზე არა როგორც «ბურჟუაზიულზე», არამედ როგორც «პლუტოკრატიულზე», რადგან ეს შესწორება

* — წინასწარ. *რედ.*

უარყოფს ბოლშევიკური რეზოლუციის სრულიად მცდარ მტკიცებას, თითქოს რუსეთის ცარიზმი იწყებს ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების გამოხატვას».

ჩვენს წინაშე აქ თავს იჩენს ჩვენი მენშევიზმის მთელი პოლიტიკური თეორია მთელი მისი დასკვნებით. თუ ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, იგი არ შეიძლება დამთავრდეს, ვიდრე ბურჟუაზია მისი მამოძრავებელი ძალა არ გახდება. ბურჟუაზიის «გამემარცხენება» ამტკიცებს, რომ იგი ასეთი მამოძრავებელი ძალა ხდება, და მის კონტრრევოლუციურობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ცარიზმი რუსეთში პლუტოკრატიული ხდება, და არა ბურჟუაზიულიო. თავისთავად გასაგებია, რომ აქედან გამომდინარეობს ჩვენს ბურჟუაზიულ რევოლუციაში მუშათა პარტიის ოპორტუნისტული ტაქტიკის დაცვა, პროლეტარიატის მიერ ლიბერალებისათვის მხარის დაჭერის ტაქტიკის დაცვა იმ ტაქტიკის საპირდაპიროდ, რომელიც წინააღმდეგ ლიბერალიზმის ქანაობისა და ღალატისა, ბურჟუაზიულ რევოლუციაში ხელმძღვანელ როლს აკუთვნებს პროლეტარიატს, რომელიც იერთებს გლეხობას.

მენშევიკური ტაქტიკა ჩვენს წინაშე თავს იჩენს როგორც მარქსიზმის ფალსიფიკაცია, როგორც ანტიმარქსისტული შინაარსის დაფარვა «მარქსისტული» სიტყვებით. ამ ტაქტიკას საფუძვლად უდევს არა მარქსისტების, არამედ მარქსისტებად გადაცმული ლიბერალების მსჯელობის მეთოდი. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია ზოგადად გადავავლოთ თვალი თუნდაც გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიასა და შედეგებს. «რეინის ახალ გაზეთში» მარქსი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების მიზეზების შესახებ წერდა: «მსხვილმა ბურჟუაზიამ, იმთავითვე ანტირევოლუციურმა, შეკრა თავდაცვითი და შეტევითი კავშირი რეაქციასთან ხალხის შიშით, ე. ი. მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიის შიშით» [115]. ამ თვალსაზრისზე იდგა მარქსი და დგას ყველა გერმანელი მარქსისტი 1848 წლისა და გერმა-

ნიის ბურჟუაზიის შემდგომი ტაქტიკის შეფასებაში. მსხვილი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობა მას ხელს არ უშლიდა «გამემარცხენებულიყო», მაგალითად, 60-იანი წლების კონსტიტუციური კონფლიქტის ეპოქაში, მაგრამ, რამდენადაც პროლეტარიატი დამოუკიდებლად და გადაჭრით არ გამოდიოდა, იმდენად ამ «გამემარცხენებიდან» რევოლუცია კი არ გამოდიოდა, არამედ გამოდიოდა მხოლოდ მოკრძალებული ოპოზიცია, რომელიც ხელს უწყობდა მონარქიას სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიული გამხდარიყო და არ არღვევდა ბურჟუაზიის კავშირს იუნკრებთან, ე. ი. რეაქციულ მემამულეებთან.

ასეთია მარქსისტების შეხედულება. პირიქით, ლიბერალების შეხედულებით მუშებმა თავისი უზომო მოთხოვნებით, თავისი უგონო რევოლუციურობით, თავისი უდროო თავდასხმებით ლიბერალიზმზე ხელი შეუშალეს თავისუფლების საქმის წარმატებას გერმანიაში და თავის შესაძლო მოკავშირეებს რეაქციისაკენ აქნევინეს პირიო.

სავსებით აშკარაა, რომ ჩვენი მენშევიკები მარქსისტული სიტყვებით ჰფარავენ მარქსიზმის ფალსიფიკაციას, ჰფარავენ თავის გადასვლას მ ა რ ქ ს ი ზ მ ი დ ა ნ ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ.

საფრანგეთშიც 1789 წლის შემდეგ და გერმანიაშიც 1848 წლის შემდეგ მონარქია, უეჭველია, დგამდა «კიდევ ნაბიჯს ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე». ასევე უეჭველია, რომ ორივე ამ რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზია კონტრრევოლუციური ხდებოდა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ 1789 წლის შემდეგ საფრანგეთში და 1848 წლის შემდეგ გერმანიაში გაქრა ბურჟუაზიის «გამემარცხენებისა» და შემდგომი ბურჟუაზიული რევოლუციის ნიადაგი? რა თქმა უნდა, არა. საფრანგეთის ბურჟუაზია, თავისი კონტრრევოლუციურობის მიუხედავად, «მემარცხენდებოდა», ვთქვათ, 1830 წელს, გერმანიისა — 1863 — 1864 წლებში. რამდენადაც პროლეტარიატი დამოუკიდებლად არ გამოდიოდა, რამდე-

ნადაც ის თუნდაც მოკლე ხნით არ იპყრობდა პოლიტიკურ ძალაუფლებას ბურჟუაზიის რევოლუციური ფენების დახმარებით, იმდენად ბურჟუაზიის «გამემარცხენება» არ იწვევდა რევოლუციას (გერმანია), არამედ იწვევდა მხოლოდ მონარქიის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის შემდგომ ნაბიჯებს. რამდენადაც პროლეტარიატი დამოუკიდებლად გამოდიოდა და ბურჟუაზიის რევოლუციურ ფენებთან შეკავშირებით იპყრობდა პოლიტიკურ ძალაუფლებას, ამხობდა ძველ ხელისუფლებას (როგორც არა ერთხელ მომხდარა საფრანგეთში XIX საუკუნის მანძილზე), იმდენად ბურჟუაზიის «გამემარცხენება» ახალი ბურჟუაზიული რევოლუციის პროლოგი ხდებოდა.

და აი ჩვენმა მენშევიკებმა დაივიწყეს და დაამახინჯეს ისტორიის ეს ანბანი, როდესაც ისინი ლიბერალების თვალსაზრისზე გადავიდნენ: არ იქნება რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია, ვიდრე მამოძრავებელი ძალა ბურჟუაზია არ გახდებაო! ეს ისტორიული დიალექტიკისა და XIX საუკუნის გაკვეთილების სრული გაუგებლობაა. პირიქით: არ იქნება რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია, სანამ პროლეტარიატი ბურჟუაზიის რევოლუციურ ელემენტებთან (ე. ი. ჩვენში — გლეხობასთან) შეკავშირებით არ გახდება დამოუკიდებელი მამოძრავებელი ძალა, წინააღმდეგ არამტკიცე და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მერყეობისა და ღალატისა.

ნიკოლოზ II-ის დროს კი არა, ძვირფასო ამხანაგო მენშევიკებო, არამედ ალექსანდრე II-ის დროს იწყებდა რუსეთის ცარიზმი «პლუტოკრატიულ» მონარქიად გადაქცევას, «იწყებდა ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების გამოხატვას». მაგრამ მას არ შეეძლო ეს ინტერესები გამოეხატა ბურჟუაზიის დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციის გარეშე. 1905 წლის რევოლუციამ ჩვენ უფრო მაღალ საფეხურზე აგვიყვანა, და ძველი ბრძოლა უფრო განვითარებულ პოლიტიკურ ურთიერთობათა ნიადაგზე ახლდება. III სათათბირო არის მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის პოლი-

ტიკური ორგანიზაციების პოლიტიკურად გაფორმებული, საერთო-ნაციონალური კავშირი. ცარიზმი ცდილობს ობიექტურად-აუცილებელი ისტორიული ამოცანები გადაწყვიტოს ამ ორი კლასის ორგანიზაციების დახმარებით. შესძლებს თუ არა იგი ამ მცდელობის განხორციელებას?

ვერა. თურმე, ასეთი ამოცანის გადაწყვეტა არ შეუძლია არათუ პლუტოკრატიულ ცარიზმს, რომლისთვისაც უცნობი იყო «უმაღლესი» კლასების ნაციონალური წარმომადგენლობის ორგანიზაცია, არამედ ნახევრადბურჟუაზიულ ცარიზმსაც შავრაზმულ-ბურჟუაზიული სათათბიროს დახმარებით. სათათბირო ეხმარება მას ამ ამოცანის გადაწყვეტაში. თურმე, ეს დახმარება არ ყმარა. ბურჟუაზიის «გამემარცხენებას» სწორედ ის ობიექტური ფაქტი იწვევს, რომ, ცარიზმის სტოლიპინური განახლების მიუხედავად, არ გამოდის ბურჟუაზიული ევოლუციის უზრუნველყოფა. როგორც 1905 წლამდე, ცარიზმის ეპოქაში, რომელიც არავითარ საწარმომადგენლო დაწესებულებას არ იცნობდა, მემამულეთა და თავადაზნაურობის წინამძღოლთა «გამემარცხენება» კრიზისის მომწიფების სიმპტომი იყო, ისე 1909 წელსაც, ცარიზმის ეპოქაში, რომელმაც ნაციონალური წარმომადგენლობა მისცა კრესტოვნიკოვებს, ამ ბობოლების «გამემარცხენება» იმის სიმპტომია, რომ «ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ობიექტური ამოცანები რუსეთში გადაუწყვეტელი რჩება», რომ «ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც 1905 წლის რევოლუცია გამოიწვიეს, კვლავ მოქმედებენ» (კონფერენციის რეზოლუცია თანამედროვე მომენტის შესახებ).

მენშევიკები თავის მსჯელობას საზღვრავენ იმით, რომ რევოლუცია ჩვენში ბურჟუაზიულია და რომ ბურჟუაზია ჩვენში «მემარცხენდება». მაგრამ ამით დაკმაყოფილება იმას ნიშნავს, რომ მარქსიზმი «მოქმედების სახელმძღვანელოს» ნაცვლად გადააქციო მყდარ ასოდ, იმას ნიშნავს, რომ გააყალბო მარქსიზმი, ფაქტიურად გადახვიდე ლიბერალიზმის

თვალსაზრისზე. ბურჟუაზიული რევოლუცია შესაძლებელია ისე, რომ პროლეტარიატმა ვერც ერთი სრული გამარჯვება ვერ მოიპოვოს, და შედეგად იქნება ძველი მონარქიის ნელი გადაქცევა ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ მონარქიად (მაგალითი: გერმანია). ბურჟუაზიული რევოლუცია შესაძლებელია პროლეტარიატის მთელი რიგი დამოუკიდებელი გამოსვლების გვერდით, რომლებიც იძლევიან სრულ გამარჯვებებსაც და მძიმე დამარცხებებსაც, შედეგად კი იქნება ბურჟუაზიული რესპუბლიკა (მაგალითი: საფრანგეთი).

კითხვა იბადება: გადაწყვეტილია თუ არა რუსეთის ისტორიის მიერ ამა თუ იმ გზის საკითხი? მენშევიკებს ეს კითხვა არ ესმით, ეშინიათ ამ კითხვის დასმისა, გვერდს უვლიან მას, არა აქვთ შეგნებული, რომ ამ საკითხის გვერდის ავლა იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად შენს პოლიტიკაში უკან მისჩანჩალებდე ლიბერალურ ბურჟუაზიას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის ისტორიას ეს საკითხი ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, რომ მას გადაწყვეტს კლასების ბრძოლა უახლოესი წლების განმავლობაში, რომ ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუციის პირველმა კამპანიამ (1905 — 1907 წლები) უდავოდ დაამტკიცა ჩვენი ბურჟუაზიის სრული მერყეობა და კონტრრევოლუციურობა, დაამტკიცა ჩვენი პროლეტარიატის უნარი — იყოს ძლევამოსილი რევოლუციის ბ ე ლ ა დ ი, დაამტკიცა გლეხობის დემოკრატიული მასების უნარი — დაეხმარონ პროლეტარიატს, რომ ძლევამოსილი გახადოს ეს რევოლუცია.

და აქ ჩვენ ისევ ვხვდებით მენშევიკების წმინდა ლიბერალურ თვალსაზრისს ჩვენს ტ რ უ დ ო ვ ი კ უ ლ გლეხობაზე. ტრუდოვიკები აღსავსენი არიანო წვრილბურჟუაზიული უტოპიებით, მათი ბრძოლა მიწისათვის წარმოებს მიწის სოციალიზაციის ან მისი თანაბრად სარგებლობის უაზრო და რეაქციული ლოზუნგების გულისათვის, — ამბობენ მენშევიკები; — «მაშასადამე», ტრუდოვიკების ბრძოლა მიწისათვის ა ს უ ს ტ ე ბ ს ბრძოლას თავისუფლებისათვის, ტრუდოვიკების გამარჯვება იქნებოდა სოფლის რეაქციული გამარჯვება

ქალაქზეო, — აი რაში გამოიხატება მარტინოვის მსჯელობაც «გოლოს სოციალ-დემოკრატას» მე-10 — 11 ნომერში და მარტოვის მსჯელობაც კრებულში «საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში XX საუკუნის დამდეგს».

ტრუდოვიკული გლეხობის ასეთი შეფასება არა ნაკლებ უმსგავსო დამახინჯებაა მარქსიზმისა, ვიდრე ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ. ეს უცუდესი დოქტრინიორობაა, როცა მარქსისტს უნარი არ შესწევს გაარჩიოს, რა **რ ე ა ლ უ რ ი** მნიშვნელობა აქვს რევოლუციურ ბრძოლას მთელი თანამედროვე მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, წარმოებულს ნაროდნიკული **დ ო ქ ტ რ ი ნ ი ს** სამოსით, რომელიც მართლაც უაზროა, ოცნების ნაყოფია და რეაქციულია, თუ მას შევაფასებთ როგორც სოციალისტურ დოქტრინას. მენშევიკები გასაოცარ სიბრმავეს და მარქსიზმის დიალექტიკის გაუგებლობას იჩენენ, როცა ვერ ხედავენ, რომ რუსი გლეხობის ცხოვრების პირობებში მისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციურობა იდეოლოგიურად სხვანაირად ვერ გამოიხატებოდა, თუ არა მიწის გათანაბრების ყოვლისმხსნელი მოქმედებისადმი «რწმენის» ფორმით. «ის, რაც ყალბია ფორმალურ-ეკონომიური აზრით, შეიძლება ჭეშმარიტი იყოს მსოფლიო-ისტორიული აზრით» [116], — ენგელსის ეს სიტყვები ვერასოდეს ვერ გაიგეს ჩვენმა მენშევიკებმა. ნაროდნიკული **დ ო ქ ტ რ ი ნ ი ს ს ი ყ ვ ა ლ ბ ე ს** რომ ააშკარავებდნენ, ისინი, როგორც პედანტები, თვალს ხუჭავდნენ და ვერ ამჩნევდნენ თანამედროვე ბურჟუაზიულ რევოლუციაში წარმოებული თანამედროვე ბრძოლის **ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს**, რომელსაც ეს **quasi** *-სოციალისტური დოქტრინები გამოხატავდნენ.

ჩვენ კი ვამბობთ: გადამწყვეტი ბრძოლა ტრუდოვიკების, სოციალისტ-რევოლუციონერების, სახალხო სოციალისტებისა და კომპანიის **quasi**-სოციალისტურ დოქტრინებთან და პირდაპირ, მტკიცედ აღიარება პროლეტარიატის **კ ა ვ შ ი რ ი ს ა**,

* — ცრუ. **რ ე დ.**

რევოლუციურ გლეხობასთან ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ამ რევოლუციის გამარჯვება კვამლივით გაბოლანტავს დოქტრინას მიწის გათანაბრების ყოვლისმსხნელი მოქმედების შესახებ, მაგრამ გლეხობის მასები ახლანდელ ბრძოლაში ამ დოქტრინით გამოხატავენ სწორედ სიფართოეს, ძალას, გამბედაობას, გატაცებას, გულწრფელობას და უძლეველობას თავისი ისტორიული მოქმედებისას, რომელსაც მივყევართ რუსეთის გაწმენდისაკენ ბატონყმობის ყველა და ყოველგვარი ნაშთისაგან.

ბურჟუაზია მემარცხენდებაო, ძირს ტრუდოვიკული უტოპიზმი, გაუმარჯოს ბურჟუაზიისათვის მხარის დაჭერას, — მსჯელობენ მენშევიკები. ბურჟუაზია მემარცხენდება, — ვიტყვით ჩვენ,—მაშასადამე, გროვდება ახალი დენთი რუსეთის რევოლუციის საპირისწამლეში. თუ დღეს კრესტოვნიკოვები ამბობენ: «რუსეთი ავად არისო», — ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ გამოვა სოციალისტური პროლეტარიატი, რომელიც გაიყოლიებს დემოკრატიულ გლეხობას, და იტყვის: «ჩვენ მას მოვარჩენთ!»

«პროლეტარი» № 44,
1909 წ. 8 (21) აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი

დეპუტატ სურკოვის სიტყვამ სახელმწიფო სათათბიროში სინოდის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს და ამ სიტყვის პროექტის განხილვის დროს სათათბიროს ჩვენს ფრაქციაში გამართულმა კამათმა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვბეჭდავთ, უაღრესად მნიშვნელოვანი და სწორედ ამჟამად საჭირბოროტო საკითხი აღძრეს. რელიგიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ინტერესმა, უეჭველია, ახლა მოიცვა «საზოგადოების» ფართო წრეები და შეაღწია მუშათა მოძრაობასთან დაახლოებული ინტელიგენციის რიგებში, აგრეთვე მუშათა გარკვეულ წრეებში. სოციალ-დემოკრატია უსათუოდ ვალდებულია გამოთქვას თავისი დამოკიდებულება რელიგიისადმი.

სოციალ-დემოკრატია მთელ თავის მსოფლმხედველობას აშენებს მეცნიერულ სოციალიზმზე, ე. ი. მარქსიზმზე. მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძველს, როგორც არა ერთხელ განუცხადებიათ მარქსსაც და ენგელსსაც, წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელმაც სავსებით შეითვისა საფრანგეთის XVIII საუკუნისა და ფეიერბახის მიერ გერმანიაში ჩამოყალიბებული (XIX საუკუნის 1-ლი ნახევარი) მატერიალიზმის ისტორიული ტრადიციები, — უსათუოდ ათეისტური, ყოველი რელიგიისადმი აშკარად მტრული მატერიალიზმის ისტორიული ტრადიციები. მოგაგონებთ, რომ ენგელსის მთელი «ანტი-დიურინგი», რომელიც მარქსმა ხელნაწერის სახით წაიკითხა, ამხელს მატერიალისტსა და ათეისტ

დიურინგს იმაში, რომ მისი მატერიალიზმი ბოლომდე დაცული არ არის, რომ ის ხვრელებს უტოვებს რელიგიასა და რელიგიურ ფილოსოფიას. მოგაგონებთ, რომ თავის თხზულებაში ლუდვიგ ფეიერბახის შესახებ ენგელსი უსაყვედურებს მას, რომ ის რელიგიას ებრძოდა არა მისი მოსპობის გულისათვის, არამედ განახლების, ახალი, «ამაღლებული» რელიგიის შეთხზვის გულისათვის და სხვა. რელიგია ხალხის ბანგია, — მარქსის ეს თქმა ქვაკუთხედია მარქსიზმის მთელი მსოფლმხედველობისა რელიგიის საკითხში[117]. ყველა თანამედროვე რელიგიასა და ეკლესიას, ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას მარქსიზმი ყოველთვის განიხილავს, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს, რომლებიც ექსპლოატაციის დაცვასა და მუშათა კლასის გაბრუებას ემსახურებიან.

მაგრამ ამავე დროს ენგელსს არა ერთხელ დაუგმია იმ ადამიანთა ცდები, რომლებსაც სურდათ სოციალ-დემოკრატიაზე უფრო «მემარცხენე» ან «უფრო რევოლუციური» ყოფილიყვნენ, შეეტანათ მუშათა პარტიის პროგრამაში პირდაპირი აღიარება ათეიზმისა რელიგიისათვის ომის გამოცხადების აზრით. 1874 წელს ენგელსი, როდესაც იგი ლაპარაკობს კომუნის ლტოლვილთა, ლონდონში ემიგრანტებად მცხოვრებ ბლანკისტთა ცნობილ მანიფესტზე, სისულელედ თვლის, რომ მათ დიდი ამბით გამოუცხადეს ომი რელიგიას, და ამბობს, ომის ასეთი გამოცხადება რელიგიისადმი ინტერესის გამოცოცხლებისა და რელიგიის ნამდვილი კვდომის გაძნელების საუკეთესო საშუალება არისო. ენგელსი ბლანკისტებს ბრალად სდებს, რომ მათ უნარი არ შესწევთ გაიგონ, რომ მხოლოდ მუშათა მასების კლასობრივ ბრძოლას, რომელიც ყოველმხრივ აბამს პროლეტარიატის უაღრესად ფართო მასებს შეგნებულ და რევოლუციურ საზოგადოებრივ პრაქტიკაში, ძალუძს ნამდვილად გაათავისუფლოს ჩაგრული მასები რელიგიის უღლისაგან, მაშინ როდესაც მუშათა პარტიის პოლიტიკურ ამოცანად რელიგიასთან ომის გამოცხადება ანარქისტული ფრაზა არისო[118]. 1877 წელსაც ენგელსი

«ანტიდიურინგში» ულმობლად ამათრახებს დიურინგ-ფილოსოფოსის სულ მცირედი დათმობის გამოჩენასაც კი იდეალიზმისა და რელიგიის წინაშე და ამავე დროს არა ნაკლებ გადაჭრით გმობს დიურინგის ვითომდა რევოლუციურ იდეას სოციალისტურ საზოგადოებაში რელიგიის აკრძალვის შესახებ. რელიგიისათვის ამგვარი ომის გამოცხადება იმას ნიშნავს, — ამბობს ენგელსი, — რომ «გადააჭარბო თვით ბისმარკს», ე. ი. გაიმეორო კლერიკალებთან ბისმარკის ბრძოლის სისულელე (ყბადაღებული «ბრძოლა კულტურისათვის», **Kulturkampf**, ე. ი. ბისმარკის ბრძოლა 1870-იან წლებში გერმანიის კათოლიკეთა პარტიის, «ცენტრის» პარტიის წინააღმდეგ, კათოლიციზმის პოლიციური დევნის გზით). ასეთი ბრძოლით ბისმარკმა მხოლოდ გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ა კათოლიკეთა მებრძოლი კლერიკალიზმი, მხოლოდ ავნო ნამდვილი კულტურის საქმეს, ვინაიდან პირველ ადგილზე წამოსწია რელიგიური დაყოფანი პოლიტიკურ დაყოფათა ნაცვლად, მუშათა კლასისა და დემოკრატიის ზოგიერთი ფენის ყურადღება ჩამოაშორა კლასობრივი და რევოლუციური ბრძოლის საჭირბოროტო ამოცანებს და წარმართა მეტად ზერელე და ბურჟუაზიული ყალბი ანტიკლერიკალიზმისაკენ. როდესაც დიურინგს, რომელსაც უნდოდა ულტრა-რევოლუციური ყოფილიყო, ბრალს სდებდა იმაში, რომ მას სურდა სხვა ფორმით განემეორებინა ბისმარკის იგივე სისულელე, ენგელსი მოითხოვდა მუშათა პარტიისაგან გამოეჩინა უნარი — მოთმინებით ემუშავნა პროლეტარიატის ორგანიზაციისა და განათლების საქმეზე, ისეთ საქმეზე, რომელიც იწვევს რელიგიის კვდომას, და არ გადავარდნილიყო რელიგიასთან პოლიტიკური ომის ავანტიურებში [119]. ეს თვალსაზრისი ძვალ-რბილში გაუჯდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც მხარი დაუჭირა, მაგალითად, იეზუიტების თავისუფლებას, მათ დაშვებას გერმანიაში, ამა თუ იმ რელიგიასთან პოლიციური ბრძოლის ყოველგვარ ღონისძიებათა მოსპობას. «რელიგიის გამოცხადებამ კერძო საქმედ» — ერფურტის პროგრამის (1891) ამ ცნო-

ბილმა პუნქტმა განამტკიცა სოციალ-დემოკრატიის ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური ტაქტიკა.

ამ ტაქტიკამ მოასწრო ახლა უკვე რუტინად გამხდარიყო, მოასწრო წარმოეშვა მარქსიზმის ახალი დამახინჯება პირუკუ მიმართულებით, ოპორტუნიზმის მიმართულებით. დაიწყეს ერფურტის პროგრამის დებულების განმარტება იმ აზრით, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ჩვენი პარტია რელიგიას ვ თ ვ ლ ი თ კერძო საქმედ, რომ ჩვენთვის, როგორც სოციალ-დემოკრატებისათვის, ჩვენთვის, როგორც პარტიისათვის, რელიგია კერძო საქმეაო. ენგელსმა, რომელსაც პირდაპირი პოლემიკა არ გაუმართავს ამ ოპორტუნისტულ შეხედულებასთან, 1890-იან წლებში საჭიროდ მიიჩნია გადაჭრით გამოსულიყო მის წინააღმდეგ არა პოლემიკური, არამედ პოზიტიური ფორმით. სახელდობრ: ენგელსმა ეს მოიმოქმედა საგანგებოდ ხაზგასმული განცხადების ფორმით, რომ სოციალ-დემოკრატია რელიგიას კერძო საქმედ თვლის ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ი მ ა რ თ და სრულიადაც არა თავისთავის მიმართ, არა მარქსიზმის მიმართ, არა მუშათა პარტიის მიმართო [120].

ასეთია რელიგიის საკითხზე მარქსისა და ენგელსის გამოსვლების გარეგნული ისტორია. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან მარქსიზმს, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ სურთ იფიქრონ, ეს ისტორია არის მარქსიზმის უაზრო წინააღმდეგობათა და ქანაობათა გროვა: ერთმანეთში შეზავებული «თანამიმდევარი» ათეიზმისა და რელიგიის «შეღავათების» რაღაც დომხალიაო, რაღაც «უპრინციპო» ქანაობა არისო, ერთი მხრივ, ღმერთის წინააღმდეგ რ-რ-რევოლუციურ ომსაო და, მეორე მხრივ, მორწმუნე მუშებთან «შეგუების» ლაჩრულ სურვილს შორის, მათი დაფრთხობის შიშს შორისაო და სხვა და სხვა. ანარქისტ ფრაზიორების ლიტერატურაში საკმაოდ ბევრ ამგვარ გამოლაშქრებას იპოვნით მარქსიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ ვისაც ცოტათი მაინც შესწევს უნარი სერიოზულად მოეკიდოს მარქსიზმს, ჩაუფიქრდეს მის ფილოსოფიურ

საფუძვლებს და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებას, ის ადვილად დაინახავს, რომ მარქსიზმის ტაქტიკა რელიგიის მიმართ ღრმად თანამიმდევარია და ბოლომდე მოფიქრებულია მარქსისა და ენგელსის მიერ, რომ ის, რაც დილეტანტებს ან უმეცრებს ქანაობად მიაჩნიათ, არის დიალექტიკური მატერიალიზმიდან გამომდინარე პირდაპირი და გარდუვალი დასკვნა. დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, თითქოს მარქსიზმის მოჩვენებითი «ზომიერება» რელიგიის მიმართ აიხსნებოდეს, ეგრეთწოდებული, «ტაქტიკური» მოსაზრებებით — იმის სურვილით, რომ «არ დავაფრთხოთ» და სხვა. პირიქით, მარქსიზმის პოლიტიკური ხაზი ამ საკითხშიც განუყრელად დაკავშირებულია მის ფილოსოფიურ საფუძვლებთან.

მარქსიზმი არის მატერიალიზმი. როგორც ასეთი, იგი ისევე ულმობელი მტერია რელიგიისა, როგორც XVIII საუკუნის ენციკლოპედისტთა მატერიალიზმი ან ფეიერბახის მატერიალიზმი. ეს უეჭველია. მაგრამ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი ენციკლოპედისტებსა და ფეიერბახზე უფრო შორს მიდის, რადგან მატერიალისტურ ფილოსოფიას იმარჯვებს ისტორიის დარგში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიას. ეს მ თ ე ლ ი მატერიალიზმისა და, მაშასადამე, მარქსიზმის ანბანია. მაგრამ მარქსიზმი ანბანზე გაჩერებული მატერიალიზმი არ არის. მარქსიზმი უფრო შორს მიდის. იგი ამბობს: უნდა ვ-ი ც ო დ ე თ ბრძოლა რელიგიასთან, ხოლო ამისათვის საჭიროა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ა დ ავხსნათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო. რელიგიასთან ბრძოლა არ შეიძლება შევზღუდოთ აბსტრაქტულ-იდეოლოგიური ქადაგებით, არ შეიძლება ასეთი ქადაგებით განვსაზღვროთ. ეს ბრძოლა უნდა დავუკავშიროთ რელიგიის სოციალური ფესვების აღმოფხვრისაკენ მიმართული კლასობრივი მოძრაობის კონკრეტულ პრაქტიკას. რატომ შერჩა რელიგია ქალაქის პროლეტარიატის ჩამორჩენილ ფენებს, ნახევრადპროლეტა-

რიატის ფართო ფენებს, აგრეთვე გლეხობის მასას? ხალხის უმეცრების გამოო, — გვიპასუხებს ბურჟუაზიული პროგრესისტი, რადიკალი ან ბურჟუაზიული მატერიალისტი. მაშასადამე, ძირს რელიგია, გაუმარჯოს ათეიზმს, ათეისტურ შეხედულებათა გავრცელება ჩვენი მთავარი ამოცანა არისო. მარქსისტი ამბობს: არ არის მართალი. ასეთი შეხედულება ზერელეა, ბურჟუაზიული შეზღუდული მოკულტუროსნობაა. ასეთი შეხედულება არასაკმაო სიღრმით, არა მატერიალისტურად, არამედ იდეალისტურად ხსნის რელიგიის ფესვებს. თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს ფესვები, უმთავრესად, ს ო ც ი ა ლ უ რ ი ა. მშრომელთა მასების სოციალური დაბეჩავება, მათი მოჩვენებითი სრული უმწეობა კაპიტალიზმის ბრმა ძალების წინაშე, კაპიტალიზმისა, რომელიც ყოველდღე და ყოველ საათს ათასჯერ უფრო მეტ საზარელ ტანჯვას, აუწერელ მხეცურ წამებას აყენებს უბრალო მუშახალხს, ვიდრე ყოველგვარი არაჩვეულებრივი მოვლენები, როგორიცაა ომი, მიწისძვრა და ა. შ., — აი სად არის რელიგიის ყველაზე ღრმა თანამედროვე ფესვი. «შიშმა შექმნა ღმერთები». შიში კაპიტალის ბრმა ძალის წინაშე, რომელიც ბრმაა იმიტომ, რომ არ შეიძლება ხალხის მასების მიერ გათვალისწინებულ იქნას, და რომელიც პროლეტარსა და წვრილ მეპატრონეს ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე ემუქრება და კიდეც არგუნებს «უეცარ», «მოულოდნელ», «შემთხვევითს» გაჩანაგებას, დაღუპვას, მათხოვრად, პაუპერად, პროსტიტუტად გადაქცევას, შიმშილით სიკვდილს, — აი თანამედროვე რელიგიის ის ფესვი, რომელიც უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უნდა ჰქონდეს მხედველობაში მატერიალისტს, თუკი მას არ სურს მოსამზადებელი კლასის მატერიალისტად დარჩეს. ვერავითარი განმანათლებელი წიგნაკი ვერ აღმოფხვრის რელიგიას კაპიტალისტური კატორღით დაბეჩავებულ მასებში, რომლებიც დამოკიდებულნი არიან კაპიტალიზმის ბრმა დამანგრეველი ძალებისაგან, ვიდრე ეს მასები თვითონ არ ისწავლიან გაერთიანებულად, ორგანიზე-

ბულად, გეგმაზომიერად, შეგნებულად ბრძოლას რელიგიის ამ ფესვის წინააღმდეგ, კაპიტალის ბატონობის ყველა ფორმის წინააღმდეგ.

გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ რელიგიის წინააღმდეგ მიმართული განმანათლებელი წიგნაკი მავნებელი ან ზედმეტია? არა. აქედან ეს კი არ გამომდინარეობს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ სოციალ-დემოკრატიის ათეისტური პროპაგანდა უნდა ექვემდებარებოდეს მის ძირითად ამოცანას: ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ექსპლოატირებული მასების კლასობრივი ბრძოლის განვითარებას.

კაცმა, რომელიც არ ჩაფიქრებია დიალექტიკური მატერიალიზმის, ე. ი. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიის საფუძვლებს, შეიძლება ვერ გაიგოს (ან, ყოველ შემთხვევაში, ერთბაშად ვერ გაიგოს) ეს დებულება. როგორ? იდეური პროპაგანდა, გარკვეული იდეების ქადაგება, ბრძოლა კულტურისა და პროგრესის მტერთან, რომელიც ათასეული წლობით სძლებს (ე. ი. რელიგიასთან), — კლასობრივ ბრძოლას დავუქვემდებაროთ, ე. ი. ბრძოლას განსაზღვრული პრაქტიკული მიზნებისათვის ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში?

ამგვარი მოსაზრება ეკუთვნის მარქსიზმის საწინააღმდეგოდ გავრცელებულ იმ მოსაზრებათა რიცხვს, რომლებიც მოწმობენ მარქსის დიალექტიკის სრულ გაუგებლობას. წინააღმდეგურობა, რომელიც საგონებელში აგდებს იმათ, ვინც ამგვარად მსჯელობს, არის ცოცხალი ცხოვრების ცოცხალი წინააღმდეგურობა, ე. ი. დიალექტიკური, არა სიტყვიერი, არა გამოგონილი წინააღმდეგურობა. ათეიზმის თეორიული პროპაგანდის, ე. ი. პროლეტარიატის გარკვეულ ფენებში რელიგიურ რწმენათა ნგრევის გამოყოფა აბსოლუტური, გაუვალი მიჯნით ამ ფენების კლასობრივი ბრძოლის წარმატებისა, მსვლელობისა და პირობებისაგან იმას ნიშნავს, რომ იმსჯელო არადიალექტიკურად, გადააქციო აბსოლუტურ მიჯნად ის, რაც არის მოძრავი, შედარებითი მიჯნა, — ნიშნავს ძალდატანებით

გაგლიჯო ის, რაც განუყრელად დაკავშირებულია ცოცხალ სინამდვილეში. ავიღოთ მაგალითი. ამა თუ იმ ოლქისა და მრეწველობის ამა თუ იმ დარგის პროლეტარიატი, ვთქვათ, იყოფა, საკმაოდ შეგნებული სოციალ-დემოკრატების მოწინავე ფენად, რომლებიც, იგულისხმება, ათეისტები არიან, და საკმაოდ ჩამორჩენილი, ჯერ კიდევ სოფელთან და გლეხობასთან დაკავშირებული მუშების ფენად, რომლებსაც სწამთ ღმერთი, რომლებიც დაიარებიან ეკლესიაში ან იმყოფებიან ადგილობრივი მღვდლის პირდაპირი გავლენის ქვეშაც კი, და ეს მღვდელი, ვთქვათ, აარსებს მუშათა ქრისტიანულ კავშირს. შემდეგ, ვთქვათ, რომ ეკონომიურ ბრძოლას ასეთ ადგილას მოჰყვა გაფიცვა. მარქსისტისათვის სავალდებულოა, რომ საგაფიცვო მოძრაობის წარმატების საკითხი პირველ რიგში დააყენოს, საეალდებულოა გადაჭრით წინააღუდგეს მუშების დაყოფას ამ ბრძოლაში ათეისტებად და ქრისტიანებად, გადაჭრით იბრძოლოს ასეთი დაყოფის წინააღმდეგ. ათეისტური ქადაგება ასეთ პირობებში შეიძლება ზედმეტიც აღმოჩნდეს და მავნებელიც — არა იმ ობივატელურ მოსაზრებათა თვალსაზრისით, ვაი თუ დავაფრთხოთ ჩამორჩენილი ფენები, დავკარგოთ მანდატი არჩევნებშიო და სხვ., არამედ იმ კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი პროგრესის თვალსაზრისით, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ვითარებაში ასჯერ უკეთ მიიყვანს ქრისტიან მუშებს სოციალ-დემოკრატიასთან და ათეიზმთან, ვიდრე ცარიელი ათეისტური ქადაგება. ათეიზმის მქადაგებელი ასეთ მომენტში და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ხ ე ლ ს შ ე უ წ ყ ო ბ დ ა ხუცესსა და ხუცებს, რომლებსაც ისე არაფერი სურთ, როგორც გაფიცვაში მონაწილეობის მიხედვით მუშების დაყოფის შეცვლა ღვთის რწმენის საფუძველზე დაყოფით. ანარქისტი, რომელიც იქადაგებდა უცილობელ ომს ღმერთთან, ნამდვილად დაეხმარებოდა ხუცებსა და ბურჟუაზიას (როგორც მუდამ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ეხმარებიან ანარქისტები ბურჟუაზიას), მარქსისტი უნდა იყოს მატერიალისტი, ე. ი. რელიგიის მტერი, მაგრამ

ბულად, გეგმაზომიერად, შეგნებულად ბრძოლას რელიგიის ამ ფესვის წინააღმდეგ, კაპიტალის ბატონობის ყველა ფორმის წინააღმდეგ.

გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ რელიგიის წინააღმდეგ მიმართული განმანათლებელი წიგნაკი მავნებელი ან ზედმეტია? არა. აქედან ეს კი არ გამომდინარეობს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ სოციალ-დემოკრატიის ათეისტური პროპაგანდა უნდა ექვემდებარებოდეს მის ძირითად ამოცანას: ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ექსპლოატირებული მასების კლასობრივი ბრძოლის განვითარებას.

კაცმა, რომელიც არ ჩაფიქრებია დიალექტიკური მატერიალიზმის, ე. ი. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიის საფუძვლებს, შეიძლება ვერ გაიგოს (ან, ყოველ შემთხვევაში, ერთბაშად ვერ გაიგოს) ეს დებულება. როგორ? იდეური პროპაგანდა, გარკვეული იდეების ქადაგება, ბრძოლა კულტურისა და პროგრესის მტერთან, რომელიც ათასეული წლობით სძლებს (ე. ი. რელიგიასთან), — კლასობრივ ბრძოლას დავუქვემდებაროთ, ე. ი. ბრძოლას განსაზღვრული პრაქტიკული მიზნებისათვის ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში?

ამგვარი მოსაზრება ეკუთვნის მარქსიზმის საწინააღმდეგოდ გავრცელებულ იმ მოსაზრებათა რიცხვს, რომლებიც მოწმობენ მარქსის დიალექტიკის სრულ გაუგებლობას. წინააღმდეგურობა, რომელიც საგონებელში აგდებს იმათ, ვინც ამგვარად მსჯელობს, არის ცოცხალი ცხოვრების ცოცხალი წინააღმდეგურობა, ე. ი. დიალექტიკური, არა სიტყვიერი, არა გამოგონილი წინააღმდეგურობა. ათეიზმის თეორიული პროპაგანდის, ე. ი. პროლეტარიატის გარკვეულ ფენებში რელიგიურ რწმენათა ნგრევის გამოყოფა აბსოლუტური, გაუვალი ძიჯნით ამ ფენების კლასობრივი ბრძოლის წარმატებისა, მსვლელობისა და პირობებისაგან იმას ნიშნავს, რომ იმსჯელო არადიალექტიკურად, გადააქციო აბსოლუტურ მიჯნად ის, რაც არის მოძრავი, შედარებითი მიჯნა, — ნიშნავს ძალდატანებით

გაგლიჯოის, რაც განუყრელად დაკავშირებულია ცოცხალ სინამდვილეში. ავიღოთ მაგალითი. ამა თუ იმ ოლქისა და მრეწველობის ამა თუ იმ დარგის პროლეტარიატი, ვთქვათ, იყოფა, საკმაოდ შეგნებული სოციალ-დემოკრატების მოწინავე ფენად, რომლებიც, იგულისხმება, ათეისტები არიან, და საკმაოდ ჩამორჩენილი, ჯერ კიდევ სოფელთან და გლეხობასთან დაკავშირებული მუშების ფენად, რომლებსაც სწამთ ღმერთი, რომლებიც დაიარებიან ეკლესიაში ან იმყოფებიან ადგილობრივი მღვდლის პირდაპირი გავლენის ქვეშაც კი, და ეს მღვდელი, ვთქვათ, აარსებს მუშათა ქრისტიანულ კავშირს. შემდეგ, ვთქვათ, რომ ეკონომიურ ბრძოლას ასეთ ადგილას მოჰყვა გაფიცვა. მარქსისტისათვის სავალდებულოა, რომ საგაფიცვო მოძრაობის წარმატების საკითხი პირველ რიგში დააყენოს, სავალდებულოა გადაჭრით წინააღუდგეს მუშების დაყოფას ამ ბრძოლაში ათეისტებად და ქრისტიანებად, გადაჭრით იბრძოლოს ასეთი დაყოფის წინააღმდეგ. ათეისტური ქადაგება ასეთ პირობებში შეიძლება ზედმეტიც აღმოჩნდეს და მავნებელიც — არა იმ ობივატელურ მოსაზრებათა თვალსაზრისით, ვაი თუ დავაფრთხოთ ჩამორჩენილი ფენები, დავკარგოთ მანდატი არჩევნებშიო და სხვ., არამედ იმ კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი პროგრესის თვალსაზრისით, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ვითარებაში ასჯერ უკეთ მიიყვანს ქრისტიან მუშებს სოციალ-დემოკრატიასთან და ათეიზმთან, ვიდრე ცარიელი ათეისტური ქადაგება. ათეიზმის მქადაგებელი ასეთ მომენტში და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ხ ე ლ ს შ ე უ წ ყ ო ბ დ ა ხუცესსა და ხუცებს, რომლებსაც ისე არაფერი სურთ, როგორც გაფიცვაში მონაწილეობის მიხედვით მუშების დაყოფის შეცვლა ღვთის რწმენის საფუძველზე დაყოფით. ანარქისტი, რომელიც იქადაგებდა უცილობელ ომს ღმერთთან, ნამდვილად დაეხმარებოდა ხუცებსა და ბურჟუაზიას (როგორც მუდამ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ეხმარებიან ანარქისტები ბურჟუაზიას), მარქსისტი უნდა იყოს მატერიალისტი, ე. ი. რელიგიის მტერი, მაგრამ

მატერიალისტი დიალექტიკური, ე. ი. იგი რელიგიასთან ბრძოლის საქმეს უნდა აყენებდეს არა აბსტრაქტულად, არა განყენებული, წმინდა თეორიული, ყოველთვის ერთფეროვანი ქადაგების ნიადაგზე, არამედ კონკრეტულად, კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც ნამდვილად წარმოებს და ყველაზე მეტად და ყველაზე უკეთ ზრდის მასებს. მარქსისტს უნარი უნდა შესწევდეს გაითვალისწინოს მთელი კონკრეტული ვითარება, ყოველთვის იპოვნოს საზღვარი ანარქიზმსა და ოპორტუნიზმს შორის (ეს საზღვარი შედარებითია, მოძრავია, ცვალებადია, მაგრამ იგი არსებობს), არ გადაეშვას ანარქისტის არც აბსტრაქტულ, სიტყვიერ, ნამდვილად კი ფუჭ «რევოლუციონარიზმში», არც იმ წვრილი ბურჟუას თუ ლიბერალური ინტელიგენტის ობივატელობასა და ოპორტუნიზმში, რომელსაც აშინებს რელიგიასთან ბრძოლა, ივიწყებს ამ თავის ამოცანას, ურიგდება ღვთის რწმენას, ხელმძღვანელობს არა კლასობრივი ბრძოლის ინტერესებით, არამედ წვრილმანი, საცოდავი ანგარიშით: არ აწყენინოს, არ ჩამოიშოროს, არ დააშინოს, ხელმძღვანელობს ფრიად ბრძნული წესით: «იცხოვრე და სხვებსაც ნუ უშლი ცხოვრებასაო» და ა. შ. და სხვა.

აღნიშნული თვალსაზრისით უნდა გადავწყვიტოთ ყველა კერძო საკითხი, რომელიც კი ეხება სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებას რელიგიისადმი. მაგალითად, ხშირად აყენებენ კითხვას, შეიძლება თუ არა მღვდელი იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრიო, და ამ კითხვას ჩვეულებრივ სრულიად უშენიშვნოდ დადებითად უპასუხებენ, ამასთან ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამოცდილებაზე მიგვითითებენ. მაგრამ ეს გამოცდილება წარმოშობილია არა მარტო მარქსიზმის დოქტრინის მიყენებით მუშათა მოძრაობისადმი, არამედ დასავლეთის განსაკუთრებული ისტორიული პირობებითაც, რომლებიც რუსეთში არ არის (ამ პირობებზე ქვემოთ ვილაპარაკებთ), ასე რომ უთუო დადებითი პასუხი აქ სწორი არ არის. არ შეიძლება ერთხელ და სამუდა-

ზოდ და ყველა პირობისათვის გამოაცხადო, რომ მღვდლები არ შეიძლება იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებად, მაგრამ არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ წამოაყენო ამის საწინააღმდეგო წესიც. თუ მღვდელი ჩვენთან მოდის ერთობლივი პოლიტიკური მუშაობისათვის, კეთილსინდისიერად ასრულებს პარტიულ მუშაობას და არ გამოდის პარტიის პროგრამის წინააღმდეგ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ის სოციალ-დემოკრატიის რიგებში, რადგან ჩვენი პროგრამის აზრისა და საფუძვლების წინააღმდეგურობა მღვდლის რელიგიურ რწმენასთან შეიძლებოდა ასეთ პირობებში დარჩენილიყო მხოლოდ ისეთ რამედ, რომელიც მხოლოდ მას ეხება, დარჩენილიყო მის პირად წინააღმდეგურობად, ხოლო თავისი წევრების გამოცდა იმაში, არის თუ არა წინააღმდეგურობა მათს შეხედულებებსა და პარტიის პროგრამას შორის, პოლიტიკურ ორგანიზაციას არ შეუძლია. მაგრამ, ცხადია, ამგვარი შემთხვევა შეიძლებოდა იშვიათი გამონაკლისი ყოფილიყო ევროპაშიც კი, ხოლო რუსეთში იგი ძალიან ნაკლებად წარმოსადგენია. და თუ, მაგალითად, მღვდელი შემოვიდოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და გასწევდა ამ პარტიაში, როგორც თავის მთავარსა და თითქმის ერთადერთ საქმეს, რელიგიურ შეხედულებათა აქტიურ ქადაგებას, მაშინ პარტიას უსათუოდ უნდა გაერიცხა ის თავის წრიდან. ჩვენ არათუ უნდა დავუშვათ, არამედ უაღრესად უნდა მოვიზიდოთ ყველა მუშა, რომელიც ღვთის რწმენას ინარჩუნებს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ჩვენ უეჭველად წინააღმდეგი ვართ მათი რელიგიური რწმენის სულ მცირედი შეურაცხყოფისა, მაგრამ ჩვენ მათ ვიზიდავთ იმისათვის, რომ აღვზარდოთ ისინი ჩვენი პროგრამის სულისკვეთებით, და არა ამ პროგრამასთან აქტიური ბრძოლისათვის. ჩვენ პარტიის შ ი გ ნ ი თ ვიწყნარებთ აზრთა თავისუფლებას, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში, რომლებსაც დაჯგუფების თავისუფლება განსაზღვრავს: ჩვენ ვალდებულნი არა ვართ ხელიხელჩაკიდებულნი ვიაროთ ისეთ შეხედულებათა აქტიურ მქადაგებლებთან, რომლებსაც პარტიის უმრავლესობა უარყოფს.

მეორე მაგალითი: შეიძლება თუ არა ყველა პირობებში ერთნაირად გავკიცხოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები განცხადებისათვის: «სოციალიზმი არის ჩემი რელიგიაო» და ამგვარი განცხადების შესაბამის შეხედულებათა ქადაგებისათვის? არა. მარქსიზმისაგან (მაშასადამე, სოციალიზმისაგანაც) გადახვევა აქ უეჭველია, მაგრამ ამ გადახვევის მნიშვნელობა, მისი, ასე ვთქვათ, ხვედრითი წონა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს სხვადასხვა ვითარებაში. ერთი საქმეა, თუ აგიტატორი ან კაცი, რომელიც გამოდის მუშათა მასის წინაშე, ასე ლაპარაკობს, რათა უფრო გასაგები იყოს, რათა დაიწყოს თავისი აზრის გადმოცემა, რათა უფრო რეალურად გაუსვას ხაზი თავის შეხედულებას განუვითარებელი მასის ყველაზე უფრო ჩვეული ტერმინებით. სხვა საქმეა, თუ მწერალი დაიწყებს «ღვთისმშენებლობის» თუ ღვთისმშენებლობითი სოციალიზმის ქადაგებას (მაგალითად, ჩვენი ლუნაჩარსკისა და კომპანიისამებრ). რამდენადაც პირველ შემთხვევაში გაკიცხვა შეიძლებოდა ყოფილიყო შარის მოდება ან აგიტატორის თავისუფლების, «პედაგოგიური» ზემოქმედების თავისუფლების შეუსაბამო შეზღუდვაც კი, იმდენად მეორე შემთხვევაში პარტიული გაკიცხვა აუცილებელი და საკალდებულოა. დებულება: «სოციალიზმი არის რელიგია» ზოგიერთისათვის არის რელიგიიდან სოციალიზმზე გადასვლის ფორმა, სხვებისათვის, — სოციალიზმიდან რელიგიაზე გადასვლის ფორმა.

გადავიდეთ ახლა იმ პირობებზე, რომლებმაც დასავლეთში წარმოშვეს ოპორტუნისტული განმარტება თეზისისა: «რელიგიის გამოცხადება კერძო საქმედ». რა თქმა უნდა, არის აქ იმ საერთო მიზეზების გავლენა, რომლებიც წარმოშობენ ოპორტუნიზმს საერთოდ, როგორც წუთიერი სარგებლობისათვის მუშათა მოძრაობის ძირითადი ინტერესების მსხვერპლად მიტანას. პროლეტარიატის პარტია სახელმწიფოსაგან მოითხოვს გამოაცხადოს რელიგია კერძო საქმედ, მაგრამ ამავე დროს სრულიადაც არ თვლის «კერძო საქმედ» ხალხის ბანგთან, რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან და სხვა

ასეთებთან ბრძოლის საკითხს. ოპორტუნისტები იმგვარად ამახინჯებენ საქმეს, თითქოს სოციალ-დემოკრატიული პარტია კერძო საქმედ თვლიდეს რელიგიას!

მაგრამ გარდა ჩვეულებრივი ოპორტუნისტული დამახინჯებისა (რაც სრულიად არ არის განმარტებული კამათში, რომელსაც სათათბიროს ჩვენი ფრაქცია აწარმოებდა რელიგიის შესახებ გამოსვლის განხილვისას) არის განსაკუთრებული ისტორიული პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს თანამედროვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტისმეტი გულგრილობა ევროპელი სოციალ-დემოკრატებისა რელიგიის საკითხისადმი. ეს არის ორგვარი პირობები. ჯერ-ერთი, რელიგიასთან ბრძოლის ამოცანა ისტორიულად არის რევოლუციური ბურჟუაზიის ამოცანა, და დასავლეთში ეს ამოცანა მნიშვნელოვნად შეასრულა ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ (ან ასრულებდა იგი) თავისი რევოლუციების ან ფეოდალიზმსა და შუასაუკუნებრიობაზე თავისი იერიშების ეპოქაში. საფრანგეთშიც და გერმანიაშიც არის ტრადიცია რელიგიასთან ბურჟუაზიული ომისა, რომელიც სოციალიზმამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო (ენციკლოპედისტები, ფეიერბახი). რუსეთში, ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობების შესაბამისად, ეს ამოცანაც თითქმის მთლიანად ეკისრება მუშათა კლასს. წვრილბურჟუაზიულმა (ნაროდნიკულმა) დემოკრატიამ ამ მხრივ ჩვენში არა თუ ბევრი რამ გააკეთა (როგორც ფიქრობენ ახლადმოვლენილი შავრაზმელი კადეტები ანუ კადეტი შავრაზმელები «ვეხი»-ში [121]), არამედ ძალიან ცოტა ევროპასთან შედარებით.

მეორე მხრივ, რელიგიასთან ბურჟუაზიული ომის ტრადიციამ მოასწრო შეექმნა ევროპაში ამ ომის სპეციფიკური ბურჟუაზიული დამახინჯება ანარქიზმის მიერ, რომელიც დგას, როგორც უკვე დიდი ხანია და მრავალჯერ განმარტეს მარქსისტებმა, ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ნიადაგზე, მიუხედავად მთელი თავისი «გააფთრებული» ლაშქრობისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ანარქისტებმა და ბლანკისტებმა რომანულ ქვეყნებში, მოსტმა (რომელიც, სხვათა

შორის, დიურინგის მოწაფე იყო) და კომპანიამ გერმანიაში, ანარქისტებმა 80-იან წლებში ავსტრიაში **nec plus ultra-***-მდე მიიყვანეს რევოლუციური ფრაზა რელიგიასთან ბრძოლაში. გასაკვირი არ არის, რომ ევროპელი სოციალ-დემოკრატები ახლა გადაღუნავენ ხოლმე ანარქისტების მიერ მოღუნულ ჯოხს. ეს გასაგებია და, რამდენადმე, კანონიერიცაა, მაგრამ ჩვენ, რუს სოციალ-დემოკრატებს, არ გვმართებს დასავლეთის განსაკუთრებული ისტორიული პირობების დავიწყება.

მეორეც, დასავლეთში ნაციონალური ბურჟუაზიული რევოლუციების დამთავრების შემდეგ, სარწმუნოების მეტნაკლებად სრული თავისუფლების შემოღების შემდეგ, რელიგიასთან დემოკრატიული ბრძოლის საკითხი უკვე იმდენად იყო ისტორიულად მეორე რიგში მოქცეული ბურჟუაზიული დემოკრატიის ბრძოლით სოციალიზმთან, რომ ბურჟუაზიული მთავრობანი შეგნებულად ცდილობდნენ მასების ყურადღება სოციალიზმისაგან ჩამოეშორებინათ კლერიკალიზმის წინააღმდეგ **quasi****-ლიბერალური «ლაშქრობის» მოწყობით. ასეთი ხასიათი ჰქონდა **kulturkampf**-საც გერმანიაში და საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ბრძოლასაც კლერიკალიზმთან. ბურჟუაზიული ანტიკლერიკალიზმი, როგორც სოციალიზმისაგან მუშათა მასების ყურადღების ჩამოშორების საშუალება, — აი რა უსწრებდა წინ რელიგიასთან ბრძოლისადმი თანამედროვე «გულგრილობის» გავრცელებას დასავლეთის სოციალ-დემოკრატებში. და ეს ისევ და ისევ გასაგები და კანონიერია, ვინაიდან ბურჟუაზიულ და ბისმარკულ ანტიკლერიკალიზმისათვის სოციალ-დემოკრატებს უნდა დაეპირისპირებინათ სწორედ ის, რომ რელიგიასთან ბრძოლა დაქვემდებარებოდა სოციალიზმისათვის ბრძოლას.

---

* — უაღრეს უკიდურესობამდე. რ ე დ.

** — ვითომ. რ ე დ.

რუსეთში სულ სხვა პირობებია. პროლეტარიატი არის ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადი. მისი პარტია უნდა იყოს იდეური ბელადი ყოველგვარ შეგნებულ საუკუნებრიობასთან, მათ შორის აგრეთვე ძველ, ოფიციალურ რელიგიასთან და მთელ იმ ცდებთან ბრძოლაში, რომელთა მიზანია მისი განახლება ან ხელახლა თუ სხვაგვარად დასაბუთება და ა. შ.. ამიტომ, თუ ენგელსი შედარებით რბილად ასწორებდა გერმანელი სოციალ-დემოკრატების ოპორტუნიზმს, რომლებიც მუშათა პარტიის იმ მოთხოვნას, რომ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს რელიგია კერძო საქმედ გამოეცხადებინა, ცვლიდნენ თვით სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადებით, — მით უმეტეს გასაგებია, რომ რუსი ოპორტუნისტების მიერ ამ გერმანული დამახინჯების გადმოღება ა ს კ ე ც ა დ უფრო მკაცრ გაკიცხვას დაიმსახურებდა ენგელსის მხრივ.

ჩვენი ფრაქცია, როცა მან სათათბიროს ტრიბუნიდან განაცხადა, რელიგია ხალხის ბანგიაო, სავსებით სწორად მოიქცა და, ამრიგად, შექმნა პრეცედენტი, რომელიც საფუძველი უნდა შეიქნეს რუსი სოციალ-დემოკრატების ყველა გამოსვლისა რელიგიის საკითხზე. საჭირო იყო თუ არა უფრო შორს წასვლა და ათეისტური დასკვნების კიდევ უფრო დაწვრილებით განვითარება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. ამას შეეძლო საფრთხე შეექმნა იმისა, რომ რელიგიასთან ბრძოლა გაეზვიადებინა პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიას; ამას შეეძლო გამოეწვია საზღვრის წაშლა რელიგიასთან ბურჟუაზიულ ბრძოლასა და სოციალისტურ ბრძოლას შორის. პირველი რამ, რაც უნდა შეესრულებინა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შავრაზმულ სათათბიროში, ღირსეულად იქნა შესრულებული.

მეორე — სოციალ-დემოკრატებისათვის თითქმის მთავარი — განმარტება ეკლესიისა და სამღვდელოების კლასობრივი როლისა მუშათა კლასთან შავრაზმული მთავრობისა და

ბურჟუაზიის ბრძოლის მხარის დაჭერაში — აგრეთვე ღირსეულად იქნა შესრულებული. რასაკვირველია, ამ თემაზე კიდევ ძალიან ბევრი რამ შეიძლება ითქვას, — და სოციალ-დემოკრატები შემდგომ გამოსვლებში მოახერხებენ, თუ რით შეავსონ ამხ. სურკოვის სიტყვა, — მაგრამ მაინც მისი სიტყვა საუცხოო იყო, და მისი გავრცელება ყველა პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩვენი პარტიის პირდაპირი მოვალეობაა.

მესამე — საჭირო იყო უაღრესად დაწვრილებით გაგვემარტა სწორი აზრი გერმანელი ოპორტუნისტების მიერ ესოდენ ხშირად დამახინჯებული დებულებისა: «რელიგიის გამოცხადება კერძო საქმედ». ეს, სამწუხაროდ, ამხ. სურკოვს არ გაუკეთებია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ფრაქციის წინანდელ მოღვაწეობაში ამ საკითხზე უკვე დაშვებული იყო ამხ. ბელოუსოვის შეცდომა, რაც თავის დროზე აღნიშნა «პროლეტარიმ». ფრაქციაში გამართული კამათი გვიჩვენებს, რომ დავამ ათეიზმის შესახებ დაჩრდილა ფრაქციის წინაშე საკითხი — სწორად ყოფილიყო გადმოცემული ყბადაღებული მოთხოვნა: რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადებისა. მთელი ფრაქციის ამ შეცდომისათვის ჩვენ მარტო ამხ. სურკოვს ვერ დავდებთ ბრალს. ეს ცოტაა. პირდაპირ აღვიარებთ, რომ აქ არის ბრალი მთელი პარტიისა, რომელიც არასაკმაოდ განმარტავდა ამ საკითხს და რომელმაც სოციალ-დემოკრატების შეგნებაში არასაკმაოდ მოამზადა გერმანელი ოპორტუნისტების მისამართით ენგელსის მიერ გამოთქმული შენიშვნის მნიშვნელობის გაგება. ფრაქციაში გამართული კამათი ამტკიცებს, რომ ეს იყო საკითხის სწორედ ბუნდოვანი გაგება, და სრულიადაც არა ის, რომ არ სურდათ ანგარიში გაეწიათ მარქსის მოძღვრებისათვის; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეცდომა გამოსწორებული იქნება ფრაქციის შემდგომ გამოსვლებში.

საერთოდ და მთლიანად, ვიმეორებთ, ამხ. სურკოვის სიტყვა საუცხოოა და უნდა გაავრცელოს იგი ყველა ორგანიზაციამ. ამ სიტყვის განხილვით ფრაქციამ დაამტკიცა თავისი

სოციალ-დემოკრატიული მოვალეობის სავსებით კეთილსინდისიერი შესრულება. ის დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ კორესპონდენციები ფრაქციის შიგნით გამართული კამათის შესახებ უფრო ხშირად თავსდებოდეს პარტიულ პრესაში, რათა ფრაქცია დაუახლოვდეს პარტიას, რათა პარტია გაეცნოს ფრაქციის მძიმე შინაგან მუშაობას, რათა დამყარდეს იდეური ერთიანობა პარტიისა და ფრაქციის მოღვაწეობაში.

«პროლეტარი» № 45,
1909 წ. 13 (26) მაისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი

სახელმწიფო სათათბიროში გამართულმა კამათმა სინოდის ხარჯთაღრიცხვის საკითხზე, შემდეგ — იმ პირთა უფლებების აღდგენაზე, რომლებმაც სასულიერო წოდება დასტოვეს, და, ბოლოს, «სტაროობრიადულ» თემებზე უაღრესად საგულისხმო მასალა მოგვცა რუსეთის პოლიტიკური პარტიების დასახასიათებლად რელიგიისა და ეკლესიისადმი მათი დამოკიდებულების მხრივ. ზოგადად გადავავლოთ თვალი ამ მასალას და შევჩერდეთ, უმთავრესად, სინოდის ხარჯთაღრიცხვის გამო გამართულ კამათზე (სტენოგრაფიული ანგარიშები ზემოთ აღნიშნულ სხვა საკითხებზე გამართული კამათის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია).

პირველი დასკვნა, რაც განსაკუთრებით გვხვდება თვალში სათათბიროს კამათის განხილვისას, ის არის, რომ მებრძოლი კლერიკალიზმი რუსეთში არათუ არსებობს, არამედ აშკარად ძლიერდება და უფრო და უფრო ირაზმება. 16 აპრილს მიტროფანე ეპისკოპოსმა განაცხადა: «სათათბიროში ჩვენი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები მიმართული იყო სწორედ იქითკენ, რომ ჩვენ, ხალხის მაღალი არჩევით პატივდებულნი, აქ სათათბიროში დავმდგარიყავით პარტიულ დაქსაქსულობაზე მაღლა და შეგვექმნა სამღვდელოების ერთი ჯგუფი, რომელიც ყოველ მხარეს გააშუქებდა თავისი ეთიკური თვალსაზრისით... რა არის მიზეზი, რომ ჩვენ ამ იდეალურ მდგომა-

რეობამდე ვერ მივედითო?... ბრალი მიუძღვით იმათ, ვინც თქვენთან ერთად» (ე. ი. კადეტებთან და «მემარცხენეებთან») იყოფს ამ სკამებს, სახელდობრ, სამღვდელოების დეპუტატებს, რომლებიც ოპოზიციას ეკუთვნიან. მათ პირველებმა აღიმაღლეს თავისი ხმა და იწყეს ლაპარაკი, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა კლერიკალური პარტიის წარმოშობა, და რომ ეს მეტისმეტად არასასურველიაო. რა თქმა უნდა, რუსი მართლმადიდებელი სამღვდელოების კლერიკალიზმის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება, — ამგვარი ტენდენციები ჩვენ არასოდეს არა გვქონია, და ჩვენ, როცა მოვისურვეთ ცალკე ჯგუფად გამოვყოფილიყავით, ვისახავდით წმინდა მორალურ, ეთიკურ მიზნებს, ახლა კი, ბატონებო, როცა ასეთი უთანხმოების გამო, რაც მემარცხენე დეპუტატებმა შეიტანეს ჩვენს ძმურ წრეში, დაყოფა და დაქუცმაცება მოხდა, ახლა თქვენ» (ე. ი. კადეტები) «ბრალს გვდებთ ჩვენ ამაში».

მიტროფანე ეპისკოპოსმა თავის უმეცარ სიტყვაში საიდუმლოება წამოაყრანტალა: მემარცხენეებს, თურმე, ბრალი მიუძღვით იმაში, რომ სათათბიროს ხუცების ნაწილი ჩამოაშორეს განსაკუთრებული «მორალური» (ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, უფრო მოხერხებულია ხალხის მოსატყუებლად, ვიდრე «კლერიკალური») ჯგუფის შექმნასაო!

თითქმის ერთი თვის შემდეგ, 13 მაისს, ეპისკოპოსმა ევლოღიმ სათათბიროში წაიკითხა «სათათბიროს სამღვდელოების დადგენილება»: «სათათბიროს მართლმადიდებელი სამღვდელოების უდიდესი უმრავლესობა ფიქრობს»... რომ «მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესი და გაბატონებული მდგომარეობისათვის» არ არის დასაშვები არც ქადაგების თავისუფლება «სტაროობრიადელებისათვის», არც «სტაროობრიადული» თემების დაარსება განცხადების წესით, არც «სტაროობრიადელ» სასულიერო პირთათვის მღვდელმსახურთა სახელის წოდება. რუსი ხუცების «წმინდა მორალური თვალსაზრისი» სავსებით გამოაშკარავდა, როგორც წმინდა წყლის კლერიკალიზმი. სათათბიროს სამღვდელოების «უდიდესი უმრავლესობა», რომლის სახელითაც ეპისკოპოსი ევლო-

ღი ლაპარაკობდა, ალბათ, შესდგა მესამე სათათბიროს 29 მემარჯვენე და ზომიერად მემარჯვენე მღვდლისაგან და, იქნებ, კიდევ 8 ოქტიაბრისტი მღვდლისაგან. ოპოზიციას მიემხრო, უნდა ვიფიქროთ, პროგრესისტებისა და მშვიდობიანი განახლების პარტიის 4 მღვდელი და ერთიც პოლონელ-ლიტველთა ჯგუფიდან.

როგორია «სათათბიროს (უნდა დაემატოს — სამი ივნისის სათათბიროს) სამღვდელოების უდიდესი უმრავლესობის წმინდა მორალური, ეთიკური თვალსაზრისი»? აი რამდენიმე ამონაწერი სიტყვებიდან: «მე მხოლოდ ვამბობ, რომ ამ (ე. ი. საეკლესიო) ცვლილებათა ინიციატივა უნდა გამომდინარეობდეს ეკლესიის შიგნიდან, და არა გარედან, არა სახელმწიფოს მხრიდან, და, რა თქმა უნდა, არა საბიუჯეტო კომისიის მხრიდან. ეკლესია ხომ ღვთაებრივი და მარადი დაწესებულებაა, მისი კანონები ურყევია, ხოლო სახელმწიფო ცხოვრების იდეალები, როგორც ცნობილია, მუდმივს ცვლილებებს განიცდიან» (ეპისკოპოსი ევლოღი, 14 აპრილი). ორატორი იგონებს «შემაშფოთებელ ისტორიულ პარალელს»: საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას ეკატერინე II-ის დროს. «ვის შეუძლია ითავდებოს, რომ საბიუტჯო კომისია, რომელმაც წელს გამოთქვა სურვილი დაუმორჩილოს ისინი (საეკლესიო სახსრები) სახელმწიფო კონტროლს, შემდეგ წელს არ გამოთქვამს სურვილს გადარიცხოს ისინი საერთო-სახელმწიფო ხაზინაში, მერე კი სავსებითაც გადასცეს მათი გამგებლობა საეკლესიო ხელისუფლების ნაცვლად სამოქალაქო ანუ სახელმწიფო ხელისუფლებას? ...ეკლესიის წესები გვეუბნებიან, რომ თუ ეპისკოპოსს მინდობილი აქვს ქრისტიანთა სული, მით უფრო უნდა მიენდოს საეკლესიო ქონება... ახლა თქვენს წინაშე (სათათბიროს დეპუტატების წინაშე) დგას თქვენი სულიერი დედა, წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია, არა მარტო როგორც ხალხის წარმომადგენლების წინაშე, არამედ როგორც თავისი სულიერი შვილების წინაშეც» (იქვე).

ჩვენს წინაშეა ხალასი კლერიკალიზმი. ეკლესია მაღლა დგას სახელმწიფოზე, როგორც მარადი და ღვთაებრივი მაღლა

დგას დროებითზე, მიწიერზე. ეკლესია არ აპატიებს სახელმწიფოს საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას. ეკლესია მოითხოვს თავისთვის უპირველეს და გაბატონებულ მდგომარეობას. მისთვის სათათბიროს დეპუტატები არა მარტო — უფრო სწორად — არა იმდენად ხალხის წარმომადგენლები არიან, რამდენად «სულიერი შვილები».

ესენი ანაფორიანი მოხელეები კი არ არიან, როგორც თქვა სოციალ-დემოკრატმა სურკოვმა, არამედ ანაფორიანი მ ე ბ ა ტ ო ნ ე ნ ი. ეკლესიის ფეოდალური პრივილეგიების დაცვა, შუასაუკუნებრიობის აშკარა დაცვა — აი მესამე სათათბიროს სამღვდელოების უმრავლესობის პოლიტიკის არსი. ეპისკოპოსი ევლოღი სრულიადაც არ არის გამონაკლისი. გეპეცკიც მოთქვამს «სეკულარიზაციის», როგორც შეუწყნარებელი «შეურაცხყოფის» წინააღმდეგ (14 აპრილი). ხუცესი მაშკევიჩი აცამტვერებს ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ უ ლ მოხსენებას მისწრაფებისათვის — «შეარყიოს ის ისტორიული და კანონიკური ბურჯები, რომლებსაც ეყრდნობოდა და უნდა ეყრდნობოდეს ჩვენი საეკლესიო ცხოვრება», «გადაიყვანოს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრება და მოღვაწეობა კანონიკური გზიდან იმ გზაზე, რომელზედაც... ეკლესიის ნამდვილმა თავადებმა — ეპისკოპოსებმა — უნდა დაუთმონ მოციქულებისაგან მემკვიდრეობით მიღებული თითქმის ყველა თავისი უფლება ერისკაც თავადებს»... «ეს სხვა არაფერია, თუ არა... ხელყოფა სხვისი საკუთრებისა, ეკლესიის უფლებებისაც და მისი ქონებისაც». «მომხსენებელს ჩვენ მივყევართ საეკლესიო ცხოვრების კანონიკური წყობილების დანგრევისაკენ, მას სურს დაუმორჩილოს მართლმადიდებელი ეკლესია, მთელი მისი სამეურნეო ფუნქციებით, სახელმწიფო სათათბიროს, ისეთ დაწესებულებას, რომელიც შესდგება სულ სხვადასხვანაირი ელემენტებისაგან, ჩვენი სახელმწიფოს როგორც შეწყნარებულ, ისე შეუწყნარებელ სარწმუნოებათა ელემენტებისაგან» (14 აპრილი).

რუსი ნაროდნიკები და ლიბერალები დიდ ხანს ინუგეშებდნენ თავს, ანუ, უფრო სწორად, იტყუებდნენ თავს «თეო-

რიით», რომ რუსეთში არ არის ნიადაგი მებრძოლი კლერიკალიზმისათვის, «ეკლესიის თავადთა» ბრძოლისათვის საერო ხელისუფლებასთანაო და მისთ.. სხვა ნაროდნიკულ და ლიბერალურ ილუზიებს შორის ჩვენმა რევოლუციამ ეს ილუზიაც გაჰფანტა. კლერიკალიზმი არსებობდა ფარული ფორმით, ვიდრე მთლიანად და ხელშეუხებლად არსებობდა თვითმპყრობელობა. პოლიციისა და ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობა «საზოგადოებისა» და ხალხის თვალისაგან ჰფარავდა კლასობრივ ბრძოლას საზოგადოდ, «ანაფორიან მებატონეთა» ბრძოლას «საზიზღარ ბრბოსთან», კერძოდ. რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ ბატონყმური თვითმპყრობელობის პირველმავე შენგრევამ ფარული აშკარა გახადა. როგორც კი პროლეტარიატმა და ბურჟუაზიული დემოკრატიის მოწინავე ელემენტებმა იწყეს სარგებლობა პოლიტიკური თავისუფლებით, მასების ორგანიზაციის თავისუფლებით, რომელიც მათ მოიპოვეს 1905 წლის დამლევს, მაშინვე რეაქციული კლასებიც წაეპოტინენ დამოუკიდებელ და აშკარა ორგანიზაციას. ისინი სრული აბსოლუტიზმის დროს განსაკუთრებით აშკარად არ ირაზმებოდნენ და არ გამოდიოდნენ არა იმიტომ, რომ სუსტნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ძლიერნი იყვნენ, — არა იმიტომ, რომ მათ ორგანიზაციისა და პოლიტიკური ბრძოლის უნარი არ შესწევდათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი მაშინ ჯერ კიდევ ვერ ხედავდნენ დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციის სერიოზულ საჭიროებას. მათ არ სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო მასობრივი მოძრაობა თვითმპყრობელობისა და მებატონეების წინააღმდეგ რუსეთში. მათ სავსებით ჰქონდათ იმის იმედი, რომ ბრბოს შესაკავებლად საკმარისი იყო მათრახი. თვითმპყრობელობისათვის მიყენებულმა პირველმავე ჭრილობებმა აიძულეს სოციალური ელემენტები, რომლებიც მხარს უჭერენ თვითმპყრობელობას და საჭიროებენ მას, დღის სინათლეზე გამოსულიყვნენ. მასებთან, რომლებსაც შეეძლოთ შეექმნათ 9 იანვარი, 1905 წლის საგაფიცვო მოძრაობა და ოქტომბერ-დეკემბრის რევოლუცია, უკვე არ შეიძლება მ ა რ ტ ო ძველი

მათრახით ბრძოლა. საჭიროა გამოსვლა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციების სარბიელზე; საჭიროა, რათა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო აწყობდეს შავ რაზმებს და აჩაღებდეს უაღრესად თავაწყვეტილ დემაგოგიას; საჭიროა, რათა «ეკლესიის თავადებმა — ეპისკოპოსებმა» დამოუკიდებელ ძალად დარაზმონ რეაქციული სამღვდელოება.

მესამე სათათბირო და რუსეთის კონტრრევოლუციის მესამე სათათბიროს პერიოდი სწორედ იმით ხასიათდება, რომ რეაქციული ძალების ამ ორგანიზაციამ გარეთ გადმოხეთქა, დაიწყო საერთო-ნაციონალური მასშტაბით გაშლა, მოითხოვა განსაკუთრებული შავრაზმულ-ბურჟუაზიული «პარლამენტი». მებრძოლმა კლერიკალიზმმა თვალნათლივ დაგვანახა თავისი სახე, და რუსეთის სოციალ-დემოკრატიას ახლა არა ერთხელ მოუხდება იყოს მეთვალყურე და მონაწილე კლერიკალური ბურჟუაზიის კონფლიქტებისა ანტიკლერიკალურ ბურჟუაზიასთან. თუ ჩვენი საერთო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ პროლეტარიატს დაირაზმოს ცალკე კლასად, რომელსაც შეეძლება გამოეყოს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მაშინ ამ ამოცანაში შედის, როგორც ნაწილი, პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალების გამოყენება, მათ შორის სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებაც, იმისათვის, რომ მასებს განემარტოთ სოციალისტური ანტიკლერიკალიზმის განსხვავება ბურჟუაზიული ანტიკლერიკალიზმისაგან.

ოქტიაბრისტებმა და კადეტებმა, რომლებიც გამოდიოდნენ III სათათბიროში უკიდურესი მემარჯვენეების წინაალმდეგ, კლერიკალებისა და მთავრობის წინაალმდეგ, უაღრესად გაგვიადვილეს ეს ამოცანა, რაკი ნათლად გვიჩვენეს ბურჟუაზიის დამოკიდებულება ეკლესიისა და რელიგიისადმი. კადეტებისა და, ეგრეთწოდებული, პროგრესისტების ლეგალური პრესა ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს «სტაროობრიადელების» საკითხს, იმას, რომ ოქტიაბრისტები კადეტებთან ერთად გამოვიდნენ მთავრობის წინაალმდეგ, იმას, რომ ისინი თუნდაც მცირე რამეში «დადგნენ რეფორმების გზაზე», რომლებსაც 17 ოქტომბერს შეგვპირდნენ. ჩვენ გაცი-

ლებით უფრო გვაინტერესებს საკითხის პრინციპული მხარე, ე. ი. საერთოდ ბურჟუაზიის დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი, თვით იმათი ჩათვლით, ვინც დემოკრატ-კადეტების სახელწოდებას ჩემულობს. ჩვენ არ უნდა დავუშ-ვათ, რომ შედარებით კერძო საკითხმა — გაბატონებულ ეკლე-სიასთან «სტაროობრიადელთა» შეტაკების საკითხმა, «სტაროობრიადელებთან» დაკავშირებული და ნაწილობრივ მათზე პირდაპირ ფინანსურად დამოკიდებული ოქტიაბრისტების მოქმედების საკითხმა («გოლოს მოსკვი»[122], როგორც ამბობენ, იცემა «სტაროობრიადელთა» სახსრებით) — დაჩრდილოს ძირითადი საკითხი — ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერე-სებისა და პოლიტიკის საკითხი.

დააკვირდით მიმართულებით ოქტიაბრისტის, ოქტიაბრის-ტთა ფრაქციიდან გამოსულ გრაფ უვაროვის სიტყვას. ის ლა-პარაკობს სოციალ-დემოკრატ სურკოვის შემდეგ და მაშინვე უარს ამბობს დასვას საკითხი იმ პრინციპულ ნიადაგზე, რო-მელზედაც იგი დააყენა მუშათა დეპუტატმა. უვაროვი თავს ესხმის სინოდსა და ობერ-პროკურორს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არა სურთ მიაწოდონ სათათბიროს ცნობები ზოგიერთი საეკლესიო შემოსავლისა და სამრევლოს თანხების ხარჯვის შესახებ. ასევე აყენებს საკითხს ოქტიაბრისტების ოფიცია-ლური წარმომადგენელი კამენსკი (16 აპრილს), რომელიც მოითხოვს მრევლის აღდგენას «მართლმადიდებლობის გან-მტკიცების ინტერესებისათვის». ამ აზრს ავითარებს, ეგრეთ-წოდებული, «მემარცხენე ოქტიაბრისტი» კაპუსტინი: «თუ ჩვენ მივმართავთ ხალხის ცხოვრებას, — შესძახა მან, — მივ-მართავთ სოფლის მოსახლეობის ცხოვრებას, მაშინ ახლა, ამ-ჟამად, ჩვენ დავინახავთ სავალალო მოვლენას — ირყევა რე-ლიგიური ცხოვრება, ირყევა მოსახლეობის ზნეობრივი წყო-ბილების უდიდესი ერთადერთი საფუძველი... რამ უნდა შეს-ცვალოს ცოდვის ცნება, რამ უნდა შესცვალოს სინდისის კარ-ნახი? ხომ შეუძლებელია, რომ ეს შესცვალოს კლასობრივი ბრძოლისა და ამა თუ იმ კლასის უფლებების ცნებამ. ეს სა-ვალალო ცნებაა, რომელიც შემოვიდა ჩვენს ყოველდღიურ

ცხოვრებაში. და აი, იმ თვალსაზრისით, რომ რელიგია, როგორც ზნეობის საფუძველი, განაგრძობდეს არსებობას, მისაწვდომი იყოს მთელი მოსახლეობისათვის, საჭიროა, რათა ამ რელიგიის გამტარებელნი სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდნენო»...

კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წარმომადგენელს სურს განამტკიცოს რელიგია, სურს განამტკიცოს რელიგიის გავლენა მასებზე, რადგან გრძნობს, რომ არასაკმარისნი, მოძველებულნი, მმართველი კლასებისათვის მავნებელნიც კი არიან «ანაფორიანი მოხელენი», რომელნიც ძირს სცემენ ეკლესიის ავტორიტეტს. ოქტიაბრისტი იბრძვის კლერიკალიზმისა და პოლიციური მეურვეობის უკიდურესობათა წინააღმდეგ იმისათვის, რომ გაძლიერდეს რელიგიის გავლენა მასებზე, რომ შეიცვალოს ხალხის გამოყეყეჩების თუნდაც რამდენიმე საშუალება, რომლებიც ძალიან ტლანქნი, ძალიან მოძველებულნი, ძალიან დახავსებულნი არიან და მიზანს ვერ აღწევენ, — უფრო დახვეწილი, უფრო სრულყოფილი საშუალებებით. პოლიციური რელიგია უკვე საკმარისი არ არის ხალხის გასასულელებლად, მოგვეცით უფრო კულტურული, განახლებული, უფრო მოხერხებული რელიგია, რომელიც შესძლებს თვითმართველ მრევლში მოქმედებასაო, — აი რას მოითხოვს კაპიტალი თვითმპყრობელობისაგან.

და კადეტი კარაულოვიც მთლიანად დგას სწორედ ამავე თვალსაზრისზე. ეს «ლიბერალური» რენეგატი (რომელიც «ნაროდნაია ვოლიადან» მემარჯვენე კადეტებთან გადაბარგდა) მოთქვამს «ეკლესიის დენაციონალიზაციის, ესე იგი საეკლესიო მშენებლობიდან ხალხის მასების, ერისკაცების, განდევნის» წინააღმდეგ. მას «შემზარავ» რამედ (ასეა სიტყვასიტყვით!) მიაჩნია, რომ მასები «ურწმუნონი ხდებიან». ის სავსებით მენშიკოვურად გაჰყვირის იმას, რომ «ეკლესიის უდიდეს საკუთარ ღირებულებას ფასი ეკარგება..., რაც უაღრესად საზიანოა არა მარტო საეკლესიო საქმისათვის, არამედ სახელმწიფოებრივი საქმისთვისაცაო. ის «ოქროს სიტყვებს» უწოდებს ურჯუკ ევლოღის საზიზღარ თვალთმაქცობას

იმ თემაზე, რომ «ეკლესიის ამოცანა მარადია, ურყევია და, მაშასადამე, ეკლესიის დაკავშირება პოლიტიკასთან შეუძლებელიაო». ის პროტესტს აცხადებს შავ რაზმთან ეკლესიის კავშირის წინააღმდეგ იმის გულისათვის, რომ ეკლესია «ახლანდელზე უფრო მეტი ძლიერებითა და დიდებით აკეთებდეს თავის დიად, წმიდა საქმეს ქრისტეს სულისკვეთებით — სიყვარულისა და თავისუფლების სულისკვეთებითაო».

ამხანაგი ბელოუსოვი ძალიან კარგად მოიქცა, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან დასცინა კარაულოვის ამ «ლირიკულ სიტყვებს». მაგრამ ასეთი დაცინვა ოდნავადაც და სრულიადაც არ არის საკმარისი. საჭირო იყო იმის გარკვევა, — და საჭირო იქნება პირველივე მარჯვე შემთხვევისას გავარკვიოთ სათათბიროს ტრიბუნიდან, — რომ კადეტების თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება ოქტიაბრისტების თვალსაზრისს და გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ «კულტურული» კაპიტალის მისწრაფებას — რელიგიური ნარკოზით გააბრუოს ხალხი ეკლესიური მოტყუების უფრო ოსტატური საშუალებებით, ვიდრე ის საშუალებებია, რომლებსაც მიმართავდა ძველი დროის რიგითი რუსი «მამაო».

ხალხი სულიერ მონობაში რომ იყოლიო, საჭიროა ეკლესიის ფრიად მჭიდრო კავშირი შავ რაზმთანაო, — ამბობდა პურიშკევიჩის პირით ველური მემამულე და ძველი დერჟიმორდა. ცდებით, ბატონებო, უპასუხებს მათ კარაულოვის პირით კონტრრევოლუციური ბურჟუა: თქვენ მხოლოდ საბოლოოდ ჩამოაშორებთ ხალხს რელიგიისაგან ასეთი საშუალებებით. ვიმოქმედოთ უფრო ჭკვიანად, უფრო ეშმაკურად, უფრო ოსტატურად, — თავიდან მოვიცილოთ მეტისმეტად სულელი და უხეში შავრაზმელი, ბრძოლა გამოვუცხადოთ «ეკლესიის დენაციონალიზაციას», დავწეროთ დროშაზე ევლოღი ეპისკოპოსის «ოქროს სიტყვები», რომ ეკლესია პოლიტიკაზე მაღლა დგას, — მხოლოდ ასეთი მოქმედებით შევძლებთ ჩვენ გავასულელოთ ჩამორჩენილი მუშების თუნდაც ნაწილი და, მეტადრე, მეშჩანები და გლეხები, შევძლებთ დაეხმარით განახლებულ ეკლესიას რომ მან, შეასრულოს თავისი

«დიადი, წმიდა საქმე» — ხალხის მასების სულიერ მონობაში ყოფნაო.

ჩვენი ლიბერალური პრესა, თვით გაზეთი «რეჩიც», გაძლიერებით კიცხავდა ამ ბოლო დროს სტრუვესა და კომპანიას, როგორც კრებულ «ვეხის» ავტორებს. მაგრამ კადეტთა პარტიის ოფიციალურმა ორატორმა სახელმწიფო სათათბიროში, კარაულოვმა, ჩინებულად ამხილა სტრუვესი და კომპანიის ამ გაკიცხვისა და მათგან გამიჯვნის მთელი საზიზღარი თვალთმაქცობა. რაც კარაულოვსა და მილიუკოვს აზრად აქვთ, სტრუვეს ენაზე აკერია. ლიბერალები სტრუვეს მ ხ ო ლ ო დ იმიტომ კიცხავენ, რომ მან უცაბედად წამოყრანტალა სიმართლე, რომ მან მეტისმეტად გამოამჟღავნა ფარული ზრახვები. ლიბერალები, რომლებიც კიცხავენ «ვეხის» და ისევ მხარს უჭერენ კადეტების პარტიას, ყოვლად უსინდისოდ ატყუებენ ხალხს, როცა გმობენ უცაბედად ნათქვამ გულახდილ ს ი ტ ყ ვ ა ს და განაგრძობენ სწორედ იმ ს ა ქ მ ი ს კ ე თ ე ბ ა ს, რომელიც ამ სიტყვას შეესაბამება.

ტრუდოვიკების მოქმედებაზე განსახილველი საკითხების გარშემო სათათბიროში გამართული კამათის დროს ცოტა რამ შეიძლება ითქვას. როგორც ყოველთვის, გამოაშკარავდა მკაფიო განსხვავება ტრუდოვიკ-გლეხებსა და ტრუდოვიკ-ინტელიგენტებს შორის ამ უკანასკნელთა დასაძრახისად, რომელნიც სავსებით მზად არიან მიჰყვნენ კადეტებს. გლეხმა როჟკოვმა, მართალია, თავისი სიტყვით გამოამჟღავნა მთელი თავისი პოლიტიკური შეუგნებლობა: მანაც გაიმეორა კადეტების უხამსობა იმის შესახებ, რომ რუსი ხალხის კავშირი ხელს უწყობს სარწმუნოების განმტკიცებას კი არა, არამედ დანგრევასაო, მან ვერ შესძლო გადმოეცა რაიმე პროგრამა. სამაგიეროდ, როდესაც იგი ალალმართლად მოჰყვა შიშველ, შეულამაზებელ სიმართლეს სამღვდელოების მეხარკეობაზე, ხუცების წამგლეჯელობაზე, იმაზე, თუ როგორ მოითხოვენ ქორწინებისათვის, გარდა ფულისა, «ბოთლ არაყს, საუზმეს და გირვანქა ჩაის, ხ ო ლ ო ზ ო გ ჯ ე რ ი თ ხ ო ვ ე ნ ი ს ე თ რ ა მ ე ს, რ ო მ ტ რ ი ბ უ ნ ი დ ა ნ ვ ე რ ც კ ი ვ ბ ე დ ა ვ ა მ ი ს თ ქ მ ა-

ხ ა ო» (16 აპრილი, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 2259), — შავრაზმულმა სათათბირომ ვერ მოითმინა, გაისმა ველური ღრიანცელი მემარჯვენეთა სკამებიდან. «რა აბუჩად აგდებაა? რა უმსგავსობაა?» — გაიძახოდნენ შავრაზმელები, რომლებიც გრძნობდნენ, რომ გლეხის უბრალო სიტყვა მეხარკეობაზე, სადაც მოყვანილი იყო რელიგიური წესების შესრულების «ნიხრები», უფრო მეტად არევოლუციურებს მასებს, ვიდრე ყოველგვარი თეორიული თუ ტაქტიკური ანტირელიგიური და ეკლესიის საწინააღმდეგო განცხადებანი. და ზუბრების ხროვამ, რომელიც იცავს თვითმპყრობელობას III სათათბიროში, დააშინა თავისი ლაქია, თავმჯდომარე მეიენდორფი, და აიძულა იგი სიტყვა წაერთმია როჟკოვისათვის (სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც შეუერთდა ზოგიერთი ტრუდოვიკი, კადეტი და სხვა, პროტესტი განაცხადეს თავმჯდომარის ასეთი საქციელის წინააღმდეგ).

ტრუდოვიკ-გლეხის როჟკოვის სიტყვამ, მისი უაღრესი ელემენტარულობის მიუხედავად, საუცხოოდ გვიჩვენა მთელი ის უფსკრული, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, კადეტების მიერ რელიგიის თვალთმაქცურ, გაანგარიშებულ რეაქციულ დაცვასა და, მეორე მხრივ, გლეხის პრიმიტიულ, შეუგნებელ, რუტინულ რელიგიურობას შორის, იმ გლეხისა, რომელსაც ცხოვრების პირობები წარმოუშობენ — მისი ნების წინააღმდეგ და მისი შეგნების დამოუკიდებლად — ნამდვილად რევოლუციურ გაბოროტებას მეხარკეობის წინააღმდეგ და შუახაუკუნებრიობასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადყოფნას. კადეტები არიან წარმომადგენლები კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა, რომელსაც სურს განაახლოს და განამტკიცოს რელიგია ხალხის წინააღმდეგ. როჟკოვები არიან წარმომადგენლები რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიისა, რომელიც განუვითარებელი, შეუგნებელი, დაბეჩავებული, დამოკიდებული და დაქსაქსულია, მაგრამ რომელიც ინახავს რევოლუციური ენერგიის ჯერ კიდევ სრულიად ამოუწურავ მარაგს მემამულეების, ხუცების, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინტელიგენტი-ტრუდოვიკი როზანოვი გაცილებით ნაკლებ შეუგნებლად უახლოვდებოდა კადეტებს, ვიდრე როჟკოვი. როზანოვმა შესძლო ეთქვა ზოგი რამ სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფაზე, როგორც «მემარცხენეთა» მოთხოვნაზე, მაგრამ თავი ვერ შეიკავა რეაქციული, მეშჩანური ფრაზებისაგან «საარჩევნო კანონის შეცვლაზე იმ მიმართულებით, რომ სამღვდელოება მონაწილეობას არ იღებდეს პოლიტიკურ ბრძოლაში». რევოლუციურობა, რომელიც თავისთავად ამოხეთქს ხოლმე ტიპიური, საშუალო გლეხის გულიდან, როდესაც ის ჰყვება სიმართლეს თავის ყოფაცხოვრებაზე, ქრება ტრუდოვიკ-ინტელიგენტში და იცვლება ბუნდოვან, ზოგჯერ კი პირდაპირ საძაგელ ფრაზად. მეასედ და მეათასედ ვხედავთ ჩვენ იმ ჭეშმარიტების დადასტურებას, რომ რუს გლეხთა მასები მხოლოდ მაშინ შესძლებენ, თუ ისინი მიჰყვებიან პროლეტარიატს, მათი შემხუთავი და დამღუპველი უღლის დამხობას — მიწათმფლობელი მებატონეების, ანაფორიანი მებატონეების თვითმპყრობელობის მოტრფიალე მებატონეების უღლის დამხობას.

მუშათა პარტიისა და მუშათა კლასის წარმომადგენელმა სოციალ-დემოკრატმა სურკოვმა მთელი სათათბიროდან მხოლოდ ერთმა აიყვანა მთელი კამათი ნამდვილ პრინციპულ სიმაღლეზე და მიუკიბ-მოუკიბავად თქვა, თუ როგორ უყურებს ეკლესიასა და რელიგიას პროლეტარიატი, როგორ უნდა უყურებდეს მას მთელი თანამიმდევარი და სიცოცხლისუნარიანი დემოკრატია. «რელიგია ხალხის ბანგია»... «ხალხის ფულის ირც ერთი კაპიკი ხალხის ამ მოსისხლე მტრებს, რომლებიც აბნელებენ ხალხის შეგნებას», — სოციალისტის ეს პირდაპირი, გაბედული, აშკარა საბრძოლო მოწოდება გაისმა როგორც შავრაზმული სათათბიროს გამოწვევა; ამ მოწოდებამ გამოხმაურება ჰპოვა მილიონობით პროლეტარებში, რომლებიც გაავრცელებენ მას მასებში, და შესძლებენ, როცა დრო დადგება, გადააქციონ იგი რევოლუციურ მოქმედებად.

«სოციალ-დემოკრატი» № 6, 1909 წ. 4 (17) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირი [123]

1909 წ. 8 — 17 (21 — 30) ივნისი

ცნობა «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის შესახებ

ქვემოთ მკითხველი ნახავს «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის უკანასკნელ თათბირზე მიღებული რეზოლუციების ტექსტს. თათბირის შემადგენლობა შემდეგი იყო: «პროლეტარის» რედაქციის 4 წევრი, 3 წარმომადგენელი ბოლშევიკებისა, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივ ორგანიზაციებში, — პეტერბურგის ორგანიზაციაში და მოსკოვის საოლქო (ცენტრალური რუსეთი) და ურალის ორგანიზაციებში, — და ცენტრალური კომიტეტის 5 წევრი — ბოლშევიკი.

კამათს, რომელიც თათბირზე გაიშალა, უეჭველია, დიდი საერთო-პარტიული მნიშვნელობა აქვს. ამ კამათმა უფრო გარკვეული და, რამდენადმე, დამთავრებული სახე მისცა იმ პოლიტიკურ ხაზს, რასაც სისტემატურად ატარებს ამ ბოლო დროს ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელი ორგანო და რაც იმ ამხანაგების განსაზღვრულ ნაწილში, რომლებიც თავისთავს ბოლშევიკებს უწოდებენ, ცოტა გაკიცხვას როდი იწვევს ამ ბოლო ხანს. თათბირზე, რომელზედაც ოპოზიცია წარმოდგენილი იყო ორი ამხანაგით, საჭირო ახსნა-განმარტება მოხდა.

ყოველივე ამის გამო, «პროლეტარის» რედაქცია მთელ ძალღონეს იხმარს, რათა დაამზადოს და გამოსცეს თათბირის რაც შეიძლება უფრო სრული ოქმები. ამ ცნობაში კი ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ პუნქტებს, რომლებსაც განსაზღვრული გაგებისას შეუძლიათ გამოიწვიონ გაუგებრობა — და საზღვარგარეთელ ამხანაგებში კიდეც იწვევენ მას. თათბირის

ვრცელი და საკმაოდ გარკვეული რეზოლუციები, კაცმა რომ თქვას, თავისთავად მეტყველებენ; თათბირის ოქმები მოგვცემენ საკმაო მასალას საერთოდ რეზოლუციების ამომწურავი გაგებისათვის. ამ ცნობის ამოცანაა მოგვცეს მითითებანი, რომლებიც ეხება, უმთავრესად, მიღებულ დადგენილებათა და რეზოლუციათა შინაფრაქციულ მნიშვნელობას.

დავიწყოთ რეზოლუციით «ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ».

რაც შეეხება რეზოლუციის იმ ნაწილს, რომელიც მიმართულია უშუალოდ ოტზოვიზმის წინააღმდეგ, მას, არსებითად, არ გამოუწვევია ძლიერი შეკამათება ოპოზიციის წარმომადგენელთა მხრივ, რომლებიც თათბირს ესწრებოდნენ. ოპოზიციის ორივე წარმომადგენელი აღიარებდა, რომ ოტზოვიზმი, რამდენადაც იგი ყალიბდება გარკვეულ მიმდინარეობად, სულ უფრო და უფრო შორდება სოციალ-დემოკრატიას, რომ ოტზოვიზმის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, კერძოდ მისმა აღიარებულმა ბელადმა, ამხანაგმა სტ.-მა [124], მოასწრო «ანარქიზმის ერთგვარი ელფერიც» კი მიეღო. თათბირზე ერთხმად აღიარებდნენ, რომ აუცილებელია შეუპოვარი და სისტემატური ბრძოლა ოტზოვიზმთან, როგორც მიმდინარეობასთან. სხვა საქმეა ულტიმატიზმი.

ოპოზიციის ორივე წარმომადგენელი თათბირზე თავისთავს ულტიმატისტს უწოდებდა. და ორივენი რეზოლუციის კენჭისყრისას შემოტანილ წერილობითს განცხადებაში აცხადებდნენ, რომ ისინი ულტიმატისტები არიან, რომ რეზოლუცია წინადადებას იძლევა გავემიჯნოთ ულტიმატიზმს, რომ ეს მათთვის იქნება საკუთარი თავისაგან გამიჯვნა, რასაც ხელს ვერ მოვაწერთო. შემდგომ, როდესაც კიდევ რამდენიმე რეზოლუცია იქნა მიღებული ოპოზიციის ხმების წინააღმდეგ, მისმა ორივე წარმომადგენელმა წერილობით განაცხადა, რომ მათ თათბირის რეზოლუციები უკანონოდ მიაჩნიათ, რომ ამ რეზოლუციების მიღებით თათბირი ფრაქციის გათიშვას აცხადებს, რომ მათ არ შეუძლიათ დაემორჩილონ ამ რეზოლუციებს და ცხოვრებაში გაატარონ ისინი. ამ ინციდენტზე ჩვენ

შემდეგ უფრო ვრცლად შევჩერდებით, რადგან მან ფორმალურად დაამთავრა ოპოზიციის ე რ თ-ე რ თ ი წარმომადგენლის, ამხ. მაქსიმოვის, ჩამოშორება «პროლეტარის» გაფაროებული რედაქციისაგან. აქ კი ჩვენ გვინდა სხვა მხრიდან მივუდგეთ ხსენებულ ინციდენტს.

ულტიმატიზმის შეფასებისას, ისევე, როგორც იმ თანამიმდევარი ულტიმატიზმის შეფასებისას, რომლის სახელია ოტზოვიზმი, სამწუხაროდ, გვიხდება საქმე გვქონდეს არა იმდენად ნაწერთან, რამდენადაც გადმოცემასთან. არც ულტიმატიზმს, არც ოტზოვიზმს დღევანდლამდე არ მიუღიათ გამოხატულება რამდენადმე მაინც მთლიან «პლატფორმაში». და იძულებული ვართ ავიღოთ ულტიმატიზმი მისი ერთადერთი კონკრეტული გამოხატულებით; ეს არის ის მოთხოვნა, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ულ ტ ი მ ა ტ უ მ ი წარედგინოს — მტკიცე პარტიული იყოს იგი და დაემორჩილოს პარტიული ცენტრების ყველა დირექტივას, ან ხელი აიღოს სადეპუტატო რწმუნებულებაზე. მაგრამ იმის მტკიცება, რომ ულტიმატიზმის ასეთი დახასიათება ს ა ვ ს ე ბ ი თ სწორი და ზუსტიაო, როგორც ირკვევა, არ შეიძლება. და აი რატომ. თათბირის მონაწილე ორი ულტიმატისტიდან ერთმა — ამხ. მარატმა განაცხადა, რომ ეს დახასიათება მას არ შეესაბამება. ის, ამხ. მარატი, აღიარებს, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობა ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად უმჯობესდება და რომ ის არ აპირებს ახლავე, დაუყოვნებლივ წაუყენოს მას ულტიმატუმი. ის მხოლოდ ფიქრობს, რომ პარტია ზეგავლენას უნდა ახდენდეს სათათბიროს ფრაქციაზე ყველა საშუალებით, ზემოთ აღნიშნული ულტიმატუმის წაყენებითაც კი.

ა ს ე თ ულტიმატისტებთან ერთი ფრაქციის შიგნით თანაცხოვრება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ა ს ე თ მ ა ულტიმატისტმა თავისი ულტიმატიზმი არარად უნდა აქციოს იმდენად, რამდენადაც სათათბიროს ფრაქციის მოღვაწეობა უმჯობესდება. ა ს ე თ ი ულტიმატიზმი კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს პარტიის ხანგრძლივ მუშაო-

ბას სათათბიროს ფრაქციასთან და ფრაქციის მიმართ, გულისხმობს პარტიის ხანგრძლივსა და გულმოდგინე მუშაობას იმ აზრით, რომ მოღვაწეობა სათათბიროში მოხერხებულად იქნას გამოყენებული აგიტაციისა და ორგანიზაციის საჭიროებისათვის. რაკი ფრაქციის მოღვაწეობაში ნათლად დაისახა გაუმჯობესების ტენდენცია, მაშასადამე, შემდეგ საჭიროა შეუპოვრად და დაჟინებით ვიმუშაოთ ამავე მიმართულებით. ულტიმატიზმი ამით თანდათან დაკარგავს თავის ობიექტურ აზრს. ასეთი ულტიმატისტ-ბოლშევიკების მიმართ ლაპარაკიც კი არ შეიძლება გათიშვაზე. მათ მიმართ არა გვგონია შესაფერისი იყოს ის გამიჯვნაც, რომელზედაც ლაპარაკია რეზოლუციაში «ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ» და რეზოლუციაში «ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში». ასეთი ულტიმატიზმი მხოლოდ ელფერია გარკვეული პრაქტიკული საკითხის დასმასა და გადაწყვეტაში; რამდენადმე მაინც შეხამჩნევი პრინციპული უთანხმოება აქ არ არის.

სხვაგვარი ხასიათის მოვლენა არის ულტიმატიზმი, რომლისაგან ბოლშევიზმის გამიჯვნა, როგორც იდეური მიმდინარეობისა პარტიაში, საჭიროდ მიაჩნია რეზოლუციას. ეს ულტიმატიზმი, — იგი კი, უეჭველია, არსებობს, — გამორიცხავს პარტიისა და მისი ცენტრების ხანგრძლივ მუშაობას სათათბიროს ფრაქციის მიმართ. გამორიცხავს პარტიის ხანგრძლივს, მოთმინებითს მუშაობას მუშებში იმ აზრით, რომ მოხერხებულად იქნას გამოყენებული მდიდარი საგიტაციო მასალა, რასაც III სათათბირო იძლევა. ეს ულტიმატიზმი გამორიცხავს პარტიის დადებითს, შემოქმედებითს მუშაობას სათათბიროს ფრაქციის მიმართ. ასეთი ულტიმატიზმის ერთად ერთი იარაღია მისი ულტიმატუმი, რომელიც პარტიამ უნდა ჩამოჰკიდოს სათათბიროს თავის ფრაქციის თავზე, როგორც დამოკლეს მახვილი, და რომელმაც რსდმ პარტიას უნდა შეუცვალოს პარლამენტარიზმის ნამდვილი რევოლუციური გამოყენების მთელი ის გამოცდილება, რაც დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიამ დააგროვა შეუპოვარი, ხანგრძლივი სწავლით. ასეთი ულტიმატიზმის გამიჯვნა

ოტზოვიზმისაგან შეუძლებელია. თავიანთი საერთო ა ვ ა ნ-ტ ი უ რ ი ზ მ ი ს სულისკვეთებით ისინი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. და ერთსაც და მეორესაც ნანაბრად უნდა გაემიჯნოს ბოლშევიზმი, როგორც რევოლუციური მიმდინარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში.

მაგრამ როგორ გვესმის ჩვენ, როგორ ესმოდა თათბირს ეს «გამიჯვნა»? არის თუ არა თუნდაც რაიმე მონაცემები იმის მტკიცებისათვის, რომ თათბირმა გამოაცხადა ბ ო ლ შ ე ვ ი-კ უ რ ი ფ რ ა ქ ც ი ი ს გ ა თ ი შ ვ ა, როგორც სურს ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს, რომ დაგვარწმუნოს? ასეთი მონაცემები არ არის. თათბირმა თავისი რეზოლუციებით განაცხადა: ბოლშევიკურ ფრაქციაში ისახება მიმდინარეობანი, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ბოლშევიზმს და მის გარკვეულ ტაქტიკურ ფიზიონომიას. ბოლშევიზმი ჩვენში წარმოდგენილია პარტიის ბოლშევიკური ფ რ ა ქ ც ი ი თ. ფრაქცია კი არ არის პარტია. პარტია შეიძლება შეიცავდეს ელფერთა მთელ გამმას, რომელთაგან უკიდურესნი შეიძლება მკვეთრადაც კი ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. გერმანიის პარტიაში, კაუცკის მკაფიო რევოლუციური ფრთის გვერდით, ჩვენ ვხედავთ ბერნშტეინის არქირევიზიონისტულ ფრთას. ფრაქცია სხვაა. პარტიაში ფრაქცია არის თ ა ნ ა მ ო ა ზ რ ე-თ ა ჯგუფი, რომელიც შექმნილია იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს, უწინარეს ყოვლისა, პარტიაზე გარკვეული მიმართულებით, იმ მიზნით, რომ გაატაროს პარტიაში რაც შეიძლება უფრო წმინდა სახით თავისი პრინციპები. ამისათვის საჭიროა ნამდვილი თ ა ნ ა მ ო ა ზ რ ე ო ბ ა. ეს განსხვავება მოთხოვნებისა, რომლებსაც ჩვენ ვუყენებთ პ ა რ ტ ი ი ს ერთიანობას და ფ რ ა ქ ც ი ი ს ერთიანობას, უნდა გაიგოს ყველამ, ვისაც სურს გამოარკვიოს ბოლშევიკურ ფრაქციაში არსებული შინაგანი შეხლა-შემოხლის საკითხის ჭეშმარიტი მდგომარეობა. თ ა თ ბ ი რ ს ა რ გ ა მ ო უ ც ხ ა დ ე ბ ი ა ფ რ ა ქ ც ი ი ს გ ა თ ი შ ვ ა. დიდ შეცდომას ჩაიდენდნენ ის ადგილობრივი მუშაკები, რომლებიც თათბირის რეზოლუციებს ისე გაიგებდნენ, როგორც მოწოდებას — განდევნონ

ორგანიზაციებიდან ოტზოვისტურად განწყობილი მუშები ან, მით უფრო, დაუყოვნებლივ გათიშონ ორგანიზაციები იქ, სადაც ოტზოვისტური ელემენტები მოიპოვებიან. ჩვენ მტკიცედ და გადაჭრით ვაფრთხილებთ ადგილობრივ მუშაკებს ამგვარი ნაბიჯებისაგან. ოტზოვიზმი, როგორც ჩამოყალიბებული, დამოუკიდებელი მიმდინარეობა, მუშათა მასაში არ არსებობს. ოტზოვისტების ცდებს, რომ თვითგამოერკვნენ, ბოლომდე თქვან სათქმელი, ფატალურად მივყევართ სინდიკალიზმისაკენ, ანარქიზმისაკენ. ამ უკანასკნელ მიმდინარეობათა რამდენადმე მაინც თანამიმდევარი მომხრენი თავისთავს თვითონ რიცხავენ ფრაქციიდანაც და პარტიიდანაც. ამათ რომ მივაკუთვნოთ მუშათა ის ჯგუფები, იქნებ, ფართო ჯგუფები, რომლებიც ოტზოვისტურად არიან განწყობილნი, უაზრობა იქნებოდა. ამგვარი ოტზოვიზმი არის, უმთავრესად, იმის ნაყოფი, რომ არ იცნობენ სათათბიროს ფრაქციის მოღვაწეობას. ამ ეთ ოტზოვიზმთან ბრძოლის ყველაზე შესაფერი იარაღია, ერთი მხრივ, ის, რომ ფართოდ და სრულად გავაცნოთ მუშებს ფრაქციის მოღვაწეობა, მეორე მხრივ — მივცეთ მუშებს საშუალება ურთიერთობა იქონიონ ფრაქციასთან და ზეგავლენა მოახდინონ მასზე. იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად შერყეულიყო ოტზოვისტური განწყობილება პეტერბურგში, საკმარისი აღმოჩნდა, მაგალითად, სათათბიროს დეპუტატ-ამხანაგების მთელი რიგი საუბრები პეტერბურგელ მუშებთან. ამრიგად, მთელი ძალღონე უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ თავიდან ავიცილოთ ორგანიზაციული გათიშვა ოტზოვისტებთან. რამდენადმე მაინც გულმოდგინე და თანამიმდევარი იდეური ბრძოლა ოტზოვიზმთან და მის მონათესავე სინდიკალიზმთან მალე სრულიად უქმს გახდის ყოველგვარ ლაპარაკს ორგანიზაციულ გათიშვაზე, უარეს შემთხვევაში, გამოიწვევს ოტზოვისტების ერთპიროვნულ და ჯგუფურ ჩამოშორებას ბოლშევიკური ფრაქციისაგან და პარტიისაგან.

სწორედ ასე იყო საქმე, კერძოდ, «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირზედაც. ამხ. მაქსიმოვის ულტიმატიზმი სრულიად შეურიგებელი აღმოჩნდა ბოლშევიზმის პოზიციასთან, რომელიც ერთხელ კიდევ ჩამოაყალიბა თათბირმა. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ძირითადი პრინციპული რეზოლუციები, მან განაცხადა, რომ ისინი უკანონოდ მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეზოლუციები მიღებული იყო ათი ხმით ორის წინააღმდეგ, ხოლო ზოგიერთი — ერთის (მაქსიმოვის) წინააღმდეგ, ამასთან ერთმა თავი შეიკავა (მაგალითად, რეზოლუცია «ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ» მთლიანად). მაშინ თათბირმა გამოიტანა რეზოლუცია, რომ იგი თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამხ. მაქსიმოვის ყველა პოლიტიკური ნაბიჯისათვის. საქმე ნათელია: რაკი ამხ. მაქსიმოვი გადაჭრით უარყოფს ყველა პრინციპულ რეზოლუციას, რაც მიღებულია თათბირის ესოდენ დიდი უმრავლესობით, ის უნდა მიხვდეს, რომ მასსა და თათბირს შორის არ არის ის თანამოაზრეობა, რომელიც პარტიის შიგნით ფრაქციის არსებობის ელემენტარულ პირობას წარმოადგენს. მაგრამ ამხ. მაქსიმოვი ამაზე არ შეჩერებულა: მან გადაჭრით განაცხადა, რომ არათუ არ აპირებს გაატაროს ეს რეზოლუციები ცხოვრებაში, არამედ არც დაემორჩილება მათ. თათბირი ვალდებული იყო მოეხსნა თავიდან ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამხ. მაქსიმოვის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, მაგრამ ამასთან თათბირმა განაცხადა (იხ. სანკტ-პეტერბურგელი დელეგატის მ. ტ.-ს [128] და სხვათა განცხადება), «რომ აქ საქმე ეხება არა ფრაქციის გათიშვას, არამედ ამხ. მაქსიმოვის ჩამოშორებას «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციისაგან» *.

* ამხ. მარატმაც განაცხადა, რომ ის თათბირის რეზოლუციებს არ გაატარებს ცხოვრებაში, მაგრამ დაემორჩილება მათ. ცალკე განცხადებაში კი ამხ. მარატმა განმარტა, რომ ის, საჭიროდ თვლის რა ამხანაგურ იდეურ ბრძოლას ოტზოვიზმთან, არ ცნობს არც ორგანიზაციულ ბრძოლას ამ უკანასკნელთან, არც ბოლშევიკური ფრაქციის გათიშვას. რაც შეეხება საერთოდ ორგანიზაციული გათიშვის საკითხს,

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე მივაქციოთ ამხანაგების მთელი ყურადღება თათბირის რეზოლუციებზე: «ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში» და «დამოკიდებულება სათათბიროში მოღვაწეობისადმი პარტიული მუშაობის სხვა დარგებს შორის». აქ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სწორად გავიგოთ ბოლშევიკების «პარტიული ხაზისა» და საერთოდ ლეგალურ შესაძლებლობათადმი, კერძოდ კი სათათბიროს ტრიბუნისადმი დამოკიდებულების საკითხის დაყენება.

ჩვენი მორიგი ამოცანაა რსდმპ შენარჩუნება და განმტკიცება. თვით ამ დიდი ამოცანის შესრულებაში არის ერთი მეტისმეტად მნიშვნელოვანი მომენტი: ეს არის ბრძოლა ორივე ელფერის ლიკვიდატორობასთან — მემარჯვენე ლიკვიდატორობასთან და მემარცხენე ლიკვიდატორობასთან. მემარჯვენე ლიკვიდატორები ამბობენ, არალეგალური რსდმპ საჭირო არ არის, სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეობის სიმძიმის ცენტრი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ლეგალური შესაძლებლობანიო. მემარცხენე ლიკვიდატორები საქმეს პირუკუღმა აბრუნებენ: ლეგალური შესაძლებლობანი მათთვის არ არსებობს პარტიულ მოღვაწეობაში, უეჭველად არალეგალობა — ყველაფერია მათთვის. ერთნიც და მეორენიც დაახლოებით თანაბრად არიან რსდმპ ლიკვიდატორები, რადგან, თუ გეგმაზომიერად, მიზანშეწონილად არ იქნება შეხამებული ლეგალური და არალეგალური მუშაობა ისტორიით ჩვენზე თავსმოხვეული ახლანდელი მდგომარეობის დროს, ისე არავითარი «შენარჩუნება და განმტკიცება რსდმ პარტიისა» არ არის შესაძლებელი. მემარჯვენე ლიკვიდატორობა, როგორც ვიცით, განსაკუთრებით ძლიერ მძვინვარებს მენშევიკურ ფრაქციაში, ნა-

---

როგორც ჩანს თათბირის რეზოლუციიდან «პარტიული სკოლის შესახებ, რომელიც ეწყობა საზღვარგარეთ N. N.-ში»[126], გამთიშველი ნაბიჯი ამ შემთხვევაში გადადგმულია ოტზოვისტებისა და ღვთისმშენებლობის[127] მომხრეთა მიერ, რადგან ეს სკოლა, უეჭველია, არის ცდა — შექმნან ახალი ფრაქციის ახალი იდეურ-ორგანიზაციული ცენტრი.

წილობრივ კი ბუნდშიც. მაგრამ ამ ბოლო დროს მენშევიკებს შორის ვამჩნევთ საგულისხმო მოვლენას — პარტიულობისაკენ დაბრუნებას, რომელსაც არ შეიძლება არ მივესალმოთ: «ფრაქციის უმცირესობა» (მენშევიკებისა)[128], — როგორც ამბობს თათბირის რეზოლუცია, — «რომელმაც ბოლომდე განიცადა ლიკვიდატორობის გზა, უკვე იმაღლებს პროტესტის ხმას ამ გზის წინააღმდეგ და კვლავ ეძებს პარტიულ ნიადაგს თავისი მოღვაწეობისათვის» *.

როგორია ბოლშევიკების ამოცანები მენშევიკების ამ ჯერჯერობით მცირე ნაწილის მიმართ, რომელიც აწარმოებს ბრძოლას მემარჯვენე ლიკვიდატორობის წინააღმდეგ? ბოლშევიკები, უეჭველია, უნდა ეცადონ დაუახლოვდნენ პარტიელთა ამ ნაწილს — მარქსისტულ და პარტიულ ნაწილს. საქმე აქ არავითარ შემთხვევაში არ ეხება მენშევიკებთან ჩვენს ტაქტიკურ უთანხმოებათა ლიკვიდაციას. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხაზიდან მენშევიკურ გადახვევათა წინააღმდეგ ჩვენ ვეწევით და მომავალშიც გავწევთ უაღრესად გადამწყვეტ ბრძოლას. თავისთავად იგულისხმება, საქმე არავითარ შემთხვევაში არ ეხება ბოლშევიკური ფრაქციის რაიმე გათქვეფას პარტიაში. პარტიული პოზიციების დაპყრობის აზრით ბოლშევიკებმა ძალიან ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ბევრი სამუშაო ამ მიმართულებით ჯერ კიდევ წინ გვიძევს. ბოლშევიკური ფრაქცია, როგორც გარკვეული იდეური მიმდინარეობა პარტიაში, უწინდებურად უნდა არსებობდეს. მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: პასუხისმგებლობა რსდმპ «შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის», რაზედაც ლაპარაკობს თათბირის რეზოლუცია, ახლა, უმთავრესად, თუ არა მარტოოდენ, ბოლშევიკურ ფრაქციას აწევს.

* «გოლოს სოციალ-დემოკრატას» «რედაქციის გათიშვად» რეზოლუცია გულისხმობს ამხ. პლეხანოვის გასვლას ამ რედაქციიდან, — გასვლას, რაც, თვითონ პლეხანოვის განცხადებით, ნაკარნახევია სწორედ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციის ლიკვიდატორული ტენდენციებით.

მთელ, ან თითქმის მთელ, არსებულ პარტიულ მუშაობას — მეტადრე ადგილებზე — ახლა ბოლშევიკები ეწევიან. და მათ, პარტიულობის მტკიცე და თანამიმდევარ დამცველებს, ახლა დიდი მნიშვნელობის ამოცანა აკისრიათ — ჩააბან პარტიული მშენებლობის საქმეში ყველა საამისოდ გამოსადეგი ელემენტი. და ახლანდელ მძიმე მომენტში ჩვენის მხრით ჭეშმარიტად დანაშაული იქნებოდა ხელი არ გაგვეწოდებინა სხვა ფრაქციათა პარტიელებისათვის, რომლებიც გამოდიან მარქსიზმისა და პარტიულობის დასაცავად — ლიკვიდატორობის წინააღმდეგ.

ეს პოზიცია აღიარა თათბირის უდიდესმა უმრავლესობამ და, მათ შორის, ადგილობრივი ორგანიზაციების ბოლშევიკთა ყველა წარმომადგენელმა. ოპოზიცია ყოყმანობდა და ვერ ბედავდა დაეკავებინა გარკვეული პოზიცია არც ჩვენს სასარგებლოდ, არც ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ხაზისათვის უსაყვედურებდა თათბირს ამხ. მაქსიმოვი «გამცემლობას ბოლშევიზმის მიმართ», მენშევიკურ თვალსაზრისზე გადასვლას და სხვა. ჩვენ ამაზე ერთ რამეს ვუპასუხებდით: თქვით ეს რაც შეიძლება მალე და აშკარად პრესაში, მთელი პარტიისა და მთელი ბოლშევიკური ფრაქციის წინაშე, მაშინ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა ერთხელ კიდევ ვამხილოთ თქვენი «რევოლუციურობის» ჭეშმარიტი აზრი, თქვენ მიერ ბოლშევიზმის «დაცვის» ჭეშმარიტი ხასიათი.

ამხანაგებს ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ თათბირის რეზოლუციას «დამოკიდებულება სათათბიროში მოღვაწეობისადმი და ა. შ.». ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ «ლეგალურ შესაძლებლობათა» საკითხის მჭიდრო კავშირი სხვადასხვა ელფერის ლიკვიდატორობასთან. მემარცხენე ლიკვიდატორობასთან ბრძოლა ისევე სავალდებულოა ახლა, როგორც მემარჯვენე ლიკვიდატორობასთან. პარლამენტური კრეტინიზმი, რომლისთვისაც მთელი პარტიული ორგანიზაცია უნდა განისაზღვრებოდეს მუშების დაჯგუფებით «ლეგალურ შესაძლებლობათა» გარშემო, კერძოდ, სათათბიროში მოღვაწეო-

ბის გარშემო, ისევე სრულიად უცხოა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვის, როგორც ოტზოვიზმი, რომელსაც არ ესმის ლეგალურ შესაძლებლობათა მნიშვნელობა პარტიისათვის, პარტიის ინტერესებისათვის. თათბირის რეზოლუციებში ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენება პარტიისათვის აღიარებულია უდიდესი მნიშვნელობის საქმედ. მაგრამ არსად ამ რეზოლუციებში ლეგალური შესაძლებლობანი და მათი გამოყენება არ არის მიჩნეული თვითკმარ მიზნად. ისინი ყველგან მჭიდროდ დაკავშირებულია არალეგალური მოღვაწეობის ამოცანებთან და ხერხებთან. და ეს კავშირი ამჟამად განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ზოგიერთი პრაქტიკული მითითება ამის შესახებ მოცემულია თვით რეზოლუციაში. მაგრამ ეს მხოლოდ მითითებებია. საერთოდ რომ ვთქვათ, ახლა საკითხი უნდა ეხებოდეს არა იმდენად იმას, თუ სახელდობრ როგორია «ლეგალურ შესაძლებლობათა» ადგილი პარტიული მუშაობის სხვა დარგებს შორის, არამედ იმას, თუ როგორ გამოვიყენოთ არსებული «ლეგალური შესაძლებლობანი» პარტიისათვის რაც შეიძლება უფრო სასარგებლოდ. მრავალი წლის არალეგალური მუშაობის მანძილზე პარტიაში დაგროვდა ძალიან დიდი გამოცდილება არალეგალური მუშაობის დარგში. არ შეიძლება ესევე ითქვას მეორე დარგზე — ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებაზე. აქ პარტიას, კერძოდ ბოლშევიკებს, საკმაო მუშაობა არ გაუწევიათ. ამ დარგის გამოყენებას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება, მოვანდომოთ მეტი ინიციატივა და ძალღონე, ვიდრე ეს დღემდე იყო. ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენება უნდა ვისწავლოთ და ვისწავლოთ ისევე დაჟინებით, როგორც ვსწავლობდით და ვსწავლობთ არალეგალური მოღვაწეობის ხერხებს. სწორედ იქითკენ, რომ გავწიოთ შეუპოვარი მუშაობა პარტიის სასარგებლოდ ლეგალურ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად, მოუწოდებს თათბირი ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რსდმპ ინტერესები.

უწინდებურად უცვლელი რჩება და, რა თქმა უნდა, უნდა დარჩეს ჩვენი დამოკიდებულება არალეგალური პარტიული მუშაობისადმი. რსდმპ შენარჩუნება და განმტკიცება ძირითადი ამოცანაა, რომელსაც ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ. მხოლოდ მაშინ, თუ ამ განმტკიცებას მივაღწევთ, შევძლებთ იმავე ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებას პარტიის ინტერესებისათვის. უაღრესად გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მუშათა ჯგუფებს, რომლებიც ყალიბდებიან სამრეწველო ცენტრებში და რომელთა ხელში უნდა გადავიდეს — და თანდათან გადადის — პარტიული მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა. მთელი ჩვენი ღონისძიებანი ჩვენი მოღვაწეობის ყველა დარგში უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ ამ ჯგუფებიდან შეიქმნას ნამდვილად პარტიული სოციალ-დემოკრატიული კადრები. მხოლოდ ამ საფუძველზე ხდება ნამდვილად შესაძლებელი რსდმპ შენარჩუნება და განმტკიცება.

გაზეთ «პროლეტარის»
46 №-ის დამატება,
1909 წ. 3 (16) ივლისი

იბეჭდება დამატების
ტექსტის მიხედვით

პარტიაში ბოლშევიკების ამოცანების საკითხზე წარმოთქმული სიტყვა
11 (24) ივნისი

მე ზედმეტად მიმაჩნია მეასედ და მეათასედ ვუპასუხო «მხ. მაქსიმოვს არსებითად, ე. ი. გავიმეორო, რომ ამხ. მაქსიმოვი ჩვენგან გამოთიშვით ქმნის კარიკატურული ბოლშევიკების ანუ ღვთაებრივი ოტზოვისტების პარტიას. ყოველივე ეს «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი» უკვე არის ნათქვამი, დაბეჭდილი, დაღეჭილი, ხაზგასმული. და მე მხოლოდ ვამბობ: თქვით ბ ე ჭ დ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ი ს საშუალებით ის, რასაც აქ ამბობთ ოთხ კედელს შუა, — და მაშინ და მხოლოდ მაშინ, შეუფერებელი კინკლაობის ნაცვლად, რაც სუფევს აქ მეოთხე დღეა, მივიღებთ იდეურ ბრძოლას. თქვით ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, რომ თქვენ ხართ «ნეობოლშევიკები», «ნეოპროლეტარელები» «ახალი «ისკრის» აზრით», ე. ი. არსებითად მენშევიკები, რომ თქვენ «გადადგით ორი ნაბიჯი უკან», რომ თქვენ «ანგრევთ რუსეთის რევოლუციის უძვირფასეს მემკვიდრეობას — ბოლშევიზმს», თქვით ბ ე ჭ დ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ი ს საშუალებით ყოველივე ეს, რაც ჩემ მიერ ჩაწერილია თქვენი სიტყვიდან, და ჩვენ ერთხელ კიდევ დავანახვებთ საზოგადოებას, რომ თქვენ სწორედ კარიკატურული ბოლშევიკის ტიპს წარმოადგენთ. თქვით ბ ე ჭ დ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ი ს საშუალებით, რომ ჩვენა-თქო, ისევ მომყავს თქვენი სიტყვები, «პლეხანოვის ტყვეობაში მყოფნი, დავიღუპებით პოლიტიკური სიკვდილით ახალი ალმავლობის შემ-

თხვევაში», რომ ჩვენა-თქო «გავიმარჯვებთ ხანგრძლივი რეაქციის შემთხვევაში», თქვით ეს «ბ ე ჭ დ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ი ს საშუალებით, და ჩვენ ერთხელ კიდევ წარმოვადგენთ პარტიისათვის სასარგებლო განმარტებას, თუ რა განსხვავებაა ბოლშევიზმსა და «ღვთაებრივ ოტზოვიზმს» შორის. ხოლო რაკი თქვენ უარს ამბობთ (ჩვენი მრავალგზის პირდაპირი გამოწვევის მიუხედავად, დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი 1908 წლის ა გ ვ ი ს ტ ო დ ა ნ, როდესაც თქვენ რედაქციის კრებაზე, ფორმალურად წინადადებას გაძლევდნენ გამოსულიყავით ბროშურით და ბროშურაში გადმოგეცათ თქვენი შეხედულებანი), რაკი თქვენ უარს ამბობთ ა შ კ ა რ ა დ იბრძოლოთ და განაგრძობთ კინკლაობას შიგნით, — ჩვენ უ ნ დ ა მივაღწიოთ აშკარა გამოსვლას თქვენი მხრივ იმ გზით, რომ თქვენ პირდაპირ გ ა მ ო ე ყ ო თ ჩვენს ფრაქციას (არა პარტიას, არამედ ფრაქციას), გამოეყოთ იდეური ბრძოლისათვის, რომელიც ბევრ რამეს ასწავლის პარტიას.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში ««პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები».

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«პარტიაში ბოლშევიკების ამოცანების
საკითხზე წარმოთქმული სიტყვა»,
11 (24) ივნისი. — 1909 წ.

დაპატარავებულია

ვიყენოთ და გავანაწილოთ ლეგალური ფუნქციების მიხედვით, და დავაკისროთ მათ ამ ფუნქციების შესრულება ფრაქციის სახელით. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ პარტიული უჯრედების შექმნაზე, უნდა შევძლოთ ამის გაკეთება. მე მოვხაზე რეზოლუცია ფურცლების საშუალებით აგიტაციის გაწევის შესახებ:

«ბოლშევიკური ცენტრი, რომელმაც განიხილა სათათბიროში მოღვაწეობის მიმართ ბოლშევიკების ამოცანების საკითხი, ადგენს: მიექცეს ყველა ადგილობრივი ორგანიზაციის ყურადღება ფურცლების საშუალებით აგიტაციის გაწევის დიდ მნიშვნელობას (გარდა ადგილობრივი და საოლქო ბეჭდვითი ორგანოებისა), აგიტაციისა, რომელიც მასებში ავრცელებს ცნობებს სოციალ-დემოკრატების მუშაობაზე სათათბიროში და წარმართავს ამ მუშაობას. ასეთი ფურცლების თემებად შეიძლება იყოს მითითება იმ საკითხებზე, რომლებიც განხილულ უნდა იქნან სათათბიროს ტრიბუნიდან, სათათბიროში სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობისა და პარტიათა დაჯგუფების შეჯამება, კონსპექტები საპროპაგანდო სიტყვებისა ამ საკითხებზე, სოციალ-დემოკრატების მიერ სათათბიროში წარმოთქმული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვების პოლიტიკური მნიშვნელობის ანალიზი, მითითება სოციალ-დემოკრატების მიერ სათათბიროში წარმოთქმული სიტყვების მოუთავებლობაზე ან უზუსტობაზე, ბოლოს, — ამონაწერები მათი სიტყვებიდან პროპაგანდისა და აგიტაციისათვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნებით, და ა. შ. და ა. შ.».

აგრეთვე მოვხაზე რეზოლუციის ფორმით ის პუნქტები სათათბიროში მოღვაწეობისადმი დამოკიდებულების საკითხზე, რომლებზედაც ლაპარაკი იყო კერძო კრებაზე [130]:

«II. სათათბიროს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიული გამოყენების განსხვავება მისი რეფორმისტული (ან უფრო ფართოდ: ოპორტუნისტული) გამოყენებისაგან შეიძლება დახასიათდეს შემდეგი მითითებებით, რომლებსაც სისრულის პრეტენზია არა აქვთ.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, ასე ვთქვათ, საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით სათათბიროს რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული გამოყენების განსხვავება ოპორტუნისტული გამოყენებისაგან შემდეგში მდგომარეობს: აუცილებელია ვიბრძოლოთ დეპუტატებისა და ხშირად მათი გარემომცველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ, ყოველ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში (და რუსეთში განსაკუთრებით რეაქციის დროს) ბუნებრივი მისწრაფების წინააღმდეგ, რომ პარლამენტური მოღვაწეობა მიიჩნიონ მთავარ, ძირითად, თვითკმარ რამედ. კერძოდ, აუცილებელია მთელი ძალღონე მივმართოთ იქითკენ, რომ ფრაქცია ნამდვილად ასრულებდეს თავის სამუშაოს, როგორც საერთოდ მუშათა მოძრაობის ინტერესებისადმი დაქვემდებარებულ ერთ-ერთ ფუნქციას, აგრეთვე ფრაქცია მუდამ იყოს დაკავშირებული პარტიასთან, კი არ განცალკევდეს მისგან, არამედ ახორციელებდეს პარტიულ შეხედულებებს, პარტიულ ყრილობათა და ცენტრალურ პარტიულ დაწესებულებათა დირექტივებს.

ფრაქციის მოღვაწეობის შინაგანი შინაარსის თვალსაზრისით საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი: პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობის მიზანი პრინციპულად განსხვავდება ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობის მიზნისაგან. პროლეტარული პარტია ისწრაფის არა ამა ქვეყნის ძლიერებთან გარიგებისა და ვაჭრული შეთანხმებისაკენ, არა კონტრრევოლუციის ბატონყმურ-ბურჟუაზიული დიქტატურის რეჟიმის უიმედო შეკეთებისკენ, არამედ იქითკენ, რომ ყოველი ღონისძიებით განაეითაროს მუშათა მასების კლასობრივი შეგნება, აზრის სოციალისტური სიცხადე, რევოლუციური გამბედაობა და ყოველმხრივი ორგანიზებულობა. ამ პრინციპულ მიზანს უნდა დაექვემდებაროს ფრაქციის მოღვაწეობის ყოველი ნაბიჯი. ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური რევოლუციის ამოცანების დაცვას სათათბიროს ტრიბუნიდან. უნდა მივმართოთ ძალღონე იქითკენ, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან უფრო ხშირად გაისმოდეს ისეთი სიტყვა, რომელიც

ეწევა სოციალიზმის, სახელდობრ მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი ცნებებისა და მიზნების პროპაგანდას. შემდეგ, ახლაც მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ვითარებაში მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რათა სათათბიროს ფრაქცია სისტემატურად ებრძოდეს «განმათავისუფლებელ მოძრაობაზე» კონტრრევოლუციური თავდასხმების ტალღას, ებრძოდეს ფართო მიმდინარეობას (როგორც აშკარა რეაქციონერებისა, ისე, განსაკუთრებით, ლიბერალების — კადეტებისა), რაც მიმართულია რევოლუციის დაგმობისაკენ, რევოლუციის, მისი მიზნების, მეთოდების და სხვათა დისკრედიტაციისაკენ. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სათათბიროში მაღლა უნდა ეჭიროს რევოლუციის დროშა, მოწინავე კლასის — რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადის დროშა.

შემდეგ, საჭიროა აღინიშნოს ახლანდელ მომენტში ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა — ენერგიული მონაწილეობა მიიღოს მუშათა კანონმდებლობის ყველა საკითხში. ფრაქციამ უნდა გამოიყენოს დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატების მდიდარი პარლამენტური გამოცდილება, ამასთან განსაკუთრებით უნდა ერიდოს თავისი მოღვაწეობის ამ ფუნქციის ოპორტუნისტულ დამახინჯებას. ფრაქციამ კი არ უნდა შეკვეცოს თავისი ლოზუნგები და ჩვენი პარტიის პროგრამა-minimum-ის მოთხოვნები, არამედ უნდა დაამუშაოს და შეიტანოს თავისი სოციალ-დემოკრატიული კანონპროექტები (აგრეთვე შესწორებანი მთავრობისა და სხვა პარტიების კანონპროექტებში) იმ მიზნით, რომ მასების წინაშე ამხილოს სოციალ-რეფორმატორობის თვალთმაქცობა და სიყალბე, იმ მიზნით, რომ ჩააბას მასები დამოუკიდებელ მასობრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელსაც მხოლოდ ერთადერთს შეუძლია მისცეს მუშებს ნამდვილი მონაპოვარნი ან ორჭოფული და თვალთმაქცური «რეფორმები» ახლანდელი წესწყობილების ნიადაგზე გადააქციოს მუშათა წინსვლითი მოძრაობის დასაყრდენ პუნქტებად პროლეტარიატის სრული ემანსიპაციის გზაზე.

ასეთივე პოზიცია უნდა დაიკავოს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ და მთელმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რეფორმიზმის მიმართ სოციალ-დემოკრატიის შიგნით, როგორც ოპორტუნისტულ ქანაობათა უკანასკნელი ნაყოფის მიმართ.

დასასრულ, სათათბიროს რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული გამოყენების განსხვავება ოპორტუნისტული გამოყენებისაგან იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და პარტია ვალდებულნი არიან ყოველმხრივ განუმარტონ მასებს ყველა ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიის კლასობრივი ხასიათი, ამასთან კი არ უნდა დასჯერდნენ მთავრობაზე და აშკარა რეაქციონერებზე თავდასხმებს, არამედ ამხილონ ლიბერალიზმის კონტრრევოლუციურობაც და წვრილბურჟუაზიული გლეხური დემოკრატიის ქანაობაც».

დაწერილია 1909 წ.
12 — 13 (25 — 26) ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში ««პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები»

სიტყვა იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით; რეზოლუციის პროექტი — ხელნაწერის მიხედვით.

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის რეზოლუციები

I

ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ

ბულიგინის სათათბიროს და I სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ლოზუნგმა, რომელიც ჩვენი პარტიის რევოლუციურმა ფრთამ წამოაყენა, მაშინ დიდი რევოლუციური როლი შეასრულა და გაიყოლია მუშათა კლასის ყველაზე უფრო აქტიური და ყველაზე უფრო რევოლუციური ფენები.

ფართო მასების უშუალო რევოლუციური ბრძოლა ამის შემდეგ შეიცვალა კონტრრევოლუციის მძიმე ხანით; სოციალ-დემოკრატიისათვის აუცილებელი შეეფარდებინა თავისი რევოლუციური ტაქტიკა ამ ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან, და, ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა გახდა სათათბიროს ღია ტრიბუნის გამოყენება სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისა და ორგანიზაციისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

ამავე დროს იმ მუშების ნაწილმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ უშუალო რევოლუციურ ბრძოლაში, ვერ შესძლო მოვლენათა ამ სწრაფი შებრუნების დროს ერთბაშად გადასულიყო რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის გამოყენებაზე კონტრრევოლუციის ახალ პირობებში და შეჩერდა იმ ლოზუნგების უბრალო განმეორებაზე, რომლებიც რევოლუციური ი ყ ვ ნ ე ნ აშკარა სამოქალაქო ომის ეპოქაში, მაგრამ რომლებსაც ახლა მათი უბრალო განმეორებისას შეუძლიათ შეაჩერონ ბრძოლის ახალ პირობებში პროლეტარიატის დარაზმვის პროცესი.

მეორე მხრით, ამ მძიმე გარდატეხის ნიადაგზე, რევოლუციური ბრძოლის დაცემის ატმოსფეროში, მუშათა ერთ ნაწილშიც კი აპათიისა და დაბნეულობის ატმოსფეროში, მუშათა ორგანიზაციების განადგურებისა და გამხრწნელი გავლენისადმი წინააღმდეგობის გასაწევად მათი მხრივ საკმაო ძალის უქონლობის პერიოდში, — მუშათა კლასის ერთ ნაწილში შეიქმნა ინდიფერენტიზმი პოლიტიკური ბრძოლისადმი საერთოდ და განსაკუთრებით ძლიერი გულგრილობა სოციალ-დემოკრატიის მუშაობისადმი სათათბიროში.

პროლეტარიატის ამ ფენებს შორის ასეთ პირობებში შეიძლება დროებითი წარმატება ხვდეს ეგრეთწოდებულ ოტზოვიზმსა და ულტიმატიზმს.

მუშაობა III სათათბიროსი, რომელიც აშკარად დასცინის მუშათა გაჭირვებას, აძლიერებს ოტზოვისტურ განწყობილებას მუშების ამავე ფენებში, რომლებსაც, თავისი არასაკმაო სოციალ-დემოკრატიული აღზრდის გამო, ჯერ კიდევ არ შეუძლიათ გაიგონ ის გარემოება, რომ III სათათბიროს სწორედ ასეთი საქმიანობა სოციალ-დემოკრატებს შესაძლებლობას აძლევს რევოლუციურად გამოიყენონ ექსპლოატატორული კლასების ეს წარმომადგენლობა იმისათვის, რომ ხალხის ფართო მასებს გაურკვიონ თვითმპყრობელობისა და მთელი კონტრრევოლუციური ძალების ჭეშმარიტი ხასიათი, აგრეთვე — რევოლუციური ბრძოლის საჭიროება.

ოტზოვისტურ განწყობილებას მუშათა ამ ნაწილში, გარდამისა, ასაზრდოებდა ის უაღრესად სერიოზული შეცდომები, რომლებიც ჩაიდინა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, განსაკუთრებით მისი მოღვაწეობის პირველ წელს.

აღიარებს რა, რომ ამ ოტზოვისტურ განწყობილებას უარყოფითი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის სოციალისტური და რევოლუციური აღზრდის საქმეში, — ბოლშევიკური ფრაქცია საჭიროდ თვლის:

ა) მ უ შ ე ბ ი ს ა მ ფ ე ნ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ — გაწეულ იქნას სოციალ-დემოკრატიული აღზრდისა და ორგანიზაციის ხანგრძლივი მუშაობა, სისტემატურად და დაჟინებით

განიმარტოს ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის მთელი პოლიტიკური უნაყოფობა, სოციალ-დემოკრატიული პარლამენტარიზმისა და სათათბიროს ტრიბუნის როლის ნამდვილი მნიშვნელობა სოციალ-დემოკრატიისათვის კონტრრევოლუციის პერიოდში;

b) სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და საერთოდ სათათბიროში მუშაობის მიმართ — დამყარდეს მჭიდრო კავშირი სათათბიროს ფრაქციასა და მოწინავე მუშებს შორის, ყოველმხრივი დახმარება და ორგანიზებული კონტროლი გაუწიოს მას და ზეგავლენა მოახდინოს მასზე მთელმა პარტიამ, სხვათა შორის, მისი შეცდომები აშკარა განმარტების გზითაც, ფაქტიურად განახორციელოს პარტიამ ხელმძღვანელობა ფრაქციის, როგორც პარტიული ორგანოს, მოღვაწეობის მიმართ, და საერთოდ ბოლშევიკებმა გაატარონ ცხოვრებაში უკანასკნელი საერთო-პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებანი ამის შესახებ, ვინაიდან მხოლოდ მუშათა წრეების ყურადღების გაძლიერებას სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობისადმი და მათს ორგანიზებულ მონაწილეობას სოციალ-დემოკრატების სათათბირო მოღვაწეობაში შეუძლია ნამდვილად გამოასწოროს სათათბიროს ჩვენი ფრაქციის ტაქტიკა;

c) პარტიის მარჯვენა ფრთის მიმართ, რომელსაც სათათბიროს ფრაქცია ანტიპარტიული გზისაკენ მიჰყავს და რომელიც ამით სწყვეტს მას მუშათა ავანგარდს, — გაჩაღდეს სისტემატური, შეურიგებელი ბრძოლა და მხილებულ იქნას პარტიისათვის დამღუპველი ეს ტაქტიკა.

* * *

ჩვენს პარტიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მსვლელობაში მიეკედლნენ მთელი რიგი ელემენტები, რომლებიც მიიზიდა ჩვენი პარტიის წმინდა პროლეტარულმა პროგრამამ კი არა, არამედ უმთავრესად მისმა მკაფიო და ენერგიულმა ბრძოლამ დემოკრატიისათვის და რომლებმაც

პროლეტარული პარტიის რევოლუციურ-დემოკრატიული ლოზუნგები მიიღეს სოციალისტური პროლეტარიატის მთელ ბრძოლასთან დაუკავშირებლად.

პროლეტარული თვალსაზრისით არასაკმაოდ გამსჭვალული ასეთი ელემენტები აღმოჩნდნენ ჩვენი ბოლშევიკური ფრაქციის რიგებშიც. ჟამთა სიავის ნიადაგზე ეს ელემენტები სულ უფრო მეტად იჩენენ თავის არასაკმაო სოციალ-დემოკრატიულ სიმტკიცეს, უფრო და უფრო მკვეთრ წინააღმდეგობაში ვარდებიან რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის საფუძვლებთან და ქმნიან ამ უკანასკნელ წელს მიმდინარეობას, რომელიც ცდილობს ჩამოაყალიბოს ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის თეორია, ნამდვილად კი მხოლოდ პრინციპად ხდის და აღრმავებს ყალბ წარმოდგენებს სოციალ-დემოკრატიულ პარლამენტარიზმზე და სოციალ-დემოკრატიის მუშაობაზე სათათბიროში.

ეს მცდელობა, რომ ოტზოვისტური განწყობილებიდან შექმნან ოტზოვისტური პოლიტიკის მთელი სისტემა, წარმოშობს თეორიას, რომელიც არსებითად გამოხატავს, ერთი მხრივ, პოლიტიკური ინდიფერენტიზმის, ხოლო მეორე მხრივ — ანარქისტული ხეტიალის იდეოლოგიას. მთელი თავისი რევოლუციის ფრაზეოლოგიის მიუხედავად, ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის თეორია სინამდვილეში მნიშვნელოვნად წარმოადგენს იმ კონსტიტუციური ილუზიების უკუღმა პირს, რომლებიც დაკავშირებულია იმედებთან, თითქოს თვითონ სახელმწიფო სათათბიროს შეუძლია დააკმაყოფილოს ხალხის ესა თუ ის საარსებო მოთხოვნა, და არსებითად სცვლის პროლეტარულ იდეოლოგიას წვრილბურჟუაზიული ტენდენციებით.

აშკარა ოტზოვიზმზე ნაკლები ვნება არ მოაქვს სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის ეგრეთწოდებულ ულტიმატიზმსაც (ე. ი. იმ მიმდინარეობას, რომელიც პრინციპულად უარს ამბობს მესამე სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებაზე ან პრაქტიკული მოსაზრებით ცდილობს გაამართლოს თავის არიდება ამ მოვალეობის შესრულებისაგან, ესწრაფის სათათბი-

როს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გამოწვევას და, სათათბიროს ფრაქციის აღზრდისა და გამოსწორების ხანგრძლივი მუშაობის ნაცვლად, აყენებს მისთვის დაუყოვნებლივი ულტიმატუმის წარდგენას). პოლიტიკურად ულტიმატიზმი ამჟამად არაფრით არ განსხვავდება ოტზოვიზმისაგან და მხოლოდ კიდევ უფრო მეტ დაბნეულობასა და არევდარევას ჰბადებს თავისი ოტზოვიზმის მიჩქმალვით. ულტიმატიზმის მცდელობა — დაამყაროს თავისი უშუალო კავშირი ბოიკოტიზმთან, რასაც ჩვენი ფრაქცია მიმართავდა რევოლუციის გარკვეულ მომენტში, მხოლოდ ამახინჯებს იმ ბოიკოტის ნამდვილ აზრსა და ხასიათს, რომელიც სავსებით სწორად გამოუცხადა ჩვენი პარტიის უდიდესმა უმრავლესობამ ბულიგინის სათათბიროსა და I სახელმწიფო სათათბიროს. თავისი მცდელობით, რომ რევოლუციის ამა თუ იმ მომენტში საწარმომადგენლო დაწესებულებათა ბოიკოტის გამოყენების ცალკეული შემთხვევებიდან გამოიყვანონ ბოიკოტის ხაზი, როგორც ბოლშევიზმის ტაქტიკის განმასხვავებელი ნიშანთვისება კონტრრევოლუციის პერიოდშიც, ულტიმატიზმი და ოტზოვიზმი ცხადყოფენ, რომ ეს მიმდინარეობანი არსებითად წარმოადგენენ უკუღმა პირს მენშევიზმისას, რომელიც ქადაგებს განურჩეველ მონაწილეობას ყველა საწარმომადგენლო დაწესებულებაში, დამოუკიდებლად რევოლუციის განვითარების გარკვეული ეტაპისა, დამოუკიდებლად იმისა, არის თუ არა რევოლუციური აღმავლობა.

ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის ყოველ ცდას დღევანდლამდე, რომ პრინციპულად დაასაბუთონ თავისი თეორია, ისინი გარდუვალად მიჰყავს რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლების უარყოფამდე. მათ მიერ დასახული ტაქტიკა გარდუვალად იწვევს კავშირის სრულ გაწყვეტას საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ტაქტიკასთან, რომელიც შეფარდებულია რუსეთის ახლანდელ პირობებთან, და იწვევს ანარქისტულ გადახრებს.

ოტზოვისტურ-ულტიმატისტურ აგიტაციას უკვე მოაქვს უეჭველი ვნება მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიუ-

ლი მუშაობისათვის. მისი შემდგომი განგრძობისას იგი შეიძლება პარტიის ერთიანობისათვის საფრთხედ იქცეს, რადგან ეს აგიტაცია უკვე იწვევდა ისეთ მახინჯ მოვლენებს, როგორიცაა ოტზოვისტებისა და ესერების გაერთიანება (ს.-პეტერბურგში) სათათბიროს ჩვენი პარტიული წარმომადგენლობისათვის დახმარებაზე უარის სათქმელად, აგრეთვე ზოგიერთ საჯარო გამოსვლას მუშების წინაშე გარკვეულ სინდიკალისტებთან ერთად.

ყოველივე ამის გამო «პროლეტარის» გაფართოებული რედაქცია აცხადებს, რომ ბოლშევიზმს, როგორც რსდმპ გარკვეულ მიმდინარეობას, არაფერი აქვს საერთო ოტზოვიზმთან და ულტიმატიზმთან, და ბოლშევიკურმა ფრაქციამ უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოოს ამ გადახვევებთან რევოლუციური მარქსიზმის გზიდან.

2

ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში

კონტრრევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვების ეპოქაში, რომელიც მოჰყვა II სათათბიროს გარეკვას, შექმნილმა ვითარებამ მთელ პარტიულ მოღვაწეობას უკარნახა ამოცანა: რეაქციის ღონისძიებათა წინააღმდეგ და კლასობრივი პროლეტარული ბრძოლის ღრმად დაცემის პირობებში შეინარჩუნოს პარტიული ორგანიზაცია, შექმნილი პროლეტარული ბრძოლის უმაღლესი აღმავლობის წლებში, — ე. ი. როგორც ორგანიზაცია, რომელიც შეგნებულად დგას ორთოდოქსული მარქსიზმის ნიადაგზე და აერთიანებს ყველა «ნაციონალურ» სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ერთიანი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის გატარების მიზნით.

პარტიისა და პარტიულობისათვის ამ ორი წლის ბრძოლის მსვლელობაში სრული სიცხადით გამოირკვა, ერთი მხრივ, პარტიის გამიჯვნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სპეციალური პირობებით პარტიაში მოქცეული ელემენტებისაგან, მეორე მხრივ — რევოლუციური სოციალ-დემოკრატე-

ბის შემდგომი დარაზმვა. ერთი მხრივ, სავსებით გამოირკვნენ სოციალ-დემოკრატიის ის ყოფილი თანამგზავრები, რომლებმაც პარტიისაგან ჩამოშორების შემდეგ თავისი საქმიანობა მთლიანად გადაიტანეს სხვადასხვა ლეგალურ ორგანიზაციაში (კოოპერატივები, პროფესიული კავშირები, საგანმანათლებლო საზოგადოებანი, სათათბიროს ფრაქციასთან არსებული კომისიები) და რომლებიც იქ არათუ არ ატარებდნენ პარტიულ პოლიტიკას, არამედ, პირიქით, ებრძოდნენ პარტიას და ცდილობდნენ მოეწყვიტათ მისგან და დაეპირისპირებინათ მისთვის ეს ორგანიზაციები. ეს ელემენტები — პარტიის აშკარა ლიკვიდატორები — ფეტიშად აცხადებდნენ ლეგალობას და პრინციპად ისახავდნენ საქმიანობის ვიწრო ფორმებს, რომლებიც თავს მოხვეული იყო მუშათა მოძრაობის დროებითი დაბეჩავებითა და დაქუცმაცებით, — ყველასათვის აშკარა სიცხადით დადგნენ თეორიული და ტაქტიკური რევიზიონიზმის ნიადაგზე. უმჭიდროესი კავშირი, ერთი მხრივ, ორგანიზაციულ ლიკვიდატორობასა — ბრძოლა პარტიულ დაწესებულებებთან — და, მეორე მხრივ, მარქსისტული თეორიისა და რსდმპ პროგრამის საფუძვლების წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლას შორის ახლა სრული სიცხადით გამოააშკარავა და დაამტკიცა სათათბიროს ჩვენი ფრაქციის ინტელიგენტ მრჩეველთა მიერ ამ ფრაქციისათვის ოპორტუნისტული ხაზის თავზე მოხვევის მთელმა ისტორიამ, მთელმა ბრძოლამ ლიკვიდატორებსა და პარტიელებს შორის ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებში ოთხი ყრილობის მუშათა ჯგუფებში: სახალხო უნივერსიტეტების [131], კოოპერაციული [132], ქალთა [133] და ფაბრიკა-ქარხნების ექიმთა [134] ყრილობების მუშათა ჯგუფებში.

მეორე მხრივ, პარტიის მემარცხენე ფრთა, რომელსაც წილად ხვდა პარტიის ხელმძღვანელობა კონტრრევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვების ამ პერიოდში, თეორიულად სცნობდა და საქმით ატარებდა არალეგალური და ლეგალური პარტიული მუშაობის მიზანშეწონილი შეერთების ტაქტიკას. ამას მიეკუთვნება მთელი პარტიული მუშაობა სათათბიროს ფრაქციის მიმართ და მთელი პარტიული მუშაობა ლეგალურ და ნახევ-

რადლეგალურ პროლეტარულ ორგანიზაციებში. მუშაობის სწორედ ეს ფორმები წამოაყენა თანამედროვე ისტორიული მომენტის თავისებურმა პირობებმა პარტიული მუშაობის ძირითადი ფორმების დამატებად, როგორც მეტად თუ ნაკლებად ფართო მასებზე არალეგალური პარტიის ზემოქმედების ფორმები. მოღვაწეობის სწორედ ამ ფორმებში აწყდება პარტია პრაქტიკულად, საქმით, ლიკვიდატორობას და საგრძნობ დარტყმებს აგემებს მას. ამავე ნიადაგზე პრაქტიკულად უახლოვდებოდნენ და უახლოვდებიან ერთმანეთს სხვადასხვა ფრაქციის პარტიული სოციალ-დემოკრატები *. და, ბოლოს, აქვე, პარტიის ტაქტიკისა და ორგანიზაციის ამავე საკითხებზე, მესამე სათათბიროს პერიოდის პირობებში, ბოლშევიკური ფრაქცია აშკარად ემიჯნება ფსევდორევოლუციურ, მერყევ, არამარქსისტულ ელემენტებს, რომლებიც გამოვიდნენ პარტიული მოღვაწეობის ახალი ფორმების წინააღმდეგ ეგრეთწოდებული «ოტზოვიზმის» დროშით.

ამჟამად, სახავს რა ბოლშევიკების ძირითად ამოცანებს, «პროლეტარის» გაფართოებული რედაქცია აღნიშნავს:

1) რომ შემდგომ ბრძოლაში პარტიისათვის და პარტიულობისათვის ამოცანა ბოლშევიკური ფრაქციისა, რომელიც უნდა დარჩეს მოწინავე მებრძოლად პარტიულობისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ხაზისათვის პარტიაში, არის ყოველმხრივი ქმედითი მხარის დაჭერა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოსათვის. მხოლოდ საერთო-პარტიული ცენტრალური დაწესებულებანი შეიძლება იყვნენ პარტიულ ძალთა გადაჯგუფების ახლანდელ პერიოდში ავტორიტეტული და ძლიერი წარმომადგენელი პარტიული ხაზისა, რომლის ირგვლივ დაირაზმებოდნენ ყველა ნამდვილად

* ერთხმად მიღებულია ცენტრალურ კომიტეტში რეზოლუციები პროფესიულ კავშირებზე, კოოპერატივებზე და მთელი რიგი დადგენილებანი სათათბიროში მუშაობაზე. უკანასკნელ საერთო-რუსეთის კონფერენციაზე უდიდესმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პარტიულ ხაზს. ცენტრალური ორგანოს გაძღოლის გამოცდილება, ზემოაღნიშნული ყრილობების მუშათა ჯგუფები და სხვ.

პარტიული და ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული ელემენტები;

2) რომ პარტიის მენშევიკურ ბანაკში, როცა ფრაქციის ოფიციალური ორგანო «გოლოს სოციალ-დემოკრატა» სავსებით ხელში აქვთ ჩაგდებული მენშევიკ-ლიკვიდატორებს, ფრაქციის უმცირესობა, რომელმაც ბოლომდე გამოსცადა ლიკვიდატორობის გზა, უკვე იმაღლებს პროტესტის ხმას ამ გზის წინააღმდეგ და კვლავ ეძებს პარტიულ ნიადაგს თავისი მოღვაწეობისათვის (ს.-პეტერბურგის «ვიბორგელი» მენშევიკების წერილი, მენშევიკების გათიშვა მოსკოვში, გათიშვა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციაში, შესაბამისი დაყოფა ბუნდში და სხვ.);

3) რომ ასეთ გარემოებაში ბოლშევიკების ამოცანას, რომლებიც დარჩებიან პარტიის დარაზმულ ავანგარდად, შეადგენს არა მარტო ის, რომ განაგრძონ ბრძოლა ლიკვიდატორობასთან და რევიზიონიზმის ყველა სახეობასთან, არამედ ისიც, რომ დაუახლოვდნენ სხვა ფრაქციების მარქსისტულ და პარტიულ ელემენტებს, როგორც ამას გვიკარნახებს მიზნების ერთობა რსდმ პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

3

პარტიისაგან განცალკევებული ბოლშევიკური ყრილობისა ან ბოლშევიკური კონფერენციის სასარგებლო აგიტაციის შესახებ

იღებს რა მხედველობაში: — რომ ბოლშევიკური ფრაქცია პარტიული ერთიანობის აღდგენის დროიდან გამოჰყოფდა და რაზმავდა თავისი პოლიტიკური ხაზის მომხრეებს ყოველთვის იმ საკითხებზე, რომლებიც უკვე გახდნენ საერთო-პარტიული დისკუსიის საგანი, და ყოველთვის იმ გზით, რომ იდეურად იბრძოდა ამ საკითხების თავისი გადაწყვეტისათვის საერთო-პარტიულ სარბიელზე — პარალელური პლატფორმები და დისკუსია პარტიულ უჯრედებში, საერთო-პარტიულ ყრილობებზე;

— რომ მხოლოდ ეს გზა უზრუნველყოფს ნამდვილ თანამოაზრეთა დარაზმვასაც და ფრაქციაში ყველა იმ ელემენტის ჩაბმასაც, რომელნიც არსებითად ენათესავებიან მას;

— რომ ჩვენი ძირითადი მიზნის განსახორციელებლადაც, პარტიაზე ზეგავლენის მოსახდენად მასში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხაზის საბოლოო გამარჯვების ინტერესებისათვის, ბოლშევიკების გამოყოფა მხოლოდ საერთო-პარტიულ სარბიელზე ერთადერთი სწორი და ერთადერთი მიზანშეწონილი ნაბიჯია;

— რომ სხვა გზა — ცალკეული ბოლშევიკური კონფერენციებისა და ყრილობების მოწვევის გზა აუცილებლად გამოიწვევდა პარტიის გათიშვას თავიდან ბოლომდე და გამოუსწორებელ ვნებას მიაყენებდა იმ ფრაქციას, რომელიც რსდმ პარტიის ასეთი საბოლოო გათიშვის ინიციატივას იკისრებდა;

იღებს რა ყოველივე ამას მხედველობაში, «პროლეტარის» გაფართოებული რედაქცია ადგენს:

1) გაფრთხილებულ იქნას ყველა თანამოაზრე სპეციალური ბოლშევიკური ყრილობისათვის აგიტაციის გაწევის წინააღმდეგ, როგორც ისეთი აგიტაციისა, რომელსაც ობიექტურად მივყევართ პარტიის გათიშვისაკენ და რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს იმ პოზიციას, რომელიც უკვე მოპოვებულია პარტიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ.

2) ბოლშევიკების უახლოესი კონფერენციის მოწვევის დრო შეუფარდდეს მორიგ პარტიულ კონფერენციას, ხოლო ფრაქციის უმაღლეს კრებად მთლიანად იქნება თანამოაზრეთა კრება უახლოეს პარტიულ ყრილობაზე.

3) რიგში მდგარი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გამო, რომლებიც აღელვებენ პარტიასა და ფრაქციას, ცენტრალური კომიტეტის წევრ-ბოლშევიკებს დაევალათ დაჟინებით მოითხოვონ საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის რაც შეიძლება დაჩქარება (2 — 3 თვის ვადა) და, შემდეგ, პარტიული ყრილობის მოწვევის დაჩქარება.

4

პარტიული სკოლის შესახებ, რომელიც ეწყობა საზღვარგარეთ N. N.-ში

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქცია, რომელმაც განიხილა N. N.-ში სკოლის მოწყობის საკითხი, აღიარებს, რომ ამ სკოლის ორგანიზაცია ინიციატორთა ჯგუფის მიერ (მათ შორის—«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის ერთ-ერთი წევრის, ამხ. მაქსიმოვის მიერ) იმთავითვე მიმდინარეობდა «პროლეტარის» რედაქციის გვერდის აქცევით და თან სდევდა აგიტაცია რედაქციის წინააღმდეგ. ინიციატორთა ჯგუფის მიერ დღევანდლამდე გადადგმული ნაბიჯები უკვე სრული სიცხადით ააშკარავებენ, რომ ამ სკოლის სახით იქმნება ახალი ცენტრი ფრაქციისა, რომელიც ბოლშევიკებს ეთიშება. ამ სკოლის ინიციატორებმა, საერთო ცენტრების გვერდის აქცევით, ურთიერთობა გააბეს ბევრ რუსულ კომიტეტთან, მოაწყეს დამოუკიდებელი სალარო და ფულის შეგროვება, აწყობენ თავის აგენტურას და ამას არც კი ატყობინებენ არც «პროლეტარის» რედაქციას, არც საერთო-პარტიულ ცენტრს.

სცნობს რა, რომ გამოცდილი პარტიული მუშაკების ახლანდელი ნაკლებობის დროს, მიზანშეწონილად დაყენებულ და ნამდვილად პარტიულ სკოლას, საზღვარგარეთ არსებულსაც კი, შეეძლო რამდენადმე დახმარებოდა ადგილობრივ ორგანიზაციებს მუშებიდან გამოსული გამოსადეგი პარტიული მუშაკების მომზადების საქმეში, და საჭიროდ თვლის რა თავის მხრივ გააკეთოს ყოველივე, რის საშუალებასაც კი იძლევა ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობა ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის ამ დახმარების გასაწევად, — გაფართოებული რედაქცია N. N.-ის სკოლის ინიციატორთა მთელი მოქმედების საფუძველზე აღნიშნავს, რომ ეს ინიციატორები ისახავენ არა საერთო-ფრაქციულ მიზნებს, ე. ი. არა ბოლშევიკური ფრაქციის, როგორც პარტიის იდეური მიმდინარეობის მიზნებს, არამედ თავის განსაკუთრებულ, ჯგუფურ იდეურ-პოლიტიკურ მიზნებს. «პროლეტარის» გაფართოებული რედაქცია აღნიშნავს, რომ იმ უთანხმოებასთან დაკავშირებით, რამაც

თავი იჩინა ჩვენს ფრაქციაში ოტზოვიზმის, ულტიმატიზმის, ღვთისმშენებლობის ქადაგებისადმი დამოკიდებულების და საერთოდ ბოლშევიკების შინაპარტიული ამოცანების საკითხებში, იმასთან დაკავშირებით, რომ N. N.-ის სკოლის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან მხოლოდ და მხოლოდ ოტზოვიზმის, ულტიმატიზმისა და ღვთისმშენებლობის წარმომადგენლები, — ამ ახალი ცენტრის იდეურ-პოლიტიკური ფიზიონომია სრული სიცხადით ირკვევა.

ყოველივე ამის გამო «პროლეტარის» გაფართოებული რედაქცია აცხადებს, რომ ბოლშევიკურ ფრაქციას არავითარი პასუხისმგებლობა არ შეუძლია იკისროს ამ სკოლისათვის.

5
ამხ. მაქსიმოვის გამოთიშვის შესახებ

აღიარებს რა, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხთან დაკავშირებით ცხადად გამოაშკარავდა პრინციპული და ტაქტიკური ერთიანობის უქონლობა, ერთი მხრივ, «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის ათ წევრსა და, მეორე მხრივ, ამხ. მაქსიმოვის შორის; შემდეგ, აღიარებს რა, რომ ამხ. მაქსიმოვის მხრივ ამ ბოლო დროს გადადგმული იყო ნაბიჯები, მიმართული აგრეთვე ბოლშევიკური ფრაქციის ორგანიზაციული ერთიანობის დარღვევისაკენ; ბოლოს, აღნიშნავს რა, რომ ამხ. მაქსიმოვმა უარყოფითი პასუხი გასცა «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის დადგენილებებისადმი დამორჩილებისა და მათი ცხოვრებაში გატარების საკითხზე, — «პროლეტარის» რედაქცია გაფართოებული შემადგენლობით ამიერიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან ამხ. მაქსიმოვის ყველა პოლიტიკური ნაბიჯისათვის.

გაზეთ «პროლეტარის» № 46-ის
დამატება,
1909 წ. 3 (16) ივლისი

იბეჭდება დამატების ტექსტის
მიხედვით

ლიკვიდატორობის ლიკვიდაცია

«პროლეტარის» ამ ნომრის ცალკე დამატებაში მკითხველები ნახავენ ცნობას ბოლშევიკების თათბირის შესახებ და მის მიერ მიღებული რეზოლუციების ტექსტს *. ამ სტატიაში ჩვენ განზრახული გვაქვს შევჩერდეთ იმის შეფასებაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ თათბირს და მასზე მომხდარ ბოლშევიკთა მცირე ნაწილის გამოთიშვას როგორც ჩვენი ფრაქციის, ისე საერთოდ მთელი რსდმ პარტიის თვალსაზრისით.

ორი უკანასკნელი წელი, დაწყებული დაახლოებით 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალებით ვიდრე დღევანდლამდე, წარმოადგენს მძაფრი გარდატეხის, მძიმე კრიზისის ეპოქას რუსეთის რევოლუციის ისტორიაში და რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რსდმ პარტიის განვითარებაში. რსდმპ სრულიად რუსეთის 1908 წლის დეკემბრის კონფერენციამ შეაჯამა შედეგები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის, რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობისა და მისი პერსპექტივების, მუშათა კლასის პარტიის ახლანდელი ამოცანების საკითხებზე. ამ კონფერენციის რეზოლუციები პარტიის მტკიცე კუთვნილებაა, და იმ მენშევიკ-ოპორტუნისტებმა, რომლებსაც უსათუოდ სურდათ გაეკრიტიკებინათ ისინი, მხოლოდ განსაკუთრებული სიცხადით გამოააშკარავეს უძლურება თავისი «კრიტიკისა», რომელსაც სრულიად არ ძალუძს მოგვცეს მათ საპირდაპიროდ რაიმე გააზრებული, მთლიანი, სისტემატური ამ რეზოლუციებში გადაწყვეტილი საკითხების გამო.

* იხ. ეს ტომი, გვ. 521—554. რ ე დ.

მაგრამ პარტიულ კონფერენციას მარტო ეს კი არ მოუცია ჩვენთვის. მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა პარტიის ცხოვრებაში იმით, რომ აღნიშნა ა ხ ა ლ ი ი დ ე უ რ ი დ ა ჯ-გ უ ფ ე ბ ა ნ ი ორივე ფრაქციაში: მენშევიკებშიც და ბოლშევიკებშიც. ამ ფრაქციების ბრძოლამ, შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, აღავსო პარტიის მთელი ისტორია როგორც უშუალოდ რევოლუციის წინ, ისე რევოლუციის დროს. ამიტომ ახალი იდეური დაჯგუფებანი წარმოადგენენ პარტიის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც უნდა მოისაზროს, გაიგოს, შეითვისოს ყველა სოციალ-დემოკრატმა, რათა მათ შესძლონ და შეგნებულად მოეკიდონ ახალი მდგომარეობის ახალ საკითხებს.

ეს ახალი იდეური დაჯგუფებანი შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ, როგორც პარტიის ორივე უკიდურეს ფლანგზე ლიკვიდატორობის გაჩენა და როგორც ბრძოლა მასთან. მენშევიკებში ლიკვიდატორობა სრული სიცხადით გამოაშკარავდა 1908 წლის დეკემბრისთვის, ხოლო ბრძოლას მასთან მაშინ თითქმის მარტოოდენ სხვა ფრაქციები აწარმოებდნენ (ბოლშევიკები, პოლონელები, ლატვიელი სოციალ-დემოკრატები, ბუნდელთა ნაწილი). მენშევიკი-პარტიელები, ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგე მენშევიკები, იმ დროს ის-ის იყო მხოლოდ ისახებოდნენ, როგორც მიმდინარეობა, და რამდენადმე მაინც დარაზმულად და აშკარად არ გამოდიოდნენ. ბოლშევიკებში გარკვევით მოიხაზა და აშკარად გამოვიდა ორივე ნაწილი: ორთოდოქსი ბოლშევიკების უდიდესი უმრავლესობაც, რომლებიც გადაჭრით ებრძოდნენ ოტზოვიზმს და რომლებმაც თავისი თვალსაზრისის მიხედვით გაატარეს კონფერენციის ყველა რეზოლუცია, და «ოტზოვისტების» უმცირესობაც, რომლებიც იცავდნენ თავის შეხედულებებს, როგორც ცალკე ჯგუფი, და რომლებისთვისაც არა ერთხელ დაუჭერიათ მხარი მათსა და ორთოდოქს ბოლშევიკებს შორის მერყეევ «ულტიმატისტებს». ოტზოვისტები (და ულტიმატისტებიც, რამდენადაც ისინი მათკენ ეშვებიან) უკუღმა პირის მენშევიკები, ახალი სახის ლიკვიდატორები რომ არიან, ეს არა ერთხელ თქმულა და

ნაჩვენები ყოფილა «პროლეტარში» (იხ. განსაკუთრებით №№ 39, 42, 44 *). ამრიგად: მენშევიკებში უდიდეს უმრავლესობას ლიკვიდატორები შეადგენენ და მათ წინააღმდეგ პარტიელების პროტესტისა და ბრძოლის დასაწყისი ოდნავ ჩასახულია; ბოლშევიკებში სრული ბატონობა ეკუთვნით ორთოდოქსულ ელემენტებს და ამასთან აშკარად გამოდის ოტზოვისტების უმცირესობა, — ასეთი იყო შინაპარტიული მდგომარეობა, რომელიც გამოირკვა რსდმპ სრულიად რუსეთის დეკემბრის კონფერენციაზე.

რა არის ეს ლიკვიდატორობა? რა არის მისი გაჩენის მიზეზი? რატომ არიან ოტზოვისტებიც (და ღვთისმშენებლები, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ ვიტყვით რამდენიმე სიტყვას) ლიკვიდატორები, უკუღმა პირის მენშევიკები? ერთი სიტყვით, როგორია ჩვენი პარტიის შიგნით გაჩენილი ახალი იდეური დაჯგუფების სოციალური აზრი და როგორია მისი სოციალური მნიშვნელობა?

ლიკვიდატორობა, ამ სიტყვის ვიწრო აზრით, მენშევიკების ლიკვიდატორობა, იდეურად მდგომარეობს საერთოდ სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის უარყოფაში და, კერძოდ, ჩვენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფაში. ეს უარყოფა, ცხადია, სხვადასხვა ფორმას იღებს, მეტად თუ ნაკლებად შეგნებულად, მკვეთრად, თანამიმდევრად ხდება. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ჩერევანინი და პოტრესოვი. პირველმა ისეთი შეფასება მოგვცა პროლეტარიატის როლისა რევოლუციაში, რომ «გოლოს სოციალდემოკრატას» მ თ ე ლ ი რედაქცია, ჯერ კიდევ მის შიგნით მომხდარ გათიშვამდე, (ე. ი. პლეხანოვიც და მარტოვ — დან — აქსელროდ — მარტინოვიც) იძულებული აღმოჩნდა გამიჯვნოდა ჩერევანინს, თუმცა ეს მან მეტისმეტად ურიგო ფორმით ქნა: სახელდობრ, იგი გაემიჯნა თანამიმდევარ ლიკვიდატორობას «Vorwärts»-ში. **, გერმანელების წინაშე, მ ა გ რ ა მ ა რ

* იხ. ეს ტომი, გვ. 345—367, 432—436 და 466—481. რ ე დ.

** —«წინ». რ ე დ.

მოუყვანია თავისი განცხადება «გოლოს-სოციალ-დემოკრატაში» რუსი მკითხველებისათვის! პოტრესოვმა თავის სტატიაში «საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში XX საუკუნის დამდეგს» ისე წარმატებით მოახდინა რუსეთის რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის ლიკვიდაცია, რომ პლეხანოვი გავიდა კოლექტიურ ლიკვიდატორული რედაქციიდან.

ორგანიზაციულად ლიკვიდატორობა არის არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის აუცილებლობის უარყოფა და ამასთან დაკავშირებული განდგომა რსდმ პარტიისაგან, გასვლა იქიდან, ბრძოლა მის წინააღმდეგ ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის ფურცლებზე და ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებში, პროფესიულ კავშირებში, კოოპერატივებში, ყრილობებზე, სადაც მონაწილეობენ მუშათა დეპუტატები და ა. შ.. მენშევიკების ასეთი ლიკვიდატორობის მაგალითებით აღსავსეა რუსეთის ყოველი პარტიული ორგანიზაციის ისტორია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. როგორც ლიკვიდატორობის განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითი, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ («პროლეტარი» № 42, გადაბეჭდილია ბროშურაში: «რსდმპ 1908 წ. დეკემბრის სრულიად რუსეთის კონფერენცია») შემთხვევა, როდესაც მენშევიკ-ცეკისტები ცდილობდნენ პირდაპირ ჩაეშალათ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, შეეწყვიტად ამ დაწესებულების მოქმედება. როგორც ნიშანი რუსეთის არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციების თითქმის სრული დაშლისა, შეგვიძლია აღვნიშნოთ ის, რომ უკანასკნელი პარტიული კონფერენციის «კავკასიის დელეგაცია» შესდგებოდა მთლად საზღვარგარეთელებისაგან, ხოლო «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქცია დამტკიცებულ იქნა (1908 წ. დამდეგს) პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, როგორც ცალკე ლიტერატურული ჯგუფი რუსეთში მოქმედ ამა თუ იმ ორგანიზაციასთან სრულიად დაუკავშირებლად.

მენშევიკები არ აჯამებენ ლიკვიდატორობის ყველა ამ გამოვლინების შედეგებს. ისინი ნაწილობრივ მალავენ მათ, ნაწილობრივ თვითონ იბნევიან, ვერ გაუგიათ ცალკეული ფაქ-

ტების მნიშვნელობა, იკარგებიან წვრილმანებში, კაზუსებში, პიროვნებებში, არ შესწევთ განზოგადების უნარი, არ ესმით იმის აზრი, რაც ხდება.

ეს აზრი კი ის არის, რომ მუშათა პარტიის ოპორტუნისტული ფრთა ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში, კრიზისების, დაშლისა და რღვევის დროს, გარდუვალად უნდა აღმოჩენილიყო ან მთლიანად ლიკვიდატორული, ან ლიკვიდატორთა ტყვეობაში. ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა ის, რომ პროლეტარულ პარტიას უერთდებიან წვრილ-ბურჟუაზიული თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი (გერმანულად ამას **Mitläufer** ეწოდება), რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შესწევთ უნარი შეითვისონ პროლეტარული თეორია და ტაქტიკა, ყველაზე ნაკლებად შესწევთ უნარი თავი შეიმაგრონ დაშლის ეპოქაში, ყველაზე მეტად არიან განწყობილნი ბოლომდე მიიყვანონ ოპორტუნიზმი. დაიწყო დაშლა — და ინტელიგენტ-მენშევიკების, ლიტერატორ-მენშევიკების მასამ ფაქტიურად ლიბერალებს მიაშურა. ინტელიგენცია ჩამოშორდა პარტიას—მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ყველაზე მეტად დაიშალა მენშევიკური ორგანიზაციები, ის მენშევიკები, რომლებიც გულწრფელად თანაუგრძნობდნენ პროლეტარიატსა და პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლას, პროლეტარულ რევოლუციურ თეორიას (ასეთი მენშევიკები კი ყოველთვის იყვნენ, რომლებიც თავის ოპორტუნიზმს რევოლუციაში ამართლებდნენ სურვილით — გაეთვალისწინებინათ სიტუაციის ყოველი შეცვლა, დახლართული ისტორიული გზის ყველა ხვეული), აღმოჩნდნენ «ერთხელ კიდევ უმცირესობაში», უმცირესობაში მენშევიკთა შორის, მოკლებულნი ნებისყოფას, რომ აწარმოონ ბრძოლა ლიკვიდატორებთან, მოკლებულნი ძალღონეს, რომ წარმატებით აწარმოონ ეს ბრძოლა. მაგრამ თანამგზავრი-ოპორტუნისტები სულ უფრო და უფრო იხრებიან ლიბერალიზმისაკენ, პლეხანოვი ეეღარ იტანს პოტრესოვს, «გოლოს სოციალ-დემოკრატა» — ჩერევანინს, მოსკოველი მუშა-მენშევიკები — ინტელიგენტ-მენშევიკებს დ ა ა ს ე შ ე მ დ ე გ. მენშევიკი-პარტიელები, მენშევიკი-ორთოდოქსი მარქსისტები იწყებენ ჩამოშორებას და

გარემოებათა ძალით ისინი, რაკი პ ა რ ტ ი ა ს ეტანებიან, ამით მიდიან ბოლშევიკებისაკენ. და ჩვენი ამოცანაა გავიგოთ ეს მდგომარეობა, ყოველნაირად და ყველგან ვეცადოთ გამოვყოთ ლიკვიდატორები მენშევიკ-პარტიელებისაგან, დავუახლოვდეთ ამ უკანასკნელთ არა პრინციპულ უთანხმოებათა წაშლის აზრით, არამედ იმ აზრით, რომ დავრაზმოთ ნამდვილად ერთიანი მუშათა პარტია, რომელშიც უთანხმოებანი ხელს არ უნდა უშლიდნენ საერთო მუშაობას, საერთო შეტევას, საერთო ბრძოლას.

მაგრამ შეადგენენ თუ არა პროლეტარიატის წვრილბურჟუაზიული თანამგზავრები მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკური ფრაქციის კუთვნილებას? არა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» 39-ე ნომერში *, რომ ისინი ჰყავთ ბოლშევიკებსაც, როგორც ამას მოწმობს თანამიმდევარი ოტზოვისტების არგუმენტაციის მთელი ხერხი, მათ მიერ «ახალი» ტაქტიკის დასაბუთების ცდების მთელი ხასიათი. მასობრივი მუშათა პარტიის ვერც ერთმა რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ შესძლო, თვით საქმის არსის გამო, თავიდან აეცილებინა ის, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში არ მოექცია თავის შემადგენლობაში სხვადასხვა ელფერის «თანამგზავრთა» ესა თუ ის რაოდენობა. ეს მოვლენა გარდუვალია ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი ბურჟუაზიული რევოლუციის სრული დამთავრების შემდეგ, რადგან პროლეტარიატს ყოველთვის ურთიერთობა აქვს წვრილი ბურჟუაზიის სულ სხვადასხვაგვარ ფენებთან, პროლეტარიატი ყოველთვის ივსება კვლავ და კვლავ ამ ფენებიდან. ამ მოვლენაში არაფერია არანორმალური და არაფერია საშინელი, თ უ კ ი პროლეტარულ პარტიას უნარი შესწევს გადახარშოს უცხო ელემენტები, კი არ დაემორჩილოს მათ, არამედ დაიმორჩილოს ისინი, თუკი უნარი შესწევს დროზე შეიგნოს, რომ ესა თუ ის ელემენტები მართლაც უცხო ელემენტები არიან და რომ აუცილებელია მათგან გარკვეულ პირობებში ნათლად და აშ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 345—367. რ ე დ.

კარად გაიმიჯნოს. განსხვავება რსდმპ ორივე ფრაქციას შორის ამ მხრივ სწორედ ის არის, რომ მენშევიკები ლიკვიდატორების (ე. ი. «თანამგზავრების») ტყვეობაში აღმოჩნდნენ — ამას მოწმობენ თვით მენშევიკების რიგებიდან მათი მოსკოველი მომხრეებიც რუსეთში და პლეხანოვიც თავისი გამოყოფით პოტრესოვისაგან და «გოლოს სოციალ-დემოკრატასაგან» საზღვარგარეთ, ხოლო ბოლშევიკებთან ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის ლიკვიდატორული ელემენტები იმთავითვე პატარა უმცირესობაში აღმოჩნდნენ, იმთავითვე უვნებელყოფილნი, შემდეგ კი უკანდაწეულნი აღმოჩნდნენ.

ოტზოვიზმი რომ უკუღმა პირის მენშევიზმია, ისიც რომ გარდუვალად ლიკვიდატორობისაკენ მიდის, ოღონდ ცოტათი სხვაგვარი ლიკვიდატორობისაკენ, ეს საეჭვო არ შეიძლება იყოს. ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არა პირებზე არა ცალკეულ ჯგუფებზე, არამედ ამ მიმართულების ობიექტურ ტენდენციაზე, რაკი იგი აღარ არის მხოლოდ განწყობილება და ცდილობს ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდეს. ბოლშევიკები სრული გარკვეულობით აცხადებდნენ რევოლუციამდე, რომ, ჯერ-ერთი, მათ როდი სურთ შექმნან განსაკუთრებული მიმართულება სოციალიზმში, არამედ უნდათ შეუფარდონ ჩვენი რევოლუციის ახალ პირობებს მთელი საერთაშორისო რევოლუციური, ორთოდოქსულ-მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის ძირითადი პრინციპები; მეორე, რომ ისინი შესძლებენ შეასრულონ თავისი მოვალეობა უაღრესად მძიმე, ნელ, უფერულ ყოველდღიურ სამუშაოზედაც, თუ ბრძოლის შემდეგ, მთელ არსებულ რევოლუციურ შესაძლებლობათა ამოწურვის შემდეგ ისტორია ჩვენ გვაიძულებს «თვითმპყრობელური კონსტიტუციის» გზებით ვიჩანჩალოთ. ამ განცხადებებს იპოვნის ყოველი ცოტათი მაინც დაკვირვებული მკითხველი სოციალ-დემოკრატების 1905 წლის ლიტერატურაში. ამ განცხადებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, როგორც მთელი ფრაქციის ვალდებულებას, როგორც გზის შეგნებულ არჩევას. ეს ვალდებულება რომ შეგვესრულებინა პროლეტარიატის წინაშე, საჭირო იყო განუხრელად გადაგვეხარშა, აღგვეზარდა ისინი, ვისაც

სოციალ-დემოკრატიისაკენ იზიდავდა თავისუფლების დღეები (— ჩამოყალიბდა «თავისუფლების დღეთა სოციალ-დემოკრატების» ტიპიც კი —), ვისაც ხიბლავდა, უმთავრესად, ლოზუნგების სითამამე, რევოლუციურობა, «მკაფიობა», ვისაც აკლდა გამძლეობა, რომ ებრძოლნა არა მარტო რევოლუციური დღესასწაულების დღეებში, არამედ კონტრრევოლუციური ყოველდღიურობის პირობებშიც. ამ ელემენტების ერთი ნაწილი თანდათან ჩაება პროლეტარულ მუშაობაში და შეითვისა მარქსისტული მსოფლმხედველობა. მეორე ნაწილმა კი არ შეითვისა, არამედ მხოლოდ გაიზეპირა რამდენიმე ლოზუნგი; იგი იმეორებდა ძველ სიტყვებს, მაგრამ მოკლებული იყო უნარს შეეფარდებინა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ძველი პრინციპები შეცვლილ პირობებთან. როგორც ერთი, ისე მეორე ნაწილის ბედს თვალსაჩინოდ ცხადყოფს იმათი ევოლუცია, ვისაც სურდა ბოიკოტი გამოეცხადებინა III სათათბიროსათვის. 1907 წლის ივნისში ასეთები ბოლშევიკური ფრაქციის უმრავლესობას შეადგენდნენ. შაგრამ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» განუხრელად ატარებდა ანტიბოიკოტისტურ ხაზს. ცხოვრება ამოწმებდა ამ ხაზს, და ერთი წლის შემდეგ «ოტზოვისტები» უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა შ ი აღმოჩნდნენ ბოლშევიკებს შორის (14 ხმა 18-ის წინააღმდეგ 1908 წლის ზაფხულს) მოსკოვის ორგანიზაციაში — წინანდელი ბოიკოტიზმის ციხესიმაგრეში. კიდევ ერთი წლის შემდეგ, ოტზოვიზმის მცდარობის ყოველმხრივი და მრავალგზის განმარტების შემდეგ, ბოლშევიკურმა ფრაქციამ — ამაშია ბოლშევიკების ამასწინანდელი თათბირის მნიშვნელობა — მოახდინა ოტზოვიზმისა და მისკენ დაქანებული ულტიმატიზმის საბოლოო ლიკვიდაცია, მოახდინა ლიკვიდატორობის ამ თავისებური ფორმის საბოლოო ლიკვიდაცია.

დაე, ნუ გვისაყვედურებენ ჩვენ ამიტომ «ახალ გათიშვას». ჩვენ დაწვრილებით განვმარტავთ ცნობაში ჩვენი თათბირის შესახებ ჩვენს ამოცანებს და ჩვენს დამოკიდებულებას საქმისადმი. ჩვენ ამოვწურეთ ყველა შესაძლებლობა და ყველა საშუალება იმ ამხანაგების დარწმუნებისა, რომლებიც ჩვენ არ გვე-

თანხმებოდნენ, ჩვენ 1½ წელზე მეტ ხანს ვმუშაობდით ამაზე. მაგრამ, როგორც ფრაქციას, ე. ი. თანამოაზრეთა კავშირს პარტიაში, ჩვენ არ შეგვიძლია ვიმუშაოთ, თუ არ არის ერთიანობა ძირითად საკითხებში. ფრაქციისაგან ჩამოშორება პარტიისაგან ჩამოშორება არ არის. ჩვენს ფრაქციას ჩამოშორებულნი სრულიადაც არ კარგავენ შესაძლებლობას იმუშაონ პარტიაში. ან ისინი დარჩებიან «გარეულებად», ე. ი. ფრაქციების გარეთ, და პარტიული მუშაობის საერთო ვითარებამ უნდა ჩაითრიოს ისინი. ან ისინი შეეცდებიან შექმნან ახალი ფრაქცია — ეს მათი კანონიერი უფლებაა, თუ მათ სურთ დაიცვან და განავითარონ თავისი განსაკუთრებული ელფერი შეხედულებისა და ტაქტიკისა, — და მაშინ მ თ ე ლ ი პ ა რ ტ ი ა ძალიან მალე დაინახავს თვალნათლივ იმ ტ ე ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი ს გამოვლენას სინამდვილეში, რომელთა იდეური მნიშვნელობის შეფასებას ჩვენ ზემოთ ვცდილობდით.

ბოლშევიკები უნდა გაუძღვნენ პარტიას. რომ გაუძღვე, უნდა იცოდე გზა, უნდა შეწყვიტო მერყეობა, შეწყვიტო დროის ხარჯვა მერყეთა დარწმუნებაზე, ფრაქციის შიგნით ბრძოლაზე იმათთან, ვინც არ გეთანხმება. ოტზოვიზმი და მისკენ დაქანებული ულტიმატიზმი შეუთავსებელია იმ მუშაობასთან, რომელსაც ამჟამად მოითხოვს ახლანდელი გარემოება რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისაგან. ჩვენ რევოლუციის დროს ვისწავლეთ «ფრანგულად ლაპარაკი», ე. ი. მოძრაობაში წინწამბიძგებელი ლოზუნგების მაქსიმუმის შეტანა, უშუალო მასობრივი ბრძოლის ენერგიისა და გაქანების გაშლა. ჩვენ ახლა, უძრაობის, რეაქციის, რღვევის დროს, უნდა ვისწავლოთ «გერმანულად ლაპარაკი», ე. ი. ვიმოქმედოთ ნელნელა (სხვანაირად არ შეიძლება, ვიდრე ახალი აღმავლობა არ იქნება), სისტემატურად, შეუპოვრად, ვიაროთ ნაბიჯ-ნაბიჯ, დავიპყრათ გოჯი-გოჯზე. ვისთვისაც ეს მუშაობა მოსაწყენია, ვისაც არ ესმის, რომ აუცილებელია შევინარჩუნოთ და განვავითაროთ სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის რევოლუციური საფუძვლები ა მ გ ზ ა ზ ე დ ა ც, გ ზ ი ს ა მ მ ო ს ა ხ ვ ე ვ ზ ე დ ა ც, ის ამაოდ იჩემებს მარქსისტის სახელს.

ჩვენს პარტიას არ შეუძლია იაროს წინ, თუ იგი გადაჭრით არ მოახდენს ლიკვიდატორობის ლიკვიდაციას. ხოლო ლიკვიდატორობას ეკუთვნის არა მარტო მენშევიკების პირდაპირი ლიკვიდატორობა და მათი ოპორტუნისტული ტაქტიკა. ამას ეკუთვნის პირუკულმა მენშევიზმიც. ამას ეკუთვნის ოტზოვიზმი და ულტიმატიზმი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პარტიის მიერ იმ მორიგი ამოცანის შესრულებას, რომელიც მომენტის თავისებურებას შეადგენს, იმ ამოცანის შესრულებას, რომ გამოიყენოს სათათბიროს ტრიბუნა და შექმნას დასაყრდენი პუნქტები მუშათა კლასის ყველა და ყოველგვარი ნახევრადლეგალური და ლეგალური ორგანიზაციებისაგან. ამას ეკუთვნის ღვთისმშენებლობა და დაცვა ღვთისმშენებლობის ტენდენციებისა, რომლებიც სრულიად სწყვეტენ კავშირს მარქსიზმის საფუძვლებთან. ამას ეკუთვნის ბოლშევიკების პარტიული ამოცანების გაუგებლობა, — ამოცანებისა, რომლებიც 1906 — 1907 წლებში მდგომარეობდა იმაში, რომ დ ა გ ვ ე მ ხ ო მენშევიკური ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტი, რომელიც პარტიის უმრავლესობას ა რ ე ყ რ დ ნ ო ბ ო დ ა (არა მარტო პოლონელები და ლატვიელები, არამედ ბუნდელებიც კი არ უჭერდნენ მაშინ მხარს წმინდა მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს), — გაუგებლობა ამოცანებისა, რომლებიც ახლა მდგომარეობს პარტიული ელემენტების მოთმინებით აღზრდაში, მათ დარაზმვაში, ნამდვილად ერთიანი და მტკიცე პროლეტარული პარტიის შექმნაში. ბოლშევიკები პარტიულობისათვის ნიადაგს სწმენდდნენ თავისი შეურიგებელი ბრძოლით ანტიპარტიული ელემენტების წინააღმდეგ 1903 — 1905 და 1906 — 1907 წლებში. ბოლშევიკებმა ახლა უნდა ა ა გ ო ნ პ ა რ ტ ი ა, ფრაქციისაგან ააგონ პარტია, ააგონ პარტია იმ პოზიციების საშუალებით, რომლებიც მოპოვებულია ფრაქციული ბრძოლით.

ასეთია ჩვენი ფრაქციის ამოცანები ახლანდელ პოლიტიკურ მომენტთან დაკავშირებით და მთელი რსდმპ საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს ამოცანები ერთხელ კიდევ ძალიან დაწვრილებითაა განმეორებული და განვითარებული

ახლახან ჩატარებული ბოლშევიკური თათბირის რეზოლუციებში. რიგები გარდაქმნილია ახალი ბრძოლისათვის. შეცვლილი პირობები გათვალისწინებულია. გზა არჩეულია. წინ ამ გზით— და რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია სწრაფად ჩამოყალიბდება ისეთ ძალად, რომელსაც ვერავითარი რეაქცია ვერ შეარყევს და რომელიც სათავეში ჩაუდგება ხალხის ყველა მებრძოლ კლასს ჩვენი რევოლუციის შემდგომ კამპანიაში *.

«პროლეტარი» № 46,
1909 წ. 11 (24) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» № 15 და «ოტკლიკი ბუნდას» [135] № 2. ამ გამოცემებში კვლავ თავმოყრილია მთელი გროვა ლიკვიდატორობის რჩეული ნიმუშებისა, რომლებიც საჭიროებენ გარჩევასა და შეფასებას ცალკე სტატიაში «პროლეტარის» უახლოესი ნომრის ფურცლებზე.

მეფის გამგზავრება ევროპაში და შავრაზმული სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატისა — ინგლისში

ნახევარი საუკუნის წინათ რუსეთს მტკიცედ დაუმკვიდრდა საერთაშორისო ჟანდარმის სახელი. ჩვენმა თვითმპყრობელობამ გასული საუკუნის მანძილზე ცოტა რამ როდი გააკეთა ყოველგვარი რეაქციის მხარის დასაჭერად ევროპაში და რევოლუციური მოძრაობის პირდაპირი სამხედრო დათრგუნვისთვისაც კი მეზობელ ქვეყნებში. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ნიკოლოზ I-ის ლაშქრობა უნგრეთში და არა ერთხელ შემუსვრა პოლონეთისა, რათა გავიგოთ, თუ რატომ იყო რომ საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატის ბელადები, 40-იანი წლებიდან დაწყებული, არა ერთგზის მიუთითებდნენ ევროპელ მუშებსა და ევროპულ დემოკრატიას ცარიზმზე, როგორც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში რეაქციის მთავარ დასაყრდენზე.

რევოლუციურმა მოძრაობამ რუსეთში, დაწყებული XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან, ცოტ-ცოტა შესცვალა საქმის ასეთი მდგომარეობა. რაც უფრო ძლიერ ირყეოდა ცარიზმი მის საკუთარ ქვეყანაში მზარდი რევოლუციის შეტევის ზეგავლენით, მით უფრო სუსტი ხდებოდა იგი, როგორც თავისუფლების მტერი ევროპაში. მაგრამ ევროპაში იმ დროისათვის სავსებით ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ მთავრობათა საერთაშორისო რეაქცია და ეს ბურჟუაზიული მთავრობანი ხედავდნენ პროლეტარიატის აჯანყებებს, მათ შეგნე-

ბული ჰქონდათ შრომისა და კაპიტალის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარდუვალობა და მზად იყვნენ მისალმებოდნენ ტახტზე მოკალათებულ ყოველგვარ ავანტიურისტებსა და ავაზაკებს პროლეტარიატის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით. და როდესაც XX საუკუნის დამდეგს იაპონიასთან ომმა და 1905 წლის რევოლუციამ უძლიერესი ლახვარი ჩასცეს ცარიზმს, საერთაშორისო ბურჟუაზიამ მიაშურა მის საშველად, ზურგი გაუმაგრა მას მილიარდიანი სესხით, ყოველი ღონისძიება იხმარა რევოლუციური ხანძრის ლოკალიზაციისათვის, რუსეთში «წესრიგის» აღდგენისათვის. ხელი ხელსა ჰბანსო. ცარიზმი არა ერთხელ დახმარებია ევროპის კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ მთავრობებს დემოკრატიასთან ბრძოლის დროს. ახლა ევროპის ბურჟუაზია, რომელიც კონტრრევოლუციური გახდა პროლეტარიატის მიმართ, დაეხმარა ცარიზმს მის ბრძოლაში რევოლუციის წინააღმდეგ.

მოკავშირენი გამარჯვებას ზეიმობენ. ნიკოლოზ პირსისხლიანი ევროპაში მიდის, რათა მიესალმოს მონარქებსა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. მონარქები და პრეზიდენტი მძვინვარებენ და ემზადებიან, რომ ზეიმი მოუწყონ რუსეთის შავრაზმული კონტრრევოლუციის ბელადს. მაგრამ შავრაზმული და ბურჟუაზიული რეაქციის ამ კეთილშობილ რაინდებს გამარჯვება წილად ხვდათ მათი მტრის მოსპობის მეოხებით კი არა, არამედ მისი ძალების დაქუცმაცების მეოხებით, სხვადასხვა ქვეყანაში პროლეტარიატის არაერთდროისად მომწიფების მეოხებით. მუშათა კლასის გაერთიანებულ მტრებს გამარჯვება წილად ხვდათ გადამწყვეტი ბრძოლის ვადის გადადების წყალობით, იმ სათავის გაფართოებისა და გაღრმავების ფასად, რომელიც, — იქნებ, უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ ეს გვსურს, მაგრამ განუხრელად, — ამრავლებს პროლეტართა რიცხვს, ადიდებს მათს დარაზმულობას, აკაჟებს მათ ბრძოლაში, აჩვევს ოპერაციებს გაერთიანებული მტრის წინააღმდეგ. ეს სათავეა კაპიტალიზმი, რომელმაც გამოაღვიძა რომანოვების თავადაზნაურთა

ოდესღაც პატრიარქალური «სამფლობელო» და რომელიც ახლა ერთიმეორეზე აღვიძებს აზიის სახელმწიფოებს.

მოკავშირენი გამარჯვებას ზეიმობენ. ხოლო ნიკოლოზ პირსისხლიანისა და ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობათა ბელადების ყოველ ზეიმს გამოძახილსავით თან სდევს რევოლუციური მუშათა მასების ხმა. ჩვენ გავსრისეთ რევოლუციაო, — გაიძახიან ნიკოლოზი და ვილჰელმი, ედუარდი და ფალიერი და ხელს უწვდიან ერთმანეთს ჯარისკაცთა მჭიდრო წყებით ან სამხედრო გემების გრძელი რიგით დაცულნი. ჩვენ ყველას ერთად დაგამხობთო — გამოძახილსავით უპასუხებს რევოლუცია ყველა ქვეყნის შეგნებული პროლეტარიატის ბელადთა პირით.

ნიკოლოზ პირსისხლიანი რუსეთიდან მიემგზავრება. მას თან მისდევს სიტყვები შავრაზმული სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატისა, რომელიც აცხადებს რუსეთის ყველა შეგნებული მუშის რესპუბლიკურ რწმენას და მოგვაგონებს მონარქიის გარდუვალ კრახს. ნიკოლოზი მიდის შვეციაში. მას ზეიმს უმართავენ სასახლეში. მას მიესალმებიან ჯარისკაცები და ჯაშუშები. მას წინ ხვდება სიტყვა შვეციის მუშათა მასების ბელადის, სოციალ-დემოკრატ ბრანტინგისა, რომელიც პროტესტს აცხადებს ჯალათის დარბაზობით მისი ქვეყნის შერცხვენის წინააღმდეგ. ნიკოლოზი მიდის ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში. მის პატივსაცემად ემზადებიან მეფეები და კარისკაცები, მინისტრები და პოლიციელები. მის შესახვედრად ემზადებიან მუშათა მასები: საპროტესტო მიტინგით ინგლისში, ხალხის აღშფოთების დემონსტრაციით საფრანგეთში, საყოველთაო გაფიცვით იტალიაში მისი იქ ჩასვლის გამო ამ ქვეყნის დამწუხრების დღეს. სამივე ამ ქვეყნის სოციალისტმა დეპუტატებმა — ტორნმა ინგლისში, ჟორესმა საფრანგეთში, მორგარიმ იტალიაში — უკვე შეასრულეს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწოდება და მთელი მსოფლიოს წინაშე განაცხადეს, თუ რა სიძულვილით, რა ზიზღით ეპყრობა მუშათა კლასი ნიკოლოზ-დამრბევს, ნიკოლოზ-ჯალათს, ნიკოლოზს, რომელიც ახლა ახშობს

სპარსელ ხალხს და რუსი ჯაშუშებითა და პროვოკატორებით ავსებს ახლა საფრანგეთს.

ყველა ამ ქვეყნის ბურჟუაზიული, «დარბაისლური» პრესა ცოფმორეული მძვინვარებს და ჭაპანწყვეტაშია, თუ კიდევ რა სალანძღავი სიტყვები გამოძებნოს სოციალისტთა გამოსვლების წინააღმდეგ, კიდევ როგორ დაუჭიროს მხარი თავის მინისტრებსა და პრეზიდენტებს, რომლებიც სიტყვებს აწყვეტინებდნენ სოციალისტებს. მაგრამ ეს გაცოფება საქმეს ვერ შველის, რადგან არ შეიძლება ხმა გააკმენდინო პროლეტარიატის პარლამენტურ წარმომადგენლებს, არ შეიძლება ხელი შეუშალო მიტინგებს ნამდვილად კონსტიტუციურ ქვეყნებში, არ შეიძლება დაუმალო თავისთავსაც და სხვებსაც, რომ რუსეთის მეფე ვერ ბედავს ვერც ლონდონში გამოჩნდეს, ვერც პარიზსა და ვერც რომში.

საერთაშორისო რეაქციის ბელადთა საზეიმო დღესასწაული, დღესასწაული რუსეთისა და სპარსეთის რევოლუციის ჩახშობის გამო ჩაშალა ევროპის ყველა ქვეყნის სოციალისტური პროლეტარიატის ერთსულოვანმა და ვაჟკაცურმა პროტესტმა.

და სოციალისტების ამ პროტესტის ფონზე, რომელიც გაისმა პეტერბურგიდან პარიზამდე და სტოკჰოლმიდან რომამდე, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროტესტის ფონზე, რევოლუციისა და მისი ლოზუნგების დასაცავი პროტესტის ფონზე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აშკარავდება ჩვენი რუსი ლიბერალების საზიზღარი ლაქირება ცარიზმის წინაშე. შავრაზმული სათათბიროს რამდენიმე დეპუტატი, დაწყებული ზომიერი მემარჯვენეებითა და გათავებული კადეტებით, სათათბიროს თავმჯდომარის მეთაურობით სტუმრად არის ინგლისში. ისინი ამაყობენ იმით, რომ წარმოადგენენ სათათბიროს უმრავლესობას, მის ჭეშმარიტ ცენტრს — უკიდურეს მემარჯვენეთა და უკიდურეს მემარცხენეთა გამოკლებით. მათ თავი მოაქვთ «კონსტიტუციური» რუსეთის წარმომადგენლებად, ისინი ხოტბას ასხამენ «განახლებულ» წყობილებას და სათაყვანებელ მონარქს, რომელმაც «ხალხს

უბოძა» სათათბირო. ისინი კრილოვის ბაყაყივით იბღინძებიან და იბერებიან და თავს ასაღებენ იმ შავრაზმული რეაქციის მძლეველებად, რომელსაც სურს გააუქმოს «კონსტიტუცია» რუსეთშიო. «კონსტიტუციურ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი» (ნუ ხუმრობთ!) პარტიის ბელადმა ბ-მა მილიუკოვმა ლორდ-მერთან გამართულ საუზმეზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: «სანამ რუსეთში არსებობს საკანონმდებლო პალატა, რომელიც კონტროლს უწევს ბიუჯეტს, რუსეთის ოპოზიცია დარჩება ოპოზიციად მისი უდიდებულესობისა და არა მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ» (სანკტ.-პეტერბურგის საააგენტოს დეპეშა, 19 ივნისი ძველი სტილით). ოქტიაბრისტული პარტიის ორგანო «გოლოს მოსკვი» 21 ივნისის მოწინავე სტატიაში, რომელსაც აქვს ხლესტაკოვური სათაური «ევროპა და განახლებული რუსეთი», მხურვალედ მიესალმა კადეტთა ლიდერის გამოსვლას და განაცხადა, რომ მისი «ზომიერი კონსტიტუციური» სიტყვა, «იქნებ, მოასწავებს მობრუნების პუნქტს კადეტურ პოლიტიკაში, უარისთქმას უხეირო ტაქტიკაზე — ოპოზიციის კეთებაზე ოპოზიციის გულისათვის».

პოლიციური «როსსია» (23 ივნისისა) მოწინავეს უძღვნის მილიუკოვის სიტყვას, იმეორებს «სახელგანთქმულ» ფრაზას მისი უდიდებულესობის ოპოზიციის შესახებ და აცხადებს: «ბ-მა მილიუკოვმა ინგლისში იკისრა გარკვეული ვალდებულება რუსეთის ოპოზიციის სახელით და თუ ის ამ ვალდებულებას შეასრულებს, ისეთ სამსახურს გაუწევს სამშობლოს, რომლისთვისაც მას ეპატიება არც თუ ცოტა წინანდელი შეცოდებანი». დამსახურებული გაქვთ მოწონება, ბატონო კადეტებო: «ვეხი» საერთოდ და სტრუვე, კერძოდ, მოიწონა ვილინელმა ანტონიმ, შავრაზმელი ურჯუკების «მეუფემ»; პარტიის ბელადი მილიუკოვი მოიწონა პოლიციურმა მოსყიდულმა გაზეთუნამ. დამსახურებული გაქვთ!

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მოვიგონოთ, რომ კადეტების ოქტიაბრისტულ ბუნებას ჩვენ ვამხელდით ჯერ კიდევ 1906 წლიდან, როდესაც სასათათბირო მყვირალა «გამარჯვებანი»

სპარსელ ხალხს და რუსი ჯაშუშებითა და პროვოკატორებით ავსებს ახლა საფრანგეთს.

ყველა ამ ქვეყნის ბურჟუაზიული, «დარბაისლური» პრესა ცოფმორეული მძვინვარებს და ჭაპანწყვეტაშია, თუ კიდევ რა სალანძღავი სიტყვები გამოძებნოს სოციალისტთა გამოსვლების წინააღმდეგ, კიდევ როგორ დაუჭიროს მხარი თავის მინისტრებსა და პრეზიდენტებს, რომლებიც სიტყვებს აწყვეტინებდნენ სოციალისტებს. მაგრამ ეს გაცოფება საქმეს ვერ შველის, რადგან არ შეიძლება ხმა გააკმენდინო პროლეტარიატის პარლამენტურ წარმომადგენლებს, არ შეიძლება ხელი შეუშალო მიტინგებს ნამდვილად კონსტიტუციურ ქვეყნებში, არ შეიძლება დაუმალო თავისთავსაც და სხვებსაც, რომ რუსეთის მეფე ვერ ბედავს ვერც ლონდონში გამოჩნდეს, ვერც პარიზსა და ვერც რომში.

საერთაშორისო რეაქციის ბელადთა საზეიმო დღესასწაული, დღესასწაული რუსეთისა და სპარსეთის რევოლუციის ჩახშობის გამო ჩაშალა ევროპის ყველა ქვეყნის სოციალისტური პროლეტარიატის ერთსულოვანმა და ვაქკაცურმა პროტესტმა.

და სოციალისტების ამ პროტესტის ფონზე, რომელიც გაისმა პეტერბურგიდან პარიზამდე და სტოკჰოლმიდან რომამდე, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროტესტის ფონზე, რევოლუციისა და მისი ლოზუნგების დასაცავი პროტესტის ფონზე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აშკარავდება ჩვენი რუსი ლიბერალების საზიზღარი ლაქიობა ცარიზმის წინაშე. შავრაზმული სათათბიროს რამდენიმე დეპუტატი, დაწყებული ზომიერი მემარჯვენეებითა და გათავებული კადეტებით, სათათბიროს თავმჯდომარის მეთაურობით სტუმრად არის ინგლისში. ისინი ამაყობენ იმით, რომ წარმოადგენენ სათათბიროს უმრავლესობას, მის ჭეშმარიტ ცენტრს — უკიდურეს მემარჯვენეთა და უკიდურეს მემარცხენეთა გამოკლებით. მათ თავი მოაქვთ «კონსტიტუციური» რუსეთის წარმომადგენლებად, ისინი ხოტბას ასხამენ «განახლებულ» წყობილებას და სათაყვანებელ მონარქს, რომელმაც «ხალხს

უბოძა» სათათბირო. ისინი კრილოვის ბაყაყივით იბღინძებიან და იბერებიან და თავს ასაღებენ იმ შავრაზმული რეაქციის მძლეველებად, რომელსაც სურს გააუქმოს «კონსტიტუცია» რუსეთშიო. «კონსტიტუციურ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი» (ნუ ხუმრობთ!) პარტიის ბელადმა ბ-მა მილიუკოვმა ლორდ-მერთან გამართულ საუზმეზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: «სანამ რუსეთში არსებობს საკანონმდებლო პალატა, რომელიც კონტროლს უწევს ბიუჯეტს, რუსეთის ოპოზიცია დარჩება ოპოზიციად მისი უდიდებულესობისა და არა მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ» (სანკტ.-პეტერბურგის საააგენტოს დეპეშა, 19 ივნისი ძველი სტილით). ოქტიაბრისტული პარტიის ორგანო «გოლოს მოსკვი» 21 ივნისის მოწინავე სტატიაში, რომელსაც აქვს ხლესტაკოვური სათაური «ევროპა და განახლებული რუსეთი», მხურვალედ მიესალმა კადეტთა ლიდერის გამოსვლას და განაცხადა, რომ მისი «ზომიერი კონსტიტუციური» სიტყვა, «იქნებ, მოასწავებს მობრუნების პუნქტს კადეტურ პოლიტიკაში, უარისთქმას უხეირო ტაქტიკაზე — ოპოზიციის კეთებაზე ოპოზიციის გულისათვის».

პოლიციური «როსსია» (23 ივნისისა) მოწინავეს უძღვნის მილიუკოვის სიტყვას, იმეორებს «სახელგანთქმულ» ფრაზას მისი უდიდებულესობის ოპოზიციის შესახებ და აცხადებს: «ბ-მა მილიუკოვმა ინგლისში იკისრა გარკვეული ვალდებულება რუსეთის ოპოზიციის სახელით და თუ ის ამ ვალდებულებას შეასრულებს, ისეთ სამსახურს გაუწევს სამშობლოს, რომლისთვისაც მას ეპატიება არც თუ ცოტა წინანდელი შეცოდებანი». დამსახურებული გაქვთ მოწონება, ბატონო კადეტებო: «ვეხი» საერთოდ და სტრუვე, კერძოდ, მოიწონა ვილინელმა ანტონიმ, შავრაზმელი ურჯუკების «მეუფემ»; პარტიის ბელადი მილიუკოვი მოიწონა პოლიციურმა მოსყიდულმა გაზეთუნამ. დამსახურებული გაქვთ!

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მოვიგონოთ, რომ კადეტების ოქტიაბრისტულ ბუნებას ჩვენ ვამხელდით ჯერ კიდევ 1906 წლიდან, როდესაც სასათათბირო მყვირალა «გამარჯვებანი»

თავბრუს ახვევდნენ ბევრსა და ბევრს ანგარებიან-გულუბრ-ყვილო და უანგარო-გულუბრყვილო ადამიანს.

ჩვენ დაგვრჩენია მოვიგონოთ, რომ დ ე დ ა ა რ ს ი ცარიზ-მის თამაშისა III სათათბიროში, რაც ახლა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა, ჩვენ ვამხილეთ 20 თ ვ ე ზ ე მ ე ტ ი ხნის წინათ, როდესაც «პროლეტარის» 19—20 №№-ში (1907 წლის ნოემბერი) ვლაპარაკობდით III სათათ-ბიროს არჩევნების შედეგზე. III სათათბიროში, — ვამბობ-დით ჩვენ და ამბობდა რსდმპ 1907 წლის ნოემბრის სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია, — შესაძლებელია ო რ ი უმრავლესობა: შავრაზმულ-ოქტიაბრისტული და კადე-ტურ-ოქტიაბრისტული და ო რ ი ვ ე ეს უმრავლესობა კონტრ-რევოლუციურია. «ასეთი მდგომარეობა სათათბიროში, — ამბობს ს.-პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზა-ციის მაშინდელი რეზოლუცია («პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» № 19) და რსდმპ სრულიად რუსეთის III კონფერენციის რეზოლუ-ცია («პ რ ო ლ ე ტ ა რ ი», № 20), — უაღრესად უწყობს ხელს ორმაგ პოლიტიკურ თამაშს მთავრობის მხრივაც და კადე-ტების მხრივაც» *.

მდგომარეობის ასეთი დახასიათება ახლა ს ა ვ ს ე ბ ი თ დადასტურდა და გამოაშკარავდა იმათი სიბეცე, ვინც მზად იყო ისევ და ისევ გამოეცხადებინა კადეტების «მხარის დაჭე-რა» სოციალ-დემოკრატების მიერ.

კადეტები ოქტიაბრისტებს ეომებიან არა როგორც პრინ-ციპული მოწინააღმდეგენი, არამედ როგორც კ ო ნ კ უ რ ე ნ-ტ ე ბ ი. უნდა «მოვიპოვოთ» ამომრჩეველი — ჩვენ «სახალხო თავისუფლების» პარტიად ვაცხადებთ თავსაო. უნდა დავამ-ტკიცოთ ჩვენი «დარბაისლობა» — ჩვენ III სათათბიროში ვამოქმედებთ მაკლაკოვებს, ჩვენ ევროპის წინაშე ვაცხადებთ მილიუკოვის მეშვეობით, რომ ჩვენ «მისი უდიდებულესობის ოპოზიცია» ვართო. შავრაზმული ცარიზმის ერთგულ მსა-ხურს კი, სტოლიპინს, სწორედ ეს უნდა. დაე შავრაზმულმა

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 163 და 172. რ ე დ.

მეფის ხროვამ საქმით და შეუზღუდავად იპარპაშოს ქვეყანაში, დაე, მან და მხოლოდ მან გადაწყვიტოს პოლიტიკის ყველა ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხი. ხოლო ოქტიაბრისტულ-კადეტური უმრავლესობა «ჩვენ» გვესაჭიროება სათამაშოდ, ევროპაში «წარმომადგენლობისათვის», სესხთა მიღების გასაადვილებლად, 'შავი რაზმის უკიდურესობათა «გამოსასწორებლად», დოყლაპიების მოსატყუებლად «რეფორმებით»,... რომლებსაც სახელმწიფო საბჭო გაასწორებს ხოლმეო.

მისი უდიდებულესობა იცნობს თავის ოპოზიციას. კადეტების ოპოზიცია იცნობს თავის სტოლიპინსა და თავის ნიკოლოზს. ჩვენმა ლიბერალებმაც და ჩვენმა მინისტრებმაც ადვილად გადმოიღეს ევროპული პარლამენტური თვალთმაქცობისა და სოტყუების მარტივი მეცნიერება. ერთნიც და მეორენიც წარმატებით სწავლობენ ევროპის ბურჟუაზიული რეაქციის ხერხებს.

და ორივეს განუხრელ რევოლუციურ ომს უცხადებს რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატი, რომელიც სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდება მთელ მსოფლიოს სოციალისტურ პროლეტარიატს.

«პროლეტარი» № 46,
1909 წ. 11 (24) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მ. ლიადოვის წერილის გამო «პროლეტარის» რედაქციის მიმართ[136]

სიამოვნებით ვუთმობთ ადგილს ამხ. ლიადოვის აშკარა გამოსვლას და შევნიშნავთ მას მხოლოდ შემდეგს:

ბოლშევიზმის — რსდმ პარტიაში ორთოდოქსულ-მარქსისტული მიმდინარეობის ტრადიციების დაცვა, რა თქმა უნდა, ჩინებული საქმეა, ამხ. ლიადოვ. მაგრამ ამ ტრადიციის დაცვა, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ დაიცვა ბოლშევიზმი მისი კარიკატურისაგან. და სწორედ ბოლშევიზმის კარიკატურას — როგორც ჩვენ ვრცლად დავამტკიცეთ მთელ რიგ სტატიებში და როგორც ახლა ოფიციალურად აღიარა ბოლშევიკურმა ფრაქციამ — წარმოადგენს ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის ჭაპანწყვეტა.

რაც შეეხება «რევოლუციურ ეთიკას», რომელსაც ამხ. ლიადოვი მიმართავს, ეს შეგვიძლია გულდამშვიდებით მივანებოთ მას, ხოლო თავისი «პრინციპული პოზიცია» კი ამხ. ლიადოვსა და მის თანამოაზრეებს დიდი ხანია აშკარად უნდა გადმოეშალათ მთელი პარტიის წინაშე, თორემ დღევანდლამდე გვიხდებოდა მხოლოდ მათი სიტყვა დაგვეჯერებინა, რომ მათ აქვთ რაღაცა გარდა ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობისა.

დასასრულ გამოვთქვამთ რწმენას, რომ ამხ. ლიადოვი, რომელსაც მრავალ წელს უმუშავნია რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის რიგებში, ისე დიდ ხანს არ დარჩება ღვთისმშენებელ-ოტზოვისტების, ანუ, — როგორც მათ მოკლედ უწოდებენ, — «ღვთაებრივი ოტზოვისტების» ახალ ფრაქციაში, და დაუბრუნდება ბოლშევიკების ფრაქციას.

«პროლეტარი» № 46,
1909 წ. 11 (24) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

წერილი კაპრის პარტიული სკოლის ორგანიზატორებს

1909 წ. 18 აგვისტო.

პატივცემულო ამხანაგებო!

ამ დღეებში თქვენგან მივიღე ჩემი მოწვევის ცნობა. სკოლის პროგრამა, რომლის შესახებაც თქვენ წერთ, თან ერთვისო, არ მომსვლია.

ჩემი დამოკიდებულება კაპრის კუნძულის სკოლისადმი გამოხატულია «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» გაფართოებული რედაქციის რეზოლუციაში («პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» № 46-ის დამატება და № 46 *). თუ თქვენ არ გინახავთ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» და მისი დამატებანი, აგრეთვე ცალკე წერილი სკოლის შესახებ, რაც პარტიის წევრ-ბოლშევიკებს დაეგზავნა ნაბეჭდი ფურცლის სახით, რედაქცია სიამოვნებით გამოგიგზავნით მთელ ამ მასალას. საქმის არსის გამო უნდა გიპასუხოთ, რომ, იგულისხმება, ჩემი შეხედულება, კაპრის სკოლაზე, როგორც ჩვენი პარტიის ა ხ ა ლ ი ფრაქციის წამოწყებაზე, — ფრაქციისა, რომელსაც მე არ თანავუგრძნობ, — რომ ეს შეხედულება რა თქმა უნდა, სრულიადაც არ მათქმევინებს უარს იმაზე, რომ ვუკითხო ლექციები რუსეთიდან ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ ამხანაგებს. რა შეხედულებისაც უნდა იყვნენ ეს ამხანაგები, მე ყოველთვის სიამოვნებით დავთანხმდები წავუკითხო მათ მთელი რიგი ლექციები იმ საკითხებზე, რომლებიც სოციალ-დემოკრატიას აინტერესებს. კაპრზე ლექციების წასა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 552 — 553 და 554 — 564. რ ე დ.

კითხვად მე, რასაკვირველია, არ წავალ, მაგრამ პარიზში ლექციებს სიამოვნებით წავიკითხავ, რუსეთიდან გამოგზავნილი ცხრა ამხანაგის მისვლა პარიზში (მე ვიღებ ციფრს, რომელსაც გვაუწყებდა თქვენთვის ცნობილი ამხ. ლიოვა) ეს ისეთი წამოწყებაა, რომელიც ფინანსურად ნაკლები დაჯდება, ვიდრე სამი ლექტორის გამგზავრება პარიზიდან კაპრზე (მე ვიცი თქვენი მიმართვა ლიოვასა და ინოკენტისადმი[137]). გარდა ფინანსური მხარისა, არის კიდევ მთელი რიგი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და თქვენთვის უეჭველად სავსებით გასაგები მოსაზრებანი პარიზის სასარგებლოდ, როგორც საზღვარგარეთ ნამდვილი პარტიული სკოლის ადგილის სასარგებლოდ. ყოველ შემთხვევაში შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» რედაქცია ყოველივეს მოიმოქმედებს, რაც მასზეა დამოკიდებული, თქვენთვის სასურველი ლექციების მოსაწყობად პარიზში.

სოციალ-დემოკრატიული სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. * თქვენ დაგვიწყებიათ გეცნობებინათ სკოლის ოფიციალური მისამართი.

დაბეჭდილია 1909 წელს
ფურცელში «პარტიული სკოლის
საკითხისათვის»

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

პროექტი ბოლშევიკური ცენტრის წერილისა კაპრის სკოლის საბჭოსადმი[138]

ბოლშევიკური ცენტრის აღმასრულებელი კომისია ძალიან გაახარა «კაპრის პარტიული სკოლის საბჭოს» 1909 წლის 16 აგვისტოს ცნობამ, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს ბოლშევიკური ცენტრის მხრივ «იდეური კონტროლისა».

მაგრამ, რათა გადავწყვიტოთ, შეუძლია თუ არა ბოლშევიკურ ცენტრს იკისროს ეს კონტროლი და განახორციელოს იგი, შეუძლია თუ არა მას გაუწიოს სკოლას ლიტერატურული და ფინანსური დახმარება, რაზედაც საბჭო წერს, — ამისათვის საჭიროა დაწვრილებით ვიცნობდეთ სკოლის საქმეებს. ბოლშევიკურმა ცენტრმა კი მის შესახებ დაწვრილებით არაფერი იცის.

თუ სკოლის საბჭოს შეეძლო განეხილა (როგორც თვითონ წერს) სკოლის დამოკიდებულება ბოლშევიკური ცენტრისადმი, რაკი ის იცნობდა ბოლშევიკური ცენტრის შეხედულებას დაბეჭდილი რეზოლუციებიდან და «პროლეტარიდან», რაკი იცნობდა ბოლშევიკური ცენტრის შემადგენლობას მისი ყოფილი წევრებისაგან, — სამაგიეროდ ბოლშევიკურ ცენტრს არ ძალუძს განიხილოს საკითხი ბოლშევიკური ცენტრის დამოკიდებულებისა სკოლის საბჭოს თხოვნისადმი, რადგან ბოლშევიკურმა ცენტრმა არ იცის: (1) რა არის სკოლის საბჭო, (2) რა არის სკოლის აღმასრულებელი კომისია, (3) როგორია სკოლის პროგრამა (აღმასრულებელი კომისია შეგვპირდა მის გა-

მოგზავნას, მაგრამ არ გამოუგზავნია), (4) როგორია ახლანდელი შემადგენლობა სკოლის ლექტორებისა და (5) სკოლის მოწაფეებისა, (6) როგორია სკოლის ახლანდელი სახსრები, (7) როგორია კურსების ნავარაუდევი ხანგრძლიობა, (8) რამდენად არიან დაკავშირებულნი სკოლის მოწაფენი მის ახლანდელ ადგილსამყოფელთან, ე. ი. კაპრის კუნძულთან, (9) შეუძლიათ თუ არა სკოლის მოწაფეებს პარიზში მოვიდნენ (რასაც მათ პირადად თავისი სახელით სწერდა ბოლშევიკური ცენტრის სამი წევრი), რა ვადით და ა. შ.

ბოლშევიკურ ცენტრს, რაკი ასეთი ცნობები არა აქვს, ჯერჯერობით შეუძლია მხოლოდ ერთი რამ თქვას: ბოლშევიკური ცენტრი მზად არის რუსეთში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყველა წევრს, აგრეთვე ამ ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ ყველა ამხანაგს გაუწიოს ყოველგვარი დახმარება ლიტერატურითა და ლექტორებით სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის შეთვისების საქმეში, უარს არ ამბობს ფინანსურ დახმარებაზედაც შესაძლებლობის ფარგლებში და ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევასთან დაკავშირებით ამ საკითხის განხილვის შემდეგ.

ბოლშევიკური ცენტრი ამასთან ოფიციალურად უგზავნის სკოლის საბჭოს 1) «პროლეტარის» კომპლექტს № 39 — 46; 2) ბოლშევიკური ცენტრის წერილს სკოლის შესახებ (დაბეჭდილს); 3) ბოლშევიკური ცენტრის რეზოლუციებს.

სოციალ-დემოკრატიული სალამით

«პროლეტარის» გაფართოებული
რედაქციის აღმასრულებელი კომისია

დაწერილია 1909 წ.
5 და 17 (18 და 30) აგვისტოს შუა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის კრებულში XXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი ქაპრის პარტიული სკოლის მოწაფეებს: ამხანაგებს იულის, ვანიას, საველის, ივანეს, ვლადიმერს, სტანისლავსა და თომას

1909 წ. 30 აგვისტო ახ. სტილით.

პატივცემულო ამხანაგებო! მივიღე რა თქვენგან სკოლის პროგრამა და ორი წერილი, რომელთაგან უკანასკნელში თქვენ მეკითხებით მოტივებს, თუ რატომ გამოვაცხადეთ სკოლა ახალ ფრაქციად, მე მოვალეობად მიმაჩნია ერთხელ კიდევ განგიმარტოთ ჩემი შეხედულება. «სკოლის ფრაქციული სარჩული სრული ფიქცია არისო», — წერთ თქვენ. «სკოლის მიმართ ჰეგემონია წარმოუდგენელია, რადგან საბჭოს უმრავლესობა ჩვენა ვართო».

მე ვამტკიცებ, რომ ეს აშკარა თავის მოტყუებაა თქვენი მხრივ. საქმე ის როდია, რომ თქვენ ბრალად გდებდნენ «უშუალო ფრაქციონერობას»; საქმე ის როდია, თუ ვისა ჰყავს უმრავლესობა საბჭოში. საქმე ის არის, რომ სკოლა მოწყობილია 1) ახალი ფრაქციის თაოსნობით; — 2) მხოლოდ და მხოლოდ ახალი ფრაქციის სახსრებით; — 3) ისეთ ადგილას, სადაც მ ხ ო ლ ო დ ახალი ფრაქციის ლექტორები არიან; — 4) ისეთ ადგილას, სადაც ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ვ ნ ე ნ, სულ იშვიათ გამონაკლისს გარდა, სხვა ფრაქციების ლექტორები.

ყველა ეს პირობა თქვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული. მათი შეცვლა თქვენ არ შეგიძლიათ. ეს პირობები კი

უკვე წინასწარ განსაზღვრავენ სკოლის ხასიათს, წინასწარ განსაზღვრავენ იმდენად, რომ თქვენს არავითარ კეთილ განზრახვას და თქვენი საბჭოს არავითარ გადაწყვეტილებას სრულიად არ ძალუძთ შესცვალონ რაიმე არსებითი.

ყოველ სკოლაში უმნიშვნელოვანესია ლექციების იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. რით განისაზღვრება ეს მიმართულება? მთლიანად და მარტოოდენ ლექტორთა შემადგენლობით. თქვენ ჩინებულად გესმით, ამხანაგებო, რომ ყოველი «კონტროლი», ყოველი «ხელმძღვანელობა», ყოველი «პროგრამა», «წესდება» და სხვა, — ყოველივე ეს ფუჭი სიტყვაა ლექტორთა შემადგენლობის მიმართ. ვერავითარ კონტროლს, ვერავითარ პროგრამას და ასეთ რამეებს სრულიადაც არ ძალუძთ შესცვალონ მეცადინეობის ის მიმართულება, რომელიც ლექტორთა შემადგენლობით განისაზღვრება. და ქვეყნად არასოდეს და არსად არც ერთი თავისი თავის პატივისმცემელი ორგანიზაცია, ფრაქცია თუ ჯგუფი არ იკისრებს გაიზიაროს პასუხისმგებლობა სკოლისათვის, რომლის მიმართულება უკვე წინასწარ განსაზღვრულია ლექტორთა შემადგენლობით, თუ ეს მიმართულება მტრულია.

ახლა გადახედეთ ლექტორთა შემადგენლობას, რომელმაც წინასწარ განსაზღვრა სკოლის ხასიათი და მიმართულება. თქვენ, ამხანაგებო, ხელი გაქვთ მოწერილი თქვენს წერილზე ჩემდამი, მაგრამ სკოლის მოწაფეებისა და ლექტორების სახელით ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი თქვენი წერილი (ამ წერილის პირი მივიღე მე სკოლის პროგრამასთან ერთად) არ შეიცავს ლექტორების ხელმოწერას. ამიტომ მე არ შემიძლია მთელი სიზუსტით ვიცოდე ლექტორთა შემადგენლობა. მაგრამ ისიც, რაც ვიცი, საკმარისია ლექტორთა შემადგენლობაზე მსჯელობისათვის.

ჩვენ რუსეთიდან გვწერდნენ ცენტრალური სამრეწველო რაიონის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომ ყველაზე ენერგიული, თუ ერთადერთი არა, აგიტატორი კაპრის სკოლის საჯარგებლოდ იყო ამხ. სტანისლავი, და ის უკვე აურჩევია

ლექტორად ზოგიერთ სოციალ-დემოკრატიულ წრეს, რომ-ლებმაც მოისმინეს მისი რეფერატი. ეს ამხ. სტანისლავი ყველაზე თავგამოდებული ოტზოვისტია და მარქსიზმის «კრიტიკოსია» ფილოსოფიაში. საკმარისია მოგაგონოთ, (1) როგორ გააცამტვერა მან კაუცკი თავის ცნობილ ფილო-სოფიურ წიგნაკში; (2) როგორ გამოიყო ის 1908 წლის დე-კემბრის პარტიულ კონფერენციაზე ოტზოვისტების ცალკე ფრაქციად პეტერბურგელ ოტზოვისტ ვს.-თან ერთად; (3) როგორ იყო, რომ მის მიერ რედაქტირებული სტატია «რაბოჩი» ოტზოვისტისა «რაბოჩეე ზნამიას» მე-5 ნომერში თვითონ ამ «რაბოჩეე ზნამიამ» აღიარა ანარ-ქიზმის შეხედულებებით გაჟღენთილ სტატიად.

გადახედეთ შემდეგ იმ ლექტორებს, რომლებსაც ახლა ხე-დავთ თქვენს წინაშე კაპრზე. ბოლშევიკები მათ შორის არ არიან. სამაგიეროდ ახალი ფრაქციის (ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის დამცველთა ფრაქციის) ყველა მომხრე თითქმის მთლადაა წარმოდგენილი. არა მგონია დიდად შეე-ცდე, თუ ვიტყვი, რომ კაპრის ლექტორთა შორის თქვენ ხე-დავთ ამხ. მაქსიმოვს, ლუნაჩარსკის, ლიადოვს, ალექსინსკის. ეს სწორედ იმ ამხანაგების ჯგუფია, რომლებმაც 1908 წლის გაზაფხულიდან შექმნეს ოპოზიცია «პროლეტარის» მიმართ და რომლებიც მის წინააღმდეგ ეწეოდნენ აგიტაციას რუსეთ-ში და საზღვარგარეთ, გამოიყოფოდნენ ცალკე ფრაქციად (ან მხარს უჭერდნენ მას) 1908 წლის დეკემბრის პარტიულ კონ-ფერენციაზე და, ბოლოს, საბოლოოდ გამოიყვნენ ცალკე ფრაქციად.

ამხანაგების მთელი ეს ჯგუფი რომ აგიტაციას ეწევა «პროლეტარის» წინააღმდეგ და მხარს უჭერს და იცავს ოტ-ზოვისტებს, ამის უარყოფა იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ პარტიაში ყველასათვის ცნობილი ფაქტები აბუჩად აგვეგდო. იმის უარყოფა, რომ კაპრის კუნძული უკვე ცნო-ბილი გახდა საერთო რუსულ ლიტერატურაშიც კი როგორც ღვთისმშენებლობის ლიტერატურული ცენტრი, ფაქტების აბუჩად აგდება იქნებოდა. მთელმა რუსულმა პრესამ უკვე

დიდი ხანია აღნიშნა, რომ ლუნაჩარსკიმ კაპრის კუნძულიდან გააჩაღა ღვთისმშენებლობის ქადაგება. მას რუსეთში ეხმარებოდა ბაზაროვი. ამგვარსავე ფილოსოფიურ შეხედულებებს იცავდა ათობით რუსულ ლეგალურ წიგნსა და სტატიაში, საზღვარგარეთ წაკითხულ ათობით რეფერატში ბოგდანოვი. მე კაპრის კუნძულზე ვიყავი 1908 წლის აპრილში და გამოვუცხადე სამივე ამ ამხანაგს, რომ სრულიად არ ვეთანხმები მათ ფილოსოფიაში (ამასთან, მათ მაშინ წინადადება მივეცი საერთო სახსრები და ძალები მოენდომებინათ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს, რევოლუციის მენშევიკურ-ლიკვიდატორული ისტორიის საპირდაპიროდ, მაგრამ კაპრელებმა ჩემი წინადადება უარყვეს და მოისურვეს ხელი მოეკიდათ არა საერთო-ბოლშევიკური საქმისათვის, არამედ თავის განსაკუთრებულ ფილოსოფიურ შეხედულებათა პროპაგანდისათვის). თქვენი კაპრელი ლექტორების ჯგუფის უმრავლესობას ლიტერატორები შეადგენენ, და ა რ ც ე რ თ ამ ლიტერატორთაგანს ე რ თ ხ ე ლ ა ც არ გაულაშქრნია ბ ე ჭ დ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ლუნაჩარსკისა და ბაზაროვის ღვთისმშენებლობის პროპაგანდის წინააღმდეგ!

თუ ყოველივე ამის მიუხედავად თქვენ მწერთ, ამხანაგებო, რომ სკოლა არ შეიძლება დაკავშირებულად ჩავთვალოთ ღვთისმშენებლობასთან და ოტზოვიზმთან და ეს აზრი თქვენი მხრივ «გაუგებრობა» არისო, ამასთან «სრული» გაუგებრობა, ვინაიდან «ასეთი მიზნები აქ სკოლაში არათუ არ დასმულა, მათზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდაო», — მე ის-ღა დამრჩენია, რომ გაკვირვებას მივეცე თქვენი უკიდურესი გულუბრყვილობის გამო. ვიმეორებ: სკოლის ნ ა მ დ ვ ი ლ ი ხასიათი და მიმართულება განისაზღვრება არა ადგილობრივი ორგანიზაციების კეთილი სურვილებით, არა მოსწავლეთა «საბჭოს» გადაწყვეტილებებით, არა «პროგრამებით» და სხვა, არამედ ლ ე ქ ტ ო რ თ ა შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ. და, თუ ლექტორთა შემადგენლობა მთლიანად განისაზღვრება და გა-

ნისაზღვრა ახალი ფრაქციის წევრთა წრით, მაშინ სკოლის ფრაქციული ხასიათის უარყოფა პირდაპირ სასაცილოა.

ლექტორთა შემადგენლობის საკითხს რომ მოვრჩეთ, მოვიყვან კიდევ ერთ ფაქტს, რომელიც მიამბო ამხანაგმა ინოკენტიმ და რომელიც ცხადყოფს, თუ რაოდენად აშკარაა პარტიაში ყველასათვის ის, რის უარყოფასაც თქვენ ცდილობთ, სახელდობრ: კაპრის სკოლის განსაკუთრებული ფრაქციული ხასიათი. «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის უკანასკნელ კრებამდე ცოტა ხნით ადრე ამხ. მაქსიმოვმა პარიზში მიმართა ტროცკის და მოიწვია იგი კაპრის სკოლის ლექტორად. ტროცკიმ ეს უამბო ამხ. ინოკენტის და განუცხადა: თუ ეს პარტიული საქმეა, მე სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას; თუ ეს კაპრელი ლიტერატორების, მაქსიმოვის, ლუნაჩარსკის და კომპანიის ცალკე წამოწყებაა, მაშინ მონაწილეობას არ მივიღებო. ინოკენტიმ უპასუხა: დაუცადეთ «პროლეტარის» რედაქციის გადაწყვეტილებებს, გამოგიგზავნით ამ გადაწყვეტილებებსაო. ამრიგად, არაფრაქციული ტროცკიც ერთბაშად მიხვდა (როგორც ამას მიხვდება ყველა ცოტათი მაინც გამოცდილი პარტიული მუშაკი), რომ კაპრის კუნძულზე სკოლის მოწყობა იმას ნიშნავს, რომ დაუმალოს სკოლა პარტიას, იმას ნიშნავს, რომ წინასწარ დაუკავშირო სკოლა ერთ განსაკუთრებულ და სახელდობრ ახალ ფრაქციას.

ახლა გადავდივარ პარიზის საკითხზე. გწერდით, რომ თუ თქვენ მართლაც გაინტერესებთ ჩემი და ჩემი თანამოაზრეების ლექციები, თქვენ პარიზში უნდა ჩამოხვიდეთ-მეთქი, თქვენ მიპასუხებთ: «პარიზში გამგზავრება, თუ მხედველობაში მივიღებთ ხარჯებს, სრულიად მიზანშეუწონელი იქნებაო».

ვნახოთ, თუ რომელი ჩვენგანი ამბობს მართლაც რაღაც მიზანშეუწონელს.

თქვენ კაპრის კუნძულზე ჩახველით ვენაზე გავლით. თუ თქვენ იმავე გზით ბრუნდებით, უნდა შეუხვიოთ ჩრდილოეთ იტალიიდან პარიზში, იქიდან კი პირდაპირ გაემგზავროთ ვენა-

ში. ეს მგზავრობას გააძვირებს, ალბათ, სულ ბევრი 60 ფრანკით თითო კაცზე (ვანგარიშობ იმის მიხედვით, რომ ჟენევიდან, სადაც მე დიდ ხანს ვცხოვრობდი, ბილეთი პარიზამდე ღირს 30 ფრანკად). თქვენს წერილს ხელს აწერს 8 კაცი, ამასთან ერთმა განაცხადა, რომ «თავს იკავებს შემდგომი მიწერ-მოწერისაგან», ე. ი., ალბათ, არც კი სურს მოისმინოს ჩემი საუბრები. რჩება 7 ამხანაგი. ხარჯი $= 7 \times 60 = 420$ ფრანკი.

პარიზიდან თქვენ გვიწვევდით ოთხ ლექტორს (ლიოვას, მე, გრიგოლსა და ინოკენტის). მგზავრობის ხარჯი პარიზიდან კაპრამდე და აქეთ — დაახლოებით 140 ფრანკია. სულ $4 \times 140 = 560$ ფრანკი.

8 მოწაფის ჩამოსვლა პარიზში უფრო იაფი ჯდება, ვიდრე 4 ლექტორის გაგზავნა კაპრზე.

მაგრამ ფინანსური საკითხი, როგორც უკვე გწერდით წინა წერილში *, სრულიადაც არ არის უმნიშვნელოვანესი. აბა დაფიქრდით, ჩამოსული მოწაფეებისათვის უფრო ადვილია ადგილის შერჩევა, თუ აქაური ლექტორებისათვის? თქვენ საზღვარგარეთ ჩამოსული ხართ სპეციალურად სკოლაში მეცადინეობისათვის. მაშასადამე, თქვენ არ შეიძლება გქონდეთ დაბრკოლება — მიხვიდეთ იქ, სადაც ბევრი ლექტორია, სადაც შესაძლებელია საქმის მართლაც პარტიულად დაყენება.

ლექტორებს კი არ შეუძლიათ პარტიული ცენტრიდან კაპრის კუნძულზე გაემგზავრონ. ჩემს შესახებ ვიტყვი. მე არ შემიძლია თავი მივანებო «პროლეტარის» რედაქციას, — არ შემიძლია თავი მივანებო ცენტრალური ორგანოს რედაქციას, — არ შემიძლია თავი მივანებო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელშემწყობ კომისიას, რომელიც შექმნილია პარიზში, — მე უნდა გამოვდიოდე «პროლეტარის» კლუბში — პარიზის მუშათა უბნებში, სადაც ასობით და ათასობით რუსი მუშა ცხოვრობს, და ა. შ.. პარ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 574 — 575. რედ.

ტიული ლიტერატორების გამგზავრება პარიზიდან კაპრის კუნძულზე აბსოლუტურად შეუძლებელი რამ არის.

მაგრამ სკოლისათვის, როგორც პარტიული საქმისათვის, მარტო ბოლშევიკურ ლექტორებს ხომ არა აქვთ მნიშვნელობა. პარიზი ყველაზე დიდი ემიგრანტული ცენტრია, სადაც მუდმივ იკითხება ყ ვ ე ლ ა ფრაქციის საჯარო რეფერატები, წარმოებს დისკუსიები, მეცადინეობს სხვადასხვა წრე, არის 2—3 საკმაოდ კარგი რუსული ბიბლიოთეკა, არის პარტიაში დიდ ხანს ნამუშევარი ათობით სოციალ-დემოკრატი ორგანიზატორი და ა. შ. პარიზში გამოდის 3 სოციალ-დემოკრატიული რუსული გაზეთი. ერთი სიტყვით, ყველასათვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს საზღვარგარეთს, ნათელია, ისევე როგორც ნათელია მზიანი დღე: ვინც პარიზში მოდის სოციალ-დემოკრატიზმის შესასწავლად, ის მართლაც მოდის სოციალ-დემოკრატიზმის შესასწავლად. ვინც კაპრზე მიდის სასწავლებლად, ის მიდის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ფრაქციული «მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს» შესასწავლად.

ვინც პარიზში აწყობს სკოლას, ის მართლაც პარტიულ სკოლას აწყობს. ვინც კაპრის კუნძულზე აწყობს სკოლას, ის ს კ ო ლ ა ს მ ა ლ ა ვ ს პ ა რ ტ ი ი ს ა გ ა ნ.

კაპრის სკოლა არის პ ა რ ტ ი ი ს ა გ ა ნ გ ა ნ ზ რ ა ხ დ ა მ ა ლ უ ლ ი სკოლა.

არავითარი კონტროლი, არავითარი «იდეური ხელმძღვანელობა» კ ა პ რ ი ს სკოლის მიმართ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ არ არის შესაძლებელი არც ცენტრალური კომიტეტის მხრივ, რომელსაც თქვენ დღეს მიმართავთ, არც «პროლეტარის» რედაქციის მხრივ, რომელსაც თქვენ გუშინ მიმართავდით. აქ კონტროლზე და იდეურ ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი ფუჭი სიტყვებია. არავის მოუვა თავში სულელური აზრი — გაგზავნოს კაპრზე სკოლის პარტიული «ინსპექტორები»; არასოდეს ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა განხორციელდეს ნამდვილი პარტიული ლექტორების გაგზავნა კაპრზე (სულ უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა). თუ ეს რუსეთის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა არ იცოდნენ, სამაგიეროდ

ეს ჩინებულად იცოდნენ სკოლის მომწყობებმა. სწორედ იმიტომ მოაწყეს მათ სკოლა კაპრზე, რომ მიჩქმალონ მისი ფრაქციული ხასიათი, რომ დაუმალონ სკოლა პარტიას.

აიღეთ არაფრაქციული რუსი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც საუცხოოდ იცნობენ მუშათა კლასის მოძრაობას საზღვარგარეთ: პარვუსი და როზა ლუქსემბურგი (გერმანია), შ. რაპოპორტი (საფრანგეთი), როტშტეინი (ინგლისი). აიღეთ არაფრაქციული ლიტერატორი სოციალ-დემოკრატები, როგორიცაა რიაზანოვი, — თქვენ მაშინვე ნახავთ (თუ არ გინდათ თვალები დახუჭოთ, რათა არ დაინახოთ), რომ ისინი, მეტწილ შემთხვევებში, პარტიის მხრით ზოგიერთი ღონისძიების მიღებისას, შესძლებენ ლექციების წაკითხვას პარიზში, კაპრზე კი სრულიად ვერ შესძლებენ გამგზავრებას. ის ფული, რაც სკოლის მომწყობთა მიერ გადაყრილია მოწაფეთა და ლექტორთა გასაგზავნად ყველაზე შორეულ საზღვარგარეთულ პუნქტში (კაპრი), უკვე საკმარისი იქნებოდა თუნდაც ზოგიერთი ამ ლექტორის საუბრების მოსაწყობად პარიზში.

შემდეგ, აიღეთ ახალი დაჯგუფებანი სოციალ-დემოკრატებს შორის, დაჯგუფებანი, რომლებთანაც გაცნობა ესოდენ მნიშვნელოვანია რუსი ამხანაგებისათვის (პარტიული და ლიკვიდატორული ელემენტების ბრძოლა ბუნდში; ლატვიელთა ბოლშევიკური ნაწილის ბრძოლა მენშევიკურ ნაწილთან; P. S. D-ის ბრძოლა P. P. S-ის ლევიცასთან; გათიშვა მენშევიზმში, პლეხანოვის გამოსვლა — «დნევნიკით», რომელიც ამხელს პოტრესოვისა და ოფიციალური მენშევიკების ლიკვიდატორობას; «რევოლუციური მენშევიზმის» შექმნის ცდები და ა. შ.). კაპრზე არ შეიძლება ჯეროვნად გაეცნო ამ პარტიულად მნიშვნელოვან მოვლენებს. პარიზში არის სრული შესაძლებლობა არა მარტო ყურმოკვრით, არამედ პირველი წყაროებიდან გაიგო საქმის მდგომარეობა.

ბოლოს, აიღეთ კაპრის სკოლის მეცადინეობის პროგრამა. ოთხი განყოფილებიდან ერთის (III) სათაურია: «პროლეტარული ბრძოლის ფილოსოფია». საერთაშორისო სოციალ-დემოკ-

რატიაში ამგვარივე ტიპის პროპაგანდისტული მეცადინეობის პროგრამა ათობით და ასობით არის (თუ ათასობით არა). მაგრამ თქვენ ვერსად ვერ იპოვნით «პროლეტარული ბრძოლის ფილოსოფიას». არის მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიური მატერიალიზმი, მაგრამ არსად არ არის «პროლეტარული ბრძოლის ფილოსოფია». და ვერც ერთი ევროპელი სოციალ-დემოკრატი ვერ მიხვდება, თუ რას ნიშნავს ეს. ამას მიხვდებიან მხოლოდ ისინი, ვინც იცნობს ფილოსოფოსებს: სტანისლავის (ა. ვოლსკის), ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის, ბაზაროვის თხზულებებს. ვიდრე «პროლეტარული ბრძოლის ფილოსოფიას» ასწავლიდე, უნდა გამოიგონო ასეთი ფილოსოფია. ხოლო ამ განსაკუთრებული ფილოსოფიის გამოგონებით, რომელიც მით უფრო ხშირად ფიცულობს სიტყვა «პროლეტარულს», რაც უფრო შორსაა იგი პროლეტარული მსოფლმხედველობისაგან, გართული იყო და გართულია ახალი ფრაქციის წევრთა მხოლოდ ზემოაღნიშნული ჯგუფი.

ვათავებ: თუ თქვენ, ამხანაგებო, დაიჟინებთ და არ ისურვებთ პარიზში მოსვლას (და ამავე დროს ირწმუნებით, რომ გსურთ მოისმინოთ ჩემი ლექციები), ამით საბოლოოდ დაამტკიცებთ, რომ ახალი ღვთისმშენებლურ-ოტზოვისტური ფრაქციის ვიწრო წრეობრივი პოლიტიკით მოშხამული არიან კაპრის სკოლის არა მარტო ლექტორები, არამედ ზოგიერთი მოწაფეც.

სოციალ-დემოკრატიული სალამით ნ. ლენინი.

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 2 (49)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები

1 სტატია «პირდაპირ გზაზე» დაბეჭდილია მოწინავედ გაზეთ «პროლეტარის» № 26-ში.

«პროლეტარი» — არალეგალური გაზეთი, დაარსებული ბოლშევიკების მიერ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ; იცემოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით. «პროლეტარი» გამოდიოდა როგორც რსდმპ მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების, ხოლო ერთ ხანს აგრეთვე მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის, პერმის, კურსკისა და ყაზანის კომიტეტების ორგანო; ფაქტიურად გაზეთი წარმოადგენდა ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოს. გამოვიდა 50 ნომერი: პირველი 20 — ფინეთში, დანარჩენი საზღვარგარეთ — ჟენევასა და პარიზში. გაზეთში გამოქვეყნებულია ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა.

სტოლიპინის რეაქციის წლებში გაზეთმა «პროლეტარმა» დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმზე შემარიგებლებმა, ტროცკის ფარულმა აგენტებმა და დამქაშებმა, მოახერხეს გაეტარებინათ გადაწყვეტილება გაზეთ «პროლეტარის» დახურვის შესახებ. — 1.

2 1907 წლის 3 (16) ივნისის სახელმწიფო გადატრიალება — რეაქციული გადატრიალება, რომელიც გამოიხატა მთავრობის მიერ II სახელმწიფო სათათბიროს გარეკვით და სათათბიროს არჩევნების საარჩევნო კანონის შეცვლით. ახალი საარჩევნო კანონი ბევრად ადიდებდა მემამულეთა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლობას სათათბიროში და რამდენჯერმე ამცირებდა გლეხთა და მუშათა წარმომადგენლების ისედაც მცირე რიცხვს. კანონი საარჩევნო უფლებებს ართმევდა აზიური რუსეთის მოსახლეობის მეტ ნაწილს, ერთიორად ამცირებდა პოლონეთისა და კავკასიის მოსახლეობის წარმომადგენლობას. ამ კანონის საფუძ-

ველზე არჩეული და 1907 წლის ნოემბერში შეკრებილი III სათათბირო ოავისი შემადგენლობით შავრაზმულ-კადეტური იყო.

სამი ივნისის სახელმწიფო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სტოლიპინის რეაქციის პერიოდს, რომელიც ცნობილია «სამი ივნისის რეჟიმის» სახელწოდებით. — 3.

3 რსდმპ ცენტრალური ორგანო — არალეგალური გაზეთი «სოციალ-დემოკრატი»; იცემოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე. გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდეგი გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, მერე — ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, შედგენილი იყო ბოლშევიკებისა, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან. გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის ოთხმოცზე მეტი სტატია და შენიშვნა. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შიგნით ვ. ი. ლენინი აწარმოებდა ბრძოლას თანამიმდევარი ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლად ეკიდებოდა ლიკვიდატორებს და ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. რედაქციის წევრები — მენშევიკები მარტოვი და დანი საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას «ბოლოს სოციალ-დემოკრატაში». ლენინის შეურიგებელ ბრძოლას ლიკვიდატორების წინააღმდეგ შედეგად მოჰყვა მარტოვისა და დანის გასვლა 1911 წლის ივნისში «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი. გაზეთში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები. — 4.

4 «რაბოჩეე ზნამია» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი, რსდმპ ცენტრალური სამრეწველო რაიონის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1908 წლის მარტიდან დეკემბრამდე. გამოვიდა 7 ნომერი. — 7.

5 განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ შემოიღეს გერმანიაში 1878 წელს. ამ კანონით აკრძალეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მასობრივი მუშათა ორგანიზაციები, მუშათა პრესა, კონფისკაციას უკეთებდნენ სოციალისტურ ლიტერატურას, რეპრესიებს მიმართავდნენ

სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. მასობრივი მუშათა მოძრაობის ზემოქმედებით კანონი გააუქმეს 1890 წელს. — 8.

6 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — 10.

7 ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა — რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობა მიმდინარეობდა 1906 წლის 10 — 25 აპრილს (23 აპრილიდან 8 მაისამდე) სტოკჰოლმში. ყრილობას ესწრებოდა გადამწყვეტი ხმით 112 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 57 ადგილობრივ ორგანიზაციას, და 22 დელეგატი სათათბირო ხმით. გარდა ამისა, მონაწილეობდნენ პოლონეთისა და ლიტვის, ლატვიისა და ბუნდის ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები. ბევრი ბოლშევიკური ორგანიზაცია დაარბია მთავრობამ 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ, რის გამო მათ ვერ შესძლეს დელეგატების გაგზავნა. უმრავლესობა ყრილობაზე, თუმცა უმნიშვნელო, მენშევიკებს ეკუთვნოდა.

ლენინი ყრილობაზე გამოვიდა აგრარული საკითხის გამო, მიმდინარე მომენტის, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მიმართ ტაქტიკის, შეიარაღებული აჯანყებისა და სხვა საკითხების შესახებ.

ყრილობაზე მენშევიკების სიჭარბემ განსაზღვრა ყრილობის გადაწყვეტილებათა ხასიათი: მთელ რიგ საკითხებზე ყრილობამ გამოიტანა მენშევიკური რეზოლუციები (აგრარული პროგრამა, სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ და სხვ.).

ყრილობამ ლენინის ფორმულირებით მიიღო წესდების პირველი პარაგრაფი პარტიის წევრობის შესახებ. ყრილობამ რსდმპ შემადგენლობაში მიიღო ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები: პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და წინასწარ გადაწყვიტა რსდმ პარტიაში ბუნდის შესვლის საკითხი.

ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ 3 ბოლშევიკი და 7 მენშევიკი, ცენტრალური ორგანოს რედაქციაში — მხოლოდ მენშევიკები.

ყრილობის მუშაობის ანალიზი ვ. ი. ლენინის მიერ მოცემულია ნაშრომში «მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 10, გვ. 379 — 463) და ი. ბ. სტალინის მიერ — ნაშრომში «დღევანდელი მომენტი და მუ-

შათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა» და თხზულებათა «ავტორის წინასიტყვაობაში პირველი ტომისათვის» (იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტომი 1, 1947, გვ. 236 — 260; XI — XV). — **10.**

8 «ტ რ უ დ ო ვ ი კ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა» — პოლიტიკა «შრომის ჯგუფისა» — წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ჯგუფისა, რომელიც შექმნეს 1906 წლის აპრილში I სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა დეპუტატებმა. სათათბიროს მუშაობის დასაწყისში ჯგუფი აერთიანებდა 107 დეპუტატს. II სათათბიროში ტრუდოვიკებს ჰყავდათ 104 დეპუტატი, მესამეში — 14 და მეოთხეში — 10 დეპუტატი. ტრუდოვიკები აყენებდნენ ყველა წოდებრივი და ნაციონალური შეზღუდვის გაუქმების, საერობო და საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციის, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელების მოთხოვნებს. ტრუდოვიკების აგრარული პროგრამა გამოდიოდა მიწათსარგებლობის გამთანაბრებლობის ნაროდნიკული პრინციპებიდან: საერთო-სახალხო ფონდის შექმნა სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო მიწებიდან, აგრეთვე კერძომფლობელური მიწებიდან, თუ მფლობელობის ოდენობა აღემატებოდა დაწესებულ შრომითს ნორმას; გათვალისწინებული იყო განსხვისებული კერძომფლობელური მიწების ანაზღაურება. საადგილმამულო რეფორმის გატარება ეკისრებოდა ადგილობრივ გლეხთა კომიტეტებს. — **13.**

9 გ უ რ კ ო, ვ. ი. — შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი. — **15.**

10 ლენინს მოჰყავს სიტყვები «კაპიტალის» პირველი ტომის მეორე გამოცემის კ. მარქსის ბოლოსიტყვაობიდან. (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 20). — **24.**

11 ბ ე მ-ბ ა ვ ე რ კ ი, ე. — ავსტრიელი ბურჟუაზიული ეკონომისტი. — **25.**

12 «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ი ნ დ ი კ ა ლ ი ზ მ ი» — წვრილბურჟუაზიული ნახევრად ანარქისტული მიმდინარეობა, რომელიც გაჩნდა დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მუშათა მოძრაობაში XIX საუკუნის დამლევს.

სინდიკალისტები უარყოფდნენ მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის საჭირობას, პარტიის ხელმძღვანელ როლსა და პროლეტარიატის დიქტატურას. ისინი ფიქრობდნენ, რომ პროფკავშირებს (სინდიკატებს), მუშათა საყოველთაო გაფიცვის მოწყობის გზით,

ურევოლუციოდ შეუძლიათ დაამხონ კაპიტალიზმი და ხელთ აიღონ წარმოების მმართველობა. — 31.

18 «გ ო ლ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა» — გაზეთი, მენშევიკ-ლიკვიდატორების საზღვარგარეთული ორგანო; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის დეკემბრამდე ჯერ ჟენევაში, შემდეგ პარიზში. — 38.

14 «D i e N e u e Z e i t» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ფ. ენგელსი ხშირად აძლევდა მითითებას ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმისაგან გადახვევისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) იდგა ცენტრისტულ კაუცკიანურ პოზიციაზე, მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — 40.

15 დ უ მ ბ ა ძ ე, ი. ა. — მეფის არმიის გენერალი, შავრაზმელი; ქალაქ იალტის მთავარმართებლად ყოფნისას თავი გამოიჩინა განსაკუთრებული სისასტიკითა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობით.

«რ ი გ ი ს მ უ ზ ე უ მ ი» — რიგის პოლიციის სამძებრო განყოფილების საკანი, რომელშიც დაპატიმრებულებს დაკითხვისას სასტიკად აწამებდნენ. როდესაც პოლიციის მოქმედება მხილებულ იქნა პრესაში, მეფის მთავრობამ, რომელიც ცდილობდა უარეყო წამების ფაქტები, განაცხადა, რომ განყოფილებაში არსებული წამების იარაღები «სამუზეუმო მიზნით» არის შეგროვებულიო. ამის გამო რიგის საკანს «რიგის მუზეუმი» უწოდეს. — 41.

16 1 9 0 5 წ ლ ი ს 1 1 (2 4) დ ე კ ე მ ბ რ ი ს კ ა ნ ო ნ ი — I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საარჩევნო კანონი. ამ კანონის მიხედვით ამომრჩეველნი იყოფოდნენ 4 კურიად: მიწათმფლობელთა (მემამულენი), ქალაქის (ბურჟუაზია), გლეხთა და მუშათა კურიებად. მემამულის ერთი ხმა უდრიდა ქალაქის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა 3 ხმას, გლეხთა 16 ხმას და მუშების 45 ხმას. კანონი უზრუნველყოფდა მემამულეთა და კაპიტალისტთა მცირე ჯგუფის უდიდეს სიჭარბეს სათათბიროში. — 41.

17 ნაგულისხმევია ფ. ენგელსის «შესავალი» კ. მარქსის ბროშურისა «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში», 1940, გვ. 9 — 13). — **42.**

18 სტრელცოვი, რ. ე. — სოციალ-დემოკრატი, რევიზიონისტი. — **42.**

19 «Frankfurter Zeitung» («ფრანკფურტის გაზეთი») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მაინის ფრანკფურტში 1856 წლიდან. — **43.**

20 «მშვიდობიანი განახლების პარტია» — ბურჟუაზიულ-მემამულური, კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; შეიქმნა 1906 წელს მემარცხენე ოქტიაბრისტებისა და მემარჯვენე კადეტების გაერთიანების გზით. ლენინი «მშვიდობიანი განახლების პარტიას» უწოდებდა «მშვიდობიანი გაძარცვის პარტიას». — **43.**

21 ნაგულისხმევია კადეტების მოლაპარაკება ტრეპოვთან (შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი) კადეტური სამინისტროს შექმნის შესაძლებლობაზე. — **44.**

22 ეს სტატია ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია იმ მიზნით, რომ პოლონელი სოციალ-დემოკრატებისათვის გაეცნო რსდმპ შიგნით არსებული უთანხმოებანი, და დაიბეჭდა ჟურნალ «Przeglad Socjaldemokratyczny»-ს მე-2 ნომერში, 1908 წლის აპრილს.

«Przeglad Socjaldemokratyczny» («სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა») — ჟურნალი; სცემდნენ პოლონელი სოციალ-დემოკრატები რ. ლუქსემბურგის უახლოესი მონაწილეობით კრაკოვში 1902-დან 1904 წლამდე და 1908-დან 1910 წლამდე. — **45.**

23 «სტოლიჩნაია პოჩტა» — მემარცხენე კადეტების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის ოქტომბრიდან 1908 წლის თებერვლამდე. — **45.**

24 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «საერთაშორისო მიმოხილვები. III. მაისიდან ოქტომბრამდე» (თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 258 — 262). — **47.**

25 რსდმპ III ყრილობა მიმდინარეობდა ლონდონში 1905 წლის 12-დან 27 აპრილამდე (25 აპრილიდან 10 მაისამდე). ყრილობა მოამ-

ზადეს და მოიწვიეს ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით. ეს იყო პირველი ბოლშევიკური ყრილობა.

რსდმპ III ყრილობის დღის წესრიგი, შემუშავებული ლენინის მიერ, შემდეგი იყო: I. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება. II. ტაქტიკური საკითხები: 1) შეიარაღებული აჯანყება; 2) დამოკიდებულება მთავრობის პოლიტიკისადმი გადატრიალების წინახანს და გადატრიალების მომენტში (ეს პუნქტი მიძღვნილი იყო ორი საკითხისადმი: ა) დამოკიდებულება მთავრობის პოლიტიკისადმი გადატრიალების წინახანს; ბ) დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ); 3) დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი. III. ორგანიზაციული საკითხები: 4) მუშებისა და ინტელიგენტების ურთიერთობა პარტიულ ორგანიზაციებში; 5) პარტიის წესდება. IV. დამოკიდებულება სხვა პარტიებისა და მიმდინარეობებისადმი: 6) დამოკიდებულება რსდმ პარტიისაგან ჩამოშორებული ნაწილისადმი; 7) დამოკიდებულება ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი; 8) დამოკიდებულება ლიბერალებისადმი; 9) პრაქტიკული შეთანხმებანი სოციალისტ-რევოლუციონერებთან. V. პარტიული ცხოვრების შინაური საკითხები: 10) პროპაგანდა და აგიტაცია. VI. დელეგატების ანგარიშები: 11) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 12) ადგილობრივი კომიტეტების დელეგატთა ანგარიშები. VII. არჩევნები: 13) არჩევნები; 14) ყრილობის რეზოლუციების და ოქმების გამოქვეყნებისა და თანამდებობის პირთა მიერ თანამდებობის შედგომის წესი.

III ყრილობის ყველა ძირითად საკითხზე ლენინმა ჯერ კიდევ ყრილობამდე დაწერა რეზოლუციების პროექტები და დასაბუთა ისინი თავის სტატიებში, რომლებიც დაბეჭდილი იყო გაზეთ «ვპერიოდში». ლენინი ყრილობაზე გამოვიდა შეიარაღებული აჯანყების, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის, გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების, პარტიის წესდებისა და მთელი რიგი სხვა საკითხების შესახებ. ყრილობის ოქმებში ჩაწერილია ლენინის 138 გამოსვლა და წინადადება.

ყრილობამ შესცვალა პარტიის წესდება: ა) მიიღო წესდების § 1 ლენინის ფორმულირებით; ბ) ზუსტად განსაზღვრა ცენტრალური კომიტეტის უფლებანი და მისი ურთიერთობა ადგილობრივ კომიტეტებთან; გ) შესცვალა პარტიის ცენტრალური ორგანოების ორგანიზაციული აგებულება: ნაცვლად სამი ცენტრისა (ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური ორგანო და პარტიის საბჭო) ყრილობამ

შექმნა ერთადერთი უფლებამოსილი პარტიული ცენტრი — ცენტრალური კომიტეტი.

პარტიის III ყრილობის მუშაობისა და მნიშვნელობის შესახებ იხ. ლენინის სტატია «მესამე ყრილობა» (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 8, გვ. 521 — 529), წიგნი «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 9, გვ. 1 — 162), აგრეთვე «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 78 — 95. — 52.

26 რსდმპ V ყრილობა მიმდინარეობდა ლონდონში 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე (13 მაისიდან 1 ივნისამდე). ყრილობას ესწრებოდა 336 დელეგატი გადამწყვეტი და სათათბირო ხმით. მათგან: ბოლშევიკი — 105, მენშევიკი — 97, ბუნდელი — 57, პოლონელი სოციალ-დემოკრატი — 44, ლატვიელი სოციალ-დემოკრატი — 29, «ფრაქციისგარეშე» — 4. ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ პოლონელები და ლატვიელები და მტკიცე უმრავლესობა ჰყავდათ ყრილობაზე. დელეგატებს შორის იყვნენ: ლენინი, სტალინი, შაუმიანი, დუბროვინსკი, ვოროშილოვი, იაროსლავსკი.

ყრილობამ განიხილა საკითხები: 1) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. 2) სათათბიროს ფრაქციის ანგარიში და მისი ორგანიზაციი. 3) დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი. 4) სახელმწიფო სათათბირო. 5) «მუშათა ყრილობა» და უპარტიო მუშათა ორგანიზაციები. 6) პროფესიული კავშირები და პარტია. 7) პარტიზანული გამოსვლები. 8) უმუშევრობა, ეკონომიური კრიზისი და ლოკაუტები. 9) ორგანიზაციული საკითხები. 10) შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესი (1 მაისი, მილიტარიზმი). 11) მუშაობა არმიაში. 12) სხვადასხვა. ყრილობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხი, რომლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ლენინი. ყველა პრინციპულ საკითხზე ყრილობამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუციები. ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: 5 ბოლშევიკი, 4 მენშევიკი, 2 პოლონელი და 1 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს 10 ბოლშევიკი, 7 მენშევიკი, 3 პოლონელი და 2 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი.

ყრილობა ნიშნავდა ბოლშევიზმის დიდ გამარჯვებას პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაზე — მენშევიკებზე. რსდმპ V ყრილობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებისადმი» (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 12, გვ. 606 —

633) და ი. ბ. სტალინის ნაშრომი «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დ ე ლ ე გ ა ტ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი)» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 47 — 82). — 58.

27 იხ. ფ. ენგელსი. «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ», 1940, გვ. 24 და 27. — 58.

28 პ ს პ (პ ო ლ ო ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა) — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, დაარსებული 1893 წელს. პსპ, რომელმაც პროგრამას საფუძვლად დაუდო დამოუკიდებელი პოლონეთისათვის ბრძოლა, აწარმოებდა სეპარატისტულ, ნაციონალისტურ პროპაგანდას პოლონელ მუშებში და ცდილობდა ჩამოეშორებინა ისინი რუს მუშებთან ერთად ბრძოლისაგან თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლუციის გავლენით პსპ 1906 წელს გაითიშა ორ ფრაქციად: პსპ «ლევიცად» და პსპ «პრავიცად» («ფრაკები»).

«ლ ე ვ ი ც ა მ», თუმცა ის მთლიანად არ უარყოფდა ნაციონალიზმს, ხელი აიღო მთელ რიგ ნაციონალისტურ მოთხოვნებზე და ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე. ტაქტიკურ საკითხებში ის ახლოს იდგა რუს მენშევიკ-ლიკვიდატორებთან და მათთან ერთად ეწეოდა ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის წლებში «ლევიცის» ნაწილი დაადგა ინტერნაციონალისტურ პოზიციას და დაუახლოვდა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას; 1918 წლის დეკემბერში მათ შექმნეს პოლონეთის კომუნისტური პარტია.

«პ რ ა ვ ი ც ა», რომელსაც პილსუდსკი მეთაურობდა, განაგრძობდა ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას; შემდგომ მისგან აღორძინდა პსპ. როცა 1918 წელს შეიქმნა პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო, პსპ, რომელიც მთავრობის პარტიად იქცა, ატარებდა ანტისაბჭოთა პოლიტიკას და მხარს უჭერდა დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის ხალხთა დამონებას. მეორე მსოფლიო ომის დროს პს პარტიის რეაქციულ-შოვინისტური ნაწილი დაადგა ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას, მეორე ნაწილი პოლონეთის მუშათა პარტიასთან და პოლონელ პატრიოტებთან ერთად აწარმოებდა ბრძოლას პოლონეთის განთავისუფლებისათვის ფაშისტური დამონებისაგან და სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. — 59.

29 დუბასოვი, ფ. ვ. — მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც ჩაახშო 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. — 64.

30 «ვიბორგის მანიფესტი» ანუ «ვიბორგის მოწოდება» — I სახელმწიფო სათათბიროს წევრთა მიმართვა «ხალხისადმი ხალხის წარმომადგენლებისაგან», მიღებული 1906 წლის 9 — 10 (22 — 23) ივლისს ვიბორგში შემდგარ თათბირზე, სადაც თავი მოიყარა 200-მდე დეპუტატმა, უმთავრესად კადეტებმა, I სათათბიროს გარეკვის შემდეგ. მიმართვა მოუწოდებდა ხალხს გაეწია მთავრობისათვის «პასიური წინააღმდეგობა» — არ გაეღო გადასახადები და არ მიეცა ახალწვეულნი მანამდე, სანამ მეფე სათათბიროს ახალ არჩევნებს არ დანიშნავდა. 1906 წლის სექტემბერში კადეტთა პარტიის ყრილობამ «პასიური წინააღმდეგობის» გამოყენება აშკარად სცნო «ფაქტიურად განუხორციელებლად». — 64.

31 «განთავისუფლების კავშირი» — ლიბერალურ-მონარქისტული ორგანიზაცია, დაარსებული პ. სტრუვეს მიერ საზღვარგარეთ 1904 წელს. «ოსვობოჟდენიელები» («განმათავისუფლებლები») კონსტიტუციური მონარქიისა მომხრენი იყვნენ, ცდილობდნენ მორიგებოდნენ მეფის მთავრობას და რევოლუციის წინააღმდეგ თავის ბრძოლას ფარავდნენ ყალბი «დემოკრატიზმით». შემდეგ «ოსვობოჟდენიელებმა» შეადგინეს კადეტთა პარტიის ბირთვი. — 65.

32 ნაშრომი «აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევისათვის» დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1908 წელს ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, რომელსაც სცემდა ძმების გრანატების ამხანაგობა, მაგრამ ცენზურული პირობების გამო არ გამოქვეყნებულა. ეს ნაშრომი პირველად გამოსცა მოსკოვში ცალკე ბროშურად 1918 წელს წიგნის გამომცემლობამ «ჟიზნ ი ზნანიემ».

ამ ნაშრომის დაწერისას ლენინმა გამოიყენა ციფრობრივი სტატისტიკური მონაცემები და ცხრილები აგრარულ საკითხზე თავისი ნაწარმოებებიდან «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» და «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 3 და ტომი 13, გვ. 69 — 163). — 69.

33 იგულისხმება წიგნი «1905 წლის მიწათმფლობელობის სტატისტიკა. ევროპული რუსეთის 50 გუბერნიის მონაცემთა შენაჯამი». სპბ., შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის გამოცემა, 1907. — 71.

84 იგულისხმება ნ. ა. რუბაკინის სტატია «ჩვენი მმართველი ბიუროკრატია ციფრების მიხედვით», დაბეჭდილი გაზეთში «სინ ოტეჩესტვა» № 54, 1905 წ. 20 აპრილს (3 მაისს). — 75.

85 გლეხთა თანრიგები, რომლებსაც აქ ვ. ი. ლენინი ჩამოთვლის, არსებობდნენ მეფის რუსეთში როგორც ბატონყმურ და ნახევრადბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთები.

ჩ ი ნ შ ე ლ ე ბ ი — გლეხები, რომლებიც სარგებლობდნენ ჩინშის უფლებით — მიწის სამუდამო მემკვიდრეობითი ფლობის უფლებით და რომლებიც თითქმის შეუცვლელი ღალით — ჩინშით იბეგრებოდნენ. ჩინშური ურთიერთობა გავრცელებული იყო უმთავრესად პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუსიაში და უკრაინის შავიზღვისპირა ნაწილებში.

რ ე ზ ე შ ე ბ ი — მიწის წვრილი მესაკუთრენი მოლდავეთსა და ბესარაბიაში.

ტ ე პ ტ ი ა რ ე ბ ი — ახალბაშკირები — ურალიდან და ვოლგისპირეთიდან გადმოსახლებულნი, რომელნიც ბაშკირეთის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ. — 77.

86 იგულისხმება «სარატოვის გუბერნიის სტატისტიკური ცნობების კრებული. ტ. I. სარატოვის მაზრა». სარატოვი, სარატოვის საგუბერნიო ერობის გამოცემა, 1883. — 78.

87 იგულისხმება წიგნი: «**Beiträge zur Kenntniss des Russischen Reiches und der angränzenden Länder Asiens**». **Auf Kosten der Kaiserl. Akademie der Wissenschaften herausgegeben von K. E. Baer und Helmersen, St. Petersburg,** 1845 («რუსეთის სახელმწიფოს და მისი მოსაზღვრე აზიის ქვეყნების შესწავლის ნარკვევები». გამოცემულია მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის სახსრებით კ. ე. ბერისა და ჰელმერსენის რედაქციით, ს.-პეტერბურგი, 1845). — 84.

88 წიგნის სრული სახელწოდება — «ნებით დაქირავებული შრომა სამფლობელო მეურნეობებში და მუშების გადასვლა-გადმოსვლა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მხრივ ევროპული რუსეთის სტატისტიკურ-ეკონომიურ მიმოხილვასთან დაკავშირებით». შეადგინა ს. ა. კოროლენკომ. სპბ., 1892 (სასოფლო-სამეურნეო და სტატისტიკური ცნობები მეურნეებისაგან მიღებული მასალების მიხედვით, ნაკვ. V). — 87.

39 ს კ ო პ ჩ ი ნ ა — ასე იწოდებოდა მეფის რუსეთის მთელ რიგ რაიონებში ნატურალური კაბალური იჯარა, როდესაც მოიჯარადრე მიწათმფლობელს უხდიდა «კოპნიდან» (ბულული) მოსავლის ნახევარს, ზოგჯერ კი მეტსაც და, გარდა ამისა, აძლევდა მას თავისი შრომის ნაწილს სხვადასხვა «შრომამიგების» სახით. — 01.

40 იგულისხმება შემდეგი წიგნები:

1) ვ. ორლოვი. «გლეხთა მიწათმფლობელობის ფორმები მოსკოვის გუბერნიაში», მ., მოსკოვის საგუბერნიო ერობის გამოცემა, 1879 (მოსკოვის გუბერნიის სტატისტიკური ცნობების კრებული, ტ. 4, ნაკვ. 1);

2) ვ. ტრიროგოვი. «თემი და გამოსაღები. (გამოკვლევათა კრებული)», სპბ., 1882;

3) **Johannes Keussler. «Zur Geschichte und Kritik des bäuerlichen Gemeindebesitzes in Russland», Teil 1 — 3, 1876 — 1887** (იოჰან კეისლერი. «რუსეთის გლეხური სათემო მიწათმფლობელობის ისტორიისა და კრიტიკისათვის», ნაწილი 1 — 3, 1876 — 1887);

4) ვ. ვ. «გლეხური თემი» (იხ. «შედეგები რუსეთის ეკონომიური გამოკვლევისა საერობო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით», ტ. I, მ., 1892).

ვ. ვ. — ფსევდონიმი ვ. პ. ვორონცოვისა, XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგისა. — 96.

41 «ს ე ვ ე რ ნ ი ვ ე ს ტ ნ ი კ» — ლიბერალური მიმართულების სალიტერატურო-სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1885-დან 1898 წლამდე. გამოცემის პირველ წლებში ჟურნალში იბეჭდებოდა ნაროდნიკების: ნ. კ. მიხაილოვსკის, ს. ნ. იუჟაკოვის, ვ. პ. ვორონცოვის, ს. ნ. კრივენკოს და სხვათა სტატიები 1891 წლიდან ჟურნალი ფაქტიურად გახდა რუსი სიმბოლისტებისა და დეკადენტების ორგანო და იდეალიზმსა და მისტიციზმს ქადაგებდა. — 98.

42 იგულისხმება ნ. კარიშევის ნაშრომი «გლეხთა ნადელგარეშე იჯარები» (იხ. «შედეგები რუსეთის ეკონომიური გამოკვლევისა საერობო სტატისტიკის მონაცემთა მიხედვით», ტ. II, დერპტი, 1892). — 102.

48 ნ ი კ. — ო ნ — ფსევდონიმი ნ. თ. დანიელსონისა, XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგისა. — 108.

44 იგულისხმება «ზემლიანსკის, ზადონსკის, კოროტოიაკისა და ნიჟნედევიცკის მაზრების გლეხური მიწათმფლობელობის შეფასების ცნობების კრებული». «ვორონეჟის გუბერნიის სტატისტიკურ ცნობათა კრებულის» III, IV, V და VI ტომების დამატება, ვორონეჟი, ვორონეჟის საგუბერნიო ერობის გამოცემა, 1889. — **116**.

45 დ. ნ. ᲣᲑᲐᲜᲙᲝᲕᲘᲡ ნარკვევი «ბაბია სტორონა» დაბეჭდილია წიგნში «კოსტრომის გუბერნიის სტატისტიკის მასალები», ნაკვ. 8, კოსტრომა, კოსტრომის საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტის გამოცემა, 1891. — **118**.

46 «ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙ ᲔᲕᲠᲝᲞᲘ» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1866 წლიდან 1918 წლის ზაფხულამდე. ჟურნალი ატარებდა რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს; 90-იანი წლების დამდეგიდან ეწეოდა სისტემატურ ბრძოლას მარქსიზმის წინააღმდეგ. — **123**.

47 ეს მონაცემები მოყვანილია წიგნში «სამარის გუბერნიის სტატისტიკურ ცნობათა შენაჯამი კრებული», ტ. 8, ნაკვ. 1, სამარა, სამარის საგუბერნიო ერობის გამოცემა, 1892 — **129**.

48 იგულისხმება მ. ს. უვაროვის სტატია «რუსეთის სანიტარულ მდგომარეობაზე გარესარეწის გავლენის შესახებ, დაბეჭდილი ჟურნალში «საზოგადოებრივი ჰიგიენის, სასამართლო და პრაქტიკული მედიცინის მოამბე», 1896 წლის ივლისი. — **131**.

49 ლენინს მოჰყავს ციფრობრივი მონაცემები ნ. ფ. რუდნევის სტატიიდან «გლეხთა სარეწები ევროპულ რუსეთში», რომელიც დაიბეჭდა 1894 წელს «სარატოვის ერობის კრებულში» №№ 6 და 11. — **132**.

50 იგულისხმება ნ. ი. ტეზიაკოვის წიგნი «სოფლის მეურნეობის მუშები და მათ მიმართ სანიტარული მეთვალყურეობის ორგანიზაცია ხერსონის გუბერნიაში», ხერსონი, ხერსონის გუბერნიის საერობო გამგეობის გამოცემა, 1896. — **134**.

51 ლენინს მოჰყავს მონაცემები ნ. ა. ბლაგოვეშჩენსკის წიგნიდან «საერობო კომლობრივ აღწერათა სამეურნეო ცნობების შენაჯამი სტატისტიკური კრებული. ტ. I. გლეხური მეურნეობა», მ., 1893. — **146**.

52 იხ. კ. მარქსი, «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 131 — 141. — **152**.

53 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. 2, 1936, გვ. 8 — 9. — 155.

54 «რევოლუციონნაია მისლ» — ესერების ჯგუფის ორგანო; გამოდიოდა საზღვარგარეთ 1908 წლის აპრილიდან 1909 წლის დეკემბრამდე. გამოვიდა ექვსი ნომერი. — 160.

55 «ზნამია ტრუდა» — ესერების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1907 წლის ივლისიდან 1914 წლის აპრილამდე. — 160.

56 «პლეევეს წესები» — სასტიკი პოლიტიკური რეჟიმი, შემოღებული რუსეთში 1902 წელს შინაგან საქმეთა მინისტრ ვ. კ. პლეევეს მიერ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. — 172.

57 ავტორეფერატი «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» მოკლედ გადმოგვცემს შინაარსს წიგნისას «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 265 — 540). რეფერატი ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი იყო იმ მიზნით, რომ პოლონელი სოციალ-დემოკრატებისათვის გაეცნო რსდმ პარტიაში აგრარულ საკითხზე არსებული უთანხმოებანი, და გამოქვეყნებულია ჟურნალ «Przeglad Socjaldemokratyczny»-ის («სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა») 1908 წლის აგვისტოს № 6-ში. — 177.

58 ჯონი — მენშევიკი პ. პ. მასლოვი. — 188.

59 ვანდეა — საფრანგეთის პროვინცია, სადაც XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში იფეთქა ჩამორჩენილი რეაქციული გლეხობის კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ რევოლუციური კონვენტის წინააღმდეგ. აჯანყება მიმდინარეობდა რელიგიური ლოზუნგებით; მას ხელმძღვანელობდნენ კონტრრევოლუციური სამღვდელოება და მემამულეები. — 188.

60 კოსტროვი — კავკასიელი მენშევიკების ლიდერი ნ. ნ. ჟორდანია. — 188.

61 «ობრაზოვანიე» — ყოველთვიური სალიტერატურო, პოპულარულ-სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა

პეტერბურგში 1892-დან 1909 წლამდე; 1902 — 1908 წლებში ჟურნალში იბეჭდებოდა მარქსისტების სტატიები. — **188.**

62 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. II, 1947, გვ. 167 — 168. — **186.**

63 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. 2, 1936, გვ. 8 — 9. — **187.**

64 «ზ ა რ ი ა» — მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი; სცემდა 1901 — 1902 წლებში «ისკრის» რედაქცია შტუტგარტში. გამოვიდა 4 ნომერი — სამი წიგნი.

«ზარიაში» დაბეჭდილია ლენინის სტატიები: «შემთხვევითი» შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «საშინაო მიმოხილვა» და «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». — **192.**

65 «ჟ ი ზ ნ» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1897-დან 1901 წლამდე; 1902 წელს გამოდიოდა საზღვარგარეთ. 1899 წლიდან ჟურნალი წარმოადგენდა «ლეგალური მარქსისტების» ორგანოს. — **192.**

66 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. II, 1947, გვ. 375 — 377, 373 — 374, 370 და 371. — **194.**

67 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. II, 1947, გვ. 359 — 365. — **194.**

68 იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 131 — 141. — **195.**

69 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. 1, 1936, გვ. 138. — **195.**

70 ლენინს ციტატი მოჰყავს კ. მარქსის 1871 წ. 12 აპრილის წერილიდან ლ. კუგელმანისადმი (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული, წერილები, 1947, გვ. 263). — **204.**

71 «პ შ ე გ ლ ო ნ დ» — «**Przegląd Socjaldemokratyczny**» სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა») — პოლონელი სოციალ-დემოკრატების ჟურნალი. — **204.**

72 ლ ი ა ხ ო ვ ი, ვ. პ. — მეფის არმიის პოლკოვნიკი, სარდლობდა რუსეთის ჯარებს, რომლებიც ახშობდნენ ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობას სპარსეთში 1908 წელს. — 210.

73 «L'H u m a n i t e» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული ჟ. ჟორესის მიერ 1904 წელს როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. მალე მას შემდეგ, რაც 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე მოხდა სოციალისტური პარტიის გათიშვა და შეიქმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, გაზეთი მის ორგანოდ იქცა. «ლუმანიტე» გამოდის პარიზში ამჟამადაც როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — 214.

74 ეს შენიშვნა დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარში» როგორც ბოლოსიტყვაობა ნარკვევისა «როგორ ასწორებს პეტრე მასლოვი კარლ მარქსის შავად ნაწერ მონახაზებს» (იხ. «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში», თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 371 — 380). — 219.

75 იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი» (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 13, გვ. 81 — 90 და 91 — 105). — 222.

76 სტატია «ინგლისელი და გერმანელი მუშების სამშვიდობო დემონსტრაცია» ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია მუშათა კრების გამო, რომელიც მიმდინარეობდა ბერლინში 1908 წლის 7 (20) სექტემბერს ომის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. სტატია განკუთვნილი იყო გაზეთ «პროლეტარის» № 36-სათვის, მაგრამ არ გამოქვეყნებულა. — 246.

77 «V o r w ä r t s» («წინ») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გაზეთმა გამოსვლა იწყო 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვათა რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი აწარმოებდა ბრძოლას ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, გაზეთ «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნისტებისა, რომლებიც ბატონობდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში და II ინტერნაციონალში. — 249.

78 იგულისხმება რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის გადაწყვეტილება, გამოქვეყნებული გაზეთ «პროლეტარის» № 36-ში, განყოფილებაში

«პარტიიდან», 1908 წლის 3 (16) ოქტომბერს. პეტერბურგის კომიტეტი მოუწოდებდა სტუდენტობის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს საჯაროდ გამიჯნოდნენ სტუდენტთა კოალიციური საბჭოს მიმართვას და დაემორჩილებინათ სტუდენტთა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიის ამოცანებისადმი ცარიზმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლაში. — **256.**

79 ბერლინის ტრაქტატი — ხელშეკრულება, დამტკიცებული 1878 წლის 13 ივლისს (ახ. სტ.) რუსეთის, ინგლისის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და თურქეთის მთავრობათა წარმომადგენლების კონგრესის მიერ რუსეთ-თურქეთის 1877 — 1878 წლების ომის შემდეგ. — **264.**

80 «ნოვოე ვრემია» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ზომიერ-ლიბერალური, 1876 წლიდან იგი გადაიქცა რეაქციული თავადაზნაურული და მოხელურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. გაზეთი აწარმოებდა ბრძოლას არა მარტო რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან გახდა შავრაზმელთა ერთ-ერთ ორგანოდ. ლენინი «ნოვოე ვრემიას» მოსყიდული გაზეთების ნიმუშს უწოდებდა. — **268.**

81 საერთაშორისო სოციალისტური ბიურო (სსბ) — II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო; შეიქმნა პარიზის 1900 წლის კონგრესის გადაწყვეტილებით. 1905 წლიდან ლენინი შედიოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შემადგენლობაში რსდმპ წარმომადგენლად. — **275.**

82 იგულისხმება ბიულეტენი, რომელსაც სცემდა ბერლინში მენშევიკების ჯგუფი სახელწოდებით **«Russisches Bulletin»** («რუსული ბიულეტენი»). ბიულეტენი გამოდიოდა 1907 წლიდან 1916 წლამდე. — **276.**

83 ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო (ცკსბ) შექმნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1908 წლის აგვისტოს პლენუმმა როგორც ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსადმი დაქვემდებარებული საერთო-პარტიული წარმომადგენლობა საზღვარგარეთ.

მალე, ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში ჩამოყალიბდა ლიკვიდატორული უმრავლესობა, და ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო გადაიქცა ანტიპარტიული ძალების შემოკრების ცენტრად. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ლიკვიდატორულმა ტაქტიკამ აიძულა ბოლშევიკები გამოეწვიათ 1911 წლის მაისში მისი შემადგენლობიდან თავიანთი წარმომადგენელი (ალექსანდროვი — ნ. ა. სემაშკო). შემდეგ გამოწვეულ იქნენ პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები.

1912 წლის იანვარში მოხდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს თვითლიკვიდაცია. — **276.**

84 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 396 — 399 და 414 — 416; თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 319 — 321. — **283.**

85 სიონისტი-სოციალისტები («სიონისტურ-სოციალისტური მუშათა პარტია») — ებრაელთა წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია, შეიქმნა 1904 წელს. სიონისტი-სოციალისტები ისწრაფოდნენ ჩამოეშორებინათ ებრაელი მუშები საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისაგან და ქადაგებდნენ შეთანხმებას ბურჟუაზიასთან ებრაელთა სახელმწიფოს შექმნისათვის საბრძოლველად. — **290.**

86 ებრაელთა სოციალისტური მუშათა პარტია (ესმპ) — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია, შეიქმნა 1906 წელს. ებრაელთა სოციალისტური მუშათა პარტიის პროგრამის საფუძველს შეადგენდა ებრაელთა ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა — ებრაელთა ექსტერიტორიული პარლამენტების (სეიმების) შექმნა, რომლებიც უფლებამოსილნი უნდა ყოფილიყვნენ გადაეწყვიტათ რუსეთში ებრაელთა პოლიტიკური წყობილების საკითხები. ებრაელთა სოციალისტური მუშათა პარტია ახლოს იდგა ესერებთან და მათთან ერთად იბრძოდა რსდმ პარტიის წინააღმდეგ. — **291.**

87 სკვორცოვი, ა. ი. — ბურჟუაზიული ეკონომისტი, ავტორი მთელი რიგი ნაშრომებისა სოფლის მეურნეობის შესახებ. სკვორცოვის შეხედულებანი ლენინს არა ერთხელ გაუკრიტიკებია თავის ნაწარმოებებში (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 1, გვ. 226, 575 — 578 და ტომი 3, გვ. 44). — **296.**

88 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. II, 1947, გვ. 324. — **298.**

89 ეს სტატია დაწერილია პასუხად პ. მასლოვის სტატიისა, რომელიც დაიბეჭდა 1908 წლის სექტემბერს პოლონელი სოციალ-დემოკრატების ჟურნალ **«Przeglad Socjaldemokratyczny»**-ს («სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა») № 7-ში, სათაურით «აგრარული პროგრამის საკითხის გამო. (პასუხი ლენინს)». მასლოვი გამოდიოდა ბოლშევიკური პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც გადმოცემული იყო ლენინის მიერ ავტორეფერატში «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (იხ. ეს ტომი, გვ. 177 — 208); მასლოვი იცავდა მენშევიკების აგრარულ პროგრამას. — **307.**

90 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კანონპროექტი ფეოდალური გადასახადების შესახებ» (თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 335 — 340) და «მანიფესტი კრიგეს წინააღმდეგ» (თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 99 — 102). — **315.**

91 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 369 — 370. — **328.**

92 1878 წელს თურქეთის ხონთქარმა აბდულ-ჰამიდმა დაითხოვა პარლამენტი. მხოლოდ 1908 წელს, ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, აღადგინეს თურქეთში კონსტიტუცია და მოიწვიეს პარლამენტი. — **330.**

93 ოტზოვისტებს უწოდებდნენ ბოლშევიკების ნაწილს (ბოგდანოვი, პოკროვსკი, ლუნაჩარსკი, ბუბნოვი და სხვ.), რომლებიც მოითხოვდნენ სოციალ-დემოკრატი დეპუტატების გამოწვევას III სახელმწიფო სათათბიროდან და მუშაობის შეწყვეტას ლეგალურ ორგანიზაციებში. ოტზოვიზმი პირდაპირი განმგრძობი იყო ბოიკოტიზმისა — ოპორტუნისტული მიმდინარეობისა ბოლშევიზმის შიგნით 1907 წელს, რომელსაც მეთაურობდნენ ბოგდანოვი და კამენევი. 1908 წელს ოტზოვისტებმა შეადგინეს განსაკუთრებული ჯგუფი და დაიწყეს ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ. ოტზოვისტები გადაჭრით უარს ამბობდნენ იმაზე, რომ მონაწილეობა მიეღოთ სათათბიროში, მუშათა პროფესიულ კავშირებში, კოოპერატივებში და სხვა მასობრივ ლეგალურ და ნახევრადლეგალურ ორგანიზაციებში და ისწრაფოდნენ ჩაკეტილიყვნენ არალეგალური ორგანიზაციის ჩარჩოებში. ოტზოვისტები «რევოლუციურ» ფრაზას ეფარებოდნენ, ნამდვილად კი ლიკვიდატორების

ხაზს ატარებდნენ: ისინი ცდილობდნენ წაერთმიათ პარტიისათვის ბრძოლის ლეგალური ფორმების გამოყენების შესაძლებლობა, მოეწყვიტათ იგი უპარტიო მასებისაგან და ხელმისაწვდომი გაეხადათ რეაქციისათვის. ლენინი ოტზოვისტებს უწოდებდა «ახალი სახის ლიკვიდატორებს», «უკეღმა პირის მენშევიკებს».

ოტზოვიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა ულტიმატიზმი. ულტიმატისტები ოტზოვისტებისაგან მხოლოდ ფორმით განსხვავდებოდნენ. ისინი წინადადებას იძლეოდნენ წინასწარ წაეყენებინათ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის ულტიმატუმი და, თუ მას არ შეასრულებდნენ, გამოეწვიათ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები სათათბიროდან.

ულტიმატიზმი ფაქტიურად წარმოადგენდა ფარულ, შენიღბულ ოტზოვიზმს. ლენინი ულტიმატისტებს «მორცხვ ოტზოვისტებს» უწოდებდა.

1909 წლის გაზაფხულზე ოტზოვისტებმა, ულტიმატისტებმა და ღვთისმშენებლებმა შექმნეს საინიციატივო ჯგუფი კაპრის კუნძულზე ანტიპარტიული სკოლის მოსაწყობად (ბოგდანოვი, ალექსინსკი, ლუნაჩარსკი და სხვ.), ფაქტიურად ეს ჯგუფი წარმოადგენდა ოტზოვისტების, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლების ანტიპარტიული ფრაქციის ცენტრს.

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა, რაც 1909 წლის ივნისში შედგა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ «ბოლშევიზმს, როგორც განსაზღვრულ მიმდინარეობას რსდმ პარტიაში, არაფერი აქვს საერთო ოტზოვიზმთან და ულტიმატიზმთან», და მოუწოდა ბოლშევიკებს უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინათ რევოლუციური მარქსიზმისაგან ამ გადახვევათა წინააღმდეგ. ოტზოვისტების სულისჩამდგმელი ბოგდანოვი (მაქსიმოვი) გარიცხულ იქნა ბოლშევიკების რიგებიდან. — 345.

94 ბულანჟიზმი — XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის რეაქციულ-შოვინისტური მოძრაობა საფრანგეთში; ასე ეწოდა გენერალ ბულანჟეს სახელის მიხედვით, რომელიც მეთაურობდა ამ მოძრაობას.

ზომიერ რესპუბლიკელთა მმართველი პარტიის პოლიტიკის კრიტიკითა და მონარქისტების წინააღმდეგ მოჩვენებითი ბრძოლით ბულანჟე ცდილობდა მოეპოვებინა ავტორიტეტი წვრილ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატში და გამოეყენებინა მთავრობის მიმართ მათი უკმაყოფილება კარიერისტული მიზნებისათვის. ფარულად ბულანჟეს კავშირი ჰქონდა გაბმული მონარქისტებთან და მათგან სუბსიდიებს ღებულობდა.

ბულანჟისტურ მოძრაობას მასებმა მხარი არ დაუჭირეს, და იგი მალე დაირღვა. — **357.**

95 «მ ც ო დ ნ ე ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი» ანუ «მცოდნე პირები» — გამოდიოდნენ III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მრჩეველთა როლში. უმეტესად ესენი იყვნენ ლიკვიდატორები — ე. სმირნოვი, ა. პოტრესოვი, ს. პროკოპოვიჩი და სხვ.

სარგებლობდნენ რა იმით, რომ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწენი არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მოკლებული იყვნენ საშუალებას ლეგალურად მიეღოთ მონაწილეობა სათათბიროს ფრაქციის მუშაობაში, «მცოდნე პირები» ცდილობდნენ წარემართათ ფრაქციის მოღვაწეობა მენშევიზმის გზით.

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირზე 1909 წლის ივნისში ლენინმა წინადადება წამოაყენა მოეხდინათ რამდენიმე ბოლშევიკის ლეგალიზება სათათბიროს ფრაქციისათვის დახმარების გასაწევად. თათბირმა დაადგინა, შეექმნათ სათათბიროს ფრაქციის ხელისშემწყობი კომისია, და მის შემადგენლობაში აირჩია ვ. ი. ლენინი. — **360.**

96 «რ ო ს ს ი ა» — ყოველდღიური პოლიციურ-შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905-დან 1914 წლამდე; 1906 წლიდან — შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ორგანო. — **363.**

97 უ გ რ ი უ მ-ბ უ რ ჩ ე ე ვ ი — გონებაჩლუნგი, გონებაშეზღუდული წარჩინებული მოხელის ტიპი, გამოყვანილი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებში «ერთი ქალაქის ისტორია». — **370.**

98 გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ ი თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ი ს ს ა ბ ჭ ო — მემამულეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; შეიქმნა 1906 წლის მაისში.

საბჭო დიდ გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკაზე. III სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი რიცხვი შედიოდა სახელმწიფო საბჭოში და შავრაზმული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრებში. — **372.**

99 ჯ ო რ ჯ ი, ჰ ე ნ რ ი — ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და პუბლიცისტი. ჯორჯის შეხედულებათა კრიტიკა მოგვცა კ. მარქსმა 1881 წლის 20 ივნისის წერილში ფ. ზორგეესადმი და ფ. ენგელსმა წიგნის «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» ამერიკული გამოცემის წინასიტყვაობაში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წე-

რილები, 1947, გვ. 349 — 351; თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 284 — 292). — 880.

100 პროექტი ბელოუსოვის სიტყვისა აგრარულ საკითხზე დაწერილი იყო ლენინის მიერ. ბელოუსოვის მიერ მოყვანილი სტატისტიკური შედარებანი და ციფრობრივი მონაცემები აღებულია ლენინის ნაშრომებიდან, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული: «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი, 13, გვ. 265 — 540.) და «აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 69 — 163). — 884.

101 რსდმპ მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენციაზ შესდგა პარიზში 1908 წლის 21 — 27 დეკემბერს (1909 წლის 3 — 9 იანვარს). კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ უდიდესი პარტიული ორგანიზაციები: პეტერბურგის, ურალის, კავკასიის, მოსკოვისა და ცენტრალური სამრეწველო ოლქის, აგრეთვე პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და ბუნდი. კონფერენციას ესწრებოდა 16 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, მათ შორის 5 ბოლშევიკი, 3 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი და 3 ბუნდელი. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი იყო ლენინი.

კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) რსდმპ ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბუნდის ცენტრალური კომიტეტის, რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის, მოსკოვისა და ცენტრალური სამრეწველო საოლქო, ურალისა და კავკასიის ორგანიზაციების ანგარიშები; 2) თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის ამოცანები; 3) სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ; 4) ორგანიზაციული საკითხები შეცვლილ პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით; 5) გაერთიანება ადგილებზე ნაციონალურ ორგანიზაციებთან; 6) საზღვარგარეთული საქმეები; და სხვა.

კონფერენციაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ» და სიტყვებით სათათბიროს ფრაქციაზე, ორგანიზაციულ და სხვა საკითხებზე. კონფერენციაზე ბოლშევიკები ებრძოდნენ ოპორტუნიზმის ორ სახეობას პარტიაში: «ლიკვიდატორებს, პარტიის პირდაპირ მოწინააღმდეგეებს, და ოტზოვისტებს, პარტიის ფარულ მტრებს». ლენინის წინადადებით კონფერენციამ დაგმო ლიკვიდატორობა და მოუწოდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას გადამწყვეტი ბრძოლისაკენ

პარტიის ლიკვიდაციის ცდების წინააღმდეგ. კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «გზაზე» (ეს ტომი, გვ. 418 — 431). — **387.**

102 სათაური მისცა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **398.**

103 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. II, 1947, გვ. 343 — 377. — **404.**

104 ერფურტის პროგრამა — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამა, მიღებული ერფურტის ყრილობაზე 1891 წლის ოქტომბერში. — **404.**

105 იგულისხმება პლეხანოვის განცხადება ლიკვიდატორული ორგანოს — გაზეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციიდან გასვლის შესახებ. განცხადება დაიბეჭდა ამ ორგანოს № 10 — 11-ში, რომლის გამოცემაც მზადდებოდა. პლეხანოვთან დამატებითი მოლაპარაკების შემდეგ მისი განცხადება ამოიღეს გვერდებად შეკრული გაზეთიდან, ხოლო იმ ადგილს, სადაც ის ნახსენები იყო სათაურში, ქაღალდი დააწებეს. მაგრამ კონფლიქტი საბოლოოდ არ ყოფილა ლიკვიდირებული. 1909 წლის მაისს გაზეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» № 14-ში გამოქვეყნდა პლეხანოვის წერილი, რომელშიც ის აუწყებდა მკითხველებს თავის ფორმალურ გასვლას რედაქციიდან. — **435.**

106 «ვპერიოდ» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე. გამოვიდა 18 ნომერი. გაზეთის ორგანიზატორი, იდეური სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი.

რსდმპ III ყრილობამ სპეციალურ რეზოლუციაში აღნიშნა გაზეთ «ვპერიოდის» დიდი როლი მენშევიზმთან ბრძოლაში პარტიულობის აღდგენისათვის, დაწყებულ რევოლუციით წამოყენებულ საკითხთა დასმასა და გაშუქებაში და მადლობა გამოუცხადა გაზეთის რედაქციას. — **437.**

107 «პარტიინიე იზვესტია» — გაზეთი, რსდმპ გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა არალეგალურად პეტერბურგში პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის წინ. გამოვიდა ორი ნომერი: 1906 წლის 7 (20) თებერვალსა და 20 მარტს (2 აპრილს). «პარტიინიე იზვესტიას» რედაქცია შედგენილი იყო თანასწორ საფუძველზე ბოლშევიკური გაზეთის — «პროლეტარის» და

მენშევიკური გაზეთის — ახალი «ისკრის» რედაქტორებისაგან. რედაქციის შემადგენლობაში ბოლშევიკებისაგან შედიოდნენ ლენინი, ლუნაჩარსკი და სხვები. პარტიის IV ყრილობის შემდეგ «პარტიინეე იზვესტიას» გამოცემა შეწყვეტილ იქნა. — **440.**

108 «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა დ უ მ ა» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის მარტ-აპრილში. — **446.**

109 იგულისხმება რეზოლუცია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ, მიღებული პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის VI ყრილობის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა პრაგაში (ვარშავის გარეუბანი) 1908 წლის დეკემბერს.

ყრილობამ უკუაგდო ლიკვიდატორული ტენდენციები და დაადასტურა, რომ სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ამოცანაა ბრძოლა პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის რევოლუციური გლეხობის დახმარებით. — **448.**

110 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი» — გაზეთი, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არალეგალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 17 (30) სექტემბრიდან 18 ნოემბრამდე (1 დეკემბრამდე). გამოვიდა 7 ნომერი. გაზეთის რედაქცია მენშევიკების ხელში იყო. — **454.**

111 «რ ე ი ნ ი ს ა ხ ა ლ ი გ ა ზ ე თ ი» (**«Neue Rheinische Zeitung»**) გამოდიოდა კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე, გაზეთის ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მთავარი რედაქტორი იყო კ. მარქსი. № 301 გამოსვლის შემდეგ გაზეთმა, რეაქციის თავდასხმების შედეგად, შეწყვიტა არსებობა.

აქ ლენინს მოჰყავს ციტატები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სტატიებიდან «ბერლინში გამართული კამათი რევოლუციის შესახებ» «და კანონპროექტი ფეოდალური გადასახადების შესახებ»; სტატიები გამოქვეყნდა «რეინის ახალ გაზეთში» 1848 წლის 14 ივნისს და 30 ივლისს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 163 და 339 — 340). — **459.**

112 იხ. ფ. ენგელსი. «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ», 1940, გვ. 24. — **460.**

113 ხელნაწერს სათაური არა აქვს. დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **484.**

114 «ვ ო ზ რ ო ჟ დ ე ნ ი ე» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ჟურნალი; გამოდიოდა 1908 წლის დეკემბრიდან 1910 წლის ივნისამდე მოსკოვში. — **484.**

115 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 163. — **485.**

116. ლენინს მოჰყავს ფ. ენგელსის სიტყვები კ. მარქსის ნაშრომის «ფილოსოფიის სიღატაკის» «პირველი გერმანული გამოცემის წინასიტყვაობიდან» (იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 9). — **490.**

117 იხ. კ. მარქსი. «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 385). — **493.**

118 იხ. ფ. ენგელსი. «ემიგრანტული ლიტერატურა. II. კომუნის ბლანკისტ ემიგრანტების პროგრამა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 224 — 230). — **493.**

119 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1945, გვ. 299 — 301. — **494.**

120 იგულისხმება ფ. ენგელსის «შესავალი» კ. მარქსის ბროშურისათვის «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», 1940, გვ. 13). — **495.**

121 «ვ ე ხ ი» — კადეტური კრებული, გამოვიდა მოსკოვში 1909 წელს. კრებულში მოთავსებულია ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის, პ. სტრუვეს, მ. გერშენზონისა და კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენელთა სტატიები. თავიანთ სტატიებში რუსეთის ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების, მათ შორის ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისათვის; ლანძღავდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მადლობას უცხადებდნენ მეფის მთავრობას იმისათვის, რომ მან «თავისი ხიშტებითა და საპატიმროებით» იხსნა ბურჟუაზია «ხალხის მძვინვარებისაგან». კრებული მოუწოდებდა ინტელიგენციას ჩამდგარიყო თვითმპყრობელობის სამსახურში. ლენინი კრებულ «ვეხის» პროგრამას ფილოსოფიაშიც და პუბლიცისტიკაშიც ადარებდა შავრაზმული გაზეთის «მოსკოვსკიე ვედომოსტის» პროგრამას და კრებულს უწოდებდა «ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ნ ე გ ა ტ ო ბ ი ს ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა ს», «დემოკრატიაზე გადმოღვრილი რეაქციული წუმპის მთლიან ღვარს». — **503.**

122 «გ ო ლ ო ს მ ო ს კ ვ ი» — ყოველდღიური გაზეთი, ოქტიაბრისტების — მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და მსხვილი მემამულეების

კონტრრევოლუციური პარტიის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლიდან 1915 წლამდე. — **514.**

123 «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირი შესდგა პარიზში 1909 წლის 8—17 (21—30) ივნისს. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკური ცენტრის (რომელიც არჩეული იყო 1907 წელს რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის მიერ) 9 წევრმა ლენინის მეთაურობით, პეტერბურგის, მოსკოვის საოლქო და ურალის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირი მოწვეული იყო ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების მოქმედების განსახილველად.

თათბირმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ; 2) ღვთისმშენებლობის ტენდენციებზე სოციალ-დემოკრატიულ წრეში; 3) სათათბიროში მოღვაწეობისადმი დამოკიდებულებაზე პარტიული მუშაობის სხვა დარგებს შორის; 4) ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში; 5) პარტიულ სკოლაზე, რომელსაც აწყობდნენ საზღვარგარეთ (კაპრზე); 6) აგიტაციაზე პარტიისაგან ცალკე ბოლშევიკური ყრილობის სასარგებლოდ ან ბოლშევიკური კონფერენციის სასარგებლოდ; 7) ამხ. მაქსიმოვის გამოთიშვაზე; და სხვა საკითხები.

თათბირი ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ლენინმა წარმოთქვა სიტყვები დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხზე. ოტზოვიზმსა და ულტიმატიზმს თათბირზე წარმოადგენდნენ და იცავდნენ ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი) და ვ. შანცერი (მარატი). ორპირული პოზიცია ეკავათ კამენევს, ზინოვიევს, რიკოვს, ტომსკის.

თათბირმა დაგმო ოტზოვიზმი და ულტიმატიზმი, როგორც «ლიკვიდატორობა მარცხნიდან». ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის სულისჩამდგმელი — ბოგდანოვი გარიცხულ იქნა ბოლშევიკების რიგებიდან. თათბირმა დაგმო აგრეთვე ღვთისმშენებლობა და დაადგინა ეწარმოებინათ მასთან გადამწყვეტი ბრძოლა და ემხილებინათ მისი ანტიმარქსისტული ხასიათი.

ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომლებიც დაბეჭდილია ამ ტომში, დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **521.**

124 სტ.—სტანისლავ ვოლსკი — ა. ვ. სოკოლოვი — მოსკოველი ოტზოვისტების ლიდერი. — **524.**

125 მ. ტ. — ტომსკი. — **529.**

126 «პარტიული სკოლა, რომელიც ეწყობა საზღვარგარეთ N. N-ში» — ანტიპარტიული სკოლა, შექმნილი ბოგდანოვის (მაქსიმოვის), ალექსინსკისა და ლუნაჩარსკის მიერ კუნძულ კაპრიზე

(იტალიაში) 1909 წელს მ. გორკის მონაწილეობით. სკოლა წარმოადგენდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანებული ოტზოვისტების, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლების ფრაქციულ ცენტრს.

ბოგდანოველებმა, რომლებიც პარტიულობის დროშას ამოეფარნენ, მიაღწიეს იმას, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ 13 მსმენელი გაგზავნა სკოლაში.

სკოლა არსებობდა დაახლოებით 4 თვეს (აგვისტო — დეკემბერი). 1909 წლის ნოემბერში მოსწავლეთა ნაწილი, მუშა ნ. ე. ვილონოვის მეთაურობით, მას შემდეგ რაც მათთვის ცხადი გახდა სკოლის ფრაქციული ხასიათი, გადაჭრით გაემიჯნა ბოგდანოველებს. მათ «პროლეტარის» რედაქციაში გაგზავნეს პროტესტი ლექტორების ანტიპარტიული მოქმედების წინააღმდეგ, რისთვისაც გარიცხულ იქნენ სკოლიდან. ლენინის მიწვევით ისინი ჩავიდნენ პარიზში, სადაც მოისმინეს ლექციების ციკლი, მათ შორის იყო ლენინის ლექციები — «თანამედროვე მომენტი და ჩვენი ამოცანები» და «სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა». კაპრზე დარჩენილმა მსმენელთა ნაწილმა ლექტორებთან ერთად 1909 წელს შეადგინა ანტიპარტიული ჯგუფი «ვპერიოდი».

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა დაგმო კაპრის სკოლა როგორც «ახალი ცენტრი ფრაქციისა, რომელიც ბოლშევიკებს ეთიშებოდა». — **530.**

127 ღ ვ თ ი ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა — მარქსიზმისადმი მტრული ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა; წარმოიშვა სტოლიპინის რეაქციის დროს იმ პარტიული ინტელიგენტების ერთ ნაწილში, რომლებიც ჩამოშორდნენ მარქსიზმს 1905 — 1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

ღვთისმშენებელნი (ლუნაჩარსკი, ბაზაროვი და სხვ.) ქადაგებდნენ ახალი, «სოციალისტური» რელიგიის შექმნას, ცდილობდნენ შეერიგებინათ მარქსიზმი რელიგიასთან. მათ ერთ დროს ემხრობოდა მ. გორკიც. «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა დაგმო ღვთისმშენებლობა და საგანგებო რეზოლუციაში განაცხადა, რომ ბოლშევიკურ ფრაქციას არაფერი აქვს საერთო «მეცნიერული სოციალიზმის ამგვარ დამახინჯებასთან».

ღვთისმშენებლობის რეაქციული არსი ლენინმა გამოააშკარავა წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 14) და 1908 წლის თებერვალ — აპრილისა და 1913 წლის ნოემბერ — დეკემბრის წერილებში გორკისადმი. — **530.**

128 იგულისხმებიან მენშევიკი-პარტიელები — მენშევიკების ის მცირე ჯგუფი პლეხანოვის მეთაურობით, რომელიც გამოეყო მენშევიკ-ლიკვიდატორებს და გამოვიდა ლიკვიდატორობის წინააღმდეგ.

1908 წლის დეკემბერში პლეხანოვი გავიდა ლიკვიდატორების გაზეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციიდან და 1909 წლის აგვისტოში განაახლა თავისი «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» გამოცემა. რჩებოდნენ რა მენშევიზმის პოზიციებზე, პლეხანოვი და მისი ჯგუფი გამოვიდნენ პარტიის არალეგალური ორგანიზაციის შენარჩუნების, არალეგალური მუშაობის დასაცავად და ცდილობდნენ ბოლშევიკებთან შეთანხმებას.

ლენინი მოუწოდებდა ბოლშევიკებს ყოველნაირად შეეწყოთ ხელი მენშევიკ-პარტიელების ჩამოშორებისათვის ლიკვიდატორებისაგან, დაახლოებოდნენ მათ იდეურობისა და პარტიულობისათვის ბრძოლის საფუძველზე, შეექმნათ პარტიული ელემენტების ერთიანი ბლოკი, რომელშიც «უთანხმოებანი ხელს არ უნდა უშლიდნენ საერთო მუშაობას, საერთო შეტევას, საერთო ბრძოლას» პარტიისათვის ლიკვიდატორების წინააღმდეგო. ლენინმა მიიღო პლეხანოვის წინადადება და დროებითი ბლოკი შეჰკრა მასთან. ბოლშევიკებთან ერთად პლეხანოველები მონაწილეობდნენ ადგილობრივ კომიტეტებში, ბოლშევიკურ გაზეთებში — «ზვეზდასა» და «რაბოჩაია გაზეტაში». პლეხანოვი მონაწილეობას იღებდა აგრეთვე რსდმპ ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ «სოციალ-დემოკრატში».

ი. ბ. სტალინი, რომელიც სოლვიჩეგოდს იყო გადასახლებული, სავსებით უჭერდა მხარს ლენინის ბლოკს პლეხანოვთან და სთვლიდა ამ ბლოკს პარტიისათვის ხელსაყრელად და მისი მტრებისათვის დამღუპველად.

ლენინის ტაქტიკა ერთიანი ფრონტისა პლეხანოველებთან, რომლებსაც მიჰყვებოდა მუშების ნაწილი, დაეხმარა ბოლშევიკებს უფრო ფართოდ გაევრცელებინათ თავიანთი გავლენა ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებში და განედევნათ იქიდან ლიკვიდატორები.

1911 წლის დამლევს პლეხანოვმა გასწყვიტა ბლოკი ბოლშევიკებთან. რსდმ პარტიაში «ფრაქციულობასა» და გათიშვასთან ბრძოლის საბაბით იგი ცდილობდა შეერიგებინა ბოლშევიკები ოპორტუნისტებთან. ტროცკისტებთან, ბუნდელებთან და ლიკვიდატორებთან ერთად პლეხანოველებმა გაილაშქრეს რსდმპ პრაღის კონფერენციის წინააღმდეგ და დაიწყეს ცილისმწამებლური კამპანია ბოლშევიკების წინააღმდეგ. — 531.

129 ვ ლ ა ს ო ვ ი — ა. ი. რიკოვი — 537.

130 კ ე რ ძ ო კ რ ე ბ ა — ბოლშევიკ-ლენინელების კრება, მოწვეული ლენინის მიერ «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის წინადღეებში. ამ კრებაზე ლენინი გამოვიდა ვრცელი ინფორმაციით

ბოლშევიკურ ფრაქციაში საქმის მდგომარეობის, ოტზოვისტების, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ლენინის მიერ ინფორმაციაში წამოყენებული დებულებანი საფუძვლად დაედო «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის რეზოლუციებს. — **538.**

131 სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებათა მოღვაწეების პირველი სრულიად-რუსეთის ყრილობა მიმდინარეობდა პეტერბურგში 1908 წლის 3—6 (16—19) იანვარს. ყრილობის ძირითადი საკითხი იყო სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობის საკითხი. ყრილობის მუშათა ჯგუფმა, რომელსაც ბოლშევიკები მეთაურობდნენ, შეიტანა რეზოლუცია, სადაც მოთხოვნილი იყო მუშათა ორგანიზაციების საგანგებო წარმომადგენლობის შეყვანა სახალხო უნივერსიტეტების გამგეობებში, აღიარება მათი უფლებისა — განესაზღვრათ მეცადინეობის პროგრამები, დაესახელებინათ სასურველი ლექტორები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, აგრეთვე მოთხოვნილი იყო ყოველი ეროვნების დედაენაზე სწავლების უფლების აღიარება.

ყრილობამ ხმების უმნიშვნელო უმრავლესობით (110 ხმა 105-ის წინააღმდეგ) უარყო ეს რეზოლუცია და აღიარა, იგი ყრილობის ფარგლებს სცილდებაო, რის შემდეგ მუშების წარმომადგენლებმა ყრილობა დასტოვეს. — **548.**

132 კოოპერაციულ დაწესებულებათა წარმომადგენლების პირველი სრულიად-რუსეთის ყრილობა მიმდინარეობდა 1908 წლის 16—21 აპრილს (29 აპრილიდან 4 მაისამდე) მოსკოვში. ყრილობას ესწრებოდა 521 დელეგატი, რომელთა შორის იყო 45-ზე მეტი სოციალ-დემოკრატი (ბოლშევიკი და მენშევიკი).

მენშევიკების წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლშევიკებმა ყრილობაზე შეადგინეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და სათავეში ჩაუდგნენ პროფესიული ორგანიზაციებისა და მუშათა კოოპერაციის წარმომადგენელთა ბრძოლას ბურჟუაზიული კოოპერატორების წინააღმდეგ, რომლებიც ყრილობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

ყრილობაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი: საერთაშორისო კოოპერაციულ მოძრაობაზე, კოოპერაციული მოძრაობის როლსა და ამოცანებზე, სამომხმარებლო საზოგადოებათა უფლებრივ მდგომარეობაზე რუსეთში და სხვა, მაგრამ მათი განხილვა აკრძალა ყრილობის პრეზიდიუმმა.

მას შემდეგ, რაც პოლიციამ აკრძალა ყრილობაზე შეხებოდნენ კლასობრივი ბრძოლის, პროფკავშირების, მოსამსახურეთა მდგომარეო-

ბის საკითხებს, გაფიცვებისა და ლოკაუტების დროს მუშებისადმი დახმარების, კოოპერაციული პროპაგანდის, ბეჭდვითი სიტყვისა და სხვა საკითხებს, ყრილობა დახურულ იქნა. — **548.**

183 ქალთა პირველი სრულიად-რუსეთის ყრილობა მიმდინარეობდა 1908 წლის 10—16 (23—29) დეკემბერს პეტერბურგში. ყრილობის დელეგატებს შორის იყო ბევრი მუშა-ქალი. მუშა-ქალთა ზეგავლენით ყრილობამ მიიღო რეზოლუციები ალკოჰოლიზმთან ბრძოლის, გლეხი-ქალის მდგომარეობის, ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვის, სარეწაო კოოპერაციის, ებრაელთა თანასწორუფლებიანობის შესახებ. ძირითად საკითხზე — თანამედროვე საზოგადოებაში ქალის პოლიტიკური და სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ მუშა-ქალებმა შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლების შემოღებას განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ყრილობის პრეზიდიუმმა უარი თქვა ამ რეზოლუციის გამოქვეყნებაზე და შესცვალა იგი რეზოლუციით, რომელიც შედგენილი იყო ლიბერალურ-ბურჟუაზიული სულისკვეთებით. პროტესტის ნიშნად მუშა-ქალები ყრილობიდან წავიდნენ. — **548.**

184 ფაბრიკა-ქარხნების ექიმებისა და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის წარმომადგენელთა პირველი სრულიად-რუსეთის ყრილობა შესდგა 1909 წლის 1 — 6 (14 — 19) აპრილს მოსკოვში. ყრილობის დელეგატებს შორის იყო 52 მუშა, არჩეული პროფესიული კავშირების, უმთავრესად მსხვილი სამრეწველო ცენტრების პროფკავშირების მიერ. მუშათა დელეგატებს შორის ბოლშევიკები სჭარბობდნენ. მუშათა დელეგატების გამოსვლებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და მათ მთელ ჩვენს ქვეყანაში გამოეხმაურნენ. განსაკუთრებით გაცხოველებული კამათი გამოიწვია ყრილობაზე ორმა საკითხმა: სანიტარული ზედამხედველობის ორგანიზაციისა (მიღებულ იქნა ბოლშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლუცია) და მუშების მიერ საფაბრიკო ინსპექციის არჩევნების შესახებ.

ყრილობას თავისი მუშაობა არ დაუმთავრებია: იგი პოლიციამ დახურა. — **548.**

185 «ოტკლიკი ბუნდა» — ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის არაპერიოდული ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში 1909 წლის მარტიდან 1911 წლის თებერვლამდე. გამოვიდა ხუთი ნომერი. — **564.**

186 ეს წერილი დაიბეჭდა როგორც შენიშვნა მ. ნ. ლიადოვის წერილზე გაზეთ «პროლეტარის» რედაქციის მიმართ; წერილში მ. ნ. ლიადოვი

ნცხადებდა, რომ ის არ ეთანხმება «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის გადაწყვეტილებებს. — 572.

187 ლ ი ო ვ ა — მ. კ. ვლადიმიროვი; ი ნ ო კ ე ნ ტ ი — ი. ფ. დუბროვინსკი. — 575.

188 წერილის ეს პროექტი ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია პასუხად კუნძულ კაპრის ოტზოვისტურ-ულტიმატისტური სკოლის საბჭოს მიმართვისა ბოლშევიკური ცენტრისადმი («პროლეტარის» გაფართოებული რედაქციისადმი); მიმართვა შეიცავდა თხოვნას დაბმარება გაეწიათ სკოლისათვის ლიტერატურული ძალებითა და ფულით.

ხელნაწერს სათაური არა აქვს. იგი დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — 576.

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1908* წლის მარტი — *1909* წლის აგვისტო)

1908

მარტი, 19 (აპრილი, 1).	ლენინის სტატია «პირდაპირ გზაზე» გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «პროლეტარის» № 26-ში.
მარტი, 26 (აპრილი, 8).	ლენინის სტატია «რუსეთის რევოლუციის «ბუნების» შესახებ» გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთ «პროლეტარის» № 27-ში.
აპრილი, არა უგვიანეს 8 (16).	ლენინმა დაამთავრა სტატია «მარქსიზმი და რევიზიონიზმი» კრებულისათვის «კარლ მარქსი (1818—1883)».
4 და 18 აპრილს შუა (10 აპრილსა და 1 მაისს შუა).	ლენინი ა. მ. გორკის თხოვნით ეწვია მას კაპრის კუნძულზე, სადაც ბოგდანოვსა და ლუნაჩარსკის განუცხადა, რომ არ ეთანხმება მათ ფილოსოფიის საკითხებში.
აპრილი, 16 (29).	ლენინის სტატიები «გათელილი ბილიკით!» და «კადეტების ბლოკი ოქტიაბრისტებთან?» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 29-ში.
აპრილი, 24 (მაისი, 7).	ლენინი ჟენევაში გამოდის რეფერატით თემაზე «რუსეთის რევოლუციის შეფასება და მისი შესაძლო მომავალი».
აპრილი.	ლენინის სტატია «რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის» გამოქვეყნდა პოლონურ ჟურნალ «Przeglad Socjaldemokratyczny» № 2.
მაისი, 1 (14).	ლენინი პარიზში გამოდის რეფერატით რუსეთის რევოლუციის ხასიათის შესახებ პარიზის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ბიუროს მიერ მოწყობილ კრებაზე.

მაისის დამდეგი ლენინი მონაწილეობს პარიზის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ბიუროს სხდომაში, სადაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება თბილისში მომხდარი ექსპროპრიაციის საქმეზე შვეიცარიაში დაპატიმრებული სოციალ-დემოკრატებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მაისი, 10 (23). გაზეთ «პროლეტარის» № 30-ში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები «მეორე გაწვევის კადეტები» (მოწინავე) და «რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის» (გადმობეჭდილია პოლონური ჟურნალიდან **«Przegląd Socjaldemokratyczny»** № 2.

მაისი. ლენინი მუშაობს ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმში წიგნზე «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი».

მაისი — ივნისის პირველი ნახევარი. ლენინი წერს: «ათი კითხვა რეფერენტს», როგორც თეზისებს ი. ფ. დუბროვინსკის (ინოკენტის) გამოსვლისათვის ა. ბოგდანოვის რეფერატის გამო ჟენევაში.

ივნისი, 18 (ივლისი, 1). ლენინმა დაამთავრა ნაშრომი «აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევისათვის» ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, რომელსაც სცემდა ძმების გრანატების ამხანაგობა. ნაშრომი საცენზურო პირობების გამო მაშინ არ გამოქვეყნებულა და ცალკე ბროშურად გამოვიდა მხოლოდ 1918 წელს.

ლენინი ვ. ი. ვოროვსკის სწერს ოდესაში წერილს ბოგდანოვის ჯგუფთან ფილოსოფიურ უთანხმოებათა გამწვავებისა და გათიშვის მომწიფების გამო.

ივნისი. ლენინის წინადადებით გაზეთ «პროლეტარში» იწყება დისკუსია ოტზოვიზმის საკითხზე.

ივლისი, 2 (15). გაზეთ «პროლეტარის» № 32-ში მოწინავედ გამოქვეყნდა ლენინის სტატია «თანამედროვე რღვევის ზოზოგიერთი ნიშნის შესახებ».

ივლისი, 5 (18). ლენინმა დაამთავრა ავტორეფერატი «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (დაიბეჭდა პოლონურ ჟურნალში **«Przegląd Socjaldemokratyczny»** № 6. 1908 წ. აგვისტო).

იულისი, 23 (აგვისტო, 5).	გაზეთ «პროლეტარის» № 33-ში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «ფიცხი მასალა მსოფლიო პოლიტიკაში» (მოწინავე), «მებრძოლი მილიტარიზმი და სოციალ-დემოკრატიის ანტიმილიტარისტული ტაქტიკა» და ნარკვევი «როგორ ასწორებს პეტრე მასლოვი კარლ მარქსის შავად ნაწერ მონახაზებს».
აგვისტო, 11 — 18 (24 — 26).	ლენინი ჟენევაში მონაწილეობს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმში; ამხელს მენშევიკების ცდებს — მოახდინონ ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაცია საინფორმაციო ბიუროთი მისი შეცვლის გზით. ლენინს ირჩევენ ბოლშევიკებისაგან პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციაში.
აგვისტო.	ლენინი გაზეთ «პროლეტარის» რედაქციის სხდომაზე წინადადებას აძლევს ბოგდანოვს აშკარად გამოვიდეს პრესაში და გამოთქვას თავისი შეხედულებანი.
სექტემბერი, 11 (24).	ლენინის სტატია «ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე» მოწინავედ გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 35-ში.
25 სექტემბერსა და 2 ოქტომბერს შუა (8 და 15 ოქტომბერს შუა).	ლენინის სტატია «მარქსიზმი და რევიზიონიზმი» გამოქვეყნდა კრებულში «კარლ მარქსი (1818 — 1883)», რომელიც გამოვიდა პეტერბურგში.
სექტემბერი, 27 (ოქტომბერი, 10).	ლენინი მონაწილეობას იღებს ჟურნალისტ-სოციალისტების ბრიუსელის კონფერენციის მუშაობაში. ლენინი ბრიუსელის «სახალხო სახლში» ესწრება საერთაშორისო მიტინგს, რომელიც მიეძღვნა პროლეტარიატის ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისათვის.
სექტემბერი, 28 (ოქტომბერი, 11).	ლენინი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაში, რომელიც შესდგა ბრიუსელში; აკრიტიკებს კაუცკის რეზოლუციას ინტერნაციონალში ინგლისის მუშათა პარტიის (ლეიბორისტების) დაშვების შესახებ და ილაშქრებს ინტერნაციონალის რუსულ ქვესექციაში სიონისტ-სოციალისტების მიღების წინააღმდეგ.

სექტემბერი, 29 (ოქტომბერი, 12).	ლენინი ბრიუსელში ესწრება პარლამენტთა ფრაქციების წევრ-სოციალისტების საერთაშორისო კონფერენციის სხდომას.
სექტემბერი.	ლენინი წერს წინასიტყვაობას წიგნისათვის «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი».
ოქტომბერი, 8 (16)-მდე.	ლენინმა დაწერა სტატია «ინგლისელი და გერმანელი მუშების სამშვიდობო დემონსტრაცია» გაზეთ «პროლეტარის» № 36-ისათვის.
ოქტომბერი, 8 (16).	ლენინის სტატია «სტუდენტობის მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა» მოწინავედ გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 36-ში.
ოქტომბერი, 14 (27).	ლენინი ა. ი. ელიზაროვასადმი მიწერილ წერილში იუწყება, რომ მან დაამთავრა მუშაობა წიგნზე «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი», და სთხოვს მისცეს საიმედო მისამართი ხელნაწერის გასაგზავნად.
ოქტომბერი, 16 (29).	გაზეთ «პროლეტარის» № 37-ში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები «ბალკანეთისა და სპარსეთის ამბები», «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა» და «პ. მასლოვის ისტერიკა».
ოქტომბერი, 28 (ნოემბერი, 10).	ლენინი უარყოფს მენშევიკების წინადადებას გამოსაცემად განზრახულ მენშევიკურ კრებულში თანამშრომლობის შესახებ.
ოქტომბერი — ნოემბერი.	ლენინის სტატია «რამდენიმე შენიშვნა პ. მასლოვის «პასუხის» გამო» გამოქვეყნდა პოლონურ ჟურნალში «Przeglad Socjaldemokratyczny» № 8 — 9.
ოქტომბერი — დეკემბერი.	ლენინი ხელმძღვანელობს რსდმპ მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენციის მომზადებას.
ნოემბერი, 1 (14).	ლენინის სტატია «მიმდინარე მომენტის შეფასებისათვის» გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 38-ში.
ნოემბერი, 4 (17)-მდე.	მოსკოვში ლეგალურად გამოცემის მიზნით ლენინი კონსპირაციული მისამართით გზავნის ხელნაწერს წიგნისას «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი».

ნოემბერი, 13 (26). ლენინის სტატიები «როგორ იცავენ რევიზიონიზმს პლეხანოვი და კომპანია» და «ორი წერილის გამო» გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 39-ში.

29 ნოემბერსა და 1 დეკემბერს შუა (12 და 14 დეკემბერს შუა). ლენინი და კრუპსკაია გადადიან ჟენევიდან პარიზს, სადაც გადატანილია გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა.

დეკემბერი, 1 (14). ლენინის სტატია «აგრარული კამათი III სათათბიროში» გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 40-ში.

დეკემბერი, 21 (1909 წლის 3 იანვარი). პარიზში ლენინი მონაწილეობას იღებს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაში.

დეკემბერი, 21 — 27 (1909 წლის 3 — 9 იანვარი). პარიზში ლენინი მონაწილეობას იღებს რსდმპ მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენციის მუშაობაში, გამოდის მოხსენებით «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ», შეაქვს რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე და შესწორებანი რეზოლუციების პროექტებში სხვა საკითხებზე.

დეკემბერი, 27 — 29 (1909 წლის 9 — 11 იანვარი). ლენინი მონაწილეობს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში, სადაც ამტკიცებენ რსდმპ მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენციის რეზოლუციებს.

დეკემბერი. ლენინი პარიზში კითხულობს რეფერატს თანამედროვე მდგომარეობაზე რუსეთში.

1909

წლის დასაწყისი. ლენინი კითხულობს ლექციებს ფილოსოფიის შესახებ პარიზში — ბოლშევიკების წრეში.

იანვარი, 7 (20). ლენინის სტატია «როგორ აჯამებენ რევოლუციის შედეგებს სოციალისტ-რევოლუციონერები და როგორ გაუკეთა ჯამი რევოლუციამ სოციალისტ-რევოლუციონერებს» გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 41-ში.

იანვარი, 22 (თებერვალი, 4).	ლენინი პარიზში გამოდის მოხსენებით რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.
იანვარი, 28 (თებერვალი, 10).	ლენინის სტატია «გზაზე» მოწინავედ გამოქვეყნდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 2-ში.
თებერვალი, 1 (14).	ლენინი გაზეთ «პროლეტარის» რედაქციის სხდომაზე მოითხოვს რედაქციის აშკარა გამოსვლას ღვთისმშენებლობის წინააღმდეგ, რომელსაც ქადაგებდა ლუნაჩარსკი.
თებერვალი, 12 (25).	გაზეთ «პროლეტარის» № 42-ში გამოქვეყნდა ოტზოვიზმის წინააღმდეგ მიმართული ლენინის შენიშვნა სტატიისათვის «მორიგი საკითხების გამო».
თებერვალი, 17 — 23 (მარტი, 2 — 8).	ლენინი ისვენებს ნიცაში.
მარტი, 5 (18).	ლენინი პარიზში, ემიგრანტების კრებაზე, გამოდის სიტყვით პარიზის 1871 წლის კომუნის შესახებ.
მარტი, 9 და 21 (მარტი, 22 და აპრილი, 3).	გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» №№ 3 და 4-ში გამოქვეყნდა ლენინის სტატია «პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი ჩვენს რევოლუციაში».
მარტი, 10 თუ 11 (23 თუ 24).	ლენინი მოსკოვში თავისი წიგნისათვის «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» გზავნის «დამატებას IV თავის § 1-ისათვის. რა მხრით უდგებოდა ნ. გ. ჩერნიშევსკი კანტიანელობის კრიტიკას?»
არა უადრეს 23 მარტისა (5 აპრილისა).	ლენინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით წერს პროტესტს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამგეობას იმის წინააღმდეგ, რომ გაზეთი «Vorwärts» ამახინჯებს რუსი სოციალ-დემოკრატების უთანხმოებათა არსს.
აპრილი, 4 (17).	ლენინის სტატია «ბოლშევიზმის კარიკატურა» გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 44-ის დამატებაში.

აპრილი, 8 (21).	ლენინის სტატია «ბურჟუაზიის «გამემარცხენება» და პროლეტარიატის ამოცანები» გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 44-ში.
29 აპრილსა და 4 მაისს შუა (12 და 17 მაისს შუა).	მოსკოვში გამოდის ლენინის წიგნი «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი. კრიტიკული შენიშვნები ერთი რეაქციული ფილოსოფიის შესახებ».
აპრილის დამლევი — ივნისის პირველი ნახევარი.	ლენინი ამზადებს «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირს.
მაისი, 8 (21).	ლენინი პარიზში, გაზეთ «პროლეტარის» რედაქციის კლუბში, კითხულობს მოხსენებას თემაზე «რელიგია და მუშათა პარტია».
მაისი, 13 (26).	ლენინის სტატია «მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი» მოწინავედ გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 45-ში.
ივნისი, 4 (17).	ლენინის სტატია «კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი» გამოქვეყნდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 6-ში.
ივნისი, არა უგვიანეს 7 (20).	ლენინი ატარებს გაზეთ «პროლეტარის» რედაქციის წევრთა კერძო თათბირს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელზედაც გამოდის მოხსენებით პარტიის მდგომარეობის შესახებ.
ივნისი, 8 — 17 (21 — 30).	ლენინი ხელმძღვანელობს «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირს, გამოდის კამათში, შეაქვს შესწორებანი რეზოლუციებისათვის, ხოლო ცალკეულ საკითხებზე — რეზოლუციების პროექტები. ძირითად საკითხებზე თათბირმა მიიღო ლენინის რეზოლუციები.
ივლისი, 8 (16).	ლენინის მიერ დაწერილი «ცნობა «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის შესახებ» გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» № 46-ის დამატებაში.

ივლისი, 11 (24).	გაზეთ «პროლეტარის» № 46-ში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები «მეფის გამგზავრება ევროპაში და შავრაზმული სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატისა — ინგლისში» (მოწინავე) და «ლიკვიდატორობის ლიკვიდაცია».
ივლისი.	ლენინი ცენტრალური კომიტეტის რუსული ნაწილის მდივანთან საუბარში იძლევა მითითებას იმ პროვოკატორებთან ბრძოლის შესახებ, რომლებიც შეიპარებიან ხოლმე პარტიული ორგანიზაციების რიგებში.
ივლისის დამლევი — აგვისტო.	ლენინი ოჯახით (ნ. კ. კრუპსკაია, მისი დედა და მ. ი. ულიანოვა) ისვენებს სოფელ ბონბონში (სენისა და ლუარის დეპარტამენტი), პარიზის ახლოს.
აგვისტო, 5 (18).	ლენინი წერილში კაპრის სკოლის ორგანიზატორებისადმი უარს ამბობს ლექციების წაკითხვაზე სკოლაში და იწვევს სკოლის მოწაფეებს მივიდნენ პარიზში ლექტორ-ბოლშევიკების ლექციების მოსასმენად. ლენინი წერილში ბოლშევიკური ცენტრის საშეურნეო კომისიისადმი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ დახმარება გაეწიოს ტროცკის მისი ვენური «პრავდის» გამოცემაში.
შუა აგვისტო.	ლენინი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს უგზავნის მის მიერ მიღებულ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს საიდუმლო ცირკულარს მაროკოში ესპანეთის მთავრობის იმპერიალისტური დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგებისა და კრებების მოწყობის შესახებ.
აგვისტო, 17 (30).	ლენინი საპასუხო წერილში კაპრის სკოლის მსმენელებს განუმარტავს ამ სკოლის ანტიპარტიულ ხასიათს, ადასტურებს თავის უარს ამ სკოლაში ლექციების კითხვაზე და იწვევს მათ — მივიდნენ პარიზში.
აგვისტო.	ლენინი მონაწილეობას იღებს III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელშემწყობი კომისიის მუშაობაში.
ზაფხული.	ლენინი ეწვია პოლ ლაფარგს და ესაუბრა მას თავისი წიგნის «მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის» შესახებ.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1908

პირდაპირ გზაზე . . . . . 1—9

რუსეთის რევოლუციის «ბუნების» შესახებ . . . 10—17

გარეკსიზმი და რევიზიონიზმი . . . . . 19—32

გათელილი ბილიკითა . . . . . 33—42

კადეტების ბლოკი ოქტიაბრისტებთან? . . . 43—44

რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის' 45—61

მეორე გაწვევის კადეტები . . . . . 62—67

აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს 69—163

I 71

II 85

'III 96

IV 112

V 125

VI 137

VII 147

თანამედროვე რღვევის ზოგიერთი ნიუანსის შესახებ 164—176

სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში ავტორეფერატი . . . . . 177—208

ფიცხი მასალა მსოფლიო პოლიტიკაში . . . . 209—218

რედაქციისაგან . . . . . 219—220

მებრძოლი მილიტარიზმი და სოციალ-დემოკრატიის ანტიმილიტარისტული ტაქტიკა . . . . . 221—235

I 221
II 224
III 229

ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე . . . . . 236—245

ინგლისელი და გერმანელი მუშების სამშვიდობო დემონსტრაცია . . . . . 246—250

სტუდენტობის მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა . . . . . 251—259

ბალკანეთისა და სპარსეთის ამბები . . . . . 260—274

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა . 275—295

პ. მასლოვის ისტორიკა . . . . . 296—306

რამდენიმე შენიშვნა პ. მასლოვის «პასუხის» გამო 307—321

მიმდინარე მომენტის შეფასებისათვის . . . . 322—338

როგორ იცავენ რევიზიონიზმს პლეხანოვი და კომპანია . . . . . 339—344

ორი წერილის გამო . . . . . 345—367

აგრარული ქამათი III სათათბიროში . . . . . 368—386

რსდმპ მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენცია 1908 წ. 21—27 დეკემბერი (1909 წ. 3—9 იანვარი) . . . . . 387—398

1. პროექტი რეზოლუციისა თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ . 389
2. დირექტივები საორგანიზაციო საკითხის კომისიისათვის 394
3. პრაქტიკული მითითებანი სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ ბიუჯეტისათვის ხმის მიცემის საკითხზე . . . 395

პირველი ვარიანტი 395
მეორე ვარიანტი 396

4. დამატება რეზოლუციისა «სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ» . 397

5. ბოლშევიკების განცხადება. ფაქტიური განცხადება 398

1909

როგორ აჯამებენ რევოლუციის შედეგებს სოციალისტ-რევოლუციონერები და როგორ გაუკეთა ჯამი რევოლუციამ სოციალისტ-რევოლუციონერებს . . . . . 399—417

გზაზე . . . . . 418—431

სტატიის «მორიგი საკითხებისათვის» გამო . . . 432—436

პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი ჩვენს რევოლუციაში . . . . . 437—462

I 437
II 447
III 451
IV 456
V 461

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამგეობას . . . . . 463—465

ბოლშევიზმის კარიკატურა . . . . . 466—481

ბურჟუაზიის «გამემარცხენეება» და პროლეტარიატის ამოცანები . . . . . 482—491

მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი . . . . . 492—507

კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი . . . . . 508—519

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირი 1909 წ. 8—17 (21—30) ივნისი . . . . 521—554

ცნობა «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის შესახებ 523

პარტიაში ბოლშევიკების ამოცანების საკითხზე წარმოთქმული სიტყვა 11 (24) ივნისი 535

სიტყვა და პროექტი რეზოლუციისა ბოლშევიკების ამოცანებზე სათათბიროში მოღვაწეობის მიმართ . 537

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის შესახებ 542

1. ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ . . . 542
2. ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში 547
3. პარტიისაგან განცალკევებული ბოლშევიკური ყრილობისა ან ბოლშევიკური კონფერენციის სასარგებლო აგიტაციის შესახებ 550
4. პარტიული სკოლის შესახებ, რომელიც ეწყობა საზღვარგარეთ N. N.-ში 552
5. ამხ. მაქსიმოვის გამოთიშვის შესახებ 553

ლიკვიდატორობის ლიკვიდაცია . . . . . 554—564

მეფის ბამბზავრება ევროპაში და შავრაზმული სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატისა — ინგლისში . 565—571

მ. ლიადოვის წერილის გამო «პროლეტარის» რედაქციის მიმართ . . . . . 572—573

წერილი კაპრის პარტიული სკოლის ორგანიზატორებს 574

პროექტი ბოლშევიკური ცენტრის წერილისა კაპრის სკოლის საბჭოსადმი . . . . . 576—577

წერილი კაპრის პარტიული სკოლის მოწაფეებს: ამხანაგებს იულის, ვანიას, საველის, ივანეს, ვლადიმერს, სტანისლავსა და თომას . . . . . 378—386

შენიშვნები . . . . . 587—619

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 621—630

ილუსტრაციები

პირველი გვერდი 1908 წლის 26 მარტის (8 აპრილის) გაზეთ «პროლეტარის» № 27, სადაც მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატიები «რუსეთის რევოლუციის «ბუნების» შესახებ» და «საათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოების შესახებ გამართული კამათის გამო» 11

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე». — 1908 წ. . . . 239

პირველი გვერდი რსდმპ ცენტრალური ორგანოსი — გაზეთ «სოციალ-დემოკრატისა», № 2, 1909 წ. 28 იანვარი (10 თებერვალი), სადაც მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატია «გზაზე». . . 419

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «პარტიაში ბოლშევიკების ამოცანების საკითხზე წარმოთქმული სიტყვა», 1909 წ. 11 (24) ივნისი . . . . . 536—537

ტირაჟი 20.000
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XII-1950.
უე 18708. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. $40^3/_8$.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 1402